

იგორ კეკელია

აფხაზეთის

ისტორიული და თანამედროვე

ტოპონიმია

საზნაობითი სერია

4

სერიის მთავარი რედაქტორი

ბუბა კუდავა

დამკაბადონებელი ალექსანდრე ჯიქურიძე

გარეკანის დიზაინერი ნატალია ავალიანი

ISSN 1512-3855

ISBN 978-9941-494-94-9

© გამომცემლობა არტანუჯი, 2022.

იგორ კეკელიას სამეცნიერო კვლევის სფეროს ძირითადად ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის საკითხები წარმოადგენს. მკვლევარი ინტენსიურად მუშაობს აფხაზეთის ტოპონიმისა და ისტორიის მთელ რიგ პრობლემურ საკითხებზე. ამ თემატიკაზე გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სტატია. მან ჩაინერა აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის რამდენიმე ათასი მიკროტოპონიმი. გამოსაცემად მზად აქვს ნაშრომი „აფხაზეთის ტოპონიმია კარტოგრაფიულ მასალებში“. მკითხველი ამჟამად გაეცნობა მონოგრაფიას აფხაზეთის ტოპონიმიაზე.

ერთი კონკრეტული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის შესახებ ტოპონიმიური მონაცემების გარკვეულ ცნობებთან შეჯერებით, აგრეთვე საკვლევი თემის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ისტორიკოსი შეეცადა სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული შეხედულებები გამოეთქვა და დაესაბუთებინა; ამასთანავე, გაესწორებინა და დაეზუსტებინა ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის ლოკალიზაციისას დაშვებული გარკვეული უზუსტობანი.

რედაქტორი

მერაბ ჩუხუა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები

პაატა ცხადაია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლეილა ავიძბა, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ქეთევან გოდერძიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი

ნონა ჩხეიძე, ფოთის №15 საჯარო სკოლის პედაგოგი, ისტორიკოსი



ნიგნი გამოიცა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმიანობის სააგენტოს“ მხარდაჭერით

სარჩევი

შესავალი9

თავი I. აფხაზეთის ტოპონიმების მეცნიერული შესწავლის ისტორია და მდგომარეობა

- §1. წყაროები და ლიტერატურა..... 16
- §1.1. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემები პაატა ცხადაიას შრომებში..... 43
- §1.2. ვალერიან ზუხბაიას ცხოვრება და ღვაწლი აფხაზეთის ონომასტიკის შესწავლაში..... 59
- §1.3. ნოდარ შონიას წვლილისათვის აფხაზეთის ტოპონიმების კვლევაში..... 70

თავი II. აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი

- §2.1. ეპიზოდები თანამედროვე აფხაზეთის ეთნიკური გეოგრაფიიდან (ისტორიული წყაროებისა და ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით) 84
- §2.2. აფხაზეთის ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. სახელწოდება „აფხაზეთი“ 85
- §2.3. აფხაზეთის საზღვრები 96

თავი III. აფხაზეთის ტოპონიმია ედუარდ აიხვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში 109

თავი IV. რუსეთის იმპერიის დემოგრაფიული და ტოპონიმიკური ომი საქართველოს წინააღმდეგ და ტოპონიმიკური ვითარება თანამედროვე აფხაზეთში 119

თავი V. აფხაზეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების ისტორიული, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ანალიზი 137

- §5.1. აითარნე, არუხა და რაბინა..... 138
- §5.2. ანაკოფია 146
- §5.3. ალაცო 153
- §5.4. ბაბუშერა, ომარიშარა 154
- §5.5. ბებესირი..... 156
- §5.6. ბედია..... 157
- §5.7. ბირცხა 159

§5.8. გაგრა.....	160
§5.9. გალი.....	170
§5.10. გუდავა.....	173
§5.11. გუფი.....	179
§5.12. დალი	181
§5.13. დადისწყალი, ერისწყალი//ერწყარი	186
§5.14. დარენი.....	193
§5.15. დიოსკურია	195
§5.16. ვარჩა	201
§5.17. ზუფუ//ზზიფი	205
§5.18. თავილონი.....	210
§5.19. თესური//თენური.....	211
§5.20. თოუმიში	212
§5.21. ილორი	213
§5.22. კამანი	219
§5.23. კაპუტის მდინარე.....	220
§5.24. კინდლი.....	223
§5.25. კოდორი	225
§5.26. ლეჩქოფი.....	232
§5.27. ლიხნი	234
§5.28. მარაჭა//მარაჭიჭა	237
§5.29. მარუხი.....	239
§5.30. მოქვი	240
§5.31. მუნისწყალი//მუნუსწყალი	247
§5.32. ნაკალმელიუ	249
§5.33. ნაა	249
§5.34. ნაჟანეო//ნაჟანევი//ნაჟანეული//ნაჟარეული//ნაჟინეუ	250
§5.35. რეფი.....	251
§5.36. სააფაცო.....	252
§5.37. სათანჯო	256
§5.38. სახაუჟელო, ხაუჟელი.....	261
§5.39. სიდა.....	263
§5.40. სუბეში//სუბვი.....	264
§5.41. ტოგონი.....	266
§5.42. ტყაურუ	267
§5.43. ტყვარჩელი	269
§5.44. ტყუბუნი	273
§5.45. ფიჩორი.....	274
§5.46. ფსკალი	276
§5.47. ფუნყური	277

§5.48. ფშაური.....	279
§5.49. ლუმურიში.....	280
§5.50. ლურზული//ლურძაული//გერზაული	283
§5.51. შხურლაჭი	283
§5.52. ჩეგემი.....	284
§5.53. ჩხარი	285
§5.54. ცორკა.....	288
§5.55. ცუმური	288
§5.56. ცხომი//ცხუმი//სოხუმი.....	289
§5.57. წარჩე	295
§5.58. წებელდა/*წაბალი.....	298
§5.59. წკელკარი.....	309
§5.60. წურწუხი//წუნახო	312
§5.61. წყაბა.....	313
§5.62. წყუბუნი	314
§5.63. წყუზამელა//წყუზამელი.....	315
§5.64. ჯალი	317
§5.65. ჯამღვარღვალღ	317
§5.66. ჯაყობა//ჯოყობა// ჯოცობა.....	318

თავი VI. აფხაზეთის „აღანეთი“ ვახუშტი ბატონიშვილის ნაბრომისა და რუკების მიხედვით

თავი VII. აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სალექსიკონო მასალა

შესავალი.....	336
§1. გაგრის რაიონი.....	339
§2. გალის რაიონი	362
§3. გუდაუთის რაიონი.....	368
§4. ოჩამჩირის რაიონი.....	408
§5. სოხუმის რაიონი.....	487

თავი VIII. ქალაქ სოხუმის ურბონიმიდან

თავი IX. აფხაზეთის ტოპონიმია რუსულენოვან რუკებზე

კომენტარები.....	545
წყაროები და ლიტერატურა.....	546
პირთა საძიებელი	597
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.....	605

შესავალი

„ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ცოტაა, ვთქვათ, რომ მოძმე ერები ვართ. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ხალხი ვართ. არა მგონია, ქართველებს ჰყავდეთ უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზებია. აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველები და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იგი თავისა მტერია“.

დიმიტრი გულია

საქართველოს ისტორიული წარსულის სურათის აღდგენაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტოპონიმებს – გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რამდენადაც მასში გარკვეულწილად ასახვას პოვნებს გარკვეულ ტერიტორიასთან დაკავშირებული ფიზიკური, პოლიტიკური, ეთნიკური, ეკონომიკური და სოციალური (მოსახლეობის) გეოგრაფიის მთელი რიგი საკითხებისა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ ხანს რეგიონული და რეგიონთაშორისი ურთიერთობების კვლევა ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა და, მაშასადამე, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ისტორიისადმი მკვლევართა ინტერესი საგრძნობლად გაზრდილია, მიზნად დავისახეთ ერთი კონკრეტული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის – აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმების საკითხებზე ცალკე და საგანგებო გამოკვლევის შექმნა.

წინამდებარე ნაშრომის სახით აღნიშნული პოლიტიკური ერთეულის გეოგრაფიული სახელწოდებების ეტიმოლოგიურ-ეტიოლოგიური და ისტორიოგრაფიული მიმოხილვისადმი ინტერესი იმითაცაა გამომწვეული, რომ დისციპლინათაშორისი კვლევა, მეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაცემთა კორელაციური განხილვა ხელს უწყობს პრობლემურ საკითხთა უფრო მეტად დაზუსტებას თუ გადანყვეტას.

აქვე შევნიშნავთ, რომ წინამდებარე ნაშრომი არ წარმოადგენს აფხაზეთის ტოპონიმების საკითხების მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას. ამგვარი სამუშაო კარგა ხნის წინ ჩაატარეს ქართველმა მეცნიერებმა, რომლებმაც სათანადო მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობით საფუძვლიანად განიხილეს აფხაზეთის ტოპონიმების მრავალი საკვანძო საკითხი.

აფხაზეთის შესახებ ტოპონიმიური მონაცემების ისტორიულ რეალიებთან თუ სხვა წყაროთა გარკვეულ ცნობებთან შეჯერებით, აგრეთვე საკვლევი სა-

კითხის ირგვლივ არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გვეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ მთელი რიგი საკითხებისა ახლებურად იქნეს გააზრებული; ამასთანავე, გასწორდეს და დაზუსტდეს ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის ლოკალიზაციისას დაშვებული გარკვეული უზუსტობანი.

ნაშრომში ასევე ახლებურად და ფართოდაა გაშუქებული თანამედროვე აფხაზეთის მრავალი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგია, მოხმობილია დამატებითი საარქივო და სამუზეუმო მასალა.

სამეცნიერო თემაზე მუშაობისას მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ სათაურით გათვალისწინებულ პრობლემებზე მსჯელობა კომპაქტური ყოფილიყო. მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი კარდინალური საკითხის გარშემო მოხმობილი მასალა ვინმეს ზედმეტად მოეჩვენოს, მაგრამ ეს მეტი ინფორმაციულობისა და მეცნიერული ანალიზის მიზანმიმართული გადმოცემის აუცილებლობამ განაპირობა.

ენერგიული მცდელობაა აფხაზურენოვანი სუბსტრატული ტოპონიმების ძიებისა ისტორიული ცხუმის (სოხუმის) სამხრეთით, ენგურამდე მდებარე ტერიტორიაზე. წერილობით წყაროებზე დაყრდნობით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ცდა ამ საკითხის მეცნიერულად ახსნისა და გადაწყვეტისა, ფუჭია და უპერსპექტივო. ამ საკითხზე ისტორიულ სიმართლეს თავის დროზე ვერ გაექცა აფხაზი ისტორიკოსი ხუხუტი ბლაჭუბაც, რომელიც კოდორ-ლალიძისა (მერმინდელი **აბუყა**) და ლალიძა-ენგურის შუამდინარეთის (მერმინდელი **სამურზაყანო**) დასახლებული პუნქტებისა და მდინარეების სახელებს ზანური წარმომავლობისად მიიჩნევდა. ესენია: ცხენიწყარი, წყურგილი, პაპანწყური, ჩხორთოლი, ჩხორონწყუ, ბეღია, სათამაშია, ოჩამჩირე, ლალიძა (Бражна, 1974: 180).

ცნობილი ისტორიკოსი შ. ინალ-იფა აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ანალიზის საფუძველზე დაასკვნდა, რომ მზიმთის აუზიდან თითქმის ენგურამდე არსებული ტერიტორიის ძირითად მაცხოვრებლებს აფხაზი ტომები წარმოადგენდნენ, ხოლო აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა ნაწილში აფხაზურენოვანი ტოპონიმების სიმჭიდროვისა და მკაფიოობის რამდენადმე შესუსტებასა და ქართველური გეოგრაფიული სახელწოდებების სიჭარბეს აფხაზეთ-საქართველოს გაერთიანებული ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფოს არსებობის ხანას, კერძოდ, შუა საუკუნეებს, აგრეთვე, ბატონყმურ ექსპლუატაციასა და უმინობას გამოქცეულ მეგრულ გლეხთა სამხრეთ აფხაზეთში მასობრივ გადასახლებას უკავშირებდა. მისი აზრით, სწორედ ამის შედეგად უნდა გაჩენილიყო შედარებით გვიანდელი ქართული ელემენტი შავიზ-

ლვისპირა ზოლში. შ. ინალ-იფა გვარწმუნებს: „Следовательно, и население юго восточной части страны, которому безусловно принадлежит горная топонимика прилегающих районов, также могло быть только абхазоязычным“ (Инал-ипа, 1976: 382). მაშასადამე, აფხაზი მეცნიერის მიერ ქართველობა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძირითადად, გვიან მოსულ მოსახლეობად არის მიჩნეული (მსჯელობისათვის იხ. ცხადაია, 2004: 123).

ცნობილი ტოპონიმისტი პ. ცხადაია, ეხება რა აფხაზთა და ქართველთა/მეგრელთა თანამედროვე ეთნიკურ საზღვარსა და სამურზაყანოს ტოპონიმის ზოგიერთ საკითხს, დაასკვნის: აფხაზთა სამთავროს პოლიტიკურ-ტერიტორიული საზღვრის მდ. კოდორიდან ენგურამდე გადანაცვლება XVII ს-ის დამლევის პოლიტიკური პროცესების შედეგია. ახალშექმნილი ტერიტორიების სრული ეთნიკური ათვისების დიდი მცდელობის მიუხედავად, სრული გააფხაზება შეეხო მხოლოდ აბჟუას, სამურზაყანოს მკვიდრმა მოსახლეობამ კი ენა და ადათ-წესები შეინარჩუნა. XIX ს-ის მთელ მანძილზე და ამჟამადაც ეროვნებით აფხაზებსა და ეროვნებით ქართველებს (ეთნოგრაფიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით – მეგრელებს) შორის ეთნიკურ-ენობრივი საზღვარი გადის მდ. ლალიძგის მარცხენა ნაპირას, მდ. ოხურეიმდე, ზღვისპირა სოფლების გამოკლებით. თანამედროვე ტოპონიმიკური სიტუაციის შესახებ კი მკვლევარი შენიშნავს: სამურზაყანოს მდინარეთა და მათი მთავარი შენაკადების მხოლოდ და მხოლოდ მეგრული სახელები, აგრეთვე ამ ჰიდრონიმა ერთი ნაწილის დადასტურება ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებში, მათივე სიძველეზე მიუთითებს. ამ მდინარეთა მცირე შენაკადების ძირითადად აფხაზური სახელები სამურზაყანოს მთასა და ზემოთ აღნიშნულ ეთნიკურ საზღვარზე მათი მოგვიანებით წარმოქმნის მაუწყებელია. საერთოდ კი, ამ ეთნიკურ საზღვარზე ოიკონიმა და მიკროტოპონიმა ერთი ნახევარი აფხაზურია, მეორე ნახევარი კი – მეგრული. აფხაზური მიკროტოპონიმია სჭარბობს მთის მიკროტოპონიმიაშიც, და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან აფხაზები უპირატესად მესაქონლეობას მისდევდნენ, მაგრამ მდ. ოხურეის სამხრეთით, ე. ი. გალის რაიონის ტერიტორიაზე, სურათი მკვეთრად შეცვლილია: აფხაზურია ოიკონიმა მხოლოდ 5%-მდე და მთიან-ბორცვიანი ზონის სოფლების მიკროტოპონიმა 15-20%. ამ სოფლებში მდებარეობდა აფხაზთა ე. წ. კუნძულებრივი დასახლებანი. ვაკეზე მდებარე სოფლებში კი, ოხურეიდან სამხრეთით, აფხაზურენოვან მიკროტოპონიმა რაოდენობა იკლებს და მდ. ენგურის მარცხენა მხარეს არც მოიპოვება. სამურზაყანოს აფხაზურენოვანი სუპერსტრატული ტოპონიმები და მიკროტოპონიმები წარმოქმნილია უკანასკნელი 2-3 საუკუნის განმავლობაში და ამ რეგიონში აფხაზთა უძველესი განსახლების საბუთად ვერ გამოდგება (ცხადაია, „ქ. მ.“, II,

1998: 305-306; მისივე, 2004: 130-131, 161). აფხაზთა მომძლავრებას შედეგად მოჰყვა ლალიძგის მარცხენა ნაპირის სოფლებში, თვით მდ. ოხურეიმდე (ილორის თემში შემავალი სოფლების გამოკლებით, სადაც მეგრულია გაბატონებული), ერთგვარი ენობრივ-დიალექტური გარდამავალი ზონის შექმნა, ნარევი აფხაზურ-მეგრული მეტყველების გაჩენა აფხაზური ენის გარკვეული უპირატესობით. გალის რაიონში კი (სოფ. ჩხორთოლის ერთი უბნის გამოკლებით) აფხაზთა ნამყოფობას მხოლოდ რამდენიმე ათეული აფხაზური ტოპონიმური სუპერსტრატის და მეგრული მეტყველების მიერ შეთვისებული ასევე რამდენიმე ათეული სიტყვა ადასტურებს (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 4).

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ არათუ კოდორ-ენგურის შუამდინარეთი, არამედ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორია და მისი ჩრდილო-დასავლური გაგრძელება, შავი ზღვის გაყოფებით, ვიდრე ამჟამინდელი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ნოვოე-მიხაილოვსკომდე (ყოფილი ისტორიული ქალაქი ნიკოფსია), დასახლებული იყო კოლხების ზოგადი სახელით ცნობილი ქართველური მოდგმის ტომებით. წერილობით წყაროებში ეს ტომები კოლხების (ქართული ეგრების), ლაზების, სანების, მაკრონების, სვანების, კორაქსებისა და ჰენიოხების სახელითაა ცნობილი. მხოლოდ ახ. წ. I საუკუნეში პლინიუს უფროსის თხზულებაში ვხვდებით **აფშილის//აფსილის** (ლათინურად *Apsilae*) სახელის მატარებელი ტომის მოხსენიების პირველ ფაქტს, რომელიც ფონეტიკურად გაგვახსენებს აფხაზი ხალხის თვითსახელწოდება **აფსუა-ს**; ასევე ახ. წ. II ს-იდან ფლავიუს არიანე იხსენიებს მეორე ტომს **აბასგის** სახელწოდებით, რომელსაც ქართულად **აფშილი**, ხოლო სომხურად **აფშელი** ერქვა და რომლის სახელიც ასევე მოგვაგონებს აფხაზთა უახლოესი მონათესავე ხალხის თვითსახელწოდება **აბაზა-ს**. ამის მიუხედავად, „ტერმინთა მხოლოდ ფონეტიკური მსგავსება არ არის საკმარისი აფშილ-აბასგების აფხაზთა წინაპრებად მისაჩნევად: წყაროებში არსადაა დაზუსტებული, ლაპარაკობდნენ თუ არა ერთსა და იმავე ენაზე აფშილები და აბასგები; გარდა ამისა, ჩვენამდე არ მოღწეულა არც ერთი აფშილური და აბასგური სიტყვა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, დაგვედგინა ამ ორი ტომის მეტყველებათა იგივეობა ახლანდელ აფხაზურ და აბაზურ ენებთან. გარდა ამისა, მომდევნო ვრცელ ისტორიულ პერიოდში ბერძნულ, ქართულ და სომხურ ენებზე ტერმინები **აფშილ-აფსილ-აფშელ** და **აბასგი**, აშკარად, ქართველთა აღმნიშვნელია, რაც საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ წელთაღრიცხვათა მიჯნაზეც ამ სახელებით ქართველები აღინიშნებოდნენ. აფშილები და აბასგები ნამდვილად აფხაზ-აბაზათა წინაპრები რომც ყოფილიყვნენ, მაინც გამოირიცხება მხარის ტერიტორიაზე აფხაზთა წინაპრების ავტოქთონობა, ვინაიდან ახ. წ. I საუკუნემდე არც აფშილები და არც აბასგები

არ ცხოვრობდნენ ახლანდელი აფხაზეთის მიწაზე“ (გვანცელაძე, „ქ. მ.“, XVII, 2013: 72).

ქ. ლომთათიძის აზრით, უბიხურში „აფხაზის“ შესატყვისია **აზელა**. მკვლევარს ეძნელება ამ ფუძის დაშორება ადიღელთა „ადღლა“, და მეორე მხრივ, **აბაზა/აბაზგ**-სა, რაც აფხაზურ ტომს მიემართება, და ადიღელ ტომთა **აბაძეს/აბძახ/აბზახ/აბასს** და **აფხაზ** სახელწოდებათა ერთმანეთისგან დაშორება (ლომთათიძე, ეძ, VI, 1997: 124).

მკვლევრის დაკვირვებით, **აფშილ/აფსილ, აფსარ** და **აფსუა** ერთი და იმავე ხალხის აღმნიშვნელი, საერთო ძირის შემცველი სახელებია, თუმცა გასარკვევია სხვაობები მათ შორის როგორც ძირეული, ისე აფიქსისეული ვარიანტების მიხედვით. **აფს-უა** (ბზიფ. აფს'უა) აფხაზურია და „აფხაზ ადამიანს“ ნიშნავს. **აფშილ** ფუძის **შ** შიშინა სახეობა ამ ეთნონიმის სხვა ენაზე გარდაქმნილ აკუსტიკურ ვარიანტს წარმოადგენს. „მაშასადამე, – დაასკვნის ქ. ლომთათიძე, – აფშილ სახელწოდებაში ამოსავალი სისინ-შიშინა ს'-ს ადგილას **შ**-ს გამოყენება იმ ენის წარმომადგენლის საქმეა, ვინც ეს ფუძე აწარმოვა. ბუნებრივია, სხვა ენობრივ გარემოში სწორედ ქართული გარემო ვივარაუდოთ“ (იქვე: 125-126). მკვლევრის დაკვირვებით, ქართულად გაფორმებული სახელწოდება **აფშილები/აფშილი** იმ აფხაზეთს მიემართება, რომელთა ენაშიც იყო სისინ-შიშინა ს', ე. ი. **დასავლეთის (ბზიფური) შტოს აფხაზებს**. რაც შეეხება **აფსილ** სახეობას, უნდა ვიფიქროთ, რომ ესაა ქართული **აფშილ**-ის ბერძნულად გადაღებული ვარიანტი (ბერძნული ს ფონემის უქონლობის გამო). **აფსარ**- ეთნონიმის ამოსავალში უნდა ვიგულისხმოთ **აღმოსავლური**, ე. წ. **აბჟურის, აფხაზური** ტომები, რომელთაც სათანადო სისინ-შიშინა ბგერა არ გააჩნიათ. სწორედ აბჟურის კილოს სისინ-შიშინა ს' სპირანტი იძლევა **ს**-ს **აფსარ**- ფუძეში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ, თუკი **აფშილ** დასავლურ-აფხაზურზე (ბზიფური შტო) დაფუძნებული და ქართულად გაფორმებული სახელწოდებაა, **აფსარ**-თან მიმართებაში საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე: აღმოსავლურ-აფხაზურ ტომთა ენობრივი სპეციფიკის, ანუ აბჟურის საფუძველზე წარმოქმნილი **აფს-არ-ი** ზანური (მეგრული) სადაურობის აღმნიშვნელი **-არ** სუფიქსით არის გაფორმებული (მდრ. ჭყონდიდ-არ-ი) (იქვე: 126-127).

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ძირძველი ისტორიული მხარის – **აფხაზეთის ისტორიული წარსულის ობიექტური შეფასება-შესწავლა დღევანდელი გადასახედიდან მით უფრო აუცილებლად გვესახება, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს მხარე ტრადიციული ენობრივ-კულტურული სივრცისაგან მოწყვეტის, მისგან დაშორების საშიშროების წინაშე დგას. ისტორიული**

სამართლიანობის უგულვებლყოფით, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით და აფხაზეთის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად აღიარების გზით, საფრთხე ექმნება საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას და მოსალოდნელია ღრმა უფსკრულის გაჩენა ქართულ-აფხაზურ საუკუნეობრივ თანაცხოვრებაში.

XIX საუკუნეში რუსეთის ცარიზმის მიერ დაწყებული გაუცხოების პროცესი დღესაც გრძელდება და თუკი ვერ შევძლებთ შევანელოთ ეს საშიში პროცესი, ჩვენ აღმოვჩნდებით იმ შემზარავი რეალობის წინაშე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მომავალი თაობები უფრო მეტად დაშორდებიან ქართველურ ტრადიციულ, ისტორიულ ცნობიერებას!.. ტერიტორიული იზოლაცია და მშობლიურ ენაზე განათლების დეფიციტი, მოგეხსენებათ, წინაპირობაა იმისა, რომ ენა კარგავს ასპარეზს და ამ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდი საბოლოოდ შორდება და წყდება მშობლიურ ენობრივ-კულტურულ სივრცეს. ეროვნული თვითგამორკვევისათვის აუცილებელია და არსებითი მნიშვნელობა სწორედ წინაპართაგან შექმნილ ეროვნულ-კულტურულ სივრცეში ცხოვრებას და მშობლიურ (რელიგიური, მეცნიერული, ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე) ენაზე აღზრდა-განათლებას ენიჭება. ამასთანავე, განსაკუთრებით მომრავლდა ქართველი ერის ისტორიაში გათვითცნობიერებული ზოგი უცხოელი მკვლევრის არალოგიკური მსჯელობები და მცდარი დებულებების შემცველი „გამოკვლევები“, რომლებშიც ავტორები ცდილობენ, რადიკალურად განსხვავებულად განიხილონ და მრუდე სარკეში წარმოაჩინონ ქართველთა ენისა და კულტურის, აგრეთვე ეთნოისტორიის საკითხები. ასეთ სიტუაციაში ფრიად საშურია და აუცილებლობად გვესახება, აფხაზ, ქართველ და არაქართველ საზოგადოებას მიეწოდოს ისეთი პროდუქცია, რაშიც მეცნიერული სიღრმითა და სიმართლით იქნება გაანალიზებული წარსულის თუ აწმყოს სხვადასხვა ასპექტი.

თავი I

აფხაზეთის ტოპონიმიის გეცნიერული
შენახვის ისტორია და მდგომარეობა

§1. წყაროები და ლიტერატურა

არქეოლოგიურ, კარტოგრაფიულ, წერილობით წყაროებსა და ტოპონიმებზე დამყარებული სამეცნიერო დისციპლინის – საისტორიო გეოგრაფიის ფუძემდებლის პატივი ქართულ ისტორიოგრაფიაში XVIII საუკუნის გამოჩენილ მეცნიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს – **ვახუშტი ბაგრატიონს (1696-1758 წწ.)** ერგო. მისი ნააზრევი მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენს ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში. ევროპული ცივილიზაციისა და მეცნიერების დონეზე ამალღებულმა, ენციკლოპედიურად განათლებულმა და მრავალმხრივმა მოღვაწემ – მთარგმნელმა, ლექსიკოგრაფმა, ისტორიკოსმა, ეთნოლოგმა და გეოგრაფ-კარტოგრაფმა შექმნა პირად დაკვირვებებსა და საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაფუძნებული საისტორიო-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ხასიათის მონუმენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ამასთანავე, ვახუშტის „აღწერა“ საქართველოსა და მისი მეზობელი რეგიონების მოსახლეობის ყოფითი კულტურისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია მისი კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. ორ ატლასად შეკრული, ტოპოგრაფიული დეტალურობითა და სისრულით შედგენილი რუკები ადასტურებს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროის უთვალსაჩინოესი კარტოგრაფი იყო. კარტოგრაფიულმა ნამუშევრებმა მის ავტორს სიცოცხლეშივე აღიარება მოუპოვა. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ რუკები დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთსა და ევროპაში, ითარგმნებოდა რუსულ და ფრანგულ ენებზე და გამოიყენებოდა კიდევც სხვადასხვა ატლასის შედგენისას. ასე, მაგალითად, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული დეპარტამენტის მიერ 1745 წელს გამოცემულ „რუსეთის ატლასში“ ჩართულ XI რუკაზე, სახელწოდებით – „შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ადგილები“, განსაკუთრებით საქართველოს ამსახველ ნაწილში, ვახუშტისეული მასალებია წარმოდგენილი (ხანთაძე, 1985: 117). სპეციალისტები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ შინაარსითა და გაფორმებით თავისი ეპოქის მეცნიერების განვითარების დონის შესატყვისად შედგენილმა ვახუშტის რუკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიის კარტოგრაფიული აღწერილობის ორგანიზებისა და ქვეყნის გაღრმავებული გეოგრაფიული შესწავლის საქმეში (ხარაძე, 2013: 14).

საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესახებ მსჯელობა, ბუნებრივია, ვახუშტი ბაგრატიონით უნდა დავიწყოთ. მისი ნაშრომის პირველი გამოცემა

განხორციელდა 1842 წელს ქართულ და ფრანგულ ენებზე აკად. მარი ბროსეს მიერ (ბროსე, 1842). ამის შემდეგ ვახუშტის „აღწერა“ რამდენჯერმე გამოიცა. მათ შორის გამორჩეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში შუა საუკუნეებად მიჩნეული პერიოდის (V-XVIII სს.) ყველაზე ცნობილი საისტორიო წყაროების „ქართლის ცხოვრების“ სერიით გამოცემა. აღნიშნული სერიის IV ტომი ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ ეთმობა. აკად. სიმონ ყაუხჩიშვილმა 1973 წელს განახორციელა მისი გამოცემა, რომელსაც ერთვის რედაქტორის ვრცელი შესავალი. ჩვენ სწორედ ამ გამოცემას ვეყრდნობით. ჩვენი კვლევისთვის საინტერესო ცნობები გადმოცემულია ნაშრომის იმ თავში, რომელსაც შემდეგი სახელწოდება აქვს: „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“.

ტოპონიმური მასალების ისტორია-ეტიმოლოგიის გასააზრებლად მოვიხმობთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ წინამორბედ და მომდევნო თაობის ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა და მოგზაურთა იმ ცნობებს, რომლებიც საკვლევ თემატიკასთანაა დაკავშირებული.

ჩვენთვის საინტერესო თემატიკაზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრებას“, რომელიც 1962 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პროფ. შ. ბურჯანაძემ. სამინაწილისაგან შემდგარი აღნიშნული თხზულება ძვირფას წყაროს წარმოადგენს ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. პირველ და მეორე ნაწილში წარმოდგენილია ეპოქა უძველესი დროიდან 1749 წლამდე. ნ. დადიანის თხრობა არსებითად ვახუშტის მატთანაა გადმოცემული პოლიტიკური ისტორიის ამბებით შემოიფარგლება და ვერ სცილდება ვახუშტისეული „აღწერის“ ტრადიციულ სქემას. გარკვეული ღირებულების მქონეა ნ. დადიანის მიერ მოწოდებული დამატებითი ცნობები აღნიშნულ პერიოდზე. ვახუშტის თხზულებისაგან დამოუკიდებლად შედგენილი მესამე ნაწილი წარმოადგენს ნიკო დადიანის მიერ შეთხზულ თითქმის ერთადერთ ნარატიულ წყაროს ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავლის შესახებ, 1749 წლიდან 1823 წლამდე (დადიანი, 1962: 5-58).

ვახუშტის ნაშრომის აშკარად დაუფარავი გავლენის მიუხედავად, ნ. დადიანის თხზულებას ღირსებას მატებს ის გარემოება, რომ „ქართველთა ცხოვრება“ დაწერილია ოდიშის სამთავრო სახლის „მთავარი ხელმძღვანელისა“ და განათლებული მწიგნობრის მიერ, ენგურ-ლალიძის შუამდინარეთის გამო შარვაშიძეებისა და დადიანების სამთავრო სახლებს შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის პერიოდში. კ. კვაშილავას მართებული შეფასებით, ნ. დადიანის თხზულება ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით გაცილებით უფრო ზუსტი და

კონკრეტული ცნობების შემცველია, ვიდრე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილი ნაშრომი (ბარამიძე, 1979: 126-127; კვაშილავა, 2011: 17).

თანამედროვე აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიისა და ტოპონიმის შესახებ არსებულ ცნობებს მნიშვნელოვნად ავსებს უცხოელი და რუსი ავტორების – არქანჯელო ლამბერტის, ქრისტეფორე დე კასტელის, ჟან შარდენის, მაკარი ანტიოქიელის, ევლია ჩელების, ქათიბ ჩელების, ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, იაკობ რაინეგის, მორიც ვაგნერის, ედუარდ აიხვალდის, აუგუსტ შაქსტჰაუზენის, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, ფ. ტორნაუს, ს. ბელოკუროვის, კ. ბოროზდინის, ჟაკ ფრანსუა გამბას სამოგზაურო ჩანაწერები და მოგონებები.

წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავებში ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას ვიმონუმბოთ და ვაანალიზებთ არსებულ წყაროთმცოდნეობით ბაზას და ასე ვცდილობთ ზოგიერთი ბუნდოვანი თუ სადავო საკითხისა და ცალკეული ფაქტის დაზუსტებას.

ოდიშ-აფხაზეთი უძველესი დროიდან იქცევდა უცხოელ მოგზაურთა და სწავლულთა ყურადღებას. ამ ქვეყნებით დაინტერესებას განაპირობებდა მასზე გამავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კომუნიკაციები. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ორ მაჰმადიანურ სახელმწიფოს შუა მოქცეული ქრისტიანული ქვეყნის მესვეურები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებას ევროპის სახელმწიფოებთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოში კათოლიკობის გავრცელებისა და კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობის ისტორია. ქართველი მეფე-ბატონიშვილები, მთავრები და მონინავე ფეოდალები მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდნენ კათოლიკე მისიონერებთან. გვიან შუა საუკუნეებში ისინი ცდილობდნენ ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ ევროპის სახელმწიფოთა მიერ იმთავითვე გამოკვეთილი აქტიური და უაღრესად პოზიტიური პოზიცია, ე. წ. დასავლური „გარეგანი იმპულსები“, გამოეყენებინათ ირან-ოსმალეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ.

საქართველოში იტალიელი და სხვა ევროპელი მისიონერების მოღვაწეობა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებით როდი ამოიწურებოდა. ისინი ხელს უწყობდნენ სწავლა-განათლების, წერა-კითხვის, მხატვრობის, ხელსაქმის, მეზოცნეობის განვითარებას და ყმანვილთა სასწავლებლად გაგზავნას, სწეულთა მკურნალობას, მოვლა-პატრონობას და ა. შ. (პაჭკორია, 1975: 53-54).

ოდიშში მოღვაწე თეათინელმა ბერებმა დაგვიტოვეს მათ მიერ განვლილი მარშრუტების აღწერილობა და ნახატებიც, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორ-

მაციას შეიცავს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, ტრადიციების, ენებისა და ისტორიული წარსულის შესახებ.

უცხოელ მკვლევარ-მოგზაურთა და დამკვირვებელთა შორის, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი და კავკასიელი ხალხების მრავალმხრივი შესწავლისადმი, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს **არქანჯელო ლამბერტის**. 1654 წელს ნეაპოლში გამოქვეყნებული და XVIII ს-ის დასაწყისში ფრანგულად თარგმნილი ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“, თანდართული რუკით, მნიშვნელოვანი პირველწყაროა ტოპონიმთა შესასწავლად. აღნიშნული რუკა, რომელიც მის წიგნს ახლავს („კოლხიდის, ანუ დღევანდელი სამეგრელოს აღწერილობა მდინარე კოდორიდან მოკიდებული ფაზისამდე“), შეუდგენია ქრისტეფორე კასტელს. ამას მოწმობს თვით კასტელის ალბომში ჩართულ ოდიშის რუკასთან მისი შედარება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლამბერტის დიდი ღვაწლი მიუძღვის კასტელის რუკის შედგენაში. ამიტომ აღნიშნულ რუკას მეცნიერები უმეტესად არქანჯელო ლამბერტის ნაშრომთან ერთად განიხილავენ (ბერაძე, „მაცნე“, 3, 1971: 148). მიუხედავად მრავალი ნაკლისა, იტალიელი მისიონერის ნაშრომი „სამეგრელოს აღწერა“, რომელშიც ვრცლადაა წარმოდგენილი მხარის ისტორიული, ეთნოგრაფიული და ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, უაღრესად ძვირფასი წყაროა ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიისა და ტოპონიმის შესასწავლად. ასევე, რუკა, მასზე გამოსახული ზოგიერთი პუნქტისა და მდინარის შეცდომით ლოკალიზების მიუხედავად, მნიშვნელოვანი წყაროა XVII ს-ის ოდიშის წარსულის შესასწავლად.

აღწერილობითი ხასიათის ძეგლებიდან ოდიშ-აფხაზეთის სამთავროს შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის შვილის, წარმოშობით სირიელი არაბის – არქიდიაკონ **პავლე ალუპოელის** (დაახლ. 1627-1669 წწ.) მიერ შედგენილი, XVII ს-ის 60-იან წლებში საქართველოში მოგზაურობის აღწერილობა, რომელიც მას რუსეთის კავკასიური პოლიტიკის მსვლეურთათვის წარუდგენია. აღწერილობა 1667 წლის 27 თებერვლით თარიღდება. მამა-შვილი საქართველოს 1664 წლის ივლისში სწვევია, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე უკვე დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდნენ. ისინი ჩვენს ქვეყანაში წელიწადი და ცხრა თვე იმყოფებოდნენ (1664 წლის ივლისიდან 1666 წლის აპრილის ბოლომდე) და ამ პერიოდში შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ მდგომარეობასა და ქართული საზოგადოების თავისებურებებს (ასათიანი, 1973: 24). საქართველოში ისინი მეორედ 1669 წლის დასაწყისიდან ამავე წლის ზაფხულის მინურულამდე იმყოფებოდნენ. 1669 წლის თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში საქართველოშივე გარდაცვლილა აღწერილობის ავტორი, არქიდიაკონი პავლე

ალეპოელი (იქვე: 25). აღწერილობაში იგი მოგვითხრობს ოდიშ-აფხაზეთის ადგილმდებარეობაზე, მდინარეებზე, ეპისკოპოსებსა და საეპისკოპოსოებზე. პავლე ალეპოელი დასწრებია გიორგობის დღესასწაულს ილორის წმ. გიორგის მონასტერში და, როგორც თვითონ წერს, საკუთარი თვალით უხილავს წმ. გიორგის მიერ ეკლესიის წინ ხარის უხილავად მოყვანა (იქვე: 70-72).

1771-1772 წლებში საქართველოში იმოგზაურა ცნობილმა გერმანელმა ნატურალისტმა, მედიცინის დოქტორმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა **იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა** (1745-1781 წწ.), რომელმაც დაგვიტოვა მნიშვნელოვანი ცნობები სამოგზაურო ჩანაწერების სახით. იმერეთში იგი 1772 წლის ივლის-სექტემბერში იმყოფებოდა. ამ პერიოდში შეძლო სამეგრელოს საზღვრებისა და იმერეთის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოვლა. გიულდენშტედტის ორტომიანი კაპიტალური ნაშრომი მისი გარდაცვალების შემდეგ, 1787-1791 წლებში გამოიცა, ხოლო I ტომის ქართული თარგმანი გამოიცა 1962 წელს გ. გელაშვილის მიერ (გიულდენშტედტი, I, 1962).

გერმანელმა მეცნიერ-მოგზაურმა შეძლო თანმიმდევრულად და კეთილსინდისიერად აღწერა ჩვენი ქვეყნის ისტორია და ეთნოგრაფია. მის ნაშრომში გვხვდება აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები XVIII ს-ის II ნახევრის საქართველოს გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ეთნოგრაფიის, გეოლოგიისა და სხვა მთელი რიგი საკითხების შესახებ. აქვე შევნიშნავთ, რომ გიულდენშტედტმა ქართული არ იცოდა. ამიტომ ჩანაწერებს თარჯიმნების დახმარებით აკეთებდა. მასალის მთელი სიზუსტით ქალაქებზე გადატანა, ბუნებრივია, თარჯიმნების ცოდნა-განათლებაზეც ბევრად იყო დამოკიდებული და თუკი გერმანელმა მოგზაურმა თავის შრომაში რაიმე შეცდომა დაუშვა, გამორიცხული არ არის, რომ ამაში ბრალი მის თარჯიმნებსაც მიუძღოდეთ (გელაშვილი, შესავალი გიულდენშტედტის წიგნისა: გიულდენშტედტი, I, 1962: 024-025). „საქართველოს შესწავლაში გიულდენშტედტის ნაშრომები ქმნიან გარკვეულ საფეხურს, რომელიც ქრონოლოგიურად გაჰყვება ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებისა და რუკების შედგენას დაახლოებით 30 წლის ინტერვალით. ვახუშტის მიერ მოხაზული საქართველოს გეოგრაფიული სურათის შემდგომ შევსება-გაღრმავებას პირველად სწორედ ი. ა. გიულდენშტედტის ექსპედიციის შედეგებში ვხედავთ. თავისი უნივერსალური ცოდნით, რაც ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო იმ ხანაში, და კვლევითი ერთუზიანობით მან შეძლო ახლებურად გაეშუქებინა კავკასიის ბუნებრივი ლანდშაფტისა და ადამიანური მოსახლეობის ყოფის მრავალი მხარე“. – წერს ლ. მარუაშვილი (შესავალი ვ. გამრეკელის წიგნისა – გამრეკელი, 1964: 3). გიულდენშტედტის ექსპედიციისაგან დღემდე რამდენიმე რუკაა შემონახული. საქართველო-კავკასიის წარსულის თვალსაზრისით გან-

საკუთრებით მნიშვნელოვანია მეხუთე, ცენტრალური კავკასიისა და საქართველოს ერთობლივი რუკა. მასზე წარმოდგენილია ყველაზე ვრცელი ტერიტორია, დატანილია ყველაზე მეტი ტოპონიმი და ა. შ. (იქვე: 12).

იმერეთის მეფე სოლომონსა და ოდიშის მთავარ კაცია დადიანს შორის არსებული მტრული ურთიერთობის გამო გიულდენშტედტს არ მიეცა სამეგრელოში მოგზაურობის შესაძლებლობა. ამიტომ წერდა: „...მოვიარე მხარე ოკრიბა და სამეგრელოს და გურიის საზღვრები, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, მაინც არ შემეძლო თვითონ ამ პროვინციების მოვლა, მათ მმართველებს, დადიანსა და გურიელს შორის უთანხმოების გამო და თურქების მეზობლობის გამოისობით: ამიტომ მე უნდა შემოვფარგლულიყავი იმ ცოდნითა და ცნობებით, რაც საზღვრებზე შევძელი შემეკრიბა“ (გიულდენშტედტი, I, 1962: 171-173). ერთგან კი აღნიშნავს: „მეფესთან და მიტროპოლიტთან საუბარში გავიგე ზოგიერთი ცნობა სამეგრელოსა და აფხაზეთის შესახებ, 17 აგვისტოს გაგებული ცნობების გასაზრდელად და შესავსებად“ (იქვე: 171). მისსავე რუკაზე სრულებით არ არის ნაჩვენები შავიზღვისპირა რეგიონი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი, რამდენადაც ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო მოგზაურს არ შეეძლო ამ რეგიონების შემოვლა-დათვალიერება (გამრეკელი, 1964: 58). ტოპონიმთა ავთენტურ კავკასიურ ფორმას გერმანული ტრანსლიტერაცია უმეტესწილად ზუსტად ვერ გადმოსცემს. ვ. გამრეკელის თქმით, „მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ართულებს ის ფაქტი, რომ გიულდენშტედტის რუკაზე (ასევე ნაშრომში, – ი. კ.) ხმარებული ზოგიერთი ასო თუ ასოთა კომპლექსი გადმოსცემს ყოველთვის არა ერთსა და იმავე ბგერას, არამედ სხვადასხვას. მასთან ამ ერთი და იმავე ასოებით სხვადასხვაგვარ ბგერათა გადმოცემაში რაიმე კანონზომიერება არ ჩანს... მაგრამ ტოპონიმთა გერმანული ტრანსლიტერაციის და ზოგიერთ ტოპონიმთა ფორმის მცდარობის მიუხედავად, თითქმის ყველა შემთხვევაში (რამდენიმე ერთეული შემთხვევის გარდა) ხერხდება სრული უეჭველობით ამ ტოპონიმთა სწორი ფორმების აღდგენა და ქართულად მათი სწორი ტრანსლიტირება“ (გამრეკელი, იქვე: 57).

კავკასიათმცოდნეობისა და საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის უალრესად საყურადღებო ნყაროა XVIII ს-ის გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – **იაკობ რაინეგის** ნაშრომი, რომელიც 1796-1797 წლებში გამოიცა გერმანულ ენაზე, სახელწოდებით – „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერილობა“. აღნიშნული თხზულება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის თვალსაზრისით. გერმანელი მოგზაური აღწერს სამფლობელოებსა და მათ საზღვრებს, ქალაქებს, სოფლებს, ეკლესია-მონასტრებს, მდინარეებს, ხიდებს, გზებს, მთებს, ტყეებს, ნიადაგებს

და ა. შ. მაგრამ იგი არ კმაყოფილდება დასახლებული პუნქტების სახელწოდება-თა მხოლოდ მშრალი ჩამოთვლით, არამედ გვთავაზობს მათ მოკლე ისტორიას, დახასიათებას, ან სახელთა წარმომავლობას. რაინეგსის ცნობების ქართულ ენაზე მთარგმნელ-გამომცემელი გია გელაშვილი შენიშნავს: „ყველაზე მეტი შეცდომა-დამახინჯება მაინც გეოგრაფიულ სახელებსა და პუნქტებზე მოდის: არეულია სამფლობელოთა კუთვნილება ამა თუ იმ მხარისადმი, სოფელთა თუ ქალაქთა კუთვნილება ამა თუ იმ სამფლობელოსადმი. ასევე დამახინჯებულია ბევრი სახელწოდება. ეს ადვილი ასახსნელია. ქართული თანხმონებების გერმანულად გადმოცემა არაა ადვილი ჯერ თვით რაინეგსისათვის (თუკი ის სხვისი პირით ისმენდა) და მით უმეტეს რაინეგსის შავი ჩანაწერების გამომცემელთათვის. ამიტომ, რომ გერმანულ ტექსტში სახელები ხანდახან გვხვდება ორგვარი წაკითხვით...“ (გელაშვილი, შესავალი რაინეგსის წიგნისა – რაინეგსი, 2002: 31). აფხაზეთს დიდი ადგილი ეთმობა იაკობ რაინეგსის ცნობებში.

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური და სხვა სახის აღწერა დაგვიტოვა ცნობილმა გერმანელმა ბუნებისმეტყველმა და მოგზაურმა, მედიცინის დოქტორმა, ყაზანის უნივერსიტეტის მეანობისა და ზოოლოგიის პროფესორმა, პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის პროფესორმა **ედუარდ აიხვალდმა (1795-1876 წწ.)**. დიდ ინტერესს იწვევს დასახლებული პუნქტებისა და ეკლესიების, სავაჭრო გზების აიხვალდისეული საფუძვლიანი აღწერა. ყაზანის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი ექსპედიცია 1826 წლის 5 აპრილს ეწვია ტფილისს. აიხვალდმა აპრილ-მაისში შემოიარა ოკრიბა, იმერეთი, სამეგრელო და რუსეთის კუთვნილი შავიზღვისპირეთი აფხაზეთში. ამ მოგზაურობის შედეგად დაიწერა ედუარდ აიხვალდის კაპიტალური ნაშრომი ორ ტომად, სათაურით: „ედუარდ აიხვალდის მოგზაურობა კასპიის ზღვასა და კავკასიაში 1825-26 წლებში“. საქართველოს შესახებ ცნობებს ძირითადად მისი ნაშრომის მეორე ნაწილში ვხვდებით. 1837 წელს შტუტგარდში გამოცემული ამ წიგნის მეორე ნაწილის სრული სათაურია „მოგზაურობა კავკასიაში“. მეორე ნაწილი შეიცავს კავკასიაში მოგზაურობის ისტორიულ მიმოხილვას (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ქვემოთ, თავი III).

XIX საუკუნის 40-იანი წლების აფხაზეთის ტოპონიმის ისტორიის შესასწავლად საინტერესო წყაროს წარმოადგენს ცნობილი გერმანელი მოგზაურის, გეოგრაფისა და ბუნებისმეტყველის, მიუნხენის აკადემიის წევრის – **მორიცი ვაგნერის (1813-1887 წწ.)** თხზულება „მოგზაურობა კოლხეთსა და კავკასიის იქითა მხარეს მდებარე გერმანულ კოლონიებში“ („Reise nach Kolchis und nach den deutschen Colonien jenseits des Kaukasus“), რომელიც 1850 წელს გამოქვეყნდა ლაიფციგში, ხოლო გერმანული ტექსტი ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა

გია გელაშვილმა (ვაგნერი, 2002). წიგნის წინასიტყვაობაში ვაგნერი აღნიშნავს, რომ მის ნაშრომს არა აქვს საქართველოს შესახებ ყოვლისმომცველი, მრავალმხრივი ან ამომწურავი აღწერილობის პრეტენზია. ავტორის მიზანია, მის მიერ წარმოდგენილი ცნობებით შეავსოს ზოგი სიცარიელე და „მხოლოდ ის ვითარება წარმოაჩინოს, რომლებსაც სხვა მოგზაურებმა ნაკლები ყურადღება მიაქციეს“ (ვაგნერი, 2002: 10).

XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ისტორია ასახულია იენის უნივერსიტეტის პროფესორის – **კარლ ჰაინრიჰ ემილ კოხისა და ედმუნდ სპენსერის** სამოგზაურო ჩანაწერებში. ტექსტი 1855 წელს დაიბეჭდა კ. კოხის მიერ ქალაქ ლაიფციგში, გერმანულ ენაზე გამოცემულ კრებულში, სახელწოდებით – „კავკასიის ქვეყნები და სომხეთი“. კრებულში გაერთიანებული ხუთი ავტორის თხზულებიდან ერთი – „მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სანაპიროს გასწვრივ“, ეკუთვნის ო. სპენსერს. მეორე და მეოთხე თავების ავტორია კრებულის შემდგენელი კ. კოხი. თავებს შემდეგი სათაურები აქვს: „მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპიზონამდე (კოლხეთი და ლაზეზის ქვეყანა)“ და „ბრძოლის ველზე გასვლა“ (კოხი 1981: 10-11). აღნიშნული ჩანაწერების ქართული თარგმანი 1981 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ლონდა მამაცაშვილის მიერ შესავლითა და კომენტარებით (კოხი, 1981).

აფხაზეთისა და ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის, ტოპონიმის, პოლიტიკური ისტორიისა და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების კვლევისათვის მნიშვნელოვანი მასალა მოგვეპოვება რუსულენოვან წყაროებშიც. ამ თვალსაზრისით დიდი ღირებულების მქონეა გამოჩენილი რუსი კავკასიოლოგის – **სერგეი ალექსის ძე ბელოკუროვის (1862-1918 წწ.)** მეცნიერული მემკვიდრეობა. იგი არჩეული იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში. ს. ბელოკუროვმა, რომლის ძირითად სამოღვაწეო სფეროს დოკუმენტების დეტალური შესწავლა და გამოქვეყნება წარმოადგენდა, არქივში მუშაობის პერიოდში ღრმად გააანალიზა და გამოსცა მრავალი საარქივო დოკუმენტი. მათ შორის მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულების მქონე კავკასიოლოგიური ნაშრომია „Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарева в Дадыанскую землю (1639-1640 гг.). Материали для русской истории. Москва, 1888“. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს რუსეთის მეფის ელჩების – ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის ელჩობის მასალებს.

აიხვალდი აღწერს დასახლებულ პუნქტებს „ძველი თუ ახალი სახლის ტიპებით, ქუჩებით, მოედნებით, ციხეებითა და ეკლესიებით; მოსახლეობის ეროვ-

ნული შემადგენლობით.... ყველა ეს აღწერა ძალზე საინტერესოა მათი ისტორიისა თუ იერსახის დასადგენად“ (გელაშვილი, შესავალი აიხვალდის წიგნისა – აიხვალდი 2005: 16).

ოდიმ-აფხაზეთის საეკლესიო, ეთნიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლის თვალსაზრისით პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება და დაინტერესებულ პირს მრავალ ღირებულ ინფორმაციას აწვდის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მუხლჩაუხრელი მკვლევრის – **სარგის კაკაბაძის (1886-1967 წწ.)** მიერ 1921 წელს ორ წიგნად გამოცემული „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, აგრეთვე 1925 წელს „საისტორიო მოამბეში“ დაბეჭდილი „აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი“ (კაკაბაძე, 2, 1925; ქსძ II, 1965). ეს უკანასკნელი „ბიჭვინთის იადგარის“ სახელითაც არის ცნობილი. ესაა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო საყდრისათვის სხვადასხვა პირის მიერ განეული ღვანლისა და შეწირულების აღმწუსხველი ძეგლი, რაც ორი ნაწილისაგან შედგება. ფიქრობენ, რომ XVI-XVII სს. მიჯნაზე შედგენილი პირველი ნაწილი, ანუ საკუთრივ „იადგარი“, წარმოადგენს იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის მიერ ბიჭვინთისათვის 1537-1565 წლებში დაწერილ იადგარს. მან ჩვენამდე რედაქტირებული სახით მოაღწია. მეორე ნაწილი აერთიანებს მეფეების, კათალიკოსებისა და მთავრების მიერ XVII-XVIII სს-ში დაწერილ და სრულად ან ნაწილობრივ შემონახულ შეწირულებათა საბუთებს. აღნიშნული ძეგლი ოდიმ-აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური, სამართლისა და მატერიალური კულტურის ისტორიის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია (ლომინაძე, „საქართველო“, I, 1997: 252).

ოდიმ-აფხაზეთის ისტორიის მკვლევართათვის ფრიად ფასეულია ს. კაკაბაძის მიერ 1913 წელს გამოცემული „საცაიშლო გამოსავლის დავთარი“. იგი მაღალაქია გურიელის ბრძანებითაა დაწერილი. ს. კაკაბაძე მას 1619-1621 წლებით ათარიღებს. ძეგლი საყურადღებო ცნობებს შეიცავს ოდიმ-აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმისა და საეკლესიო გეოგრაფიის საკითხებზე (კაკაბაძე, 1913: 5-46). ს. კაკაბაძე ზოგიერთი ახალი საბუთის დამოწმებით შეეცადა აგრეთვე ეგრისწყლისა და ენგურის იგივეობის დამტკიცებას. ამ საკითხზე მსჯელობა მოცემულია მის ნაშრომში – „ძველი ქართული მატყინებები“ (კაკაბაძე, 1924: 116).

ფეოდალური საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის (1720-1740, 1741-1752 წწ.) მიერ თავისი სამეფოს სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის საილუსტრაციოდ რუსეთის საიმპერატორო კარზე 1737 წელს გაგზავნილი რუკა. მასზე ნაჩვენებია რელიეფი, ტყე, მდინარეები, ციხესიმაგრეები და მათში განლაგებული ჯარის შეიარაღება (მათურელი, IX, 1949: 209-221). ე. მეტრეველის მტკიცებით, რუკის

ავტორია ცნობილი ქართველი მწერალი, დიპლომატი, კარტოგრაფი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი (გარდაიცვალა 1764 წელს), რომელიც იყო იმერეთის მეფის ელჩი რუსეთში 1737-1740 წლებში (მეტრეველი, 1955; გაბაშვილი, 1956).

შ. ბურჯანაძის თქმით, 1737 წელს შედგენილი ლიხთ-იმერეთის რუკა ფეოდალური საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან და საიმედო მასალას იძლევა. „ამ რუკის შინაარსი შორდება სამხედრო ჩარჩოს და ლეზულობს პოლიტიკურ, სოციალურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ეთნოგრაფიულ, რელიგიურ ხასიათს. რუკა თავისი შინაარსით მრავალმხრივია და ამიტომ, როგორც ისტორიის პირველწყარო, საყოველთაო რუკად უნდა მივიჩნიოთ“ (ბურჯანაძე, I, 1959: 182-185). რუკაზე ნაჩვენებია ციხესიმაგრეები, თითოეული ციხის სამხედრო ძალა და მისი მფლობელის ვინაობა, აგრეთვე ეკლესია-მონასტრები, საყდრები, სამეფო და ფეოდალთა სასახლეები, ძვირფასი ლითონის საბადოები, სამეფოს საზღვრები, სამიმოსვლო გზები, ნავსადგურები და ა. შ. (იქვე:182-191).

მნიშვნელოვან დოკუმენტურ წყაროს წარმოადგენს ე. თაყაიშვილის, ი. დოლიძის, შ. ბურჯანაძისა და ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული დოკუმენტური მასალები.

* * *

აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის საკითხების კვლევით არაერთი მეცნიერი დაინტერესებულა. უკანასკნელ ხანს საგრძობლად გაიზარდა ინტერესი ამ თემატიკისადმი. გამოქვეყნდა მრავალი მონოგრაფია თუ სტატია, მაგრამ, ასეთი მზარდი ინტერესის მიუხედავად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას შემდეგი: რა კუთხითაც არ უნდა განვიხილოთ ეს საკითხები, აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლინგვისტური, ექსტრალინგვისტური თუ ისტორიული ანალიზისადმი მიძღვნილი, დღემდე გამოცემული და ჩვენს ხელთ არსებული რამდენიმე მონოგრაფიისა და გამოკვლევის შემთხვევაშიც კი, საბოლოოდ მაინც მოგვინევს აღიარება იმ აპრობირებული შეხედულებისა, რომლის თანახმადაც ბევრი რამ გამოსამზეურებელია და კვლავ საგანგებო კვლევას საჭიროებს. შესასწავლია მრავალი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიასთან დაკავშირებული, ბურუსით მოცული მთელი რიგი საკითხებისა. აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფია და ტოპონიმია კვლავ უანგარო მჩხრეკელსა და გამომცემელს ელის...

სამეცნიერო თემის ისტორიოგრაფიული ბაზის მიმოხილვისას ჩვენ არ შევხებით აფხაზეთის ტოპონიმის შესახებ არსებულ ყველა გამოკვლევას, ვინაიდან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ყველა ნაშრომის თუნდაც ზოგადი მი-

მოხილვა, ბუნებრივია, საგრძნობლად დაგვაშორებდა საკვლევ თემატიკას. ამიტომ, რამდენადაც ნაშრომში მიზნად ვისახავთ დასავლეთ საქართველოს ერთი კონკრეტული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის ტოპონიმისთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობას, შესაბამისად შევხვებით იმ გამოკვლევებს, რომლებშიც მეტწილად ასახულია სწორედ აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიისა და ტოპონიმის ცალკეული საკითხები.

მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, პავლე ინგოროყვას, ნიკო ბერძენიშვილის, ვალერიან გაბაშვილის, ლევან მარუაშვილის, ს. ცხაკაიას განსაკუთრებული ღვაწლი ამ თვალსაზრისით და მათ მიერ გამოთქმული მრავალი ფუნდამენტური ხასიათის დასკვნა თუ ჰიპოთეზა.

განსაკუთრებული ალლო, დიდი ერუდიცია და ფაქტების განზოგადების დიდი უნარი გამოარჩევს აკად. **ივანე ჯავახიშვილის (1876-1940 წწ.)** მეცნიერულ მოღვაწეობას. იგი ფართო მასშტაბით იკვლევდა საისტორიო გეოგრაფიისა და ტოპონიმის საკითხებს. ამ პრობლემის გაშუქებას ისახავს მიზნად 1919 წელს გამოქვეყნებული „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“. მანვე საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლას უძღვნა საგანგებო გამოკვლევა, რომელიც 3 წიგნად გამოიცა, ხოლო კაპიტალურ ნაშრომში – „ქართველი ერის ისტორია“, დიდმა მეცნიერმა სრულიად ახლებურად გამოიკვლია და ღრმამეცნიერული, კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ნათელი მოჰფინა საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, ქართველი ხალხის ვინაობისა და მიგრაციის, მატერიალური კულტურის, სარწმუნოების, სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმების, კულტურისა და სხვა საკითხების მრავალ ბურუსით მოცულ საკითხს. აკად. ნიკო ბერძენიშვილის მართებული შეფასებით, „განსხვავებით სხვა ამ დარგის მეცნიერთაგან ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური გამოკვლევა უძღვნა მთლიანი საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას და ეს შრომა თავის „ქართველი ერის ისტორიას“ წაუძღვარა. მანვე შეადგინა და 1923 წელს გამოსცა „საქართველოს ისტორიული რუკა“ (ბერძენიშვილი I, 1964: 350).

ეგრის-აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმის გასაშუქებლად მნიშვნელოვან მასალას გვანვდის და წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომში გათვალისწინებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, **პავლე ინგოროყვას (1893-1983 წწ.)** მონუმენტური, 1150-გვერდიანი ნაშრომი „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეთაე საუკუნისა“, რომელიც ჯერ გაგრძელებებით იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“ (1949-1952 წწ.), ხოლო 1954 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა წიგნის IV თავი: „დასავლეთ სა-

ქართველოს ფეოდალური სახელმწიფო („აფხაზეთის სამეფო“) და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის ძეგლში“. მასში პ. ინგოროყვა მსჯელობს აფხაზეთის ისტორიული ეთნოგრაფიის, კერძოდ, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობისა და დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის სამეფოს“) დაარსების ისტორიის შესახებ. ამავე თავში წარმოდგენილია პ. ინგოროყვას „სპეციალური ექსკურსი“, რომლითაც მკვლევარი მიზნად ისახავს საისტორიო წყაროებში მოხსენიებული აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებების სტრუქტურულ-ეტიმოლოგიურ ანალიზს და მათ კავშირს ქართულ ენობრივ სამყაროსთან (ინგოროყვა, 1954: 146).

აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების დასახასიათებლად მეტად საინტერესო ცნობები და მოსაზრებებია წარმოდგენილი პროფ. ზურაბ პაპასქირის ქართულ და რუსულენოვან გამოკვლევებში. ჩვენი კვლევისთვის საინტერესო თემატიკა მის ნაშრომებში ისტორიულ ჭრილშია განხილული (პაპასქირი, 1998: 76).

ცნობილი აფხაზი მეცნიერის – **შალვა ინალ-იფას** მოსაზრებით, აფხაზეთისა და მთლიანად აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ერთადერთი მკვიდრი მოსახლენი აფხაზები იყვნენ. ძვ. წ. XIV-VII საუკუნეებში, ე. წ. „კოლხური კულტურის“ პერიოდში აფსუა-აფხაზები თურმე განსახლებულნი ყოფილან არა მხოლოდ დღევანდელი აფხაზეთის, არამედ მთლიანად კოლხეთის ტერიტორიაზე. ანტიკური ხანის ბერძენ და რომაელ ავტორთა მიერ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებულ ტომებს – კორაქსებს, ჰენიოხებს, სანიგებს, აფსილებს, აბაზგებსა და მისიმიანებს შ. ინალ-იფა უკლებლივ აფხაზურ ტომებად აცხადებდა. უფრო მეტიც, მართალია, ერთგვარი სიფრთხილით, მაგრამ მაინც დასაშვებად მიაჩნდა კოლხთა აფხაზობა საერთოდ (!). შ. ინალ-იფა დაუსაბუთებელი დასკვნებით ცდილობდა საკუთრივ აფხაზეთისა და აფხაზთა მნიშვნელოვანი როლის წარმოჩენას მეზობელი ქვეყნების (ბიზანტია, ძველი რუსეთი...) კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთანავე, მიაბიჭური და გულუბრყვილოა მისი ტოპონიმური და ანთროპონიმული ძიებანი (პაპასქირი, 1998: 173-175).

აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა შეკრება-გამოცემის წარმატებულ ცდას წარმოადგენს ცნობილი აფხაზი ენათმეცნიერის – **ვალერი კვარჭიას** ნიგნი „აფხაზეთის ტოპონიმია“ (Кварчия, 2002). ქალაქ სოხუმში, სოროსის ფონდის სოხუმის განყოფილებისა და აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, აფხაზურ ენაზე გამოცემული ეს ნიგნი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და შეიცავს 686 გვერდს. ნიგნში თავმოყრილია

ავტორის მიერ წლების განმავლობაში უშუალოდ ადგილზე შეკრებილი ემპირიული მასალა – 12 ათასამდე გეოგრაფიული სახელწოდება და ავტორისეული ანალიზი. ვ. კვარჭიას წიგნის ძირითადი ტენდენციებისა და ცალკეულ ტოპონიმთა ავტორისეული ინტერპრეტაციის კრიტიკული ანალიზი მოცემულია თ. გვანცელაძის ნაშრომში (გვანცელაძე, „ქ. ო.“, VI, 2013: 122).

აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ამავე ავტორის წიგნები – „აფხაზეთის ოიკონიმები წერილობით წყაროებში“ და „აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია“ (ორივე რუსულ ენაზე).

პროპაგანდისტული ისტორიოგრაფიის ობიექტური კრიტიკა მოცემულია ზ. პაპასქირის, ს. ბახია-ოქრუშვილის, ვ. კვაშილავას, ბ. ხორავას, ჯ. გამახარიას, ბ. გოგიას, თ. ბერაძის, თ. მიბჩუანის, ვ. ზუხბაიას, თ. გვანცელაძის, ი. კეკელიას, პ. ცხადაიას, კ. ოკუჯავას, ლ. ახალაძისა და სხვა ქართველ მკვლევართა ნაშრომებში. ამიტომ მათ მიმოხილვას აქ არ შევუდგებით. მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ წერილობით წყაროებთან ერთად, ეთნოლოგიური და ონომასტიკური მონაცემებით ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ორი ძირძველი ქართველური ტომის – სვანისა და ზანის (მეგრელი, კოლხი) მოსახლეობა დასტურდება, რა თქმა უნდა, აფხაზეთთან ერთად.

აფხაზეთის ტოპონიმების ცალკეულ საკითხებზე არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა აქვთ გამოქვეყნებული ცნობილ ენათმეცნიერებს – **პაატა ცხადაიასა და თეიმურაზ გვანცელაძეს** (ცხადაია, ჯოჯუა, 2003; ცხადაია, 2004; ცხადაია, „ქ. მ.“, II, 1998: 300-307; გვანცელაძე, სამეცნ. კონფ., II, 1989; მისივე, „ბურჯი ეროვნებისა“, №10, 1996; მისივე, ქუთაისური საუბრები, III, 1996; მისივე, 1997; მისივე, 1998; „ქ. ო.“, I, 1998; მისივე, „ქ. მ.“, III, 1999; მისივე, „არტანუჯი“, №10, 2000; მისივე, 61-ე სამეცნ. სესია, 2002, ...), აგრეთვე აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, **ვალერიან ზუხბაიას** (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ქვემოთ).

წიგნში – „**აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი**“ (თბ., 2016, 180 გვ.), ავტორები – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **პაატა ცხადაია** და ისტორიის დოქტორი, პროფესორი **ბეჟან ხორავა**, მიზნად ისახავენ უაღრესად პრობლემური საკითხის შესწავლა-გაანალიზებას – თუ როგორ მიმდინარეობდა გვიან შუა საუკუნეებში, შემდეგ რუსეთის (ცარიზმის) ბატონობისა და საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, ტოპონიმთა ცვლა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციის ისტორიულ-პოლიტიკური და ეთნოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით. აღნიშნული ნაშრომის I თავში მოცემულია საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის

სანაპიროზე, მდინარეებს – ენგურსა და ფსოუს შორის მდებარე, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – **აფხაზეთის** გეოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. ავტორები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის დღევანდელ საზღვრებში ჩამოყალიბება საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე პროცესი იყო და დასრულდა XX ს-ის I მესამედში. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (II-I ათასწლეული) თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კოლხური კულტურის გავრცელების არეალში, ხოლო ძვ. წ. XV ს-იდან კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა, აგრეთვე „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის ცნობებით, ტერიტორია ლიხის მთიდან შავ ზღვაში მდ. ყუბანის ძველ შესართავამდე, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის – ეგროსის სამკვიდროს წარმოადგენდა და ქართული მოდგმის ტომებით – კოლხებით, კოლებით, კორაქსებითა და ჰენიოხებით იყო დასახლებული. I-VIII საუკუნეებში აფხაზეთი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს შემადგენლობაშია (ცხადაია, ხორავა, 2016: 6-7). ავტორები იზიარებენ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ თვალსაზრისს, რომ „ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში აფხაზეთი ეთნოკულტურული თვალსაზრისით ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც საქართველოს სხვა ისტორიული პროვინციების მოსახლეობა (ქართლები, კახელები, მეგრელები, სვანები და სხვ.) და ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ“ (იქვე: 7).

პ. ცხადაია და ბ. ხორავა აღნიშნავენ, რომ აფხაზეთი მდიდარია საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების ძეგლებით. XI ს-ის დასაწყისიდან „აფხაზეთა“ სამეფო ერთიანი ქართული სახელმწიფოს – საქართველოს სამეფოში იყო გაერთიანებული, ხოლო XV ს-ის 70-90-იანი წლებიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს სამეფო დაიშალა, აფხაზეთს იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში ვხედავთ. XVI ს-ის შუა წლებში იმერეთის სამეფოს ცალკე სამთავროებად გამოეყო გურია, ოდიში (სამეგრელო) და აფხაზეთი. აფხაზეთსა და ოდიშს შორის საზღვარი მდ. ანაკოფიისწყალზე (ამჟამად მდ. ფსირცხა) გადიოდა (იქვე: 8-9).

XVIII ს-ის ისტორიკოსისა და გეოგრაფის – ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ოდიშის სამთავროს დასავლეთ საზღვარს წარმოადგენდა შავი ზღვა და „კუაღლად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული სამხრით ზღუამდე“ (ვახუშტი, IV, 1973: 776).

ვახუშტის ცნობიდან ირკვევა, რომ XV ს-ის II ნახევრისათვის, უფრო ზუსტად, XVI ს-ის 80-90-იანი წლებისათვის, ოდიშ-აფხაზეთის სასაზღვრო ხაზი გადიოდა იმ მთაზე, რომელიც ანაკოფიის (ახლანდ. ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთით იყო აღმართული (მსჯელობისათვის იხ. ბერაძე 1998, 103; კეკელია: 2014, 34).

საკუთრივ ანაკოფია, ვახუშტის აზრით, ოდიშის სამთავროს შემადგენლობაშია. მის მდებარეობას მეცნიერი ასე აღწერს: „ცხომის დასავლეთ არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასისა და მიმრთველი ზღვისა ეგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლეთ და ზღვის კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია... საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა“ (ვახუშტი, IV, 1973: 781). ანაკოფია ცხომის (სოხუმის) ჩრდილოეთით, ახლანდელი მდ. ფსირცხის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ფსირცხა სათავეს იღებს კავკასიონის ქედის ერთ-ერთი განშტოების, ხიცმის მთის ფერდობზე და ანაკოფიის (ახალი ათონის) ჩრდილოეთით შავ ზღვაში ჩაედინება. მდინარის უწინდელი სახელწოდება, ანაკოფიასთან სიახლოვის გამო, როგორც ჩანს, სწორედ **ანაკოფიისწყალი** ყოფილა. ვახუშტისეული „მდინარე მისი (ანაკოფიისა, – ი. კ.) მცირე“ ამას უნდა გულისხმობდეს. ფსირცხის (ანაკოფიისწყლის) მარჯვენა ნაპირზე აღმართული მთა, ესაა ვახუშტისეული „ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული“ (ვახუშტი, IV, 1973: 776; ბერაძე, 1998: 103). საგულისხმოა ის გარემოება, რომ დიდი მეცნიერის მონაცემების სისწორეს აღნიშნული სასაზღვრო ხაზის შესახებ ადასტურებს XVI ს-ის 20-30-იან წლებში თურქი მზვერავის პატაკში დაცული ცნობა, რომ „დადიანის ქვეყანა“, იგივე ოდიში, ვრცელდება სოხუმამდე; სოხუმს იქით, იალბუზიდან, ანუ კავკასიონის მთავარი ქედიდან სოხუმამდე დაშვებული მთის კალთა წარმოადგენდა მიჯნას ოდიშსა და აფხაზეთს შორის (ბერაძე, 1998: 103; მისივე, 2007: 146; კეკელია, 2014: 34-35).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის ბრძანებით 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე ოდიშის ტერიტორია მთავსებულია ცხენისწყალსა და იმ უსახელო მდინარეს შორის, რაც ანაკოფიის დასავლეთით არის დატანილი. თვით ამ მდინარის მარჯვენა მხარეს აღნიშნულ პირველსავე პუნქტს „აფხაზეთი ზუფუ“ აწერია. ზუფუ კი ლიხნის უწინდელი სახელწოდებაა. ლიხნის აღმოსავლეთით ფსირცხა მოედინება. მაშასადამე, რუკაზე ზუფუსა (ლიხნის) და ანაკოფიას შუა გამოსახული უსახელო მდინარე აწინდელი ფსირცხა უნდა იყოს, რაც, რუკის შემდგენლის აზრით, წარმოადგენდა საზღვარს ოდიშსა და აფხაზეთს შორის.

პ. ცხადაია და ბ. ხორავა შენიშნავენ, რომ გვიან შუა საუკუნეებში, კერძოდ, XVI-XVII საუკუნეებში, დასავლეთ კავკასიიდან აფსუების ექსპანსიამ აფხაზეთის ტერიტორიაზე რადიკალური ეთნიკური ცვლილებების პროცესი გამოიწვია (ცხადაია, ხორავა, 2016: 9). ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. კოდორ-ენგურის შუამდინარეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების, გახიზვნის ან მონად გაყიდვის შედეგად დაცარიელებული ტერიტორიის ათვისებას იწყებენ კოდორსგალმიდან ჩამოსული აფხაზები,

ხოლო უფრო სამხრეთით ადგილი აქვს ლალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის აფხაზთაგან დაპყრობას, – ასე აფასებს XVII ს-ის მიწურულის ვითარებას გ. ანჩაბაძე (ანჩაბაძე, 2006: 226).

„დასავლეთ კავკასიის მთიელთა აფხაზეთში ჩამოსახლებისა და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი ჩამოყალიბდა. „აფხაზი“ უკვე არ არის ეთნოკულტურულად ქართველი, აფხაზთა ტომი ახალი ეთნიკური სახით ჩამოყალიბდა. ქართველები ამ ახალ ეთნიკურ ჯგუფს მექანიკურად ისევე „აფხაზებს“ ეძახდნენ, ისინი კი თავიანთ თავს „აფსუებს“ უწოდებდნენ“ (ცხადაია, ხორავა, 2016: 9).

დასავლეთ-კავკასიური ტომების მიერ და აფხაზ ფეოდალთა – შარვაშიძეების მეთაურობით ოდიშის სამთავროს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით განხორციელებული ექსპანსია საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ოდიშსა და აფხაზეთს შორის საზღვარი უკვე ენგური გახდა. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორია აფხაზეთის ნაწილადაა წარმოდგენილი და ტერიტორიული და ენობრივ-ეთნიკური თვალსაზრისით სამ ერთეულად იყოფა: **სამურზაყანო**, **აბჟუა** („შუა სოფელი“, ანუ „სააფხაზო“) და **აძვიბჟა** („ორწყალშუა“). ისტორიული რეალობა კი სულ სხვაგვარი იყო: ენგურსა და ანაკოფიის მცირე მთას შორის მოქცეული ტერიტორია, ნერილობითი და კარტოგრაფიული წყაროების პირდაპირი და მკაფიო ჩვენებით, ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ეკუთვნოდა.

XVI-XVIII სს-ში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციის ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები, კერძოდ, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესაბამისად საზღვრების ცვლილება, ამომწურავადაა გაშუქებული პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას ნიგში.

ნიგნის მომდევნო თავში ავტორები განიხილავენ ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების უცხოური და ქართული საისტორიო წყაროების მონაცემებს თანამედროვე აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებებთან დაკავშირებით და აღნიშნავენ, რომ ანტიკური ხანის ავტორთა – ფსევდო სკილაქსკარიანდელის, სტრაბონის, პლინიუს უფროსის, კლავდიოსპტოლემეაიოსის, ფლავიუს არიანესა და V ს-ის ანონიმის თხზულებებში დაცულია ცნობები **დიოსკურიის**, **სევასტოპოლის (ძველი დიოსკურიის)**, **პიტეუსის//პიტეუნტის**, **მდ. აბასკოსის//აბასკის**, **ძველი ლაზიკის**, **ანუ ნიკოფსიის**, **სიგანეოსის** შესახებ. ბიზანტიელი ავტორები – პროკოფი კესარიელი, სტეფანე ბიზანტიელი, თეოდოსი განგრელი მოიხსენიებენ **პიტეუნტს**, **ტრახეას**, **დანდარებს (დრანდის მცხოვრებთ)**, **დიოსკურიას//სებასტოპოლს**, **სკოტორს**, **ბუკოლუსს**, **ფუსტას**, **თუსუმეს//თუსავს**, **მოქვს** და **ჯინახორას** (იქვე: 10-11).

მართალია, V-XVI საუკუნეების ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ საისტორიო წყაროებში საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის გეოგრაფიული სახელწოდებები იშვიათად გვხვდება, მაგრამ, მკვლევართა აზრით, ამ მხრივ მაინც საინტერესოა ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმთავრეს წყაროში – „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ჯუანშერის, ლეონტი მროველის, უცნობი ავტორების საისტორიო თხზულებები, სადაც იხსენიება **ნიკოფსე ქალაქი//ნიკოფსი ქალაქი//ნიკოფსია, სევასტე ქალაქი, ანაკოფია და ანაკოფიის ციხე, ბიჭვინტა, ბეღია და ბედიის ეკლესია, ეგრისწყალი, კლისურა, ცხომი//ცხუმი, გუდაყვა, სობლისის ციხე...** (იქვე: 11).

XVI-XVIII საუკუნეების ქართული დოკუმენტური და ეპიგრაფიკული წყაროებიდან, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების შესწავლის თვალსაზრისით, აღსანიშნავია „ბიჭვინტის იადგარი“, „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი“, ბედიის გულანის მინაწერი, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, რომლებშიც აფხაზეთის არაერთი ტოპონიმი გვხვდება (იქვე: 11-12).

ავტორებს ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ აფხაზეთის ტოპონიმების შესწავლისათვის ძვირფასი წყარო, XIV-XVI საუკუნეებში შედგენილი ე. წ. საზღვაო რუკები, რომელთაგან უძველესი – ე. წ. „ვენეციური რუკა“, 1310 წლითაა დათარიღებული. ამ და, აგრეთვე პეტრუს ვესკონტეს (1318 წ.), ბინკოს (1436 წ.), სოლერისა (1385 წ.) და ანდრეუს ბენინკაზის (1518 წ.) რუკებზე დატანილია საქართველოს ზღვისპირეთი და, კერძოდ, აფხაზეთი (იქვე: 12-13).

XVII-XVIII საუკუნეების ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ტოპონიმების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე რუსი დიპლომატები, კათოლიკე მისიონერები, ევროპელი მოგზაურები, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკა, ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და მისივე რუკათა ატლასები (იქვე: 14-22).

პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას მიერ II თავში განხილული საკითხების გარშემო ზოგადი დასკვნა ასეთია: ქართული და უცხოური საისტორიო წყაროების ჩვენებით, XVII ს-ის 80-იან წლებამდე, მდინარეებს – კელასურსა და ენგურს შორის მოსახლეობა, და, შესაბამისად, ტოპონიმიაც, ქართულია. აფხაზთა ექსპანსიას შედეგად მოჰყვა ისტორიული ტოპონიმების ნაწილის გაქრობა, ნაწილისათვის კი – სახელწოდების შეცვლა (იქვე: 24).

ნაშრომის III თავში ავტორები გადმოგვცემენ XIX საუკუნის აფხაზეთის ქრონიკას. ეს არის ეპოქა, როცა რუსეთის იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს პოზიციების განმტკიცებას და იარაღის ძალით რუსული მმართველობის შემოღებას

აფხაზეთში. 1810 წელს აფხაზეთი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მხარე, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო 1864 წლის ივლისში ცარიზმის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას შედეგად მოჰყვა უშუალოდ რუსული მმართველობის შემოღება. რუსეთის ჯარის ნაწილები იკავებენ აფხაზეთის მთის თემს – ფსხუს, მდ. ბზიფის შუაწელს. 1866 და 1877 წლებში რუსეთის კოლონიზატორულ პოლიტიკას აფხაზთა აჯანყება მოჰყვა. ანტირუსული აჯანყება იმპერიის ხელისუფლებამ აღკვეთა და სისხლში ჩაახშო, ხოლო კოდორის ხეობასა და შავი ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრები აჯანყებული მუსლიმანი და წარმართი აფხაზები ოსმალეთის იმპერიაში გადაასახლა. ეს პროცესი ისტორიაში **აფხაზთა მუჰაჯირობის** სახელითაა ცნობილი. მუჰაჯირობას აფხაზეთის კოლონიზაცია მოჰყვა: რუსეთიდან გადმოსული მოსახლეობა ცარიზმის მესვეურებმა ექვს პუნქტში ჩაასახლა (ამის შესახებ მსჯელობა ვრცლად იხ. ქვემოთ). XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებას იწყებენ სლავები, სომხები, ბერძნები, ბულგარელები, გერმანელები... ასე გაჩნდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ახალი გეოგრაფიული სახელები: **ესტონკა, სალმე, სულევო, გნადენ-ბერგი, ნაიდორფი, ლინდაუ, ანდრეევკა, კონსტანტინოვკა, ხრისტოფოროვო, კავაქლუქი, გომენდაკ-დერეკეი, კირქლუქი, ოტლუქი, ალექსეევკა, ბარანოვო, ვერხნაია და ნიჟნაიაბუთოვკა, ზახაროვკა, ივანოვო-ალექსეევკა, პეტროვკა, პეტროპავლოვსკოე, პილენკოვო, პოლტავო-ალექსანდროვსკოე, ჩერნიგოვკა, ხოლოდნაია რეჩკა** და სხვ. მრ. (იქვე: 28-29).

ადგილი ჰქონდა ადგილობრივი და ძველი სახელწოდებების შეცვლასაც: სოფ. კოდორს ვლადიმეროვკა უწოდეს, ნაას – ნიკოლაევო-ანასტასიევკა, აკაფას – კონსტანტინოვკა, გუმას – მიხაილოვკა, ფარნაუთს – ივანოვო-ალექსეევკა, დოჟუაქითს – ესტონკა, ალანს – პეტროვსკოე, აბგიძირას – ეკატერინოვკა, ააცს – ბაკლანოვკა და ა. შ. შეიცვალა ქართული ისტორიული სოფლების სახელებიც: ხოფი – ხვაფით, წყუბუნი – შაუმიანოვკათი, დალი – მიასნიკოვკათი და ა. შ. (იქვე: 28-29).

ნიგნის IV თავში გაანალიზებულია XVIII-XIX საუკუნეების საისტორიო წყაროები, რომლებიც მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების შესწავლის კუთხით. მათ შორის საინტერესოა ნიკო დადიანის თხზულება „ქართველთა ცხოვრება“, გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, შვეიცარიელი მეცნიერისა და მოგზაურის – ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, ფრანგი დიპლომატის – ჟაკ ფრანსუა გამბას, აგრეთვე აბრიუცკის, პლატონ ზუბოვის, ს. ბრონევსკის, ბარონ ფ. ტორნაუს, ოდესის რიშელიეს ლიცეუმის პედაგოგის – ალექსანდრე ნორდმანის, ა. პახომოვის, რუსი ოფიცრის, პოლკოვნიკ ფ. ზავადსკის მასალები

ბი, აფხაზეთის სამთავროს თემებში შედგენილ ახალმონათლულთა 1834-1836 წლებისა და აფხაზ მუჰაჯირთა 1867 წლის სიები, ამიერკავკასიის მხარეში 1886 წელს ჩატარებული კომლობრივი აღწერის მასალები (დაიბეჭდა თბილისში, 1893 წელს), უსლარის, კარლ ჰანის, ლიულიეს, კონსტანტინე მაჭავარიანის, დიმიტრი გულიას მიერ შეკრებილი ტოპონიმიკური მასალები; ხატოვის 1826 წლის, სამეგრელოს 1861 წლის, ალ. ჯავახიშვილის რედაქციით 1928 და 1932 წლებში გამოცემული რუკები, აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მასალები და სხვ. (იქვე: 29-32).

V თავში მკვლევართა მიერ საინტერესო ცნობებია დამოწმებული აფხაზეთის 1918-1991 წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიასთან დაკავშირებით. აღნიშნულია, რომ 40-იან წლებში განხორციელდა აფხაზეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების შეცვლა: მიხაილოვკას შრომა უწოდეს, ოლგინსკოეს – ოქტომბერი, მარინსკოეს – ლეკუხონა, ვლადიმროვკას – კოდორი, ანდრეევკას – ახალშენი, ესტონკას – ბალნაშენი, ასტეროვკას – ამზარა, ლადარიარჰაბლას – აბრარხუკი, ერმოლოვსკს – ლესელიძე და ა. შ. პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას დაკვირვებით, 1940-1944 წლებში აფხაზეთში ადგილი ჰქონდა არა აფხაზური, არამედ უცხოური (რუსული, სომხური, გერმანული, თურქული, ბერძნული) გეოგრაფიული სახელების შეცვლას. „ეს ტოპონიმები არ იყო ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული სახელწოდებები და აფხაზეთის კოლონიზაციისა და ეთნოდემოგრაფიული ინფილტრაციის შედეგს წარმოადგენდა“ (იქვე: 33).

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, აფხაზეთში გაჩაღებული ანტიქართული კამპანიის ფონზე, მიმდინარეობდა ქართული ტოპონიმების აფხაზური და რუსული სახელწოდებებით მიზანმიმართული ჩანაცვლება. ასე, მაგალითად, **დაბა ბიჭვინთას** უწოდეს რუსული სახელი **პიცუნდა**, **დაბა ახალათონს** – **ნოვი აფონი**, **ბამბუკოვანს** – **აკალამრა**, **ბზისხევს** – **არმიანსკოე უშჩელიე**, **ალპურს** – **ალპისკოე**, **კოდორს** – **ვლადიმროვკა**, **ნაკადულს** – **მეხადირი**, **ცივწყაროს** – **ხოლოდნაია რეჩკა**, **გოგირდწყალს** – **არსაული**, **კვიტოულს** – **კუტოლი**, **მეორე ათარას** – **ატარა არმიანსკოე**, **თხილოვანს** – **არასარა**, **ნეძონას** – **ხიზარუხა**, **ჟირწყალს** – **აძიბჟარა**, **გუდავას** – **პრიმორსკოე** და ა. შ. ასეთივე პროცესს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 90-იან წლებშიც, ანუ აფხაზეთის ომისა და ომის შემდგომ პერიოდში. აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე **პირველი ოტობაია** იწოდება **ხაშტად**, **მეორე ოტობაია** – **ბგოურად**, **ფიჩორი** – **ბჩარად**, **ჭუბურხინჯი** – **ხიაცხად**, **ნაბაკევი** – **ბატაიგუარად**, **დინაზურგა** – **აბააქითად**, **ოკვინორე** – **ციგტვარად**. „როგორც „აფსნიპრესი“ იუწყება,

– წერენ ავტორები, – სახელწოდებები „ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით“ შეიცვალა, თუმცა ასეთი ისტორიული წყაროები ბუნებაში არ არსებობს“ (იქვე: 37).

შემდგომ თავებში ავტორები შეეცადნენ, გაეანალიზებინათ, თუ როგორ იცვლებოდა წლების განმავლობაში აფხაზეთის ტოპონიმია. ნიგნში სახელწოდებები მოტანილია საქართველოს სსრ 1987 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით. ოიკონიმები წარმოდგენილია ცალკეულ თავებად (გაგრის საქალაქო თემი, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები). თითოეულ ოიკონიმს ახლავს მოკლე ფიზიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, აგრეთვე ეტიმოლოგიური ძიებანი (სადაც ეს შესაძლებელი იყო).

აქვე შევეხებით ზოგიერთი ოიკონიმის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. ჩვენი აზრით, ნაკლებ მოსალოდნელია ბზიფის თემის სოფ. **ძინჩის** სახელწოდების გააზრება „წყლის მცველად“. პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას მოსაზრებით, სახელწოდება აფხაზურია: **ახჩა** მწყემსს, ხოლო **აძი** წყალს ნიშნავს (იქვე: 43). ასევე სადავოა სოფლის სახელწოდება **ჯირხვას** როგორც აჯბების ბორცვის განმარტება (იქვე: 69). აჟარის თემში, კოდორის ხეობაში მდებარე სოფ. **ზიმას** სახელწოდებას მკვლევრები სვანურის ნიადაგზე ხსნიან და განმარტავენ „ზომად“ (იქვე: 89), მაგრამ არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ რატომ უნდა დარქმეოდა სოფელს „ზომა“ (?).

ავტორები შავიზღვისპირა ვაკე-დაბლობზე, მდ. აძიდუს ნაპირას მდებარე სოფლის – **რაფინას** სახელწოდებაზე მსჯელობისას მიუთითებენ, რომ ეს ისტორიული სოფელი **რაბინას** სახელით იხსენიება „ბიჭვინთის იადგარში“, ოდიშის ერისთავ მამია III დადიანის (1512-1533 წწ.) შეწირულების სიგელში ბიჭვინთისადმი, როგორც მის შემოგარენში მდებარე სოფელი. „სახელწოდების მიხედვით აფხაზური დასახლება ჩანს, თუმცა ეტიმოლოგია უცნობია“, – წერენ პ. ცხადაია და ბ. ხორავა (იქვე: 46).

ნაშრომში ბოლო თავად პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას მიერ წარმოდგენილია მსჯელობა აფხაზეთის 30-ზე მეტ ჰიდრონიმზე (**აფსთა, ბაღრიფსთა, ბესლეთი, ბზიფი, გაგიდა, გეგა, გვანდრა, გუმისთა, ენგური, ერისწყალი, კელასური, კოდორი, მაჭარა, მეჰადირი, ოქუმი, ჟოეკვარა//ჟევაკვარა, საკენი, ფსირცხა, ფსოუ, ლალიძგა, წარჩე//წარჩესწყალი, ხაშუფსე, ხიფსთა//თეთრწყალა, ჯოცობანყარი, ჯამპალი...**). მოცემულია მათი ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება და ზოგ შემთხვევაში – ეტიმოლოგიური მსჯელობანი.

ავტორები, აანალიზებენ რა აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ნიგნის ბოლოსიტყვაობაში მეცნიერული კვლევის მიზანს ასე აყალიბებენ: „საის-

ტორიონყაროების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების დიდი ნაწილი, არა მარტო გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის რაიონების ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობა ძირითადად ქართული იყო, არამედ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიც – გუდაუთის რაიონი, გაგრის საქალაქო თემი, სადაც აფხაზური მოსახლეობა ჭარბობდა, ქართველური ენების – ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური, – საფუძველზე იხსნება, რაც სავსებით ბუნებრივია. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და ენათმეცნიერი სიმონ ჯანაშია (1900-1947) აღნიშნავდა, რომ აფხაზებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა ერთი მხრით სვანური შტოთი, მეორე მხრით – მეგრულ-ჭანურით. XVI-XVIII საუკუნეებში აფხაზეთში და აფხაზთა მიერ მიტაცებულ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოსახლეობის რადიკალური ეთნიკური შეცვლა მოხდა. გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონების ამჟამინდელ აფხაზურ სოფლებში რადიკალურ ეთნიკურ ცვლილებებამდე მასობრივად ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა და ამ ტერიტორიაზე არსებობდა ქართულ გვართა დასახლებები. საგულისხმოა, რომ ქართულ გვარსახელებთან ტოპონიმებში ხშირად შეწყვილებული აფხაზური სიტყვა ა-ქაფთა – პარტახი, ნამოსახლარი, რაც ამკარად მეტყველებს გვიან შუა საუკუნეებში ამ სოფლების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლასა და ქართველთა ნასახლარებში აფხაზთა დამკვიდრებაზე“ (იქვე: 170).

აფხაზეთის ტოპონიმების საკითხებით არაერთი მკვლევრის დაინტერესებით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ისტორიულ წყაროებსა და ქართველთა უცხოელ მკვლევართა, ასევე საკუთარ მოსაზრებებზე დამყარებული პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას ნიგნი „აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი“ ფრიად ღირებული შენაძენია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ტოპონიმების შესწავლით დაინტერესებული მკითხველებისა და სპეციალისტებისათვის.

აფხაზეთის ეთნოლოგიის, კონკრეტულად, ეთნიკური ისტორიის პრობლემები გაანალიზებულია ისტორიკოს **სალომე ბახია-ოქრუაშვილის** არაერთ გამოკვლევაში. აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხის კვლევა საგვარეულო სალოცავების, როგორც საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრის საშუალებით და ამ გზით მიგრაციის სურათის აღდგენა ყველაზე საიმედო ხერხია, ვინაიდან, „აფხაზურ ეთნოგენეტიურ და გენეალოგიურ თქმულებათა უმეტესობა არა დაფარული მინიშნებით, არამედ ამკარად და უდავოდ გვამცნობს აფხაზების ჩრდილო კავკასიიდან დასავლეთ საქართველოს მთაში ჩამოსახლების ფაქტს და ეთნოგენეტიურისა და კულტურული კავშირის არსებობას ჩერქეზული წარ-

მოშობის კავკასიელებთან. ამ თვალსაზრისს ეთანხმება „აფხაზური ნართული ეპოსიც“, რომელშიაც აფხაზების თავდაპირველი ბინადრობის მხარედ მდ. ყუბანის ხეობაა მიჩნეული“ (ბახია-ოქრუაშვილი, „კლიო“, №7, 2000: 3-4).

ს. ბახია აფხაზური ეთნიკური კულტურის თავისებურებად მიიჩნევს ბუნების ცალკეული ობიექტების – მთების, მდინარეების, ჭალებისა და ხეებისადმი საკრალური თვისებების მინიჭებას. ასეთ ობიექტებს აფხაზები ნხვას, ე. ი. „სალოცავს“ უწოდებენ (იქვე: 5).

საინტერესოა აფხაზ რესპონდენტთა მტკიცება აფხაზური ძირითადი გვარების საგვარეულო მფარველი ღვთაების, ძირ-სალოცავის **ფსჰუზე** მდებარეობის შესახებ. ასე ეწოდება მცირე მთას სოხუმის რაიონში, კავკასიონის წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, თანამედროვე აფხაზეთის ცენტრალურ მთიან ნაწილში. ფსჰუნჯხას სალოცავის წარმოშობა საზოგადოებრივ-ყოფითი პირობებით იყო განსაზღვრული. გადასასვლელების გადმოლახვის შემდეგ ამ მიკროტერიტორიაზე მიგრირებულმა მოსახლეობამ სწორედ ამ ღვთაებას დაუკავშირა თავისი წარმოშობა. ფსჰ-ნხვა მიიჩნევა არისთავას, ჩხუფიას, პტიშის, ხვატიშის, აძინაას, ადლეიბას, ბაგაფშის, აშუბას, კიახირიფას, სიმსიმის, საძბა-ჩიჩბას, ცემციმის, ბენიას, ამიჭბას, მარშანიას, კვიწინიას, ჩეგემის (← ჩერქეზული ტოპონიმიდან), ემუხვარის, ინალ-იფას, ნანბას, ზუხბას (← ზიხი//ჯიქი ← ადიღ. ტომის – „ზახუს“ სახელწოდებიდან), არძინბას, ბაზბას (აბაზი//აბაზგი), საძბას (საძ ← ჩრდ.-კავკას. ტომის სახელწ.), ტრაფშისა და სხვა გვართა ძირ-სალოცავად და ღვთაებად (ბახია-ოქრუაშვილი, „კლიო“, №7, 2000: 6-7, და იქვე მითითებული ლიტერატურა: 37).

ამფარები (გვარია) მიიჩნევენ, რომ მათი წინაპარი „ზღვისგადაღმიდან“ (ე. ი. შავი ზღვის აღმ. სანაპიროდან) მოსულა და სოფ. კალდახვარის მახლობლად დასახლებულა. საგვარეულო სალოცავიც აქაა გამართული (იქვე: 7).

აფხაზური თქმულებების მიხედვით, აფხაზთა წინაპრები – აფსხა, აუბლა, არლან და ანუა მდ. კოდორისა და ბზიფის ხეობებში გადაადგილდებოდნენ. აფსხამის მამა აბაზი იყო. სწორედ აფსხასგან წარმოიშვნენ აფხაზები (Инал-Ипа, 1971: 223). მას თავდაპირველი სამოსახლო უშვილობის გამო დაუტოვებია და თავისი ხალხით ამ ადგილზე დასახლებულა, რომელსაც სათამამა ეწოდებოდა (მდ. კოდორის სამხრ.-აღმ. მხარეში)... აქვე ცხოვრობდა მთიდან ჩამოსახლებული ანუაც. ზოგი ლეგენდის მიხედვით, აფსხა ბინადრობდა სოფ. მოქეში, ხოლო შვილი სოფ. ლძააში დაასახლა. აქვე სახლობდა ჩრდილოკავკასიელი აჩბაც და ა. შ. (იქვე: 225, 226, 228, 234, 235).

ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ მთისწინა და ბარის რეგიონებში ჩამოსახლებული მთიულები გადაადგილების მიმართულებით აარსებდნენ

ახალ სალოცავებს და იქვე სახლდებოდნენ. გამონაცოფ სალოცავებს შორის კი ფსჰუ-ნგხა მაინც მთავარი ღვთაების ადგილს იკავებდა. მაგ.: დიდრიფში (სოფ. ანანდარაში) და ლქაა (ბიჭვინთაში, ლიძავა) ფსჰუს და-ძმად, ხოლო ერთმანეთისთვის ცოლ-ქმრად, ზოგჯერ და-ძმად ჰყავდათ მიჩნეული (იქვე: 21-22). ფსჰუ-ნგხას შემდეგ ყველაზე ძველ და ყოვლისშემძლე სალოცავად ითვლებოდა დიდრიფშნგხა, რომელიც გუდაუთის რაიონში, სოფ. აჭანდარის ზემოთ, დიდრიფშის მთაზეა დაბრძანებული (ზ. დ. 600-700 მ.). მისი მეორე სახელწოდებაა ანფსნგხა, რაც, ნ. ჯანაშიასა და გ. ჩურსინის აზრით, „დედის სულის ხატს“, ანუ ღვთისმშობლის მიძინების ხატს აღნიშნავს (Джанашиа, 1960: 113; Чурсин, 1957: 28). იგი ითვლებოდა ჩაჩბების საგვარეულო სალოცავად.

სხვაგვარად გაიაზრებს სალოცავის წარმართულ სახელწოდებას ს. ბახია-ოქრუაშვილი: „დიდრიფში“... სიტყვასიტყვით „დედის ხალხის კურთხევას“ აღნიშნავს. რესპონდენტების გადმოცემით, ამ მთის სახელწოდების პირველი მარცვალე უკავშირდება ნართული ეპოსის ეპიკური პერსონაჟის, ერთ-ერთი ნართი ძმის, დიდ-ის საკუთარ სახელს, რომელმაც ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლების შემდეგ დაიდო აქ ბინა. მეორე ნაწილი რიფშ აფხაზურად „მრავალი ხალხის კურთხევას“ ნიშნავს (-რ-ი-ფ-შ; -რ- ← არაც^ა=ბევრი, მრავალი; -ც^ა=ადამ. მრ. რ. ნიშანი; -ფშ- აფშარა=კურთხევა)“ (იქვე: 23).

ფსჰუნგხას ასეთივე „წილად“, ს. ბახიას აზრით, ითვლება ლქაანგხას სალოცავი სოფ. ლიძავის მახლობლად მდებარე ამავე სახელწოდების გორაკზე, სოფლიდან 4 კმ-ის დაშორებით, ბიჭვინთასთან. აფხაზთა წარმოდგენით, ცაზე მბრწყინავი სფეროს სახით გამოჩენილი ლქაანგხა ღრუბლის ქულის მსგავსია, აქვს თავი და კუდი და ფრენის დროს ნაპერკვლებს აფრქვევს (ინალ-იფა, 1965: 527; ბახია-ოქრუაშვილი, „კლიო“, №7, 2000: 24). მისი მეორე სახელწოდება ანანა ლქაანგხა, ე. ი. დედა-ღმერთის ლქაას სალოცავი, ს. ბახია-ოქრუაშვილს აფიქრებინებს, რომ ამ ადგილზე ოდესღაც არსებობდა ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის ნანგრევებზეც შემდეგ ეს სალოცავი აღმოცენებულა (იქვე: 24).

საყურადღებოა აგრეთვე აფხაზური ნართული ეპოსის ერთი მითოლოგიური სიუჟეტი, კერძოდ, დიდრიფშის მთაზე დაბინავებული დიდი ცეცხლოვანი რაშით მოგზაურობდა შავი ზღვისპირზე. ამ მოგზაურობისას მას ყოველთვის ხელჩართული ბრძოლა ჰქონია ლქაას დაუმორჩილებელ გვართან. ერთხელ მას ლქაას ქალიშვილი უნახავს, მოსწონებია და მასზე დაქორწინება განუზრახავს. დიდი სანადელისთვის მოხერხებული და საზრიანი ქმედებებით მიუღწევია (იქვე: 24-25). ს. ბახიას აზრით, „ეს ეპიზოდი... აშკარაა აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობასა და უცხო ეთნიკური ჯგუფის წარ-

მომადგენლებს შორის არსებულ თავდაპირველ ურთიერთნინააღმდეგობას, რომელიც ჩამოსახლებულთა მეთოდების საშუალებით ურთიერთშეგუების პროცესით იცვლება. რაც შეეხება ტოპონიმს – ლძაა ← ლიძავა, სოფელ ლიძავაში მკვიდრი ქართველური მოსახლეობის გააფხაზებას ან თანდათანობით გაქრობას უნდა გამოენჯია მეგრული ტოპონიმის აფხაზური ფორმით შეცვლა. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაშიც, ლძაანჯხას საგვარეულო ხატის ზედამხედველისა და „მეხატურის“ პრივილეგია მანაც ქართული წარმოშობის გააფხაზებულ გოჩუას გვარს ჰქონია მინიჭებული“ (იქვე: 25).

ტყვარჩელსა და აკარმარას შორის, მთაზე არსებული **ლაშკენდარნჯხაც** ფსჰუს „ნილი“ იყო. აფხაზების ეს საგვარეულო სალოცავი წარმართული ხასიათისაა, ხოლო სახელწოდება სვანურიდან მომდინარეობს (**ლა-შკედარ** სვან. „სამჭედლო“ (მიბჩუანი, 1989: 258-259; ბახია-ოქრუაშვილი – იქვე: 25).

აფხაზებისათვის რეალური ეთნიკური წინაპრის ღვთაებად ქცევის კონკრეტულ ცდას წარმოადგენს ფსჰუნჯხას წმინდა მთაზე, XV საუკუნეში, მისი განაყოფის – ინალყუბენჯხას (აბაზ. ინალყუბე „ინალის საფლავი“) დაფუძნება. ინალი, როგორც ეთნიკური წინაპარი (ჩერქეზი მხედართმთავარი), სიკვდილის შემდეგ გააღმერთეს აფხაზებმა, ხოლო სიცოცხლეშივე მასზე ზებუნებრივი წარმოდგენა ჰქონდათ. იგი მიაჩნდათ ჩერქეზ მხედართმთავრად, რომელიც ერთ-ერთ ძლიერ ნათესაურ ჯგუფს წინამძღოლობდა და თავისი მშვიდობისმოყვარე ხასიათით გვართაშორის წამოწყებული კონფლიქტების ჩახშობას წარმატებით ართმევდა თავს. გადმოცემით, აფხაზეთის მთებში გამოქცეულ ერთ აბაზ ფეოდალს – ოზდემირს დადევნებული ინალი სოფ. ფსჰუსა და მის მეზობელ სოფლებში თავის მებრძოლებთან ერთად დასახლებულა და გარდაცვალების შემდეგ, მისივე თხოვნით, ფსჰუს მთაზე დაუკრძალავთ. მისი საფლავი დღემდე „ინალყუბეს“ სახელითაა ცნობილი. იგი ითვლება აფხაზთა და ჩერქეზთა წინაპრად. ინალყუბენჯხა ითვლება მაჰმადიანური გვარების – ინაფშბას, კიუტის, ადლეიბას, ბაგაფშის, ამიჭბასა და სხვათა ძირ-სალოცავად (იქვე: 27).

ს. ბახია-ოქრუაშვილი ჭალებსა და ტყისპირებზე ჩამონაცვლებულ სალოცავებს შორის ასახელებს სიძლიერით გამორჩეულ **დოპუნჯხასა** და **ლეირნჯხას**. დოპუნჯხა დოპუასა და სოფ. აძიუბუას სხვა გვარების საგვარეულო სალოცავს, ხოლო ლეირნჯხა სოფ. მუეფუძირხვაში ლეიბას გვარის ხატ-სალოცავს წარმოადგენდა. ლეიბათა სალოცავს ანლა ნეჰა ეწოდებოდა: ანლა „ხე“, ნეჰა-რა „ლოცვა“, ე. ი. „ხის ლოცვა“. ამ გვარის ტოტემი ხე იყო (იქვე: 29). საგვარეულო სალოცავები ჰქონდათ სხვა გვარებსაც (იქვე: 30).

აფხაზეთის ტოპონიმის საკითხებზე ვრცელი მსჯელობა წარმოდგენილია ს. ბახია-ოქრუაშვილის ნაშრომში – „აფხაზთა ეთნიკური ისტორიის საკითხები“. მასში ცალკე თავებადაა მოცემული ეთნონიმ „აფხაზის“ წარმომავლობის ისტორიის ანალიზი, ტოპონიმკური ძიებანი, ჰიდრონიმები და პოლისონიმები (ბახია-ოქრუაშვილი, 2010).

ს. ბახია ვარაუდობს, რომ თავდაპირველად ეთნიკური ერთეული და ცნება „აფხაზი“ დასავლურ-ქართველური და ჩრდილოკავკასიური მოსახლეობის შერწყმის, ან ჩრდილოელთა მშვიდობიანი ასიმილაციის გზით უნდა გაჩენილიყო, ხოლო თვით ეთნონიმი მეგრულ-სვანური ენების მონაწილეობით უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ამისთვის მათ უნდა გამოეყენებინათ ტოპონიმი **ფსჰუ** → ქართვ. **ფსხუ**. ეს იმ მთის სახელწოდებაა, რომლის სიახლოვეს სახლდებოდნენ ჩრდილოკავკასიელები და სადაც საფუძველი ეყრებოდა ქართველურ მოსახლეობასთან მათ ინტეგრაცია-ადაპტაციას. ტოპონიმი „ფსხუ“, ს. ბახია-ოქრუაშვილის აზრით, მართალია, აფხაზეთის ტერიტორიაზე ლიტურათურაში გვიან დასტურდება, მაგრამ ანგარიშგასანევია II ს-ის მოღვანის – ფლავიუს არიანეს და V ს-ის ანონიმი გეოგრაფოსის მიერ ბერძნულ ენაზე დადასტურებული მსგავსი ტოპონიმის – **ფსახაფსისის**, ფლ. არიანეს მიერ ძველ ლაზიკესთან ტოპონიმ **ნეგეფსუსუს**, ხოლო კლავდიუს პტოლემეაოსის (ახ. წ. II ს.) მიერ – ტოპონიმ **ფსიუხროსის** დამოწმება. საფიქრებელია, რომ ჩრდილოელი მოსახლეობის მიერ ადრეულ ხანაშივე იყოს დაფუძნებული ტოპონიმი ფსჰუ → ფსხუ, რომელიც ქართველურ მოსახლეობას ეთნონიმად გამოუყენებია მათთან შერწყმის შემდეგ. „აფხასი-ში -სი მრავლობითობას, კრებითობას, სიმრავლეს გამოსატყვდა. ა-ფს-ხა-სი-დან დისიმილაციური დაკარგვით მოხდა რთული არატიპური კომპლექსის გამარტივება. მივიღეთ ქართულისათვის უაღრესად დამახასიათებელი დეცესიურ-ჰარმონიული კომპლექსი – აფხასი... ქართულისათვის **ფხ** კომპლექსი უაღრესად ბუნებრივია (მდრ.: ფხა, ფხალი, ფხაჭნა...). -ს ბგერის ამოვარდნით მივიღეთ ფხ კომპლექსი. აფხასი-ში კი ბოლოკიდური -ს ბგერის გამჟღერების ხარჯზე მივიღეთ ზ. ბგერა. ამრიგად, ფსხუ → აფსხა → აფსხარი → აფხასი → აფხაზი“ (ბახია-ოქრუაშვილი, 2010: 160-161).

„აფხასი“, ს. ბახია-ოქრუაშვილის ვარაუდით, ტერიტორიული დასახლების აღმნიშვნელი ტერმინიც უნდა ყოფილიყო, ე. ი. ფსხუელთა ადგილი, რაც შემდეგ წარმოშობისა და სადაურობის აღმნიშვნელ სახელადაც იქცა. „აფხასი“/„აფხაზი“ იყო ჯერ ფსხუს მთის მაცხოვრებელი, რომელმაც შემდეგ ეთნიკური და ეთნოპოლიტიკური შინაარსიც შეიძინა და VI ს-იდან პოლიტონიმად იქცა (იქვე: 161-162).

მკვლევარი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის მთიანეთში ყველა აფხაზური სადგომი საკუთარი სახელის მატარებელი იყო, საძოვარ მთებს ხშირად აღწერილობითი ხასიათის სახელები ერქვა. აფხაზი მწყემსები ქართველური სახელებითაც სარგებლობდნენ. ასეთ ტოპონიმთა რიგში დასახელებულია **აგუახარა** აფხ. „შუამთა“; ა-გუ=ქართ. გური, მეგრ. გულ-ი; **ამგრამა ახითოუ** აფხ. „მარმარილოს ციცაბო კლდეები (ლათ. მარმორი ქართულიდან ჩანს შეთვისებული); **ანშვაფშქრახუ** აფხ. „თიხნარი მალლობი“; **აბაარხუ** აფხ. „ჭანჭრობიანი მალლობი“ – გორა; **არფხჯარა** – აფხ. მწყემსთა ადგილი, სადაც საქონლის გადარეკვის დროს პირველ ღამეს ათევდნენ (ადგილი მთაში); **აჩრჯხუმარა** აფხ. „სადაც ცხენებს ხედნიან“ – საძოვარი მთაში; **აჩწვაფშ** აფხ. „კვიცების სიმაღლე“ – მთა და ა. შ. (იქვე: 171). მკვლევარი ასახელებს გეოგრაფიული ტერმინებით აღნიშნულ კონკრეტულ ობიექტთა სახელებს: **აბაყა** აფხ. „კლდე-ძეგლი“ – კლდე; **აბაცვხუ** აფხ. „ზღმარტლის ხე“ – მთა; **აბაჩრხუ** აფხ. „ფოჩის მსგავსი კლდე-მთა“; **ალაშორახუ** აფხ. „ძაღლის მთა“...

მკვლევრის დაკვირვებით, აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით, მთიანი ადგილებისა და უღელტეხილების სახელწოდებანი ძირითადად არაქართულია, ჩერქეზული წარმოშობის მცირე ენებზე შექმნილი, რომლებიც შინაარსობრივად ასახავენ ლანდშაფტის, რელიეფის თავისებურებებს, დაჭაობებულ თუ მალლობ, ნახანძრალ თუ ახოგატეხილ, მონადირეობისა და მესაქონლეობისათვის გამოსადეგ ადგილებს, მშრალ ხეებს და ა. შ. ასეთი ტოპონიმებია: **აბლიალარა** აფხ. „საჯიხვე“ – მთა; **ადაუაჟირა** აფხ. „დევის სამჭედლო“ – კლდინი ადგილი; **ამზიგხუ** აფხ. „ფიჭვის მთა“ – მთა; **ალთოურმ იაბნაშვარა** აფხ. „კვერნაზე სანადირო ადგილი“ – ადგ. მთაში; **აჰაფძრძძხუ** აფხ. „გამოქვაბულის ნყარო“ – ადგ., აბგახუ – კლდე-მთა და სხვ. (იქვე: 173).

ს. ბახია ყურადღებას ამახვილებს -ფს სუფიქსით ნაწარმოებ ჰიდრონიმებსა და ორონიმებზე: **ფსათხა//იალბუზი** ჩერქ. „წყლიანი, ყინულიანი მთა“, **აგფსთა** ჩერქ.-აფხ. „თოვლიან-ყინულიანი ადგილი“, **ფსხუ** – მთა: -ფს ჩერქეზ. სუფიქსია და „წყალს“ ნიშნავს, ხოლო -ხუ აფხ. იგივეა, რაც „მთა; გორაკი; ბორცვი; ბექობი“. მაშასადამე, მკვლევრის მოსაზრებით, ფსჰუ → ფსხუ ჰიბრიდული, ჩერქეზულ-აფხაზური ორონიმია (იქვე: 174). შდრ. შ. ინალ-იფას განსხვავებული თვალსაზრისი: ფსჰუ აფხ. „აფხაზეთის ნაწილი“. -ფს აფხ. „სული“, -ხუ „ნაწილი“. თუმცა არ გამორიცხავდა აფხაზურში -ფს ძირის არსებობას წყლისა და ფიჭვის მნიშვნელობითაც (ინალ-იფა, 1976: 76-77). საგულისხმოა, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში თანამედროვე პიატიგორსკის ადიღური სახელწოდებაა **ფსხუაბა: -ფს** ჩერქეზ. „წყალი“, **-ხუაბა** ჩერქეზ. „თბილი“, ე.

ი. ფსხუ-აბ-ა „თბილი წყალი“. -ფს სუფიქსი გამოიყოფა აგრეთვე აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, სოხუმის რაიონში მდებარე სოფლების სახე-ლებში: ალური-ფს-თა, აჭჭ-ფს, ხა-შუ-ფსა... ამათგან ხაშუ-ფს-ა/ე მთლიანად ჩერქეზული წარმოშობისაა: ხ'ა ადილ. „სვლა, მოძრაობა“; შყუ/შვი ადილ. „მხედარი“, -ფს ჩერქეზ. „წყალი“ – „მხედრის სვლა წყალთან“ (?) (იქვე: 175).

ა. შაგიროვის მოსაზრებით, წყლის ცნების გამომხატველი -ფს აფხაზურში ფშვინიერი -ფშ ვარიანტით არის წარმოდგენილი: ხეცრ-ი-ფშ-ი, გულრი-ფშ-ი, გაგრ-ი-ფშ-ი, დიდრ-ი-ფშ-ი და სხვ. (Шаги́ров, I, 1977: 27). ს. ბახია-ოქრუაშვილი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს და შენიშნავს, რომ -ფშ მანარმოებელი გამოიყოფა გუდაუთის რაიონის მთიანეთის ოიკონიმებში: ჩილრ-ფშ, ცანდრ-ფშ, ზვანდრ-ფშ, რია-ფშ, ჰა-ფშ-რა, ძალრ-ფშ, ჰა-ფშ-რხვა, დურ-ფშ, მიქელრ-ფშ და სხვ. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ უბიხურ ენაში -ფშ მანარმოებელს „სიმალის“ მნიშვნელობა აქვს (Анчабадзе, 1958: 265).

შ. ინალ-იფა აფხაზთა წინაპრის საგვარეულო სახელად მიიჩნევდა გულრიფშის გლ-ს, რომლისგანაც უნდა წარმოქმნილიყო გლრიფშ-ი → გულრიფშ-ი (Инал-ипа, 1976: 397). განსხვავებულად ფიქრობს ს. ბახია-ოქრუაშვილი: გულრიფში, მისი აზრით, XIX ს-ში გაჩენილი ტოპონიმია. ამოსავალია ქართული **გული** (აფხ. **გულ** ქართულიდან არის ნასესხები). ჩრდილოკავკასიური -ფშ სუფიქსის და აფხ. III პირის კუთვნილების -რ(ი) ნიშნის დართვით უნდა მიგველო **გულ-რ-ი-ფშ-ი**. მაშასადამე, ტოპონიმი ქართულ-უბიხურ-აფხაზური მოსახლეობის ინტეგრაციის შედეგად მას შემდეგ უნდა გაჩენილიყო, რაც სოხუმის რაიონის ეს ნაწილი აფხაზეთის შუაგულში მოექცა (იქვე: 176).

ნიგნში მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს **-შხა** და **-ხვა** ბოლოსართიან ტოპონიმებზე. -შხა დამოუკიდებელ სიტყვადაც გვევლინება, „მთას“ აღნიშნავს და, ამავდროულად, საკუთრების გამომხატველიცაა. შდრ. **კაპპშხა** „კაპბას მთა“, **ზვანპშხა** „ზვანბას მთა“, **ალაჰაშხა** „ლელვის მთა; ლელვნარი“, **არაშხა** „თხილიანი მთა“; **თხილნარი**, **ცინდშხა**, **გუმაშხა**, **ხაჯშხა**, **კუტიშხა**, **თამიშხა**, **არშხა**, **ყუბიშხა** „ყუბანელთა მთა“...

-ხვა ბოლოსართი მხოლოდ გუდაუთის რაიონის მთიანი სოფლების სახელწოდებებში გამოიყოფა. მაგ.: კალდა-ხვა-რა, ყულანურ-ხვა, ბლაბურ-ხვა, მუგუძირ-ხვა, ჯირ-ხვა, ანუ-ხვა, ონდანი-ხვა, კუკბარ-ხვა, , ჰაფშირ-ხვა, გრანც-ხვა, სანი-ხვა, ჩუგურ-ხვა, არ-ხვა, ბლარ-ხვა, ცვარ-ხვა, აოსირ-ხვა, ჯიგიდრ-ხვა, გუნარ-ხვა, გინდრ-ხვა, ამჟა-ხვა, აჩ-ხვა, მაზი-ხვა და ა. შ. (იქვე: 179-180). ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია -ხვა ბოლოსართს ჩერქეზული წარმოშობისად მიიჩნევენ (ჯავახიშვილი, 1950: 46; ჯანაშია, III, 1959: 485-489).

თ. გვანცელაძის მოსაზრებით, -ხვა მანარმოებელი აბაზური ენის წარმონაქმნია და „წილს“, „კერძს“ აღნიშნავს. ბზიფურ ენაში მან მოგვცა -ხვა, -ხვ, ხოლო აბჟურში – -ხვა ფორმა (გვანცელაძე, „არტანუჯი“, N10, 2000: 62).

ს. ბახია-ოქრუაშვილი იზიარებს ამ თვალსაზრისს და წერს, რომ -ხვა „კერძის“//„წილის“ მნიშვნელობით აფხაზურს აბაზურიდან უსესხებია, რაც სავლელე მასალითაც დასტურდებაო. რესპონდენტთა გადმოცემით, მუგუძ, გუნარ, ამჟა, მაზი და სხვ., ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული ანთროპონიმებია. გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზე ჩამოსული აბაზები განცალკევებით დასახლდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც შთამომავლობა გამრავლდა და სამოსახლო ტერიტორია გაიზარდა, დასახლებულ პუნქტს სახელწოდებად პირველმოსახლის გვარსახელი შერჩა, ე. ი. მიწა, რომელიც ცალკეულ გვართა სამოსახლოს, ამ გვარის წილს, კერძს წარმოადგენდა (იქვე: 180).

აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიისა და ტოპონიმის ცალკეული საკითხების კვლევისას ვსარგებლობდით და ვითვალისწინებდით ი. აკიშბაიას, ი. ანქვაბის, ზ. ანჩაბაძის, გ. არახამიას, მ. ბუკიას, გ. ბედოშვილის, გ. გასვიანის, გ. გვანცელაძის, ე. თაყაიშვილის, გ. კალანდიას, ა. კაციას, ბ. კილანავას, ლ. კოდუას, ბ. კუდავას, დ. ლეთოდიანის, ქ. ლომთათიძის, დ. მუსხელიშვილის, კ. ოკუჯავას, გ. როგავას, გ. რუხაიას, თ. სახოკიას, გ. ფიფიას, ბ. შავგელიშვილის, ლ. შერვაშიძის, ნ. შონიას, ი. ჩანტლაძის, ა. ჩიქობავას, ზ. ჭუმბურიძის, რ. ხვისტანის, ბ. ხორავას, ვ. ჯოჯუასა და სხვათა ნაშრომებს.

§1. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემები პაატა ცხადაიას შრომებში

ონომატოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, აღმავლობა-განვითარების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, თსუ ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, პროფ. **პაატა ცხადაიას** წვლილი. ამ დარგში მას გამოქვეყნებული აქვს 26 ნიგნი, 170-მდე საჟურნალო და საგაზეთო სტატია, სალექსიკონო და საკონფერენციო მასალები.

გეოგრაფიული სახელწოდებების, ანთროპონიმებისა და ზოონიმების ზოგადი, საინფორმაციო ხასიათის ანალიზიც ცხადყოფს, თუ რამდენად ფასეულია ონომასტიკის საკითხებით დაინტრესებულ მკვლევართა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის პაატა ცხადაიას მიერ სავლელე ექსპედიციების გზით, თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში მოპოვებული და ცალკე ნიგნებად გამოცემული ონომასტიკური მასალები. ერის ისტორიის ამ ძვირფასმა ძეგლებმა

შემოგვინახა შორეული წარსულის ამსახველი უამრავი უნიკალური ინფორმაცია, ხოლო პაატა ცხადაიას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ათწლეულების განმავლობაში დაუღალავი და მძიმე შრომით მოძიებულ-მოქუჩებული მარგალიტები დროის ქარაშოტს გამოარიდა და შთამომავლობას მოსავლელად და საპატრონოდ შემოუნახა.

ონომასტიკის დარგში პ. ცხადაიას ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის შეფასებას მიეძღვნა რამდენიმე გამოკვლევა; კერძოდ, რ. შამელაშვილის „მეცნიერული კეთილსინდისიერების ნიმუში“ (ჟურნალი „საქართველოს ბუნება“, მარტი, 1990); ალ. ლლონტის „ნაშრომი კოლხეთის მიკროტოპონიმიაზე“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N96, 1999), იგორ კეკელიას მონოგრაფია „პაატა ცხადაია – ქართველური ონომასტიკის მოჭირნახულე“ (ქუთ., 2017, 436 გვ.), მისივე საჟურნალგაზეთო სტატიები და სხვ.

ამჯერად მიზნად ვისახავთ პ. ცხადაიას ონომასტიკური მემკვიდრეობიდან შეძლებისდაგვარად სრულყოფილად წარმოვადგინოთ მკვლევრის შეხედულებანი აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის საკითხებზე და ამით განვსაზღვროთ მისი თვალსაჩინო წვლილი ონომასტიკური მეცნიერების განვითარებაში.

აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემური საკითხების, კერძოდ, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმის ანალიზი პ. ცხადაიას რამდენიმე ნაშრომშია მოცემული. 1998 წელს დაიბეჭდა ნაშრომი – „აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) თანამედროვე ეთნიკური საზღვარი და სამურზაყანოს ტოპონიმის ზოგი საკითხი“ („ქართველური მემკვიდრეობა“, II, ქუთ., 1998, 300-307; აღნიშნული ნაშრომის თეზისები იხ. კრებულში – „ქუთაისური საუბრები“, IV, ქუთ., 1997).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ XIV-XVI საუკუნეებში აფხაზთა (აფსუათა) და ქართველთა (ეთნოგრაფიულ-ენობრივი თვალსაზრისით – მეგრელთა) ეთნიკურ-პოლიტიკური საზღვარი კელასურ-კოდორის აუზს ემთხვეოდა, რაც დასტურდება მრავალი ქართველი თუ უცხოელი ავტორის ცნობით და კარტოგრაფიული მონაცემებით. XVII ს-ის II ნახევრიდან, ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) გარდაცვალების შემდეგ, აფხაზთა და მათ მონათესავე ტომთა მიერ დაწყებულ კოდორ-ენგურის შუამდინარეთის ინტენსიურ ეთნიკურ ათვისებას მძლავრი ბიძგი მისცა აფხაზ ფეოდალთა მიერ ჩრდილოკავკასიელთა დახმარებით წარმოებულმა სასტიკმა დაპყრობითმა ომებმა. დახოცილ, ტყვედ გაყიდულ თუ განდევნილ მეგრელთა დაცარიელებულ სამოსახლოებზე ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩამოსული აფხაზების დასახლებამ მკვეთრად შეცვალა დემოგრაფიული სიტუაცია. თქმულის საილუსტრაციოდ პ. ცხადაია იმონიებს რუსი ავტორის – ა. დიაჩკოვ-ტარასოვის შემდეგ ცნობას: „აფხაზები ყოველთვის როდი

ბინადრობდნენ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთი-დან და შეავეინროვეს ქართველები“. აფსუაში დარჩენილი მეგრელები სრულად გააფხაზდნენ, ხოლო სამურზაყანოს გააფხაზება, რამდენადაც აქ ძირძველი მოსახლეობა უფრო მდგრადი აღმოჩნდა, ძალიან ნელა მიმდინარეობდა, ხოლო XIX საუკუნისთვის სრულებით შეწყდა (ცხადაია, „ქ. მ.“, II, 1998: 300-301, და იქვე მითითებული ლიტერატურა: თოთაძე, 1995: 31; Анчабадзе, 1960: 26).

ინტერესს იწვევს აფსუათა შორის გავრცელებული გადმოცემა, მოსახლეობისაგან აფხაზეთის დაცარიელების შემდეგ ყარაჩიდან აგრბათა, ადღეობათა, ინაპშბათა წინაპრების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით (*Ломоури*, №3, 1990: 170).

პ. ცხადაიას ნაშრომში დამოწმებული აქვს სამურზაყანოს ტოპონიმიზე მუშაობისას ჩანერილი გადმოცემები ამა თუ იმ გვარის წარმომავლობის შესახებ. ზემო ლუმურიშელი ხანდაზმულის – იასონ ნოჩოს ძე ზუხბაიას გადმოცემით, მისი გვარისკაცი **ჩერქეზები არიან და არა აფხაზები**. მათი ჯინჯიხატი (ფუძის სალოცავი, მთავარი ხატი, ფუძის ხატი) **შაგნოხა ყარაჩშია**. მათი წინაპრების აქ გადმოსვლის ისტორია ასეთია: ლალიძგასა და ენგურს შუა უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანა ნარ-ეკალს და ბალახს დაუფარავს. ხალხი აქა-იქ თუ ესახლა. მურზაყან შარაშია და დადიანი ამ ადგილებს ერთმანეთს ეცილებოდნენ. შეთანხმებულან – ფალავნები უნდა ვაჭიდაოთო. ჭიდაობა გამართულა გუმარაპიტაში, კობორის ქვემოთ. შარაშიას ფალავანს, დიდი ძალ-ღონის მქონე ემხვარს, დადიანის ფალავანი დაუმარცხებია და მისთვის მენჯის ძვალიც ამოუგდია თურმე. მთელი ეს ტერიტორია მურზაყან შარაშიას დარჩენია, მას კი ემხვარისათვის რეჩხი, ლუმურიში და ჩხორთოლი უბოძებია. ამ ემხვარს დედა ჩერქეზი ჰყოლია, წასულა და ჩამოუყვანია დედის ძმისშვილები ქჷნთჷზი და ლანჯსი. ლუმურიშელი ზუხბაიები მათი შთამომავლები ყოფილან. მათზე უწინ ახლომახლო მხოლოდ ქვაჩახია და მელიავა სახლებულან (ცხადაია, 2004: 301; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 246).

სოფ. ხიტუს მუხურში (ქვემო ბარლების თემი) ჩანერილი გადმოცემის მიხედვით, ძმებს – გიორგობეს, თანაფიასა და ცუტუს ყარაჩში (?) მოუკლავთ თავადი ანჩიბაია და გამოქცეულან: გიორგობე მდ. ქირის მარცხენა მხარეს დამკვიდრებულა. მისი შთამომავლები ქართველები, გვარად კიკალები არიან. კვიტოულში დარჩენილი თანაფიას შთამომავლები აფხაზები არიან და კაკალებად იწერებიან. უფრო შორს – გურიაში წასულ-დამკვიდრებულ ცუტუს შთამომავალნი გვარად კიკალებიშვილები არიან (იქვე: 301); 2003 წელს გამოცემულ წიგნში ავტორები – პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა გიორგობეს საცხოვრებელ ადგილად მაბირს მიუთითებენ (ასე ეწოდება ტყეს ქირის მარცხ. ნაპირას), ხოლო მესამე ძმის –

ცუტუს სამკვიდროდ – ჭუბურხინჯს. სხვა გადმოცემით, ყარაჩიდან კიკალიების წინაპარი ხუთი ძმა გადმოსულა. ერთ-ერთი მათგანი კოჩარაში დამკვიდრებულია (იხ. ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 286-287). „საერთოდ, ყველა სამურზაყანოელმა იცის, – წერს პ. ცხადაია, – სადაა მათი წინაპრების „სამშობლო“, სად დადიოდნენ მათი ბაბუები და ჩამადები (ბაბუის ბაბუები) ჯინჯინხატის მოსალოცავად, მერამდენე თაობას წარმოადგენენ თვითონ ისინი მათი გვარის აქ დამკვიდრების შემდეგ“ (იქვე: 301). ეზუგბაიას, ნაყოფიას, ქვაცბაიას, ყოლბაიას, გვაგვალიას, აკიშბაიას, ხუტკუბიას, დოჩიას, ბუთბაიას, აბუხბაიას, გერზმავას, კონჯარიას, ზვამბაიას, ცოხეხიას (წინაპარი – ცვეიბა)... გვარისკაცი აღნიშნავენ, რომ **ისინი ჩამოსულან მდინარე ბზიფსა და გუმისთას შორის მდებარე ისტორიული მხარიდან – ზეფუდან//ბზიფიდან**. ისინი არა მარტო ისტორიულ მხარეს, არამედ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტსაც ასახელებენ. ასე, მაგალითად, **ფსხუდან (ფსხოუ, სხუ)** გადმოხვენილან: თარბაია, გვარამია, არშბა, ქიშმარია, თანია, ფაჩულია, ხაშბა, ჯინჯოლია, ხოლო **ლიხნიდან** – მიქელბაია, ქირთბაია, შარია, ეშბა... (იქვე).

მკვლევარი იმონმებს ალ. ცაგარლისა და ი. ყიფშიძის ცნობებს და ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: როგორც ჩანს, სამურზაყანოში, კერძოდ, ოხურეის სამხრეთით, აფხაზური ენის გავრცელებას ხელს უწყობდა აფხაზთა კუნძულებრივი დასახლებების არსებობა, აფხაზეთიდან გამოთხოვილი ქალები და მწყემსები. ფაქტია, რომ ენგურსა და ოხურეის შუა, სადაც ამჟამად აფხაზთა კომპაქტური დასახლებანი არ არის, მოიპოვება აფხაზური ტოპონიმები, რომელთაც, პ. ცხადაიას თქმით, **აფხაზი მკვლევრები ამაოდ თვლიან აფხაზთა უძველესი განსახლების საბუთად**.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ყველა მდინარე, რომელიც ერთვის შავ ზღვას სამურზაყანოს ტერიტორიაზე, მეგრული სახელწოდებების მატარებელია. მაგალითად, **ლალიძგა, ოქუმი//ოქუმწყარი, ანარია, გაგიდანყარი...** ამ მდინარეთა მთავარი შენაკადების მცირე შენაკადები და მდგენლები აფხაზურ სახელებს ატარებენ, რასაც ზოგი მკვლევარი ამ რეგიონში აფხაზთა აბორიგენობის უტყუარ საბუთად მიიჩნევს. არის კი პირიქით: დიდ მდინარეთა სახელები ათასწლეულებს უძლებს, უძლებს მოსახლეობის ცვლასაც კი, ხოლო მცირე ობიექტები ხშირად იცვლიან სახელებს. პ. ცხადაია ამ დებულებას იოკონიმების (დასახლებული პუნქტის სახელების) მიმართაც განავრცობს. გალის რაიონის 91 სოფლიდან აფხაზურ სახელს ერთი დიდი და ხუთი მცირე სოფელი (უბანი) ატარებს. ეს დიდი სოფელია **აჩიგვარა** „ცხენის საგომი“, ხოლო პატარა სოფლებია: **აკვავერა//აგუა ვარა** „ჩავარდნილი ადგილი“ (ოქუმის თემში), **ლეკუმხარა//ა-ლაკუმჰა** „ხეჭრელი, ლუკუმხა“ (პირველი გალის თემი; სიტყვა მეგრულიდანაა

შესული, მაგრამ ტოპონიმის წარმოება აფხაზურია), **პატრახუნა** (სახელი XIX საუკუნის შუა წლებში გადმოუტანიათ ოჩამჩირის რაიონის სოფელ პატრახუნადან გადმოსახლებულებს), **აკვარიქვა** „შავი წყალი“, **შაშიკვარა** „შაშის ლელე“ და შესაძლოა, **აკვალა** (**პირველი აკვალა** და **მეორე აკვალა** შედის ჭუბურხინჯის თემში). პატრახუნა, აკვარიქვა და შაშიკვარა მდებარეობს ქ. გალის მეზობლად, მისგან დასავლეთით. როგორც ჩანს, ისინი წარმოიქმნენ XIX საუკუნეში, აფხაზთა ე. წ. კუნძულებრივი დასახლების ადგილას. მეგრულ გარემოცვაში ახალმოსახლენი ალბათ, გამეგრელდნენ. ასეა თუ ისე, ოცი წლის წინათ ჩვენ მიერ ამ სამ სოფელში ჩანერილი ასზე მეტი მიკროტოპონიმიდან მხოლოდ ორის წარმომავლობაა დასადგენი: **აბათყუჯრა, ყოჯელი**. ყველა დანარჩენი მეგრულია“ (იქვე: 304).

ყოჯელი, ჩვენი აზრით, იგივეა, რაც **ხოჯალი**. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულია შემდეგი განმარტება: „ხოჯალი მალალი, მძღავრი; ხარიელა; ქვალოჯი“ (ქობალია, 2010: 731).

ოდისისათვის წართმეული ტერიტორიების აფხაზთაგან ინტენსიური ეთნიკური ათვისება XVIII ს-ის დამდეგიდან იწყება. აბჟუაში მეგრელების უმცირესობაში აღმოჩენას მათი სრულად გააფხაზება მოჰყვა. სამურზაყანოს ძირითად ტერიტორიაზე კი (გალის რაიონი), სადაც აფხაზებს კუნძულებრივი დასახლებანი ჰქონდათ, მეგრელებმა შეძლეს ენისა და ადათ-წესების შენარჩუნება. **მხოლოდ ლალიძგა-ოხურეის შუამდინარეთსა და მდ. ოხოჯის ზემოთში, ლალიძგის მარცხენა მხარეს, ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიის ნაწილზე გადის ორი ეთნიკური ერთეულის (აფხაზთა და მეგრელთა) საზღვარი, სადაც შეიქმნა საინტერესო ენობრივ-ტოპონიმიკური სიტუაცია: ზღვისპირა ილორის თემისა და ოხურეის მარჯვენა მხარეს მდებარე ოხურეის თემის, აგრეთვე აგუბედიის თემის რამდენიმე სოფელი და რეკის თემის სოფ. ჯგერიანის მიკროტოპონიმია მთლიანად მეგრულია. ტყვარჩელის სასოფლო თემის (სოფლები: ფოქვეში, აყვარაში, კაციჰაბლა, საჩაჩახალია, ურთა) მცირე ობიექტთა სახელები აფხაზურენოვანია. დანარჩენ სოფლებში (აძხიდა, აჯრა, მეორე კოპიტი, ნარჯხეუ, პატრახუნა, რეკა, საჩინო) გვხვდება ნარევი მიკროტოპონიმია: ან აფხაზური, ან მეგრული, ან კიდევ პარალელური (მეგრულ-ქართული) ვარიანტებით წარმოდგენილი (იქვე: 304-305).**

პ. ცხადაია გალის რაიონის დასახლებული ტერიტორიის გეოგრაფიულ სახელწოდებებში აფხაზური წარმომავლობის ტოპონიმთა წილს პროცენტულად შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: მთისძირა სოფლებში – აგვავერასა და ჩხორთოლოში – 20-23%, ხოლო ზემო ლუმურიშსა და რეჩხში – 10-12%; ერისწყალ-ოქუმის გამყოფ ვაკე-სერზე მდებარე სოფლებში (კოხორა, ლეკუმხარა, ზემო

გალი) – 9%. საილუსტრაციოდ მოცემულია ერთი სოფლის – ზემო ლუმურიშის მაგალითი: სოფელში ჩანერილი ასზე მეტი მიკროტოპონიმიდან 12 აფხაზურია.

მდ. ოხურეიდან სამხრეთის მიმართულებით, ვაკეზე მდებარე სოფლებში აფხაზურენოვანი მიკროტოპონიმია იკლებს. ასე, მაგალითად, ოქუმისპირა სოფლებში მათი წილი მხოლოდ 2-3 %-ს აღწევს. ოქუმსა და გუდავამი 4-4 აფხაზურენოვანი მიკროტოპონიმია ჩანერილი, ხოლო ერისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლებში – ზემო ცხირსა და ზემო ბარლებში – თითო-ოროლა. რაც შეეხება ენგურისპირეთს, აქ არც ერთი აფხაზური ტოპონიმი ჩანერილი არ არის (იქვე: 305).

პ. ცხადაია დაასკვნის: **აფხაზთა სამთავროს პოლიტიკურ-ტერიტორიულმა საზღვარმა კოდორიდან სამხრეთით, ენგურამდე გადაინაცვლა. ეს მოხდა XVII ს-ის დამლევის.**

ტერიტორიების სრული ეთნიკური ათვისების დიდი მცდელობა მაინც წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან **სრული გააფხაზება მხოლოდ აბჟუას შეეხო, ხოლო სამურზაყანოს მკვიდრმა მოსახლებამ შეძლო ენისა და ადათ-წესების შენარჩუნება.** XIX საუკუნიდან მოყოლებული, ეროვნებით აფხაზებსა და ეროვნებით ქართველებს (ეთნოგრაფიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით – მეგრელებს) შორის **საზღვარი ლალიძგის მარცხენა ნაპირას, მდ. ოხურეიმდე გადის** (ზღვისპირა სოფლების გამოკლებით). სამურზაყანოს თანამედროვე ტოპონიმიკური სიტუაციის თვალსაზრისით შემდეგი სურათი გვაქვს: მდინარეები და მათი მთავარი შენაკადები მხოლოდ მეგრულ სახელებს ატარებს, რაც მათი სიძველის მაუწყებელია. სამურზაყანოს მთასა და ზემოთ აღნიშნულ ეთნიკურ საზღვარზე მდინარეთა მცირე შენაკადები აფხაზური სახელების მატარებელია, რადგანაც მოგვიანებითაა წარმოქმნილი. საერთოდ კი, ამ ეთნიკურ საზღვარზე ოიკონიმთა და მიკროტოპონიმთა ერთი ნახევარი აფხაზურია, მეორე ნახევარი – მეგრული. აფხაზები უპირატესად მესაქონლეობას მისდევდნენ, რამაც ასახვა პოვა მთიანი სამურზაყანოს მიკროტოპონიმიაშიც, სადაც აფხაზური ლექსიკა ჭარბობს. სურათი მკვეთრად იცვლება მდ. ოხურეის სამხრეთით, გალის რაიონის ტერიტორიაზე: აფხაზურია ოიკონიმთა მხოლოდ 5%-მდე და მთიან-ბორცვიანი ზონის სოფლების მიკროტოპონიმთა 15-20%. ვაკის სოფლებში, მდ. ოხურეიდან სამხრეთით, აფხაზურენოვანი მიკროტოპონიმთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იკლებს და ენგურის მარცხენა მხარეს არც მოიპოვება. სამურზაყანოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული აფხაზურენოვანი ტოპონიმები სუპერსტრატს წარმოადგენს და ვინაიდან წარმოქმნილია უკანასკნელი 2-3 საუკუნის განმავლობაში, ბუნებრივია, ეს ტოპონიმები შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს ამ რეგიონში აფხაზთა უძველესი განსახლების საბუთად (იქვე: 306-306).

გვართა მიგრაციების დასადგენად საინტერესო ინფორმაციის შემცველი გადმოცემები პაატა ცხადაიას დამატებით აქვს წარმოდგენილი ნიგნში – „**სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია**“, რომელშიც IX თავის სახელწოდებაა „აფხაზთა და მეგრელთა თანამედროვე ეთნოგრაფიულ-ტერიტორიული საზღვარი და ტოპონიმიკური ინტერფერენცია“. ფოქვეშელი ნესტორ ჩერქეზიას ჩამადი (ე. ი. პაპის პაპა) შხანუყვა „ჩერქეზეთიდან“ ჩამოსულა ორ ძმასთან ერთად. თვითონ ფოქვეშში დასახლებულა, ძმები – წარჩესა და ბედიამი. ნესტორი ეროვნებით აფხაზი იყო, თუმცა აფხაზურს ცუდად ფლობდა. დედა მეგრელი ჰყავდა, გვარად ანთია. მეგრული თავისუფლად იცოდა, მაგრამ როცა ეტყოდნენ – მეგრელი ხარ და არა აფხაზიო, ბრაზობდა... საერთოდ, აღნიშნავს პაატა ცხადაია, სამურზაყანოელთა ერთი ნაწილის მიერ წინაპრების საცხოვრისად დასახლებულ რეგიონებს შორის ხშირად ფიგურირებს ყარაჩი და ჩერქეზეთი. სამურზაყანოელები ხშირად ურევენ ერთმანეთში ყარაჩისა და ადიღეს, ყარაჩაელსა და ჩერქეზს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ყარაჩი „დიდი მთების“ იქით მდებარე ქვეყანაა. „დიდ მთებში“ კავკასიონის მთავარი ქედი იგულისხმება. გადმოცემით, სექანიების გვარისკაცი ბარში სამუშაოდ ჩამოსულ სვანებს გაატანდნენ ხურდა ფულს და სთხოვდნენ მის გადაგზავნას ყარაჩში, „ჯინჯიხატის“ მოსალოცად (ცხადაია, 2004: 137-138).

სამურზაყანოს ქართველურ და აფხაზურენოვან ტოპონიმთა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების კვლევას პ. ცხადაიამ სპეციალური ნაშრომი უძღვნა (ცხადაია, კრ. „გიორგი როგავას“, 1997: 191-201).

ვინაიდან ცხუმის სამხრეთით ენგურამდე მდებარე ტერიტორიის ძალდატანებითი ეთნიკური ათვისება მხოლოდ XVII საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან იწყება, პ. ცხადაიას თქმით, ამაზე უწინარეს შექმნილი აფხაზურენოვანი ტოპონიმების ძიებას აბუყუასა და სამურზაყანოში უმართებულოდ მიიჩნევს. შესაბამისად, არ იზიარებს აფხაზი მეცნიერის – შ. ინალ-იფას შემდეგ მსჯელობას: ტოპონიმთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მზიმთის აუზიდან მდ. ენგურამდე მდებარე ტერიტორიის ძირითადი მცხოვრებნი აფხაზი ტომები იყვნენ, ხოლო იმ ფაქტს, რომ ტოპონიმთა „სიმჭიდროვე“ და „მკაფიოობა“ რამდენადმე სუსტდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთის განაპირა ნაწილში, სადაც ქართული გეოგრაფიული სახელების სიჭარბეა, ასე აქვს ახსნილი: ქართული ტოპონიმიკური ლექსიკის ეს შედარებით მცირე ფენა გვიანდელი (შუა საუკუნეების) ხანისაა. ისინი უნდა წარმოშობილიყო აფხაზეთ-საქართველოს გაერთიანებული ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფოს პერიოდში, აგრეთვე იმ დროს, როცა მიმდინარეობდა ბატონყმურ ექსპლუატაციასა და უმიწობას გამოქცეულ მეგრელ გლეხთა სამხრეთ აფხაზეთში მასიური გადასახლება, რასაც უნდა გამოენჯია

გეოგრაფიული ნომენკლატურის შეცვლა (იქვე: 192-193, იქვე დასახ. ლიტ-რა: Инал-Ипа, 1976: 381-382).

პ. ცხადაია იმონმებს ენგურ-კოდორის შუამდინარეთის ისტორიულ ტოპონიმებს, რომლებიც დადასტურებულია ქართულ და უცხოენოვან ნაშრომებში, საეკლესიო საბუთებსა და რუკებზე. ეს ტოპონიმებია: **სათანჯო, ჟირპიჯი, სუჯონა, ხვითი, სიდა, შეშელეთი, ნამხარი, გაგიდა, ჩხორთოლი, გუდავა, ერწყარი, ოქუმი, ლალიძგა, ჯოყობანყარი, ნარჩე, საჩინო, რეკა, ბეღია, მოქვი, სათამაშია** და სხვ. არც ერთი ეს ტოპონიმი დამაჯერებლად აფხაზური ენის მეშვეობით არ აიხსნება. ამასთანავე, დასძენს პ. ცხადაია, სამურზაყანოში, ლალიძგის მარცხენა ნაპირას (ოჩამჩირის რაიონის სოფლებში) და გალის რაიონში მოიპოვება XVII ს-ის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილი აფხაზური ტოპონიმები. მათი გაჩენა უკავშირდება ამ ტერიტორიაზე აფხაზების დამკვიდრებას. ამკარად **აფხაზურენოვანია** აგუბედიის, ილორის, ოხურეის, რეკის, ტყვარჩელის, ფოქვეშის თემების სოფლის სახელები: **აძხიდა, ახეცარა, აჯრა, პატრახუნა, აყვარაში** (ალბათ, მეგრული „ჩელალის“ თარგმანია), **ატიშადუ, აყვარჩაფანი, კაციჰაბლა...** ამკარად **მეგრული წარმომავლობისაა: ნარჯხეუ, ოხოჯა, ქვალონი, ილორი, ზენი, ნაგვალოუ, ოხურეი, სუკი, ილორგანი, საჩინო, რეკა, ჯგერიანი** (ჯგერი მარიამი „წმინდა მარიამი“), **ტყვარჩელი, ფოქვეში, საჩაჩხალია.**

გალის რაიონის ცხრა ათეულამდე სოფლიდან აფხაზურ სახელს ატარებს მხოლოდ რამდენიმე: აჩიგვარა, აგვავერა, ლუკუმხარა (სიტყვა **ლუკუმხა** „ხეჭრელი“ მეგრულიდანაა შეთვისებული აფხაზურის მიერ), პატრახუნა, შაშიკვარა, აკვარიქვა. დანარჩენი სახელწოდებანი ქართველური წარმომავლობისაა (ძირითადად მეგრული). აფხაზური სახელწოდების მქონე სოფლებში ძირითადად ქართული მოსახლეობაა. ქ. გალის დასავლეთით, ერთმანეთის მეზობლად მდებარე სამ სოფელში – პატრახუნაში, შაშიკვარასა და აკვარიქვაში, როგორც ჩანს, აფხაზებს ე. წ. კუნძულებრივი დასახლება ჰქონდათ, რაზეც შემორჩენილი გადმოცემებიც მიუთითებს. სამივე ეს სახელწოდება უნდა წარმოქმნილიყო არა უადრეს XIX ს-ის შუა წლებისა. სამურზაყანოს ბარში აფხაზური ცალკეული მიკროტოპონიმების გაჩენა დაუსახლებელი ადგილების აფხაზთა მიერ საძოვრებად გამოყენებას უკავშირდება. თქმულის საილუსტრაციოდ პ. ცხადაია იმონმებს ერწყარის მარჯვენა მხარეს, მახუნჯიის ნაპირებზე მდებარე, გაშლილი ვაკე-სახნავეების სახელწოდებას – **ბოშინეგლართა**. პარალელური სახელწოდებებია: **ბოშლაგლართა // ბოშიაგლართა** – ა-გლართა (აფხ.) „სადგომი“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 47). ამ ადგილას აფხაზი მწყემსი, ბოშინე მდგარა თავისი საქონლით.

სამურზაყანოს მთებში საძოვრებისა და მცირე მდინარეთა სახელები ძირითადად აფხაზურია. ლალიძგის ზემო დინებისა და ენგურის ხეობის წყალგამყოფი აკიბის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში ადგილთა სახელწოდებანი თითქმის მთლიანად მეგრულია, რადგან საქონელს, ძირითადად, საბერიოს, ლუკუხონის, რეჩხის, ლუმურიშის, ოქუმის მეგრული მწყემსები მიერეკებოდნენ. ამ ქედის დასავლეთ ნაწილში მდებარე საძოვრებზე საქონელი დაუდით ჩხორთოლის, ბედიის, ფოქვეშისა და აბჟუის სოფლების აფხაზ მწყემსებს და, შესაბამისად, მიკროტოპონიმიაც აფხაზურია. „აფხაზ მწყემსებს აკიბის ქედის მეტი ტეროტორია ეკავათ, რაოდენობრივადაც მეტნი იყვნენ, – აღნიშნავს პ. ცხადაია, მეტი თიფუც (ბინა) ჰქონდათ და მთებსაც, საძოვრებსაც, ხევებსა თუ წყარო-ნაკადულებს უმეტესად აფხაზური სახელები შეერქვა (არაა იშვიათი ჰიბრიდული – მეგრულ-აფხაზური მიკროტოპონიმებიც). ამ რეგიონის მეგრულ მწყემსთა ლექსიკაშიც უხვად შეიჭრა აფხაზური სიტყვები“ (იქვე: 199).

მკვლევარს ნიშანდობლივად ეჩვენება ის გარემოებაც, რომ სამურზაყანოს დიდ მდინარეთა და მათი მეტად თუ ნაკლებად დიდი შენაკადების სახელები მეგრულია (ლალიძგა, ოქუმი, ერწყარი, ოხოჯა, ნარჩე, ოჯოლორე, ანარია, ნიშონი, ქვიშონა, ოტაფი...). მათი მცირე შენაკადები კი, ძირითადად მთაში, უპირატესად აფხაზურ სახელებს ატარებს; მაგალითად, მიკროჰიდრონიმებია: აბზაკვარა, არაშკვარა, აპაპკვარა, აპუგარა, აფსრაკვარა, აშთჯრცა, აჩაღარა, ახვანკვარა, ბაქალძინი, მარშანკვარა, ათუაძარა, ალრა, ყვარათბა, აშანაკვარა, აცვღმუა, კუზაიკვარა, აძხიდა. მთლიანად აფხაზურია ლალიძგის ზემოთის შენაკადთა სახელები.

ზემოთ აღნიშნული გარემოება, პ. ცხადაიას აზრით, ადასტურებს ზოგადტოპონიმიკურ კანონზომიერებას, რომელზეც მსოფლიოში ცნობილი მრავალი მეცნიერი მიუთითებს: დიდ მდინარეთა სახელები არ იცვლება დიდი ხნის განმავლობაში, უძლებს ათასწლეულებს და მოსახლეობის ცვლას, ხოლო მიკრომდინარეთა (საერთოდ, მიკროობიექტთა) სახელები ადვილად შეიცვლება შეიცვალოს (იქვე: 200).

აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევის თვალსაზრისით უაღრესად ფასეული ინფორმაციის შემცველია პ. ცხადაიას მიერ 2004 წელს გამოცემული მონოგრაფია „**სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია**“. წიგნი შედგება წინათქმის, შესავლის, ცხრა თავისა და დასკვნებისაგან.

ნაშრომის შესავალში მკვლევარს მიზნად დაუსახავს სამურზაყანოს ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა არსებული წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. **სამურზაყანო** ისტორიული მხარის სახელწოდებაა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში.

გვიან შუა საუკუნეებში (XVII-XVIII სს. მიჯნა) ჩამოყალიბებული აღნიშნული პოლიტიკური ერთეული თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ძირითადად, მოიცავდა ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორიას. მას შემდეგ, რაც ეს ერთეული მემკვიდრეობით ერგო მურზაყან შერვაშიძეს, მხარესაც მისი მფლობელის სახელის მიხედვით სამურზაყანო ეწოდა.

საინტერესოა მკვლევრის მსჯელობა ძველ აფხაზურ წარმართულ სალოცავთა შორის გამორჩეულ **ლაშქინდარსა** და **შაგუნახაზე**. ლაშქინდარი//ლაშქენდარი ეწოდება ლალიძგის მარცხენა მხარეს მდებარე მთას. სწორედ ამ მთისძირშია განლაგებული სოფლები – ტყვარჩელი და აძხიდა. „ლაშქინდარის ხატი“ დაკავშირებულია მთაზე შემორჩენილ, დღემდე შეუსწავლელ ტაძრის ნანგრევებთან. პ. ცხადაია იმონმებს გასული საუკუნის 70-იან წლებში მეგრულის მცოდნე აფხაზი ინფორმატორის საინტერესო ცნობას: ლაშქენდარნჯხა და ილორნჯხა ყველაზე ძლიერი ხატებია აფხაზეთში. ლაშქენდარის ხატიც ერქვა და ყულიშკარის ხატიც. ლამით ყულიშკარიდან გამოფრინდებოდა რაღაც ნათელი, სხივების ფრქვევით გადაუფრენდა ლაშქენდარს და მიემართებოდა ფსხუს ხეობისაკენ“ (იქვე: 36).

სხვა ინფორმატორის ცნობა: „ლაშქინდარი ხატია, მოსული ფანავიდან, რაც ჯგერდის იქითაა. ხშირად უნახავთ, თუ როგორ წამოვიდოდა სინათლე ფანავიდან დიდი ხმაურით, გადმოუფრენდა ლალიძგის გაღმა მდებარე მთა აისჯრრას და ლაშქინდარის ჯიხასთან გავარდებოდა“; ან კიდევ: ახლომახლო ორი ძლიერი ხატი იყო – ყულიშკარის ხატი და ლაშქინდარის ხატი. ყულიშკარის ხატი ესვენა ტყვარჩელის ეკლესიაში, რომელიც იდგა ამჟამინდელი რკინიგზის სადგურის ადგილას. ლაშქინდარის ხატი კი მალალ მთაზე იყო, სადაც მწყემსთა გზა გადიოდა. მწყემსები აქ აუცილებლად აღავლენდნენ ლოცვა-ვედრებას...“ (იქვე: 36-37).

გარკვეულია, რომ **ლაშქინდარ** სვანურად ნიშნავს „სამჭედლოს“. რაც შეეხება ხატის სახელებს – **ლაშქენდარნჯხა** და **ილორნჯხა** (შდრ.: ყულიშკარიშ ხატი, ილორიშ ხატი, ქიაჩიშ ხატი, ჯეგემარიშ ხატი და მისთ.), პ. ცხადაია იმონმებს ოქუშელი და ჩხორთოლელი ზუხბაიების ნაამბობს, რომ შაგუნჯხა დიდი მთების იქიდან, ყარაჩიდან გადმოუტანიათ მათ წინაპრებს, მას შემდეგ, რაც სამურზაყანოს დაცარიელების ამბავი გაუგიათ და აქ გადმობარგებულან (იქვე).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ გეოგრაფიულ სახელებთან სიტყვა-წარმოებითი ძალის მქონე **-ის** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მეგრულ-ჭანური შესატყვისია **-იშ**. მეგრულსა და სვანურში ხშირია გეოგრაფიულ სახელთა **-იშ//იში** სუფიქსით წარმოება. საერთო-ქართველურ ფუძეენას თავდაპირველად გამოეყო არა სვანური, არამედ ქართული ენა, ხოლო სვანურ-ზანური ერთობა დიდხანს გრძელდებოდა (ქურდიანი, „ქუთაისური საუბრები“, III, 1996). თუ ეს ასეა, პ.

ცხადია აზრით, „-იმ//“-იში სუფიქსი შეიძლება ჩაითვალოს საერთო ზანურ-სვანურ სიტყვანარმოებით ელემენტად. არც ისაა გამორიცხული, „სვანურ-ზანური ერთობა“ მეორეული იყოს – შედეგი ენობრივი ინტერფერენციისა კოლხეთის ბარის გარკვეულ ნაწილზე... თუკი „სუანო-კოლხებს“ ჩავთვლით კოლხებთან, ე. ი. ზანებთან ასიმილირებულ სვანებად (ან პირიქით), სწორედ მაშინ გვექნება მეორეული ზანურ-სვანური ერთობა, რაც აგრეთვე ახსნის მრავალ ზიარ ფაქტს ამ ორ მონათესავე ენაში, მათ შორის -იმ//“-იში სუფიქსის არსებობას“ (იქვე: 35).

აფხაზი მკვლევრები გეოგრაფიულ სახელებში – **ტამიმ-, დლამიმ-, თოუმიმ-, ნკირიმ-** და სხვ., გამოყოფენ ადიღურ-ჩერქეზულ ტოპონიმურ სუფიქსს – **-შ** (Бражиа, 1964: 267). შალვა ინალ-იფა ტოპონიმთა ამავე რიგში ასახელებს **ტამიმს** (აფხ. **ტამშ**), **ფოქვეშს** (აფხაზ. **ფაქუაშ**), **ლუმურიშს** (აფხაზ. **ლუმრიშ**) (Инал-Ипа, 1976: 379). შესაძლოა, რომ ტოპონიმთა ამ -შ დაბოლოებას მკვლევარი -ფშ ელემენტის ვარიანტად თვლიდეს. მაშასადამე, დასძენს პ. ცხადია, აფხაზ მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ **ფოქვეში** და **ლუმურიში** აფხაზურენოვანი ტოპონიმებია, **ნკელკარი** აფხაზური **-ანკარის** მეგრული გაჟღერებაა, ხოლო **ერწყარი** რთული აფხაზური ტოპონიმის პირველი ნაწილის შეთვისებისა და მეორე ნაწილის გადათარგმნის გზითაა წარმოქმნილი (ცხადია, 2004: 27-28).

-იში სუფიქსის შემცველია XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის რუკაზე დატანებული ორი ტოპონიმი: **სუბეიში** და **თხეიში**.

ერთისნაწილსა და ენგურს შორის ლამბერტს დატანილი აქვს კიდევ ორი პუნქტი – **Tcheis** და **Lethais**. თ. ბერაძე და ბ. ხორავა შენიშნავენ, რომ მათი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება. თვით დასახლებულ პუნქტებს შემდეგნაირად კითხულობენ: **ციეში** და **ლეტაიში** (ბერაძე, ხორავა, კრ. „ქ. ო.“, VI, 2013, 112).

პ. ცხადიასა და ვ. ჯოჯუას ვარაუდით, ლამბერტისა და ე. ნ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ ერისწყლის მარცხენა მხარეს, დაახლოებით ერისწყალთან, კეიშის შესართავის პირდაპირ დატანილ Tcheis-ში უნდა იგულისხმებოდეს კეიში. ასე ეწოდება რეჩხინყარის მარჯვენა შენაკადს და მის ხეობას. სათავეს იღებს ჰარუაში და ამჟამად გალის წყალსაცავში ჩაედინება. კეიშის მარჯვენა მხარეს მდებარეობს გალის რაიონის სოფლები – ცხირი და ფართოლალი, მარცხენა მხარეს – რეჩხი (ცხადია, ჯოჯუა, 2003: 80).

ლამბერტის რუკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ პუნქტი **Tcheis**, უფრო ზუსტად, ერისწყლის (Heti-scarl Fl.) მარცხენა მხარეს და სათავესთან ახლოს არის დატანილი, რაც მეტყველებს შემდეგი თვალსაზრისის სასარგებლოდ: არქანჯელო ლამბერტისეული **Tcheis**, ჩვენი აზრით, უნდა ნავიკითხოთ არა როგორც **ციეში** ან **კეიში**, არამედ როგორც **თხეიში**. ასე ეწოდება მდინარეს, ხაიშურის ზემო დინებას მესტიის რაიონში. პარალელური სახელწოდებაა **თხეიშურა**. **თხეიშიძე**

მთაა ეგრისის ქედზე, მესტიის რაიონში (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987: 49). თხეიმის ხეობა ზანდალაკის//ზანდარაკის//რკინისჯვრის უღელტეხილით (სი-მალლე 2758 მ) უკავშირდება მაგანის ხეობას (წალენჯიხის რ.). თვით ზანდალაკი კლდოვანი მთაა დიდლალიშდუდის გვერდით, ეგრისის ქედზე (ქსე, IV, 1979: 481). ერწყარი ოქუმის მარცხენა შენაკადს წარმოადგენს (ქსე, III, 1978: 642; ცხადაია, 2004: 33). ერისწყალი//ერწყარი სათავეს იღებს **ერთიშში**. ასე ეწოდება ხეობას და ტყე-საძოვრებს გალისა და წალენჯიხის რაიონების საზღვარზე. მდინარის ზემონელი ამ ორი რაიონის საზღვარს წარმოადგენს. ლამპერტის მიერ Tcheis-ის აღნიშვნა ერისწყლის სათავესთან და მისი შედარება თანამედროვე კარტოგრაფიულ რუკებთან დაახლოებით ემთხვევა მესტიის რაიონის **თხეიმის** მდებარეობას.

თხეიმის ლოკალიზაციისა და ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით საყუ-რადღებოა ბედიის გულანის ერთ-ერთი მინანერი, სადაც ვკითხულობთ: „ბე-დიელი მიტროპოლიტი მხეიძე ნიკოლოზ. შემოგწირე... უყამიში ბუკუჩავა: მისი ცოლ-შვილითა: და: ყმითა: და რისაც მქონებელი იყოს... ამას გარეთ ტყეშის და-კარგული ამოვიღე ხვიჩაშათი, მისის ცოლშვილითა, ერთი ცოლ-ქმარი კაცი გუ-დავას ბიძლუა ბაიღია შემომინირავს სულის დასაოხად...“ (კალანდია, 2004: 91). გულანში მოხსენიებული ნიკოლოზ მხეიძის ბედიელობას ისტორიკოსი გიორგი კალანდია XVII ს-ის I ნახევრით ათარიღებს (იქვე: 91, 97). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ბედიის ეპარქიაში შედიოდა ტყეშიც.

ვახუშტის ცნობა, რომ ბედიელის სამწყსო მოქვისწყალსა და დადისწყალს (ერისწყალს) შორის იყო მოქცეული, რეალური ვითარების ამსახველად შეიძლე-ბა ჩაითვალოს. ტერიტორიულად ბედიელის სამწყსოში შედიოდა ოქუმწყარის, ოხურ(ე)წყარისა და ლალიძგის ხეობები, ილორის ცნობილი ეკლესია, აგრეთ-ვე სოფლები: ოხურეი/ოხური (გვიანი შუა საუკუნეების საისტორიო წყაროების ხოირი), ფოქვეში, ფუნყური, რეკა, საჩინო, ლალიძგა (ახლანდ. ბესლახუბა), სუბეში (ახლანდ. აჩიგვარა), ოქუმი, ბეღია, ჩხორთოლი, ლუმურიში, მუხური, წარჩე, თხეიში//ტყეიში და სხვ. ეპარქიის ტერიტორია, ჩრდილოეთით, სავარაუ-დოდ, მოქვისწყლისა და ლალიძგის სათავეებამდე, ხოჯალის მთისკალთებამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით – ხაიშურის ხეობამდე (მსჯე-ლობისათვის იხ. კეკელია, კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VII, თბ., 2015: 142-144).

პ. ცხადაია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ონომასტიკაში ცნობილია განმეორებად დაბოლოებათა ოდენ ანალიტიკური გზით გამოყოფი-სა და მათი სადერივაციო მორფემებად მიჩნევის მეთოდი, მაგრამ ეს მეთოდი

ეფექტური არ არის, რადგანაც ეტიმოლოგიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ეტიმონის დადგენას ენიჭება (ცხადაია, 2004: 38-39).

შ. ინალ-იფა აფხაზურენოვან ტოპონიმიაში გამოყოფილი -ალ//ულ სუფიქსიანი წარმოების ანალიზისას მაგალითად ასახელებს ტოპონიმებს: გალი, დალი, ჯალი, ამტყელი (აფხაზ. ამტყალ), ხოჯალი (აფხაზ. ხუაჯალ), ჩხორთოლი (აფხაზ. ჩხუართალ), ტყვარჩელი (აფხაზ. ტყუარჩალ), მერხეული და სხვ. (Инал-ипа, 1976: 378).

პ. ცხადაიას საჩოთიროდ და სასურველის სინამდვილედ წარმოდგენად ეჩვენება **დალი, ფალი, გალი, ჯალი...** ტოპონიმებში -ალ სუფიქსის გამოყოფა მაშინ, როცა არც მისი მნიშვნელობა ვიცით და არც დარჩენილი თანხმონითი ნაწილისა (იქვე: 39).

ზოგი მკვლევრის მიერ აფხაზურენოვან სახელად ჩათვლილი ტოპონიმი, პ. ცხადაიას თქმით, სინამდვილეში ქართველური წარმომავლობისაა და მათგანაა მიღებული აფხაზური ვარიანტები. სხვა გეოგრაფიული სახელების ანალიზითაც დასტურდება, რომ მეგრელები ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთის ძირძველი მოსახლენი იყვნენ დიდი ხნით ადრე, ვიდრე გაჩნდებოდა სახელწოდება „სამურ-ზაყანო“. მკვლევარი აშკარად ქართველური (ძირითადად მეგრული) წარმომავლობის ტოპონიმთა რიგში განიხილავს ოქუმს, შეშელეთს, წარჩეს, საჩინოს, რეკას, მუხურს, ფუნყურს, ჯოჰობანყარს, სათანჯოს, პაპათს, ლეტაიშს, კადარს, ხვითს, ნიფურისას, ოტობაიას. ზოგი მათგანი მოიხსენიება წერილობით და კარტოგრაფიულ წყაროებში (ცხადაია, 2004: 47-60).

გამოკვლევის მესამე თავში პ. ცხადაია განიხილავს ორ ტოპონიმს, რომლებიც აღნიშნულია თეატინელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“. ეს ტოპონიმებია: Sugiona და Jirpiji. პირველი მათგანი ლამბერტს Heti-scari-ს (ერისწყლის) ორ სათავე-მდგენელს შუა აქვს მითითებული და პ. ცხადაიას მოსაზრებით იგივეა, რაც ზანური ჰიდროგრაფიულ-ოროგრაფიული ტერმინი **ჟირპიჯი** – „ორპირი“. ადგილის სახელწოდების მოტივაციის საფუძველი თვალშისაცემი ნიშანი უნდა იყოს – ორი მდინარის შეერთების ადგილი – ჟირპიჯი, ჟიპიჯი, ჟრზპიჯი. „ორპირი“ ლელე-მდინარეთა შესართავის აღმნიშვნელი უძველესი მეგრული ტერმინია. პიჯი „პირი“ ამ კომპოზიტებში მეტაფორულად აღნიშნავს ლელეს, მდინარეს (და არა ნაპირს). „ცხადაია, ლამბერტის Girpiji არის ზანური **ჟირპიჯი** „ორპირი“, – დაასკვნის პ. ცხადაია, – ერთ დროს მთელ კოლხურ ზღვისპირეთში გავრცელებული გეოგრაფიული ტერმინი: იტალიურში გგრაფემა i ხმოვნის წინ იკარგება, როგორც – ჯ (თუ თავის მხრივ, გი კომპლექსს არ მოსდევს a, o, u), მეორე მხრივ, იტალიურში ჟ ბგერა არ მოიპოვება და უცხო სიტყვებში მასაც გგამოხატავს (მდრ. Giraffa „ჟირაფი“). მაშასადამე, არქანჯელო

ლამბერტისეული Girpiji არის მთელ კოლხურ ზღვისპირეთში გავრცელებული გეოგრაფიული ტერმინი „ჟირპიჯი“, ანუ ორპირი“ (იქვე: 66; განსხვავებული მოსაზრებისათვის იხ. ხვისტანი, „ს. ძ.“, 2, თბ., 1999: 240; შენგელია, XXIII სამეცნ. სეს. მასალები, 2003: 68).

ერისწყლის სათავესთან, მთისძირას, ორ მდგენელს შუა და მიმდებარე ბორცვებზე გაშლილი სოფლის ამჟამინდელი სახელწოდებაა **ჟირლალიშქა** – „ორღელეშუა“ (ადგ. ვარიანტი: ჟირთომიშქა), რაც ლეკუხონის საკრებულოშია, „როგორც ჩანს, – ნერს პ. ცხადაია, – XVII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზთა მიერ გადამწვარ-გადაბუგულ სოფელში რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაბრუნებულმა ახალმა თაობამ სოფლის სახელდებისათვის ისევ და ისევ თვალსაჩინო სამოტივაციო ნიშანი გამოიყენა – ორი ღელის შეერთება. ამან გამოიწვია ჟირპიჯის („ორპირის“) შეცვლა ჟირლალით („ორღელით“) და წარმოქმნა სოფლის სახელწოდებისა – ჟირლალიშქა – „ორღელესშუა“ (იქვე: 67).

ჩვენი აზრით, არც ის არის გამორიცხული, რომ ჟირპიჯი და ჟირლალი ერთი და იმავე ობიექტის პარალელური და თანადროული სახელწოდება ყოფილიყო.

ლამბერტის რუკაზე ენგურის მარჯვენა ნაპირას აღნიშნული სოფელი **Su-giona**, პ. ცხადაიას მოსაზრებით, სინამდვილეში არის არა **სუჯიონა**, ან სუგიონა, არამედ **სუჯონა** (იტალიურში **gio** იკითხება, როგორც – **ჯო**. შდრ. Giovane ჯოვანე „ახალგაზრდა“). ცოცხალ მეტყველებაში ვერმოღწეული ტოპონიმი სუჯონა, ფიქრობს მკვლევარი, – „ცვარნამიან ადგილს“ უფრო ნიშნავს, ვიდრე „სუროვანს“, ვინაიდან მეგრულში დადასტურებული **სუნჯი//ცუნჯი** ძირი (6 განვითარებულია) ქართული ცუარ//ცურ „ცვარი“ ლექსემის მეგრული შესატყვისია (იქვე: 69-70). შდრ. ო. ქაჯაია: **სუნჯი** იგივეა, რაც **სუნდი, ცუნჯი** – ცვარი, ნამი (ქაჯაია, II, 2002: 618). **ცუნდი//ცუნჯი** ნამი, ცვარი; **ცუნდელ/რ-/ი//ცუნჯერი** „ნამიანი“; **ცუნდუა, ცუნჯუა** „[და]ცვარვა, [და]ნამვა“ (მისივე, III, 2002: 358). ა. ქობალიას განმარტებით, სუნჯი ნიშნავს „ცვარს, ნამს; თრთვილს; **სუნჯიმ მაშაყარალი** იგივეა, რაც „ნამიკრეფია“; **სუნჯუა** „ცვრევაა, ცვარვაა, ნამვაა“ (ქობალია, 2010: 597). **ცუნდი//ცუნჯი** ლექსიკოგრაფის მიერ განმარტებულია, როგორც „ცვარი“; **ცუნდუა** „ცვარვა“, ხოლო **ცუნდ-შიმორი** „ნესტი, ცვარ-ნამი“ (იქვე: 685).

გამოკვლევის IV თავში პაატა ცხადაია განიხილავს აფხაზური ტოპონიმის – **აფსჰა იძიხ** – ეტიმოლოგიას. შ. ინალ-იფას განმარტებით, იგი აღნიშნავს „აფხაზეთის მეფის წყაროს“ და იმის მაუწყებელია, რომ აფხაზები XVII ს-ის II ნახევარამდე, ჯერ კიდევ აფხაზთა სამეფოს ეპოქაში, ბინადრობდნენ კოდორის აუზიდან მნიშვნელოვნად სამხრეთით, მდ. ენგურამდე (ინალ-იფა, დასახ. ნაშრომი: 218). აფხაზი მკვლევრის – ვ. ფაჩულის დაკვირვებით, „საიდუმლოები-

თაა მოცული სახელწოდება აფსჰა იძიხი, რაც დარქმევია სოფლის მახლობლად მდებარე წყაროს. გადმოცემის თანახმად, ამ წყაროსთან რამდენიმე დღით გაჩერებულა სამეგრელოში მიმავალი დედოფალი აფხაზეთისა“ (Пачулия, 1976: 155).

შ. ინალ-იფა აცხადებს, რომ სოფ. კუტოლში წყაროს ეწოდება **აფსხა იძიხ**. აქ, თითქოს, აფხაზეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია ყოფილა (ინალ-იფა, დასახ. ნაშრომი, 409). აფსჰა იძიხ წყაროს სახელად პ. ცხადაიას ჩაუნერია აგრეთვე სოფ. კაციჰაბლაში, საკოზმას უბანში. ტოპონიმის პარალელური სახელწოდებებია **აკანტორაძიხ// ალასაძიხ**. აძეხი – აფხაზურში, მართლაც, წყაროს აღმნიშვნელია, ხოლო **ა-ფსჰა** არ ნიშნავს აფხაზეთის მეფეს. საკუთრივ აფხაზებს ხომ მეფეც არ ჰყოლიათ. ამ უხერხულობას შ. ინალ-იფაც გრძნობს და შენიშნავს: აფსჰა აფხაზების მიერ მშობლიური ენის ბაზაზე შექმნილი აფხაზური გამობატვავა ცნებისა – მეფე. იგი დღემდე გამოიყენება „აფხაზეთის მეფის“ (და არა „მფლობელის“) მნიშვნელობით და რომელიც, უეჭველია, დაკავშირებულია აფხაზთა სახელმწიფოს წარმოშობასთან. პირველი „აფსჰა“ ალბათ, ლეონ II იყო, რომელმაც გააერთიანა საკუთრივ აფხაზები (Инал-ица, 1976: 409). პ. ცხადაიას მართებული გააზრებით, აფსჰა იძიხ – ზანური „მაფანყარის“ აფხაზურ თარგმანს წარმოადგენს. ქართულსა და ზანურში ცნება „მეფის წყარო“ (იშვიათად, „დედოფლის წყაროც“) გამორჩეული, უხვდებიტიანი წყაროს (ე. ი. ვოკლუზის) ეპითეტი. მაშასადამე, **მაფანყუ** და მისი ვარიანტები, ისევე, როგორც ლექსემა მეფისწყარო, უძველეს დროში გამოიყენებოდა არა პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით: იგი გამორჩეული, საუცხოო, უხვდებიტიანი წყაროს (ვოკლუზის) ეპითეტი იყო. აფხაზურში აფსჰა იძიხ-ს არ მოეპოვება ის გადატანითი მნიშვნელობა, – დაასკვნის პ. ცხადაია, – რაც მას ქართველურ ენებში აქვს. სამურზაყანოში წყაროს სახელად დამონშებული აფსჰა იძიხ, აშკარაა, მეგრულ-ჭანური „მაფანყარის“ თარგმანს (კალკს) წარმოადგენს და წარმოქმნილია არა უადრეს XVIII საუკუნისა, ე. ი. ამ რეგიონში აფხაზთა დამკვიდრების შემდგომ პერიოდში (იქვე: 75-76; მისივე, XVII სამეცნ. სესია, 1997: 35-36).

გამოკვლევის VI თავია „სამურზაყანოს აბორიგენული ტოპონიმის ლექსიკა“. პ. ცხადაიას შეხედულებით, ტოპონიმთა ერთი ნაწილის ახსნა შესაძლებელია უკვე მივიწყებული ან თითქმის მივიწყებული მეგრული სიტყვებით, რაც მათ სიძველეზე მიუთითებს. ასეთი ტოპონიმებია: რეფი, რეჩხი, ცხირი, დიხაგუძუბა, დიხაზურგა, ვეშკუდელი, ხუმენი, მუხური და სხვ. **რეფი** და **რეჩხი** მეგრულში მშრალ, ქვაგანარადგილებს ეწოდება. **ცხირუა** თხლად, მეჩხრად ღობვას ნიშნავს. ამჟამად ცხირუას ეტყვიან დასობილ მესერზე მავთულის გაჭიმვას გარკვეული ტერიტორიის შემოსასაზღვრავად. გალის რაიონში მდებარე სოფლისა და თემის ცენტრის სახელწოდება **ცხირი** სემანტიკურად უკავშირდება მეჩხრად ღობვას.

უძველეს დროშივეა წარმოქმნილი ოიკონიმები – **ნარჯხეუ, ლეჭარაიე** და **ლეცეტიე**. ნარჯხეუს თავდაპირველი ფორმა, პ. ცხადაიას აზრით, ნაჯიხუ „ნაციხარი“ უნდა ყოფილიყო. სოფელში, მაღალ გორაზე, მართლაც არის შემორჩენილი ძველი ნაციხარი. სახელწოდებები – ლეჭარაიე და ლეცეტიე მიუთითებს, რომ ამ სოფლებში ოდესღაც ქარაიებსა და ცატავეებს უცხოვრიათ. უძველესი კოლხური ტოპონიმებია აგრეთვე **ლიო** და **ოლიე**. ამ ორ სახელწოდებას შემოუნახავს ძველი ქართული სიტყვა **ლია** – „ლამი, ღრმა ტალახი, საფლობი“ (**ქეგლ**). შდრ. ლია – სოფელი ნალენჯიხის რაიონში.

უძველესი ზანური ტერმინები **დინაგუძუბა** და **დინაზურგა** აღნიშნავს მინაზვინულებს, გორა-ნამოსახლარების ერთ-ერთ უძველეს სახეობებს. გალის რაიონში სოფლებს ეწოდება დინაგუძუბა და დინაზურგა. აქვე დასტურდება ტოპონიმები – **დიდი დინაგუძუბა//ფართო დინაგუძუბა, ჭიჭე დინაგუძუბა, დინაგუძუბა, დინაზურგა** და ა. შ. „გუძუბა, ზურგა და კურზუ ბორცვის აღმნიშვნელი თითქმის სინონიმური ლექსემებია. სუბსტანტიური მსაზღვრელი **დინა** – „მინა“ საზღვრულ კომპონენტ ბორცვს, ალბათ, მაშინ სჭირდებოდა, როცა იგი ხელოვნური იყო, ე. ი. მინაყრილს წარმოადგენდა. მაშასადამე: დინაშ გუძუბა → დინაგუშ(უ)ბა, დინაშ ზურგა → დინაზურგა, დინაშ კურზუე → დინაკურზუე. აღსანიშნი ობიექტები ვაკე-ბორცვებია, თავმოვაკებული შემაღლებებია. რა თქმა უნდა, ისინი გვხვდება ზღვისპირა ვაკეში და მთიანი სამეგრელოს მდინარისპირა ჭალებში“ (იქვე: 106).

ძველი (და ახალი) ქართულის კუთვნილება **ველი**, პ. ცხადაიას დაკვირვებით, მეგრულში შემონახულია **ვე** ფორმით. ტოპონიმურ მასალაზე დაკვირვებით და მეგრულის კარგად მცოდნე ხანდაზმულთა განმარტებების გათვალისწინებით, პ. ცხადაიამ დაადგინა, რომ **ვე** არის არა ყოველგვარი მინდორი, არამედ პატარა მინდორი ტყეში. სამურზაყანოში **ვე** ლექსემის შემცველი ოიკონიმია **ვეშკუდელი**. გვხვდება აგრეთვე მიკროტოპონიმები: **ვეშკუდელი, ვე, ვერჩე, დიდვე, ბიაშვე // ბიაშური**.

ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიცია ჩანს ტოპონიმებში – **ყუმურხულა** – „გამხმარი ტყემალი“, **ღალხუმლა** – „მშრალი ღელე“, **ჭყონხუმლა** – „გამხმარი მუხა“, **ნეძ(ი)ფარა** – „ღრუ კაკალი“, **მამულკვათილი** – „გაკაფული ბალ-ვენახი“, **ჭყონკაკირი** – „ნაჭდევი მუხა“ და სხვ. ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიციურობა ქართველურ გეოგრაფიულ სახელწოდებათა სიძველის ერთ-ერთი უძველესი ნიშანია (იქვე: 109-110).

პ. ცხადაია განიხილავს სამურზაყანოში არსებულ ისეთ ტოპონიმებსაც, რომლებიც იმეორებენ ქართული ენის რომელიმე დასავლური დიალექტის სიტყვას. ასეთი ტოპონიმებია: **ხოლე, ტოგონი** და **ურეკი**.

გამოკვლევის VII, VIII და IX თავებში გაანალიზებული საკითხები პ. ცხადაიას სხვადასხვა დროს ცალკეული სტატიების სახით აქვს გამოყენებული, რომლებიც ჩვენ მიერ განხილულია და ამჟამად აქ არ შევყვებით.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ სამურზაყანოს ისტორიულ და თანამედროვე ტოპონიმიაზე მსჯელობა უტყუარ ისტორიულ და ენათმეცნიერულ ფაქტებზეა დამყარებული. გამოკვლევის დასკვნით დებულებას კი შემდეგი სახით აყალიბებს:

1. სამურზაყანოს ისტორიულ-გეოგრაფიული სახელწოდებანი მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (ძირითადად მეგრული) წარმომავლობისაა. შეუძლებელია აფხაზური ენის მონაცემებით რომელიმე მათგანის დამაჯერებელი ახსნა.

2. სამურზაყანოს თანამედროვე აფხაზურენოვანი ტოპონიმია წარმოქმნილია უკანასკნელი ორი-სამი საუკუნის განმავლობაში.

§1.2. ვალერიან ზუხბაიას ცხოვრება და ღვაწლი აფხაზეთის ონომასტიკის შესწავლაში

როგორც აღინიშნა, საქართველოს ძირძველი ისტორიული მხარის – აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიისა და ონომასტიკის ცალკეული საკითხებით დაინტერესებულ ქართველ მკვლევართა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, პავლე ინგოროყვას, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, თამაზ ბერაძის, კ. ბერულავას, პაატა ცხადაიას, ვილენა ჯოჯუას, თეიმურაზ გვანცელაძის, კობა ოკუჯავას, ვალერიან ზუხბაიასა და სხვათა, დიდი თუ მცირე მოცულობის სტატიები და მონოგრაფიები.

აფხაზეთის ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის გაშუქებას ისახავს მიზნად აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **ვალერიან ზუხბაიას** რამდენიმე გამოკვლევა. მკვლევარი ანალიზებს ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებს, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ და კარტოგრაფიულ მასალას. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ონომასტიკურ მასალას, ეპიგრაფიკული და საისტორიო ლიტერატურის მონაცემებს. აღნიშნულ საკითხებზე უაღრესად საინტერესო დაკვირვებებია მოცემული საგაზეთო სტატიებსა და 2000 წელს გამოცემულ წიგნში – „ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში“.

ვალერიან ზუხბაია 1914 წლის 14 აპრილს დაიბადა წალენჯიხაში, მოსამსახურის ოჯახში. 1930 წელს გალის სამუშაო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტ-

ყველო ფაკულტეტის გეოლოგიურ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1933 წელს. 1934 წლის 16 იანვრიდან იწყებს ქიმიის მასწავლებლად მუშაობას გალის პირველ საშუალო სკოლაში. 1945 წლამდე ამ სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. იყო სასწავლო ნაწილის გამგეც. 1945 წელს აღადგინეს თბილისის უნივერსიტეტში მეხუთე კურსზე. 1945-46 წლებში მუშაობდა ქ. სოხუმში, აფხაზეთის განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორად და რესპუბლიკური პედაგოგიური კაბინეტის დირექტორად. 1946 წლის იანვრიდან, აკად. ალ.ჯანელიძის შუამდგომლობის საფუძველზე, მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად. 1947-50 წლებში იყო გეოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტი. 1951 წლიდან სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა ფაკულტეტის დეკანად და კათედრის გამგედ. 1951-1959 წლებში გეოლოგიის კურსს კითხულობდა აფხაზეთის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში. 1959 წლიდან 1993 წლის სექტემბრამდე (სოხუმის დაცემამდე) მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (აფხაზეთის უნივერსიტეტი). 1954-58 და 1965-1966 წლებში ვ. ზუხბაია შეთავსებით მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1993 წლიდან მუშაობას აგრძელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიურ ინსტიტუტში, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. პარალელურად მოღვაწეობდა თსუ სოხუმის ფილიალში. მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო „აფხაზეთის ბარიტიანი რაიონის გეოლოგია და პეტროგრაფია“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1953 წელს. 1997 წელს ვ. ზუხბაია აირჩიეს აფხაზეთის რეგიონული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. მიღებული ჰქონდა უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. 1997 წელს დაჯილდოვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის საიუბილეო მედლით, 2002 წელს – ღირსების ორდენით. გარდაიცვალა **2013 წელს**. „სოხუმში ვალერიან ზუხბაია ათეული წლების განმავლობაში მოწმე იყო, თუ როგორ ამახინჯებდნენ და აყალბებდნენ აფხაზი სეპარატისტი ისტორიკოსები ისტორიას. ასეთი დამახინჯებანი ვერ მოითმინა მან, გეოლოგმა კაცმა, სპეციალურად შეისწავლა აფხაზეთის ისტორია და წლების განმავლობაში პრესის საშუალებით ეკამათებოდა, აკრიტიკებდა ვაი ისტორიკოსებს, ქება-დიდებას უძღვნიდა აფხაზ ხალხს, აფხაზეთის ბუნებას, რაც არ აპატიეს, ტყვიან ესროლეს, დაჭრეს. სოხუმის ქალაქის საბჭოსთან აფხაზმა სეპარატისტებმა სამშობლოს მოღალატეთა სია გააკრეს. ამ სიაში იყო ვალერიან ზუხბაიაც“. – ნერს ლია თაბუკაშვილი („მხარია“, №4, 2004: 3).

ვალერიან ზუხბაიას გამოქვეყნებული აქვს სამ ათეულზე მეტი წიგნი და 400-მდე სტატია. ქართველი მკითხველი თავის დროზე დიდი ინტერესით შეხვდა მის წიგნებს: „სოფელი ოქუმი“ (თბ., 1946), „მინერალოგიისა და პეტროგრაფიის მოკლე კურსი“ (სახელმძღვანელო, თბ., 1956), „რას გვიამბობს საქართველოს მინა“ (თბ., 1959), „ქვის კულტურა საქართველოში“ (თბ., 1965), „ზოგადი გეოლოგიის პრაქტიკუმი“ (დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1967; თანაავტ.), „საქართველოს დეკორატიული და ფერადი ქვები“ (თბ., 1976), „ქართლის ცხოვრების“ ქვის ფურცლები“ (თბ., 1975), „ძვირფასი და ტექნიკური ქვები“ (თბ., 1980), „ზოგადი გეოლოგია“ (სახელმძღვანელო, თბ., 1972), „მხარეთმცოდნეობა“ (სახელმძღვანელო, თბ., 1988), „განძი ქართული მინისა“ (თბ., 1984), „მტკვარი – საქართველოს დედამდინარე“ (თბ., 1984), „ქართული ოქრო“ (თბ., 1985), „სოხუმი“, „გალი“ (სოხ., 1988), „ძვირფასი და სანახელავო ქვები“ (თბ., 1998; თანაავტ.), „აფხაზეთო ჩემო“ (თბ., 1998), „ბუნება ვეფხისტყაოსანში“ (თბ., 1999), „გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ (თბ., 2000, თანაავტ.); „ვახუშტი ბაგრატიონი და აფხაზეთი“ (თბ., 2000), „ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში“ (თბ., 2000), „ანაკოფია-ახალი ათონი“ (თბ., 2001), „აფხაზეთის მომხიბვლელი ბუნება“ (თბ., 2001; თანაავტ.), „გალის რაიონი“ (თბ., 2002) და სხვ.

აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ონომასტიკის შესწავლასა და დაცვას ეხება ვ. ზუხბაიას მრავალი საგაზეთო და საჟურნალო სტატია. ერთ-ერთ ვრცელ სტატიამი ავტორი მიზნად ისახავს მკითხველისათვის ცნობების მიწოდებას იმის შესახებ, რომ **ანტიკური დროიდან XVII ს-მდე აფხაზეთის ტერიტორიაზე მეგრულ ენაზე მოლაპარაკე აფხაზები ცხოვრობდნენ**. მკვლევარი უცხოური და ქართული წერილობითი წყაროების მოხმობით ვრცლად ეხება დიოსკურიის (დღევანდელი სოხუმის) ისტორიულ წარსულს. აფხაზეთი რომ სამეგრელო იყო, ეს გეოგრაფიული სახელწოდებებითაც, ტოპონიმებითაც მტკიცდებაო, – შენიშნავს და ეხება ზოგიერთი მათგანის ისტორია-ეტიმოლოგიას. ეს ტოპონიმებია: **დიოსკურია, პორტო-მენგრელო** (ადგილი მდ. კელასურის შავ ზღვასთან შესართავთან, რომელიც აღნიშნულია იტალიურ და პორტუგალიურ რუკებზე), **ოხვამე** (ადგილი რკინიგზის სადგურ კელასურთან), **ჟირღალიშქა** (სოფელი სოხუმის ჩრდილოეთით), **შქანყარი** (სოფელი კოდორის შესართავთან, მდინარის მარცხენა მხარეს), **კვიტაული, ჭალა, ქიანი, თილითი, ტკვარჩელი**, ვ. ზუხბაიას თქმით, XVII ს-დან ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული აფსუების გვარებია სმირ, დბარ, ამპარ, ენიკ, კიუტ, ებუნოუ, უანაცა, ტამბია, ანუა, ჩუაზ, ჩალმაზ, ხაშიგ, თხაინეკ, ცკუა, პაპცვა, აპაპათ, აუახად, ინაფხა, პკინ, შარმათ, ტაპანცია, ბარანს, შეგენ, გუარბაგაა, ასმეიხუა,

ანისხუა, აბგაჯ, აბრას, კაიტან, სიმსიმ, ჩკოკ, თაკურიფაცვა, კემაჭიფაცვა, ხალბად, ხაკუშა, ჭოლუყვა, მანტოი, ჰაყეიფაცვა, აშხარაა, აშხაცაა, არისტაა, მაჟარა და სხვ. (ზუხბაია, №5, 2000: 10-11).

სტატიაში – „აფხაზეთის თავადური გვარები ქართულია!“ – მკვლევარი განიხილავს აფხაზეთის თავადური გვარების – **შარვაშიძის, ანჩაბაძის, მარშანიას, ინალიშვილის, ემუხვარის, ჩქოტუას, ძიაფშ-იფას, ჩაბალურხვას, ზვანბას** წარმოშობის ისტორიას, იმონმებს ისტორიულ წყაროებს, ქართველ მეცნიერთა (ზ. ანჩაბაძე, ვლ. ალფენიძე, გ. გასვიანი, ნ. ბერძენიშვილი, ი. მაისურაძე...) თვალსაზრისს და დაასკვნის: „აფხაზეთად მიჩნეული თავადური გვარები ქართული წარმოშობისაა. გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიელთა აფხაზეთში ჩამოსახლება ქართველ ფეოდალთა გვარები აფხაზეთი გახდა. ანჩაბაძე – აჩბა, ინალიშვილი – ინალ-იფა, ზეფიშვილი – ძიაფშ-იფა, სოტიშვილი – ჩაბალურხვა, ზოგიერთი მარშანია – ამარშან და ა. შ.“ ვ. ზუხბაია წერს, რომ 1945 წელს მან სოხუმში გაიცნო ვლადიმერ მარლანია, რომელმაც პირველმა გადაიკეთა გვარი მაანად. აფხაზეთში მცხოვრებთა 80% გააფხაზებული ქართველ-მეგრელები არიან. კალანდაძემ გვარი კასლანძიად გადაიკეთა, სურგულაძემ – შურდულაფად, ჯინჯოლიამ – აჯინჯალად, ქორიძემ – ქუარანძიად, ნოზაძემ – ნაზაძედ, ქირიამ – კრიად, ფაჩულიამ – ფაჩალიად და ა. შ. გვარშეუცვლელად გააფხაზებულან აბაშიძე, ჩხეიძე, წერეთელი, ახვლედიანი, კვარაცხელია, ხონელია, გოგუა და სხვანი“ (ზუხბაია, №2, 2001: 7).

სტატიაში – „გალი და გალელები“ მკვლევარი საუბრობს საქართველოს ამ უძველესი დასახლებული პუნქტის ისტორიაზე. ჩამოთვლის გალელ მწერლებს, მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს. შენიშნავს, რომ 1934 წელს არქეოლოგ ს. ნ. ზამიატინის მიერ მიკვლევულ იქნა პალეოლითის, ნეოლითის, ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში წყალსადენის კერამიკული მილების აღმოჩენა და კოშკის ნაშთები კი შუა საუკუნეებში აქ დასახლებული პუნქტის უტყუარი დასტურია. ვ. ზუხბაიას თქმით, ტოპონიმ „გალის“ წარმოშობა მეცნიერულად არ არის ახსნილი. იტალიელ მისიონერს არქანჯელო ლამბერტის 1654 წელს შედგენილ რუკაზე გალი **გოგიელის** ფორმით აღუნიშნავს. ქალაქის შემოგარენში სოფლებს ეწოდება პირველი გალი, ზემო გალი, ცხირო-გალი, ჭიჭე გალი (ხუმუშკურის ცენტრი). ვიდრე გალი სამურზაყანოს ცენტრი გახდებოდა, მას მეორე გალი რქმევია. ვ. ზუხბაია ფიქრობს, რომ გალი ისეთივე წარმოშობისაა, როგორცაა აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში დადასტურებული ტოპონიმები – ჯალი, დალი, ფსკალი და სხვ. აფხაზეთის სურვილი იყო და დადგენილებაც მიიღეს, რომ

გალისათვის ალეკუმჭარა ეწოდებინათ, მაგრამ ვერ განახორციელეს (ზუხბაია, „მახარია“, №5, 2001: 16).

თანამედროვე აფხაზეთის რამდენიმე ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიაზე მსჯელობს ვ. ზუხბაია სტატიაში – „ენგურიდან ფსოუმდე“ (ზუხბაია, „მახარია“, №11, 2001: 6). ეს ტოპონიმებია: **ჭუბურხინჯი** (ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული **გენათი**), **ოცარცე**, **სათანჯო**, **დინაზურგა**, **გალი** (**გოგიელი**), **ერისწყალი**, **შეშელეთი**, **მუხური**, მდ. **ნიშონი**, **აჩიგვარა** (ისტორიული წყაროებით ცნობილი **სუბეიში//სუბვი**), **ოხური**, **ილორი**, **ლალიძა**, **ოჩამჩირე**, **ლაბრა**, **ცაგერა**, **ტამიში**, **დლამიში**, **თოუმიში**, **ცხენისწყალი**, **ტახინწყალი**, **თაგურა**, **ლაგუაში**, **მოქვი**, **ნაოჩი**, **კინდლი** (უწინდელი **კანდახი**), **ოლაგუანე**, **ლეფონა**, **კოდორი**, **ფშაფი**, **ბაბუშარა**, **დრანდა//დანდარი**, **მაჭარა**, **ტყუბენი**, **კელასური**, **ცხუმი//სოხუმი**, **ანაკოფია**, **ბარმიში**, **ბზიფი**, **ფშია**, **გაგრა**, **კინჭული**, **ცანთა**, **ნიკოფსია** და ა. შ. ვ. ზუხბაია დაასკვნის, რომ ენგურიდან ფსოუმდე მიმავალი გზატკეცილი გაივლის თანამედროვე აფხაზეთის ყველა ქალაქს და მრავალ სოფელს. მათი სახელწოდებები ქართულია, რაც მონიშნავს იმას, რომ აფხაზეთი ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს განუყოფელ ნაწილს (ზუხბაია, „მახარია“, №11, 2001: 6).

სოფელ გუდავას ისტორიულ წარსულზე მსჯელობისას ვ. ზუხბაია ეხება სოფლის სახელწოდების მოტივაციასაც. სამურზაყანოს დაბლობზე, შავი ზღვისპირას, გალის რაიონში მდებარე სოფლის სახელს მკვლევარი უკავშირებს ტყავისაგან დამზადებულ, ღვინისა და, საერთოდ, სითხის შესანახი და გადასატანი ჭურჭლის სახელწოდებას – **გუდას**, რომელსაც ასევე უკავშირდება საქართველოში რამდენიმე ტოპონიმი: გუდავა, გუდაუთა, გუდაური, გუდამაყარი, გუდარეხი, ისტორიული გუდაყვა და სხვ. გუდავა გვარიცაა. ვ. ზუხბაია ასახელებს სოფლის ტოპონიმებს, მდინარეებს – ერისწყალსა და ოქუმს, ღელეებს – ანარიას, ოხურეს, აძურუს, შავღელეს, ჯოყობას. შენიშნავს, რომ ოქუმი და ერისწყალი გუდავას ტერიტორიაზე ერთმანეთს შეერთვის და ასე ჩაედინება შავ ზღვაში. ენგურჰესის მშენებლობის შემდეგ გალის წყალსაცავიდან გამოსული ენგური და ერისწყალი ერთ არხში მიედინება და გუდავაში შეერთვის შავ ზღვას. ამდენად, მდ. ენგური ორი ტოტით ჩაედინება ზღვაში, ზუგდიდის რ-ნის სოფ. ანაკლიისა და გალის რ-ნის სოფ. გუდავის ტერიტორიაზე. გვიანანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში სოფ. გუდავას ადგილას არსებობდა ქალაქის ტიპის დასახლება ზიგანისის, ზიგანევის, ზილანეოსის სახელწოდებით. ბერძენი ისტორიკოსების – ფლავიუს არიანესა და კლავდიოს პტოლემეაიოსის (ახ. წ. II ს.) თხზულებებში მოხსენიებული სინგამე და სიგანეონი მდ. ერისწყალია (ზუხბაია, „მახარია“, №9, 2002: 15).

გაზეთ „მახარია“ 2002 წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნდა ვ. ზუხბაიას სტატია „აფხაზეთი შუა საუკუნეების რუკებზე“. მკვლევარს უსარგებლია ვ. გამახარია და ბ. გოგიას ავტორობით გამოცემულ წიგნზე („აფხაზეთი – საქართველოს ისტორიული მხარე“) დართული რუკებით, რითაც გვეძლევა საშუალება შუა საუკუნეების აფხაზეთის ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების ცვლილებებისათვის თვალის მიდევნებისა და რომ აფხაზეთი ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს განუყოფელ ნაწილს. ამ ჭრილშია შესწავლილი XIII საუკუნის ვენეციური რუკა, 1318 წელს შედგენილი პეტრუს ვესკონტეს, ვენეციელი კარტოგრაფების, ძმები პიციგანების (1367 წ.), სოლერის ხმელთაშუა ზღვის (1385 წ.), პორტუგალიელი კარტოგრაფის, დიეგო ომენის (1559 წ.), იაკობ დე მაიოლის (1563 წ.), XVII ს. იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის, ქრისტეფორე კასტელის (1654 წ.), ჟან შარდენის (1672 წ.), სანსონის (1674 წ.), გენსელიუსის (1710 წ.), რუსეთის იმპერიის (1725 წ.), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის, პროფ. რ. კერის (1732 წ.), ვახუშტი ბატონიშვილის (1735 წ.), ინგლისელი მოგზაურის, რობერტ კერ პორტერის (1821 წ.) რუკები და მათზე აღნიშნული ტოპონიმები. კარტოგრაფიული მასალის გაანალიზება მკვლევარს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ შემდეგი დასკვნა გამოიტანოს: XVIII საუკუნემდე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზური ტოპონიმები არ იყო. აფხაზეთი წარმოადგენდა საქართველოს შემადგენელ ნაწილს ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული 1993 წლამდე (ზუხბაია, „მახარია“, №10, 2002: 19).

საინტერესოდ იკითხება ვ. ზუხბაიას საგაზეთო სტატია – „აფხაზები და აფსუები „ქართლის ცხოვრებაში“. XVI-XVII საუკუნეებში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის შემცირებას ჩრდილოეთ კავკასიიდან ადიღური ტომების, აფსუების შემოსვლა მოჰყვა (ზუხბაია, „მახარია“, №1, 2003: 18). მკვლევარი იმონმებს გუდაუთელი აფხაზების მონათხრობს იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ერთ-ერთი მთავრის ყაბარდოელმა მეუღლემ ხელი შეუწყო აფხაზეთის ტერიტორიაზე თვისტომთა გადმოსვლას და დასახლებას (იქვე). „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემული ცნობების გაანალიზება თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ნამდვილი აფხაზებისა და აფხაზებად წოდებული აფსუების ვინაობას (იქვე).

აფხაზეთის ქართული ტოპონიმების აღდგენის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ყურადღება გამახვილებულია სტატიაში – „აღვადგინოთ ქართული ტოპონიმები“ (ზუხბაია, „მახარია“, №3, 2003: 18). ოდიშის სამთავროს დასუსტებას შედეგად მოჰყვა ის, რომ XVIII ს-ის დასაწყისიდან აფხაზებმა გადმოკვეთეს კოდორი და იმავე საუკუნის მიწურულისთვის ენგურამდე მდე-

ბარე ტერიტორია დაიკავეს. აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა მეგრელთა ნაწილმა ენგურსგამოღმა სამეგრელოს შეაფარა თავი, ხოლო ადგილზე დარჩენილები გააფხაზდნენ. ამას მოჰყვა კოდორსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიაზე ქართული ტოპონიმების აფხაზურით შეცვლა. ვ. ზუხბაია შენიშნავს, რომ კოდორსა და ლალიძგას შორის მოქცეული ისტორიული მხარე **შუასოფლად** იწოდებოდა, რომელიც აფხაზებმა **აბჟუად** თარგმნეს. კოდორის მარცხენა მხარეს, მდინარის ზღვასთან შეერთების ადგილას მდებარე სოფლის სახელწოდება **შქანყარი** მეგრულად იგივეა, რაც **შუანყალი**. სახელწოდება ზუსტად ასახავს სოფლის მდებარეობას (კოდორსა და მოქვს შორის). აფხაზებმა სოფლის მეგრული სახელწოდება **აძიუბჟათი** შეცვალეს, რომელიც ასევე მდინარეთაშუას (ორწყალსშუა) ნიშნავს.

ვალერიან ზუხბაიას დამოწმებული აქვს გეოგრაფიულ ობიექტთა ქართული სახელწოდებების აფხაზურად შეცვლის ორ ათეულამდე ნიმუში: სოფ. მარმარი-კარს მარმალ-აბაა ეწოდა. „აბაა“ აფხაზურ ენაზე კომკს ნიშნავს; ქიარს ახუნა დაერქვა, ხოლო სოფელში მდგარ ტაძარს – ქიარაბაა; სოფლის მეგრული სახელწოდება ნყურგილი – „ცივწყარო“ შეიცვალა აძიუბჟათი. შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ ქალაის ამჟამად ჭლოუ ჰქვია, თილითს – აბააჟე, სასახლის ნანგრევებს – თლუთ-აბაა; ზეგანს (გუფის თემში) – ზაგანი, ლომკაცის ქედს – ლამკაც, კანდახს – კინდლი, ოტორონჯიას („სამტრედე“) – ათარა, კვიტაულს//კვიტაურს – კუტოლი, ოჩამჩირეს – ოჩამჩირა, ილორს – ელჯრ, მდ. ლალიძგას – აალზგა, გალიზგა, სოფ. ლალიძგას – ბესლახუბა, გურიბედიას – აგუბედია, ტყვარჩელს – ტყუარჩალ, სუბეიშს – აჩიგვარა, ჭუბურხინჯს – აკვალა, ღუმურიშს – ღუმრიშ, ჩხორთოლს („ცხრათვალა“) – ჩხუართალ, სოფ. მზიურს (ყოფილ ცხიროგალს) – შაშიკვარა, ბულიშხინჯს – აიჰვა იდიხ, რეფო-შეშელეთს – აკვარიქვა, წკელისკარს – აცკარ (ზუხბაია, „მახარია“, №3, 2003: 18).

შავიზღვისპირა ქალაქის – **გაგრის** ძველ სახელწოდებებზე მსჯელობისას ვ. ზუხბაია იმომენტებს ბერძენი მეცნიერისა და მოგზაურის – ფლავიუს არიანეს ცნობას იმის შესახებ, რომ ამ დასახლებულ პუნქტს მაშინ **კაკრ** რქმევია. ბერძნული წყაროები ბიჭვინთის ჩრდილოეთით მიუთითებს აგრეთვე ზღვისპირა პუნქტს – **ნიტივე**. არავითარი საბუთი არ არსებობს ნიტივესა და გაგრის იგივეობის დასამტკიცებლად, მაგრამ, ვ. ზუხბაიას აზრით, ვინაიდან ნიტივე მდ. კინჩულის, იმავე ყოეკვარას ნაპირზე მდებარეობდა, ხოლო გაგრა ყოეკვარის ნაპირზე მდებარეობს (ქალაქში სხვა მდინარე არ არის), დასაშვებია ამ ორი სახელწოდების ერთი და იმავე პუნქტის სახელწოდებად მიჩნევის შესახებ მკვლევრის ვარაუდი. ამასთანავე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ

ბერძნულ წყაროებში, კერძოდ, პროკოფი კესარიელის მიერ მოხსენიებული **ტრაქეა** დღევანდელი ანაკოფია-ახალი ათონია, მკვლევართა ნაწილი კი ამ პუნქტს ძველ გაგრასთან აიგივებს. ვ. ზუხბაიას აზრით, 1509 წელს გაგრას **ხოკარი** ეწოდებოდა, XVII ს-ის თურქი მოგზაურის – ევლია ჩელების თხზულებაში **კოკურის** ფორმით იხსენიება, ჟან შარდენი – **ბალა-დალს** (თურქ. „მალა-ლი მთა“), ხოლო კლავროთი **დერბენტს** (თურქ. „ჭიშკარი, ხეობა“) უწოდებს. მკვლევარი იქვე დასძენს, რომ მარტო გაგრა კი არ არის ქართული ტოპონიმი, შუა საუკუნეებში მის ირგვლივ მდებარე გეოგრაფიული სახელწოდებებიც ქართული ყოფილა. დასავლეთით ცანთა მდებარეობდა (ახლანდ. **ცანდრიფში**). გაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო ბიჭვინთა, აღმოსავლეთით – ბზიფი, ანუ ქართული წყაროების კაპოეტისწყალი, საკეიდალო, საინალიშვილო, ფშია და სხვ. ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ციხესიმაგრე სობლისს ამჟამად ჰასან-აბაა ეწოდება (ზუხბაია, „მახარია“, №12, 2003: 15).

სტატიამი – „ანაკოფია-ახალი ათონი“, მკვლევარი აღნიშნავს, რომ ზღვისპირა კლიმატური კურორტის, ახალი ათონის უწინდელი სახელწოდებაა ნიკოფსია, ანაკოფია. მიმოიხილავს ქართული ისტორიული წყაროების ცნობებს ნიკოფსია-ანაკოფიის შესახებ, ზღვისპირა კურორტის ბუნებას, კლიმატს, მოსახლეობას. იგი იმონებს აკად. პ. ინგოროყვას თვალსაზრისს, რომელიც სახელწოდებას -ია დაბოლოებით ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა და განმარტავდა როგორც ანაკაფს, გაკაფულ ტყეს. ვ. ზუხბაიას აზრით, XVII ს-ის II ნახევარში ანაკოფიისთვის ფსირცხა უწოდებიათ. მდ. ანაკოფიის სახელწოდებაც ფსირცხით შეუცვლიათ. XIX ს-ის II ნახევარში ფსირცხას ახალი ათონი (**Новый Афон**) ეწოდა, რაც წარმოდგება საბერძნეთში, ქალკედონიის ნახევარკუნძულზე მდებარე შუა საუკუნეების ათონის მონასტრის სახელწოდებიდან (ზუხბაია, „მახარია“, №1-2, 2004: 11). ვახუშტისეული ანაკოფია ახლანდელი ახალი ათონია (ყოფილი ფსირცხა) (ვახუშტი, IV, 1973: 781-782). იგი მდებარეობს გუდაუთის რაიონში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთსა და კოლხეთის დაბლობზე. შავი ზღვისპირა კლიმატური კურორტი ზ. დ. 50 მ-ზეა და გუდაუთას 7 კმ-ითაა დაშორებული. ანაკოფია მოიხსენიება არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროში. პროკოფი წერს: „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში ასეთი ადგილებია: მალალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება, როგორც კიბე, და ექვსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე ღირსშესანიშნავი სიდიდის. აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებენ შემოტევას მტრისა, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა. ერთი შესავალი გზა მიდიოდა ამ ციხეში და აბაზგების

დანარჩენ მიწა-წყალზეც და იგი წყვილ-წყვილად მიმავალთათვის ძნელად გასავლელი იყო. არავითარი შესაძლებლობა არ არის იქ გასვლისა, თუ არა კაცად-კაცადად და ისიც ფეხით. ამ გზას ზედ ადგას ნაპრალი მეტად საზარი, რომელიც ციხიდან ზღვამდეა გადაჭიმული. თვით ადგილიც ამ ნაპრალის შესაფერ სახელწოდებასაც ატარებს: იქაური მცხოვრებლები ელინურად მას „ტრაქეას“ უწოდებენ“ (გეორგიკა, II, 1965: 158-159). გამოთქმულია მოსაზრება, რომ პროკოფი კესარიელის მიერ მოხსენიებული ტრაქეის ციხესიმაგრე, რომელიც ზღვისპირას, მთაზე, „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში“ მდებარეობდა, მერმინდელი ანაკოფია უნდა იყოს (Анчабадзе, 1959: 9-11; მუსხელიშვილი, I, 1977: 119).

არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც „ტრაქეის“ ლოკალიზაციის შესახებ. მაგალითად, ს. ჯანაშია, მ. ლორთქიფანიძე და ვ. ლექვინაძე მიიჩნევენ, რომ „ტრაქეა“ გაგრასთან მდებარეობდა. პროკოფისეული ტოპოგრაფიული აღწერის გათვალისწინებით ზ. ანჩაბაძე, დ. მუსხელიშვილი, შ. ინალ-იფა და მ. გუნბა აბასგთა მთავარ დასახლებულ პუნქტს ანაკოფია-ახალ ათონთან აიგივებენ. თ. გვანცელაძის მართებული შეფასებით, „ამ პუნქტის გაიგივება თავისუფლად შეიძლება არა მარტო გაგრასთან, ან ანაკოფია-ახალ ათონთან, არამედ გაგრიდან ამჟამინდელ ტუაფსემდე მდებარე მრავალ სხვა ზღვისპირა და კლდოვან ადგილთანა“ (გვანცელაძე, 1998: 26).

ნ. ბერძენიშვილი იმ აზრისაა, რომ „პროკოფის ტრაქეა და მისი მონათხრობი ეპიზოდი გულისხმობს ანაკოფია-ფსირცხას, სადაც აფხაზეთი მართლაც იწყებოდა“ (ბერძენიშვილი, III, 1966: 300). მოგვიანებით დიდი მეცნიერი კვლავ შეეხო ადგილ „ტრაქეას“ ლოკალიზაციის საკითხს და აღნიშნა: „სრულიად უდავოა, რომ აბაზგიის აღმოსავლეთი საზღვარი VI საუკუნეში ანაკოფიის ზღვისპირი და ციხეა“ (ბერძენიშვილი, VIII, 1990: 503).

დ. გოგოლაძის მოსაზრებით, 1961 წელს სპელეოლოგიური ექსპედიციის მიერ ძველ ანაკოფიაში, ანუ ახალი ათონის ტერიტორიაზე, ივერიის მთის ჩრდილოეთი კალთისძირში აღმოჩენილი უდიდესი კარსტული მღვიმე სწორედ პროკოფის მიერ ნახსენები „ნაპრალი მეტად საზარი“, ანუ ტრაქეა უნდა იყოს. „...დღევანდელი ახალი ათონის „უძირო ორმო-უფსკრულის“ აღმოჩენა და მისი იდენტიფიკაცია პროკოფი კესარიელის „მეტად საზარ ნაპრალთან“, ან შიშის მომგვრელ ადგილ „ტრაქეასთან“, საბოლოოდ ადასტურებს „ტრაქეას“ ლოკალიზაციას ძველ ანაკოფიასთან, ხოლო ეს კი, თავის მხრივ, ასევე, კიდევ ერთხელ საბოლოოდ ადასტურებს აბაზგიის, ანუ „საკუთრივ აფხაზეთის“ აღმოსავლეთ საზღვარს ანაკოფიის ციხესთან, ანუ დღევანდელ ახალ ათონთან“ (გოგოლაძე, 1997: 87).

ანაკოფია გამოსახულია პეტრუს ვესკონტის 1318 წლის, გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის – რ. კერის 1732 წლის, ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის, ინგლისელი მოგზაურის – რობერტ კერ პორტერის 1821 წლისა და სხვა რუკებზე, ხოლო მდ. ანაკოფიას, ანაკოფიის წყალს და მის პარალელურ ფორმას – ნიკოლას ვხვდებით XIII ს-ის ვენეციურ, აგრეთვე ვენეციელი კარტოგრაფი ძმების – პიციგინების 1367 წლის, სოლერის 1385 წლის, პორტუგალიელი კარტოგრაფის – დიეგო ომენის 1559 წლისა და სხვა რუკებზე (ზუხბაია, „მახარია“, №10, 2002: 19).

ქართულ საისტორიო წყაროებში ანაკოფიის პირველმობსენიება დაკავშირებულია VIII ს-ის 30-იანი წლების ამბებთან, კერძოდ, არაბი სარდლის, მურვან ყრუს ლაშქრობასთან დაკავშირებით ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ მურვანი ეგრის-ბიზანტიის მაშინდელი საზღვრის – კლისურის გადალახვისა და აფშილეთის ქალაქ ცხუმის შემუსვრის შემდეგ ანაკოფიას მიადგა, სადაც გამაგრებულნი იყვნენ ბიზანტიელი სტრატეგი ლეონი და ქართლის (იბერიის) ერისმთავრის, სტეფანოზის ძენი – მირი და არჩილი („მეფენი ქართლისანი“) („ქ. ცხ.“ I, 1955: 236). ქართველთა და აფხაზთა ლაშქრის მიერ ანაკოფიასთან გამართულ ბრძოლაში დამარცხებული არაბები უკუიქცნენ და გურიის გზით სპერში გადავიდნენ (იქვე: 238).

ვ. ზუხბაია ანაკოფიისადმი მიძღვნილ სტატილაში ყურადღებას ამახვილებს ახალი ათონის დასავლეთით, გუმბის კირქვიან მასივში, ცარცული ასაკის კირქვებში მდებარე ანუხვის დერეფნული ტიპის მღვიმეზე. ა. ლეონიდის ავტორობით 1887 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომზე მითითებით („Абхазия христианские древности“) მკვლევარი აღნიშნავს, რომ ახალი ათონის დასავლეთით მდებარე ქართული სოფლის სახელწოდება **ანუხარეთი ანუხვად** შეცვალეს, ხოლო ამჟამად **ანხუა** ეწოდება. საინტერესოა ახალი ათონის აღმოსავლეთით, ზემო ეშერაში მდებარე მღვიმის – **აძაბის** სახელწოდების შესახებ ვ. ზუხბაიას შემდეგი ცნობა: მღვიმის შესასვლელთან მდგარი შუა საუკუნეების კოშკისათვის აფხაზებს **უაზაბა** „სიკვდილის კოშკი“ უწოდებიათ. აქედან მიუღია მღვიმეს სახელწოდება აძაბა (იქვე).

2000 წელს გამოვიდა ვ. ზუხბაიას წიგნი **„ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში“**, რომელშიც ძველი და თანამედროვე ონომასტიკის (საკუთარი სახელები, გვარები, გეოგრაფიული სახელწოდებანი) შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ავტორი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აბორიგენულ მოსახლეობას ოდითგანვე ქართველობა წარმოადგენდა, ხოლო XVII საუკუნიდან ამ მიწაზე აფხაზების დამკვიდრებამ გამოიწვია ცვლილებები მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლო-

ბასა და ტოპონიმოკაში. წიგნში მკვლევარი აფხაზეთის ცალკეული რაიონების მიხედვით წარმოგვიდგენს გეოგრაფიულ სახელწოდებებს. მოცემულია მსჯელობა ზოგიერთი მათგანის ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხებზე.

ვ. ზუხბაიამ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა გალის რაიონის ისტორიის, ბუნების, სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიმოხილვას, რაც 2002 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა. ნაშრომში აღნიშნულია, რომ გალის რაიონის ყველა სოფლის სახელწოდება ისტორიულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გადარქმეული ორი სოფლის სახელს (**მზიური – ცხიროგალი, განახლება – ოკვინორე**). შუა საუკუნეების ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული სახელწოდებანი თანამედროვე გალის რაიონის ტერიტორიაზე თავიდანვე ქართული იყო და არა აფხაზური... ქართული იყო ისტორიულ ძეგლთა სახელწოდებანიც: **ზიგანეონი (გუდაყვა//გუდავა), ბეღია, ფშაური, ილორი, წარჩე, ლუმურიში, სათანჯო, ბარბალეს ეკლესია, ჩხორთოლი, ოცარცე, ჭუბურხინჯი, წიფურია, ათანგელო, საბათარის ციხე-სიმაგრე** და სხვ.) (ზუხბაია, 2002: 112-113).

300-400 წლის განმავლობაში სამურზაყანოში გაქრა მრავალი ეროვნული სახელწოდება, მაგრამ ისტორიული ტოპონიმების ანალიზით დგინდება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული სახელწოდებები ქართველური წარმოშობისაა და მოგვიანებით გაჩენილი აფხაზური ვარიანტები სწორედ მათგანაა მიღებული. პირუკუ პროცესის დაშვებას ეტიმოლოგიასთან ერთად ხელს უშლის სესხების კანონზომიერებანი (თ. გვანცელაძე, პ. ცხადაია...). ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს აფხაზურენოვანი ტოპონიმების ძიებას ისტორიული ცხუმის (სოხუმის) სამხრეთით, ენგურამდე მდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ წერილობით წყაროთა მონაცემების გაანალიზებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერთა ამ ჯგუფის მცდელობა ფუჭია და უპერსპექტივო (მსჯელობისათვის იხ. ცხადაია, 2004: 122-123; კეკელია, 2004: 239-240).

ბატონი ვალერიანი პროფესიით ისტორიკოსი არ ყოფილა, მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან სათანადო მეცნიერული კეთილსინდისიერებით და კომპეტენტურობით საფუძვლიანად განიხილა აფხაზეთის ონომასტიკის მრავალი საკვანძო და ბურუსით მოცული საკითხი. აფხაზეთის შესახებ ისტორიულ წყაროთა მონაცემების სხვა ცნობებთან შეჯერებით, აგრეთვე არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის, დამატებითი საარქივო, სამუზეუმო და სხვა მასალის საფუძველზე მთელი რიგი საკითხებისა დღეს ახლებურადაა გააზრებული; გასწორებული და დაზუსტებულია გეოგრაფიული სახელწოდებების ლოკალიზაცია და ეტიმოლოგიური კვლე-

ვისას დაშვებული გარკვეული უზუსტობანი. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ისტორიული წარსულის შეფასება-შესწავლისას ფრიად ფასეულია ვალერიან ზუხბაიას გამოკვლევები, რომლებშიც მოცემულია აფხაზი და რუსი მეცნიერების მცდარი დებულებების შემცველი „გამოკვლევების“, მრუდე სარკეში წარმოჩენილი აფხაზეთის ეთნოისტორიის ობიექტური ანალიზი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ვალერიან ზუხბაიამ დიდი ამაგი დასდო აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების ინდივიდუალური სავსე ექსპედიციების გზით მოძიებასა და ხალხური ეტიმოლოგიების ჩანერას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფონდებში დაცული ეს უძვირფასესი მასალა გამომცემელს ელის...

§1. 3. ნოდარ შონიას წვლილისათვის აფხაზეთის ტოპონიმის კვლევაში

XX საუკუნის ქართული კულტურის მოღვაწეთა შორის, რომლებმაც ღრმა კვალი გაავლეს საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში, ნოდარ შონიას (16 მაისი, 1935 წ. – მაისი, 1995 წწ.) წვლილი განსაკუთრებულია. სწავლობდა ჯერ წარჩის რეანლიან, შემდეგ აჩიგვარის საშუალო სკოლაში. 1963 წელს ჩაირიცხა სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1967 წელს და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია. შემდეგ ორი წელი ასწავლიდა წარჩის სკოლაში. მშობლიური კუთხისა და სოფლის ისტორიულ და ბუნების ღირსშესანიშნაობებს – ეკლესიებს, ციხე-გალავნებსა და გამოქვაბულებს აცნობდა წარჩის მოსწავლე ახალგაზრდობას, ნერგავდა მათში წარსულის სიყვარულს. იგი ცნობილი მხარეთმცოდნე იყო, რომელმაც თავისი შეგნებული სიცოცხლის წლები სამუზეუმო საქმეს შეაღია.

ნოდარ შონიას, როგორც სამუზეუმო საქმის მუხლჩაუხრელ მოამაგეს და გულშემატიკვარს, კარგად მოეხსენებოდა, რომ კაცობრიობის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები თავს იყრის ერთადერთ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებაში – მუზეუმში, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ნახონ ნივთები ისეთივე ფორმით, როგორითაც ისინი საუკუნეების წინათ არსებობდნენ, გაეცნონ მათ დანიშნულებასა და გამოყენების წესებს, შეისწავლონ ამა თუ იმ ხალხის ზნე-ჩვეულებანი, გამოჩენილ ისტორიულ პირთა ცხოვრება-მოღვაწეობის ცალკეული საკითხები და სხვ. მისთვის მუზეუმი ხალხის კულტურის გამომჩენი და მფარველი იყო.

ამიტომ ცდილობდა სამუზეუმო საქმიანობაში ყველა იმ ადამიანის ჩაბმას, ვისაც სურდა საკუთარ თავზე ეთქვა: „დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან, მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან...“ (შონია, „ლენინელი“, №22, 19 II, 1972: 3).

ნოდარ შონია გალის რაიონის სოფელ წარჩეში დაიბადა. მშობლიური სოფლის სანახებში მრავლად შემორჩენილი ისტორიული ძეგლები და სიძველეები ბავშვობაშივე აღუძრავდა ინტერესს ქვეყნის წარსულისადმი. ეს გაუნელებელი ინტერესი და ძეგლებისადმი სიყვარული ფუტკარივით მშრომელ კაცს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. „საქმე იმაშია, რომ მე ჯერ კიდევ მოსწავლეობიდან დავიწყე რაიონის მატერიალური და სულიერი კულტურის მემკვიდრეობის თავმოყრა და მუზეუმისათვის საფუძვლის ჩაყრა იმ მიზნით, რომ გადამერჩინა მშობლიური მხარის ბუნებისა და ისტორიის მონაპოვარი და ჩამეყენებინა იგი თანამედროვეობის სამსახურში. ამის პირველი საჯარო ჩვენება მოვანყვე ს. წარჩეში, 1962 წელს“, – წერდა ნ. შონია (გაზ. „სათანჯო“).

სამუზეუმო საქმიანობის პარალელურად ნოდარ შონია შემოქმედებითი მუშაობის ფერხულშიც იყო ჩაბმული. აფხაზეთის პერიოდული პრესის ფურცლებზე, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში დაბეჭდილ პუბლიკაციებს – სტატიებს, ჩანახატებს, მეთოდურ და პუბლიცისტურ წერილებს ნათლად ატყვია ნიჭიერი ავტორის საკუთარი ხელწერა.

ნოდარ შონიას კალამს არაერთი სტატია ეკუთვნის. ამ სტატიების განხილვას აქ არ შევუდგებით, რადგან სცილდება ჩვენი კვლევის თემატიკას.

ამჯერად ჩვენს ინტერესს შეადგენს აფხაზეთის ტოპონიმის საკითხებზე ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ზოგიერთი პუბლიკაციის ანალიზი.

1970 წელს ჟურნალ „ძეგლის მეგობარში“ გამოქვეყნდა ნოდარ შონიას სტატია აღმოსავლეთ აფხაზეთის ტოპონიმის საკითხებზე. ავტორი აღნიშნავს, რომ მდინარეებს – კოდორსა და ენგურს შუა მდებარე აღმოსავლეთი აფხაზეთი, რომელიც დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მოიცავს ოჩამჩირისა და გალის რაიონებს, ნაკლებადაა შესწავლილი ისტორიული გეოგრაფიის (ტოპონიმის) თვალსაზრისით. ანალიზებს რა მხოლოდ გალის რაიონის ტოპონიმისას, ნ. შონია წერს, რომ XX ს-ის 30-იან წლებამდე ეს რაიონი სამურზაყანოდ იწოდებოდა, ხოლო თვით **სამურზაყანოს** სახელით ცნობილი ტერიტორია XVII ს-იდან მოქცეული იყო მდ. ლალიძგასა და (ი. პანტიუხოვის აღწერით – მდ. კოდორიდან) ენგურს შორის, კავკასიონის ქედიდან შავ ზღვამდე.

წერილობით წყაროებში მოიხსენიება ტოპონიმები: **ტარსურა-მოხე, ზიგა-ნი-გუდაყვა, ილორი, ნამხარი, წარჩე, ოქუმი** და სხვ. ამ ტოპონიმთა ეტიმოლოგია შეუსწავლელია. ზოგიერთ მათგანზე გამოთქმულია ზოგადი ხასიათის მოსაზრება და, თუ ნოდარ შონიას ნათქვამს ვერწმუნებით, დადებითად არც მათი ლოკალიზაციის საკითხია გადაჭრილი (შონია, „ძეგლის მეგობარი“, №21, 1970: 62; მსჯელობისათვის იხ. მისივე, III, 1958; მისივე, თეზისები, 1964).

აღმოსავლეთ აფხაზეთში (გალის რაიონში) ტოპონიმთა შეკრებას ნ. შონია თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით აწარმოებდა და როგორც აღნიშნავს, ჩანერილ გეოგრაფიულ სახელწოდებებს უკითხავდა ადგილობრივ მოსახლეობას და ამ გზით ცდილობდა ტოპონიმთა ნუსხის შევსებას (იქვე: 63).

ავტორი ავგუფებს გალის რაიონის ტოპონიმებს. ყურადღებას მიაქცევს ეთნიკურობის მაჩვენებელ, საკუთრებასა და სხვადასხვა დროის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებულ სახელწოდებებს. ცალკეა წარმოდგენილი ხიდებისა და გზა-გადასასვლელების სახელწოდებანი, სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ამსახველი, შინაური და გარეული ცხოველების სახელებისგან მომდინარე, ადამიანთა სახელებსა და გვარებთან, ფლორა-ფაუნასთან, სოფლის მეურნეობასთან, ადამიანთა საქმიანობასთან და ა. შ. დაკავშირებული ტოპონიმები (იქვე: 63-64). „არის ისეთი სახელწოდებებიც, – დასძენს ავტორი, – რომელთა წარმოშობის მიზეზი და მნიშვნელობა გაურკვეველია. მათზე ზოგადი სახის მსჯელობაც შორს წაგვიყვანდა, მაგრამ მოყვანილი ფაქტებიც ნათლად ადასტურებს, თუ რაოდენ ყურადსაღებია აღმოსავლეთ აფხაზეთის ტოპონიმიკა, რომელიც მოითხოვს ყურადღებით შეკრებასა და მეცნიერულ დამუშავებას“ (იქვე: 64).

1989-1990 წლებში გალის რაიონული გაზეთის – „ლენინელის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ნოდარ შონიას მიერ გალის რაიონის სოფლებში ჩანერილი ტოპონიმიური მასალა. პუბლიკაციაში წარმოდგენილია აჩიგვარის, ბედიის, განახლების, გუდავის, დიხაზურგის, ზემო ბარლების, ლეკუხონის, მზიურის, მუხურის, ნაბაკევის, ოტობაის, ოქუმის, პირველი გალის, რეფი-შეშელეთის, რეჩხი-ცხირის, საბერიოს, სიდის, ფიჩორის, ქვემო ბარლების, ლუმურიშის, ჩხორთოლის, წარჩის, ჭუბურხინჯის სასოფლო საბჭოების ტოპონიმთა ნუსხა.

პუბლიკაციის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ სამურზაყანოს ზოგიერთი სოფელი, კერძოდ, მდ. ლალიძგის აღმოსავლეთით მდებარე ილორი, ოხურეი, ფოქევი, აგუბედია და ტყვარჩელი ამჟამად ოჩამჩირის რაიონში შედის, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სოფელი ფახულანი წალენჯიხის რაიონის შემადგენლობაშია. გალის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჩანერა

(ქ. გალის გამოკლებით) ავტორს უნარმოებია 1969 წელს. როგორც ჩანს, მშობლიური რაიონის ტოპონიმთა აღწერით ავტორის დაინტერესება განაპირობა სწორედ 1969 წლის ივნისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტოპონიმის ლაბორატორიის დაარსებამ. და აი, გალის რაიონის თითოეული სასოფლო საბჭოს ფეხდაფეხ შემოვლით შედგენილი ტოპონიმური სია 20 წლის შემდეგ ნ. შონიამ მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადა (შონია, „ლენინელი“, №105, 1989: 3).

სამურზაყანოს სრული ტოპონიმური აღწერა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში განახორციელეს თსუ ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა – პაატა ცხადაიამ და ვილენა ჯოჯუამ. ჩანერილ იქნა 11 ათასზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება. 2003 წელს ცალკე წიგნად გამოიცა „სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“. სალექსიკონო მასალისათვის ავტორთა მიერ შერჩეულ იქნა ფონეტიკური პროცესების მიმდინარეობის, გრამატიკის, ლექსიკოლოგიის, სიტყვანარმოებისა და მოტივაციის თვალსაზრისით საინტერესო ტოპონიმური ერთეულები. საჭიროების შემთხვევაში (შესადარებლად, დასაზუსტებლად) ავტორებს გამოყენებული აქვთ პროფ. ვ. ზუზბაიასა და დოც. ბ. კილანავას ჩანაწერები (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 4).

უნდა ითქვას, რომ გალის რაიონის პირველი ტოპონიმური აღწერა დაკავშირებულია მხარეთმცოდნე ნოდარ შონიას სახელთან. როგორც აღვნიშნეთ, სალექსიკონო მასალის პუბლიკაცია მკვლევარმა განახორციელა 1989-1990 წლებში. ამ მასალას, სამწუხაროდ, არ გასცნობიან პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა. შესაბამისად, ნ. შონიას ჩანაწერებმა ასახვა ვერ პოვა 2003 წელს გამოცემულ წიგნში, რითაც ერთგვარად ჩრდილში მოექცა ნოდარ შონიას მნიშვნელოვანი წვლილი გალის რაიონის ტოპონიმთა ჩანერა-აღწერის კუთხით.

პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას ლექსიკონში გეოგრაფიულ სახელწოდებას, როგორც მეთაურ სიტყვას, მოსდევს სახელდებული ობიექტის განსაზღვრა და ერთი ან რამდენიმე საფეხურიანი ლოკალიზაცია რომელიმე ობიექტის/ობიექტების მიხედვით. ტოპონიმებთან წარმოდგენილია აგრეთვე ენობრივი კომენტარები.

რაც შეეხება ნოდარ შონიას სალექსიკონო-ტოპონიმურ მასალას, მოცემულია მხოლოდ გეოგრაფიული სახელწოდება, ხოლო მრგვალ ფრჩხილებში მითითებულია სახელდებული ობიექტის რაობა (თუ რისი სახელწოდებაა), დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე. მაგალითად, **უღუღე ღალი** (ღელე), **მაფაშ ნყურგლი** (წყარო), **ხიტუშ ფოქვა** (ტყე), **აქეშარონი** (საძოვარი)...

ნოდარ შონიას ნაშრომის მთავარი, ზოგადი ნაკლია აგრეთვე ის, რომ სემანტიკურად გაუმჭვირვალე (ან ეტიმოლოგიადადგენილ) ტოპონიმებს არ

ახლავს ენობრივი კომენტარები. მეგრული და აფხაზური მიკროტოპონიმები არ არის თარგმნილი ქართულ ენაზე და არც ერთ მათგანს არ ახლავს შენიშვნა: აფხ. – აფხაზური, მეგრ. – მეგრული. ასე, მაგალითად, ჭუბურხინჯის სასოფლო საბჭოში ნ. შონიას ჩაუნერია ტოპონიმი **ჭყონხუმლა**. ფრჩხილებში მითითებულია, რომ ესაა დასახლების სახელწოდება; თუმცა „ჭყონხუმლა“ მეგრულად „ხმელ მუხას“ რომ ნიშნავს, აღნიშნული არ არის. ტოპონიმის ამოსავალი ფუძის განმარტებას ან ტოპონიმის თარგმანს უნდა მოსდევდეს სახელდებული ობიექტის ლოკალიზაცია, რაც არც ერთ შემთხვევაში მკვლევარს მოცემული არა აქვს. ეს უნდა აიხსნას თსუ-ის ტოპონიმიკის ლაბორატორიის მიერ დაარსების პერიოდში აღებული კურსით, კერძოდ, ქვეყნის ამა თუ იმ კუთხის ჩამწერს ევალებოდა პირველ ეტაპზე მხოლოდ ტოპონიმისა და სახელდებული ობიექტის რაობის (თუ რისი სახელწოდებაა) ჩაწერა. მეორე ეტაპზე დაგეგმილი იყო დაზუსტებული ლოკალიზაციის წარმოდგენა და ტოპონიმთა ინფორმანტისეული განმარტებების ჩაწერა ტოპონიმიკური მასალის ჩამწერთათვის შედგენილი ინსტრუქციის შესაბამისად.

თუ რამდენად ფასეულია ნოდარ შონიას მიერ გასული საუკუნის 60-იანი წლების მინურულს გალის რაიონის სოფლებში გაკეთებული ტოპონიმიური ჩანაწერები, ამის გარკვევას შევეცდებით პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მიერ გამოქვეყნებულ ტოპონიმიურ მასალებთან ბ-ნ ნოდარის მიერ მოძიებული ტოპონიმიური მასალების შედარებით.

„წარჩის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ნ. შონია ასახელებს 56 გეოგრაფიულ სახელწოდებას. აღნიშნულია, რომ **უდუდე ლალი** ღელის სახელწოდებაა. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას თქმით, სოფ. წარჩეში, კოლოშანიმ ღალის შენაკადი, რაც საჯიგანიოს სერზე იღებს სათავეს, **უ(დუ)დეღალ-ის** სახელწოდებითაა ცნობილი (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 179). შდრ.: **უდუდეღალ** – ღელეები პირველ აკვალასა და ოკვინორეში (იქვე: 178).

ნაჯგუმ წყურგილი „ნაჯგუს წყარო“ (წყარო) ცხადაია-ჯოჯუასთან დასახელებული არ არის. ნაჯგუ ანთროპონიმია და ფიგურირებს სამურზაყანოს ერთ ტოპონიმში: **ნაჯგუ ინხართა** „ნაჯგუს სამოსახლო“ (აფხ.). ასე ეწოდება ხეხილნარს აყვარაშის მარცხენა მხარეს, ფოქვეშის თემის სოფ. აყვარაშში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 119). **ლუზანდარამ სუკი** ტყისა და გორის, **ლუზანდარამ ომანე** გამოქვაბულის, ხოლო **ლუზანდარამ წყურგილი** საყანისა და წყაროს სახელწოდებადაა მითითებული ნოდარ შონიას ტოპონიმიურ მასალებში. არც ერთი მათგანი დასახელებული არ არის პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას წიგნში. **გდმ ნადოხორი** – „გუდუს ნასახლარი“ (უნდა იყოს **გდგდმ ნადოხორე**), **დარზენა** – „დავაკება“ (ვაკე), **ფიფიეფიმ ნოხორი** – „ფიფიეფის ნასახლარი“ (ნასახლარი),

კუჭამ ნაჭვი „კუჭას (პირსახელია) ნანვავი“ (დასახლება), **ფახურიაში ნაკარუ** – „ფახურის ნაკარვალ“ (ტყე), **ოხვამემ ზენი** „ვაკე ეკლესიასთან“, **ციკოლიეფიმ ნყურგილი** „ციკოლიების ნყარო“ (ნყარო, საძოვარი), **ჰაჯმათიმ ნყურგილი** „ჰაჯმათის ნყარო“ (ტყე, ნყარო), **რამისიმ ნყურგილი** „რამისის ნყარო“ (საყანე, ნყარო), **ჩაგვამ ნყურგილი** „ჩაგვას ნყარო“ (ტყე, ნყარო), **გვალიეფიმ ნყურგილი** „გვალიების ნყარო“ (საყანე, ნყარო), **არდებელავეფიმ ლალი** „არდებელაების (გვარია) ლელე“ (ლელე), **გერზემეფიმ ლალი** „გერზემეების (გვარია) ლელე“ (ლელე), **ნოკოლიმ ოისირე** „ნოკოლის საისლე“ (ტყე), **ჩექობალონი** „თეთრი პური“ (ტყე) დასახელებული არ არის. ნ. შონია ასახელებს ჰიდრონიმ **კაკიკვარას**, რაც ასევე დასახელებული არ არის ცხადაია-ჯოჯუას მასალებში. „კაკიკვარა“ აფხაზურად იგივეა, რაც „კაკის (პირსახელი) ლელე“.

ცხადაია-ჯოჯუას მასალებში სოფლის სახელწოდება **ნარჩე** ფიგურირებს შემდეგ ტოპონიმებში: **ნარჩენყარი**, **ნარჩეფსთა**, **ნარჩემ გინაჯინუ** – „ნარჩის გადასახედი“, **ნარჩემ კინტირლალ//უჩალალ**, მაგრამ ამ ჩამონათვალში არ გვხვდება ნ. შონიას მიერ დამოწმებული **ნარჩემ ზენი** – „ნარჩის ვაკე“.

ნ. შონიას ცნობით, **კაზენი** სახნავის სახელწოდებაა, ხოლო პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მიერ ჩანერილი მასალებით, **კაზენი//კაზიონი** ეწოდება ტყეს კოლომანასა და ნასოლამ სუკს შუა, ნარჩის თემის სოფ. ფშაურში. „კაზენი, კაზიონი XIX ს. დამლევსა და XX ს. დამდეგს ეწოდებოდა საერთო ტყეს ან საძოვარს, რომელიც არავის ეკუთვნოდა და ამიტომ ყველა იყენებდა“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 78). შდრ.: **კაზიონი** – ტყეები ბოკვეთში, გუდავასა და მეორე გუდავაში; **კაზიონტყა** – 1. ტყე კობორაში; 2. ჩაის ფართობი საბჭოთა ჩაიში (იქვე: 78). **Казенный** რუს. „სახაზინო, სახელმწიფოსი“.

ნ. შონიას მიერ დასახელებული ტოპონიმი „ნაჯახი“ (ტყე), ვფიქრობთ, რომ ბექედვის შეცდომაა და სწორი ფორმა უნდა იყოს „ნაჯიჯხ“, რაც მეგრულში „ნაციხარს“ ნიშნავს. ჯიხა დღესაც დგას ნარჩის ცენტრში, მდ. ნარჩენყარის მარჯვენა ნაპირზე. ტოპონიმები – **ნაჯიხ**, **ნაჯ(ი)ხეუ**, **ნაჯიხი** – „ნაციხარი“, **ხაიამ ნაჯიხი** – „ხაიას ნაციხარი“ სამურზაყანოში ბევრგანაა ჩანერილი (ზემო ცხირი, ზარნუფა, ღვაშგვერდი, ჩხორთოლი, ზენი...). პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მასალებში, ნარჩის თემის სოფლებში, მსგავსი სახელწოდებით ადგილი მითითებული არ არის, თუმცა დასახელებულია **ჯიხამ სუკი** – „ციხის სერი“ – სერი ნარჩენყარის მარჯვენა მხარეს, ნარჩის თემის სოფ. ფშაურში (იქვე: 224). სხვათა შორის, „ნარჩის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ნ. შონიასაც ციხის ნანგრევის სახელწოდებად მითითებული აქვს **ნაჯიხ**.

სიტუმ ფოქვა, ნ. შონიას ცნობით, ტყის სახელწოდებაა. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მასალებით კი ამ სახელწოდებით ცნობილია გამოქვაბული ფშქე-რონლალის მარცხენა მხარეს, წარჩის თემის სოფ. ფშაურში (იქვე: 217).

ნ. შონია საყანის სახელწოდებად ასახელებს ტოპონიმ **ოკურდღელეს**. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა აკონკრეტებენ: **ოკურდღელე//ოჭველონი//ჭველეფონი** ეწოდება ტყეს წარჩის ფუნყურის საზღვართან, აჩიგვარის თემის სოფ. ფუნყურში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 126, 211).

ნ. შონიას თქმით, სათესს ეწოდება **ჟირწყარიშიშქა**. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ასახელებენ ვარიანტს: **ჟრწყარიშიქა** – „ორ მდინარეს შუა“ (მეგრ.) და მიუთითებენ, რომ ამ სახელწოდებით ცნობილია სახნავები ოხოჯესა და წარჩეს შუა, სოფ. ფშაურში, ოქუმისა და მორინჯის შესართავთან, ნახინგუში, და ქორომონისა და ერისწყლის შესართავთან, პირველ შეშელეთში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 143).

ძეფცხეში ნეძი რქმევია სათესს. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას წიგნში დასახელებულია ვარიანტი: **დგებხენეძი//ძეფცხენეძი**, შემდეგი განმარტებით – „დგებიას (ქალის) კაკალი“ – ნატყევარი, სახნავი სოფლის ცენტრსა და საბენიოს შუა, წარჩეში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 60, 204). ჩვენი აზრით, ტოპონიმის ამოსავალი უნდა იყოს გვარი **ზეფისშვილი//ძეფსქუა**. ძეფსქუახე აღნიშნავს „ზეფისშვილის ქალს“.

ნ. შონიას მიერ დასახლების სახელწოდებად ჩანერილია ტოპონიმი **გვანჭა**, ხოლო ცხადაია-ჯოჯუას ტოპონიმიურ მასალებში კენტრლალსა და გიგომ ლალს შუა, ჩხორთოლის საზღვართან მდებარე სერის სახელწოდებად დასახელებულია ვარიანტი **გვანჭკა**. ამასთანავე, მითითებულია, რომ 1886 წელს ამ სახელით ცნობილი სოფელი შედიოდა მუხურის თემში. ინფორმანტის განმარტებით, „გვანჭკა საერთოდ ცუდი ადგილია. ქვეყანა გაყინული ყოფილა. უცხო კაცს შესცივბია, მაგრამ გასათბობად სახლში არავის შეუშვია. გვანჭკა ყოფილა და ასეც ერქვასო, უთქვამს“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 52).

ნ. შონიას ტოპონიმიურ მასალებში საძოვრის სახელწოდებად დასახელებულია **ოქოთომე**. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მასალებში ამ სახელწოდებით მითითებულია ტყე ერწყარის მარჯვენა მხარეს, სოფ. აჩიგვარაში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 132). წარჩის „ოქოთომე“ 2003 წელს გამოცემულ ტოპონიმიურ მასალებში მითითებული არ არის.

აქშარონი, ნ. შონიას მასალებით, საძოვრის სახელწოდებაა. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ასახელებენ ვარიანტს – **აქშარონი**, და შენიშნავენ, რომ ასე ეწოდება ბორცვს კაკიმ ლალსა და ლადიმ წყურგილს შუა, წარჩის თემის სოფ. ნახინგუში (იქვე: 27).

ნაკირ საყანის სახელწოდებადაა მითითებული ნ. შონიასთან. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ასახელებენ ტოპონიმს **ნაკირის** ფორმით, რაც მეგრულად „ნაკირალს“ ნიშნავს, და შენიშნავენ, რომ ამ სახელს ატარებს მინდორი დიდნიფურში, სოფ. დიხაზურგაში (იქვე: 107). მაშასადამე, ნარჩის „ნაკირ“-ის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ნოდარ შონიას ჩანაწერებმა შემოგვინახა.

ნ. შონიას მასალებში ტყის სახელწოდებად მითითებულია **ნასოლამ სუკი**. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ასახელებენ ვარიანტს: **ნასოლამ სუკი/ნაცალამ სუკი** – სერი კოლოშანის მარცხენა მხარეს, ფშაურში (იქვე: 113, 116).

ნ. შონია საძოვრის სახელწოდებად ასახელებს ტოპონიმ **აგავერას**. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას წიგნში ამ სახელწოდებით ადგილი სოფ. ნარჩეში მითითებული არ არის, თუმცა მკვლევრები აღნიშნავენ, რომ **აგავერა** ეწოდება სახნავს ლალიძგის მარცხენა მხარეს, ოჩამჩირის რაიონის სოფ. აყვარჩაფანში (იქვე: 12).

ნ. შონია ტოპონიმთა ნუსხაში ჩაის პლანტაციის სახელწოდებად მიუთითებს **ნააბაყარს**. მართებული უნდა იყოს პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მიერ ნარჩის თემის სოფ. ფშაურში, საშონიოს უბანში ჩანერილი **ნაბამბაყ** „ნაბამბარი“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 101). თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **ა-ბაყა** აფხაზურად იგივეა, რაც „ძეგლი“. შდრ.: **აბაყა** – 1. გზაგასაყარი თევზ იკვარის მარჯვენა მხარეს, სოფ. ფოქვეში; 2. მინდორი სოფ. ბეღიაში; აბაყ(ჯრ) ჩა – ნატყევარი, სოფლის კუთხე ყოფელსა და მდ. შაშიკვარას შუა, სოფ. შაშიკვარაში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 10). გამორიცხული არაა, რომ ადგილს დარქმეოდა **ნააბაყე**. თუმცა ნოდარ შონიასეულ ვარიანტში – **ნააბაყარ**, ასახსნელი იქნება -არ სუფიქსის დანიშნულება.

ნ. შონია ტყის სახელწოდებად ტოპონიმ **არჩხას** ასახელებს. ცხადაია-ჯოჯუას მასალებში მსგავსი ტოპონიმი არაა მითითებული, თუმცა დასახელებულია **არხა** „ვაკე“ (აფხ.) – ვაკე ლალიძგა-ამარდას შუა, ფოქვეშსა და საჩაჩხალიაში (იქვე: 24).

დიხაგუძბა, ნ. შონიას მასალების მიხედვით, ტყის სახელწოდებაა „ნარჩის სასოფლო საბჭოში“. ცხადაია-ჯოჯუა **დიხაგუძბას** და **დიხაგუძუბას** ბორცვთა სახელწოდებად მიუთითებენ სამურზაყანოს სოფლებში – ზენი, პატრახუნა, ოხურეი, ქვემო ლუმურიში, აგავერა, და იქვე დასძენენ, რომ მსგავსი სახელები სამურზაყანოს სოფლებში მრავალგანაა გავრცელებული (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 64). „დიხაგუძ(უ)ბა (მეგრ.) არის მცირე ბორცვი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მინაზვინულს ჰგავს. არქეოლოგები დიხაგუძუბას თვლიან არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთ კატეგორიად“ (იქვე: 64).

ნ. შონიას დამონმებული აქვს ტოპონიმი **მაქისტოუ** (ტყე). ცხადაია-ჯოჯუას წარჩის თემის სოფ. ნახინგუში ჩაუნერიათ ტოპონიმი **მაქესტოუშ ლალ** – კაკიმ ლალის ზემო-წელი, რასაც ახლავს ინფორმანტის შემდეგი ცნობა: „მაქესტოუ აფხაზურად ისეთ ადგილს ეწოდება, სადაც მაქეს (სალესი ქვა) ლესავდნენ“ (იქვე: 94). შდრ.: **მაქეზქუ**, „სადაც სალესი ქვა მოიპოვება“ (აფხ.) – ბორცვი ქაცვარკვარასა და ქაჩუკვარას შუა, აგუბედიის თემის სოფ. აძხი-დაში. **ა-მაქქა** (აფხ.) „მაქური; პატარა სალესი ქვა“ (იქვე).

ნ. შონიას მიერ ჩაის პლანტაციის სახელწოდებად წარჩეში მითითებული სახელწოდება **ნაღეჯი** ცხადაია-ჯოჯუას ტოპონიმიურ მასალებში დასახელებულია სოფ. ნახინგუში, კაკიმ ლალსა და ნისქელიშ ლალს შუა მდებარე ბორცვის სახელწოდებად (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 115).

ნ. შონია ტყისა და წყაროს სახელწოდებად ასახელებს **ბუაშ წყურგის**. ცხადაია-ჯოჯუას მასალებში მითითებულია ჰიდრონიმი **ბუაშ ლალ//ხოჭკვარა** – ლელე, სამქვარისა და ფართოლალის (ცხირის თემი) საზღვარი. ერთოდა ერისწყალს. ამჟამად გალის წყალსაცავში ჩაედინება. ბუავა გვარია. ამ გვარის კაცი ლელისპირას ცხოვრობდა (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 218).

ნ. შონია შენიშნავს, რომ **აბაგდშ ჯიხა** (უნდა იყოს **აბაგდშშ ჯიხა**) ციხის ნანგრევის სახელწოდებაა „წარჩის სასოფლო საბჭოში“. ცხადაია-ჯოჯუას მასალებში ციხის ნაშთი ამ სახელწოდებით მითითებული არ არის, თუმცა სოფ. კობორაში, ალაჰვარის სათავესთან მდებარე ბორცვის სახელწოდებად ასახელებენ **აბაგდშ**-ს (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 9).

ნ. შონიას აზრით, **ქვაცაპუტი** ტყის სახელწოდებაა. ცხადაია-ჯოჯუა ასახელებენ ვარიანტებს: **ქვაცაფუთი//ქვაცაპუტი**, მორინჯის მარცხენა მხარეს მდებარე ბორცვის სახელწოდებად, სოფ. ნახინგუში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 185).

ეშმაკიმ ლალ, ნ. შონიას ცნობით, ეწოდება ლელეს „წარჩის სასოფლო საბჭოში“, ხოლო პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა მიუთითებენ, რომ ამ სახელს ატარებს ოხოჯის მარცხენა შენაკადი მიშველში (ოჩამჩირის რ.). ზემონელზე მისი სახელწოდებაა ჩანთაშ ლალ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 68).

კიდევ რამდენიმე მაგალითი: „ქვემო ბარლების სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ნ. შონია ლელის სახელწოდებად ასახელებს ტოპონიმს **ალუმის** ფორმით (შონია, „ლენინელი“, №13, 1990: 3). პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა აღნიშნავენ, რომ **ალემი//ალღმი** ქირის შენაკადია ქვემო ბარლებში (გალის რ.). ტოპონიმს ახლავს ინფორმანტის განმარტება: „ალიონზე (მეგრ. „ალენი“) მიდიოდნენ გარეულ ღორზე სანადიროდ“ (იქვე: 18). **ალენი//ალღნი//ალენწყარი//ალიონი** ეწოდება ხუმუშქურის მარცხენა შენაკადს ბოკვეთსა და თხინაშკარში (იქვე).

ნ. შონიას მასალებით, **აბნა** დასახლების სახელწოდებაა „მუხურის სასოფლო საბჭოში“. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მონაცემებით, ამ სახელწოდებით ცნობილია სახნავი საშარანგიოში (მუხური) და დავაკება ფერდობების ძირას, კოლოშანის მარცხენა მხარეს, წარჩის თემის სოფ. ფშაურში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 12). **ცხენიშ ნაგორგალი** დიხაზურგის თემში მალლობის სახელწოდებადაა მითითებული ნ. შონიას მიერ (შონია, „ლენინელი“, №137, 1989: 4). ცხადაია-ჯოჯუას ტოპონიმთა ჩამონათვალში ეს სახელწოდება არ გვხვდება.

სტატიაში – „თაგილონ-წამხარის გარშემო“, ავტორი მსჯელობს ისტორიული ძეგლებით მდიდარ სოფ. თაგილონზე, რომელიც მდებარეობს მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ჭუბურხინჯსა და ნაბაკევს შორის, და ყურადღებას ამახვილებს სახელწოდება „თაგილონის“ ისტორიაზეც. ავტორი იმონებს ისტორიკოს მამია დუმბაძის თვალსაზრისს 1832 წელს (სტატიაში შეცდომით 1932 წელია მითითებული) რუსეთის მთავრობის მიერ ენგურის ნაპირზე (იქ, სადაც მდინარე ორ ტოტად იყოფა), ათანგელოს (სტატიაში შეცდომით წერია „ათანგული“) ციხის აგებასა და შიგ რუსული ჯარის ჩაყენებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე ვარაუდობს, რომ შესაძლებელია **ათანგილოსაგან** წარმოშობილიყო **თაგილონი** („ლენინელი“, №31, 14. III, 1968: 3).

ნიფურია წარმოადგენდა არა მარტო სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს, არამედ სხვადასხვა ქვეყანასთან დიპლომატიურ-პოლიტიკური კავშირების მნიშვნელოვან კერასაც. აქ XVII საუკუნეში საქმიანობდა იტალიის კათოლიკური მისია. ფიქრობენ, რომ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული **ნიფურია** სოფ. თაგილონის ტერიტორიაზე მდებარეობდა. აქ მოღვაწეობდნენ არქანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე, კრისტოფორო დე კასტელი. სახელწოდება წარმოდგება „ნიფლნარიდან“ (მეგრულად „ნიფური“) (პაჭკორია, ქსე, XI, 1987: 334).

XVII ს-ის დასასრულიდან ნიფურიას პოპულარობას, ნ. შონიას აზრით, ცვლის მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პუნქტი **წამხარი**, რომელიც ასევე ხშირად მოიხსენიება ქართულ წერილობით წყაროებში. წამხარის ეკლესიის დღემდე შემორჩენილი ნაშთები და მისი მოხერხებული მდებარეობა ავტორს აფიქრებინებს, რომ იგი წარმოადგენდა შეძლებული ფეოდალისა და მისი ამაღლის საცხოვრებელ მონუმენტურ შენობას, რომელშიც ხდებოდა ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული საკითხების გადაწყვეტა (იქვე).

1971 წლის 21 იანვარს გაზეთ „ლენინელში“ ნოდარ შონიას ავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაცია წარმოადგენს გამოხმაურებას წერილზე – „აღვადგინოთ ძველი სახელწოდება“. ავტორი შენიშნავს, რომ აკად. აკაკი შანიძის

თვალსაზრისი ტოპონიმ „ისორათის“ მეგრულ-ლაზური წარმოშობის შესახებ და მისი დაკავშირება ისლის კულტურასთან სრულიად არ უნდა იყოს გამო-რიცხული. ნ. შონია ეხმაურება 1970 წლის 15 ოქტომბერს იმავე გაზეთში გა-მოქვეყნებულ წერილს. მის ავტორს – შ. ჩხოტუას, წერს ნ. შონია, რატომღაც ეჩოთიერება **-ათ-ი** და **-ეთ-ი** დაბოლოების მქონე ქართულ ტოპონიმთა არსებო-ბა, რადგან მიაჩნია, რომ ასეთი დაბოლოებანი თურქულ სახელებსაც ახლავს. ნ. შონია ამ ფაქტს შემთხვევითობას მიაწერს, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვე-ვაში **გელათი**, **რცხილათი**, **აფხაზეთი**, **ჭანეთი**, **ჯიქეთი** თურქული წარმომავლო-ბის სახელებად უნდა გამოგვეცხადებინა. **ოზურგეთი**, **ლანჩხუთი**, **ბობოყვათი**, **ბაღდათი** მეგრული წარმომავლობის სახელებია და შ. ჩხოტუას დაეჭვება ამ შემთხვევაში საფუძველს მოკლებულიაო, – დასძენს ავტორი („ლენინელი“, №9, №21. I, 1971:3).

იმავე წერილში ნ. შონია ყურადღებას ამახვილებს გეოგრაფიულ სახელწო-დებათა შერქმევა-გადარქმევის საკითხზე და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მეგრული სიტყვა „თანჯი“-დან მომდინარე ტოპონიმი „სათანჯო“ არ უნდა შეეცვალებოდეს „სალხინოთი“. ასევე გაუმართლებლად ეჩვენება აჩიგვა-რის №2 საბჭოთა მეურნეობისათვის „გალის“ დარქმევა, რადგან გალსა და აღნიშნულ მეურნეობას შორის ორი სოფელი მდებარეობს. ოცარცე გალის რაიონშია, რუხი – ზუგდიდისაში. ეს ორი სოფელი მდ. ენგურით არის ერთ-მანეთისაგან გამოყოფილი. ამიტომ ოცარცის ქვის კარიერისათვის „რუხის კარიერის“ დარქმევა, ავტორის აზრით, სავსებით სამართლიანად, სრულიად გაუმართლებელია. ასევე მიზანშეუწონელია გუდავის ტერიტორიაზე არსე-ბული ენგურჰესელთა დასახლებისათვის „პრიმორსკის“ დარქმევა. ნ. შონიას მოსაზრებით, ზღვისპირას შექმნილი ენგურჰესელთა დასახლებისათვის „ისო-რათის“ დარქმევაც ასევე გაუმართლებელი იქნებოდა მისი სიშორის გამო. უპრიანია მას დაერქვას იმ სოფლის სახელი, სადაც მდებარეობს. ესაა „გუდა-ვა“, ან „გინძე ენერი“, და თუკი ძველი სახელწოდების აღდგენას მოვისურვე-ბთ, – დასძენს ავტორი, – მაშინ „გუდაყვა“, ან „სიგანეონი“ უფრო შესაფერი იქნებოდა (იქვე: 4).

ქალაქ გალის ისტორიისა და სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ მსჯე-ლობა მოცემულია ნოდარ შონიას ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში („ლენინელი“, №126, 1974). ავტორი იმონმებს გალელ ინფორმატორთა ცნობებს ამ ტერი-ტორიაზე პირველმოსახლეობის გაჩენის შესახებ. მას საგულისხმოდ ეჩვენება ის ფაქტი, რომ მდ. ერისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე დასახლებას **პატა-რა გალი**, ხოლო აფხაზურად **გალხუჭი** ეწოდება. ის გარემოება, რომ აფხაზურ ენაში შემონახული ყოფილა „პატარა გალის“ ცნება, იმაზე მიგვიჩვენებს, რომ

უნდა არსებულიყო „მეორე გალიც“, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი. მეორე გალში, სავარაუდოდ, უნდა მოიაზრებოდეს ამჟამინდელი ქალაქ გალის ტერიტორია ადრინდელ პერიოდში. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ტოპონიმ „გალის“ წარმომავლობაზე და შენიშნავს, რომ მეგრულ მეტყველებაში **ღალი** მიემართება მდინარის ხეობას, ნყალს. მაგრამ, სახელდობრ, რომელი ღელისგან მომდინარეობს ქალაქ გალის სახელწოდება, ამჯერად ძნელი სათქმელია. ნ. შონია ფიქრობს, რომ შესაძლებელია იგი უკავშირდებოდეს მდ. ერისწყლის ხეობას (იქვე).

ნოდარ შონია 1995 წელს, 60 წლის ასაკში გაერიდა ცოდვამადლიან წუთისოფელს. სამწუხაროდ, ომმა და უღმობელმა დრომ შეინირა მის მიერ დიდი რუდუნებით შექმნილი გალისა და წარჩის მუზეუმები. განადგურდა ათასობით ექსპონატი – ხელნაწერები, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალა, მემორიალური ნივთები, მაგრამ დარჩა მის მიერ შთამომავლობისთვის დატოვებული ნაკალმევი და კვალი ნათელი. სულ ახლახან მკითხველმა იხილა ნოდარ შონიას წიგნი ისტორიული სამურზაყანოს ტოპონიმის საკითხებზე (შონია, 2019; მსჯელობისათვის ვრცლად იხ. კეკელია, „ქ. ო.“, X, 2018: 92-113).

თავი II
აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის
ზოგიერთი საკითხი

§2.1 ეპიზოდები თანამედროვე აფხაზეთის ეთნიკური გეოგრაფიიდან (ისტორიული წყაროებისა და ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით)

უცხოური და ქართული წერილობითი წყაროების გაანალიზებით შესაძლებლობა გვეძლევა, გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ აფხაზეთა ეთნოგრაფიული ჯგუფების საქართველოში განსახლების არეალზე ისტორიულ წარსულში.

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, რომ ქართველთათვის დამწერლობისა და რჯულის ენა ქართულია: „გარნა თუ აქუთ ზოგთა ენა სხუა, თვისნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსავე აქუს თვინიერ ქართულის წიგნისა საკუთრად“. მას საკუთარ ენებად მიაჩნია სვანური და მეგრული; მეგრულს კი „წამხდარ ქართულად“ მოიხსენიებს.

მონუმენტური ნაშრომის იმ თავში, რომელსაც ეწოდება „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“, ვახუშტი შენიშნავს, რომ მცხოვრებნი „სარწმუნოებითა და ენით არიან ქართველთა თანა აღმსარებელნი...“ ისტორიკოსმა იცის, რომ აფხაზებსაც „ენა საკუთარი თუისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“ (ვახუშტი, IV, 1973: 786).

ამასთანავე, ერთსა და იმავე ეთნოსისადმი კუთვნილების მტკიცების მიზნით, ვახუშტი აღნიშნავს, რომ ეგრისის (იგივე აფხაზეთი, ოდიში, იმერეთი), კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს მცხოვრებნი არიან „ტანოვანნი და შვენიერ-ჰაეროვანნი“ და გარეგნული მახასიათებლებით ცდილობს ქართველებთან (ქართლებებთან) მათი მსგავსების დასაბუთებას.

„აღწერაში“ ასახვა პოვა არა მხოლოდ ვახუშტის დროის (XVIII ს-ის I ნახევარი) ოდიშ-აფხაზეთის სინამდვილემ, არამედ გადმოცემულია ადრინდელი ისტორიული ვითარებაც. მისი მსჯელობა მეგრელებითა და აფხაზეთით დასახლებული ტერიტორიების საზღვრების ცვალებადობის შესახებ, მკვლევართა აზრით, ნდობას იმსახურებს.

ვახუშტი აფხაზეთის ტერიტორიას განიხილავდა როგორც საქართველოს, ქართული სამყაროს განუყოფელ, ორგანულ ნაწილს. X საუკუნეში ქართლის, კახეთისა და აფხაზეთის გაერთიანებაზე მსჯელობისას ვახუშტი შენიშნავს: „ბაგრატ მეფემან დაიპყრა ყოველი ესე ქვეყანა და შეაერთა კუალად ქართლსავე, ვითარცა აფხაზეთი და ჰერკახნი, და ჰყო ყოველნი ერთ სამეფოდ თვის მეფობასა შინა, და იყო ყოველი ესე ივერია ერთ სამეფოდ“ (იქვე: 700).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ დიდმა მეცნიერმა თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვისადმი მიძღვნილი თავი ნაშრომში ასე დაასათაურა: „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზე-

თისა, ანუ იმერეთისა“. მას ეგრისი, აფხაზეთი და იმერეთი ერთი და იმავე ტერიტორიული სივრცის სინონიმურ სახელებად ესახებოდა.

XVII საუკუნისათვის ენგურ-კოდორის შუამდინარეთის მოსახლეობის კოლხურობაზე მეტყველებს „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“, შედგენილი 1621 წელს, რომელშიც დასახლებულია სწორედ მეგრულენოვანი ონომასტიკონი. ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანია „ბიჭვინტის იადგარი“ (1525-1550 წწ.), რომელშიც ასევე მეგრულენოვანი ონომასტიკონია მითითებული (ქსძ, II, 1965: 179).

ამ ტერიტორიასა და საკუთრივ აფხაზეთში ეთნიკურად განსხვავებული მასის ჩამოსახლებასა და გაბატონებას შედეგად მოჰყვა აბორიგენი მოსახლეობის „გააფხაზება“ და ადგილობრივი ქართველურენოვანი ტოპონიმების ნაწილობრივ გაქრობა ან ფორმის შეცვლა, მაგრამ, მიუხედავად ეთნიკური პროცესების ცვლილებებისა და „გააფხაზების“ უკუქცევადი პროცესისა, აფხაზი თავდა-აზნაურები მეტწილად მაინც ინარჩუნებდნენ ქართულ ენასა და ქართულ თვითშეგნებას. ვახუშტის ცნობა, რომ მისი დროის აფხაზებს „ენა საკუთარი თუისი“ ჰქონდათ, მაგრამ წარჩინებულებმა იმავდროულად ქართულიც იცოდნენ (ვახუშტი, IV, 1973: 786), სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას.

§2.2 აფხაზეთის ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. სახელწოდება „აფხაზეთი“

აფხაზეთი საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი პროვინციის სახელწოდებაა. თანამედროვე აფხაზეთს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვა აკრავს; აღმოსავლეთით საზღვარი სვანეთ-აფხაზეთის ქედს და მდ. ენგურის ქვემო დინებას გასდევს, ჩრდილო-დასავლეთისა – მდ. ფსოუს, ხოლო ჩრდილოეთისა – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემს.

ისტორიულ წარსულში **აფხაზეთს**, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინს, სამი მნიშვნელობა ჰქონდა: 1. აფხაზეთი აღნიშნავდა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილს, ანუ საკუთრივ აფხაზეთს – საქართველოს ისტორიულ პროვინციას, ხოლო ეთნონიმი „აფხაზი“, „აფხაზები“ – ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს; ამ მნიშვნელობით გვხვდება ეს ტერმინები უცნობი ავტორის თხზულებაში – „წამება და ლუანლი წმინდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი“ („...რამეთუ იყო ბანაკი მათი (არაბთა – ი. კ.) ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი და ალაოხრნა და უვალ და უკაცურ ყო ქუეყანა მეგრელთა და აფხაზთა“), სტეფანე მტბევარის

„გობრონის ნამებაში“, ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ იოანე მოციქულის მოგზაურობის აღწერაში, ეფრემ მცირის „მოქცევაში“, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მატრიანებში, უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისაში“ და სხვ.; 2. „აფხაზეთი“ წარმოადგენდა მთელი დასავლეთ საქართველოს სახელწოდებას. აფხაზთა მთავარ ლეონ II-ის მიერ ამ რეგიონის გაერთიანებიდან; მეორე, ანუ მთელი დასავლეთ საქართველოსა და ამ ტერიტორიის ყველა მკვიდრის მნიშვნელობით აფხაზეთსა და აფხაზს ხმარობენ იოანე საბანისძე („აბოს ნამება“), გიორგი მერჩულე („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) და ა. შ. ამ თხზულებებში აღწერილი ამბების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს პერიოდს VIII ს-ის 80-90-იანი წლებიდან XI ს-ის დასაწყისამდე (ლორთქიფანიძე, 1990: 9-10; გამყრელიძე, 1993: 588-589; გვანცელაძე 1993: 572-573); 3. მესამე ეტაპზე „აფხაზეთისა“ და „აფხაზის“ მნიშვნელობის ქვეშ თითქმის მთელი საქართველო და მისი ნებისმიერი მკვიდრი იგულისხმება, უმთავრესად უცხოურ – არაბულ, სპარსულ, სომხურ და ბერძნულ წერილობით წყაროებში. ასეთი ვითარებაა ბაგრატ III-ის მიერ საქართველოს გაერთიანებიდან, ანუ XI ს-ის დასაწყისიდან, ვიდრე ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებამდე (გვანცელაძე, 1993: 573).

XV-XVI საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე ქორონიმ „აფხაზეთისა“ და ეთნონიმ „აფხაზის“ ქვეშ თავდაპირველი მნიშვნელობა – ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ის ხალხი მოიაზრება, რომლებიც ამჟამად აფსუებად იწოდებიან (იქვე: 574; გამყრელიძე, 1993: 590).

თავდაპირველი აფხაზეთი (აბაზგია), რაც ლაზიკის (ეგრისის) სამეფოსადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ორ მცირე სამთავროს აერთიანებდა (ცენტრები: ბიჭვინთასა და ანაკოფიაში), მოიცავდა ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთით მდ. აბასკოსსა (მდ. ბზიფი, ფსოუ ან მზიმთა) და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ცხუმსა და ანაკოფიას შორის.

VII ს-ის დასაწყისში აფხაზეთმა აფშილეთის ნაწილის მიერთებაც შეძლო კელასურამდე და ამ სახით ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა. VII-VIII სს-ში ეგრისის სამეფოს დასუსტების პერიოდში გაძლიერებულმა აბაზგიის სამთავრომ თავის ტერიტორიულ სივრცეში გააერთიანა აბაზგები, აფშილები, სანიგები და მისიმიელები. ტომთა ეს ერთობლიობა ქართულ წყაროებში **აფხაზებად** იწოდება, ხოლო აბაზგიის მთავარი – აფხაზთა მთავრად ან **ერისთავად** (ლორთქიფანიძე, „საქართველო“, I, 1997: 255).

VIII ს-ის II ნახევარში (ბოლოს) აფხაზთა მთავარმა ლეონ I-მა თავისი ნათესავის (პაპა დედის მხრიდან), ხაზართა ხაკანის დახმარებით შეძლო დასუსტებული ბიზანტიის იმპერიის ვასალობისგან თავის განთავისუფლება. ნიკოფსიიდან სამხრეთით – ქოროხის ხეობამდე, ხოლო აღმოსავლეთით ლიხის მთამდე – მთე-

ლი დასავლეთი საქართველო (ეგრის-აფხაზეთი) ერთ ტერიტორიულ სივრცეში მოექცა. შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო „აფხაზთა სამეფოს“ სახელწოდებით. ლეონ I-ის ძმისშვილმა ლეონ II-მ „აფხაზთა მეფის“ ტიტული მიიღო. სამეფოს ცენტრი ქუთაისი გახდა. ამ სახით იარსება მან VIII ს-ის 70-იანი წლების ბოლომდე. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ დასავლურ-ქართული სამეფოს ტერიტორიაზე შექმნილი 8 საერისთავოდან ორი შეიქმნა უშუალოდ აფხაზეთის ძველი ბიზანტიური საერისთავოს ფარგლებში. ესენია საკუთრივ აფხაზეთის საერისთავო, რომელმაც საზღვარი გაიფართოვა ჩრდილო-დასავლეთისკენ, ციხე-ქალაქ ნიკოფსისამდე (ნიკოფსია), და ცხუმის საერისთავო, რომელმაც მთელი ძველი აფშილეთი მოიცვა (მუსხელიშვილი, „საქართველო“, I, 1997: 250). მოგვიანებით, XII ს-ში ეს ტერიტორია ცხუმის საერისთავოთერისთავოს ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. მის სათავეში იდგა შერვაშიძეთა ფეოდალური გვარის წარმომადგენელი. აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულის აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ VIII-X სს-ში „ცხუმის საერისთავოდ“ წოდებული ტერიტორია ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ (XV ს-ის მიწურული) ოდიშის (სამეგრელოს) ერისთავოთერისთავებმა შეიერთეს, ხოლო აფხაზეთის ერისთავები – შარვაშიძენი ოდიშის მთავრის ქვეშევრდომები გახდნენ (იქვე).

ნიკო მარისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიღებული მოსაზრებით, ქართული **აბხაზ-** და ბერძნული **აბასგ-** ფუძეებისათვის ამოსავალი უნდა იყოს **აბაზხ-** (კახაძე, 1993: 551-556). ო. კახაძე არც იმ შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ ამ სიტყვის მეგრული ფორმა აბზაზა (-აფხაზა) და ამ უკანასკნელის გამარტივებული სახე – ქართული აბზაზი, მიგველო მეტათეზისის (ბგერათა გადაადგილების) გზით, **აბზაზა** ფორმისაგან, რომელიც უახლოვდება ნ. მარისა და ს. ყაუხჩიშვილის მიერ ძირითადად ბერძნული ფორმის მეშვეობით აღდგენილ **აბაზხ** ფორმას: აბზაზა/აბაზზა ← აბაზაზა (იქვე: 556). მკვლევარი აბაზაზა ფორმას ფუძითაც და -ზა ფორმანტითაც ადილეურ (ჩერქეზულ)-ყაბარდოულ ენობრივ სამყაროს უკავშირებს (იქვე: 561). აბზაზა/აბზაზა (← აბზაზა ← აბაზაზ) ფუძეთა ანალიზის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის, რომ ეს ეთნონიმი ქართველებს ადილეულთაგან (ჩერქეზთაგან) უნდა ესესხებინათ, რასაც ეთნონიმის ხ ელემენტი მოწმობს, და იმთავითვე გულისხმობდა ადილეულებს, კერძოდ, აბაძაზებს და, შესაძლებელია, მათ მეზობელ აბაზა ტომს (იქვე: 562).

გ. ფიფიას მოსაზრებით, აფხაძე სიტყვაში **ფაზ** სიტყვა უბიხთა თვით-სახელწოდებაა, ხოლო **ძე** „ჯარს, არმიას, შეიარაღებულ ადამიანებს, ან კიდევ ცალკეულ მეომარს“ ნიშნავს. მაშასადამე, გ. ფიფია ფიქრობს, რომ თავდაპირვე-

ლად „აფხაზი“ ნიშნავდა „უბის მეომარს“, მაგრამ შემდგომში იგი გავრცელებულა ჯიქეთის სხვა ტომების წარმომადგენლებზეც, აგრეთვე აფსუებზე, რისთვისაც ალბათ ხელი უნდა შეეწყოს მათი ენების მსგავსებას და სხვა ეთნიკურ შტრიხებსაც. განვითარების შემდგომ ეტაპზე აფხაზა სიტყვას ეგრისელებისთვის ის მნიშვნელობა შეუძენია, რაც ადიღეურ სიტყვა აბაზას ჰქონდა, ე. ი. მათთვის **აფხაზა** წარმომადგენდა ყველა მონათესავე ადიღის კრებით სახელს, აფსუებისა და მდ. ბზიფის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები ტომების ჩათვლით. მოგვიანებით ეს ცნება კონკრეტული ეთნოსის, კერძოდ, აფსუათა სახელწოდებად იქცა (ფიფია, „სახალხო განათლება“, №27, 1990: 13).

აფხაზ-/აბაზგ- და **აბაზა/აფსუა** ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიებანი მოცემულია აკად. თამაზ გამყრელიძის ნარკვევში. მისი დაკვირვებით, ახ. წ. I-II საუკუნეებიდან ბერძნულ წყაროებში ერთმანეთის მეზობლად მოხსენიებულ ქვეყნებს – **აფსილიასა** და **აბაზგიას** შუა საუკუნეების ქართული წყაროების („ქართლის ცხოვრება“) **აფშილეთი** და **აფხაზეთი** შეესატყვისება (გამყრელიძე, 1993: 581). ბერძნულ-ქართული წყაროების **აფსილ-/აფშილებს** თ. გამყრელიძე თანამედროვე **აფსუა/აფხაზებთან** გენეტიკურად და ენობრივად დაკავშირებულ ეთნოსად და მათ შესაძლო წინაპრად მიიჩნევს, ხოლო **აფხაზ-/აბაზგ-** ეთნონიმის ქვეშ, ახ. წ. I ს-ში შავიზღვისპირეთში არსებული ეთნოკულტურული ვითარების გათვალისწინებით, ისტორიულ-გენეტიკური თვალსაზრისით დასავლურ-ქართველური წარმომავლობის იმ ტომებს მოიაზრებს, „რომლებიც ძველ კოლხეთში მობინადრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომების ახლო მონათესავე უნდა ყოფილიყვნენ“ (იქვე: 587).

რ. თოფჩიშვილი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების – **ფხოვისა** და **აფხაზეთის** სახელწოდებებში შესაძლებლად მიიჩნევს საერთო ქართველურ ენაში თავდაპირველად მზის (ცის) აღმნიშვნელი **ფხ** ლექსემის გამოყოფას (თოფჩიშვილი, XI, 2006: 85).

ვახუშტი ბატონიშვილი ანაკოფიის დასავლეთით, უფრო ზუსტად, ჩრდილო-დასავლეთით მდებარე აფხაზეთის უწინდელ სახელწოდებად **ეგრისს** მიიჩნევდა: „ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაითგან წილი ეგროსისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე“ (იქვე: 784). მამასადამე, დიდი მეცნიერის აზრით, საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორია ეგროსიანთა კუთვნილებას წარმომადგენდა; ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორია „დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი. გარნა უმეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე“ (იქვე: 784).

„ნილი ეგროსისა“ გულისხმობს მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, ანუ იმ ტერიტორიას, რომელიც ქართველთა ლეგენდარულმა ეთნარქმა ეგროსმა თარგამოსისგან მიიღო. ლეონტი მროველის აზრით, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილიც იზიარებს, ესაა „ქუეყანა ზღუის ყურისა“, მოქცეული შემდეგ საზღვრებში: „აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა ან ჰქვან ლიხი; დასავლით ზღუა; [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 5).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ემყარება ვახუშტის ვერსიას, ისტორიული რეალობის შემცველ ლეგენდას ეგროსისა და მისი შთამომავლების შესახებ (ვახუშტი, IV, 1973: 63), რომლის საფუძველზეც აფხაზეთს ქვემო ივერიად მიიჩნევდა, „რომელსაცა ეგრისი სახელსძევს“, ხოლო ეთონიმ „აფხაზს“ ეგროსის შთამომავლის, გმირისა და აფხაზეთის პირველი მეფის აფხაზოსის სახელს უკავშირებდა (ბატონიშვილი, 1848: 56).

ისტორიკოსი თ. ბერაძე, ვახუშტის აზრს, რომ თავდაპირველად, შემდეგდროინდელი აფხაზეთი დასავლურქართული ტომებით იყო დასახლებული და უშუალოდ ეგრისის შემადგენლობაში შედიოდა, ზოგადად, სწორად მიიჩნევს, მაგრამ ეჭვი შეაქვს ამ პროცესის ქრონოლოგიაში. მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ვახუშტისთვის ამოსავალი წერტილი ქართლის სამეფოს შექმნაა, რაც ძვ. წ. III ს-ის ფაქტია. შესაბამისად, ვახუშტის ცნობიდან ისე გამოდის, რომ „ეგრის წყალს ქუემოთ“ მოსახლეთა განდგომა უნდა მომხდარიყო სწორედ აღნიშნულ პერიოდში, ანუ ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის აზონზე სრული გამარჯვების შემდეგ; მაგრამ თუ ასეთ ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაშინ იგი ვერ მოხდებოდა ძვ. წ. III ს-ში, ქართლის სამეფოს შექმნის პერიოდში, რადგან ამ დროს აფხაზური მოდგმის ტომთა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე განსახლება წერილობითი წყაროებით არ დასტურდება (ბერაძე, 1998: 101-102).

ქ. ლომთათიძის აზრით, უბიხურში „აფხაზის“ შესატყვისია **აზელა**. მკვლევარს ეძნელება ერთი მხრივ, ადიღელთა „ადღლა“, და მეორე მხრივ, **აბაზა/აბაზგ**-სა, რაც აფხაზურ ტომს მიემართება, და ადიღელ ტომთა **აბაძეხ/აბძახ/აბზახ/აბასხ** და **აფხაზ** სახელწოდებათა ერთმანეთისაგან დაშორება (ლომთათიძე, ეძ, VI, 1997: 124).

მკვლევრის დაკვირვებით, **აფშილ/აფსილ, აფსარ** და **აფსუა** ერთი და იმავე ხალხის აღმნიშვნელი, საერთო ძირის შემცველი სახელებია, თუმცა გასარკვევია სხვაობები მათ შორის როგორც ძირეული, ისე აფიქსისეული ვარიანტების მიხედვით. **აფს-უა** (ბზიფ. **აფს'უა**) აფხაზურია და „აფხაზ ადამიანს“ ნიშნავს. **აფშილ** ფუძის შ მიშინა სახეობა ამ ეთნონიმის სხვა ენაზე გარდაქმნილ აკუს-

ტიკურ ვარიანტს წარმოადგენს. „მაშასადამე, – დაასკვნის ქ. ლომთათიძე, – **აფშილ** სახელწოდებაში ამოსავალი სისინ-შიშინა ს'-ს ადგილას **შ**-ს გამოყენება ამ ენის წარმომადგენლის საქმეა, ვინც ეს ფუძე აწარმოვა. ბუნებრივია, სხვა ენობრივ გარემოში სწორედ ქართული გარემო ვივარაუდოთ“ (იქვე: 125-126). მკვლევრის დაკვირვებით, ქართულად გაფორმებული სახელწოდება **აფშილე-ბი/აფშილი** იმ აფხაზებს მიემართება, რომელთა ენაშიც იყო სისინ-შიშინა ს', ე. ი. **დასავლეთის (ბზიფური) შტოს აფხაზებს**. რაც შეეხება **აფსილ** სახეობას, უნდა ვიფიქროთ, რომ ესაა ქართული **აფშილ**-ის ბერძნულად გადაღებული ვარიანტი (ბერძნული **შ** ფონემის უქონლობის გამო). **აფსარ**- ეთნონიმის ამოსავალში უნდა ვიგულისხმოთ **აღმოსავლური**, ე. წ. **აბჟურის, აფხაზური ტომები**, რომელთაც სათანადო სისინ-შიშინა ბგერა არ გააჩნიათ. სწორედ აბჟური კილოს სისინ-შიშინა ს' სპირანტი იძლევა **ს**-ს **აფსარ**- ფუძეში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ, თუკი **აფშილ** დასავლურ-აფხაზურზე (ბზიფური შტო) დაფუძნებული და ქართულად გაფორმებული სახელწოდებაა, **აფსარ**-თან მიმართებაში საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე: აღმოსავლურ-აფხაზურ ტომთა ენობრივი სპეციფიკის, ანუ აბჟურის საფუძველზე წარმოქმნილი **აფს-არ-ი** ზანური (მეგრული) სადაურობის მანარმოებელი **-არ** სუფიქსით არის გაფორმებული (შდრ. ჭყონდიდ-არ-ი) (იქვე: 126-127).

უზუსტობას შეიცავს ვახუშტის ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ბერძენთა მიერ აფხაზეთის ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ ეწოდა ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს ბერძნული სახელწოდება „აბასა“. საქმე ისაა, რომ ძველ ბერძნულში „აფხაზეთის“ აღმნიშვნელად დამონმებულია **აბასკოი** ფორმა და მისი ვარიანტები: **აბასგოი** და **აბასხოი**. ამასთანავე, ფიქრობენ, რომ ძველბერძნული ფორმის ამოსავალია აფხაზურ-აბაზურ ტომთა ერთობის თავდაპირველი ზოგადი სახელიდან –**აა-აბაზა** – **აბაზა** ფორმიდან მომდინარე **აბაჟა**, რაც ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისის ახლო ხანებში უნდა გამხდარიყო ძველბერძნული **აბასკოი** ფორმის საფუძველი (გვანცელაძე, 1993: 581-590; მისივე, 1998: 38-39). თ. გვანცელაძე ვარაუდობს, რომ აფხაზურ-აბაზურ ტომთა ერთობის თავდაპირველი სახელი აფხაზურ-აბაზურ და ჩერქეზულ ენებზე უნდა ყოფილიყო **აა-აბაზა-ა-აბაზა**, ამოსავალი ფორმით – ***აა-ფას-ა**. ამ უკანასკნელისგან **-უა** სუფიქსითაა ნაწარმოები **აფსუა** /- ***ა-ფას-უა** (გვანცელაძე, 1998: 38-39). ამასთანავე, მისი დაკვირვებით, **აფხაზ**- ფუძე უნდა მომდინარეობდეს ჩერქეზული **აბაზა ხა** კომპოზიტისგან. **ხა** ჩერქეზულში ნიშნავს „ქვემოურს, ქვემოთას“. მაშასადამე, **აბაზა ხა** „ქვემოური აბაზა“. **აფხაზ**- ფუძის წარმოქმნის გზა, თ. გვანცელაძის აზრით, შემდეგია: ჩერქეზ. **აბაზა-ხა/აბაზა** → მეგრ. **აბხაზა** → ქართ. **აფხაზი** (იქვე: 38).

ტ. ფუტკარაძისთვის საკამათოა **აფხაზ-** ფუძის წარმოქმნის ის გზა, რომელიც თ. გვანცელაძის გამოკვლევებშია წარმოდგენილი. მკვლევარი უფრო ნაკლებნი-ნაალმდეგობრივად მიიჩნევს **აბაზ-ნი** → **აფხაზ-ნი** გზის დაშვებას, სადაც **ბ-** კრებიტობის სუფიქსია (ფუტკარაძე, I, 2005: 132). აფხაზ- ფუძესა და მასთან ფორმობრივ-სემანტიკურად დაკავშირებული ლექსემების, აფხაზ და აბაზა ტომთა ისტორიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ნერილობითი წყაროების გაანალიზების საფუძველზე, ტ. ფუტკარაძეს ლოგიკურად ეჩვენება აბაზ-/აბაზა/აბაძ-/აბას-... ფუძეთა გვერდიგვერდ განხილვა და ტაო – ტაო-ბ-ი, კოლა – კოლ-ბ-ი... მიმართებების პარალელურად, აბაზ- – აბაზ-ბ-, აბაზა – აბაზა-ბ-... წყვილების დაშვებაც. მკვლევარი იზიარებს ნ. მარის, ს. ჯანაშიას, ე. ლომთათიძისა და სხვათა მოსაზრებებს **აბაზ-ბ-/*ამას-ბ-** ფუძეში წარმომავლობა-კრებიტობის **-ბ-** სუფიქსის გამოყოფას, და დაასკვნის, რომ აბაზ-ბ- ფუძისაგან ბ-ს მეტათეზისით უნდა წარმოქმნილიყო აფხაზ- ფუძე. იმონმებს მსგავს ფონეტიკურ პროცესებსაც ქართული ენიდან: **ნათხ-/წყათ-, ბალღ-/ბლარ-, ბარტყ-/ბლარტ-, ბერტყ-/ბლერტ-** და სხვ. მკვლევარი ბერძნულ **აბასხ-, აბაზგ-** და **აბასკ-** ფორმებს ადრინდელი ქართველური ***აბაზ-ბ-** ფუძის ადაპტირებულ ვარიანტებად მიიჩნევს (იქვე: 138). ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულება აქვს თეიმურაზ გვანცელაძეს (გვანცელაძე, 1998: 36).

ტ. ფუტკარაძე დასაშვებად მიიჩნევს ა-ბაზ- და *ბაზ-გ- ფუძეთა საერთო წარმომავლობასაც: აფხაზური **ა/ა-** და ქართველური **ა-/სა-** პრეფიქსები მასალობრივად მსგავსებას ამჟღავნებს; „ა-ბაზ- ფორმაში ა- შეიძლება დანიშნულების სა-/ა- პრეფიქსად იქნას მიჩნეული: ***ა-ბაზი/*ა-მასი** – ბაზების/მასების ქვეყანა/ადგილი; შდრ.: სპერი – სა-სპერი, ქართველი – საქართველო; შდრ.: დგას – ა-დგ-ილ-ი; ბანს – ა-ბან-ო; ცივი – სა-ცივი, ქარი – სა-ქარი, წერს – სა-წერი... საერთოქართველურში სა- პრეფიქსის პარალელურ ვარიანტად ა-ს დაშვებას მხარს დაუჭერს ზანურში მოსალოდნელი ***სო-ს** ნაცვლად **ო-ს** არსებობა; რამდენადაც საერთოქართველურ **ა-ს** ზანურში კანონზომიერად **ო** შეესაბამება, ლოგიკურია, საერთოქართველურში დანიშნულების სუფიქსად **ა-** პრეფიქსიც დავუშვათ; შდრ.: ქათამი – საქათამე და ქოთომი – ო-ქოთუმე; შდრ., აგრეთვე: ზან. ო-ხვამ-ე, ო-ყუ-ე, ო-ფშ-ა... და სვან. ა-ჰა, ა-ყბ-ა, ა-კუად-... მოსალოდნელია, რომ საერთოქართველური **ა-/*ჰა-სა-** და აფხაზური **/ა (/ *ჰა-?** დასაშვებია **ს/ჰ/ა** მონაცვლეობანი) საერთო წარმომავლობის პრეფიქსები იყოს“ (ფუტკარაძე, I, 2005: 139). წარმოდგენილ მსჯელობებში მკვლევართათვის ზოგიერთი რამ საკამათო შეიძლება იყოს. ამიტომ ტ. ფუტკარაძე იქვე შენიშნავს, რომ მის მიერ „წარმოდგენილ სქემებს დამატებითი არგუმენტები ესაჭიროება“ (იქვე: 139).

ბ. გოგიას ეტიმოლოგიური მსჯელობა ასეთია: აქაური კოლხები დიოსკურ-რიაში ნაყიდ საქონელს საკებში, ანუ ტომრებში ჩაალაგებდნენ და აფხათი, ანუ „მხრებით“ ადიოდნენ, აფოფხებოდნენ მთაზე (მეგრ. **ეფოფხ ჟი** – „აფოფხდა ზემოთ“). მათთვის მოგვიანებით დიოსკურელ კოლხებს აფხაშა-ები (აფხაშები → აფხაზები) უწოდებიათ, ხოლო კოლონისტ ბერძნებს – აბასკ- აბაზგები. ბ. გოგიას მიხედვით აფხაზი ეთნონიმის წარმოქმნის გზა შემდეგი სახისაა: ეფოფხ ჟი → (აფერხვა, აფოფხვა) → აფეხაჟი → აფხაზი → აფხაშა → აფხასა → აფხაზი (გოგია, 2003: 106; მისივე, 2005: 91). ამ მსჯელობას მოსდევს მიამიტური, თუმცა ავტორის მიერ „ტრადიციულ კოლხურ ეტიმოლოგიად“ მიჩნეული განმარტება: **აფხა** „ბეჭი“ → **აფხაში** „ბეჭის, ზურგის, ზეგნის, მთის (მცხოვრები)“ → **აფხაზი**... **აფხაშა** „მხარზე“, „ტომრის მხარზე მოგდება“ → **აფხაზი** და მისთ. (იქვე: 110).

ბ. გოგიას ამგვარი „ეტიმოლოგიური მსჯელობა“ სავსებით სამართლიანად მიჩნეულია ურატპატრიოტულ „სიბრძნედ“ და პიროვნული ახირების ერთჯერად გამოვლენად (იხ. ფუტკარაძე, I, 2005: 138-139).

ეთნონიმ **აფხაზის** რეკონსტრუქციის ცდა მოცემულია ბ. შავხელიშვილის ნაშრომში. მკვლევარი იზიარებს თ. გვანცელაძის თვალსაზრისს ***აფასხ-** ფუძეში ფ/ზ-ს მონაცვლეობაზე. ამასთანავე, თ. გვანცელაძე **ხ-** ელემენტის მრავლობითობის სუფიქსად გამოცხადებას უმართებულოდ მიიჩნევს. ბ. შავხელიშვილი სწორედ ამ ორ მინიშნებაზე დაყრდნობით დასაშვებად მიიჩნევს საკუთარ ვარაუდს და ეთნონიმ **აფხაზ-**ს რთული აგებულების ფუძედ მოიაზრებს. მასში გამოყოფს ფხ-V..- ელემენტს (>ფხოვი) და თვლის, რომ ქრონოლოგიურად იგი უნდა შექმნილიყო მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიის მოსახლეობის ქართველთა წინაპრების ზოგადი სახელი ჯერ კიდევ ***ბ-ხ-ო-ვ-ელი** > ფ-ხო-ელი იყო. ბ. შავხელიშვილის ვარაუდით, ამ დროს კლასის ნიშნები ჯერ კიდევ მარკირებულია, ხოლო -ბ მრავლის ამსახველი კლასია, ხ-V..- ფუძე კი ჯერ კიდევ კავშირშია წყლის სემანტიკასთან, ე. ი. პირობითად ასახავს ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ მოსახლეობას. მკვლევარი ცდილობს **ფ-ხ-ა..** და **ლ-აზ..** ფუძეების შერწყმის შედეგად საქართველოს ერთ-ერთი კუთხის სახელის – **ა-*ზ-ხ-აზ-ეთის/ა-ფხ-აზ-ეთის** წარმოქმნას, სადაც **ლ** ამოვარდა და კლასის ნიშნის ფუნქცია დაეკისრა ***ბ/ფ-**ს; შდრ.: **ა-*ზ-ხ-ვ..- + ლ-აზ.. < ა-*ზ-ხ-.. + ლ-აზ.. < ა-ზ-აზ (ა-ფხ-ვ. + ლ-აზ < ა-ფხ-აზ)** (შავხელიშვილი, II, 2011: 179).

აფხაზი ენათმეცნიერის – ვ. კვარჭიას მსჯელობა ეთნონიმ „აბაზას“ შესახებ ასეთია: „**Абаз**а – этнопоним, использовавшийся в прошлом многими народами для обозначения Абхазии, абхазов и абазин. В турецком языке он бытует и сегодня в таком же значении. Названия Абаз, абхазское – Аҭсны, грузинское – Аҭхазети, русское Абхазия являются синонимами. В источниках и на ге-

ографических картах они встречаются отдельно или вместе. Так, на карте Ламберти написано: «Абасса или Абхазия», а на карте Рейнеке (1802 г.) – «Абаза-Ап̄сне».

Абхазы (в том числе и абазины) именуются в источниках также по-разному: абаза, ап̄суа (самоназвание), у грузин ап̄хази, в мегр. ап̄хаза, в русском – обезы, абаза, абазины, абхазы. Услар писал, что абаза и ап̄суа имеют общее происхождение. Н. Я. Марр связал с ними и грузинское ап̄хаз, абхаз. Но есть ученые, которые форму ап̄суа рассматривают отдельно. Как отмечает Д. И. Гулиа, некоторые ап̄суа (ап̄сыуа) переводят как «люди души», а Ап̄сны-как «страна души». Сам Д. Гулиа возводит ап̄суа к абасуа и переводит как «люди из Абиссинии» (Гулиа, с. 94-95). Ш. Д. Инал-ипа дает три объяснения термина ап̄суа: ап̄сы-уа (ап̄суа) – «люди души», «люди (племени)» апсов, или же, ап̄са-уа от ап̄са (сосна) + уа «люди» (Инал-ипа. Вопросы, с. 355, 368). В одной из своих статей мною высказано мнение, что в этнониме «ап̄суа» возможно имеем основу п̄с«вода» + уа «люди», отсюда ап̄суаа букв, «люди воды», т. е. «люди, живущие у воды (моря)». (См.: Кварчия В., 1973, №11, С. 91-95). Однако, Услар прав, термин абаза и ап̄суа имеют общее происхождение, поэтому неверно рассматривать их раздельно. Все исследователи в самоназвании абхазов ап̄суа без сомнения выделяют элемент уа «люди», срав. ақырт̄-уа «грузин», агыр-уа «мегрел», ашэаны-уа «сван», асаз-уа «садз», ашэ-уа «абазин», а-уа-п̄с «осетин» и т. д. Основа ап̄с, как указывал Услар, увязывается с корнем этнонима абаза. От них не отделимы основы наименований древнеабхазских племен ап̄с-ил, абас-к или абаз-х, абаз-г. Х. С. Бгажба пишет: «Абазги и апсилы являются ближайшими родственными этническими образованиями, о чем указывают и их самоназвания, восходящие к одному и тому же корню, представленному различными фонетическими вариантами: ps//ps' (Как мне представляется, все эти формы восходят к абхазо-адыгскому а-быз «язык». Отсюда абаз-а или абыз-а, букв, «язык люди», т. е. «одноязычные» – от абыз «язык» + а – показатель множественности класса людей. То же самое означает его более поздняя форма абз-уа > ап̄с-уа из абыз «язык» + уа «люди». Из основы абыз «язык» происходит абхазское слово абызшэа «язык (разговорный)». Среди имен народов мира известны немало этнонимов, означающих «человек», «люди», «понимающие», «говорящие». Как отмечает В. А. Никонов, носители одного языка, понимая друг друга, называли себя «говорящие», в отличие от всех других, языка которых не понимали (Никонов В. Этнонимы. М. 1970. А. С. 16). У абхазов и абазин и сегодня можно услышать выражение ҳабзуаа – букв, «нашего языка люди».

Одного происхождения не только основы абаз, абас, аҭс, но и окончания этнонимов аҭс-уа, абас-к или абаз-х, абаз-г, а также кол-х, бру-х, зи-х, сани-к// сани-г древнегреческих источников. Похоже, что варьирующий суффиксальный элемент у (ҭყы), г, гу (базгун) к, х древних записей восходит к абхазо-адыгскому гортанному ҭყы «человек», «люди». Известно, что в абхазском языке ҭყы, ҭყы перешли в аа, ҭყы, у (см. Амичба С. А., Гублиа Р. К. Абхазский язык. – Сухуми, 1984 – На абх. яз., С. 46). Основа ҭყы имеется в убыхском слове ҭყыҭса «человек», она же в форме уы присутствует в адыгском термине шыуы «всадник» (Шагиров А. К. Этимологический словарь... А.-Н. М. 1977. С. 22).

Таким образом, мы считаем, что абаза является древним автонимом и связано с абхазо-адыгской языковой средой. От него же производны варианты абазг, абаск, абазх, аҭсил, аҭсуа. От этнонима абаза происходит название страны, территории Абаза, Абазия (Кварчия, 2006: 63-64).

აფხაზა//აფხაზი ეთნონიმის ადიღეურიდან (***აბაზხ, აბაზახა**) მომდინარეობის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს არ იზიარებენ ა. ლომთაძე და რ. შეროზია, ვინაიდან, მათი აზრით, აუხსენელი რჩება **ბ (ხა)** ელემენტის რაობისა და მეტათეზისის საფუძველი. **აფხაზა** ეთნონიმის ადიღეურიდან შეთვისების შემთხვევაში იგი ჯერ დასავლურ-ქართველურ არეალში უნდა შემოსულიყო და შემდეგ გავრცელებულიყო საერთო-ქართველურში. თუ ქართველურ სალიტერატურო ენაში **ბ** ელემენტის მეტათეზის დავეუშვებთ, მეგრულ-ლაზურს ამოსავალი ფუძე თუ არა, მასთან მიახლოებული ვარიანტი მაინც უნდა შემოენახა. ყოველ შემთხვევაში ადიღეურ ურედუქციო ფორმებში არა გვაქვს მეგრულ-ლაზურისათვის არაკანონიკური თანხმოვანთიმდევერობები, რომ მეტათეზისის გზით დაძლეულიყო იგი (ლომთაძე, შეროზია, „მახარია“, №12, 2003: 14; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე ლომთაძე, შეროზია, ქუთაისური საუბრები, IX, 2002: 45-47). საისტორიო და საენათმეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ავტორები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ **აფხაზა//აფხაზი** ეთნონიმი უნდა მომდინარეობდეს სვანური გენიტიური მსაზღვრელ-საზღვრულიდან ***აფხაშ ხანი** – „მთის ხანი, მეგრელი“. კომპოზიტად ქცევის გზაზე, მკვლევართა აზრით, ეთნონიმ **აფხაზას** პირველ კომპონენტში დაკარგულა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, ხოლო მეორე ნაწილში ბოლოკიდური **ნ**, რომელმაც მოგვცა **აფხაზა** და არა **აბხაზა** ფორმა. მსგავსი ფონეტიკური ცვლილებები დამახასიათებელია სვანური ტოპონიმებისათვის: ორკომპონენტიან სახელებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ვერ ძლებს და იკარგება. მაგალითად, არჩილამ ლაკრავი, შდრ. არჩილა მურყვამ, არჩილი მოლ, არჩილი ნაკარ; მაქემ ოციმუში ფაფალა, შდრ. მაქეოცემემ ახრა... ამასთანავე, თვით **აფხაზა** ტერმინი სვანეთის ტოპონიმიში ნარმოდგენი-

ლია რედუცირებული ფორმით: **აფხზარე ნენზილდარ, აფხზარ ნაშდუხ გორაგ...**
ა. ლომთაძე და რ. შეროზია შესაძლებლად მიიჩნევენ ეთნონიმის პირველი კომპონენტის – **აფხას** დაკავშირებას მეგრულში დადასტურებულ **აფხა** სიტყვასთან, რაც ზურგს, ბეჭს აღნიშნავს, თუმცა იქვე შენიშნავენ: **აფხაზა** ტერმინის ამგვარ ახსნას დაბრკოლებებიც ახლავს, მაგრამ მას არსებობის უფლება აქვს და შესაძლებელია კვლევა-ძიების ამ მიმართულებით წარმართვაც (იქვე). შდრ.: ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ მოცემულია **აფხა** სიტყვის ორი მნიშვნელობა: 1. **აფხა** (აფხას) ბეჭი; მხარი. **აფხაქ გაინუოლჷ ოზრის**: მ. ხუბ., გვ. 27 – ბეჭი გაუვარდა ორბს. **განიშ აფხა, გურ დო ჩონჩხი**: ქსს, I, 303- ბოს ბეჭი, გული და ღვიძლი. **აფხაშ დუდი** ბეჭის ძვლის კაკნატელა, ხრტილოვანი დაბოლოება; 2. **აფხა/აფხვა** (აფხას/აფხვას) ბეჭი; საქსოვი დაზგის ნაწილი (სავარცხელი). **ოშუალს (ძაფის) დობრშუნდით, ქამშურღვანდით დიორდე ზინგის დო უკული აფხას** – საქსოვს (ძაფს) დავქსელავდით, გავუყრიდით ჯერ ზინგში და მერე აფხაში (ბეჭში). (შდრ. მასალები, ტ. II, ნან. II, გვ. 217)“ (იხ. ქაჯაია, I, 2001: 200).

ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულია **აფხა** სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობა: „ქედი; ღურკანი (ქათმისა)“. იმავე ლექსიკონში **აფხათ კითხირი** განმარტებულია, როგორც „ბეჭზე მკითხაობა, მისნობა საქონლის ბეჭზე, ქათმის ღურკანზე, ძვლოვანი ქსოვილისა და კაპილარების მიხედვით“, ხოლო **აფხა-მიკოლაფირი** თარგმნილია, როგორც „ბეჭმოქცეული“ (ქობალია, 2010: 42).

გ. ელიავას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით **აფხა** „ბეჭია“. დამონებულია საილუსტრაციო მასალაც: **აფხა მიკოლაფირი რე თე კოჩი** – „ეს კაცი ბეჭმოქცეულია“. **აფხაზა** „აფხაზი“ გადატანით „კობტას“ აღნიშნავს. **აფხაზა ცალი კოჩი რე** – „აფხაზივით კაცია, კობტა კაცია“ (ელიავა, 1997: 21).

ო. ქაჯაია აფხაზის მნიშვნელობით იმონებს **აფხაზა**-ს. იქვე მიუთითებს საილუსტრაციო მასალას, – ანდაზას ი. ყიფშიძის ნაშრომიდან: **აფხაზა ნაკარუს გიხვამანდუა** – „აფხაზი ნაკარავზე ილოცებოდა“ (ქაჯაია, I, 2001: 200).

აფხა კომპონენტი ფიგურირებს სამეგრელოში ჩანერილ ორ მიკროტოპონიმშიც. კერძოდ, **აფხათხორილი** ერქვა ყორღანებს ხობის რ-ნის სოფ. ხამისკურში (ცხადაია, III, 2007: 251), ხოლო **აფხამიკოჭკადილი** ეწოდება ბორცვს, ნატყევარს ცივი-გურძემიის წყალგამყოფ სერზე. ტოპონიმი საზიაროა მარტვილის მუნიციპალიტეტის ორ სოფელთან – პირველ კინიასა და დიდი ჭყონის მეურნეობასთან. პ. ცხადაიას მიერ ჩანერილი გადმოცემის თანახმად, ხეზე მიჭედებული ყოფილა **აფხა** – „ბეჭი“, რაც ალბათ ხატზე იყო გადაცემული (ცხადაია, VI, 2012: 130). გ. ელიავა ტოპონიმს **აფხამიკოჭკადირი**-ს ფორმით დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს „ჭყონის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში და წარმოგვიდგენს ხალხურ განმარტებასაც, რომ აქ „ყმის საწამებელი ადგილი

ყოფილა“ (ელიავა, 1977: 138). ჩვენი აზრით, ეს ტოპონიმი უნდა იყოს პ. ცხადაიას მიერ ჩანერილი „აფხამიკოჭკადილი“-ს ვარიანტი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აფხა მეგრულში აფხაზურიდანაა ნასესხები და გამსესხებულ ენაშიც იგი „ზურგის“ აღმნიშვნელია (აფხაზ. ა-ბლა – „ზურგი“, ადიღ. ბლ², ყაბარდ. ბლ² – „ბეჭისთავი“ (მსჯელობისათვის იხ. ბუკია, 1999: 10; მისივე, ტს, I, 2014: 51). შდრ. ვ.კვარჭია: „Абаґзы//Абґзы (Абаҭдзы//Абаҭдзы) – гора в Гудаутском районе вблизи местности Амқәабҭа. Исходная форма Абґзы букв, «камневая, скальная вода» – от архаического абґа «камень, скала» и зы «вода» (Кварчия, 2006: 63).

§2.3. აფხაზეთის საზღვრები

საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების მიმოხილვის პირველ სარწმუნო წყაროდ მიჩნეული ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი და ატლასები მაღალი შემეცნებითი ღირებულებისაა და მას, როგორც პოლიტიკური გეოგრაფიის ელემენტების შემცველ წყაროს, ამჟამადაც წარმატებით იყენებენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტების ისტორიული წანამძღვრების ინტერპრეტაციის, კერძოდ, საზღვრების დელიმიტაციისათვის (კეკელია, 1997: 197). ვახუშტის ნააზრევისა და სხვა, მისი წინამორბედი, თანამედროვე თუ მომდევნო დროის მეცნიერ-მოგზაურთა ცნობების გაანალიზებით შესაძლებლობა გვეძლევა აფხაზეთის, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის, საზღვრების მოხაზულობასა და საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ცვლილებებზე, გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ინტერპრეტაციისა და ზუსტ რუკებზე პროექტირების გზით, გარკვეულწილად, შედარებით ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ.

დიდი მეცნიერი აფხაზეთს შემდეგ საზღვრებში გადმოგვცემს: „ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიამ ჩამოსული ზღუამდე; დასავლით ზღუა და კაპუეტის მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე; ჩდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამწრით ზღუა შავი. სიგრძე ამისი არს ანაკოფიიამ კაპუეტის მდინარემდე ანუ ზღუამდე; განი ზღვდამ კავკასის თხემამდე (ვახუშტი, IV, 1973: 784).

ციტირებული ცნობიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედამდე ვრცელდებოდა, ხოლო დასავლეთით (დავაზუსტოთ: ჩრდილო-დასავლეთით) – მდ. კაპუეტამდე („კაპუეტის მდინარე“). ვახუშტი წერს: „ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპუეტის მდინარე“ (იქვე: 785).

მის მიერვე 1735 წელს შედგენილ რუკაზე კაპუეტის წყალი ბიჭვინტის დასავლეთითაა დატანილი. ბიჭვინტის ჩრდილო-დასავლეთით, 7 კმ-ის დაშორებით,

შავ ზღვას უერთდება მდ. ბზიფი. აღნიშნული მანძილისა და იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ თანამედროვე რუკებზე ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთით კაპპეტის წყალს არსად არ ვხვდებით, მიჩნეულია, რომ ისტორიული წყაროების „კაპოეტი“ და ვახუშტისეული „კაპპეტის მდინარე“ ამჟამინდელი მდ. ბზიფი უნდა იყოს. ამას მოწმობს სხვა წყაროების ჩვენებაც; კერძოდ, ფეოდალური საქართველოს ისტორიის სანდო პირველწყაროდ მიჩნეულ 1737 წლის ლიხთ-იმერეთის რუკაზე აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვარზე აწერია: „იალბუზის მთა აქ დასწყდება“; „აქეთ ჯიქეთი“; „ან ამას აქეთ ყაბართო“ დასავლეთით კი საზღვარი კაპოეტის წყალზე გადის (ბურჯანაძე, I, 1959: 192).

ვახუშტის ცნობით, აფხაზეთს დასავლეთით და სამხრეთით შავი ზღვაც აკრავს. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსათვის დამახასიათებელი უმნიშვნელო კლაკნილობის მიუხედავად, ვახუშტის რუკებზე ზღვისპირა ზოლი მეტისმეტად დაკლაკნილია. ამასთანავე, თითქოს, ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ყურეები მდინარეთა უმეტესობის შესართავს წარმოადგენს. თანამედროვე რუკებზე „აღწერის“ მონაცემთა პროექტირებით სანინალმდეგო გარემოება იკვეთება: ვახუშტი რუკებზე არასწორად გვიჩვენებს შავი ზღვის სანაპირო ზოლს.

იგი **ოდიშის** საზღვრებზე მსჯელობისას აღნიშნავს: „საზღვარი ოდიშისა არს... დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული სამხრით ზღუამდე; ჩდილოთ კავკასის მთა. ხოლო ცხენისწყლის დასავლეთის კერძო... ოდიშისა არს...“ (ვახუშტი, IV, 1973: 776). საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ისტორიკოსი მიზნად ისახავდა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგდროინდელი ოდიშ-აფხაზეთის პოლიტიკური რეალობის აღდგენა-გადმოცემას. მაშასადამე, ისტორიკოს თ. ბერაძის აზრით, ვახუშტი ძირითადად სწორად იძლევა ოდიშის სამთავროს საზღვრებს XV ს-ის მეორე ნახევრისათვის (ბერაძე, 1967: 251; მისივე, სიგკ, IV, 1971: 54).

რამდენად სწორია ვახუშტის აღნიშნული ცნობები?

კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა შევხვით საკითხს, თუ სანამდე ვრცელდებოდა დადიანთა სამფლობელო ჩრდილო-დასავლეთით XV საუკუნისათვის და მომდევნო საუკუნეში.

როგორც ვახუშტის ზემოთ დამოწმებული ცნობიდან ირკვევა, XV ს-ის მეორე ნახევრისათვის, უფრო ზუსტად – XV ს-ის 80-90-იანი წლებისათვის, ოდიშ-აფხაზეთის სასაზღვრო ხაზი იმ მთაზე გადიოდა, რაც ანაკოფიის (ახლანდელი ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთით იყო აღმართული (ბერაძე, 1998: 103). საკუთრივ ანაკოფია, ვახუშტის აზრით, ოდიშის სამთავროს შემადგენლობაშია. მის მდებარეობას მეცნიერი ასე აღწერს: „ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასისა და მომრთველი ზღვსა ეგრეთვე ჩდილოდამ“.

ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვს კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია... საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა“ (ვახუშტი, IV, 1973: 781).

ანაკოფია ცხომის (სოხუმის) ჩრდილო-დასავლეთით, ახლანდელ მდ. ფსირცხას მარცხენა მხარეს მდებარეობს. ფსირცხა სათავეს იღებს კავკასიონის ქედის ერთ-ერთი განშტოების, ხიცმის მთის ფერდობზე და ანაკოფიის (ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთით შავ ზღვაში ჩაედინება. მდინარის უწინდელი სახელწოდება, ანაკოფიასთან სიახლოვის გამო, როგორც ჩანს, სწორედ ანაკოფიისწყალი ყოფილა. ვახუშტისეული „მდინარე მისი (ანაკოფიისა, – ი. კ.) მცირე“ ამას უნდა გულისხმობდეს. მდ. ფსირცხას (ანაკოფიისწყლის) მარჯვენა ნაპირზე აღმართული მთა ესაა ვახუშტისეული „ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული“ (ვახუშტი, IV, 1973: 776; შდრ. ბერაძე, 1998: 103).

თ. ბერაძე შენიშნავს, რომ დიდი მეცნიერის მონაცემების სისწორეს აღნიშნული სასაზღვრო ხაზის შესახებ ადასტურებს XVI ს-ის 20-30-იან წლებში თურქი მზვერავის პატაკში დაცული შემდეგი ცნობა: „ქვევით ხეობაში ქუთაისის ქვეყანაა, უფრო ქვევით არის გურია, რომელიც ტრაპიზონს ესაზღვრება. იმის იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა. იგი ძველ დროში ნავსადგური ყოფილა. მასთან იალბუზის მთის კალთა ეშვება. იმის იქით არის აფხაზეთის ქვეყნები“ (ბერაძე, 1998: 103; მისივე, 2007: 146). თ. ბერაძის აზრით, ვახუშტის თხზულებასა და რუკებზე ყველაზე სრულად და ზუსტადაა გადმოცემული გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა, მათ შორის აფხაზეთის სამთავროს საზღვრები ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის დროისათვის, ანუ XV-XVI სს-თა მიჯნაზე (ბერაძე, 2007: 146).

თურქი მზვერავის პატაკში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ „დადიანის ქვეყანა“, იგივე ოდიში, ვრცელდება სოხუმამდე; სოხუმს იქით, იალბუზიდან, ანუ კავკასიონის მთავარი ქედიდან სოხუმამდე დაშვებული მთის კალთა წარმოადგენდა მიჯნას ოდიშსა და აფხაზეთს შორის.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იმერეთის მეფე 1737 წელს ალექსანდრე V-ის (1720...-1752 წწ.) ბრძანებით შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე ოდიშის ტერიტორია მოთავსებულია ცხენისწყალსა და იმ უსახელო მდინარეს შორის, რომელიც ანაკოფიის დასავლეთით არის დატანილი. თვით ამ მდინარის მარჯვენა მხარეს აღნიშნულ პირველსავე პუნქტს „აფხაზეთი ზუფუ“ აწერია. ზუფუ კი ლიხნის უწინდელი სახელწოდებაა. ლიხნის აღმოსავლეთით მდ. ფსირცხა მიედინება. მაშასადამე, რუკაზე ზუფუსა (ლიხნი) და ანაკოფიას შუა გამოსახული უსახელო მდინარე აწინდელი ფსირცხა უნდა იყოს, რაც, რუკის შემდგენლის აზრით, წარმოადგენდა საზღვარს ოდიშსა და აფხაზეთს შორის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლიხთ-იმერეთის რუკის შედგენის დროის გათვალისწინებით, ანუ 1737

ნლისათვის, ამ პოლიტიკურ ერთეულებს შორის საზღვარი ფსირცხაზე კი არა, მდ. ენგურზე გადიოდა. მაშასადამე, საფიქრებელია რუკის შემდგენელს ესარგებლა ძველი ტრადიციითა და მისი დროისთვის გავრცელებული მოსაზრებით იმის შესახებ, რომ ოდიში მოიცავდა ცხენისწყალსა და ფსირცხას შორის მოქცეულ ტერიტორიას (ბერაძე, 1967: 45).

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ რუკაზე ზუფუსა და ანაკოფიას შორის სასაზღვრო მიჯნად უსახელო მდინარის მიჩნევა XV-XVI სს-თა მიჯნაზე ორი პოლიტიკური ერთეულის (ოდიშისა და აფხაზეთის) რეალური ვითარების გამომხატველია და ავსებს ზემოთ დამონმებულ-განხილული სხვა წერილობითი წყაროების მონაცემებს.

XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის სამთავროს საზღვრებზე როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში, შედარებით მეტი ცნობები მოგვეპოვება და ამით ადვილდება საზღვრების დადგენაც. ლამბერტი შენიშნავს, რომ კოლხიდის (ოდიშის) საზღვარს აფხაზეთთან მდ. კოდორი წარმოადგენს: „...მდინარე... მკვიდრთაგან იწოდება კოდორად და, ჩემი აზრით კი, ძველი კორაქსია. დასავლეთის მხრით კოლხიდის საზღვარია შავი ზღვა, ანუ პონტუს ექვსინუსი... ჩრდილო-დასავლეთით იწყება კავკასიის მთების ზურგი“ (ლამბერტი, 2011: 23).

კასტელი გვაუწყებს, რომ პონტოს ზღვასთან მდებარე კოლხეთის მხარეს დასავლეთიდან ესაზღვრება კორაჩეს, აკუს მთა... კოლხეთის ჩრდილოეთით მდებარე მთას კორაქსი ეწოდება, აღმოსავლეთით და სამხრეთიდან მას ნახევარწრედ კავკასიონი ეკვრის“ (კასტელი, 1976: 51).

ჟან შარდენის ცნობის მიხედვით, ოდიში „სიგრძით გადაჭიმულია ზღვიდან მთებამდე, სიგანით კი აფხაზეთიდან იმერეთის სამეფომდე. მას საზღვრავს კორაქსი და ფაზისი, ძველი ისტორიკოსების მიხედვით ცნობილი მდინარეები, რომლებიც დღეს კოდორისა და რიონის სახელწოდებით არიან ცნობილი. პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, მეორე კი იმერეთისაგან“ (შარდენი, 1975: 107).

უცხოელ ავტორთა (ლამბერტი, შარდენი...) ცნობების ანალიზის საფუძველზე XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშ-აფხაზეთის საზღვრად მდ. კოდორის მიჩნევა სწორი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ზურაბ ანჩაბაძე (ანჩაბაძე, 1976: 261-262; შდრ. ხორავა, 1996: 93).

რუსეთის მეფის დესპანებს – ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევს, რომლებიც 1639-1640 წლებში იმყოფებოდნენ ოდიშში, თავიანთი ელჩობის ანგარიშებში აღწერილი აქვთ ილორის, მოქვისა და დრანდის მონასტრები. აქვე მოიხსენიება მდ. მორგულა, სოფლები – მერკულა, კვიტოული და ფშაფი: „Февраля въ 7 день начавали в деревне Пшехапе. Февраря въ 8 день начавали в деревне в Китоуле.

Феврая въ 9 день были мы в монастыре в Мокшенском съ епискупам съ Ондреям да съ Макшмам... Феврая въ 9 день были мы в монастыре въ Егорьвском (ილორის – ი. კ.) Федот да поп Павел...“ – ვკითხულობთ ანგარიშებში (ბელოკუროვი, 1887: 325). სხვაგან აღნიშნავენ, რომ „Феврая въ 5 де пошли из Маркулей и пришли к Чорному морю... Феврая въ 6 де в Дандренской монастырь пришли“ (იქვე: 351).

ანგარიშებში მოხსენიებული ფშაფი სოფელია მდ. კოდორის მარჯვენა შენაკადის – ფშაფის მარცხენა ნაპირას, შავიზღვისპირა დაბლობზე. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილებით გულრიფშის მუნიციპალიტეტში შედის და სოხუმს 5-6 კმ-ით არის დაშორებული, გულრიფშს – 6 კმ-ით, დრანდას – 4 კმ-ით. რუსეთის მეფის ელჩთა საანგარიშო აღწერილობიდან ჩანს, რომ კოდორის მარჯვენა მხარეს საკმაოდ დაცილებული სოფელი ფშაფი ამ დროისთვის ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში იყო. რუსი ელჩების მიერ მოხსენიებული დრანდის მონასტერი, რომელიც დრანდის საეპისკოპოსოს ცენტრს წარმოადგენდა, ოდიშის სამთავროს ეკუთვნოდა, ვინაიდან დრანდაც კოდორის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

თ. ბერაძის ცნობა, რომ „დრანდის მონასტერი კოდორის მარცხენა ნაპირზე დგას“ (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 179), სინამდვილეს არ შეესაბამება.

თუკი გავითვალისწინებთ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას იმის შესახებ, რომ დრანდის საეპისკოპოსო მოიცავდა „კოდორსა და ანაკოფიის შორისსა ადგილთა“ (ვახუშტი, IV, 1973: 781), ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, რომ ელჩების ოდიშში ყოფნის დროისთვის და მოგვიანებითაც, XVII ს-ის 80-იან წლებამდე მაინც, დრანდის საეპისკოპოსო ოდიშის სამთავროში შედიოდა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ XVII ს-ში კოდორის მარჯვენა მხარეს მდებარე ანაკოფიასა და ცხუმზე დადიანთა მფლობელობა არ ვრცელდებოდა, დრანდის საეპისკოპოსოს ოდიშის სამთავროში შემოსვლა ქართულ ისტორიოგრაფიაში იმის მონუმობად მიიჩნევა, რომ კოდორის დასავლეთით მდებარე გარკვეული ტერიტორია კვლავ დადიანებს ეკუთვნოდათ (კაკაბაძე, I, 1924: 296; ბერაძე, სიგკ, III, 1967: 180; ხორავა, 1996: 93).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1630 წლისათვის, იტალიელი მისიონერის, ჯოვანი და ლუკას ცნობით, ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი მდ. აუსზე გადიოდა: „21 მაისს მოვედით ძველ ქალაქ სკისორნუმში (Schissornum), საცა მდინარე აუსი ჰყოფს აფხაზეთს სამეგრელოსაგან“ (თამარაშვილი, 1902, 144). პროფ. ილია ტაბალუა ამ ადგილს შემდეგი სახით კითხულობს: „ჩვენ უკვე ანტიკურ ქალაქ სკისორნუმში ვიყავით, სადაც მდ. აბსი აფხაზეთს სამეგრელოსაგან ყოფს“ (ტაბალუა, III, 1987:157). იგი ფიქრობდა, რომ მდ. აბსი იგივე მდ. კოდორია (იქვე: 160). ამ მოსაზრებას არ იზიარებს ბეჟან ხორავა და შენიშნავს, რომ ჯოვანი და

ლუკასელი აუხი მდ. ბესლეთს შეესატყვისება: „თუ აბსი მდ. კოდორია, მაშინ გაურკვეველია, სად იყო სკორჩა (სკურჩა), სადაც ჯ. ლუკა დღენახევრის მგზავრობის შემდეგ ჩავიდა და დრანდის ეპისკოპოსს შეხვდა. სკურჩა მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე იყო, დრანდა – მარჯვენაზე; თუ აბსი კოდორია, სად იყო მის სანაპიროზე ანტიკური ქალაქი? ჯ. ლუკა გარკვევით წერს, რომ ანტიკურ ქალაქ სკისორნუმში მდ. აბსი აფხაზეთს სამეგრელოსაგან ყოფს. საფიქრებელია, რომ მდ. აბსი, აბსილი, იგივე მდ. ბესლეთია... ადვილი შესაძლებელია, ჯ. ლუკას მდინარის სახელწოდება ბასლა (ბესლეთი) აბსილად მოსჩვენებოდა“ (ხორავა, 1996: 94). მდ. აუხის/აბსის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით აზრთა განსხვავებულობის მიუხედავად, ქალაქ სკისორნუმისა და სოხუმის იგივეობას ორივე მკვლევარი მხარს უჭერს.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ იტალიელი მისიონერი დრანდის წმ. ანდრიას სახელობის ეკლესიას ოდიშის შემადგენლობაში აქცევდა. ეკლესია „ახლოა აფხაზეთთან, რომლებთანაც ქართველებს ძრიელ ცოტა მეგობრობა აქვს“ (თამარაშვილი, 1902: 149). ქართველებსა და აფხაზებს შორის გამწვავებულ ურთიერთობაზე მიანიშნებს სკისორნუმელი (სოხუმელი?) თავადის – პუტოს ნათქვამი მისიონერ ჯოვანი და ლუკასადმი, რომ მას მეზობლად მყოფ ქართველ სასულიერო პირებთან ნაკლები კონტაქტი ჰქონდა (იქვე: 149; კვაშილავა, 2011: 68). პირველი დასახლებული პუნქტი, რომელსაც დომინიკანელი მისიონერი სამეგრელოში ასახელებს, არის Scourcia (იქვე). ესაა მდ. კოდორის ნაპირას მდებარე სოფელი სკურჩა.

ის ფაქტი, რომ ჯოვანი და ლუკას ცნობით ჯერ კიდევ ფუნქციონირებს დრანდის მონასტერი, როგორც დრანდელი არქიეპისკოპოსის (Driandelli) საკათედრო რეზიდენცია, კ. კვაშილავას აფიქრებინებს, რომ მომხდურ აფხაზთა შემოტევების გამო ოდიშართა სამხრეთ-აღმოსავლეთით დახვეის მიუხედავად, მეგრული მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის არსებობა დრანდაშიც ამ დროისათვის (იგულისხმება 1630 წელი) შესაძლებელია (კვაშილავა, 2011: 69). თუმცა მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ იტალიელ მისიონერთა ცნობებს ეჭვით უყურებს თამაზ ბერაძე, რადგან დრანდის მონასტერი ამ შემთხვევაში ოდიშის გარეთ ჩანდა (იქვე: 69; ბერაძე, 1999: 210).

XVII ს-ის 80-იანი წლებიდან კოდორ-ენგურის შუამდინარეთში ეთნიკური სიტუაცია მკვეთრად იცვლება. ზ. ანჩაბაძის შეფასებით, ამ დროიდან იწყება აფხაზ ფეოდალთა შეჭრა სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე და მისი ჩრდილოეთი რაიონების დაპყრობა მდ. ენგურამდე: „Абхазские феодалы... в начале 80-х 22. XVII в вторглись на территорию Мегрельского княжества и захватили его северные районы“ (Анчабадзе, 1959: 270).

ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. კოდორ-ენგურის შუამდინარეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების, გახიზვნის ან მონად გაყიდვის შედეგად დაცარიელებული ტერიტორიის ათვისებას იწყებენ კოდორსგალმიდან ჩამოსული აფხაზები, ხოლო უფრო სამხრეთით, ადგილი აქვს ლალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის აფხაზთაგან დაპყრობას, – ასე აფასებს XVII საუკუნის მიწურულის ვითარებას გ. ანჩაბაძე (ანჩაბაძე, 2006: 226).

XVII ს-ის 50-80-იანი წლების ოდიშ-აფხაზეთის საზღვრების შესახებ ცნობებს გვანდის ოსმალო ავტორი ქათბი ჩელები. მისი თხზულების ქართული თარგმანის გამომცემლის, გიული ალასანიას მოსაზრებით, ჯიჰან ნუმას რუკები სწორედ ამ პერიოდშია შედგენილი; თუმცა საზღვრებთან დაკავშირებით ქათბი ჩელების თხზულებასა და რუკის მონაცემებთან გარკვეული შეუთავსებლობაა. კერძოდ, ჩელები რუკაზე ოდიშ-აფხაზეთის გამყოფ საზღვარს მდ. კელასურზე ავლებს, თუმცა თხზულების მიხედვით მდ. კოდორია სასაზღვრო მდინარე (ალასანია, 1978: 56; ქათბი ჩელების ცნობები..., 1978: 132). ფიქრობენ, რომ ქათბი ჩელები გაცილებით განსხვავებულ და შედარებით ადრინდელ ცნობებს ფლობდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომაც არის, რომ მისი რუკის მიხედვით საზღვარი მდ. კელასურზე გადის (კვაშილავა, 2011: 69).

ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) ერთ-ერთი უძლიერესი მმართველი იყო დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის, მაგრამ მისი მთავრობის პერიოდში გახშირებულმა აფხაზთა ლაშქრობებმა დასავლეთ კავკასიის მთიელი ტომების მონაწილეობით საფრთხე შეუქმნა ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებს. ამიტომ დადიანი იძულებული გახდა თავდაცვით პოლიტიკაზე გადასულიყო და ამ მიზნით აფხაზთა მარბიელი ლაშქრობისაგან სამთავროს დასაცავად აფხაზეთთან საზღვარი საფორტიფიკაციო ნაგებობებით გაემაგრებინა. საუბარია კელასურის ზღუდეზე, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ – აფხაზეთის დიდ კედელზე.

კელასურის კედლის აგების დროისა და მიზნების შესახებ სრულიად გარკვეულ ცნობას გვანდის ვახუშტი ბატონიშვილი: „ამ ანაკოფიის აღმოსავლეთ ზღვიდამ მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსლველობისათვის, გარნა ან უქმად არს“ (ვახუშტი, IV, 1973: 782). ამ ცნობიდან ირკვევა, რომ მეცნიერი ბატონიშვილის აზრით, კელასურის კედელი ლევან II დადიანის მთავრობის პერიოდშია აშენებული. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ვახუშტი სათანადო ადგილზე არაფერს ამბობს „ქართლის ცხოვრების“ ცნობაზე მურვან ყრუს მიერ კელასურის ზღუდის გადალახვის შესახებ. ეს ფაქტი მას კარგად უნდა სცოდნოდა თავისი წყაროდან. მაგრამ ამკარაა, რომ ვახუშტი ღრმად

არის დარწმუნებული ანაკოფიის აღმოსავლეთით, ზღვიდან მთამდე აგებული ზღუდის აგების დათარიღებაში და ამიტომ ამ ფაქტს საგანგებოდ აღნიშნავს (ალექსიძე, 2011: 37).

ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ოდიშსა და აფხაზეთს შორის საზღვარი მდ. კელასურთან გადიოდა. საზღვარი მიუყვებოდა იმ კედელს, რომელიც, შავ ზღვასთან, კელასურის შესართავთან იწყება და გასდევს მის მარცხენა ნაპირს ჩრდილოეთისაკენ. ზღვისპირას დღესაც დგას ოთხკუთხა კოშკი. კედელი კელასურის ხეობას ათიოდე კმ-ის მანძილზე მიუყვებოდა, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ უხვევდა, გადაკვეთდა მდ. მაჭარას და უკვე მდ. კოდორიდან ფანავის ქედს გასდევდა. კოდორის ხეობის ზემონელს აფხაზი მთავრები ფლობდნენ. მოქვისწყლის გადაკვეთის შემდეგ ზღუდე მდ. ლალიძგამდე, ტკვარჩელამდე აღწევდა (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 67; ხორავა, 1996: 95-97).

არის თუ არა კელასურის ზღუდე ლევან დადიანის მიერ აშენებული? ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლევანის დროს უმეტეს შემთხვევაში მთლიანი კედელი კი არ აშენებულა, არამედ საგანგებოდ იქნა გამაგრებული მხოლოდ გადმოსასვლელები. ოდიშის მთავარი „კარგად გრძნობდა, რომ თუ კელასურის პირას საზღვარი მოიშლებოდა, მტრის შეჩერება ენგურამდე შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ მან საგანგებოდ გაამაგრა ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი. ამ დროს აგებულ სიმაგრეთა ნაშთია ის ერთი ხანის ნაგებობანი მდ. კელესურიდან მდ. ლალიძგამდე“ (ბერაძე, იქვე: 72).

ზ. ალექსიძის აზრით, საეჭვოა ლევან დადიანს „ამხელა კედლის აგების შესაძლებლობა ჰქონოდა და არც მისი ეპოქა ითხოვდა მსგავს იდეებს. უკვე არსებულ ნაგებობას კი იგი, რა თქმა უნდა, გამოიყენებდა, გაამაგრებდა, რალაცას დაუმატებდა, შეავსებდა და ა. შ. კოშკებში დატანებული სათოფურებიც, ცხადია, მისი გაკეთებული იქნება“ (ალექსიძე, 2011: 41).

არქანჯელო ლამბერტს თავის რუკაზე თავდასაცავ სიმაგრეთა სისტემაზე შემდეგი წარწერა გაუკეთებია: „კედელი აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ“ (ლამბერტი, 2011, რუკა). ანალოგიურ წარწერას ვხვდებით 1654 წლის რუკაზეც: „აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ აგებული 60 მილი სიგრძის კედელი“ (კასტელი, 1976, რუკა).

XVII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისისათვის ოდიშ-აფხაზეთის საზღვრად მდინარე კოდორი ჩანს, მაგრამ 60-იანი წლებიდან აფხაზთა მთავარი სოუსტან (ბაგრატი) შერვაშიძე თავისი ლაშქრით ანარმოებს გახშირებულ თავდასხმებს ოდიშის მიწა-წყალზე. „ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან“, – წერს ვახუშტი ბატონიშვილი (ვახუშტი, IV, 1973: 842). აღნიშნული ცნობა ოდიშის იმდროინდელი რეალური და საგანგაშო ვითარების ამსახველია.

აფხაზებმა აიკლეს ოდიშის საზღვრისპირა პუნქტები და ქვეყნის შიდა ტერიტორიაზეც შეაღწიეს. აფხაზთაგან ცაიშის ტაძრის აოხრების შესახებ გვაუწყებს სახარების ერთი მინაწერი: „მერემეთ აფხაზის ლაშქარი მოვიდა... ტაძარს მოუხთა და ჩუენ დიდსა დაჭირებასა და შიშსა ქვეშე შევარდით“ (თაყაიშვილი, 1913-1914: 188). აფხაზთა გამანადგურებელ ლაშქრობაზე მოგვითხრობს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი: „...ბრმა ბაგრატიისაგან შეურაცხყოფილი დადიანი ისეთი უძლური იყო, რომ აბაზგებმა გაანადგურეს მისი სამფლობელო, აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქიაჩი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე და ფაზისამდე“ (ციტირება იხ. ხორავა 1996: 111).

სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრებიდან საეკლესიო წიგნების, ჯვარ-ხატებისა და საეკლესიო ინვენტარის გადატანა ოდიშის შიდა რაიონებში, სადაც მათ შენახვას აფხაზთაგან საფრთხე არ ემუქრებოდა. ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ მოქვისწყლის ხეობაში, ფანავის ქედზე, ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდის ტერიტორიაზე მდგარა მთავარანგელოზის ეკლესია, ქიაჩად წოდებული. ნასოფლარისათვის აფსუებს ქიაჩიხი (ქიაჩის სალოცავი), ქიაჩაბა (ქიაჩის ციხე) უწოდებიათ. ამ ეკლესიაში დასვენებული წმ. გიორგის ხატი ოდიშში, სოფელ ობუჯში გადაუტანიათ. ხის ეკლესია, რომელშიც ეს ხატი დააბრძანეს და სოფლის ის უბანი, სადაც ეკლესია იდგა, დღესაც ქიაჩის სახელითაა ცნობილი (ხორავა, 1996: 112, და იქვე მითითებული ლიტ-რა).

ოდიშის სამთავროს ფაქტობრივი გამგებლის – კაცია ჩიქოვანის მიერ 1681 წელს გაცემული სიგელიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის ქიაჩის სამწეროპელი უკვე სოფ. ობუჯშია (კაკაბაძე, ს. მ., I, 1925: 247-249).

აღნიშნული სიგელის შესწავლას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ისტორიკოსმა გ. არახამიამ. სიგელისა და ზეპირსიტყვიერი მასალების გაანალიზების შედეგად მკვლევარი უაღრესად საგულისხმო დასკვნამდე მივიდა: 1681 წლით დათარიღებულ სიგელში ნახსენები ხატი გულისხმობს მოქვის მახლობლად მდებარე ქიაჩის ეკლესიის ხატს. იგი 1681 წლამდე მოუპარავს კვიტოულელ კაკაჩიას და ენგურსგამოღმა, ობუჯში მიუტანია. 1640 წლისათვის მოქმედი ქიაჩის ეკლესია სიგელის შედგენის პერიოდში გაუქმებული ჩანს, რაც ხატის ადგილსამყოფელის შეცვლით აიხსნება. აფსუები ამ პერიოდში განუწყვეტლივ ანიოკებენ მდ. კოდორის აღმოსავლეთით მდებარე ოდიშის ტერიტორიას (არახამია, 2009: 92). „კვიტოულელ კაკაჩიას... ამ ძნელბედობის ჟამს ქიაჩის ხატი-სამწეროპელი საფრთხისაგან განურიდებია, ობუჯში საიმედო ადგილას დაუბინავებია და თვითონაც აქ დასახლებულა... ზეპირი გადმოცემის ცნობა ხატის „აფხაზეთიდან მოპარვის“ შესახებ უნდა გავიგოთ, როგორც ხატის წამოსვენება მოთარეშე-

ბისაგან შეუმჩნევლად. მან ხატი „მოპარა“ ეკლესიის შემმუსვრელებს და არა ეკლესიას“ (იქვე: 93-94).

ასეთივე ბედი ეწია ქიაჩის მთავარანგელოზის მეორე ხატს. იგი სოფ. ქოლაში (ახლანდ. ჩხორონყუს რ.) დაუსვენებიათ (ბურჯანაძე, 1959: 151; ხორავა, 1996: 112; არახამია, 2009: 93). ასევე მოქვის სახარებამ (1300 წ.) და ბედიაში დასვენებული ვლადიმერის ღვთისმშობლის ხატმა მარტვილში დაიდო ბინა და ა. შ. (ხორავა, 1996: 113, და იქვე მითითებული ლიტ-რა).

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან კოდორ-ენგურის შუამდინარეთში ეთნიკური სიტუაცია კიდევ უფრო მკვეთრად იცვლება. ზ. ანჩაბაძის შეფასებით, სწორედ ამ დროიდან იწყება აფხაზ ფეოდალთა შეჭრა სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე და მისი ჩრდილოეთი რაიონების დაპყრობა მდ. ენგურამდე: „Абхазские феодалы... в начале 80-х 22. XVII в вторглись на территорию Мегрельского княжества и захватили его северные районы“ (Анчабадзе, 1959: 270).

ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. კოდორ-ენგურის შუამდინარეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების, გახიზვნის ან მონად გაყიდვის შედეგად დაცარიელებული ტერიტორიის ათვისებას იწყებენ კოდორსგალმიდან ჩამოსული აფხაზები, ხოლო უფრო სამხრეთით ადგილი აქვს ლალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის აფხაზთაგან დაპყრობას, – ასე აფასებს XVII საუკუნის მიწურულის ვითარებას ზ. ანჩაბაძე (ანჩაბაძე, 2006: 226).

XVII ს-ის 50-80-იანი წლების ოდიშ-აფხაზეთის საზღვრების შესახებ ცნობებს გვანდის ოსმალო ავტორი ქათიბ ჩელები. მისი თხზულების ქართული თარგმანის გამომცემლის, გიული ალასანიას მოსაზრებით, ჯიჰან ნუმას რუკები სწორედ ამ პერიოდშია შედგენილი; თუმცა საზღვრებთან დაკავშირებით ქათიბ ჩელების თხზულებასა და რუკის მონაცემებთან გარკვეული შეუთავსებლობაა. კერძოდ, ჩელები რუკაზე ოდიშ-აფხაზეთის გამყოფ საზღვარს მდ. კელასურზე ავლებს, თუმცა თხზულების მიხედვით მდ. კოდორია სასაზღვრო მდინარე (ალასანია, 1978: 56; ქათიბ ჩელების ცნობები..., 1978: 132). ფიქრობენ, რომ ქათიბ ჩელები გაცილებით განსხვავებულ და შედარებით ადრინდელ ცნობებს ფლობდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომაც არის, რომ მისი რუკის მიხედვით საზღვარი მდ. კელასურზე გადის (კვაშილავა, 2011: 69).

ჩრდილოკავკასიური ტომების მიერ და აფხაზ ფეოდალთა – შერვაშიძეების მეთაურობით ოდიშის სამთავროს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით განხორციელებული ექსპანსია საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ოდიშსა და აფხაზეთს შორის საზღვარი უკვე მდ. ენგური გახდა. ბზიფსა და ენგურს შორის მოქცეული ტერიტორია აფხაზეთის მთავარ ზეგნაყ შერვაშიძის

სამ ვაჟს შორის განაწილდა: უფროსმა, როსტომმა დაისაკუთრა ტერიტორია ბზიფსა და კოდორს შორის, რომელიც აძვიბჟად („ორწყალშუა“) ინოდებოდა და სამთავრო დომენს წარმოადგენდა; შუათანას – ჯიქეშიას წილად ხვდა კოდორ-ღალიძგის შუამდინარეთი, ხოლო უმცროსს, ყვაპუს – ასევე საუფლისწულო სამფლობელოდ, – ღალიძგა-კოდორის შუამდინარეთი ერგო, რომელსაც მოგვიანებით (სავარაუდოდ, XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან), ყვაპუს შვილის – მურზაყანის პატივსაცემად სამურზაყანო ეწოდა. ამ ტერიტორიას მეგრელები სააფხაზოს ეძახდნენ, ხოლო აფსუები – აბჟუას („შუასოფელი“).

1702 წლის მიწურულს ოდიშის მთავარმა გიორგი IV დადიან-ლიპარტიანმა შეძლო აფხაზთაგან მიტაცებული ტერიტორიის ერთი ნაწილის, კერძოდ, ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთის კვლავ დაბრუნება (ხორავა, 1996: 121). სწორედ ამ დროიდან მიიჩნევა ღალიძგა სასაზღვრო მდინარედ ოდიშის სამთავროსა და შერვაშიძეთა სამფლობელოს შორის (არახამია, 2009: 116-117).

ოდიშის საზღვრების შესახებ ვახუშტის იდენტურ ცნობებს გვანვდის ნიკო დადიანი: „ოდიშს მენგრელი ეწოდება ეგრისის გამო. საზღვარი ოდიშისა არს ცხენის წყალი, მერმეთ თავკერსა და ოდიშს შორისი მთაჲ, კავკასიიდან ჩამოსრული სამხრით და კვალად თავკერიდამვე წასრული კავკასი ჩრდილოდ, ვიდრე ეგრისის სათავედმდე ოდიშისა და სვანეთისა შორისი; სამხრით მდინარე რიონი გურია-ოდიშს შორისი და კვალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღვა; დასავლეთით ზღვა შავივე და კვალად ანაკოფიის მთა კავკასიიდან ჩამოსრული სამხრით ზღვამდე; ჩრდილოთ კავკასის მთა“ (დადიანი, 1962: 150).

ამდენად, აფხაზეთად სახელდებული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე ვახუშტის მიხედვით შავი ზღვიდან კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედამდე მოქცეულ ტერიტორიაზე თავსდება. მას ჩრდილო-დასავლეთით მდ. კაპოეტის წყალი გამოყოფდა ჯიქეთისაგან, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ფსირცხის მარჯვენა ნაპირზე აღმართული მთით იმიჯნებოდა ოდიშისაგან. ამ საზღვრებში მეცნიერი გადმოგვცემს ერთიანი ქართული მონარქიის ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის პერიოდის (XV ს-ის 80-90-იანი წლები) ამსახველ რეალურ ისტორიულ ვითარებას. მომდევნო 40-50 წლის განმავლობაში საზღვარი ოდიშ-აფხაზეთს შორის ამ მთაზე გადიოდა, რასაც მონაწილეს თურქი მზვერავის მოხსენებითი ბარათი, რომელიც XVI ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 54; მისივე, 1998: 103; აბულაძე, 1983: 57).

საკუთრივ აფხაზეთს, მაშასადამე, იმავდროულად საქართველოს ისტორიულ სასაზღვრო პუნქტს, ჩრდილო-დასავლეთით **ნიკოფსია** წარმოადგენდა, რომელიც თანამედროვე ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა

(ვახუშტი, IV, 1973: 201). V ს-ის ანონიმთან ეს პუნქტი ძველ ლაზიკად იწოდება. დამაჯერებელია ისტორიკოს მერი ინაძის თვალსაზრისი უძველესი საისტორიო ტრადიციის ეგროსის სამფლობელოს შავ ზღვამდე გავრცელების შესახებ, ანუ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იმ ტერიტორიამდე, „სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“. კავკასიონის ქედის დასავლეთი კალთები შავი ზღვის ნაპირამდე სწორედ ძველ ლაზიკასთან აღწევს (ინაძე, „მაცნე“, №2, 1992: 47; გამახარია, 2007: 63).

ფეოდალური მონარქიის დასუსტებისა და სამეფო-სამთავროებად ქვეყნის დაშლის შემდგომ პერიოდში დასავლეთ საქართველოს მთაში იკლებს ქართული მოსახლეობის რაოდენობა და მის ადგილზე კავკასიონის ჩრდილოეთი კალთებიდან ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ემიგრირებული და ადგილობრივ ფეოდალებთან ხიზნებად მდგარი უცხო ეთნიკური ელემენტი სახლდება. ადგილი აქვს ტერიტორიების ანექსიასაც აფხაზ ფეოდალთა მხრიდან. ასე შეიქმნა აფსუათა დასახლება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე; ისინი სარგებლობენ XVII ს-ის II ნახევარში ოდიშის სამთავროში გაჩაღებული ფეოდალური შინაომებით, რასაც შედეგად მოჰყვა ოდიშის მთავართა ტიტულის ჩიქვანთა გვარეულობის ხელში გადასვლა (ვახუშტი, IV, 1973: 842). საბოლოოდ კაცია ჩიქვანის ხელში აღმოჩნდა მთელი ოდიში, რომელიც „იყო თავ და გამგე მათი... ამით მოიყვანა ოდიში ქუეშე თვსსა, ვიდრე პყრობამდეცა თვსად“ (იქვე: 845). სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული აფხაზები ისაკუთრებენ ტერიტორიას კოდორსა და ენგურს შორის და იბრძვიან მის შესანარჩუნებლად.

ვახუშტი აფხაზების საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩამოსახლებას და ოდიშართა მიწა-წყლის „ეგრისის მდინარემდე“ დაპყრობას XVII ს-ის მიწურულში მომხდარ ფაქტად მიიჩნევს: „ხოლო აწ ეგრისის მდინარემდე უპყრავსთ აფხაზთა, და მას ზეით სამჯრის კერძო დადიანსა“ (იქვე: 783). სხვაგან აღნიშნავს: „გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდინა ნავებითა და ხმელითა და სტყუევენიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდნენ თვთ აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“ (იქვე: 845).

ამრიგად, 1681 წლისათვის აფხაზებმა შეძლეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიტაცება და საზღვრის გადმონევა მდ. კელასურიდან ლალიძგამდე. დადიანის სამფლობელოს მიღმა დარჩა დრანდისა და მოქვის ეპარქიები. აღნიშნული მიზეზით ორივე კათედრამ არსებობა შეწყვიტა, ვინაიდან არც ერთ მათგანში ამ დროიდან მოყოლებული ქრისტიანული ღვთისმსახურება არ აღევლინებოდა (ხორავა სძ, 3, 2000: 40).

XVIII ს-ის მეორე ნახევრის აფხაზეთის საზღვარს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი ენგურზე ავლებს და შენიშნავს: მეგრული მხარე ოდიში „გადაჭიმულია შავი ზღვის ნაპირზე, ქედის დასავლეთი ძირიდან ენგურამდე, რომლითაც ის აფხაზეთისგან არის გამოყოფილი“ (გიულდენშტედტი I, 1962: 321). მოტანილ ამონაწერს დედანში შემდეგი განმარტება ახლავს: „შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებიან ჯიქეთი და ალაღეთი; აღმოსავლეთით, კაბეთს ზემოთ, სონეთი ანუ სვანეთი. აფხაზეთის მოსახლეობას ქართულად ჰქვია აფხაზი, მრავლობითში – აფხაზები, ჯიქეთისას – ჯიქი, ალაღეთისას – ალაღი; ერთი უნდა იყოს ბაიერის ალანია, მეორე კი ციხია (ჯიქია)“ (იქვე).

თავი III

აფხაზეთის ტოპონიმია ედუარდ აიხვალდის
სამომზაურო ჩანაწერები

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური და სხვა სახის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის, მედიცინის დოქტორის, პროფესორ **ედუარდ აიხვალდის (1795-1876 წწ.)** სამოგზაურო ჩანაწერები. მისი ნაშრომის მესამე თავი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია აფხაზეთის ტოპონიმების შესასწავლად.

მოგზაური აფხაზეთს შემდეგ საზღვრებში აქცევს: „აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვარს შეადგენენ კავკასიონის მაღალი მთები, რომლებიც მისგან ბევრ მთიელ ხალხებს გამოყოფენ. აღმოსავლეთით ესაზღვრება სამეგრელო, რომლისგანაც მდინარე ლალიძგა გამოყოფს; სამხრეთით და დასავლეთით შავი ზღვა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით ჩერქეზები, რომლისგანაც გამოყოფენ მდინარე გაგრინისი და კავკასიონის განშტოებები“ (იქვე: 220).

აიხვალდი შენიშნავს, რომ თურქებისათვის ჩამორთმეული **სოხუმ-კალეს** ნავსადგური 1810 წლიდან რუსების ხელშია. 1812 წელს ფოთი, ანაპა, ახალქალაქი (ქართლ-იმერეთის საზღვარზე) კვლავ თურქებს დაუბრუნდათ, ხოლო სოხუმი რუსთა ხელში დარჩა. აიხვალდის ცნობით, სოხუმ-კალეში სკორპუტი (ცინგა) მძვინვარებს, რის გამოც იგი რუსული გარნიზონის სასაკლაოს წარმოადგენს და ზოგჯერ, ყოველდღიურად, 1012 კაცი კვდება. ნავსადგურის ყურეს საკმაო სიღრმე – 30 საყენი აქვს. ამასთანავე, ძალზე ფართოა და შტორმის დროს გემები კარგად არიან დაცულნი და სრულიად საიმედოდ დგანან ლუზაზე (იქვე). მოგზაური შენიშნავს, რომ სოხუმ-კალეს ციხესთან აფხაზეთის მთავარი ნავსადგურია. ქარისგან სამი მხრიდან დაცულ ამ ნავსადგურში დიდ გემებს შეუძლიათ 200-400 კვანძის დაშორებით ლუზის ჩაშვება (იქვე). აიხვალდი აფხაზეთში ორ უმნიშვნელოვანეს პუნქტს ასახელებს: სახელდობრ, ზღვის ნაპირზე, რიყის ქვისგან აშენებულ სუხუმ-კალეს, ოთხი სწორკუთხა ბასტიონით, და შავ ზღვაზე, კავკასიის მთის ბოლოს, კლდოვანი ხეობის გამოსასვლელში მდებარე **გაგრის დანგრეულ ციხეს**, „რომელსაც თამამად შეიძლება დაერქვას დასავლეთ კავკასიის გასაღები“ (იქვე: 223).

აიხვალდის ცნობით, სოხუმ-კალეს ციხე ნებელდის რაიონშია, რომელიც აფხაზეთს ეკუთვნის (იქვე: 212). გერმანელი მოგზაური 1831 წლისათვის აფხაზეთში ოთხ მხარეს გამოყოფს. მათ შორის ერთ-ერთია **ნებელდა**, რომელიც ქმნიდა განსაკუთრებით თავისუფალ საზოგადოებას და არავითარ მფლობელს არ ცნობდა. „ნებელდელები არ ცნობენ არავითარ ბატონს და მხოლოდ თავად მარშანას მდიდარ გვარს აქვს ერთგვარი გავლენა მათზე“ (იქვე: 219). აიხვალდის ცნობით, ნებელდის საზოგადოება მოიცავს მდ. კელასურზე მდებარე სოფლებს მიუვალ მთებში (იქვე: 222); ნებელდის საზოგა-

დოებაში შემავალი სოფლების რაოდენობაა 30, 2500 კომლით, დაახლ. 15000 მოსახლით (იქვე: 223).

სამოგზაურო ჩანაწერების მიხედვით დანარჩენი სამი მხარეა **აფშავი (აფშაუ)//აფშივი, აფხაზი და ბზიფი** (იქვე: 219, 222). აფშივი, აიხვალდის მიხედვით, მდინარეებს – ლალიძგასა და კოდორს შორის მდებარეობს. იგი შეიცავს 18 სოფელს, 1760 კომლით და ორივე სქესის დაახლ. 10560 მცხოვრებით (იქვე: 222-223). აქ უნდა იგულისხმებოდეს ისტორიული **აფშილეთი, აფსილეთი** – აფშილებით დასახლებული ტერიტორია ისტორიულ კოლხეთში, რომელიც მოიცავდა ახლანდელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტს, მდ. ლალიძგის ჩრდილოეთით, მდ. კოდორამდე. IV საუკუნისთვის სამხრეთიდან ლაზების (ეგრების) მონოლას შედეგად მოჰყვა აფშილეთის უფრო ჩრდილოეთით, კოდორს გადაღმა გადანაცვლება. ჯუანშერის ცნობით, ქ. ცხუმი (სოხუმი) უკვე მის მიწა-წყალზე ივარაუდება. VII ს-ის I ნახევარში ბიზანტიის ხელისუფლების მიერ აფშილეთის დასავლეთი ნაწილის აბაზგიასთან გაერთიანების შემდეგ, აფშილეთი დამოუკიდებელი სამთავროს სტატუსს კარგავს, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი, მდ. კოდორის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, ეგრისს შეერწყა (ანჩაბაძე, ქსე, II, 1977: 28; ლომოური, „საქართველო“, I, 1997: 248).

აფშას-ის (?) // აფხაზის საზოგადოება, აღნიშნავს აიხვალდი, მდ. გუმისთამდე ვრცელდება და აერთიანებს 15 სოფელს 1340 კომლით, დაახლ. 8040 მოსახლით; **სუბცი**, ანუ **ბზიფი** მოიცავს აფხაზეთის დანარჩენ ზოლს, მდ. გაგრინშის გაყოლებით, 33 სოფლით და 3120 კომლით (18720 მოსახლე) (იქვე: 222-223).

მოგზაურის აღწერით, აფხაზეთის ზედა საზღვრებზე დასავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ გადაჭიმული კავკასიონის თხემი სუხუმ-კალეს ციხიდან ბიჭვინთის, ანუ პიცუნდის მონასტრამდე შესამჩნევად უახლოვდება ნაპირს და მონასტრიდან კი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთის საზღვრებამდე ზოგიერთ ადგილას შიგ ზღვაშიც შეიჭრება“ (იქვე: 220). შავი ზღვისპირა ნავსადგურებს შორის აიხვალდი ასახელებს ბიჭვინთის მონასტრის მახლობლად მდებარე ნაკლებად სარგებლიან ყურეს, რომელსაც „სამხედრო გემებისთვის ლუზის ჩასაგდებად აქვს საკმაოდ სანდო ფსკერი“ (იქვე: 221). ბიჭვინთის ყურე, იგივე შავი ზღვის ყურე მდებარეობს აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ყურის დასავლეთ ნაწილში ზღვის სიღრმე 50 მ-ს აღწევს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით – 20 მ-ს. ყურეს დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან – ეკვრის ბიჭვინთის კონცხი, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – მიუსერის მაღლობი (იხ. ქსე, II, 1977: 424).

ახივალდს მხედველობიდან არც ის გამორჩენია, რომ ბიჭვინთაში საკმარაოდენობითაა მტკნარი წყალი და გემსაშენისათვის გამოსადეგი ხე-ტყე (იქვე: 221).

მეცნიერი აფხაზეთის დასახლებულ პუნქტებს შორის არაერთგზის მოიხსენიებს **სოუკ-სუს**: „კომენდანტი, მაიორი ფონ რაკოცი... ადრე თავისი რეგიმენტით (შენაერთით) იბრძოდა აფხაზეთში და დიდი ხანი იდგა იმ ქვეყნის დედაქალაქში – სოუკსუ-ში (თურქულად – ცივი წყალი)“ (იქვე: 200); „ასლან ბეიმ დაატყვევა დიმიტრის დედა და და-ძმა; დედამ თავი შეაფარა სოუკსუს, აფხაზი მმართველების ძველ სადგომს, სუხუმ-კალედან 70 ვერსზე, სადაც ის ერთ კოშკში იმყოფებოდა.

შემდგომ 1822 წელს სოუკსუში ჩამოვიდა რუსული რაზმების ერთი დანაყოფი და ამ ტყვეობიდან გაათავისუფლა დედა თავისი 5 ქალიშვილითა და 3 ვაჟით. მაშინ სოუკსუში იდგა აგრეთვე რედუტ-კალეს ახლანდელი კომენდანტი მაიორი რაკოცი 250 ქვეითი ჯარისკაცით; მან ააგო პატარა სიმაგრეები, უმეტესად წნულისა და მიწისაგან, ხოლო ის კოშკი მან კარგად გამოიყენა საუკეთესო თავდაცვის მოსაწყობად“ (იქვე: 216); „სოუკსუს წყალი არ ჰქონდა, რადგან ციხეს გარს ერტყნენ აფხაზები და გამოკეტილები იყვნენ, ამიტომ წვიმის წყალს აგროვებდნენ“; „გზა სუხუმ-კალედან სოუკსუმდე 30 ვერსის მანძილზე მთლად გაოხრებული იყო“; „გენერალმა თავადმა გორჩაკოვმა... გადანყვიტა ბიჭვინთის ყურეში გადაესხა საზღვაო ძალები ხმელეთზე, რათა ამით ყველა დაბრკოლებისთვის გვერდი აეველო და ისე მიეღწია სოფელ სოუკსუმდე“ (იქვე: 217); „სოფელ სოუკსუში, რომელშიცაა 400 კომლი და დაახლოებით 5000 მოსახლე, არის რეზიდენცია მმართველი მთავრის, პოლკოვნიკ მიხეილ შერვაშიძის“ (იქვე: 223); „მთელ აფხაზეთში მოიპოვება მხოლოდ ერთი ეკლესია და ერთადერთი მღვდელი სოფელ სოუკსუში მთავრის სახლში“ (იქვე: 224).

სოუკსუ ერქვა გუდაუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლიხნს, რომელიც გუდაუთიდან 5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. სოუკ-სუს უწოდებს მას აგრეთვე ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა (გამბა, 1987: 85).

ლიხნი აფხაზეთის დიდი და უძველესი სოფელია. შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში **ზუფუს** სახელითაც არის ცნობილი. XVII-XVIII საუკუნეებში იგი აფხაზი მთავრების პოლიტიკურ რეზიდენციას წარმოადგენდა (ანჩაბაძე, 1959: 289).

ახივალდი ასახელებს აგრეთვე ტოპონიმ **აკოპას** და წერს: „სუხუმ-კალეს კომენდანტმა ერთი ასეულით მოაწყო უშედეგო თავდასხმა სუხუმ-კალედან 15 ვერსით დაშორებულ სოფელ **აკოპა**-ს მცხოვრებლებზე, რათა იქ შეფარებული ხელმძღვანელები დაეპატიმრებინა“ (იქვე: 217). აკოპა, ჩვენი აზრით,

იგივე **აკაფაა** – სოფელი ამ სახელწოდებით მდებარეობს ამჟამინდელ სოხუმის მუნიციპალიტეტში (კელასურის თემი), მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე, ზ. დ. 200 მ-ზე. აკაფა შავი ზღვიდან 10 კმ-ით არის დაშორებული, სოხუმიდან – 12 კმ-ით (ქსე, I, 1975: 248). მოგზაურის მიერ მითითებული მანძილი – 15 ვერსი, ემთხვევა სოხუმიდან სოფ. აკაფას დაშორების მანძილს.

მოგზაური აფხაზეთში მიუთითებს ორ ტბას. **აჩარძე** თევზით ძალზე მდიდარი პატარა ტბაა და ზღვის მახლობლად, მდ. აფსტადან 1-1/2¹/₂ ვერსის მოშორებით მდებარეობს. მეორე ტბაა **ენკიტისა**, რომელსაც 2 ვერსის სიგრძე და 1 ვერსი სიგანე აქვს. მდებარეობს ბიჭვინთის მონასტერსა და მდ. ბზიფს შორის, ზღვიდან ცოტა მოშორებით (იქვე: 221).

აჩარძის სახელწოდებით ტბა თანამედროვე აფხაზეთში ცნობილი არ არის. არსებობს **აჩმარდა** (აფხ. Аҭмарда) – სოფელი გაგრის მუნიციპალიტეტში (ბალნარის თემი), მდ. ცანდრიფშის (ხოშუფსის მარცხ. შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, გაგრის ქედის დასავლეთ კალთაზე, ზ. დ. 460 მ, შავი ზღვიდან 12 კმ, გაგრიდან 39 კმ. (Кварчия, 2002; ქსე, ტ. II, 1977: 72; ცხადაია, ხორავა, 2016). გამოორიცხული არაა, რომ აიხვალდისეული ფორმა ტოპონიმისა – აჩარძე მიუთითებდეს აფხაზურ სახელწოდებაზე (აძ — „წყალი“).

ვახუშტი ბატონიშვილი მოიხსენიებს **მდ. ალაცოს წყალს**: „ხოლო ანაკოფიის დასავლით დის ალაცოს წყალი. გამოსდის კავკასს და მიერთვის ზღუას ჩდილოდამ. ამ ალაცოს წყალს დასავლით დის ზუფუს მდინარე, გამოსდის კავკასს, დის სამჰრით, მიერთვის ჩდილოდამ ზღუას“ (ვახუშტი, IV, 1973: 783).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვახუშტის „აღწერაში“ დასახელებული „ალაცოს წყალი“ აწინდელი **აფსტა** უნდა იყოს. (**ა)აფსტა//ბაკლანოვკა** ეწოდება მდინარეს გუდაუთის მუნიციპალიტეტში. აფსტა, — დასძენს აიხვალდი, – სათავეს იღებს კავკასიონის მთა **ხიბოხუდან**, ანუ **პლოფდალიდან** და სწრაფი დინების მიუხედავად შესაძლებელია მასზე ცურვა პატარა ნავებით, 4 ვერსზე (იქვე: 222). გუდაუთიდან 12 კმ-ის დაშორებით, აფსტის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფ. ააცის უწინდელი სახელი **ალაცო** უნდა ყოფილიყო. XVII ს-ის II ნახევარში ერთ-ერთ თურქულ რუკაზე **აღჩას** ფორმით აღნიშნული სოფელი სწორედ ალაცო უნდა იყოს (ბერაძე, „საქართველო“, I, 1997: 9). იმერეთის მეფის — ალექსანდრე V-ის რუკაზე ახლანდელ აფხაზეთის მდინარეებს შორის გვხვდება მდ. **ალაცუ** (მათურელი I, 1949: 214).

მთის სახელწოდება ხიბოხუ უცნობია სხვა წყაროებით. შესაძლებელია, რომ აიხვალდი ხიბოხუში გულისხმობდეს აფსტისა და ხიფსტის სათავეებთან მდებარე **ხიფსტის მთას** (?).

აიხვალდისეულ **ენკიტში**, ჩვენი აზრით, ამჟამინდელი **ინკითის ტბა** უნდა იგულისხმებოდეს. რელიქტური ტბა ამ სახელწოდებით მდებარეობს გაგრის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბიჭვინთის კონცხზე, ზ. დ. 1 მ, სარკის ფართობი – 0, 4 კმ, უდიდესი სიღრმე – 3, 2 მ (აფხაზავა, ქსე, V, 1980: 165).

მდ. მჭიშთას აიხვალდი **მაჩიშის** ფორმით მოიხსენიებს და წერს: „მაჩიშიც ერთვის ზღვას ბიჭვინთის ყურეში და მასზე შეიძლება რამდენიმე ვერსზე აღმა ცურვა“ (იქვე: 222). მოგზაურის აღწერით, აფხაზეთის ზედა საზღვრებზე დასავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ გადაჭიმული კავკასიონის თხემი სუხუმ-კალეს ციხიდან ბიჭვინთის, ანუ პიცუნდის მონასტრამდე შესამჩნევად უახლოვდება ნაპირს (იქვე: 220).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახალი ხიფსთის ძველი სახელწოდება ზუფუ, რაც თეთრწყალას სახელითაცაა ცნობილი, ქართველური წარმომავლობისაა, ვინაიდან ჰიდრონიმის ძირი **ზუფ-//ზოფ-** მოგვეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში (ჩიქობავა, 1997: 25, 276).

აიხვალდი მიუთითებს, რომ კავკასიონზე, ხორჩას მთიდან გამომდინარე **ხანიტა, ანუ ხაპეტის-წყალი** ერთვის ზღვას პიცუნდის ყურესთან, „ოლონდ სწრაფი დინების გამო სანაოსნოდ გამოუსადეგარია“ (აიხვალდი, 2005: 222). ამასთანავე, მან იცის, რომ არსებობს მდინარე „ბზიფის“ სახელწოდებით და შენიშნავს, რომ ჩერქეზები პატარა ნაგებობით დაცურავენ ბზიფზე და მდინარის კლდოვან ნაპირებზე დამალულნი „ხელსაყრელ დროს თავს ესხმიან აფხაზეთს“ (იქვე: 222).

მაშასადამე, აიხვალდი აფხაზეთის უმთავრეს მდინარეთა ჩამონათვალში ასახელებს როგორც **ხანიტას//ხაპეტის-წყალს**, ისე **ბზიფს**. თუკი ჩავთვლით, რომ ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“ მოხსენიებული „კაპეტის“ სახელწოდება ფორმა „ხანიტა“, ანუ „ხაპეტის-წყალი“, მაშინ ედუარდ აიხვალდის ცნობა ეწინააღმდეგება ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე გამოთქმულ თვალსაზრისს „კაპეტის მდინარის“, „კაპეტის წყლისა“ და „ბზიფის“ იგივეობაზე.

ფაქტია, რომ გერმანელი მეცნიერი ერთმანეთისგან აშკარად განასხვავებს ამ ორ მდინარეს, რასაც მოწმობს კიდევ ერთი გარემოება: ავტორი იცნობს აფხაზეთის ერთ-ერთ მხარეს **სუბცის**, ანუ **ბზიფის** სახელწოდებით. ამასთანავე, აფხაზეთის მდინარეები ჩამოთვლილია შემდეგი თანმიმდევრობით: **ლალიტა, მარკულა, კოდორი, კელასური, გუმისთა, აფსთა, ხანიტა, ანუ ხაპეტის-წყალი, მაჩიში, ბზიფი** და **სევაძე** (იქვე: 222). ჩამონათვალიდან ჩანს, რომ აიხვალდი ხაპეტის-წყლის შემდეგ ასახელებს მდ. მაჩიშს, ანუ ამჟამინდელ მჭიშთას, და ამის შემდეგ საუბრობს ბზიფზე. მდინარეთა დინების თანმიმდევრობა და ჰი-

დრონიმები იმდენად ზუსტადაა გადმოცემული, რომ ჩანანერებიდან დამოწმებული ცნობების სიზუსტეში ეჭვის შეტანა ზედმეტ სიფრთხილედ შეიძლება ჩაითვალოს. ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ XIX ს-ში შედგენილ ერთ-ერთ რუსულენოვან რუკაზე აფხაზეთის მხარეში, კერძოდ, აფხაზთა „ოკრუგის“ ტერიტორიაზე, გუმისთის მარჯვენა შენაკადს აწერია „ხაბოტა“, რაც, ჩვენი ფიქრით, სწორედ კაპოეტის-წყლის ან ხაპეტის-წყლის ვარიანტი უნდა იყოს. რუსულენოვანი რუკის თანამედროვე რუკასთან შედარება ცხადყოფს, რომ ამ სახელს ატარებდა მდ. დასავლეთი გუმისთა, რომელიც ამჟამინდელი მდ. აღმოსავლეთ გუმისთის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს.

აფხაზეთის უმთავრეს მდინარეებს შორის აიხვალდი ასახელებს ლალიძგას (galasdga), „რომელიც ქმნის საზღვარს სამეგრელოსთან“ (იქვე: 221). მისი სიგრძე 53 კმ-ია. სათავეს იღებს არგმ(ე)უას//არრგმუასა და ჩამჰარის კალთებიდან და უერთდება შავ ზღვას, ილორსა და ოჩამჩირეს შუა.

„დადის მდინარე“ და „ეგრისწყალი“, ვახუშტის მონაცემებით, მოედინებოდა ენგურსა და მოქვისწყალს შუა. ჩამოთვლილ მდინარეთა დინების თანმიმდევრობას და ვახუშტის ცნობებს ერთმანეთს თუ შევუდარებთ, მაშინ „დადის მდინარეში“ ერისწყალი ან ოქუმი უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო ეგრისწყალი ანა-რია-ოხურეინყარის ან ლალიძგის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო.

ქართველ მკვლევართა ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ ეგრისწყალი იგივე მდ. ლალიძგაა. „ხოლო ეგრისის მდინარე ეწოდების ლალიძგას“, – წერდა ნიკო დადიანი (დადიანი, 1962: 153).

ედუარდ აიხვალდის ცნობით, აფხაზეთის ერთ-ერთი მთავარი მდინარეა აგრეთვე **მარკულა**. იგი ღრმა არაა და სანაოსნოდაც არ გამოიყენება, მაგრამ მასში მრავლად იჭერენ თორუჯს (ქაშაყს) და თართს (იქვე: 221). **მერკულა** სოფელი და თემის ცენტრია ოჩამჩირის რაიონში. მდებარეობს მდ. მოქვის მარცხენა ნაპირზე. ოჩამჩირეს დაშორებულია 7 კმ-ით. მერკულა ისტორიული სოფელია. ჰპეტრუს ვესკონტის შავი ზღვის 1313 და 1318 წლებში შედგენილ რუკებზე დატანილია Merkula-ს ფორმით. სოფელი მოიხსენიება შამანდავლა დადიანის სიგელში (XVII ს-ის II ნახევარი): „ტყაყურს და მორკვლას, ანაკლიას, ხორგას, ხომალდები სადაც დადგეს“. XVII ს-ის იტალიურ რუკებზე გვხვდება Mergullas-ის ფორმით. 1615 წლის 2 მარტს მოქვიდან გაგზავნილ წერილში თეათინელი მისიონერი აღნიშნავს: „მალე გავემგზავრეთ მარგულასკენ, საცა უნდა მოსულიყო მთავარი“ (თამარაშვილი, 1902: 140). ოდიშის სამთავროში ჩამოსული რუსეთის ელჩი ფედოტ ელჩინი 1640 წლის 5 თებერვლის დღიურში წერს: „выехали мы по реке по Моргуле к ьорю Чорному на конях“ (Посольство..., 1888: 323). პ. ზახარევის აღწერილობაში სოფელი მოიხსენიება

„მარკული“ ფორმით: „Пришли в село Маркули, рошли из Чорному мору“ (იქვე: 352). ამავე ელჩის ჩანაწერებში დასახელებული *Моргули* და *Морьгули* (იქვე: 352), რასაკვირველია, გულისხმობს სოფ. მერკულას. ამ სოფელში ერთ-ერთი სასახლე ჰქონია ოდიშის სახელგანთქმულ მთავარს – ლევან II დადიანს (1611-1657 წწ.). ცნობილია, რომ 1615 წლის თებერვალში ლევანს სწორედ მერკულაში მოუწერია ხელი ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებისთვის. XIX ს-ის 30-იანი წლებიდან არსებობდა სოფ. **მარკულა//მერკულა** აბჟუის ოლქში (აბრიუცკი, პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი), ხოლო 1886 წლის მონაცემებით სოფელი ამ სახელწოდებით მოქვის ოლქში შედიოდა. დატანილია 1861 წლის რუკაზე. XX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისიდან არსებობს მოქვის სასოფლო საბჭოდ გამოყოფილი **მერკულა**, ცენტრით – ამავე სახელწოდების სოფელში, რომელიც ცნობილია შუა საუკუნეების ციხისა და ეკლესიის ნაშთებით. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზეთმა **მარკულა** დაარქვეს (მსჯელობისათვის იხ. ცხადაია, ხორავა, 2016: 123). „აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ 1953 წლის ცნობარის მიხედვით, ოჩამჩირის რაიონში არსებობს მერკულის სასოფლო საბჭო, ამავე სახელწოდების ერთი სოფლით (დაყოფა, 1953: 18).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სოფლის სახელწოდება „მერკულა“ მომდინარეობს შავქლიავას მეგრული სახელიდან – მარგული//მარგულა (თ. გვანცელაძე). ჩვენი აზრით, სახელწოდების ამოსავალია გვარი მარკელია. ნ. შონია პირველი გალისა და რეჩხი-ცხირის „სასოფლო საბჭოების“ ტოპონიმთა ნუსხაში დასახლების სახელწოდებად მიუთითებს ტოპონიმ **ნამარკილუს** (შონია, „ლენინელი“, №11, 1990: 4).

პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას ცნობით, **ნამარკილუ** ეწოდება უბანს გალის წყალსაცავის ნაპირას, კაშხალსა და ჯვეშ ცხირს შუა, გალის რაიონის სოფ. ცხირში. ამავე სახელწოდებით ცნობილია ვაკე-სახნავეები სოფ. ნარჩეში, მორინჯის მარჯვენა მხარეს (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 108). აღნიშნული გვარი ფიგურირებს აგრეთვე ტოპონიმში – ვითგექტარიანი//**მარკელიფიმ ნადის** – ასე ეწოდება სახნავს ერწყარის მარცხენა ნაპირას, მეორე შეშელეთსა და რეფი-ენერში. ათჰექტარიან სახნავს მარკელიები ფლობდნენ (იქვე: 70). სამარკელიო მარკელიების უბანია მეორე შეშელეთში, ერისწყლის მარცხენა ნაპირას (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 158). მარკელია მცირერიცხოვანი გვარია (250 სული). პ. ცხადაიას ცნობით, ამ გვარის ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან (ცხადაია, 2000: 109).

აიხვალდი შენიშნავს, რომ „კოდორი სათავეს იღებს კავკასიის უმაღლეს მთებში და მოედინება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ

ღრმა ხეობაში, ის დიდი რაოდენობით იერთებს მთის ნაკადულებს და სოფელ უხობის, ანუ დრანდის უკან ერთვის ზღვას ორ ტოტად, რომელთაგან სამხრეთისა ძალზე ნელა მიედინება და პატარა ნავებისთვის სანაოსნოა“ (იქვე: 221-222).

საინტერესოა ედუარდ აიხვალდის ცნობა, რომ **დრანდის** მეორე სახელწოდებაა **უხობი**, რომელიც სხვა წყაროებით არ დასტურდება. დრანდა მდებარეობს ამჟამინდელ გულრიფშის მუნიციპალიტეტში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. პატარა კოდორის ნაპირას, ზ. დ. 40 მ-ზე. გულრიფშს დაშორებულია 9 კმ-ით, სოხუმს – 18 კმ-ით. სოფელში დგას VI-IX საუკუნეების ხუროთმოძღვრების ძეგლი, მცხეთის ჯვრის ერთ-ერთი ვარიაცია – დრანდის ეკლესია. დრანდა, როგორც თემის ცენტრი, აერთიანებს სოფლებს: ათარბეკოვკას, ქვემო ფშაფს, ზემო ფშაფს და შაუმიანოვკას.

გერმანელი მოგზაური იცნობს **კელასურს** და შენიშნავს, რომ მდინარე ამ სახელწოდებით „ერთვის ზღვას ჩობუკის ციხის ნანგრევების გვერდით, მიედინება ძლიერ ნელა და მასზე პატარა ნავებით ალმა ცურვა შეიძლება, თუმცა არცთუ დიდ მანძილზე“ (იქვე: 222). კელასური სათავეს იღებს ბზიფის ქედის სამხრეთ კალთაზე, ხიმსის მყინვარზე (ზ. დ. 350 მ.). ერთვის შავ ზღვას სოფ. კელასურთან. მდინარის სიგრძე 42 კმ-ია (აფხაზავა, ქსე, V, 1980: 462). სოფლის ტერიტორიაზე ტოპონიმი **ჩობუკი** ციხე-სიმაგრის სახელწოდებად სხვა წყაროებით არ დასტურდება. ამდენად, აიხვალდის აღნიშნული ცნობა უალრესად მნიშვნელოვანი და საგულისხმოა.

აფხაზეთის მდინარეებიდან აიხვალდი იცნობს აგრეთვე **გუმისთას**: „ის ერთვის ზღვას ძველი სოხუმის ციხის ახლოს, ოღონდ სანაოსნოდ არაა გამოსადეგი“ (იქვე: 222).

აფხაზეთის მდინარეებიდან სამოგზაურო ჩანაწერებში დასახელებულია მდ. **სევაძე**. აიხვალდის ცნობით, იგი რამდენიმე ვერსის მანძილზე შესართავიდან ჭაობზე მიედინება (იქვე: 222). მდინარე ამ სახელწოდებით აფხაზეთში ცნობილი არაა. შესაძლებელია, მოგზაური ამ სახელს დამახინჯებულად გადმოსცემდეს. ერთი რამ ცხადია: ეს უნდა იყოს მდინარის აფხაზური სახელწოდება, ვინაიდან **აძ** აფხაზურ ენაზე „წყალს“ ნიშნავს.

აიხვალდი ასახელებს მდინარეს **გაგრინშის** ფორმით და წერს, რომ იგი „აფხაზეთს ჩრდილოეთით გამოყოფს ჩერქეზეთიდან და გაგრის ციხის ნანგრევებთან ზღვაში ჩაედინება“ (იქვე). ეს უნდა იყოს ახლანდელი **გაგრიფში** – მდინარე გაგრის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომელიც სათავეს იღებს არაბიკის მასივის სამხრეთ ნაწილში (ზ. დ. 1725 მ) და უერთდება შავ ზღვას

ქალაქ გაგრის ჩრდილო-დასავლეთით. მდინარის სიგრძე 9, 5 კმ-ია (აფხაზავა, ქსე, II, 1977: 614).

როგორც ვხედავთ, გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – ედუარდ აიხვალდის ჩანაწერებში მოცემული ცნობები ფრიად ფასეულია აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმების შესასწავლად.

თავი IV

რუსეთის იმპერიის დემოგრაფიული და
ტოპონიმიკური ომი საქართველოს წინააღმდეგ
და ტოპონიმიკური ვითარება თანამედროვე
აზხაზეთში

1864 წლიდან დღემდე რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებულმა კოლონიზატორულმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით განათლების სისტემის გამარუსებელმა ზემოქმედებამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა აფხაზი ხალხის ეთნიკურ, ენობრივ და კულტურულ-რელიგიურ იდენტობას. აფხაზური ენა და აფხაზი ხალხი ფაქტობრივად გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა (გვანცელაძე, 2011). 1818 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წინააღმდეგ დაწყებულმა სასტიკმა ომმა, რომელმაც 1864 წლამდე გასტანა, განსაკუთრებით უბიხები და ჩერქეზები დააზარალა. ამჟამინდელი კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში მაშინ არ დარჩენილა არც ერთი უბიხი. აიბგის, აჭიფსხუსა და ფსხუს თემებში მცხოვრები აფხაზები სწორედ ჩერქეზ-უბიხების მხარდამხარ აწარმოებდნენ ბრძოლას რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზეზით ცარისტული რუსეთის ჯარმა მინასთან გაასწორა აფხაზთა სამკვიდრებელი, ხოლო თვით აფხაზნი თურქეთში გააძევა.

რუსეთი თავისი იმპერიული პოლიტიკით აფხაზეთში განსაკუთრებით უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში აქტიურად მიმართავს აფხაზი ეთნოსის ეროვნული თვითშეგნების ტრანსფორმაციას ქართველობისა და ყოველივე ქართულის წინააღმდეგ. ამის შედეგი იყო აფსუების მონათესავე უბიხთა, აგრეთვე დასავლეთ კავკასიის ტომების – ადიღელების (ჩერქეზების), აბაზების, ყუბანისპირელი ნოღაელების, ყარაჩაელების, აგრეთვე აფხაზთა მუჰაჯირობა (არაბ. **მუჰაჯირეთ** „გადასახლება“) – ძირითადად იძულებითი გადასახლება თურქეთის იმპერიაში. აფხაზთა მასობრივი გადასახლება განხორციელდა ორჯერ: 1867 და 1877 წლებში. პირველი მასობრივი გადასახლების დროს სამშობლო დაატოვებინეს დაახლ. 20 ათას აფხაზს, ხოლო მეორე გადასახლებისას აფხაზეთიდან დაახლოებით 30 ათასი აფხაზი გადასახლეს (გასვიანი, „საქართველო“, 1998: 47, 48, 50, 51, 52).

აფხაზი ისტორიკოსის შ. ინალ-იფას შეფასებით, აფხაზთა მუჰაჯირობა იყო არა უბრალო ეპიზოდი, `არამედ უმძიმესი ეროვნული ტრაგედია, რომელმაც აფხაზი ხალხი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა“. მუჰაჯირობის შედეგად მთლიანად გაუკაცრიელდა ჩრდილო-დასავლეთი და ცენტრალური აფხაზეთი, დაცარიელდა ქვეყნის მთიანი მხარეები: ნებელდა, დალი, ფსხუ. ასე, მაგალითად, 1868 წლის მონაცემებით ნებელდაში სულ 13 ოჯახი ცხოვრობდა, დალში – არც ერთი (ხორავა, 2004: 73). თითქმის მთლიანად დაიცალა ეთნიკურად აფხაზთა მონათესავე ჯიქების მთის თემები – აიბგა (მდ. ფსოუს ზემო წელი) და აჭიფსხუ (მდ. მძიმთას ზემოწელი). 1874 წელს ყარაჩაიდან კოდორის ხეობაში გადმოსული ინგლისელი მოგზაური გროვე დანანებით წერდა, რომ კოდო-

რის ხეობის ზემო წელი სრულიად უკაცრიელი იყო (იქვე: 73-74). „მუჰაჯირობის შემდეგ აფხაზეთი დამთრგუნველი სანახავი იყო“, – წერს ბეჟან ხორავა (იქვე: 7).

რუსეთის დაუფარავი იმპერიული ზრახვები აფხაზეთის მიმართ მუჰაჯირობის პროცესით არ ამოწურულა. ადგილობრივ მკვიდრთა გადასახლების შემდეგ ცარიზმი შეუდგა ზრუნვას აფხაზეთის გაუკაცრიელებული მხარის კოლონიზაციისათვის. ამ ამოცანის რეალიზებას ისახავდა მიზნად რუსეთის იმპერატორის მიერ ჯერ კიდევ მუჰაჯირობამდე ერთი წლით ადრე, 1866 წლის 10 მარტს დამტკიცებული „დებულება შავი ზღვის ოკრუგის დასახლებისა და მისი მართვის შესახებ“.

დებულებით გათვალისწინებული იყო შავი ზღვის სანაპირო ზოლზე რუს მოახალშენეთა „სანაპირო სასოფლო დასახლებების“ შექმნა. ამ მიზნით ნებელდის ოლქის დასახლებათა მზრუნველად დაინიშნა რუსი ოფიცერი ნ. დიჩიკოვ-ტარასოვი, რომელსაც დაევალა ხეობის მიუვალ ადგილებში თავშეფარებული ადგილობრივი მოსახლეობისაგან მხარის განმენდა და მომავალი რუსული დასახლებებისათვის ადგილების შერჩევა (იქვე: 75-77).

1867 წელს დასასახლებლად შეირჩა ექვსი პუნქტი: **მიხაილოვსკოე** – მდ. ამტყელის სანაპიროზე, **ოლგინსკოე** – აღმოსავლეთ მაჭარის სათავესთან, **ალექსანდროვსკოე** – მდ. კელასურზე (სოფ. ახალსოფელი სოხუმის რაიონში), **ანასტასიევსკოე** და **ნიკოლაევსკოე** – აფიანჩას მთასთან, მდ. ნაუშზე, ნასოფლარ ნაუშის ტერიტორიაზე, **გეორგიევსკოე** – სოფ. ჯამფალის ტერიტორიაზე (ხორავა, 2004: 78, და იქვე დასახ. ლიტ-რა). 1869 წლის თებერვალ-მაისში სამ სოფელში – ალექსანდროვსკოეში, გეორგიევსკოესა და ოლგინსკოეში სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის, გენერალ ვ. გეიმანის ბრძანებით თურქეთიდან ჩამოსახლეს პირველი ბერძენი კოლონისტები. 1869 წლის ივნისში ანასტასიევსკოესა და ნიკოლაევსკოეში ჩაასახლეს ბულგარელების 62 ოჯახი (იქვე). შეიძლება ითქვას, რომ, **ფაქტობრივად, XIX ს-ის 60-იანი წლებიდან იწყება რუსეთის იმპერიის დემოგრაფიული და ტოპონიმიკური ომი საქართველოს წინააღმდეგ, რომელმაც მასობრივი ხასიათი მიიღო 1878 წლიდან, აფხაზთა დიდი ნაწილის მეორე მუჰაჯირობის შემდეგ.**

დასახლებული პუნქტებისათვის რუსული სახელების დარქმევას იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. ადგილობრივ დასახელებათა სრული იგნორის ფონზე ცარიზმის რუსული ხელისუფლება აფხაზეთის სოფლებისათვის მიზანმიმართულად შეცვლილი სახელებით მიზნად ისახავდა „დაპყრობილი მიწების რუსული ენის მეშვეობით მარკირებას, ადგილობრივი მოსახლეობის აქ ბინადრობის კვალის წაშლას, იმპერიის წინაშე კავკასიის დაპყრობაში შეტანილი დიდი წვლილის მქონე გენერლების, დიდმოხელეების, ოფიცრებისა და ჯარისკაცთა

სახელების განდიდებას. ამის გამო ამ ჯგუფის გეოგრაფიულ სახელებს თამამად შეიძლება იდეოლოგიზებული პერსონალიზებულ-მემორიალური ნომენკლატურა ეწოდოს“ (გვანცელაძეები, „ფპ“, №3, 2011: 51).

აფხაზთა ნასოფლარების უმრავლესობას რუსეთ-კავკასიის ომის პერიპეტებითან დაკავშირებული რუსული სახელები შეეერთა. ასე, მაგალითად, ამჟამინდელი გულრიფშის რაიონის ტერიტორიაზე 1869 წელს შექმნილ ანატოლიელ ბერძენთა სოფელს რუსეთის იმპერატორის უფლისწულის – ალექსანდრეს პატივსაცემად **ალექსანდროვსკოე// ალექსანდროვკა** ეწოდა (Кварчия, 1985: 39). სოხუმის რაიონის ამჟამინდელი სოფ. ახალსოფლის ტერიტორიაზე დაარსდა კოლონისტთა სოფელი, რომელსაც **ალექსეევკა** ეწოდა ნიკოლოზ II-ის ვაჟის – ალექსეის დაბადების აღსანიშნავად (გვანცელაძეები „ფპ“, №3, 2011). 1879 წელს აფხაზთა ნასოფლარის – აფრას სახელი შეიცვალა **ანდრეევკათი** – იმპერატორის შვილიშვილის – ანდრეის დაბადების აღსანიშნავად (იქვე: 40-41). 1867 წელს აფხაზთა ნასოფლარის – ბარიალის ადგილზე შეიქმნა ბერძნული ახალშენი, რომელსაც უფლისწულ ოლღა თევდორეს ასულის საბერძენეთის უფლისწულზე გათხოვების პატივსაცემად **ოლგინსკოე** ეწოდა (იქვე: 51). ფელდმარშალ ა. ერმოლოვის პატივსაცემად აფხაზეთის ორ სოფელს უწოდეს **ერმოლოვკა** და **ერმოლოვსკი**, უსასტიკესი გენერლის – ნ. ევდოკიმოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად კი სოფელი **ევდოკიმოვკად** იწოდა; 1871-1872 წლებში ამჟამინდელი დაბა განთიადის (ყოფილი ცანდრიფშის) ტერიტორიაზე გაჩნდა რუსების, მოლდაველებისა და სომხების დასახლება, რომელსაც შავი ზღვის სამხედრო ოლქის უფროსის, გენერალ პილენკოს პატივსაცემად **პილენკოვო** დაერქვა (იქვე: 27). სოფლის სახელწოდება **ვორონცოვკა** უკავშირდება კავკასიის მეფისნაცვლის – მიხეილ ვორონცოვის გვარს...

კოლონისტთა სადაურობა-წარმომავლობის აღმნიშვნელია შემდეგი ტოპონიმები: **ჩერნიგოვკა, ნოვოჩერნიგოვკა, სტაროჩერნიგოვკა, პოლტავსკოე, ესტონსკოე//ესტონკა, ნაა//არმიანსკოე, ეშერი-არმიანსკოე, ნაიდორფი**, რომლებიც, შესაბამისად, მიგვანიშნებს ჩერნიგოვიდან, პოლტავიდან, ესტონეთიდან და ა. შ. ჩამოყვანილ კოლონისტთა დასახლებებზე. ტოპონიმთა დიდ ჯგუფს საფუძვლად უდევს ჩვენთვის უცნობ პირთა გვარსახელები და პირსახელები: **ვლადიმროვკა, ზახაროვკა, ბაკლანოვკა, პეტროვსკოე, ვასილევკა, ივანოვკა, მარიინსკოე, მიხაილოვსკოე, ნიკოლაევსკოე, ანასტასიევსკოე, გეორგიევსკოე, დმიტროვსკოე, ეკატერინენსკოე, კონსტანტინოვსკოე, პავლოვსკოე, იურიევსკოე...** (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. გვანცელაძეები, „ფპ“, №3, 2011: 57-58; გვანცელაძე, „იკე“, XXXIV, 2000).

სხვა ტიპის რუსული სახელწოდებებიდან აქვე შეიძლება დასახელდეს **ბოგოიავლენსკოე, ტროიცკოე, სპასკოე, ვესიოლოე, ოტრადნოე, გრებემოკი, ჩერნიგოვკა, პოლტავსკოე** და სხვ.

ვ. ზუხბაია სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ტერიტორიაზე ასახელებს არაქართული სახელწოდების სოფლებს: **მიხაილოვკას, ანდრეევკას, კონსტანტინოვკას, პეტროვკას, პავლოვკას, ალექსანდროვკას, ანასტასიევკას, პოლტავკას, სპასოვკას, ესტონკას, ნაიდორფს, ოლგინსკის** და სხვ. (ზუხბაია, 2000: 62).

XIX ს-ის 90-იანი წლების აფხაზეთის ტოპონიმიკურ სიტუაციას კარგად ასახავს დ. თუმანიშვილის მიერ გამოქვეყნებული „აფხაზეთის 1890-1921 წლებში მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების სია“. თუკი რუსეთის მიერ აფხაზეთის დაპყრობამდე ამ ტერიტორიაზე არც ერთი რუსული ტოპონიმი არ არსებობდა, XIX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულისათვის უკვე მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების ადგილსამყოფლად მითითებულია შემდეგი რუსული ახალშენები: ანდრეევსკაიას წმ. გიორგის, ბაკლანოვკის სერგი რადონეჟელის, ბოგოვეტის წმ. ნინოს, ეკატერინოვსკაიას წმ. ეკატერინეს, ვლადიმროვსკაიას ღმრთისმშობლის საფარველის, ლეჩქოფის, მარინინსკაიას წმ. ხარლამპის, მიხაილოვსკოეს წმ. პეტრე-პავლეს, პოლტავსკოეს ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიები (თუმანიშვილი, 2007: 123-124).

ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევის თვალსაზრისით ინტერესს იწვევს სოხუმის ოლქის დასახლებული პუნქტების სია, შედგენილი 1914 წელს. ამ სიის მიხედვით 213 სოფლის სახელიდან 33 სოფელი ახალი რუსული, ან რუსიფიცირებული სახელის მატარებელია: **ბაკლანოვკა, ბელორეჩენსკი, ვესიოლი, პეტროვსკოე, ალექსანდრევსკოე, ვტოროე, ანდრეევსკოე, ვასილევკა, ვორონცოვკა, ივანოვკა, მარიინსკოე, მატროსსკაია სლობოდკა, მიხაილოვსკოე, ნაა-არმიანსკოე, ნიკოლაევო-ანასტასიევსკოე, ნოვოჩერნიგოვკა, ოლგინსკოე, ვლადიმროვკა, გეორგიევსკოე, დმიტროვსკოე, ეკატერინენსკოე, პავლოვსკოე, პეტროვსკოე, პოლტავსკოე, რაჟდესტვენსკოე, სპასოვსკოე, სტაროჩერნიგოვკა, ესტონსკოე, ეშერი-არმიანსკოე, ეშერი-აბხაზსკოე, იურიევსკოე** (გვანცელაძე, „იკე“, XXXIV, 2000, 44-51).

აფხაზეთის ტერიტორიაზე გაჩენილი რუსული ახალშენების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანჯდის ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია. კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულების საფუძველზე, – წერს იგი, – სოხუმში მეთევზეობის გავრცელების ხელშეწყობის მიზნით რუსი მატროსებისათვის უფასოდ უნდა მიეზომათ ას დესეტინაზე მეტი, მაგრამ მატროსთაგანი რომ არავინ აღმოჩენილა აქ დასახლების მსურველი, მაშინ სენაკის მაზრიდან 20 წლის წინ ჩამოსულ მეგრელთა 25 კომლს ქალაქის მესვეურების-

თვის იჯარით უთხოვია სახნავ-სათესი მიწები. ასე გაჩნდა ე. წ. სოფელი **მაიაკი**. მე-8 კილომეტრზე მდ. გუმისთასთან, იქ, სადაც თავდებოდა გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის მამული, იწყებოდა რუსეთიდან გადმოსული მდიდრების მიერ ჩვენი მემამულეებისაგან შეძენილი ადგილები. წინანდელ მკვიდრ აფხაზებს, როგორც არასაიმედო ელემენტებს, ეკრძალებოდათ სოხუმის მახლობლად, 20 კმ-ის მანძილზე დასახლება. აბჟუაში მათ შეეძლოთ ყოფნა მხოლოდ მდ. კოდორის გამოღმა, ხოლო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში) მდ. აც-წყლის იქით, გაგრამდე. ასეთი სასჯელის მიზეზი გახლდათ ის, რომ რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის დროს აფხაზებს ბრალად ედებოდათ თურქებისადმი მხარდაჭერა. „აფხაზთ რომ ჰკითხოთ, – წერს თ. სახოკია, – ფიცით-მტკიცით თავს იმართლებენ – ომის დროს უპატრონოდ დავრჩით, ჩვენს ქვეყანას თურქი შემოესია და დაეპატრონა და ორში ერთი უნდა აგვერჩია: ან თურქებს შევბრძოლებოდით, ან მათს მხარეს გადავსულიყავითო. ბრძოლის ატეხა ჩვენის განწყვეთით გათავდებოდა, და იმიტომ ისევ მათს მხარეს გადასვლა ვარჩიეთო. თურქებმა ოსმალეთში წაგვასხეს, მაგრამ იქ მწარე დღე დაგვადგა, ნახევრად გავწყდით და აქ რომ დავბრუნდით – მოლალატეებად მოვინათლენითო. აი, ამ „მოლალატეთა“ ადგილები გავერანებულად დარჩა. დესეტინა მინა 5-10 მანეთად ფასობდა... ფასები დაედო განსაკუთრებით ზღვის პირას მდებარე მიწებს...“ (სახოკია, 1985: 381-382). თ. სახოკია ფსირცხიდან გუდაუთისკენ მიმავალ გზაზე, სოფ. ანუხვიდან 7 კმ-ის დაშორებით, ასახელებს **პეტროპავლოვსკად** ნოდებულ რუსთა ახალშენს. 30-კომლიან ახალშენში გამწკრივებული ყოფილა ფეინით და ტალახით შელესილი ქოხები, რომლებსაც გარშემო ტყე და გაუვალი, გაუშრობელი ჭაობები ერტყა (იქვე: 384-385). ამ სოფლის გარდა აფხაზეთის მხარეში რუსების სხვა ორი სოფელიცაა: ერთი გუდაუთის აღმოსავლეთით და მისგან 15 კმ-ის დაშორებით, აცში, ბაკლანკად ნოდებულ, მეორე – დასავლეთით, 5 კმ-ის დაშორებით, სოფ. ბომბორაში. ამ ორი სოფლის მცხოვრებნიც იმავე პირობებში არიან, როგორშიც პეტროპავლოვსკელნი. აქაც ჭაობებია და აგვისტოსა და ენკენისთვეში ციება მუსრს ავლებს ოჯახებს. განსაკუთრებით ახალშობილნი იხოცებიან (იქვე: 385-386).

გვანცა და თეიმურაზ გვანცელაძეები ყურადღებას ამახვილებენ კომუნისტური ხელისუფლების წლებში იდეოლოგიზებულ ტოპონიმთა ცვლაზე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), და შენიშნავენ, რომ აქ კომუნისტთა მიერ ხელუხლებლად იქნა დატოვებული მათთვის საძულველი მეფის ოჯახის წევრთა და ცარიზმის გენერალ-ჩინოვნიკთა უკვდავმყოფელი ტოპონიმების დიდინაწილი. XX-ის 30-40-იან წლებში ქართულენოვანი კომუნისტურ-იდეოლოგიზებული სახელებით ცარისტულ-იდეოლოგიზებული ტოპონიმის ჩანაცვლე-

ბის მაგალითად მკვლევრები ასახელებენ **ოლგინსკოეს** შეცვლას **ოქტომბრით, ტროიცკოესი – ცოდნისკარით, ანასტასიევსკოესი – განახლებით, მიხაილოვსკოესი – შრომით** (გვანცელაძეები, „ფ. პ.“, №3, თბ., 2011: 48). ჩერქეზეთსა და აფხაზეთში ცარისტული იდეოლოგიზებული ტოპონიმების უცვლელად შენარჩუნება საბჭოთა რეჟიმის მიერ, – დაასკვნიან გვანცელაძეები, – იმის მიმანიშნებელია, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლება ეთანხმებოდა რუსეთ-კავკასიის ომსა და მის შედეგებს, რომ ხელისუფლებისთვის კოლონიალიზმი და რუსიფიკაცია გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კლასთა ბრძოლა და ცარიზმის სიძულვილი (იქვე: 58-59).

ტოპონიმიკური, ეთნიკური და დემოგრაფიული, ასევე მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით აფხაზეთში XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში არსებულ სიტუაციას კარგად ასახავს რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს განხორციელებული ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის მასალები, რომლებიც ცალკე წიგნად რუსულ ენაზე გამოიცა 1893 წელს. ამ მასალების მიხედვით სოხუმის „ოკრუგის“ გუმისთის უბანში დასახლებულია:

სოფ. ალექსანდროვსკოე, რომელიც მთლიანად ბერძნებითაა დასახლებული. სულ სახლობს ბერძნების 41 კომლი. მათ შორის 87 მამაკაცია, 99 – ქალი;

სოფ. ანდრეევსკოე – აქ ბერძნების 50 კომლი სახლობს. მათ შორის 96 მამაკაცია, 97 – ქალი;

ვლადიმროვკა 60-კომლიანი სოფელია. აქედან 35 კომლი რუსია (მათ შორის 79 სული – მამაკაცი, 84 სული – ქალი); 3 კომლი ესტონელია (მათ შორის 11 სული – მამაკაცი, 9 – ქალი), 21 კომლი ბულგარელია (მათ შორის 35 სული – მამაკაცი, 20 სული – ქალი), ხოლო 1 კომლი პოლონელი (2 სული – მამაკაცი, 3 სული – ქალი);

გეორგიევსკოე – 31-კომლიანი სოფელია და ყველა ბერძენი (მათ შორის 81 სული – მამაკაცი, 54 სული – ქალი);

გნადენბერგი – ბერძნებით დასახლებული სოფელი. 31 კომლი (მათ შორის 81 სული – მამაკაცი, 54 სული – ქალი);

დმიტრიევსკოე – 14 კომლი ბერძენი სახლობს (მათ შორის 26 სული მამაკაცია, 17 სული – ქალი); ბულგარელები წარმოდგენილია 6 კომლით (მათ შორის 10 სული – მამაკაცი, 15 სული – ქალი); მოლდაველები 39 კომლია (მათ შორის 87 სული – მამაკაცი, 61 სული – ქალი);

ეკატერინინსკოე – სახლობს ბერძნების 42 კომლი (მათ შორის 114 სული – მამაკაცი, 81 სული – ქალი);

კონსტანტინოვსკოე – ბერძნების 104-კომლიანი სოფელი (მათ შორის 219 სული – მამაკაცი, 182 სული – ქალი);

მარინსკოე, ბერძნების 19-კომლიანი სოფელი (მათ შორის 42 სული – მამაკაცი, 35 სული – ქალი);

მიხაილოვსკოე – ბერძნების 136-კომლიანი სოფელი (მათ შორის 252 სული – მამაკაცი, 245 სული – ქალი);

ნეიდორფი – 52-კომლიანი სოფელში გერმანელების 30 კომლი (მათ შორის 72 სული – მამაკაცი, 64 სული – ქალი) და ესტონელების 22 კომლი (მათ შორის 35 სული – მამაკაცი, 26 სული – ქალი) სახლობს;

ნიკოლაევსკო-ანასტასიევსკოე – 82-კომლიანი სოფელი. მათ შორის აღწერის მასალის მიხედვით 79 კომლი მეგრელია (239 სული – მამაკაცი, 176 სული – ქალი), ხოლო 3 კომლი – ბულგარელი (მათ შორის 7 სული – მამაკაცი, 8 სული – ქალი);

ოლგინსკოე – 29-კომლიანი სოფელი. მათ შორის 2 კომლი რუსია: 5 სული – მამაკაცი, 7 სული – ქალი; 27 კომლი ბერძენია: 61 სული – მამაკაცი, 62 სული – ქალი;

პავლოვსკოე – 49-კომლიანი სოფელია და ცხოვრობს ყველა ბერძენი. მათ შორის 110 სული – მამაკაცი, 87 სული – ქალი;

პოლტავსკოე – 41-კომლიანი სოფელში 13 კომლი რუსია: 21 სული – მამაკაცი, 24 სული – ქალი; ხოლო 28 კომლი მალაოროსია: 62 სული – მამაკაცი, 64 სული – ქალი;

ჩერნიგოვსკოე – 51-კომლიანი სოფელში ყველა რუსია. მათ შორის 152 სული – მამაკაცი, 134 სული – ქალი;

ესტონსკოე – 92-კომლიანი სოფელი მთლიანად ესტონელებით ყოფილა და-სახლებული. მათ შორის 173 სული – მამაკაცი, 110 სული – ქალი.

გუდაუთის უბანში დასახლებულია **სოფ. ბაკლანკა**, სადაც ამ დროისთვის 69 კომლი სახლობდა. აქედან 67 კომლი რუსი იყო (მ.შ. 179 სული – მამაკაცი, 126 სული – ქალი), ხოლო თითო კომლად იყო წარმოდგენილი ბერძენი (1 სული) და ბულგარელი (2 სული);

იმავე კომლობრივი აღწერის მონაცემებით, გუმისთის უბნის **სოფ. დრანდაც** ამ დროისთვის დასახლებულია რუსებითა და მოლდაველებით. აქ ცხოვრობს 23 კომლი რუსი (მათ შორის 58 სული – მამაკაცი, 41 სული – ქალი) და 39 კომლი მოლდაველი (მათ შორის 87 სული – მამაკაცი, 61 სული – ქალი); რუსები სახლობენ აგრეთვე გუდაუთის უბნის სოფ. აცში. ამ 220-კომლიანი სოფელში 16 კომლი რუსი იყო (მათ შორის 31 სული – მამაკაცი, 21 სული – ქალი), დანარჩენი 204 კომლი – აფხაზი (მათ შორის 502 სული – მამაკაცი, 428 სული – ქალი).

ამასთანავე, აფხაზები ამ დროისთვის სახლობენ ბალმარანში (6 კ.), მერხეულში (7 კ.), ეშერაში (71 კომლი), აჭანდარაში (250 კომლი), ბარმიშში (128 კ.), ბლა-

ბურხვაში (134 კ.), ჯირხვაში (258 კ.), დურიფში (193 კ.), ზვანდრიფში (158 კ.), კალდახვარაში (188 კ.), ლიძავაში (62 კ.), ლიხნში (810 კ.), მუგუძირხვაში (249 კ.), ოთხარაში (190 კ.), აძვიბუაში (222 კ.), ათარაში (132 კ.), დოპუაქითში (17 კ.), აკვასკიში (31 კ.), ბესლახუბაში (81 კ.), გუფუში (333 კ.), ფადგუში (35 კ.), ტკვარჩელში (279 კ.), თხინაში (59 კ.), ეშქეთში (49 კ.), ღვადაში (42 კ.), დღამიში (43 კ.), ჯგერდაში (67 კ.), ჯირლულში (21 კ.), კურჩეში (21 კ.), კვიტაულში (121 კ.), ოჭარკიტში (75 კ.), სამახარიოში (68 კ.), თუმუში (53 კ.), არადუში (98 კ.), მერკულაში (113 კ.), მოქეში (158 კ.), თხინაში (99 კ.), ფოქეში (315 კ.), კინდლი (103 კ.), ტამიში (157 კ.), ნკირიში (43 კ.), ცხენის-წყალში (40 კ.), ქ(ი)ლოუში (451 კ.).

აღწერის მასალების მიხედვით მთლიანად აფხაზებითა და დასახლებული აჭანდარა, ბარმიში, ჯირხვა, დურიფი, ზვანდრიფი, ათარა, დოპუაქითი/დოპოუქითი, ფადგუ, ტკვარჩელი, თხინა, ღვადა, დღამიში, ჯირლული, კურჩე (სკურჩე), ოჭარკიტი, სამახარიო, თუმუში, არადუ, მერკულა, თხინა (2), კინდლი, ნკირიში და ცხენისწყალი.

მეგრელთა და აფხაზთა თანაცხოვრება დასტურდება შემდეგ სოფლებში: ბაღმარანი, გუმისთა, მერხეული, ეშერა, კალდახვარა, ლიხნი, აკვასკია/აკვასქია... მეგრელ-აფხაზთა თითო-ოროლა კომლის თანაცხოვრების ფაქტები სხვა სოფლებშიც დასტურდება.

238-კომლიან სოფ. ილორში, აღწერის თანახმად, 2 კომლი მეგრელია, 234 კომლი – სამურზაყანოელი (ანუ მეგრელი), ხოლო 2 კომლი – ჩერქეზი. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ სამურზაყანოს უბნის არც ერთ სოფელში (დასახლებულია 65 სოფელი) აფხაზთა ერთი კომლის ცხოვრებაც კი არ დასტურდება. თუმცა ამ უბანში უკვე გვხვდება სოფლის სახელწოდებების აფხაზური გაფორმება ისეთი ტოპონიმების სახით, როგორცაა: პატრახუნა (Патрахуци) და ეშქეთი (Эшкети).

საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება: გუმისთის უბნის სოფ. ნიკოლაევსკო-ანასტასიევსკოე, რუსული იდეოლოგიზებული სახელწოდების მიუხედავად, გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის ძირითადად მეგრელებით ყოფილა დასახლებული. 82-კომლიან სოფელში 3 კომლი იყო ბულგარელებისა, სხვა დანარჩენი კი მეგრელები იყვნენ (79 კ., მათ შორის 239 სული – მამაკაცი, 176 სული – ქალი).

კომლობრივი აღწერის მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ტოპონიმის კვლევის თვალსაზრისით. აქ დასახლებულია რუსულ (იხ. ზემოთ) და გერმანულენოვანი (გნადენბერგი, ნეიდორფი) ტოპონიმები. ქართული გაფორმებისაა: ბაღმარანი, ბელეთი (Белетское), მწარა, სამახარიო, ბარლები,

კოპიტი, მიშველი, სალარნკია, საგურგულია, სამახარია, სანარდო, სახახუბია, სანუშბაია (სანუშბაიო), საჩინო, საკენჯიო, ნაბაკევი.

აფხაზურენოვანი ტოპონიმებია: აკაფა, გულრიფში (გგლ აფხ. „დგომა; ადგილი“), გუმისთა, დურიფში, ზვანდრიფში, კარაქსე, ანუხვა, აცი, ბლაბურხვა, კალდახვარა, ლიძავა, ფსირცხა, აძიუბუა, ათარა, დოპუაქითო, აკვასკია, ბესლახუბა, ფადგუ, ეშქეთი, ღვადა, არადუ, პატრაახუნა.

სავარაუდოდ, სვანურენოვანი ტოპონიმებია: მერხეული: ჯირხვა...

მეგრული წარმომავლობისაა: ბაბუშერი, ფმაფი, ლიხნი, ოთხარა, გუფუ, ტყვარჩელი, თხინა, დლამიში, ჯგერდა, ჯირლული, კურჩი/ე, ილორი, კვიტაული, ოჭარკიტე, თუშუში, მერკულა, მოქვი, თხინა, ფოქვეში, კინდლი, ტამიში, ნკირიში, ცხენისწყალი, მაბირი/მებირი, სიდა, ხიტუს-მუხური (ხიტუმ მუხური), ბედია, ნაჯიხევი, ოხური, რეკა, გალი, რეჩხი, ცხირი, გვალი-ენერი, გუდავა, ჯაკობო, ოხური (2), რეფი, ტაგონი/ტოგონი, შეშელეთი, ბულისხინჯი, გვანჭკა, ჯაპის-ხინჯი, მუხური, ნახიტოუ, ფუნყური, ფმაური, ტაგონი (2), წარჩი/ე, ოტობაია, თაგელონი, ოქუმი, ჩხორთოლი, ლალი-ხუმულა, განაცუდუ, ღვაში-გვერდი, დაურჩქელა, დიდო-ნიფური/დიდნიფური, დიხაზურგა, ზენი, კაკიშონი, ლეკუხონა, ლეცეტი/ე, ლეჭერაია/ლეჭარაიე, ნაჯიხურუ, ნაციმერი, აზანიში, ოხოხუ, ფართო-ნოხორი (Порто нохореи), რთომა/ი...

აფსუიზირებული ქართული ტოპონიმებია: ავარჩე, აჭანდარა, ჭილოვ.

ბერძნულია: კელასური (ნიშნავს „გასასვლელ ადგილს“, „ვინრობს“).

გერმანულია: ლანდაუ (Lindau – ქალაქი და რაიონული ცენტრი გერმანიაში, შვაბიის ადმინისტრაციულ ოლქში, ბავარიის მიწაზე; ამ ქალაქის სახელი დაარქვეს სოფელს აფხაზეთში).

ტოპონიმ **ბარმიშის** ეტიმოლოგია გასარკვევია.

კოდორის საზ-ბა: არც ერთი.

სამურზაყანოს საზ-ბა: არც ერთი.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ტოპონიმიკურ სიტუაციაზე საინტერესო ცნობებს გვანვდის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წელს გამოცემული ცნობარი. მასში ცალკე თავად არის წარმოდგენილი აფხაზეთის სასოფლო საბჭოებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი.

რაიონების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს:

გაგრის მაზრა – შავროვი, III ინტერნაციონალი (საბჭოთა მეურნეობა), ალპისკოე (ახალ-გაგრა), შადრევანი//ფონტანი, ხევი//უშჩელიე, დემერჩე-კიუხი (სომხური სახელწოდება), ტროიცკოე ზემო, შურიხოვო, ბარანოვო, ევდოკიმოვკა, ერმოლოვსკოე, კოვალევსკოე, კოვალევსკოე ზემო, კოვალევსკოე შუა,

კულტ. უბანი, ოტლუკი, როგოჟევი, შაფრანოვი, პილენკოვი (სასოფლო საბჭოს ცენტრი), სულევი, ხრისტოფოროვი (სასოფლო საბჭოს ცენტრი), ვოსემსოტ, კოვალევსკოე ქვემო, მენდელევი, ხრისტოფოროვი (სოფ.), გრებეშოკი, ზარეჩიე, ორეხოვკა, ხოლოდნია რეჩკა (სას. საბჭო);

გუდაუთის მაზრა – ლადარია-რქითა, ცუჟბაია, ვესიოლოე, მიასნიკიანი, აუ-ლიცა, გუნბაა, ბაკლანოვკა (სასოფლო საბჭოს ცენტრი), ჩერქეზ-იხუ, ტარბა, ბელორეჩინსკოე (ზვანდრიფშის ს/ს.), ოსეჩკო, ბელორეჩინსკოე (ლიხნის ს/ს.), კორკანიანი, პეტრო-პავლოვკა, დაშჩანი/ბატრაცკოე, დემირჯანი, კეზენჯანი ნითელი, კორკანიანი/კომსომოლსკაია, მეგრეკიანი/სოვეტსკოე, ნაზარჯიანი/ოქტომბერი, საბჭოთა მეურნეობა;

კოდორის მაზრა – ანდროუ;

სოხუმის მაზრა – ფუნდუკლუკი, ფტერილუკი, ანდრეევსკოე (ს/ს.), დერეკი, ბეშყარდაში (ს/ს.), ლაკობა, სემენლი, სტარუშკინო, ჩივიზლუკი/შახუ, დიოსკურია/საბჭოთა მეურნეობა, ილიჩი/საბჭოთა მეურნეობა, ლეჩკოპი, მეზღვაურების სვობოდა, სვობოდა II, ვორონცოვი-ვასილიევკა, შაუმიანოვკა, ალექსანდროვკა, ეკატერინოვკა, მარინსკოე, სპასოვკა, გალგლუკი ზედა, გალგლუკი ქვედა, კურუ-დერე, ესტონსკოე, ვლადიმეროვკა (ს/ს.), ალექსეევკა, გნადენბერგი, ვოლოდარსკოე, ნეიდორფი, ვოლოდარსკის ს/ს., კონსტანტინოვკა (ს/ს.), პავლოვსკოე, პეტროვსკოე, ბებუტოვკა, ვინოგრადოვკა, ნავროცკოე, ჩემბერგი, ჩიჟევკა, ნოვო-ჩერნიგოვკა, დიმიტროვესკაია, კამანის საბჭოთა მეურნეობა, მიხაილოვკა, პიპერანტო, ანასტასევკა, ვიდებორა, ნიკოლაევკა, სტარო-ჩერნიგოვსკოე, ნიკოლო-ანასტასევკას ს/ს., იურევსკოე, მეტილევკა, ოლგინსკოე, პოლტავო-ალექსანდრეს, პოლტავო-კელასურის, პოლტავო ქართველების, როჟდენსტვენსკოე, პოლტავო-ოლგინსკოეს ს/ს., გიორგიევსკოე, ზამაისკოე, ზახაროვკა, თოფჩიანოვკა//პობედა, კასიანოვკა, კრაევიჩი, კრასნიცკოე, მინგრელსკოე, რეინგარდტი, ხაჩატური (დაყოფა, 1930: 151-169).

ტოპონიმების შეცვლა აფხაზეთში მიმდინარეობდა II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდშიც. კომუნისტურ ხელისუფლებას არჩეული ჰქონდა ტაქტიკა: ამა თუ იმ ობიექტისადმი მიენიჭებინა ცნობილი მწერლის, პოლიტიკური ბელადისა თუ რევოლუციონერის სახელი. ასე გაჩნდა ლენინის, ლაკობას, ოქტომბრის, შრომის, ნითელი ვარსკვლავის, კონსტიტუციისა და ა. შ., სახელობის მეურნეობები და კოლმეურნეობები. ამ პერიოდში დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომისა და აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ რუკაზე გაჩენილი ტიპური რუსული იდეოლოგიზებული ტოპონიმების შეცვლა ქართული სახელწოდებებით. გასული საუკუნის 40-იან წლებში **პილენკოვი** შეიცვალა **განთიადით**, **ერმოლოვკა** – **ლესელიძეთი**, **ხრისტოფოროვი** – **ბაღნარით**. ვ. ზუხბაიას თქმით, გაგრის

რ-ნის ბზიფის საკრებულოში მდებარე სოფელ ვაკეს უწინ **კოვალენსკოე** ერქვა, მიქელრიფშის საკრებულოში შემავალ სოფელ ცოდნისკარს – **ურინოვკა**, ხეივანის საკრებულოში მდებარე სოფ. ნალკოტს – **ბარანოვო**, ციფნყაროს საკრებულოში შემავალ სოფ. ვაშლოვანს – **როგოდინო** (ზუხბაია, 2000“ 45). რ. ჭაბუკიანი ასახელებს სხვა მაგალითებს: **ოტრადნოე – სიხარული, ორეხოვო – კაკლიანი** (გაგრის ზონაში); **ანდრეევკა – ახალშენი, მიხაილოვკა – შრომა, ეკატერინოვკა – კელასური, კონსტანტინოვკა – ოდიში** (სოხუმის რ.); **ანასტასიევკა – განახლება** (გულრიფშის რ-ნი) და ა. შ. (ჭაბუკიანი, 2012: 85).

1943-1952 წლებში აფხაზეთში შეცვლილი 109 ტოპონიმიდან რუსულს ჩაენაცვლა მხოლოდ 10 გეოგრაფიული სახელწოდება. ამათგან უეჭველი აფხაზური წარმომავლობისაა ექვსი: **აშიცრა** (აფხ. „ბზის კორომი, ბზიანი“), **აბგაბართა** („მგლის, მელიის სანახავი ადგილი“), **ატიშადუ** (აფხ. „დიდი ხრამი“), **ლაგანიარხუ** („ლაგანიანთ გორა“), **არადუქვა** („კაკლის დიდი ხეები“), **აგუაა**. ოთხი ტოპონიმი (**კალმუთი, მესადირი, ფიშთა, ნალამური**) სულ სხვა წარმოშობისა უნდა იყოს (გვანცელაძე, იკე, XXXIV, თბ., 2000: 49).

ტოპონიმთა ცვლა მიმდინარეობდა XX ს-ის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან 80-იან წლებამდე. ამ პერიოდში ქართულ ტოპონიმებს ჩაენაცვლა აფხაზური და რუსული ტოპონიმები. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვანვდის აფხაზი ენათმეცნიერი ვ. კვარჭია: XIX საუკუნეში დაარსებულ რუს კოლონისტთა სოფელ **ჩერნიგოვკას** XXს-ის 40-იან წლებში ეწოდა **ყაზბეგი**, ხოლო 50-იან წლებში კვლავ დაერქვა ჩერნიგოვკა, მაგრამ არ აღდგენილა მისი აფხაზური სახელი **აძინ(ა)**; კოლონისტთა სოფელ **ალექსეევკას** XXს-ის 40-იან წლებში დაერქვა **ბაგრატიცხე**, 50-იან წლებში კი აფხაზური **აგვა** სახელის ნაცვლად კვლავ **ალექსეევკა** უწოდეს. XXს-ის დასაწყისში დაარსებულ სოფელ **ალპისკოეს** 40-იან წლებში **ალპური** ეწოდა, 50-იან წლებში კი კვლავ – **ალპისკოე**. მკვლევარს სხვა არაერთი შემთხვევაც აქვს დასახელებული: **არმიანსკოე უშჩელიე → სომხური ხეობა → არმიანსკოე უშჩელიე; გრუზინსკოე უშჩელიე → საქართველოს ხეობა → გრუზინსკოე უშჩელიე; სერებრიანი → ვერცხლიანი → სერებრიანი; მეტელევკა → კორიანტელი → მეტელევკა; ვლადიმიროვკა → კოდორი → ვლადიმიროვკა; პავლოვსკოე → ურავი → პავლოვსკოე; გეორგიევსკოე → საგიორგიო → გეორგიევსკოე; ესტონკა → ბალნაშენი → ესტონკა; პოლტავო-ალექსანდროვსკოე → ქვემო ახუთი → პოლტავო-ალექსანდროვსკოე** (Кварчия, 1985: 39).

„საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ 1961 წლის ცნობარის მიხედვით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ტოპონიმიკურ სი-

ტუაცის აფხაზეთში. აქ წარმოვადგენთ მხოლოდ არაქართულენოვან (გარდა აფხაზურისა) გეოგრაფიულ სახელწოდებებს რაიონების მიხედვით.

გაგრის რაიონში დასახელებულია 11 სასოფლო და 1 საქალაქო საბჭო მათში გაერთიანებული 33 სოფლით. ამ სოფლებიდან რუსულენოვანია: დემერჩენც, სალმე, სულევო, შაფრანოვო, მენდელევო, ორეხოვო, გრებემოკი, ხოლოდ-ნაიარეჩკა, ალპიისკოე, კირპიჩნოე, ოტრადნოე, ფანტანკა, გრუზინსკოე უშჩე-ლიე, პიცუნდა (დაყოფა, 1961: 116-117).

გალის რაიონის 24 სოფლიდან არც ერთს რუსული სახელი არ ჰქვია;

გუდაუთის რაიონში დასახელებულია 1 საქალაქო, 1 სადაბო და 20 სასოფლო საბჭო. სოფლების რაოდენობა 110-ია. გუდაუთის რაიონში ამ დროისთვის ძირითადად **აფხაზურენოვანი** (რიაფში, ნანიგვართა, კალდახვარა, ახვაჯა, ამპარაარხუ, ბლაბურხვა, შლარა, ჩერქეზიხუ, ცუძახა, ანჰაშთუქ, აჯხახარ, მაზიხვა, არაშახუ, აფცხვა, გუგუნირხვა, ონდანირხვა, არხა/ელირთა, სინირხვა, აქვაჩანხუ, აფშანხვარა, ახუნა, ბაალარხვა, ალახაშხუ, აკვასქემნა...) და **ქართული ტოპონიმები** (აგარაკი, ციტრუსოვანი, ოქტომბერი, ახალსოფელი, ახალი ათონი, ბამბუკოვანი, შუამთა, გოგირდწყალი) ჭარბობს (იქვე: 121-123).

რუსულენოვანი ტოპონიმები: პრიმორსკის სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფელი პრიმორსკოე, ვერხნი მწარა, ნიჟნი მწარა, ანუხვა არმიანსკოე, არმიანსკოე უშჩელიე, ვესიოლოვკა (დაყოფა, 1961: 122-123). აჭანდარის სასოფლო საბჭოში დასახელებულია სოფ. **აუალიცა**, რაც ა-პრეფიქსით გაფორმებული რუსული Улиса – „ქუჩა“ ფორმაა (იქვე: 122).

ოჩამჩირის რაიონი აერთიანებს 1 საქალაქო და 25 სასოფლო საბჭოს. სოფლების რაოდენობაა 113. მათ შორის რუსული სახელები ჰქვია შემდეგ სოფლებს: ათარა არმიანსკოეს სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფ. **ათარა არმიანსკოე, ვტოროი არასაძიხი** (არასაძიხის სას. საბჭო), **ვტოროი კოპიტ, პერვი კოპიტ** (ორივე აგუბედიის სას. საბჭოში), **დაჩა** (არაკიჩის სს.). მეგრულენოვანი ტოპონიმებია: **წყურგილი, ნახურზოუ, ფსკალი, დეპეგინძე, ნაა, ოტორონჯია, ნაოჩი, ნკვრიში, კინდლი, ლეფონა, ჯგერდა, გურჩხი, დღამში, ჯირლული, კვიტოული, თოუმში, მოქვი, ჯალი, ზაგანი, აჯამფაზრა** (ჰიბრიდული ტოპონიმი), **ფოქვეში, ურთა, თხინა, ოტაფი, აგუბედია** (ჰიბრიდული სახელწოდება), **ქვალონი, ნარჯხეუ, ოხოჯა, რეკა, ჯგერიანი, პირველი ოხურეი, ილორგანი, მეორე ოხურეი, ილორი, სუკი, ოხურეი, ზენი, ნაგვალოუ, ჯუკპური, ოჩამჩირე** (იქვე: 124-125). ოიკონიმთა დანარჩენი ნაწილი ქართული და აფხაზურენოვანია.

სოხუმის რაიონის 24 სასოფლო საბჭოში შედის 155 სოფელი. აქედან რუსულენოვანია შემდეგი ოიკონიმები: **სტარუშკინო, ვერხნიეშერი** (ამავე სახელწოდების სასოფლო საბჭო), **ლენქოფი, პავლოვსკოე, პეტროვსკოე, ვოლოდარსკოე,**

ალექსეევკა, სერებრიანოე, რეშევიე, ვერხნი იაშთხვა, ნიჟნი იაშთხვა, ალექსანდროვკა, პოლტავა-ალექსანდროვსკოე, ვლადიმროვკა (ამავე სახელწოდების სას. საბჭო), ესტონკა, შაუმიანოვკა, ათარბეკოვკა, გეორგიევსკოე, მიასნიკოვკა, ჩერნიგოვკა, მეტელევკა, ვერხნი აპიანჩა, ნიჟნი აპიანჩა (დაყოფა, 1961: 127-129). მეგრულენოვანია: ცუმური, ოჭუბური, ქვალონი, წყურგილი, ბირჯა, ლეკუხონა, ქვემო ბირცხა, ზემო ბირცხა (ორივე ჰიბრიდული ტოპონიმია), ჩხალთა, ბუძუგური, ომარიშარა, ხუტია, ხუმუშქური (2), ფშაფი, ზემო ფშაფი, ქვემო ფშაფი, ბაბუშარა, ვარჩა, ოჯიბინა, ჯამპალი, კადარი, ნეძონა, ლურზული, ნაა, ნებელდა (იქვე). ქართულად გაფორმებული სახელწოდებებია: ახალშენი, მთისკალთა, სათავე, მთისუბანი, ტბეთი, ნახშირა, ახალსოფელი, შრომა, ზეგანი, თავისუფლება, ქვემო აჟარა, მარცხენა პტიში, მარჯვენა პტიში, მარცხენა გენწვიში, მარჯვენა გენწვიში, თხილოვანი, ბალმარანი, შუამთა, ქვენობანი, ზენობანი, ვარდისუბანი, განახლება, ჭალა, მარანი, ქვემო წყარო, ზემო წყარო, ნიფლოვანი, მზისეული, ველი... გვხვდება ზემო, ქვემო, პირველი, მეორე მსაზღვრელებით გაფორმებული სხვა ჰიბრიდული ტოპონიმებიც: პირველი ბაგაჟიაფშთა, მეორე ბაგაჟიაფშთა, ზემო ლათა, ქვემო მერხეული, ზემო მერხეული, ზემო მაჭარა...

ბამბუკოვანი – სოფელი; წინათ კალშუთი ერქვა. სახელწოდება, ცხადია, ბამბუკთან არის დაკავშირებული. ახალი ტოპონიმია.

„საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის“ 1987 წლის მონაცემებით აფხაზეთში ტოპონიმიკური თვალსაზრისით ასეთი სურათია:

გუდაუთის რაიონი: ანუხვა-არმიანსკაია (ანუხვის ს/ს.), არმიანსკოე-უმჩელიე (ანუხვის ს/ს.), ვესიოლოვკა, აუალიცა, ჩერქეზიხუ, ვერხნაია-მწარა, ნიჟნაია-მწარა, ოქტომბერი, ციტრუსოვანი.

გულრიფშის რაიონი: გეორგიევსკოე, ალექსანდროვკა, პოლტავა-ალექსანდროვსკოე, ჩერნიგოვკა, ათარბეკოვკა, შაუმიანოვკა, ესტონკა, მიასნიკოვკა, ჩერნიგოვკა, ვერხნაია-აპიანჩა, მეტელევკა, ნიჟნაია-აპიანჩა, ოქტომბერი, ვლადიმროვკა (ს/ს.);

ოჩამჩირის რაიონი: ათარა-არმიანსკაიას ს/ს – რუსულენოვანი იდეოლოგიზებული ტოპონიმი (დაყოფა, 1987: 108-112).

გალის რაიონი: საბჭოთა ჩაი – სოფელი ქვემო ბარდების სასოფლო საბჭოში (დაყოფა, 1987: 107).

გალის რაიონი: განახლების ს/ს (სოფ. განახლება; სოფლები – გაგადა, დიხაგუძბა, ოკვინორე);

მზიურის ს/ს (სოფ. მზიური; სოფლები – ზემო ცხირი, მახუნჯია, პატრახუნა, შაშიკვარა (იქვე: 106).

სოხუმის რაიონი: რუსულენოვანი ოიკონიმები – ალექსეევკა (ახალსოფლის ს/ს), ვოლოდარსკოე (ახალსოფლის ს/ს), ვერხნაია-ემერა (ს/ს, სოფელი), ვერხნაია-იაშთხვა და ნიჟნაია იაშთხვა (ორივე თავისუფლების ს/ს-ში), პავლოვსკოე და პეტროვსკოე (ორივე ოდიშის ს/ს-ში), რეშევიე და სერებრიანოე (ორივე ფსხუს ს/ს-ში), სტარუშკინო (შრომის ს/ს); ქართულენოვანი ოიკონიმები: ახალსოფელი, ახალშენი, მთისკალთა, სათავე, თავისუფლება, ოდიში, შრომა, მთისუბანი, ზეგანი, ნახშირა, ტბეთი და ა. შ. არაქართული წარმომავლობისაა აგრეთვე ლინდა და ქვემო ლინდა (კელასურის და ოდიშის ს/ს). მეგრულენოვანია: ოჭუბურე (ახალშენის ს/ს), ცუმური (იქვე), ქვალონი, წყურგილი (ორივე შრომის ს/ს-ში) (იქვე: 115-116).

გაგრის რაიონი: მენდელეევო (ბალნარის ს/ს), ალპიისკოე (კოლხიდის ს/ს), გრუზინსკოე-უშჩელიე (კოლხიდის ს/ს), ოტრადნოე (კოლხიდის ს/ს), შაფრანოვო (ხეივანის ს/ს), ხოლოდნაია-რეჩკის ს/ს, ორეხოვო (ხოლოდნაია-რეჩკის სასოფლო საბჭოს ცენტრი), გრებემოკი (ხოლოდნაია-რეჩკის ს/ს), ხოლოდნაია-რეჩკა (ხოლოდნაია-რეჩკის ს/ს) (იქვე: 118-119). ქართულენოვანი ტოპონიმებია: განთიადი, ბალნარი, ველი, კლდეკარი, იფნარი, კოლხიდა, ზემო ხევი, ლესელიძე, ვაშლოვანი, ზეგანი, კლდიანი, მუხნარი, ჩანჩქერი, ცოდნისკარი, ნაბლიანი, ვაკე, იმერხევი, კულტუბანი, ნალკოტი (იქვე).

აფხაზთა ეთნიკური იდენტობის კვლევის თვალსაზრისით საყურადღებოა მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მასალები, რომლის მიხედვითაც ამ დროისთვის აფხაზეთში მდებარე 482 სოფლიდან აფხაზი ეროვნება ქარბობს 140 სოფელში, ქართველი – 171-ში, სომეხი 71-ში, რუსი 6-ში, ხოლო ბერძენი 4-ში. იმავე სტატისტიკური მონაცემების თანახმად, აფხაზთა 97% მშობლიურ აფხაზურ ენას მიიჩნევს თავისი ეროვნების ენად, ხოლო 1% თვლის ქართულს დედაენად. რამდენადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის კომუნიკაციის საშუალებად რუსული ენა გამოიყენებოდა, ამასთანავე, ეთნოსთა უმრავლესობა განათლებას რუსულ სკოლებში იღებდა, მეორე ენის სახით რუსულის მცოდნე აფხაზთა რიცხვი აფხაზეთის ტერიტორიაზე 81%-ს აღწევდა (ჭაავა, ლქაპ, II, 2010: 376-381). „ყველასათვის ცნობილია, რომ აფხაზეთელ აფხაზთა შემადგენლობაში გააფხაზებული ქართველებიც იგულისხმებოდნენ, რომლებმაც აფხაზთა უმრავლესობის მსგავსად აფხაზური არ იცოდნენ. რუსების მიერ განხორციელებული მთელი რიგი პოლიტიკური ფაქტორები გახდა მიზეზი იმისა, რომ მათ ეროვნული თვითშეგნება შეეცვალათ. ისინი მხოლოდ აფხაზურის დედაენად აღიარებით (და არა ფლობით) ცდილობენ ეროვნული იდენტობის მარკირებას. სინამდვილეში მათი უმრავლესობა მეტწილად ფლობდა რუსულს, ანუ ამ კატეგორიის ადამიანებმა (ქართველებმა) შეიცვალეს ეთნიკური და ენობრივი

თვითშეგნება – გახდნენ „აფხაზები“, მშობლიურად ასახელებენ აფხაზურს და თავისუფლად ლაპარაკობენ რუსულად“ (იქვე: 383).

რა მდგომარეობაა აფხაზეთში უკანასკნელ ოცნლეულში ტოპონიმიკური თვალსაზრისით? 1993 წლიდან, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულების შემდგომდროინდელი პერიოდიდან დღემდე, რუსეთის ხელისუფლების ნაქეზებით აქტიურად მიმდინარეობს სოხუმის ქუჩებისა და მოედნებისათვის მინიჭებული ქართული სახელების (ქართველ საზოგადო მოღვაწეთა გვარების) მასობრივი შეცვლა. ქართულ სახელწოდებებს აქჩაენაცვლა ახალი სახელები: **ძიძარიას ქუჩას – ул. Адыгйская** უწოდეს, **კუხალეიშვილის ქუჩას – ул. Дагестанская**, **ყაზბეგის ქუჩას – ул. Черкеская**, **ლესელიძის ქუჩას – ул. Абазинская**, **ოლიმპიელების ქუჩას – ул. Карачаевская**, **შუქურას ქუჩას – ул. Славянская**, **თარხნიშვილის ქუჩას – შამილის** და ა. შ. სოხუმში ქუჩებს ასევე ეწოდება **სახაროვის, ვავილოვის, ოსტრუმოვისა** და სხვათა სახელები.

სოხუმის ქუჩებისათვის სახელების შეცვლის ფაქტზე ყურადღებას ამახვილებს პროფ. ვ. ზუხბაია, რომლის დაკვირვებით, თუკი მანამდე ქალაქის ზღვისპირა ულამაზეს ქუჩას (გამზირს) **შოთა რუსთაველის** სახელი ერქვა, ამჟამად იგი **კოლონიას** გვარმა შეცვალა. ჭანბას სახელი ჰქვია საქართველოს გზატკეცილს, ხოლო თბილისის გზატკეცილს, მდ. ბესლეთიდან მდ. კელასურამდე მდებარე მაგისტრალურ ქუჩას, დაერქვა აფხაზეთის რეკომის წევრის (1921 წ.) – **აქირთავას** სახელი. „მოხდეს სასწაული და მკვდრეთით აღდგეს აქირთავა, თვითონ იტყოდა უარს ასეთ პატივზე“, – დანანებით დასძენს ვ. ზუხბაია (ზუხბაია, 2000: 56). სოხუმში ქუჩები ატარებდა **ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ენატე ნინოშვილის, სიმონ ჯანაშიას, კონსტანტინე ლესელიძის** სახელებს. დღეს ისინი შეცვალა **აიდგილარას, ადიღეს, კონფედერაციის** ქუჩებმა. გასული საუკუნის 80-90-იან წლებში აფხაზებს სწვევია დელეგაცია მუჰაჯირთა შთამომავლობისა. მათ შორის ერთ-ერთის, მდიდარი აფხაზის – **ბეიგუას** (ქართველი **ბიგვავას** შთამომავლის) სახელი ეწოდა **სოხუმის** ერთ-ერთ ქუჩას, თუმცა რა დამსახურებისთვის, ეს უცნობია. აქვე ერთ-ერთ ქუჩას **შოტლანდია** ჰქვია!... (ზუხბაია, 2000: 56-57). ქალაქგაგრაში მაგისტრალური ქუჩა შოთა რუსთაველის სახელს ატარებდა. დღეს იგი კომკავშირელი მუშაკის, ვინმე დემირჯიფას სახელით შეიცვალა (იქვე, 41).

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ზ. წულაძის აზრით, აფხაზეთში საქმე გვაქვს მიზანმიმართულ სეგრეგაციასთან ეთნიკური ნიშნით, რაც გამოიხატება ქართული (მეგრული) ტოპონიმების გაქრობის მასობრივი პროცესით. ზაზა წულაძე გვთავაზობს აფხაზეთის დასახლებული პუნქტების შეცვლილი სახელების სიას. გააფხაზების კამპანიის შედეგად ლესელიძეს

გერრიფში დაერქვა, განთიადს – ცანდრიფში, ხეივანს – ამზარა, ხოლოდნაია რეჩკას – ბაგრიფსთა, ლიძავას – ლძაა, კოლხიდას – ფსახარა, ბაღნარს – ხიშხა, მიუსერას – მისრა, აგარაკს – ამჟიკუხუა, ჯირხვას – ჯირხუა, კალდახვარას – კალდახურა, ოქტომბერს – არახუ, ციტრუსოვანს – ამჟასარა, გოგირდწყალს – წკუარა, ხოფს – ხუაფ, ახალსოფელს – ხიფსთა, თავისუფლებას – იაშთხუა, კაკლიანს – არასახუ, გეორგიევსკოეს – გ'არგ'აულ, ნებელდას – ნაბალ, გორანას – აბიდზა, კელასურს – აბგიძარა, შრომას – გუმა, ზეგანს – ხაბიუ, მთისკალთას – რაშხუა, ახალშენს – აპრა, ოჭუბურეს – ხუაჟკიტ, სათავეს – აცტიმ, ცუმურს – ცვიმკირი, შუბარას – შვაარა, ქვალონს – შახო, ნახშირას – არიჩხუცა, ტბეთს – აჩეიძკუა, სტარუშკინოს – ააბტრა, წყურგილს – ადძიხკუა, პავლოვსკოეს – ალან, პეტროვსკოეს – გუალდა, ბესლეთს – ბასლა, ლეჩქოფს – ლეჩქუაფ, კოდორს – კაცკიტი, ხუმუშქურს – ნარზინი, აგარაკს – არაკირი, კინდლს – კინდიგ, მეორე ათარას – ატარა არმიანსკაია, ბესლახუბას – ბესლახუ, გუდავას – გუდაა, გუფს – გუფ, ღვადას – გუადა, კოჩარას – კუაჩირ, კვიტაულს – კუტოლ, მერკულას – მარკულა, მოქვს – მოქვა, ფოქვეშს – ფაქუაშ, ტამიშს – ტამშ, საჩახალიას – ჩახალიაა რჰაბლა, საჩინოს – საჩინა, ენერს – ლბაარხა, ცხირს – ცხირ, ნაჯიხურს – პაპინრხუა, ფართონოხორს – აგუარადუ, ფიჩორს – ბჩარა, ზემო ბარღებს – ვიადა ბაღრიაფ, ქვემო ბარღებს – ლადა ბაღრიაფ, საბუთბაიოს – ბუთბაკიტი, საშამეგიოს – შამგაია, ფიცარლალს – აბაცირკუარა, დიხაზურგას – აბაკიტი, ოკვინორეს – ციგტვარა, ლუმურიშს – გუმრიშ, რეჩხს – რეჩხუ, რეფს – რიაპ, საყოლბაიოს – კალგი, პირველ გალს – გალხუჭ გალ, ზემო გალს – გალ აჩაიუა, საბულესკირიოს – აბლასკირ, ხუმენი-ნათოფურის – ახუაშტარა, ზენს – ლბაა, სალხინოს – ლაშტრა, აჩიგვარას – აჩგუარა, ერისწყალს (მდ.) – ერცკარ ([ib. m.amerikiskhma.com/a/ethnic-segregation-in-gali.../1814323.html](http://m.amerikiskhma.com/a/ethnic-segregation-in-gali.../1814323.html)).

თავი V

აფხაზეთის ზოგიერთი გეოგრაფიული
სახელწოდების ისტორიული, ლინგვისტური და
ექსტრალინგვისტური ანალიზი

§5.1. აითარნე, არუხა და რაბინა

თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საეკლესიო წერილობით ძეგლებს. XV-XVIII საუკუნეებში შექმნილი სამ ათეულზე მეტი ასეთი ძეგლიდან აღსანიშნავია „ბიჭვინტის იადგარი“. ტექსტში ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, სადაც აღნიშნულია: „კულადცა გკადრეთ და მოგაქსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მამიამან და ძემან ჩუენმან პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩუენტა დადიანმან პატრონმან გიორგი და დადიანმან პატრონმან მამია თქუენ, საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა: მანთხოჯის სასახლე და მონასტერი, ორმოცის კუამლისა კაციტა და ერთის აზნაურის-შვილთა... წყლითა, ველითა, სანადიროთა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებართა და უძებართა; ჯიქთუბანის მთავარანგელოზის მონასტერი, თორმეტის კუამლის კაციტა; ეგურისპირს ნაჟანეო, სამოცის კუამლის კაციტა; ხოირს წმიდის გიორგის ეკლესია, ოცდახუთის კუამლის კაციტა, წამხარს გამკერვალია; სასახლე სუბეში; სოფელი მუხური, აზნაურის-შვილებითა, ოცდაათის კუამლის კაციტა; ტყაურუს მეთევზე და მენავე შამიგია ჭუჭურია და დათია; მარმარისკარს ეგვიბტია და ჩუნბურია; აგრეთვე აფხაზეთს ბიჭვინტას გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბინა, აითარნეს მთა ზეთისხილოვანი“ (ქსძ, II, 1965: 179).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ბიჭვინტის იადგარში“ მოხსენიებული ტოპონიმები – **აითარნე** (სადაც იყო ზეთისხილის მთა), **არუხა** და **რაბინა** აფხაზური წარმომავლობის გეოგრაფიული სახელწოდებანია. თ. გვანცელაძის აზრით, აფხაზეთში, დაბა ბიჭვინტის მახლობლად, აფხაზთა წინაპრების ბინადრობაზე მიუთითებს ოდიშის მთავარ მამია III დადიანის (1512-1533 წწ.) მიერ ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი გაცემულ იადგარში საკუთრივ აფხაზური წარმომავლობის ტოპონიმ აითარნის მოხსენიება, „ამჟამად აფხაზური წარმომავლობის **არუხა** და **რაბინა** ტოპონიმებთან ერთად“. მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ „ამ ორი სახელის ეტიმოლოგია დამატებით კვლევას მოითხოვს“ (გვანცელაძე, „არტანუჯი“, №6, 1997: 31). სხვა ნაშრომში აფხაზეთში არსებულ ქართველურ სუბსტრატულ ტოპონიმებზე მსჯელობისას თ. გვანცელაძე კვლავ აღნიშნავს: „ბიჭვინტის იადგარში“ ნახსენები ტოპონიმები – „არუხა და რაბინა ასევე აფხაზური უნდა იყოს, ოღონდ მათი ზუსტი ეტიმოლოგია ჯერ კიდევ დასადგენია“ (გვანცელაძე, 1998: 50).

ვიდრე ჩვენი კვლევისთვის საინტერესო ამ სამი ტოპონიმის ეტიმოლოგიის საკითხებს შევხვებოდეთ, ორიოდ სიტყვით ყურადღებას გავამახვილებთ თვით ძეგლის დათარიღებაზე. მისი პირველი გამომცემელი ალ. ხახანაშვილი შენიშნულობის მინაწერების შედგენის დროდ XVI-XVII საუკუნეებს განსაზღვრავდა. მისი აზრით, „ბიჭვინტის იადგარი“ ოთხი საუკუნის განმავლობაში ინერებოდა და ახლანდელი სახე მას არა უადრეს XVIII ს-ისა უნდა მიეღო (ხახანაშვილი, 1892: 568-571; გასვიანი, 2011: 222). ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ს. კაკაბაძე მიიჩნევს, რომ იადგარის დასაწყისის ნაწილი XVI ს-ის I ნახევარში იყო შედგენილი, მაგრამ მის „ნართაულ გლოსებს“ XV ს-ის უკანასკნელ პერიოდს მიაკუთვნებდა (კაკაბაძე, „საისტ. მოამბე“, II, 1925: 180-197). ისიდორე დოლიძის აზრით, იადგარი ნაყალბევი საბუთია და მისი ძირითადი ტექსტი ევდემონ კათალიკოსის დროს (1557-1578 წწ.) უნდა შედგენილიყო (ქსძ, II, 614-617).

გ. გასვიანი შენიშნავს, რომ ბიჭვინტის შემოგარენში დასახლებული აითარნეს, არუხასა და რაბინას სახელის მატარებელი სოფლები და ადგილები სხვაგან არსად იხსენიება და არც ახლა არსებობენ. მკვლევარი იქვე დასძენს, რომ ზეთისხილოვან აითარნეს მთასაც ბიჭვინტის გარემოში მან ვერსად მიაკვლია. აქედან გამომდინარე, ფიქრობს გ. გასვიანი, ნაყალბევი იადგარში მოხსენიებული სოფელი აითარნე აფხაზეთში საერთოდ არ არსებობდა. ის შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქართული (მეგრული) წარმართული ღვთაების გადმონაშთის მინაბაძად. ამის მიმანიშნებელია ორი უმთავრესი გარემოება: 1. ქრისტიანული სარწმუნოების ტერმინოლოგია აფხაზეთს უპირატესად მეგრელებისგან უსესხებიათ; 2. **აითარნე** მეგრული **ანთარის** ორეულია (გასვიანი, 2011: 224).

მოსაზრება, რომ აითარნეს, არუხასა და რაბინას მსგავსი სოფლები არც ახლა არსებობენ და არც არასდროს არსებულან, არასწორად მიგვაჩნია. ჯერ ერთი, სოფელი **რაფინას** სახელს დღესაც ატარებს გაგრის რაიონის ტერიტორიაზე (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), მეორეც, ის ფაქტი, რომ **აითარნესა** და **არუხას** სახელწოდებით სოფლები დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე არ დასტურდება, ეს სულაც არ გამოორიცხავს დოკუმენტის შედგენის დროისათვის ამ სოფლების აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ XVII საუკუნიდან კოდორ-ენგურის შუამდინარეთში ეთნიკური სიტუაცია მკვეთრად იცვლება. ზ. ანჩაბაძის შეფასებით, ამ დროიდან იწყება აფხაზ ფეოდალთა შეჭრა სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე და მისი ჩრდილოეთი რაიონების დაპყრობა მდ. ენგურამდე: „Абхазские феодалы... в начале 80-х, XVII в вторглись на территорию

Мегрельского княжества и захватили его северные районы“ (Анчабадзе, 1959: 270).

XVI საუკუნისთვის, ანუ „ბიჭვინტის იადგარის“ შედგენის დროისთვის, ბიჭვინტის შემოგარენში ალბათ მართლაც არსებობდა სოფლები აითარნის, არუხასა და რაბინას სახელწოდებით. ამ უკანასკნელზე უკვე ვისაუბრეთ და აღვნიშნეთ, რომ სოფელი **რაფინას** სახელით დღესაც ცნობილია გაგრის რაიონში. რაც შეეხება აითარნეს, მარბიელი ლაშქრობების გზით ოდიშის სამთავროს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით დაძრულ აფხაზებს, სავარაუდოდ, ახალ საცხოვრისში თან მიჰქონდათ ძველი საცხოვრისის სახელი. ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ გვეჩვენება სოფ. **ათარას**//ნაბჟოუს სახელწოდება, რაც **აითარნეს** მინაბადი უნდა იყოს. სოფელი ამ სახელწოდებით მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში, კოდორის ორივე ნაპირზე, და წარმოადგენს თემის ცენტრს. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ათარის თემში შედის სოფლები: ათარა, ათარბა-იხუსთა და ნახურზოუ. სოფელი ცნობილია გვიანი შუა საუკუნეების ციხესიმაგრით. 1867 წელს აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლების დროს სოფ. ათარიდან თურქეთში გადაუსახლებიათ კულბაქ, ხანიშ, ბადაჟ, ფაფა, შხანუყვა, სულეიმან და კიალუსა კუნძიები (კვინიები) (ხორავა 2004: 135).

არაა გამორიცხული, რომ ბიჭვინტის შემოგარენში მდებარე აითარნედან სამხრეთ-აღმოსავლეთით, კოდორის ხეობისკენ დაძრულ აფხაზებს ახალი საცხოვრებელი ალაგისთვის უწინდელი საცხოვრისის სახელი ეწოდებინათ. ტოპონიმთა გადაადგილება დამახასიათებელი იყო ძველად და დღესაც არაა იშვიათი შემთხვევა. დაპყრობებთან ერთად ამ პროცესის გამომწვევი მიზეზი იყო ეკოლოგიური პირობებით გამოწვეული მიგრაცია. „ერთ დროს, როცა ადამიანები ცხოვრობდნენ მიუვალ ან ბუნების უფრო მკაცრ პირობებში, მიატოვეს იგი უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად. გადასახლდნენ რა უკეთეს ადგილზე, თან გადაიტანეს ეს თავიანთი ძველი საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიული სახელწოდება, ხოლო ძველი სახელწოდება დარჩა ნასოფლარს“ (ხარაძე, „ქართველური ონომასტიკა“, I, 2007: 247-248).

სოფიკო კეკუას არადამაჯერებლად ეჩვენება ჩემი მოსაზრება აფხ. **ათარნჯ**-ისა და **ათარის** დაკავშირების შესახებ; თუმცა არადამაჯერებლობის დამამტკიცებელი არგუმენტი მოხმობილი არა აქვს (კეკუა, 2017: 207).

აფხაზეთის მითოლოგიაში პირველი ადგილი უჭირავს საქონლის მფარველ ღვთაებას – **აითარს**. ამ შემთხვევაში არსებითია იმის გარკვევა, **აითარნჯ** აფხაზურში მეგრულიდან ნასესხებია თუ არა. ანთარის ყველაზე ვრცელი ინტერპრეტაციის ავტორია აკად. ივანე ჯავახიშვილი. სახელწოდება ამ ღვთაე-

ბისა შეიძლება იყოს წარმომდგარიყო მეგრული „ანთარისაგან“, სადაც **ნ** ჯერ **ლ** თანხმოვნად გადაქცეულა, ხოლო **ლ** **ღ**-ს შეუცვლია. შდრ.: ქართ. „მონაზონი“, მეგრ. „მალაზონი“//„მაააზონი“; ქართ. მოლაღური//მააღური (ჯავახიშვილი, I, 1979: 123; მსჯელობისათვის იხ. გასვიანი, 2011: 224).

მაშასადამე, აფხაზურ **აითარს** წარმოშობის შემდეგი გზა უნდა გაეგვოდებინოს: **ანთარი** → **ალთარი** → **აითარი** → **აითარი**. ივანე ჯავახიშვილს საგულისხმოდ მიაჩნდა ის გარემოება, რომ აფხაზური „აითარ“ და მეგრული ანთარი სახელითაც და მნიშვნელობითაც ერთმანეთის იდენტურია: ანთარს ამგვარივე ვედრებით შესთხოვს მეგრელი სოფელი, როცა საქონლის მომრავლება და მოშენება უნდა (იქვე: 123). რამდენადაც **ანთარი**, **ანატორი** და **აითარნე** ქართულშიც და აფხაზურშიც საქონლის, მოსავლისა და მოსახლეობის მფარველ ღვთაებად არის მიჩნეული, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ ღვთაების სახელი და შინაარსი აფხაზებშიც აფხაზეთში დამხვედური მეგრული მოსახლეობისგან შეეთვისებინათ XVII ს-ში (იქვე: 225). თუ ეს ასეა, მაშინ გადაჭრით და ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი სხვა წერილობითი წყაროთი არ დასტურდება აფხაზ-აბაზების ცხოვრება აფხაზეთის ტერიტორიაზე XVII ს-მდე (იქვე: 226). **აითარ** სიტყვის მეგრულ წარმოშობაზე უნდა მიანიშნებდეს ფონეტიკური თავისებურებები და სემანტიკაც.

ანთარი მეგრული მითოსის პერსონაჟია, მესაქონლეობისა და ნადირთა მფარველი, ქთონური სულია. სამეგრელოში მას **ჟინი ანთარსაც** ეძახიან, რომელიც ზეციურ ანთარს ნიშნავს. ამ ღვთაებას მიეწერებოდა მრავალი ფუნქცია, მათ შორის მფარველობა მეფოგეთა და საქონლისა (ქობალია, 2010: 38, 567). ანთარის გარშემო სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში (ი. ქობალია, ი. ყიფშიძე, ნ. ჯანაშია, ი. ჯავახიშვილი, ს. მაკალათია, მ. მაკალათია, ა. ცანავა, გ. ელიავა, ა. ჭინჭარაული) არსებული მოსაზრებების ვრცელი ანალიზი ეკუთვნის მკვლევარ ნინო აბაკელიას (აბაკელია, „მაცნე“, 2, 1983: 141-151). მისი მოსაზრებით, ჟინი ანთარის სახით შესაძლებელია საქმე გვექონდეს ცის ღმერთთან. ჟინი ანთარი კოლხური ღვთაება უნდა იყოს, რომელმაც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ სინკრეტული ხასიათი მიიღო და წმ. გიორგის სახით იქნა წარმოდგენილი (იქვე: 150-151).

ზემოთ აღინიშნა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ტერმინოლოგია აფხაზებს უპირატესად მეგრელებისგან აქვთ ნასესხები. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ენათმეცნიერმა თ. გვანცელაძემ. აფხაზთა წინაპრების გაქრისტიანების დროის საკითხზე მსჯელობისას მისმა კვლევამ აჩვენა, რომ აფხაზურ ენაში დასტურდება საკუთრივ აფხაზური წარმოშობის ქრისტიანული ტერმინების მცირე რაოდენობა. მაგალითად: **ანცვა** „ღმერთი“, **ანჯხა**

„ხატი“, **ანჯჰვარა** „ლოცვა“, **აჩგარა** „მარხვა“ და სხვ., მაგრამ ძირითად ქრისტიანულ ტერმინთა უმრავლესობა აფხაზურში ნასესხებია უშუალოდ ქართული სამწერლობო ან კოლხური (მეგრული) ენისაგან (გვანცელაძე, 10, 2000: 56). დამონმებულია საილუსტრაციო მასალაც. უშუალოდ ქართულიდან შეუთვისებიათ აფხაზებს სიტყვები: **აჯარ** – „ჯვარი“, **ასაკვმალ** – „საკმეველი“, **აბერ** – „ბერი“, **აზარება** – „ზიარება“, **აგალაბა** – „გალობა“, **ასარკალ** – „ზარი, სარეკელი“... (ლომთათიძე, I, 1976: 17, 48, 52, 60; გვანცელაძე, 10, 2000: 57-58).

მეგრულიდან ნასესხები ტერმინებია: **ქირსა** „ქრისტი; შობის დღესასწაული, დეკემბრის თვე“ (შდრ. მეგრ. **ქირსე**), **ქირსიან** „ქრისტიანი“ (შდრ. მეგრ. **ქირსიანი**), **აუახვამა** „ეკლესია“ (შდრ. მეგრ. **ოხვამე** „სალოცავი, ეკლესია“), **თარგალაზ** „მთავარანგელოზი“ (შდრ. მეგრ. **თარგელოზი**), **აჭყვანდარ** „ეპისკოპოსი“ (შდრ. მეგრ. **ჭყონდარი** // **ჭყონდიდარი** „ჭყონდიდელი“), **ჩაჩხადღლ** „დიდი ხუთშაბათი“ (შდრ. **ცაშხა** // **ჩაშხა** // **ჩაჩხა** „ცის დღე, ხუთშაბათი“ + ქართ. დილა), **წყარკუთხია** „წყალკურთხევა, ნათლისღება“ (შდრ. მეგრ. **წყ(ა)კუთხია**, **ამქამგარია** // **ასქამგარია** // **ასემგარია** – „პირუტყვის მფარველი ღვთაება; ფურკამეჩისათვის გამოლოცვის რიტუალი ზაქის მოგების კვირისთავზე“ (შდრ. მეგრ. **მიქამგარიო** „მიქელ-გაბრიელი“, **სამიქამგარიო** / **სამგარიო** „მიქელ-გაბრიელის სახელზე შესასრულებელი რიტუალი“ და სხვ. (ლომთათიძე, I, 1976: 51, 60; გვანცელაძე, 10, 2000: 58).

დამონმებული საილუსტრაციო მასალა თ. გვანცელაძეს აძლევს ფრიად საყურადღებო დასკვნის გამოტანის საშუალებას: „ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრებს ქრისტიანული სარწმუნოება მიუღიათ არა უშუალოდ ბერძენისაგან, არამედ ქართველებისაგან“ (იქვე).

თ. გვანცელაძეს „არუხას“ წარმომავლობის საკითხზე მსჯელობისას, ქ. ლომთათიძის ნაშრომზე მითითებით, შემდეგი დასკვნა აქვს გამოტანილი: აფხაზურ სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის მანარმოებელი **ა-** პრეფიქსის შემცველი ტოპონიმის – არუხას ძირი **რუხ-** ქართულია და ემთხვევა სამეგრელოში არსებული ისტორიული სოფლის, **რუხის** სახელის ფუძეს, რომელსაც ბოლოში უფუნქციო **ხ** ხმოვანი დართვია (გვანცელაძე, „ქ. ო.“, IV, 2010: 70; ლომთათიძე, 1997: 17).

არუხას ეტიმოლოგიის გარკვევის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი იდენტური (ან მსგავსი) გეოგრაფიული სახელწოდება, რომელსაც აქვე ვასახელებთ საილუსტრაციო მასალის სახით: **რუხი** და **რუხი(შ)ლალი** – მინდორი და მდინარე ტალერის სატყეო უბანში (კეკელია, III, 2011: 11). **რახ-/რეხ-/რუხ-** კომპონენტის შემცველია აგრეთვე შემდეგი ტოპონიმები: გუდარახი, გუდარეხი და გუდრუხი. სავარაუდო ეტიმოლოგიაა გურ., რაჭ. „მძიმე, ქვიანი

გზა, ქვიანი ადგილი, მთის კლდოვანი კალთები“. შდრ.: სპარს., ტაჯიკ., ოსურ-რი რახ, როხ, რალ – „გზა“, „გასასვლელი“, „ქედი“, „ამალღება“ = „ძნელად სავალი“, „ქვიან-კლდიანი ალაგი“, „კლდე-ღრე“, „ოღრო-ჩოღრო“, „ხრიოკი“, „ძნელად დასაძლევია“, „მთის კლდოვანი კალთა“ (მსჯელობისათვის იხ. ითონიშვილი, 1992: 40).

რუხა, რუხი//რუხუ, რუხული, რეხა სიტყვებს სამეგრელოში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ მიხედვით **რუხა** იგივეა, რაც „კანარა“; **რუხი//რუხუ** განმარტებულია, როგორც „როხი; ლოხი; დიდი“; **რუხილი** ლოდებით ნაშენია, ხოლო **რუხუა** „ლოდებით შენებას“ ნიშნავს; **რუხუია//რუხულია** იგივეა, რაც „ლოდით ვეება“. **რუხული** განმარტებულია, როგორც „ლოდებით ნაგები; დიდი, ლოდის თვისებისა“ (ქობალია, 2010: 574).

მ. ჩუხუას მოსაზრებით, ს.-ქართვ. ***რახუ-** „რუხი“-ს ზანური შესატყვისია **რუხ-**ი „ნაცრისფერი“. მოიხმობს საილუსტრაციო მასალასაც: **რუხ-უმქური** „ნაცრისფერი ვაშლის ჯიში“; **რუხ-**ი (ტოპ.), **რუხ-წყარი-**ი (ჰიდრ.), და იქვე დასძენს, რომ ქართველურ ენებს შორის დამკვიდრებული რეგულარულ და კანონზომიერ შესატყვისობათა ჩვენების გათვალისწინებით შესაძლებელია ქართულში **რუხ-**ის ზანიზმად აღიარება, რის საფუძველზეც ძველი ქართული-სათვის სავარაუდო ჩანს **რახუ-** არქეფორმა, რომელიც დაიკარგა (ჩუხუა, 2017: 318).

ჩემი აზრით, ტოპონიმი **რუხი** და **არუხა** შინაარსობრივად შეიძლება უკავშირდებოდეს ქვიან, კანარ, ლოდნარ ადგილს, ქვალორლიან ნიადაგს (არუხას შესახებ იხ. აგრეთვე: კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 108-109; მისივე, „ქართველოლოგია“, 4, 2014: 77-78).

ს. კეკუა იზიარებს ჩემს თვალსაზრისს არუხას წარმომავლობის შესახებ და დაასკვნის, რომ 1525-1550 წლებამდე სოფ. არუხა თავიდან ატარებდა ადგილობრივი მეგრელების მიერ შერქმეული **რუხ-**ი – „დიდი, ვეებერთელა, ლოდისებური“, ან მისგან მომდინარე კნინობითი **რუხ-**ა ფორმებიდან ერთ-ერთ სახელს და შედიოდა დადიანების სამფლობელოში. „ბიჭვინტის იადგარის“ შედგენის დროისათვის კი სოფელში იმდენად იყო შეცვლილი ეთნიკურ-ენობრივი ვითარება, რომ ეს სუბსტრატული ტოპონიმი მეორეულად გაფორმდა აფხაზური **ა-** პრეფიქსით და, შესაძლოა, უფუნქციო **-ა** ხმოვნით (**ა-**ური ვოკალიზაცია) (კეკუა, 2017: 206).

რაბინა//რაფინა ეწოდება სოფელს გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე. იგი მდებარეობს მდ. აძიდუს ნაპირას, შავიზღვისპირა ვაკე-დაბლობზე. სოფელი ზ. დ. 40 მ სიმაღლეზეა. გაგრას დაშორებულია 29 კმ-ით, ხოლო თემის ცენტრს, სოფ. ლიძავას – 2 კმ-ით (ქსე). მოსახლეობის 1926 წლის აღწერის

მასალების ჩვენებით გუდაუთის მაზრის ლიძაას სასოფლო საბჭო აერთიანებს ოთხ სოფელს: ლიძაას, რაპიცას, ოსეჩკოს და ძირტას. რაბინაში 22 კომლი (73 სული) სახლობდა. მათ შორის 11 ქართველი იყო, 15 – რუსი და 47 – აფხაზი (დაყოფა, 1930: 159). ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1949 წლის ცნობარის მიხედვით ლძაანის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებს შორის დასახელებულია რაფიცა (დაყოფა, 1949: 121). 1961 წელს გამოცემულ ცნობარში რაფიცა დასახელებულია ლიძავის სასოფლო საბჭოში (დაყოფა, 1961: 117). წერილობით წყაროებსა და ლიტერატურაში სოფლის სახელწოდების ოთხი ფორმაა ცნობილი: რაბინა, რაფინა, რაპიცა (რუსულის გავლენით) და რაფიცა.

კ. ოკუჯავა ტოპონიმში გამოყოფს ორ კომპონენტს. პირველი ესაა **რაბ**, რაც ქართველურ ენებში ხევს, ჩაღრმავებულ ადგილს აღნიშნავს. სიტყვებს (ქართ. **რაბო**, სვან. **რაბ**, მეგრ. და ჭან. **რობუ** და **რუბა**) დაუკავშირა. მკვლევარი იმონებს №ნ. მარის ნსაშრომს – „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა“, რომელშიც **-ენა//ინა** სუფიქსი კნინობითი სიტყვების მანარმოებლად დასახელებული (მაგ., ბერენა – „პატარა ბიჭი“, კუკმინა – „პატარა ქვაბი“...). კ. ოკუჯავა ფიქრობს, რომ **-ინა** სუფიქსი ზანური კნინობითი ფორმის გამომხატველი უნდა იყოს, ხოლო თვით ტოპონიმი „რაბინა, შესაძლებელია ნიშნავდეს პატარა ხევს (ოკუჯავა, 2002: 77).

აფხაზი ისტორიკოსი ხ. ბლაჟბა სახელწოდებაში გამოყოფს **-ნა** სუფიქსს, რომელიც, მისი აზრით, რაიმე ობიექტზე მდებარე, ან რაიმე საგნის ქვეშ არსებულის მნიშვნელობის გამომხატველია; ე. ი. **რაფინა** – რაფის ქვეშ, ან რაფის ფსკერზე; თუმცა თვით **რაფი** სიტყვის მნიშვნელობის ახსნა ხ. ბლაჟბას არ უცდია (ოკუჯავა, 2002: 77; ბლაჟბა, 1987: 141).

ტოპონიმ „რაფინას“ შესახებ ვ. კვარჭიას „ეტიმოლოგიური თვალსაზრისი“ ასეთია: «На наш взгляд, **Рапыца** следует расчленять на **а-ра** «грецкий орех» и **апыца** «предножье»: Арапыца, т.е. «предножье (ореха, орехов) ореховой роши» (Кварчия, 2006: 234).

სახელწოდების პირველი კომპონენტი **რაბ** ქართველურ ენა-კილოებში „ხევს, ჩაღრმავებულ ადგილს“ აღნიშნავს და ხშირად ფიგურირებს ტოპონიმებში. მაგ.: **რაბი** – საძოვარი გორდში, **რაბო** – ტყე ნახშირღელეში (საქ. ტოპ., III, 2003: 248); **რაბი**//ჭუბურონა – ტყე-ნაბლნარი ფერდობზე, მესამე ბალდაში. ინფორმანტ ნ. ხურცილავას განმარტებით, „რაბის ბთქუანთუ ხირხე, ოღრო-ჩოღრო ადგილში“ (ცხადაია, VI, 2012: 514); **რაბი** – სახნავი ზედა ორბელში, ჩელალის კალთაზე (იხ. ცხადაია, I, 2014: 47).

მ. ჩუხუა პარალელს ავლებს ს.-ქართვ. *რაბ-ო „ორმო“, ქართ. რაბო//რობა – „ორმო წყლიანი“ (საბა), ზან. (მეგრ.) რობუ „ორმო“, სვან. რუებ (ბზ.) „ოდნავ ჩალრმავებული ადგილი“ – სიტყვებთან და აღნიშნავს, რომ მეგრ. რობუ ქართ. რაბო სახეობის ძირის შესატყვისია (ჩუხუა, 2017: 317).

სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ტოპონიმი „რაბინას“ გააზრება მეგრული წარმომავლობის სახელწოდებად.

თუკი ჩავთვლით, რომ დამონმებული ტოპონიმი ორფუძიანი კომპოზიტია, მაშინ მეორე კომპონენტი **ნა** იგივეა, რაც „წყარი“. ფიქრობენ, რომ ისტორიულად **ნალ-** ფორმა უწინარესია. პ. ცხადაია მიიჩნევს, რომ **წყალ-** // **ნა/ლ/** პროცესის ანალოგად გამოდგება მეგრულში დადასტურებული საკუთარი და საზოგადო სახელები: **წარჩე//წარჩენყარი** – მდინარე გალის რაიონში, **წარჩხური** „წყალცივი“, **წამელო//წყამელო** (← **წყარმელე** „წყალგაღმა“), **წაკურთხია** – წყალკურთხევა და სხვ. (ცხადაია, 2004: 49-50). ტოპონიმთა ამ რიგს, ჩვენის მხრივ, დავუმატებთ რამდენიმე მაგალითს ლაზეთის ტოპონიმიდან: **წარიქჩე** – „წყალთეთრი“ – მდინარე დუთხაში, რომელიც ართაშენშია (სიხარულიძე, I, 1977: 55); **ინინარი** „ყინულწყალი“ – მდინარე პაპილათში, რომელიც ათინაშია; **ბოდანარი** – მდინარე პაპილათში; **ლივანარი** – მდინარე ფელერგივათში, რომელიც ასევე ართაშენშია; **წარიპიჯი** – მდინარე მამაკივათში, რომელიც ათინაშია (ბუკია, „ქ. ო.“, IV, 2010: 50, 52). **წარიბაჩხური** „ვერცხლის წყარო“ – წყარო კარკაჩის მთების ჩრდილოეთ ფერდობზე, ჯილენი ნგოლას იალაღზე (ჩაღათაი-ალექსიძე, „ქ. ო.“, IV, 2010: 82-86); **ბადოლლი ონაში წარი** – „ბადოლლის ყანის წყალი“ – ღელე არდაშენის რ-ნის სოფ. თოლიქეთში; **კუკარონი წარი//ფულარი** – წყარო არდაშენ-ჩამლიჰემშინის საავტომობილო გზაზე, კუკარონში; მთუი წარი//მთური წარი – „თოვლის წყალი“ – ღელე დობირაში, ვულას გზაზე; ონჩხურე წარი – წყარო ონჩხურეში, რომელიც თოლიქეთშია. აქედან გაყვანილი წყლით მარაგდება დობიროს უბანი; ქუნანარი – ღელე; მოედინება მოლენი ზიბარიდან და ნთხირონაში შეერთვის მდ. ურტონას; წარი გოლაონერი – „წყალი გაყვანილი“ – წყარო მუნცა ავლაში; წარიკალა – უბანი და ყანები მდ. ურტონას მარცხენა ნაპირზე; ხაპლანარი – წყარო ფრანჯი ავლას//ბაჰრამინა ავლას მარჯვენა მხარეს (ჩაღათაი ალექსიძე, ქ. ო., 2010: 90, 93, 94, 96, 98, 99, 100).

სათანადო მოტივაციის შემთხვევაში ტოპონიმი **რაბინა** სტრუქტურულად და სემანტიკურად შესაძლებელია მეგრული წარმომავლობის ტოპონიმად მივიჩნიოთ და განვმარტოთ, როგორც „ქვალოდებიანი, კრიახი, ოღროჩოღრო, უსწორმასწორო ადგილი; ხევისებური ჩადაბლება, სადაც წყალი მოედინება“, ან „ადგილი მდინარეზე, სადაც **რაბი//რაფი//რეფი** – სანისქვილე არხის სა-

თავე-ნაგებობა, მცირე კაშხალია მოწყობილი, არხზე მიშვებული წყლის ჩასაკეტად, ან დაგუბების მიზნით“ (მსჯელობისათვის იხ. კეკელია, „ქუთაისური საუბრები“, XIII, 2013: 51-52).

რაბი არხის სათავე-საკეტია. შდრ. ქართ. **რაბი**: „მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ჩაკეტავენ ან მიუგდებენ წყალს (არხში, წისქვილში...)“ (ქეგლ, VI). (ტოპონიმ „რაბინის“ ეტიმოლოგიის შესახებ იხ. აგრეთვე: კეკელია, „ქუთაისური საუბრები“, XIII, 2013: 51-52). შდრ. ს. კეკუას ჩემ მიერ წარმოდგენილი ვარაუდებიდან დამაჯერებლად ეჩვენება ერთ-ერთი: კერძოდ, იმერ.-მეგრ. **რაბი** „ოღროჩოღრო ადგილი“ + **წყარი** > **ნალი** > **ნა** „წყალი“, და ტოპონიმის თავდაპირველ სემანტიკად გაიაზრებს „ოღროჩოღრო ადგილას გამავალ წყალს“ (კეკუა, 2017: 207).

§5.2. ანაკოფია

ვახუშტის ცნობები ანაკოფიის შესახებ შემდეგია: „...ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასიისა და მომრთველი ზღვსა ეგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვის კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია. ეს აღაშენეს ბერძენთა. აქავ ერეკლეს კეისარმან დასუა ერისთავი აფხაზთა, ეგრისის მდინარის დასავლეთისა ზღუამდე. იყო ქალაქი კეთილი, შუენიერი, ზღუასა ზედა ნაშენებული, და შემდგომად ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული, რომლისა ზღუასა შინა სუეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან. არამედ ან ოჯერ არს; და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა; ამ ანაკოფიის აღმოსავლით ზღვდამ მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსლველობისათვის, გარნა ან უქმად არს“ (ვახუშტი, IV, 1973: 781-782). ვახუშტის ცნობებს თითქმის უცვლელად იმეორებს „ქართველთა ცხოვრების“ ავტორი ნიკო დადიანი (დადიანი, 1962: 151).

ვახუშტისეული ანაკოფია ახლანდელი ახალი ათონია (ყოფილი ფსირცხა). იგი მდებარეობს გუდაუთის რაიონში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთსა და კოლხეთის დაბლობზე. შავი ზღვისპირა კლიმატური კურორტი ზ. დ. 50 მ-ზეა და გუდაუთას 7 კმ-ით არის დაშორებული. ანაკოფია მოიხსენიება არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროში.

პროკოფი კესარიელი წერს: „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში ასეთი ადგილებია: მაღალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება, როგორც კიბე, და ექვსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში, აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე ღირსშესანიშნავი სიდიდის. აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებენ შემოტევას

მტრისა, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა. ერთი შესავალი გზა მიდიოდა ამ ციხეში და აბაზგების დანარჩენ მიწა-წყალზეც და იგი წყვილ-წყვილად მიმავალთათვის ძნელად გასავლელი იყო. არავითარი შესაძლებლობა არ არის იქ გასვლისა, თუ არა კაცად-კაცადად და ისიც ფეხით. ამ გზას ზედ ადგას ნაპრალი მეტად საზარი, რომელიც ციხიდან ზღვამდეა გადაჭიმული. თვით ადგილიც ამ ნაპრალის შესაფერ სახელწოდებასაც ატარებს: იქაური მცხოვრებლები ელინურად მას „ტრაქეას“ უწოდებენ“ (გეორგიკა, II, 1965: 158-159).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ პროკოპი კესარიელის მიერ მოხსენიებული ტრაქეის ციხესიმაგრე, რომელიც ზღვისპირას, მთაზე, „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგის შესავალში“ მდებარეობდა, მერმინდელი ანაკოფია უნდა იყოს (Анчабадзе, 1959:9-11; მუსხელიშვილი I, 1977:119).

არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც „ტრაქეის“ ლოკალიზაციის შესახებ. მაგალითად, ს. ჯანაშია, მ. ლორთქიფანიძე და ვ. ლექვინაძე მიიჩნევენ, რომ „ტრაქეა“ გაგრასთან მდებარეობდა.

პროკოფისეული ტოპოგრაფიული აღწერის გათვალისწინებით ზ. ანჩაბაძე, დ. მუსხელიშვილი, შ. ინალ-იფა და მ. გუნბა აბასგთა მთავარ დასახლებულ პუნქტს ანაკოფია-ახალ ათონთან აიგივებენ. თ. გვანცელაძის შეფასებით, „ამ პუნქტის გაიგივება თავისუფლად შეიძლება არა მარტო გაგრასთან, ან ანაკოფია-ახალ ათონთან, არამედ გაგრიდან ამჟამინდელ ტუაფსემდე მდებარე მრავალ სხვა ზღვისპირა და კლდოვან ადგილთანაც“ (გვანცელაძე, 1998: 26).

ნ. ბერძენიშვილი იმ აზრისაა, რომ „პროკოფის ტრაქეა და მისი მონათხრობი ეპიზოდი გულისხმობს ანაკოფია-ფსირცხას, სადაც აფხაზეთი მართლაც იწყებოდა“ (ბერძენიშვილი, III, 1966: 300). მოგვიანებით დიდი მეცნიერი კვლავ შეეხო ადგილ „ტრაქეას“ ლოკალიზაციის საკითხს და აღნიშნა: „სრულიად უდავოა, რომ აბაზგის აღმოსავლეთი საზღვარი VI საუკუნეში ანაკოფიის ზღვისპირი და ციხეა“ (ბერძენიშვილი, VIII: 503).

დ. გოგოლაძის მოსაზრებით, 1961 წელს სპელეოლოგიური ექსპედიციის მიერ ძველ ანაკოფიაში, ანუ ახალი ათონის ტერიტორიაზე, ივერიის მთის ჩრდილოეთი კალთისძირში აღმოჩენილი უდიდესი კარსტული მღვიმე სწორედ პროკოფის მიერ ნახსენები „ნაპრალი მეტად საზარი“, ანუ ტრაქეა უნდა იყოს. „...დღევანდელი ახალი ათონის „უძირო ორმო-უფრსკულის“ აღმოჩენა და მისი იდენტიფიკაცია პროკოფი კესარიელის „მეტად საზარ ნაპრალთან“, ან შიშის მომგვრელ ადგილ – „ტრაქეასთან“, საბოლოოდ ადასტურებს „ტრაქეას“ ლოკალიზაციას ძველ ანაკოფიასთან, ხოლო ეს კი, თავის მხრივ, ასევე, კიდევ ერთხელ საბოლოოდ ადასტურებს აბაზგის, ანუ „საკუთრივ აფხაზეთის“ აღ-

მოსავლეთ საზღვარს ანაკოფიის ციხესთან, ანუ დღევანდელ ახალ ათონთან“ (გოგოლაძე, 1997: 87).

ანაკოფია გამოსახულია პეტრუს ვესკონტის 1318 წლის, გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის – რ. კერის 1732 წლის, ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის, ინგლისელი მოგზაურის – რობერტ კერ პორტერის 1821 წლისა და სხვა რუკებზე, ხოლო მდ. ანაკოფიას, ანაკოფიის წყალს და მის პარალელურ ფორმას – ნიკოლას, ვხვდებით XIII ს-ის ვენეციურ, აგრეთვე ვენეციელი კარტოგრაფი ძმების – პიციგინების 1367 წლის, სოლერის 1385 წლის, პორტუგალიელი კარტოგრაფის – დიეგო ომენის 1559 წლისა და სხვა რუკებზე (ზუხბაია, „მახარია“, №10, 2002: 19).

ქართულ საისტორიო წყაროებში ანაკოფიის პირველმოსხენიება დაკავშირებულია VIII ს-ის 30-იანი წლების ამბებთან, კერძოდ, არაბი სარდლის, მურვან ყრუს ლაშქრობასთან დაკავშირებით, ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ მურვანი ეგრის-ბიზანტიის მაშინდელი საზღვრის – კლისურის გადალახვისა და აფშილეთის ქალაქ ცხუმის შემუსვრის შემდეგ ანაკოფიას მიადგა, სადაც გამაგრებულნი იყვნენ ბიზანტიელი სტრატეგი ლეონი და ქართლის (იბერიის) ერისმთავრის, სტეფანოზის ძენი – მირი და არჩილი („მეფენი ქართლისანი“). „მაშინ ვითარ იყვნეს ციხესა მას შინა ანაკოფისასა, მუნ მივიდა მურვან ყრუ და უწყო ბრძოლა მეფეთა მათ“, – ვკითხულობთ ჯუანშერის თხზულების ჩანართში (ჯუანშერი, „ქ. ცხ.“ I, 1955: 236). ქართველთა და აფხაზთა ლაშქრის მიერ ანაკოფიასთან გამართულ ბრძოლაში დამარცხებული არაბები უკუიქცნენ და გურიის გზით სპერში გადავიდნენ (იქვე: 238).

განსხვავებულ ცნობას გვაწვდის „დავით და კონსტანტინეს ცხოვრების“ უცნობი მარტიროლოგი. არაბებს ქართველთა მცირე ლაშქარი დაუმარცხებიათ და შემდეგ ეგრის-აფხაზეთის მთელი ზღვისპირეთი აუოხრებიათ... IX ს-ის დასაწყისში აფხაზთა მეფე თეოდოს I-ის მიერ აფხაზეთის სატახტო ქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში იქნა გადატანილი.

„მატიანე ქართლისაჲს“ უცნობი ავტორი გვაუწყებს, რომ ერთიანი სამეფოს შექმნის შემდეგ ანაკოფია იყო „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 317). მას არც მოგვიანებით დაუკარგავს მნიშვნელობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დემეტრე უფლისწულის (რომელიც იყო ძე ბაგრატ IV-ის დედინაცვალ ალდესი) დროს უნდა აშენებულიყო ან აღდგენილიყო მდ. ფსირცხის მარცხენა ნაპირზე ანაკოფიის წმ. თეოდორე ტირონის სახელობის ტაძარი და სვიმონ კანანელის ეკლესია (ბერულავა, 1951: 39-40).

ანაკოფიის დაკნინება XV ს-იდან იწყება. 1459 წელს ბურგუნდიის მთავარ კარლოს გულადისადმი მიწერილ ეპისტოლეში იხსენიება ოდიშის მთავარ ბე-

დიან-დადიანს ნომინალურად დამორჩილებული აფხაზეთის მფლობელი, ანაკოფიელი მთავარი რაბია (იქვე: 40).

X ს-ის ბოლოდან ანაკოფია მიიჩნეოდა ქრისტეს მოციქულის – სიმონ კანანელის სამარხად. კ. ბერულავა შენიშნავდა, რომ გიორგი მთაწმინდელის მიერ ანტიოქიის პატრიარქთან საუბარში ნიკოფსიის სვიმონ კანანელის განსასვენებლად მოხსენიება განპირობებული იყო „საქართველოს ეკლესიისათვის კანონიკური პრესტიჟის შექმნის მიზნით“ (ბერულავა, 1951: 33).

ანაკოფიის ციხის უძველესი ნაგებობანი, მათ შორის თლილი ქვით ნაგები ოთხ სართულიანი „რომაული კოშკი“ ახ. წ. II-IV საუკუნეებით თარიღდება. მთის ყველაზე მაღალ ადგილას მდგარი ტაძრისა და მის გარშემო შემორჩენილ პალატთა ნანგრევები, აგრეთვე წყალსატევებისა და სხვა სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები VIII-X საუკუნეებით. შესაძლებელია კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიკაში“ (II ს-ის II ნახევარი) ნახსენები „მაგარი კედელი (ციხე)“ ანაკოფია იყოს. პტოლემეაიოსის აღწერით, იმას, რომ ციხის კედელი მაგარი იყო, მისი სტრატეგიული მდგომარეობა განაპირობებდა (ანაკოფიის შესახებ იხ. Кварчия, 1985: 23-25).

მ. თრაფმის ხელმძღვანელობით 1957-1958 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით ნათელი მოეჩინა ანაკოფიის ძველი ისტორიის ბევრ ბუნდოვან საკითხს. გაირკვა, რომ ციხე-ქალაქი ივერიის მთაზე მოიცავდა 7 ჰა ფართობს და შემოზღუდული იყო კოშკებიანი გალავნით. აქვე გამოვლინდა VII-XII საუკუნეების საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე ტაძრის ნანგრევები, საკირე, მინისა და თიხის ნაკეთობანი, საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების რკინის იარაღები და სხვ. (Анчабадзе, 1959; Леквинадзе, სსმმ, 25, 1968; Пачулиа, II, 1968; Трапш, 30, 1959; ლორთქიფანიძე, ზაქარაია, I, 1997: 141-142).

შავი ზღვისპირას, მდ. ფსირცხის მარცხენა ნაპირზე მდგარი ოთხკუთხა შეზენექილი კოშკის მშენებლობა მიენერებათ გენუელ ვაჭრებს, რომლებსაც XIV-XV საუკუნეებში აქ სავაჭრო ფაქტორია დაუარსებიათ.

ანაკოფიის შესახებ საინტერესო ცნობას გვანვდის XVII ს-ის მოღვაწე, აღმოსავლეთმცოდნე დონ ქრისტეფორე დე კასტელი. მისიონერი შენიშნავს, რომ ანაკოფიის ციხესიმაგრისა და ნავთსაყუდარის მფლობელი იყო დავით ჩიჯავაძე (კასტელი, 1976: 82). მისივე ცნობით, „ანაკოპიაში ცალკე ჰყდიან ტყვეებს... თურქებზე“ (იქვე: 171).

იაკობ რაინგესის საქართველოში მოგზაურობის დროისთვის (XVIII ს-ის 70-80-იანი წწ.) ანაკოფია აფხაზეთის შემადგენლობაში იყო: აბაზას დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, რომლის ნაპირზეც, მდ. კურის ახლოს ძევს აფხაზთა

კუთვნილი მცირე და გამაგრებული ქალაქი ანაკოფია, ანუ ანაკოფია, პატარა ნავსადგურით. ვინაიდან ნავსადგური პატარა და არასაიმედოა, გემები ზღვაში რამდენიმე ვერსის მოშორებით ჩერდება (რაინეგსი, 2002: 108). მისივე ცნობით, ანაკოფიის ქვემოთ არის „სარგებლიანად აშენებული“ სოხუმის ციხე, სოხუმ-კალე, ანუ დორდუბი (იქვე: 109).

გამბა მიუთითებს, რომ „სოხუმსა და სოუკ-სუს შორის აღმართულ მთაზე მოჩანს სამნახნაგა ციხე, რომელსაც ანაკოფიას (Phanacopee) უწოდებენ; იგი მეტად მტკიცედ არის ნაგები თლილი ქვით და ძველთაძველი უნდა იყოს“ (გამბა, 1987: 87-88).

XVIII ს-იდან ანაკოფიის სანაპირო კოშკს თურქები ფლობენ. მოგვიანებით, ნმ. სიმონ კანანელის დანგრეული ეკლესიის ქვებით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვასთან, კოშკი აუგია ადგილობრივ ფეოდალს – ჰასან მარღანიას (ბერულავა, 1951: 41).

ტოპონიმ „ანაკოფიის“ შესახებ ბ. გოგიას მსჯელობა ასეთია: აბაზგიიდან (აუგაზიიდან) ანაკოფიის მიღებას ადასტურებს აბ, აუ ამ მარცვლების ერთმანეთის მონაცვლეობის უნარი, ხოლო სხვა დამატებითი არგუმენტი მას არ მოუყვანია (გოგია, 2003: 122).

ვახუშტი ანაკოფიის აშენებას თუ ხელახალ აღდგენას ბერძნებს მიაწერს. ტაძარი წარმოადგენს სამნავიან ნაგებობას ხუთი გუმბათით. ტაძრის სიგრძე 53,3 მ-ია, სიგანე – 37,7 მ, ხოლო ცენტრალური გუმბათის სიმაღლე – 40 მ (ავიძბა, „საქართველო“, I, 1997: 281-282).

კ. ბერულავა სახელწოდება **ანაკოფიას** უკავშირებდა აქ მდებარე მთის სახელწოდება **ანაკვას/ანაკოს**. მისი აზრით, VI ს-ში ბიზანტიელებს ანაკვა/ანაკოსაგან შეუქმნიათ სახელი ანაკოფია. თვით ტოპონიმ „ანაკვის“ ეტიმოლოგიაზე კ. ბერულავა არაფერს ამბობს (ბერულავა, 1951: 33).

პ. ინგოროყვა აფხაზეთის განთქმული ციხესიმაგრის – ანაკოფიის სახელს თავისი ბოლოკიდური ფორმანტით – -ია ქართული გეოგრაფიული სახელეუბის ჯგუფს მიაკუთვნებდა. ფუძე-სახელწოდების მიხედვით კი **ანაკოფია//ანაკობიას** ადარებდა ტოპონიმებს: ანაკეთი (სოფლის სახელი ასპინძის რაიონში), ანაგა (სოფელი ქიზიყში), ანაკლია და ანკლია (სოფლები ოდიშსა და ართვინის მხარეში, შავშეთ-კლარჯეთში) (ინგოროყვა, 1954: 151).

ვ. ზუხბაია იმონმებს ადგილობრივ აფხაზთა ნაამბობს, რომლებსაც ანაკოფია ავტორთან საუბრისას გვარ **ნაკოფიასთან** დაუკავშირებიათ (ზუხბაია, 2000: 46).

აქვე დავიმონმებთ კ. ბარბაქაძის მიამიტურ ეტიმოლოგიურ დაკვირვებას ტოპონიმ „ანაკოფიაზე“. ავტორი ანაკოფიას წარმოადგენს კომპოზიციის – **ანა**

კოფია, – სახით. სახელები ანა, ანნა, ნანა, ნან და ან მრავალ ენაში, მათ შორის აფხაზურშიც, დედის მნიშვნელობით გამოიყენება. ამ უკანასკნელს კ. ბარბაქაძე ჰან-ის შეკვეცილ ფორმად მიიჩნევს, რაც აფხაზურად ნიშნავს „ჩვენი დედა“, ხოლო სახელ **ჰან-ს** მორფოლოგიურად **ჰანა** სახელის ტოლფასად გაიაზრებს, რომლის ბაზაზე, ავტორის თქმით, არაერთი დიდი ქალმერთის სახელი წარმოქმნილა (ანაჰიტა, ანანკე, ანაქსო...). **ჰანა**-სგან შექმნილ ყველა ამ სახელს იგი ღვთისმშობლის მნიშვნელობას ანიჭებს. მაშასადამე, დასკვნის კ. ბარბაქაძე, ტოპონიმი ანაკოფია კომპოზიციის ჰანააკოფა შერწყმით უნდა მიღებულიყო (ჰანააკოფა – ჰანაიკოფა – ჰანაკოფჰია – ანაკოფია) და იგივეა, რაც ღვთისმშობლის თავი (თავის ნახატი, ანუ თავის კოფია). სახელწოდება თითქოს ანაკოფიაში ანდრია მოციქულის მიერ ღვთისმშობლის ხატის დასვენების ისტორიული ცნობის გამოძახილია (ბარბაქაძე, I, 2010: 62).

სხვა განმარტებით, ტოპონიმი **ანაკოფია** ბერძნულია – ანაკოფი დაბრკოლებას, წინააღმდეგობას ნიშნავს (Двореский I, 1958: 120-121). შ. ინალიფას აზრით, ანაკოფია აფხაზურია და „გრძელ გზას“ უნდა ნიშნავდეს (Инал-Ипа, 1965: 115).

ბ. ბლაჟუბა სახელწოდებას უკავშირდებდა **ანაყვაფაჭაფა**-ს, რაც „გამოშვერილ, დასერილ, დაკლაკნილ ადგილს“ ნიშნავს, და არ გამორიცხავდა მის წარმომავლობას **ნაყუა** – „მყინვარი“ სიტყვიდანაც (Бгажба, 1942: 255). სხვა ნაშრომში კი ტოპონიმს ასე შლიდა: **ანა-კუაფ-ია**, სადაც **ანა**- ფუძეს ისეთივე ფუძედ მიიჩნევდა, როგორსაც სახელწოდებებში: ანაფა, ანახუა, ანაკვა და სხვ.. **კუაფ**- კომპონენტი, მისი აზრით, ნიშნავს გამოშვერილ, დაკლაკნილ ადგილს, მაგრამ არ განმარტავს ანა- კომპონენტს და არაფერს ამბობს -ია სუფიქსზეც (ბლაჟუბა, 134). თ. მიბჩუანის მართებული დაკვირვებით, „ანაკოფია რომ აფსუური ყოფილიყო, მას ფსირცხა არ ჩაენაცვლებოდა“ და ფიქრობს, რომ კომპოზიტი ანა+კოფი „ქალთა სამკურნალო ბალახს“ ნიშნავს: ანა (ანთროპ.) + კოფი სვან. „ქალთა სამკურნალო ბალახი“ (მიბჩუანი, 1998: 164). ამ ეტიმოლოგიურ მსჯელობასაც, ვფიქრობთ, რომ დამაჯერებლობა აკლია.

სახელწოდება „ანაკოფიის“ შესახებ მსჯელობს აგრეთვე ვ. კვარჭია, რომელიც წერს: „На наш взгляд, название села Анхуа восходит к форме Аных-хәа, букв. означающее «гора иконы (иконная гора)» или «гора святыни» от аных-а «икона», «святыня» + хәа «возвышенность», «гора». Сочетание в названии фарингально-го х и хәадало хәа отличное (как отмечает Х. С. Бгажба) от хәа, встречающееся в конце многих названий населенных пунктов Абхазии: Блабыр-хәа, Мгәызыр-хәа, Качар-хәа и т. д. Со временем название святой горы закрепилось за лежащим у ее подошвы селом. Анакопийская же гора стала именоваться Анаҭәаҭҕа

აშხა – из Аныххәаҭиа ашха, букв. «стоящая перед Анхәа (Аныххәа) гора» – где ҭиа (აҭია) «то, что возникает перед чем-либо», «то, что закрывает спереди что-либо». Усеченная форма Аныххәаҭиа вполне может дать интересующий нас этноним Анаҭәаҭиа. Наконец, возможно с абх. Анхәа (Аных-хәа) «гора иконы (святыни)» или «святынная гора» связан, необъясняемый на местной почве осетинский топоним Анхуа (см. Цагаева А. Дз. Топонимия Северной Осетии. Орджоникидзе. 1971. Ч. 1. С. 65, 115, 116) (Кварчия, 2006: 95-96).“

ს. ბახია-ოქრუაშვილი იზიარებს „ანაკოფიის“ ბერძნული „ანაკოპე“-დან მომდინარეობის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს. „ანაკიუპტო“ იგივეა, რაც რაიმე ზედაპირზე აღმასვლა შეფერხებით (Двореский, I, 1958: 120-121; ბახია-ოქრუაშვილი, 2010: 227-228). „სწორედ ბერძნულ ენას უნდა გამოეხატა ის პროცესი, რომელიც ციხე-სიმაგრეზე დაბრკოლებით მაღლა ასვლას მოჰყვებოდა. თავისთავად ცხადია ისიც, რომ ბერძნულმა ტოპონიმმა დროთა ვითარებაში ქართული ენის გავლენა განიცადა, რადგანაც იგი აგებულებით, ბოლოკიდური -ია სუფიქსით უფრო ქართულია, ვიდრე აფხაზური. ამრიგად, უძველესი ციხე-ქალაქის სახელი XIX საუკუნის დასაწყისამდე ბერძნული იყო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიცვალა ჩერქეზულ-ყაბარდოული ტოპონიმით, რომლის დამკვიდრება ჩრდილო-კავკასიიდან შემოდინებულ მიგრაციულ ერთ-ერთ ტალღას უკავშირდება“ (იქვე). ვფიქრობთ, რომ ეს თვალსაზრისი გასაზიარებელია.

ტოპონიმ „ანაკოფიის“ შესახებ მსჯელობს ისტორიკოსი კ. ოკუჯავა, რომელიც გვთავაზობს სახელწოდების შემდეგნაირ დაშლას; **ა-ნაკ-ოფ-ია**. კ. ოკუჯავას აზრით, ა- ქართული უძველესი სიტყვათმანარმოებელი პრეფიქსია და მნიშვნელობით იგივეა, რაც თავსართი სა- (შდრ. საგურამო, საბუდარი, საფიჩხია...). ა- პრეფიქსი გვხვდება სიტყვებში: ა-ჩრდილი (შდრ. ჩრდილი), ა-დგილი (შდრ. დგას), ა-ბანო (შდრ. ბანს), და ტოპონიმებში: აბაშა, აცანა, ანაგა, აწყური და სხვ. სახელწოდება ანაკოფიის **ნაკ-** კომპონენტს მკვლევარი უკავშირებს **ნაკ//ნაკა** სიტყვას, რომელიც ზანურად/მეგრულად მინდვრის, სწორი ადგილის, ველის, ხოლო სვანურად ვაკის შესატყვისია. -ოფ სუფიქსი არაპროდუქტიულია, დაერთვის სახელს და რაიმე ნიშან-თვისების გამომხატველია. შდრ. ჭილ-ოფ-ი (შდრ. ჭილ-ი). კ. ოკუჯავა ვარაუდობს, რომ -ოფ სუფიქსი შესაძლოა იყოს -ობ სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობა. -ია დაბოლოება ქართული გეოგრაფიული სახელების მანარმოებელი სუფიქსია, ხშირად კნინობითი ფორმის გამომხატველი. მაშასადამე, მკვლევრის მოსაზრებით, ანაკოფია აქაური ბუნებრივი პირობების გავალისწინებით, მცირე, პატარა ველს უნდა აღნიშნავდეს (ოკუჯავა, 2002: 81).

შდრ. მ. ჩუხუას თვალსაზრისი: **ანაკოფია=ანაკაფი**. ტოპონიმი „ანაკლია“-ს ტიპის წარმოებისაა, ანუ **ანა-კოფია**. შდრ. ქართ. **კაფ-**: ზან. **კოფ-**.

§5.3. ალაცო

ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „ხოლო ანაკოფიის დასავლით დის ალაცოს წყალი. გამოსდის კავკასს და მიერთვის ზღუას ჩდილოდამ. ამ ალაცოს წყლის დასავლით დის ზუფუს მდინარე, გამოსდის კავკასს, დის სამპრით, მიერთვის ჩდილოდამ ზღუას“ (ვახუშტი, IV, 1973: 783).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვახუშტის „აღწერაში“ დასახელებული **ალაცოს წყალი** აწინდელი ააფსთა უნდა იყოს. (**ააფსთა//ზაკლანოვკა** ეწოდება მდინარეს გუდაუთის რაიონში. სათავეს იღებს ბზიფის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, ზ. დ. 1445 მ-ზე. ჩამოედინება მის აღმოსავლეთ კალთაზე და შეერთვის შავ ზღვას ახალ ათონსა და გუდაუთას შორის... მდინარის სიგრძე 35 კმ-ია, აუზის ფართობი – 234 კმ². ააფსთის მთავარი შენაკადია მდ. დოხვართა და მარცხენა შენაკადი – ხაბიუს მღვიმის ნაკადი („საქართველო“, I, 1997: 9). გერმანელი მეცნიერი ედუარდ აიხვალდი აფხაზეთში ასახელებს მდ. აფსთას და შენიშნავს, რომ მისგან 1-1/2 ვერსის მოშორებით მდებარეობს თევზით ძალზე მდიდარი ტბა აჩარძე (აიხვალდი, 2005: 221). აფსთა, – დასძენს აიხვალდი, – სათავეს იღებს კავკასიონის მთა ხიბოხუდან, ანუ პლოფდალიდან და სწრაფი დინების მიუხედავად, შესაძლებელია მასზე ცურვა პატარა ნაგებით 4 ვერსზე (იქვე: 222).

გუდაუთიდან 12 კმ-ის დაშორებით, ააფსთის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფ. **ააცის** უწინდელი სახელი **ალაცო** უნდა ყოფილიყო. XVII ს-ის. II ნახევარში ერთ-ერთ თურქულ რუკაზე **აღჩას** ფორმით აღნიშნული სოფელი სწორედ ალაცო უნდა იყოს (ბერაძე, „საქართველო“, I, 1997: 9; მიბჩუანი, 1998: 163). იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის რუკაზე ახლანდელი აფხაზეთის მდინარეებს შორის გვხვდება ალაცუ (მათურელი, I, 1949: 214; ბურჯანაძე, I, 1959: 192). „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“ მოხსენიებული ტოპონიმი **ღაჩუ**, ჩვენი აზრით, მერმინდელი **ალაცო/ააცია**. „დავთარში“ ვკითხულობთ: „მრთებს ღაჩუს ხუთს კუამლს კ'ცსა გაირჩქინის სალატიას საპურობო ქანდაქი და სამოგუჰ, მოილი, სამის დღის ყანის შვლაჲ, სამი თოხნა ზ'ა, სამი მარგლა ზ'ა, სამი კრეფა ზ'ა, ზროხის ბეგარაჲ მესამეს წელიწადს, ლაშკრობჲ და სამსახური“ (კაკაბაძე, 1914: 37).

მ. ჩუხუას თვალსაზრისი: **ღაჩუ** სხვა ტოპონიმი და წარმოების თვალსაზრისით **ტყაჩუ** სიტყვის ტიპისაა. ამასთანავე, ფიქრობს მკვლევარი, მეგრ.

ალაც-ის ქართულ შესატყვისია ალაც-ო. სახელწოდების ბოლოში ქართ. ო: ზან. ი. შდრ. ზან. ღვინ-ი, ქართ. ღვინ-ო; ზან. სუჯ-ი, ქართ. შურ-ო.

ვ. კვარჭიას აზრით, XIX საუკუნის წერილობით წყაროებში ფიქსირდება სოფ. ადცი (с. Адсы) ატცი, აცი, ააცი... (Кварчия, 1985: 32). სხვა ნაშრომში მკვლევარი აღნიშნავს: „Название села Аацы одного корня с гидронимом Ааҭсы, выделяется общая основа аа. Во второй части названия р. Ааҭсы представлен древний формант ҭсы «вода, река». Думается, что и в наименовании села Аацы, которое может быть производной от Аазы, имеем зы, также означаящим «вода, река». Если начальное аа принять за исходную форму, то название Ааҭсы и Аазы (Аацы) по семантике равнозначны, переводятся как «тисовая река (вода)», – от аа – «тис» и ҭсы//зы «вода, река». Такая этимология была бы безупречной, если в названии Аазы//Аацы ударение падало бы на начальное а, чего здесь нет. Вызывают сомнения, также данные грузинских источников, где Аацы указано как Аҭацос ცқали. Возможно, эти факты указывают на то, что общая основа названий Аацы и Ааҭсы – аа восходит к ах, что вполне допустимо: срав. ატაჰცა > ატააჰა, იაჰგაჰ > იაგაჰ, აყლჰარა > აყლაარა и т. д. В таком случае Ахзы > Аацы, Ахҭсы > Ааҭсы будут означать «царская (владетельская) вода» -от ах «царь, владетель» ҭсы//зы«вода, река». Как известно, прилагающие к р. Ааҭсы села Аацы и ҭсырჰა с древних времен являлись местом резиденций абхазских правителей – Псырдჰა (Анакопия) известна как первая столица Абхазского царства” (Кварчия, 1985: 32). პ. ინგოროყვას აზრით, მდინარეს სახელი უნდა დარქმეოდა სოფელ ალაცოსგან (ააცი). მკვლევარი ფიქრობს, რომ ალაცო//ალაცი ისეთივე შედგენილობისაა, როგორისაც შიდა საქართველოს შემდეგი გეოგრაფიული სახელწოდებანი: ატოცი, დიცი, არგვიცი, ბოციო//ბოციო-ხევი (ფოცხოვი) (ინგოროყვა, 1954: 180). ალაცოსა და აცი-ის მოტივაცია გასარკვევია. საგულისხმოა, რომ აცი ეწოდება აგრეთვე უბანს სოფელ იელში (სვანეთი); აცა ლახულდ იმავე სოფელში საძოვრის სახელწოდებაა, ხოლო აცკლდი – ყანისა (ჰიდრონიმ „ალაცოს“ შესახებ იხ.: კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 93-95).

§5.4. ბაბუშერა, ომარიშარა

ბაბუშარა სოფელია გულრიფშის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე, კოდორის დელტაში, მდ. პატარა კოდორის მარჯვენა და შავი ზღვის ნაპირას. ბაბუშარა ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრია და აერთიანებს ოთხ სოფელს: საკუთრივ ბაბუშარას, ვარჩას, ოჯიბინასა და ყორასს. სოფელი ზ. დ. 8 მ-ზეა; გულრიფშს დაშორებულია 15 კმ-ით. ბაბუშარას ტერიტორიაზე დგას წყაბის

გვიანი შუა საუკუნეების კოპკი (ქსე, II, 1977: 124). მოსახლეობის აღწერის 1930 წლის მასალების ჩვენებით, სოხუმის მაზრაში შემავალი ბაბუშერის სასოფლო საბჭო აერთიანებდა სამ სოფელს: ბაბუშერას, უარჩეს და ფშაფი ქვედას. ბაბუშერაში ცხოვრობდა 217 კომლი 949 სულით. მათ შორის 895 ქართველი იყო, 19 – სომეხი, 13 – ბერძენი, 22 – სხვა დანარჩენი (დაყოფა, 1930: 165). ომარიშა-რა სოფელია აჭარის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდ. გვანდრის (კოდორის ერთ-ერთი სათავის) ხეობაში. სოფელი ზ. დ. 800 მ-ზე მდებარეობს და გულრიფშიდან დაშორებულია 90 კმ-ით, ხოლო მარცხენა გენწვიშიდან – 4 კმ-ით (ქსე, VII, 1984: 524).

ვ. კვარჭიას მსჯელობით, „**Бабышь-ира//Бабушара//Бабушера** – село в Гулрипшском районе. Первоначальная форма комонима – Бабышь-ира. Имено так он фиксируется в материалах XIX и начала XX веков (Пахомов, с. 196; К – 26). Затем в русских документах появляются формы Бабушери, Бабушеры. В материалах АТД Абхазии 1935 года село Бабыш-ира, русское Бабушеры значитя как Бабышра. В 40-е годы Бабушеры трансформируется в Бабушера. В 1996 году восстановлена исконная форма названия села – **Бабышира**.

В мегрельской среде название села возводилось к Бабушьара, переводимое как «дорога деда» – из мегр. **бабу** «дед» и **шьара** «дорога». Т. Мибчуани же считает его сванским вкладом, при этом вовсе не берется в счет его коренная форма Бабышь-ира, означающая «орех Бабыша» – где ара «дерево грецкого ореха» и Бабышь – имя владельца этой территории князя Бабыша Маршан, ср.; топонимы Тесмап-ира «орех Тесмапа», Кэач-ира (Кэачара) «орех Куача», Агэыг-ра «поселковый орех» и т. д.» (Кварчия, 2006: 120).

თ. მიბჩუანის აზრით, ტოპონიმი „ბაბუშერა“ სვანური წარმომავლობისაა. **შერა** სვანურში საკუთრების ფორმის გამომხატველია (შდრ. ლეუშერი, ცხუკუშერი). მკვლევარი იმონმებს სათანადო მაგალითებსაც: ბაპშერა (მიბჩუანთა ერთი შტოგვარი) – „ბაპიანთი, მღვდლის ოჯახი“, გაგიშერა (საკუთარი სახელისგან – გაგი), ავლათშერა (ნავერიანების ერთი შტოგვარი) – საკუთარი სახელიდან – ავლათ, და ა. შ. ამგვარად, თ. მიბჩუანის აზრით, **ბაბუშერა** სვანურად იგივეა, რაც „ბაბუის სამფლობელო ადგილი“ (ბაბუ, „ბაბუა“) (მიბჩუანი, 1989: 260). გ. გასვიანის აზრით, ლერწუმში დამონმებული ტოპონიმები – კინიშერი, ხოჩაშერი, დაბაშერი, ცხუკუშერი, ვიჩნაშერი, მიქელშერი, დუდიშერი, ოთარშერი, მეტოშერი, გიოშერი, ეზიიშერი, მაზიშერი და სხვ., სვანური ენის წარმონაქმნია, რამდენადაც სვანეთში დღესაც ასე აღინიშნება გვარის შიგნითა განშტოებები, ანუ საძმოები (გასვიანი, 1991: 185). პ. ცხადაია შენიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში საიჯარო მიწა შეიძლებოდა ყოფილიყო თანაბარსაზიარო, სამე-

სამედო, სამეოთხედო. თანაბარსაზიაროდ, სანახევრო წილით დასამუშავებელი საიჯარო მიწა **საშელოდ** იწოდებოდა. ამ სამეურნეო-სამინათმოქმედო ტერმინის ამოსავალი ფუძე **შელ-** შინაარსით ქართული **ზიარ-** ფუძის შესატყვისია, მასა-ლობრივად კი იმერულ „სეულ“ მორფემიდან შეიძლება უკავშირდებოდეს (ცხა-დაია, I, 1999: 95). მამასადაამე, **შელი** ზიარია, წილია. ამასთანავე, **-შერ** ვისიმე ოჯახისადმი კუთვნილებითობის გამომხატველი სუფიქსია სვანურში (დონდუა, 2001: 336). პ. ცხადაია იმონებს **-შელ** ფუძის შემცველ კომპოზიციურ ტოპონიმებს სამეგრელოში: **გუტიაშელი, გუტუიაშელი, კოჩაშელი, პაპაშელი, შელიაშელი** (ცხადაია, I, 1999: 95-96). ტოპონიმთა ამ რიგს შეიძლება აგრეთვე დაემატოს **ბახვაშელი** და **გოჩაშელი** – ადგილი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოცხოში... (ელიავა, 1989: 115). ამდენად, თ. მიბჩუანის მოსაზრება, რომ თითქოს საკუთრების ფორმის გამომხატველი **-შერ** ქართველური ენებიდან მხოლოდ სვანურში გვხვდება, არასწორია. როგორც ჩანს, **-შელ/-შერ** საერთოქართველური ფუძეა. ის დასტურდება სამეგრელოშიც. შდრ. ა. ქობალია: „**შელი** ზიარი, წილი, პაი; საზღვრით მეზობელი სამწყემსურში; ზოგჯერ იტყვიან **მოშელეზე** მოზიარეზე; მაშველი, შემწე; სათადარიგო“ (ქობალია, 2010: 659). სოფლის სახელწოდების აფხაზური ვარიანტია **ბაბიშირ** (ზუხბაია, 2000: 70).

ბაბუშერალ დამონმებულია ტოპონიმად სვანეთში (მიბჩუანი, 1998; მსჯელობისათვის იხ. Кварчия, 1985: 47-48). ჩუხუას შენიშვნა: **ბაბუში** მეგრულში საკუთარი სახელია, ანუ **ბაბუშ-ერ-ი** „ბაბუშისეული“.

§5.5. ბებესირი

ბებესირი//ბებე(ი)სკრი ეწოდება რამდენიმე ტბას გალის რაიონის სოფ. ტოგონში. აკონკრეტებენ შეთანხმებული ან მართული მსაზღვრელებით: **დიდი ბებეისკრი** – ერისწყლის მარჯვენა მხარეს, და **ჭიჭე ბებეისკრი** – მცირე ტბა გუდავის თემის სოფ. ოხურეში, რომელშიც ჩაედინება ზავრაფონი. გარდა ამისა, ტბები სახელდებული იყო პიროვნების კუთვნილების მიხედვით. კერძოდ, **თარაშ ბებეისკრი** დიდ ბებეისკრსა და ერწყარს შუა მდებარეობს, **ბუბაშ ბებეისკრი** – დიდი ბებეისკრის გვერდით. დამონმებულია აგრეთვე **ივაშ ბებეისკრი** და **ნაზიაშ ბებეისკრი**. ტბა ბებეისკრის სახელწოდებით ცნობილია აგრეთვე მარაჭაბიჯში, სოფ. ფიცარლალში. ბებე(ი)სკრი//ოხაიონა ეწოდება მცირე ტბას ვერჩეში (პ. შეშელეთი); ბებესკრი ეწოდება ტბებს ოქუმწყარ-ოხურეწყარს შუა, აჩიგვარასა და ოხურეში. ვ. კვარჭია ასახელებს ვარიანტებს – **Бабейсыр//Бамбеисыр//Бабейсыр**, და დასძენს – «фиксируется как варианты названия болотного озера в верховье р. Гэдаа (Цъакоба) в с. Аегэара (Ачгуара). Под именем Бебисыр

была известна также болотистая местность на берегу р. Дҫамшь (Дҫамыш), ныне она занята новым руслом реки (см. Аҫсны атопонимика, с. 409). Как нам представляется в основе гидронима лежит утерянное название вида болотного камыша Бабеисыр – от айсыр «камыш» (Кварчия, 2006: 119-120).

3. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მიერ 2003 წელს გამოცემულ სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონში ტოპონიმის განმარტება არაა მოცემული, მაგრამ მისი მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელია ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონზე“ დაყრდნობით, რომლის მიხედვით **ბებესირი//ბებესირია** სამეგრელო-სამურზაყანოში ორი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. მღვრიე, დაჭაობებული თხელწყალი; 2. წაგრძელებული, ოვალური (ტბორი). იქვე სიტყვა **ბებე** განმარტებულია, როგორც „გრძლად და მსხვილად ჩამოქნილი“ (ქობალია, 2010: 59). ტოპონიმ „ბებესირის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას სიტყვის ორივე მნიშვნელობის გათვალისწინება დასაშვებად მიგვაჩნია (მსჯელობისათვის იხ. კეკელია, III სამეცნ. კონფ., 2014: 66).

§5.6. ბედია

ბედია სოფელი და თემის ცენტრია სამურზაყანოს დაბლობზე, გალის რაიონში, ოხოჯის მარჯვენა ნაპირას. ბედიის თემში სამი სოფელი შედის: ბედია, სახახუბიო და ფშაური. სოფელი ზ. დ. 160 მ-ზეა. შავ ზღვას 7 კმ-ით არის დაშორებული, ხოლო რაიონულ ცენტრს, ქალაქ გალს – 20 კმ-ით. ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია სამონასტრო კომპლექსი, რომლის ცენტრშიც აღმართული, გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის ტაძარი გადარჩენილი ორნამენტული ფრაგმენტების მიხედვით X-XI საუკუნეთა მიჯნაზეა აგებული. ას სამი შესასვლელი და ვიწრო გვერდის ნაგები აქვს. ახლანდელ ნაგებობას სპეციალისტები XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებენ. ტაძრის გუმბათი ორ ბურჯსა და საკურთხევლის კედლების კუთხეებს ეყრდნობა. აღმოსავლეთ ფასადზე ორი მცირე ნიშია. შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტებიც. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოსახულია ქტიტორი – ბაგრატი მესამე, რომელსაც ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს, და ადგილობრივ ფეოდალთა, დადიანთა გვარის წარმომადგენლები. მოხატულობას XI, XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებენ. მონასტრის დასავლეთ მხარეს შემორჩენილია საკმაოდ დიდი ზომის სასახლე, ხოლო ჩრდილოეთით შესასვლელი კარის თავზე – XIV ს-ის სამრეკლო (ციციშვილი, ქსე, II, 1977: 265-266).

სახელწოდების წარმოშობისა და ეტიმოლოგიური ძიებისათვის დავიმოწმებთ საისტორიო წყაროების მონაცემებს. XVIII ს-ის ისტორიკოსი, გეოგრაფი და სახელმწიფო მოღვაწე ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თვისი. არამედ ამას შემდგომად უწოდეს ბედია, რომელ დასვა ა (პირველმა – ი. კ.) მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთისა, ვინაითგან ჰპოვა ბედი“ (ვახუშტი, IV, 1973: 780).

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ეყრდნობა და სავსებით იზიარებს წინამორბედი მემატინანის – ლეონტი მროველის შეხედულებას ბედიის დაარსებასა და სახელწოდების წარმოშობაზე. ამ განმარტებებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

აფხაზეთში ოსმალური გავლენის გაძლიერების გამოძახილია წყაროებში დადასტურებული ვარიანტი სახელწოდებისა – **ბედია-ჩუკი** (Бокгауз, 6, 1892: 346; კალანდია, 2004: 79; ბედიის შესახებ იხ. აგრეთვე Кварчия, 1985:51-52).

სახელწოდების შესახებ დონ ქრისტოფორო დე კასტელი გვაუწყებს: მთებში სანადიროდ წასულ საქართველოს მეფეს თავიდან დოღბანდი გადმოვარდნია და იმ ადგილას ოქროს ჯვარი უპოვნია. მეფეს უთქვამს – კარგი ბედი მქონიაო და გაუცია ბრძანება იქვე ეკლესიის აშენებისა და ძვირფასეულობით გამდიდრების შესახებ (კასტელი, 1976: 171; შდრ.: გოცირიძე, 1984: 56).

ერთ-ერთი თქმულების თანახმად, ხანგრძლივი მოგზაურობით დაღლილ მწირებს კლდეში გამოკვეთილი ბუნებრივი სიმაგრე შეუმჩნევიათ და აღტაცებით შესძახეს – ბედია. მწირები იქ დარჩენილან, ხოლო იმ ადგილას შემდეგ ბედიის ტაძარი აშენებულა (Ермолова, 1912: 7; კალანდია, 2004: 79).

კ. ჰანის განმარტებითაც: „Бедия гр. (мингр.) ბედი беди=счастье-селеные счастливое, богатое (Гань, 1909: 24).

მაშასადამე, ზემოთმოტანილი ისტორიული წყაროების თანახმად, სახელწოდების მნიშვნელობა დაკავშირებულია **ბედთან**. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ამ სიტყვის მრავალთაგან ერთ-ერთი მნიშვნელობაა „კარგი ხვედრი – იღბალი, ბედნიერება“ (ქეგლ, I, 1990: 124). შდრ.: ბედ-ი – იღბალი; ძალა, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას. ძვ. ქართ. ბედ-ი „სვე“... ძველ ქართულშივე გვხვდება ბედ-ის დერივატები: **ბედ-იან-ი**, **ბედ-ით** („ამაოდ“), **ბედ-ნიერ-ი** და **უ-ბად-ო** – „ცუდი“, „უბედური“, „საცოდავი“. უკანასკნელ ფორმას ბ. გიგინეიშვილი საყურადღებოდ მიიჩნევს იმ მხრივ, რომ მასში, შესაძლოა, დაცული იყოს თავდაპირველი სახე **ბად**. **ბედ-ი** ფორმაში ბოლოკიდური **-ი**-ს გავლენით მომხდარა **აუე**. მეგრული ფორმა

უ-ბად-ო („ბოროტი“, „ცუდი“), ი. ყიფშიძის აზრით, არსებითი სახელისაგან არის ნაწარმოები. ესაა ქართული **ბედი-ს** მიერ გაძევებული სიტყვა ***ბადი** – „ბედნიერი“ (გიგინეიშვილი, 2016: 46). ტოპონიმ „ბედიის“ შესახებ ვრცელი მსჯელობა მოცემულია აფხაზი მეცნიერის – ვალერი კვარჭიას ნაშრომში: «**Бедиа** – оно может быть переносным или же связано с банд, бенд, бандиа, встречающимся в итальянских источниках XIV – XV вв. (Анчабадзе З. В. Из истории... С. 239). На персидском банд, бенд означает «крепость». В действительности в селе Бедиа имеется древняя крепость внушительных размеров, именуемая абхазами Нарджхьоу, а в источниках иногда как **Агәа, Акуа, Бедиачук**. Д. К. Чачхалиа считает, что **Бедиа** – от латинского бадиа «монастырь», «аббатство» (см.: Карла Серена. Путешествие по Абхазии. С. 44) (Кварчия, 2006: 131).

ტოპონიმის სემანტიკის შესაცნობად საყურადღებოა **ბედია** სიტყვის სხვა მნიშვნელობებიც. სამურზაყანოელთა (და საერთოდ, მეგრელთა) მეტყველებაში იგი აღნიშნავს „საღვთოს, ხატზე შესახებულს“, „ხატის ტყეს“. ამასთანავე, ბედიას ეძახიან „ჩაღრმავებულ ადგილს, ქვაბულს“. ამ უკანასკნელ მნიშვნელობასთან სემანტიკურადაა დაკავშირებული აგრეთვე **ბედე**, რაც წარმოადგენს ერთგვარ ტაბლას, ზედ ამოჭრილი ჩაღრმავებებით, ღომის ჩასაგებად (ქობალია, 2010: 60). საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამურზაყანოსა და სამეგრელოში, ადგილს, სადაც ადრე ხატის ტყე იყო განაშენებული, **ბედიანაჩენს** უწოდებდნენ (იქვე).

ბედია სიტყვის ასეთი განმარტება საფუძველს იძლევა, რომ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ისტორიულ წყაროებში ტოპონიმ „ბედიის“ შესახებ დაცული ინფორმაცია, და საფუძვლიანი, ამასთანავე, აუცილებელი კორექტირება შევიტანოთ მოტივაციაში; ამდენად, შესაძლებელია ბედია ორგვარად გავიაზროთ. კერძოდ, 1. „ხატზე შესახებებული, ხატისთვის მიჩენილი ტყე ან მიწა“, და 2. „ჩაღრმავებული ადგილი, ქვაბული, ტაფობი“ (ბედიის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 109-111; მისივე, XXXIII, 2013: 23-24).

§5.7. ბირცხა

ბირცხა სოფელია სოხუმის რაიონში. ეს სახელი ზემო და ქვემო ბირცხის კრებლითი სახელწოდებაა. ზემო ბირცხა მდ. ბესლეთის მარჯვენა ნაპირზე, ზ. დ. 130 მ-ზეა და სოხუმს დაშორებულია 5 კმ-ით; ქვემო ბირცხა მდებარეობს აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, ბესლეთის ნაპირას, ზ. დ. 150 მ.-ზე, სოხუმიდან – 8 კმ, ბესლეთიდან – 2 კმ. ბირცხის შესახებ ვ. კვარჭია აღნიშნავს: „Бирцха – упоминает Нордман как название абхазского села в районе Цебельды... картах

первой половины XIX века... С канса прошлого столетия на территории Пирцха помещается населенный пункт Мителевка..." (Кварчия, 1985: 52).

ვ. ზუხბაიას განმარტებით, სოფლის სახელწოდება დაკავშირებულია მეგრულ სიტყვასთან – **ბირცხა**, რაც „ფრჩხილს“ ნიშნავს (ზუხბაია, 2000: 61). შდრ. ***ბურცხა** „ფრჩხილი“; ლაზ. **ბუცხა**, მეგრ. **ბირცხა** „ფრჩხილი“, აკა-ბურცხა „ფრჩხილის ოღენა“; შდრ. ძვ. ქართ. **ფრცხილ-ი** (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, I, 2015: 779).

ბირცხა სიტყვა მეგრულში მართლაც აღნიშნავს ფრჩხილს, ბრჭყალს, ჭანგს; ლიბრს; ნაჭდევს თიხის ჭურჭელზე; მაგრამ ჩვენ საგულისხმოდ გვეჩვენება ამ სიტყვის კიდევ ერთი მნიშვნელობა სამურზაყანოულ მეგრულში. ესაა მცენარის სახელწოდება, იგივე **ჭანგა** (ქობალია, 2010: 63).

§5.8. გაგრა

გაგრა საკავშირო მნიშვნელობის ზღვისპირა კლიმატური კურორტია და მდებარეობს გაგრის უბის ვიწრო სანაპირო ზოლში, გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 7-50 მ-ზე, და სოხუმიდან 80 კმ-ით არის დაშორებული. აქ ადამიანის ცხოვრების ნაკვალები პალეოლითის ხანიდან დასტურდება. კ. ბერულავა ქალაქის სიძველეებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ის მხარე, სადაც გაგრა მდებარეობს, ძველად **ნიკიტად** იწოდებოდა. იტალიელები გაგრას **კაკკარის (Caccari)** უწოდებდნენ. სახელწოდების თავდაპირველი ფორმა კაკკარი ნანარმოებია სიტყვა „კარისაგან“. მტრის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გადაადგილებისას გაგრის ვიწრობი წარმოადგენდა **კართა კარს**. მკვლევარი იმონმებს გალიც-ვოლინური მატეანის ცნობას ვლადიმერ მონომახის მიერ ყრმის განდევნის შესახებ („ობეზთა შინა რკინის კართ იქით“) და დაასკვნის, რომ გაგრაში მართლაც არსებობდა რკინის კარები (ბერულავა, 1951: 77; იხ. აგრეთვე ჯანაშია, VI, 1988: 292, და იქვე მითითებული ლიტ-რა). პირველი წერილობითი წყარო, რომელშიც გაგრა მოიხსენიება, XIV ს-ით თარიღდება. ზღვისპირას შემორჩენილია IV-V საუკუნეების ციხის ნაშთი (150+100 მ.), რომელსაც აკლია ზღვისკენ მიმართული ერთი კედელი, და ტლანქად დამუშავებული ქვის კვადრებით ნაგები VI-VII საუკუნეების სამეკლესიანი ბაზილიკა. ციხის ძველი ზღუდის ნაშთები და ჭიშკარი გვიანდელ გადაკეთებათა ნყოფის ქვეშ არის მოქცეული (ლაშხია, ბერაძე, ...ქსე, II, 1977: 612). XVII ს-ის თურქი მოგზაური ევლია ჩელები აბაზური ტომის მთის ჩანდების მიწაზე ასახელებს ნავსადგურს, რომლის სახელწოდებაც **კაკრ** (თურქული ტრანსკრიფციით Kokur) (ევლია ჩელები, I, 1971: 14).

გაგრასა და გაგრის ციხეს არაერთგზის მოიხსენიებს გერმანელი ავტორი ედუარდ აიხვალდი. მისი ცნობით, შავი ზღვის პირას, გაგრის მონასტრიდან სოფ. მამაიძე ცხოვრობდა ხალხის ჯგუფი ჯანეტები, რომელიც ძალით ჰყავდა დამორჩილებული აფხაზეთის მთავარ ქელემ ბეი შარვაშიძეს (აიხვალდი, 2005: 214). ჯანეტებში, როგორც ჩანს, აიხვალდი გულისხმობდა ჯიქებს. აიხვალდი შენიშნავს, რომ აფხაზეთს ჩრდილო-დასავლეთიდან ჩერქეზებისგან გამოყოფს მდ. გაგრინისი და კავკასიონის განშტოებები. სხვაგან მდინარეს **გაგრინის** ფორმით მოიხსენიებს და წერს, რომ გაგრინში ჩრდილოეთით გამოყოფს აფხაზეთს ჩერქეზეთიდან და გაგრის ციხის მახლობლად შეერთვის შავ ზღვას (იქვე: 222). თვით ციხის შესახებ მოგზაური წერს: ზღვაზე, კლდოვანი ხეობის გამოსასვლელში, კავკასიის მთის ბოლოს მდებარე გაგრის დანგრეულ ციხეს თამამად შეიძლება დაერქვას დასავლეთ საქართველოს გასაღები (იქვე: 223).

გაგრის შესახებ ანალოგიურ ცნობებს გვანვდის ფრანგი მეცნიერი, მოგზაური და საზოგადო მოღვაწე ბარონი დე ბაი. მისი თქმით, აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვარს ქმნის გაგრის მთების ქედი, რომელიც გამოყოფს მას შავი ზღვის გუბერნიისაგან. იურული კირქვის ტერასები გაგრაში უეცრად ზღვაში ეშვება. ჩრდილოეთით ბუნებრივი საზღვარი ყოფდა აფხაზეთის ტერიტორიას ჩერქეზთა ტომებით დასახლებული ქვეყნებისაგან. აფხაზეთი გულისხმობს საკუთრივ აფხაზეთს გაგრიდან მდ. კოდორამდე (ბარონი დე ბაი, 2011: 114, 115). ფრანგი მეცნიერი იმავე ნარკვევში აგრძელებს მსჯელობას გაგრის შესახებ და შენიშნავს, რომ კალდახვარის შემდეგ მდებარე გაგრა აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვარია. გაგრას შარდენი ბალადაქს უწოდებს, რაც თურქულად „მაღალ მთას“ ნიშნავს, ხოლო კლაპროტი იყენებს სიტყვა დერბენდს (ხეობა, კარი). იქ, სადაც მთა ზღვის ტალღებს ებჯინება, დატოვებულია ვიწრო გასასვლელი, თერმოპილეს ნამდვილი ხეობა, რომელიც ციხესიმაგრითაა ჩაკეტილი. აქ იცავდნენ აფხაზეთი თავიანთ ტერიტორიაზე შემოსასვლელს ჩერქეზების შემოსევისგან. რუსებს აქ ჰყავდათ გარნიზონი (იქვე: 133). ბარონი დე ბაი გაგრას უწოდებს ფერიების ქვეყანას და აღმოსავლურ სამოთხეს (იქვე: 134). „მდინარე ჟოეკვარას ახლოს არის ბაზარი და თავმოყრილია სხვადასხვა შენობა. ციხესიმაგრის, რომლის საძირკველი ზღვაშია, დანგრეული კედლების შიგნით განთავსებულია პატარა სასტუმრო, ყაზარმა ჯარისკაცთა პატარა რაზმისათვის, აფთიაქი, საინტენდატო, აქვეა ეკლესია, შორეული წარსულის ერთადერთი ნაშთი. იგი აღდგენილ იქნა გრაფინია ოლდენბურგსკის ნიჭიერებითა და ზრუნვით; ეს ტაძარი წმინდა იპათის სახელს ატარებს... ამ პატარა ბაზილიკას VI საუკუნეს მიაკუთვნებენ, მისი აგების თარიღი საეჭვოა; ყოველ შემთხვევაში, ძალიან ძველი ტიპის ნაგებობაა. იგი შედგება მრგვალ თაღში მოთავსებული ნეფის, ნახევარწრიული კრე-

ბულისა და, დასავლეთით, რალაც ვესტიბულისმაგვარი მინაშენისაგან. ყველა კარი გადის ვინრო დერეფანში, რომელიც უკავშირდება ტაძარს პატარა ზომის გასასვლელით. ერთი წელი არცაა გასული, რაც ეკლესია აღადგინეს და მასში ღვთისმსახურება მიმდინარეობს. დანგრეული ციხესიმაგრის გალავნის ზემოთ ყურადღებას იქცევს კლდეზე არნივის ბუდესავით გადაკიდებული სასახლე, რომლის მშენებლობა სადაცაა დამთავრდება“ (იქვე: 135).

გაგრის შესახებ ცნობებს გვანჭდის ფრანგი მოგზაური და კომერსანტი ჟაკ ფრანსუა გამბა. იგი ადღერის მახლობლად ასახელებს გაგრის სახელწოდებით ცნობილ ხეობას და დასძენს: „გაგრა გაშენებულია ზღვის სანაპიროსა და ციცაბო მთის ფერდობს შორის და სამხრეთ აფხაზეთს ჩრდილო აფხაზეთისა და ჩერქეზეთისაგან გამოყოფს... გაგრის ადგილმდებარეობა ძლიერ მოხერხებულია, რუსეთის მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ადგილს და მისი ხელში ჩაგდება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად უნდა დაისახოს, თუკი კავკასიის ხალხების საბოლოო დაშოშმინება და დამორჩილება სურს“ (გამბა, 1987: 78).

გაგრის წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია: შავი ზღვისპირის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე გაგრა ერთი საუკეთესო ადგილთაგანია. მარჯვე მდებარეობის წყალობით გაგრა ერთ დროს საომარ ასპარეზად იყო არჩეული. კავკასიის ქედის თანატოლად მომავალი აფხაზეთის მთა გაგრასთან შიგ ზღვაში იჭრება და ქმნის ბუნებრივ და მიუდგომელ, ძნელად გადასალახავ საზღვარს აფხაზეთსა და საჩერქეზოს შორის. ასეთ სტრატეგიულ ადგილას რუსეთის მხედრობამ ციხე ააგო და შიგ გარნიზონები ჩააყენა სამოციან წლებში, ჩერქეზებთან ომის დროს... გაგრა ორია: ძველი, ანუ კეთილმოწყობილი ნაწილი გაგრისა პრინცის სასტუმროსა და სასახლის შემოგარენში მდებარეობს, ხოლო ახალი გაგრა ძველის აღმოსავლეთით, ხუთი კმ-ის დაშორებით მდებარეობს და წარმოადგენს ასი მხარის მანძილზე, გზის იქით-აქეთ გამწკრივებულ ხის დუქნებს... გაგრას, ამ ერთბაშად შექმნილ კურორტს, მეტად საინტერესო და საყურადღებო, უთუოდ დიდი მომავალი აქვს (სახოკია, 1985: 405-409).

პ. ინგოროყვა სახელწოდება გაგარს თავისი გრამატიკული გაფორმების მიხედვით ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჯგუფს აკუთვნებდა. სახელოვანი მეცნიერი გამოყოფდა ფუძე-სიტყვას **გაგი**, რასაც ქართული ტოპონიმების – გაგის, გაგვისა და გოგარენეს, ანუ გაგარენის იდენტურად, ხოლო ბოლოკიდურ არ-ს ქართული ტოპონიმების ჩვეულებრივ დაბოლოებად მიიჩნევდა. იმავე სექტორში, შავ ზღვასთან მდ. გაგრიფშის//გაგის წყლის შეერთების ადგილას, ანუ ძველი გაგრიდან ერთ კილომეტრზე, სამხრეთით, მდებარეობდა სოფელი გაგი, რომელიც ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ გადმოცემუ-

ლია Khaki ფორმით. „ამრიგად, თვით ადგილობრივ აფხაზეთშივე არსებულა ეს გეოგრაფიული სახელწოდება ორივე ფორმით **გაგი** და **გაგარი...**“ (ინგოროყვა, 1954: 149, 150).

აფხაზი მეცნიერი ზ. ანჩაბაძე ფიქრობდა, რომ ქალაქის სახელწოდება წარმოშობილია გაგრიფშიდან. გაკ//კაკ, მისი აზრით, საკუთარი სახელია, -რი – კუთვნილების აფიქსი, -ფშ- კი „თემის მნიშვნელობის“ მიმანიშნებელი: „Слово Гагра происходит от названия села Гаг-ри-пш, где Гаг („как“) собственное имя „ри“ афикс принадлежности и „ш“ – дода (в смысле „обшина“) ср. Гуль-ри-пш, и др.“ (Анчабадзе, 1956: 265). ასეთივე შეხედულებისა იყო კ. შაყრილიც (Шакрил, 1965: 157).

შ. ინალ-იფას მოსაზრებით, -რა სუფიქსიანი ტოპონიმების – ეშერას, აჟარას, ათარას, აჟარას, აჩიგვარას, აჩანდარას მსგავსად, გაგრა აფხაზური წარმომავლობისაა; თუმცა განმარტებული არა აქვს გაგ- ძირი (Инал-ипа, 1976: 140, 378).

აბასგთა მიერ აგებული მიუვალი სიმაგრის სახელს – კაკარ, ბ. გოგია გაიაზრებს როგორც „ქვაკარს“ – კაკარი//გაგარი, დღევ. გაგრა (გოგია, 2003: 120).

სრულიად განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა თ. მიბჩუანმა, რომელმაც გაგრის სახელწოდება სვანურ „გაკ“-ს დაუკავშირა. მისი აზრით, ამ ტოპონიმის სვანური წარმომავლობის ვერსიას სარწმუნოს ხდის ახ. ნ. II ს-ის გეოგრაფისა და ასტრონომის – კლავდიოს პტოლემეაიოსის ცნობა დღევანდელი გაგრის ზონაში „სუანო კოლხების“ ცხოვრების შესახებ, და VII ს-ის „სომხეთის გეოგრაფიაში“ დაცული ცნობა, რომლის მიხედვით დღევანდელ ბიჭვინთამდე სვანები ცხოვრობდნენ (მიბჩუანი, 1989: 272). სხვაგან აღნიშნავს, რომ გაგრა – (ლიუ-ლიეს „კაკრა“) ეს არის სვანური სიტყვა „გაკ-რა“, რომელიც ნიგვზნარს ნიშნავს. გაგრა-ბიჭვინთის ტერიტორიაზე დღესაც ერთ ადგილს „ორეხოვია რომჩას“ ეძახიან (მიბჩუანი, „სახალხო განათლება“, №53, 1989: 15).

გაკ, კაკ, კაკრა სვანურში ეწოდება ჩვეულებრივ კაკლის ხეს (მაყაშვილი, 1991: 154, 155). **გაკ** კაკალია, **გაკრა** კაკლის ხეა (დონდუა, 2001: 57). გ. გასვიანსაც ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ გაგარი/კაკარი სვანური კაკარი/გაკარი-დან მომდინარეობს, რაც კაკლის ხეებიან ადგილს ეწოდება. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მცენარეთა სვანური სახელწოდებების (ლუმრა „ნაძვი“, თეკრა „თელა“, ჯირხვა „მუხა“, ჟახვრა „არყის ხე“, იფრა „იფანი“, ცხუმრა „რცხილა“ და ა. შ.) სვანეთის ტოპონიმიში ფართოდ გავრცელება (გასვიანი, 2011: 172-173). ამის მიუხედავად აფსუებმა ამ დასახლებული პუნქტის სახელწოდება თავის კუთვნილებად მონათლეს და გაგრაფსტად გადააკეთეს (იქვე: 173).

აფხაზი ენათმეცნიერი ხუხუტი ბლაჟუბა ქალაქ გაგრის სახელწოდებაში გამოყოფს **გაგ** ფუძეს და აფხაზურმატოპონიმებელ-**რა** სუფიქსს (Бражба, 1964: 258, 260). პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე თვლის, რომ აფხაზური ტოპონიმის – გაგრიფშის ამოსავალია პიროვნების ან სატომო სახელი **გაგ**. მაშასადამე, მკვლევრის აზრით, გაგრიფში იგივეა, რაც „გაგის წყალი“. **გაგი** ადამიანის საკუთარი სახელიდან უნდა იყოს მიღებული სახელწოდება **გაგრა** (ჭუმბურიძე, 1971: 55-56).

თ. ბერაძის აზრით, გაგრა მომდინარეობს ძველ ქართულში „გასასვლელის“ აღმნიშვნელი „გაგარი“ სიტყვიდან. უძველესი დროიდან აქ არსებული ერთადერთი გასასვლელი წარმოადგენდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ორი მხარის ერთმანეთთან დამაკავშირებელს (ბერაძე, I, 1973: 122). ტოპონიმ „გაგრის“ ძველი ვარიანტი „გაგარი“ მოხსენებულია ხობის ტაძარზე ვამეყ დადიანის მიერ გაკეთებულ წარწერაში (1384-1396 წწ.). წარწერის ტექსტი გვაუწყებს: „სახელითა ღმრთისაითა, ერისთავთ ერისთავმან და მანდატურთუხუცესმან, დადიანმან, ვამეყ... მიუწა ჯიქეთს, ურწმუნოებისა და ორგულებისათვის, რათამცა მოემსახურა და სძლო და შეურაცხ და უჭმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღალნი ყოველნივე ძალითა მოირჭუნა... და მაშინ მოილო სვეტნი და ფიქალნი ესენი მარმარილოსანი...“ (ყორდანი, III, 199; გასვიანი, 2011: 172).

პ. ინგოროყვას, ხ. ბლაჟუბას და ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისს მიმოიხილავს თ. გვანცელაძე და შენიშნავს, რომ არც ერთი მათგანის მოსაზრება სათანადოდ არგუმენტირებული არ არის. ხ. ბლაჟუბას და პ. ინგოროყვას სხვადასხვა ენის საფუძველზე გამოყოფილი ერთი და იმავე **გაგ** ძირის სემანტიკა დადგენილი არა აქვთ, ხოლო ზ. ჭუმბურიძის მიერ გამოყოფილი იგივე გაგ ძირი აფხაზურში არც პიროვნულ და არც სატომო სახელად არ დასტურდება (გვანცელაძე, „არტანუჯი“, №10, 2000: 89).

თ. გვანცელაძე მართებულად მიიჩნევს თეიმურაზ მიბჩუანის მოსაზრებას გაგრის სვანური წარმომავლობის ტოპონიმად გააზრების შესახებ და აზუსტებს ზოგ საკითხს: **გაკ-რა** სვანურში არა მარტო „კაკლოვანის“, არამედ თვით „კაკლის ხის“ აღმნიშვნელიცაა. მასში გამოყოფილი სვანური **-რა** სუფიქსი დამახასიათებელია ხეების სახელებისათვის (შდრ. **ზესხრა** „ცაცხვის ხე“, **ჰებ-რა** „ბლის ხე“, **ჯიპ-რა** „მუხის ხე“...). ამასთანავე, **-რა** სუფიქსი, ჰაინც ფენრიხის ნაშრომზე მითითებით, ქართველური (ქართულ-სვანური) წარმოშობის სუფიქსად მიაჩნია და ცდილობს სვანურში ამ სუფიქსის აფხაზურიდან ნასესხებ სუფიქსად მიჩნევის ნიკო მარისეული მოსაზრების მცდარობის დასაბუთებას, რასაც შემდეგი გარემოებით ხსნის: „...მორფოლოგიური ინვენტარის ერთი ენიდან მეორეში სესხება მძლავრი ენობრივი ზეგავლენის შედეგად არის მოსალოდნელი, სვანურში კი აფხაზური ენის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ზეგავლენის კვალი ლექსიკაშიც

არ დასტურდება, მაშინ, როდესაც სვანურის კვალი აფხაზურში ნამდვილად შეინიშნება, თუნდაც სუბსტრატული ტოპონიმების სახით“ (იქვე: 90).

მკვლევარი კ. ოკუჯავა ეთანხმება სახელწოდება „გაგრის“ თ. მიბჩუანისეულ განმარტებას და აღნიშნავს, რომ ქართულსა და მეგრულშიც კაკალი და კაკლის ხე აღინიშნებოდა სიტყვით **გაკ//კაკ**. თავისი მოსაზრების გასამყარებლად კ. ოკუჯავა იმონებს **გაკ-//კაკ-** ფუძიანი ტოპონიმების ფართოდ გავრცელების ფაქტს საქართველოში. ასახელებს შემდეგ ტოპონიმებს: გაგს სამცხეში, გაგურს გურიასში, გაგულესს ლეჩხუმში, გაგურასა და გაგინყუს ზემო სამეგრელოში. ამავე ძირს უკავშირებს ქართულ გვარებს – კაკალიას, კაკულიას, კაკავას, გაგუას და ა. შ. (ოკუჯავა, 2002: 74; იხ. მისივე, 2012: 13-15). ეს მოსაზრება დაზუსტებას საჭიროებს. გვარების – კაკალიას, კაკულიას, კაკავას, გაგუასა და მისთ. ამოსავალია უძველესი ქართული საკუთარი სახელები – კაკა, კაკალა, კაკული → კაკი, გაგა, გაგუ და ა. შ. (ცხადაია, 2000: 65, 90, 91).

ოიკონიმ „გაგრის“ შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და წერილობითი წყაროების ვრცელი ეტიმოლოგიურ-ეტიოლოგიური ანალიზი ეკუთვნის აგრეთვე ისტორიკოს აბესალომ ტულუშს. მკვლევარი არ იზიარებს ზ. ანჩაბაძისა და კ. შაყრილის თვალსაზრისს ტოპონიმ „გაგრიფშიდან“ **გაგრის** წარმოშობის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა პირუკუ პროცესსაც, ანუ ტოპონიმ გაგრიდან წარმოქმნილიყო ჰიდრონიმული წარმომავლობის გაგრიფში. ამასთანავე, ზ. ანჩაბაძე და კ. შაყრილი გვერდს უვლიან ქართულ და უცხოურ წყაროებში ტოპონიმ „გაგრის“ ადრეული ფორმის **გაგარის**, **კაკარის** ფორმით დაფიქსირებას. ამიტომ ეს მოსაზრება ამ ტოპონიმის აფსარულ/აფსუურ ენასთან დაკავშირების ნადილითაა ნაკარნახევი და მისი აშკარად ხელოვნურობაც ამის შედეგია, თუმცა ა. ტულუში არც პ. ინგოროყვას მოსაზრებას მიიჩნევს დამაჯერებლად (ტულუში, „ია“, 1999: 77). მკვლევარი თავის ნაშრომში იმონებს ზ. დანელიას მოსაზრებას სახელწოდება **გაგრის** ძველაფხაზური გვარიდან – **გაგაა**, წარმოშობის შესახებ, რომ თითქოს ამ საგვარეულოს გაგრის ადგილებში უცხოვრია ოდესღაც. ეს ვარაუდიც ჭეშმარიტებას მოკლებულია, ვინაიდან გვარსახელი გაგაა, თუკი ასეთი საერთოდ არსებობდა, აფხაზური კი არა, ქართველური, კერძოდ, ზანური წარმოშობისაა. მოსული აფსარები/აფსუები მათ მიერ ასიმილირებული ადგილობრივი ზანური ტომის – აფხაზების -ავა დაბოლოებიან გვარსახელებს სწორედ ამგვარ სახეს აძლევდნენ. შდრ.: აგუმავა//აგუმაა; არადა აგუმავას გვარი ზანური წარმოშობისაა (იქვე: 78). თ. ბერაძე ფიქრობდა, რომ XIV-XVI საუკუნეთა იტალიური რუკების მონაცემებით დღევანდელი გაგრის შესატყვისი გაგარის ხობის წარწერაში მოხსენიებულ გაგართან გაიგივება დაუშვებელია, რადგან წარწერის

მიხედვით გაგარი ჯიქეთშია საძიებელი, ხოლო ამჟამინდელი გაგრა ისტორიული ჯიქეთის შემადგენლობაში არასდროს ყოფილა. ა. ტულუშის აზრით, თ. ბერაძის დამონმებული თვალსაზრისი მიუღებელია, ვინაიდან ხობის წარწერის კონტექსტი ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს აღარ იძლევა. ამასთანავე, ჯიქების ქვეშ, ქართული წყაროები, როგორც ჩანს, აწინდელ აფხაზებს/აფსარებს გულისხმობს, და ისიც, რომ XIV საუკუნეში გაგრა უკვე უქვევლად მათ ხელშია (იქვე: 79). მკვლევარი გაგრის სახელწოდების ნაგარაუდევ სანყის ფორმად საისტორიო წყაროების მონაცემთა შეჯერების საფუძველზე **გაკარი** ფორმას მიიჩნევს. რამდენადაც „აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი... – დასძენს ა. ტულუში, – ზანური ტომების, კერძოდ, აფხაზთა (პროტოაფხაზთა) ნამკვიდრალია, პირველ რიგში გაგრის მნიშვნელობის ახსნას სწორედ ზანურის მეშვეობით უნდა ვეცადოთ“ (იქვე: 80). მკვლევარი სახელწოდება **გაგარ**-ში გამოყოფს ქედის, თხემის აღმნიშვნელ ზანურ/მეგრულ სიტყვა **გა**-ს, ხოლო **კაკარ**-ში – ბოლოკიდურ **კარს**, რაც მეგრულშიც „კარის“ მნიშვნელობით გამოიყენება. გაკარი ზანური/პროტოაფხაზური ტოპონიმი უნდა იყოს და იგივეა, რაც „ქედ-კარი“. **გა** „ქედი“, კარი „კარი“ (შდრ.: კლდეკარი, დარიალი და სხვ.) (იქვე: 81). ა. ტულუში თავისი მოსაზრების გასამყარებლად არგუმენტად მოიშველიებს იმ ფაქტს, რომ აქ, გაგრაში, კავკასიონის მთავარი ქედი შავ ზღვამდე აღწევს და ზღვასა და კლდეს შორის დარჩენილი სამიოდე ათეული ნაბიჯის სიგრძის ვიწრობით ერთმანეთისგან იყოფოდა დიდ და მცირე აფხაზეთად წოდებული ორი ქართული ქვეყანა. ამასთანავე, გაგრას აფსარები/აფხაზები ხაგუაშას, ანუ ვიწრო კარს უწოდებენ. მას ანგარიშგასაწევად მიაჩნია ის გარემოებაც, რომ XVII საუკუნის ერთ-ერთ რუკაზე, კერძოდ, „ჯიჰან-ნუმას“ რუკაზე, გაგრის ადგილას აწერია დერბენდი, სპარს. „რკინის კარი“ (იქვე: 80).

ვ. კვარჭიას მსჯელობით, „При объяснении этимологии Гагра прежде всего нужно обратиться к данным абхазского языка, выяснить характер и значение самой местности. Абхазы именуют ее Гагра. Здесь до махаджирства проживало абхазское общество Гаграа – отсюда название местности и речки Гагрыпъшь «край Гагрцев». Общество же Гаграа, Гагрыпъшь именовалось по месту проживания.

Вышеприведенные данные разновременных письменных источников и известные фонетические процессы в абхазском языке позволяют современное Гагра возвести к Гакра или Гақыра. Последний переводится с абхазского как «место, где закрывается (преграждается) морской берег» – состоит из а-га «берег моря» (например, Га-пъшыра «место, где обзревается морской берег») и а-кра «закрывать, преграждать», срав. амѡа-кра «закрывать дорогу», «держать» – отсюда и топоним Амѡа-қыра «место, где закрывается дорога», Азых-қыра «плотина».

Абхазская этимология Гагра из Гакра «место, где закрывается (морской) берег» полностью соответствует характеру местности. Именно у Старой Гагры горы прерывают береговую полосу и неспроста Гагрский проход некоторые называют абхазскими Фермопилами, а турки именовали его Дербент «горный проход» или «запертый проход». Как известно, здесь существует с IV – V веков крепость с абхазским названием Абаата «укрепленное место», «место крепости». Что касается заявления Т. Мибчуани о том, что абхазских топонимов с суффиксом ра набирается не более четырех, то и оно далеко от истины. Подобное утверждение говорит о незнании автором топонимической карты Абхазии, где представлено более тысячи названий, образованных именно с помощью суффикса ра, одного из самых высокопродуктивных словообразователей абхазского языка (о Гагре см. также работу Ворошилова, «Топонимы Российского Причерноморья, с. 91-93) (Кварчия, 2006: 141).

თუკი ოიკონიმ „გაგრის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არსებულ მოსაზრებებს შევაჯერებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

კ. ბერულავა: სახელწოდების თავდაპირველი ფორმა **კაკ-კარი**-ი ნანარმოებია სიტყვა კარისაგან. გაგრის ვინრობი წარმოადგენდა **კართა კარს**.

- პ. ინგოროყვა: **გაგ-არ-ი** გრამატიკული გაფორმების მიხედვით ქართული გეოგრაფიული სახელწოდებაა, რომელშიც გამოყოფა ფუძე-სიტყვა **გაგი**;
- ზ. ანჩაბაძე: ქალაქის სახელწოდება წარმოშობილია გაგრიფშიდან. **გაკ//კაკ** საკუთარი სახელია, **-რი** – კუთვნილების აფიქსი, **-ფშ-** კი „თემის მნიშვნელობის“ მიმანიშნებელი;
- შ. ინალ-იფა: **გაგ-რა** აფხაზური წარმომავლობისაა, სადაც **-რა** სუფიქსია. **გაგ-** ძირის მნიშვნელობაზე არაფერს ამბობს;
- ბ. გოგია: **კაკ-არ-ი//გაგ-არ-ი**, დღევ. **გაგ-რა**, იგივეა, რაცა „ქვაკარი“;
- თ. მიზჩუანი: **გაგ-რა** სვანური წარმომავლობის ტოპონიმი. „გაკ“ სვანურად კაკალია;
- გ. გასვიანი: **გაგ-არ-ი/კაკ-არ-ი** სვანური კაკარი/გაკარი-დან მომდინარეობს, რომელიც კაკლის ხეებიან ადგილს ეწოდება;
- ხუბუტი ბლაჟბა: ქალაქ გაგრის სახელწოდებაში გამოიყოფა **გაგ** ფუძე და აფხაზური მატოპონიმებელი **-რა** სუფსიქსი;
- ზურაბ ჭუმბურიძე: **გაგი** ადამიანის საკუთარი სახელიდან უნდა იყოს მიღებული სახელწოდება **გაგრა**;
- თ. ბერაძე: გაგრა მომდინარეობს ძველ ქართულში „გასასვლელის“ აღმნიშვნელი „გაგარი“ სიტყვიდან;

- თ. გვანცელაძე: იზიარებს თეიმურაზ მიზჩუანის მოსაზრებას გაგრის სვანური წარმომავლობის ტოპონიმად გააზრების შესახებ და აზუსტებს: **გაკ-რა** სვანურში არა მარტო „კაკლოვანის“, არამედ თვით „კაკლის ხის“ აღმნიშვნელიცაა;
- კ. ოკუჯავა: ქართულსა და მეგრულშიც, სვანურის მსგავსად, კაკალი და კაკლის ხე აღინიშნებოდა სიტყვით **გაკ//კაკ**;
- ა. ტულუში: სახელწოდება **გაგარ**-ში გამოიყოფა ქედის, თხემის აღმნიშვნელი ზანურ-მეგრული სიტყვა **გა**, ხოლო **კაკარ**-ში – ბოლოკიდური „კარ-ი“, რომელიც მეგრულშიც კარის მნიშვნელობით გამოიყენება. **გაკარი** ზანური/პროტოაფხაზური ტოპონიმი უნდა იყოს და იგივეა, რაც „ქედ-კარი“. **გა** „ქედი“, **კარი** „კარი“;
- ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა: **გაგრა** იგივეა, რაც მეგრ. **გაგურა** „თავმოჭრილმთებიანი ადგილი“ (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, I, 2015: 12).

გაგ და **კაკ** კომპონენტი ფიგურირებს სამეგრელოს რამდენიმე ტოპონიმში, რომლებსაც აქვე დავიმონწიებთ საილუსტრაციოდ:

გაგუ – 1. ბორცვი მეტერიასა და ხანჯარას შუა, ლეგოგინეში; 2. ბორცვი ცივისა და ნოულალუს წყალგამყოფზე, ფოცხოში. პ. ცხადაიას განმარტებით, გაგუ დაბალი, ბრტყელი ბორცვია (ცხადაია, VII, 2013: 151).

გაგურა – 1. გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს „ნახუნაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში, და მიუთითებს, რომ ეს ადგილი „ნასალოცვარი მინაზურგა“ ყოფილა (ელიავა, 1977: 122); ამ შემთხვევაში შესაძლოა ტოპონიმის ამოსავალი იყოს გვარი გაგუა. 2. მესარონიდან სკურდისკენ დაშვებული სერი ლესაჯაიეში (ცხადაია, VII, 2013: 151).

გაგურუ(ში) – დაბალი ბორცვი ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ნობულში; 2. მცირე შიშველი გორა ბულმენჯის ჩრდილოეთით, ენერში (ტალერის თემი) (ცხადაია, VI, 2012: 158). ალ. ლლონტი ტალერის სასოფლო საბჭოში იმონმებს ტოპონიმ გაგურუს ტყის სახელწოდებად (ლლონტი, I, 1971: 55). შესაძლოა ამ შემთხვევაშიც ტოპონიმი უკავშირდებოდეს გვარ გაგუას. გაგურუში „გაგუასეული“ (?).

კაკარა – ბორცვი ლექობალეში, საზღვარი ახუთთან. საზიაროა სოფ. დოშაყესთან (ცხადაია, VI, 2012: 258). ალ. ლლონტი სოფ. ახუთში ტყის სახელწოდებად ასახელებს კაკარას (ლლონტი, I, 1971: 64). გ. ელიავა „დოშაყეს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს **კაკარას** ბორცვის სახელწოდებად, ხოლო **კაკაროს** – „კინიის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში, სერის სახელწოდებად (ელიავა, 1977: 143, 152).

კაკარა//კაკარო – სერი ზანა-ოჟვაბუესა და ცივის შუა. საზიაროა ახუთთან, ნოღასთან და პირველ კინიასთან. პ. ცხადაიას მიერ ჩანერილ ამ ტოპონიმს ახლავს რესპონდენტ ლ. ახალაიას განმარტება: „კაკარა უნინ ენოდებოდა ცივის მარჯვენა ნაპირის ბორცვებს ლეჯახიესა (ჩხორონწყუს რ-ნის სოფ. ახუთი) და დოშაყეს შუა და შედიოდა სოფ. ახუთში, მაგრამ ახლა გამოღმა ბორცვებსაც კაკაროს ვუნოდებთ. ზოგი კაკაროდ თვლის მხოლოდ მინდორს ლელურნკაიეში, ზანის მარცხენა ნაპირზე, სალიპარტიოს ჩრდ-ით, ხოლო სერს უნოდებს მხოლოდ „კაკარაშ სუკს“. რესპონდენტ ი. ბახტაძის ცნობით კი „კაკარას უნინ მხოლოდ ცივის მარჯვ. ნაპირს ვუნოდებდით, ნაზოდელუსა და ცივის შუა და შედიოდა ახუთში. ახლა გამოღმა გორაკებსაც დაერქვა“ (ცხადაია, VI, 2012: 258). უფრო ადრე გამოცემულ წიგნში პ. ცხადაიას დამონმებული აქვს ვარიანტი **კაკირა//კაკარო** – ცივის ხეობისა და მის ორსავე მხარეს მდებარე სერების სახელწოდებად (ცხადაია, 2005: 31).

კაკარაშ სუკი – სერი ზანის მარცხენა ნაპირზე, დოშაყეში. პ. ცხადაიას ლოკალიზაცია: „კაკარადან ჩადის ზანაში ორ ხევს შუა“ (იქვე: 259).

კაკლარონი – ჯაგნარი ოყაყალუს ხეობაში, ნალენჯიხის რ-ნის სოფ. ნაგურუში. ამავე სოფელში ხურჩის მარცხენა მხარეს მდებარე ბორცვს **კაკლარონსუკი** ეწოდება.

კაკლონი (← **კაკლარონი**) – ბუჩქნარი სქვამსუკის კალთაზე, სოფ. ნაკიფუში. პ. ცხადაიას განმარტებით, **კაკლარი** იგივეა, რაც „ეკალი, ეკალიჭი“. მაშასადამე, კაკლარონი „ეკლნარია“ (ცხადაია, I, 2004: 47).

კაკარა/კაკარო მეგრულში აღნიშნავს კენკრას; ტევრს, უძეძვო, უეკლო ტყეს, სადაც ყოველი ხე დაკაკლულად, სუფთად დგას; მცენარე კაკრას, რომლის ნაყოფიც არ იჭმევა (საზოგ.) (ქობალია, 2010: 352). ამასთანავე, **კაკარი//კაკალი** იგივეა, რაც კაკალი (ცალი); მარცვალი; მძივი; **კაკალია** ერთი კაკალია; მარცვლიანია. მოხარშულ და ამოულესავად შენელებულ ლობიოს, კირკაჟს სამეგრელოში **კაკალია ლეზიას** ეძახიან; შდრ. აგრეთვე: **კაკალ-კაკალო** დაკაკლულად, სათითაოდ, მარცვალ-მარცვალ, დანვრილებით; (სიმინდი) კაკლად. **კაკალუა** კაკვლა, მარცვლა, ფშენა (მარცვლოვანისა) (იქვე). **კაკალა** ქვიანი მინაა; ველზე აღმართული ეული გორაკია; **ყორღანია** (იქვე). **გაგანი/გაგარი** ეწოდება „ზეგანს; გორის მხარეს“.

თუკი ჩავთვლით, რომ წერილობით წყაროებში დამონმებული **კაკარა** ფორმა **გაგრის** უწინდელი სახელწოდებაა, მაშინ **კაკარა და გაგანი/გაგარი** სიტყვების სამეგრელოში დამონმებული და ზემოთ მოხმობილი მნიშვნელობებიდან საკვლევე ტოპონიმის ამოსავალ ფუძედ სათანადო მოტივაციის შემთხვევაში შეგვეძლო მიგვეჩინა: 1. კენკრა; 2. ტევრი, უძეძვო, უეკლო ტყე, სადაც ყოველი

ხე დაკაკლულად, სუფთად დგას; 3. მცენარე კაკრა, რომლის ნაყოფიც არ იჭმე-
ვა (საზოგ.); 4. ქვიანი მიწა; 5. ველზე აღმართული ეული გორაკი, ყორღანი; 6.
ზეგანი; გორის მხარე. მ. ჩუხუა: **გაგ**- საერთო ძირია: ქართ. **გაგ**-რა, აფხაზ.
გაგ-რიფშ (გაგრის შესახებ იხ. აგრეთვე Кварчия, 1985: 25-26).

§5.9. გალი

გალი მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, ერისწყლის მარცხენა მხარეს
(ქსე-ში შეცდომით მითითებულია: „ერისწყლის ორივე ნაპირზე“), ზ. დ. 48 მ-ზე
სოხუმს დაშორებულია 47 კმ-ით. გალისადმი მიძღვნილ სტატიაში ვ. ზუხბაია
საუბრობს ამ უძველესი დასახლებული პუნქტის ისტორიაზე და შენიშნავს, რომ
1934 წელს არქეოლოგ ს. ნ. ზამიატინის მიერ მიკვლეულ იქნა პალეოლითის,
ნეოლითის, ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა. ქალაქის
ჩრდილოეთ ნაწილში ნყალსადენის კერამიკული მიღების აღმოჩენა და კოშკის
ნაშთები კი შუა საუკუნეებში აქ დასახლებული პუნქტის უტყუარი დასტურია. ვ.
ზუხბაიას თქმით, ტოპონიმ გალის წარმოშობა მეცნიერულად არ არის ახსნილი.
იტალიელ მისიონერს, არქანჯელო ლამბერტის 1654 წელს შედეგენილ რუკაზე
გალი გოგიელის ფორმით აღუნიშნავს. ქალაქის შემოგარენში სოფლებს ეწოდებ-
ოდა პირველი გალი, ზემო გალი, ცხირო-გალი, ჭიჭე გალი (ხუმუშკურის ცენტრი).
ვიდრე გალი სამურზაყანოს ცენტრი გახდებოდა, მას **მეორე გალი** რქმევია. ვ.
ზუხბაია ფიქრობს, რომ გალი ისეთივე წარმოშობისაა, როგორისაც აფხაზე-
თის აღმოსავლეთ ნაწილში დადასტურებული ტოპონიმები – ჯალი, დალი,
ფსკალი და სხვ. აფხაზების სურვილი იყო და დადგენილებაც მიიღეს, რომ გა-
ლისათვის **ალეკუმჰარა** ეწოდებინათ, მაგრამ ვერ განახორციელეს (ზუხბაია,
„მახარია“, №5, 2001: 16). **გალხუჭი** „პატარა გალი“ ეწოდება ბორცვს სახარჩი-
ლაოში, სოფ. სამქვარში. სამქვარის უწინდელი სახელი გალხუჭი ყოფილა და აქ
იყო თემის ცენტრიც (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 50). 1906 წელს სამურზაყანოს
საპოლიციო უბნის ცენტრი ოქუმიდან გალში იქნა გადატანილი. გალის შესახებ
აფხაზი მკვლევარი ვ. კვარჭია აღნიშნავს: „Гали (абх. Гал) в качестве названия
села в округе Самурзакан//Самурзакано появляется в источниках канса первой
половины прошлого столетия Его фиксируют карты 1842 (К-20), 1845 (К-22) годов
и последующие издания. В одной из них (К-26) встречается в абхазская форма –
Гал“ (Кварчия, 1985: 26).

1928 წელს გალი იქცა დაბად და გალის მაზრის ცენტრად. 1930 წლიდან გალი
რაიონის ცენტრია. ხოლო 1932 წელს მიენიჭა ქალაქის სტატუსი. 1931 წელს გალი
რკინიგზის ხაზით თბილისს შეუერთდა. გალის ძირძველი გვარებია: ბასარია,

ჭანტურია, ზუხბაია, ზაქარაია, კვეკვესკირი, შონია, უბილავა, მარლანია (გალის შესახებ იხ. ჯაოშვილი, ბერაძე, ქსე, II, 1977: 639; ზუხბაია, 2000: 84-89; მისივე, 2002). ზემო გალი სოფელია პირველი გალის თემში, მდ. ნიშონის ნაპირას. გალს 8 კმ-ით არის დაშორებული და ზ. დ. 100 მ-ზე მდებარეობს. ზემო გალში მცხოვრები როსტობაიები თვლიან, რომ მათი წინაპარი აქ ბიზიციდან ჩამოსახლებულა, ხოლო ჯეჯეიების წინაპარი ფოცხოელი საჯაია ყოფილა (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 245).

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით, არსებობს გალის რაიონი, გალის საქალაქო საბჭო და პირველი გალის სასოფლო საბჭო. ამ უკანასკნელში გაერთიანებულია ოთხი სოფელი: სამქვარი, ზემო-გალი, ლეკუმხარა და კოხორა (დაყოფა, 1961: 118).

გალთან დაკავშირებული ტოპონიმია **გალური**. ალ. ლლონტის ცნობით, ასე ეწოდება ტყეს სოფ. ოზუჯში (ღლონტი ალ., I, 1971, 55), ხოლო პ. ცხადაიას მიხედვით, გალური ჰქვია უბანსა და ხეობას ლაფთარის ზემონელზე (ცხადაია, I, 2003: 21).

ალ. ლლონტი ქალაქისა და რაიონის ცენტრის სახელწოდებას უკავშირებს **ღალი** „ღელე“ სიტყვას და ფიქრობს, რომ გალი სწორედ ამ **ღალი**-დან არის მიღებული (იქვე: 55). ს. ბახია-ოქრუაშვილიც მიიჩნევს, რომ „გალი“ მეგრ. ღალი-დან მომდინარეობს (ბახია-ოქრუაშვილი, 2010: 233).

ვ. ზუხბაიას აზრით, სიტყვა „გალი“ მეგრულად მოულოდნელობისაგან უცბად შეკრთომას ნიშნავს (გალ), მაგრამ რა კავშირი აქვს ამ მეგრულ სიტყვას ტოპონიმ „გალის“ წარმომავლობასთან, ამის შესახებ აღარაფერს ამბობს. მკვლევარი დასაშვებად მიიჩნევს **გოგიელიდან** გალის წარმოშობას (ზუხბაია, 2000: 88-89). დავაზუსტოთ: მოულოდნელობისაგან შეკრთომა მეგრულში აღინიშნება არა **გალ**, არამედ **ღალუა** სიტყვით. შდრ. ა. ქობალია: **ღალუა** შეშინება, დაღალვა, გათვალვა; **ღალეზური** „გაღალული, გათვალული“ (ქობალია, 2010: 641).

შ. ინალ-იფა ცდილობს აფხაზურენოვან ტოპონიმიაში გამოყოფს -ალ//-ულ სუფიქსიანი წარმოება და შენიშვნაში ჩამოთვლის, მისი აზრით, მსგავსი წარმოების ტოპონიმებს: გალს, დალს, ჯალს, ჯამალს, ამტყელს (აფხაზ. ამტყეალ), ხოჯალს (აფხაზ. ხუაჯალ), ჩხორთოლს (აფხაზ. ჩხუართალ), ტყვარჩელს (აფხაზ. ტყუარჩალ), მერხეულს და სხვ. (ინალ-იფა, 1976: 378). „რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? მხოლოდ ის, რომ ზოგ მკვლევარს სასურველი სინამდვილედ ეჩვენება“ (ცხადაია, 2004: 28).

ოიკონიმ „გალის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული სხვადასხვა თვალსაზრისი გაანალიზებული აქვს ვ. კვარჭიას, რომელიც წერს: „Во-первых, на наш взгляд ошибочно видеть во всех вышеперечисленных и др. географических наименованиях некий общий топо-

формант ал или л/ла. Часть из этих названий оканчиваются на **пил, пыл, пал, бал** – Ца-бал (древ. Тзи-бил), Кьынџа-пыл, Їџам-Гџал, Кьыркь-Гџал, Гџал; кал – Гџс-кал, Чац-кал; **ул** – Арса-ул, Мархьа-ул, Гџаьрза-ул, Ба-ул, Кута-ул и т д.; **чал** – Тџаар-чал, Їџал, Хџа-џал (подробнее об этом см. выше «Возрастные слои абхазской топонимии и названия иноязычного происхождения»). Во-вторых, **Гал**, в недавнем прошлом, являлся незначительным, малоизвестным населенным пунктом, он намного отстоит от морского побережья и потому, вряд ли, правомерно видеть в основе названия **Гал** (Гали) – **a-ra** «побережье».

На уровне народной этимологии, на основании некоторого созвучия **Гал** или **Гали** возводится к мегр. **ҭали** «речка», «ручей». Однако сами мегрелы не путают в произношении **Гали** с **ҭали**. С помощью последнего образованы немало названий рек в Галском районе. П. Ингороква и некоторые его современные последователи мегрельское **ҭали** видят в основе названия крепости Гали Зихия у р. Аше (Северо-западное Причерноморье), фиксируемое итальянскими картографами. Произвольно переименовав его в Гали (ҭали) Джиха Ингороква дает его в переводе с мегрельского «река-крепость» (Д. Гамахария, Б. Гогия, с. 822). По этому поводу З. В. Анчабадзе пишет: «Ингороква приводит итальянское название географического пункта у р. Аше Chali-zihа, в котором вторую часть (zihа) толкует как мегрельское «крепость», а первую – как мегрельское («река»). На самом деле слово «zihа» означает «зихская» («адыгская»), а в **Chali**, надо полагать, мы имеем турецкое «kale» – «крепость». Следовательно, **Chali-zihа** -одначает «Зихская крепость» (З. В. Анчабадзе. Вопросы истории Абхазии в книге П. Ингороква..., с. 266).

На наш взгляд, и абх. **Гал**, мегр. **Гали** не имеют отношение к мегр. **ҭали** «речка». Скорее всего название восходит к турецко-абхазскому **қьал** «шалаш» или турецкому кале «башня», «крепость», которым могло именоваться Галская крепостная башня, развалины которого и ныне сохраняются в г. **Гал** (В. П. Пачулиа. Исторические памятники Абхазии, их значение и охрана. М... 1968. С. 102) (Кварчия, 2006: 142-143).

თ. გვანცელაძე ეხება რა ონომასტიკურ სიტუაციას ამჟამინდელ აფხაზეთში, ყურადღებას ამახვილებს სოხუმის, გალისა და ტყვარჩელის სახელწოდებებში წარმოდგენილ სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსს, „რომელიც რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებზე წერისას უტყუარად ახდენს ამ პოლისონიმების ქართველური წარმომავლობის მარკირებას“ (გვანცელაძე, „ონომასტ. კრ.“, 2013: 21). ამის გამო, – დასძენს თ. გვანცელაძე, – აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი დაჟინებით მოითხოვს საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, საელჩოებისაგან და მასმედიისაგან რუსულ და სხვა ენებზე წერონ და წარმოთქვან **Сухум//Sukhum**,

Gal//Gal, Tkuarchal//Tkuarchal. სამივე ქართველური პოლისონიმის სხვა ენებზე წერისას თუ წარმოთქმისას უნდა იქნეს შენარჩუნებული ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი. მკვლევარი ეხება სახელწოდება გალის“ ეტიმოლოგიასაც და ფიქრობს, რომ იგი მიღებულია ძველქართული **გალი** – „უშტოო ხე“ სიტყვისაგან. ასეა იგი განმარტებული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (იქვე: 21; სულხან-საბა, 1928: 54).

გალი სიტყვას სამურზაყანოს მეგრულში რამდენიმე მნიშვნელობით ხმარობენ. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემული ამ სიტყვის რამდენიმე განმარტებიდან ტოპონიმ „გალის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისათვის საგულისხმოდ გვეჩვენება შემდეგი: **გალი** ნაჭდევი; ნიშანდადებული, დაჭდევებული (ხე); კუნძი, მორი, უშტოო ხე; შიშველი გორა; საკაფი ტყე (ტოტებს დააჭრიდნენ, რომ გამხმარიყო და იოლად მოეჭრათ); გაუჩეხავი ტყე, რასაც კაცი მოერევა და მხარზე გადებულს მიიტანს სახლში (ქობალია, 2010: 75).

მიგვაჩნია, რომ სიტყვის დამონმებული მნიშვნელობებიდან ერთ-ერთი შესაძლებელია ყოფილიყო საკვლევი ტოპონიმის მოტივაციის საფუძველი. საგულისხმოა **გალი** სიტყვის კიდევ ერთი მნიშვნელობა, რომელიც არ არის დაფიქსირებული დღემდე გამოცემულ მეგრულ ლექსიკონებში. ესაა **გა(ა)ლი** – გასასვლელი (გზა), ალაგე. შდრ. ო. ქაჯაია: გალუა სახელი გალენ) ზმნისა, – იგივეა, რაც გალება... – გავლა (ქაჯაია, IV, 2009: 59).

§5.10. გუდავა

გუდავა სოფელია გალის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოქუმწყარის მარცხენა ნაპირას, პ. გუდავასა და აჩიგვარას შუა, ზ. დ. 20 მ-ზე, გალიდან – 12 კმ, ზღვიდან – 11 კმ. ადმინისტრაციული ერთეულის – აჩიგვარის ცენტრიდან 3 კმ. პირველი გუდავა ოქუმწყარის მარჯვენა ნაპირზეა, ზ. დ. 15 მ, და გალს დაშორებულია 18 კმ-ით. იგი მოქცეულია მეორე გუდავას, გუდავას (აჩიგვარის თემი), აჩიგვარასა და ოხურეის (აჩიგვარის თემი) შორის. მეორე გუდავა ოქუმის შესართავთანაა, ზღვისპირას, გინძე ეწერსა და ნაგვალაოუს (ოჩამჩირის რ.) შუა, ზ. დ. 10 მ-ზე, გალიდან – 20 კმ. ვ. ზუხბაია შენიშნავს, რომ გუდავის საკრებულოს სოფლებია პირველი გუდავა, მეორე გუდავა, ანარია, ოხურეი, სამრენველო დაბა პრიმორსკი – ენგურჰესის დასახლება. გუდავაში დიუბუა დე მონპერე მოიხსენიებს მდინარეებს – ცორიკასა და გუდავას... XI საუკუნით დათარიღებული ერთი ქართული ხელნაწერის სქოლიოში აღნიშნულია: „გუდაყვას იტყვიან ზილანეოსად“ ... გუდავა მნიშვნელოვანი საზღვაო პორტი ყოფილა XIX საუკუნეშიც (ზუხბაია, 2000: 91-92).

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ აღნიშნულია, რომ ისტორიული გუდავა ახლანდელი სოფლების – პირველი გუდავის, მეორე გუდავისა და საკუთრივ გუდავის ტერიტორიებს მოიცავდა. იგი Gudას-ის ფორმითა და ეკლესიის პირობითი ნიშნით აღუნიშნავს არქანჯელო ლამბერტს, 1654 წელს შედგენილ რუკაზე.

არქეოლოგიური აღმოჩენებით დასტურდება, რომ გუდავის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში უცხოვრია. ფიქრობენ, რომ აქ გვიანდელ ანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში მდებარეობდა ქალაქის ტიპის დასახლება ზიგანისის სახელწოდებით. გვიანანტიკურ ხანაში *Notitia Dignitatum*-ში მოხსენიებული ზიგანე, ანუ ამჟამინდელი გუდავა, შედიოდა იმ ციხესიმაგრეთა სისტემაში, რომლებიც რომის იმპერიის მცირეაზიური პროვინციების მისადგომებს იცავდა. წერილობით წყაროებში მოიხსენიება ზიგანისის ციხეც. VII-X საუკუნეებში ლაზიკის ოთხი საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი გუდავაში ყოფილა. 1970-1972 წლებში აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების გზით გამოვლინდა რომაელთა გამაგრებული სამხედრო ბანაკის (ციხის) გალავნის ნაშთები, აგრეთვე გვიანანტიკური ეპოქისა და ადრეული შუა საუკუნეების ადგილობრივი და რომაული კერამიკა, მინის ჭურჭლის ნატეხები, რომაული მონეტები (ლექვინაძე, ბერაძე, ქსე, III, 1978: 290). ისტორიკოსი ნ. ლომოური არ იზიარებს ზიგანას, ისევე როგორც *Notitia Dignitatum*-ში მოხსენიებული ყველა პუნქტის, ლოკალიზაციას საქართველოს ტერიტორიაზე (ლომოური, 1989: 65-72). აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა მ. ჭუმბურიძემ. რამდენადაც გუდავის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები ნაკლებად იძლევა მისი მძლავრ ციხესიმაგრედ წარმოდგენის საშუალებას, ამდენად, მ. ჭუმბურიძის აზრით, მისაღებია ნ. ლომოურის მიერ დამაჯერებელი უარყოფა ზიგანას საქართველოს ტერიტორიაზე ლოკალიზაციისა (ჭუმბურიძე, 2009: 166).

გუდავაში აღმოჩენილ მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიას ნახევარწრიული შვერილი აფსიდი აქვს. აქვე მიკვლეულია საძვალე და დაზიანებული ორმოსამარხი. X-XI საუკუნეებით დათარიღებული ეკლესია მოგვიანებით ადრეფეოდალური ხანის ბაპტისტერიუმად იქნა მიჩნეული. ზღუდის აღმოსავლეთი კედელი, მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის – კერამიკის, მინის ნაწარმისა და მონეტების საფუძველზე, სპეციალისტებმა მიიჩნიეს კასტელიუმად, რომელსაც ჩამოკვეთილი კუთხეები უნდა ჰქონოდა. ხოლო გუდავის სასიმაგრო ნაგებობის ნაკლებ მონუმენტურობა ახსნეს მისი მცირე მნიშვნელობითა და ქაობიან ადგილებში ქვის მასალის დეფიციტით (ზაქარაია, ლექვინაძე, 1974: 141-147). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ *Notitia Dignitatum*-ის ზიგანა ტრაპიზონის სამხრეთით, ზიგანის უღელტეხილთან, სოფ. ზიგანაში მდებარეობდა (ნ. ლომოური), არქეოლოგი მ. ჭუმბურიძე გუდავაში რომაული კასტელუმის არსებობას

გამორიცხავს და მიაჩნია, რომ აქ მხოლოდ ლაზეთის ეპარქიის ერთ-ერთი ეპისკოპოსის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო, რომელიც დაცული ყოფილა ნაკლებ მონუმენტური სასიმაგრო ნაგებობით და საჭიროების შემთხვევაში ეს სიმაგრე შესაძლებელია გამოეყენებინათ თავდაცვის მიზნით (ჭუმბურიძე, 2009: 167).

პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას თქმით, ისტორიული გუდავა (გუდაყვა) მოიცავდა ვრცელ ზღვისპირა ტერიტორიას მდ. ოქუმის ორსავე მხარეს, აჩიგვარამდე და შეშელეთამდე, სადაც ამჟამად განლაგებულია სოფლები: გუდავა, პირველი გუდავა, მეორე გუდავა, ნასოფლარი გინძე ენერი (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 240). ხალხში შემონახული გადმოცემით, გუდავიდან საეპისკოპოსო ცენტრის ბედიაში გადატანა იმიტომ მომხდარა, რომ გუდავის ეკლესიას წყალი შემოსდგომია (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 240).

„მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის ცნობით, ბედიის საეპისკოპოსოს დაარსება იქაური ეპარქიის – გუდაყვის (ზიგანევის) გაუქმების შედეგია: ბაგრატ III-მ (975-1014 წწ.) იგი „შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვსა საეპისკოპოსო...“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 281). ბედიასთან მიმართებით გამოყენებული ტერმინი „მოცვლა“, პროფ. ბუბა კუდავას მოსაზრებით, კარგად ასახავს ბერძნული გავლენისაგან თავისუფალი, ახალი და ქართული კათედრების შექმნის მეტად რთულ და მრავალმხრივ პროცესს (კუდავა 2002: 63).

მაშასადამე, ბედიის საეპისკოპოსო სამწყსოს, ტერიტორიის, ქონებისა და პატივის თვალსაზრისით ძილანევის (გუდაყვის) კათედრის სრულ მემკვიდრედ გვევლინება. ეს აქტი (ძილანევის/გუდაყვას „მოცვლა“ ბედიით) განხორციელდა დაახლ. X ს-ის მიწურულს (ინგოროყვა, 1954: 249). მემკვიდრის ცნობით, მეფეს ეპარქიისათვის მრავალი სოფელი შეუწირავს „ყოველთა ჴევთა და ადგილთა“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 281), მაგრამ კონკრეტულად თუ რომელი სოფლები, ამის შესახებ წყაროში არაფერია ნათქვამი.

გუდავა მოხსენიებულია აგრეთვე ბედიის გულანის ერთ-ერთ მინანქრში, სადაც ვკითხულობთ: „ბედიელი მიტროპოლიტი მხეიძე ნიკოლოზ. შემოგწირე... უყამიში ბუკუჩავა: მისი ცოლ-შვილითა: და: ყმითა: და რისაც მქონებული იყოს... ამას გარეთ ტყეიშს დაკარგული ამოვიღე ხვიჩაშათი, მისის ცოლშვილითა, ერთი ცოლ-ქმარი კაცი გუდავას ბიძლუა ბაიღია შემომიწირავს სულის დასაოხად...“ (Жордания, I, 1903: 206-207; კალანდია, 2004: 91). გულანში მოხსენიებული ნიკოლოზ მხეიძის ბედიელობას ისტორიკოსი გიორგი კალანდია ათარიღებს XVII ს-ის I ნახევრით (იქვე: 91, 97). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ბედიის ეპარქიაში შედიოდა გუდავაც. ისტორიულად გუდაყვად იწოდებოდა ვრცელი ზღვისპირა ტერიტორია ოქუმწყარის ორივე მხარეს, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით აჩიგვარამდე ვრცელდებოდა. გუდავა მოიცავდა გინძე ენე-

რად სახელდებულ ვრცელ ზღვისპირა ვაკე-საძოვარსაც ოქუმნყარსა და გაგი-დანყარს შუა.

გუდავას ვხვდებით ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრებაშიც“: „...სერასკი-ლის ფოთს ყოფნასა შინა მოიცა ასლან-ბეგმა ძალი, წარმოიტანა რამოდენიმე ოსმალთა ჯარი ზღვით და მოვიდა გუდავას, და გუდავიდამ მოვიდა ტამუშს და მუნ დასდგა“ (დადიანი, 1962: 205).

სოფ. მეორე გუდავის ტერიტორიაზე დასახლების გაჩენის შესახებ საინტე-რესო გადმოცემები ჩაუნერიათ პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას: აკიშბაიებისა და დოჩიების წინაპრები ერთად ჩამოსულან ჯგუქეთიდან. მაშინ ეს ტერიტორია დაუ-სახლებელი ყოფილა. მათ ჩამოჰყოლიან ზღფუელი ხუტკუბიები. ეს სამი გვარი ტყეში ახლომახლო დასახლებულა და ერთმანეთისთვის ძმობის ფიცი მიუციათ, რომელსაც დღემდე იცავენ და ერთმანეთში ქორწინებაც ფიცის საფუძველზე ეკრძალებათ. მათ შემდეგ სამეგრელოს სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსახლებუ-ლან ჩხვირკიები, ხუნნარიები, გაბუნიები, მეფორიები, ჟვანიები, როსტობაიები, ნარსიები, რეკვაგები, კემულარიები, გურიიდან – გიგაგები (იგივე გიგაძეები)... (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 258). ვ. კვარჭიას თქმით, 1802 წელს შედგენილ რუ-კაზე დატანილია Куда (K-13) ფორმა. შემდგომი დროის რუკებზე გვხვდება Гудава (გუდავა) და Гудаа (გუდაა) ვარიანტებიც (Кварчия, 1985: 56-57).

სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტებია **გუ-დაყვა**, **გუდა**. აფხაზები მას **გუდაას** ეძახიან. შდრ. **გუდამ ზღვა** – შავი ზღვის ნაწილი მეორე გუდავაში; **გუდამ კუნთხუ** – მეორე გუდავის ნაწილი ოქუმნყარსა და ერისწყალს შუა; **გუდამ ოხვამე**//ნაოხვამ – სასაფლაო პირველ გუდავაში, აჩიგვარის საზღვართან; **გუდამ შარა** – 2-კილომეტრიანი გზა აჩიგვარიდან გუ-დამ ზღვამდე (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 56).

სოფელ გუდავას ისტორიულ წარსულზე მსჯელობისას ვ. ზუხბაია ეხება სოფლის სახელწოდების მოტივაციასაც. სამურზაყანოს დაბლობზე, შავი ზღ-ვისპირას მდებარე სოფლის სახელს მკვლევარი უკავშირებს ტყავისაგან დამ-ზადებულ, ღვინისა და, საერთოდ, სითხის შესანახი და გადასატანი ჭურჭლის სახელწოდებას – **გუდას**, რომელსაც ასევე უკავშირდება საქართველოში რამდე-ნიმე ტოპონიმი: **გუდავა**, **გუდაუთა**, **გუდაური**, **გუდამაყარი**, **გუდარეხი**, ისტო-რიული **გუდაყვა** და სხვ. **გუდავა** გვარიცაა. ვ. ზუხბაია ასახელებს სოფლის ტო-პონიმებს, მდინარეებს – ერისწყალსა და ოქუმს, დეღეებს – ანარიას, ოხურეის, აძურუს, შავდელეს, ჯოყობას. შენიშნავს, რომ ოქუმი და ერისწყალი გუდავის ტერიტორიაზე ერთმანეთს შეერთვის და ასე ჩაედინება შავ ზღვაში. ენგურჰესის მშენებლობის შემდეგ გალის წყალსაცავიდან გამოსული ენგური და ერისწყალი ერთ არხში მიედინება და გუდავაში შეერთვის შავ ზღვას. ამდენად, მდ. ენგური

ორი ტოტით ჩაედინება ზღვაში, ზუგდიდის რაიონის სოფ. ანაკლიისა და გალის რაიონის სოფ. გუდავის ტერიტორიაზე (ზუხბაია, „მახარია“, №9, 2002: 15).

ტოპონიმ „გუდავას“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას უაღრესად საგულისხმოდ გვეჩვენება თვით სიტყვა **გუდა**-ს ეტიმოლოგია. გარკვეულია, რომ ქართველურ ენებსა და უძველეს ქართულ ხელნაწერებში დადასტურებული სიტყვა **გუდა** („ტყავისაგან შთასადებელი“ – საბა) ზანურ-სვანური წარმომავლობისაა და მისი ამოსავალია ქართ. ***შუედ-/შუედ-/შთვ-** („ხრჩობა“) ძირის ზანურ-სვანური შესატყვისები: სვან.: **შგუედ-/შგუედ-/შგუიდ-**; მეგრ.: **შქვით-**, ჭან.: **შქვიდ-/შქიდ-**... შესიტყვებებში (სვან. ფეკვიშ **შგუდა** („ვაცის გუდა“), მეგრ. ღვინიშ **შგუდა** („ღვინის გუდა“) და მისთ. წინა სიტყვის აუსლაუტისა და მომდევნოს ანლაუტის **შ**-ს შეხვედრისას **შგუდა**-ს **შ** დაკარგულა და დარჩა **გუდა**, რომელიც აღნიშნავს „მომხრჩვალ“, „მოშთობილ“ სათავსს (მსჯელობისათვის იხ. ჭინჭარაული, სიმპ. მასალები, 1998: 109). შდრ. **გუადრაკი** – „...ჭურჭელი საგბოლველი: ქვაბი, სიავი, ჩალხანა, ფატა...“ – საბა); **გუდარუცი** „კოლოფი“ – საბა). „ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონის“ მიხედვით **გუდა** ენოდება ოთხში ამოღებულ ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის მოკუბურულ ჭურჭელს ღვინისათვის, სურსათ-სანოვაგისა თუ ცხვრის ყველის გამოსაყვანად (ქელ, 2009: 33).

შდრ.: **„გუდა** ცხვრის ტყავის პარკი. ძვ. ქართ. **გუდა** – „ტომარი“, „პარკი“ (დასტურდება V საუკუნიდან)... შდრ. მეგრ. **გუდა** (იმავე მნიშვნ.), **ღურში გუდა** – „ძილის გუდა“, ჭან. **გუდა**, **ქაფშაშ გუდა** – „ხამსის გუდა“, **ღინიშ გუდა** – „ღვინის გუდა“, „ტიკი“... არქეტიპი ***გუდა** აღადგინა გ. კლიმოვმა, თუმცა მან არ გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ ეს ფუძე უცხოური წარმომავლობისა შეიძლება იყოს... მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ **გუდა** ქართული ენის ისტორიაში წერილობით ფიქსირებულია V საუკუნიდან, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ თუ იგი ნასესხებია, არაუგვიანეს ამ დროისა. ამ დროის ნასესხობა ქართულში შეიძლება გვეჩვენდეს: საშუალი სპარსულიდან, ძველი სომხურიდან ან ბერძნულიდან. სხვა წყაროები გამოირიცხება. ხსენებულ ენებში კი **გუდა** არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ **გუდა** ქართველური წარმომავლობის სიტყვაა. მით უფრო, რომ თვით რეალიაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ სინამდვილესთან“ (გიგინეიშვილი, 2016: 97-98).

ვახტანგ ითონიშვილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – **გუდამაყარის** სახელწოდების ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას შენიშნავდა, რომ შესაძლებელი იყო ამჟამად საყოფაცხოვრებო ნივთების აღმნიშვნელი ტერმინების – გუდას, გუადრაკის, გუდარუცისა და გოდორის ოდინდელი სემანტიკური დიაპაზონის იმდაგვარი სიფართოვეც, როდესაც „გუდა“ აღნიშნავდა „ქვაბულს“, „ჩაღრმავებას“, „მთათაშორის

ქვაბულს“. „ასეთ შემთხვევაში კი, – წერს ვ. ითონიშვილი, – თავს გვაცხენებს თურქ. Gud – „ქვაბული“, „ღარტაფი“, ძვ. თურქ. gedik – „უღელტეხილი“, „ხვრელი“, „კლდეკარი“, „მთათაშორისი ხეობა“. აკი ქართული სიტყვებით „ქუაბი“, „სურა“, „ტაფი“, „ჭურა“ აღინიშნებოდა არა მარტო ჭურჭლის სახეობანი, არამედ ფიზიკურ-გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული ერთეულები – ჩავარდნილი ხეობა, გამოქვაბული, ჩაღრმავებული ადგილი, ქვაბული, ზეგანი, უღელტეხილი და ა. შ.“ (ითონიშვილი, 1992: 42).

კ. ოკუჯავა მდ. ოქუმის შესართავთან, ამჟამინდელი სოფ. გუდავის უწინდელ ვარიანტად იტალიურ რუკაზე ფიქსირებულ Guda-ს კითხულობს „გუდაში“-ს სახით და წერს, რომ ტოპონიმი ნაწარმოებია ზანურ-სვანური -ში სუფიქსით. ფუძე სიტყვა გუდა-ს („ტყავისაგან შთასადებელი“) ძველ ქართულში შესაძლოა სხვა დატვირთვა ჰქონოდაო, – დაასკვნის იგი (ოკუჯავა, 2002; 103).

გუდ- ძირიან გეოგრაფიულ სახელთა საქართველოში ფართო გავრცელებაზე ხაზგასმით და საგანგებოდ მიუთითებს პროფ. ი. სიხარულიძე (სიხარულიძე, 1988: 14). **გუდ-** ფიგურირებს არაერთ მაკრო და მიკროტოპონიმში. **მაგ. გუდანი** – სოფელი ხევსურეთში, **გუდანთა** – სოფელი თუშეთში, **გუდალეთი** – სოფელი ქართლში, **გუდრუხი**, **გუდარახი** – სოფლები ფშავში, **გუდარეხი** – სოფელი ქართლში, **გუდასახო** – სოფელი აჭარაში, **გუდანვერი** – სოფელი მდ. ალეურას ხეობაში, ახალგორის რაიონში, **გუდათუბანი** – სოფელი იმერეთში, **გუდალა** – ადგ. სოფ. ბარისახოსთან, **გუდათი** – სოფელი შავშეთში, **საგუდე** – სოფელი ქართლში, **გუდგორა** – ბრუტსაბძელას მთის პარალელური სახელწოდება, **გუდრუთუკენა** – ადგ. სოფ. ცდოში (ხევი), **გუდანკიდეები**, **გუდამაკიდე** – ადგ. სამცხეში, **გუდელისის ხევი** – ჰიდრონიმი ქართლში, **გუდაბროული** – ადგ. ვაკე-იმერეთში, **გუდამკიდე** – ადგ. ჯავახეთში, **გუდნარი**, **გუდნისერი**, **გუდნა** – ადგ. აჭარაში, **გუდაბერტყა** – ადგ. ქართლში, **გუდალურა** – ჰიდრონიმი კახეთში, **გუდაუთა** – ქალაქი აფხაზეთში, **გუდაუ** – ჰიდრონიმი აფხაზეთში, **ჩაგუდური** – ადგ. არაგვის ხეობაში და ა. შ. (ითონიშვილი, 1992: 38-39, და იქვე მითითებული ლიტ-რა).

გუდა სიტყვას სამურზაყანოს მეგრულში რამდენიმე მნიშვნელობით ხმარობენ. იგი აღნიშნავს: 1. გუდას, ტიკს; 2. მსუყე, მსუქან ნიადაგს; 3. საბანს; 4. გვარის ბუდეს, პირველსაცხოვრისს (შდრ. თარგუდა); 5. გუდასავით ჩამრგვალებულს, გუდუნას. **გუდალი** გუდასავით გაბერილია; **გუდანწყარს** ეძახიან თულუხჩს, ხოლო **გუდასვა** იგივეა, რაც დიდშუბლა, შუბლგადმოსიებული. **გუდია** ნიშნავს გაბერილ, ტიკინა, გოდორა ბაღს; პატარა გუდას, გუდუნას (ქობალია, 2010: 219). შდრ. მ. ჩუხუა: ს-ქართვ. ***გუდ-** „გუდა, გიდელი“; ძვ. ქართ. **გუდა-მ**, ახ. ქართ. **გუდა**; ზან. (მეგრ.) **გუდ-ელ-ი//გიდ-ელ-ი** „გრძელი, მრგვალი

და ბოლოვინრო კალათი“, ლაზ. გიდ-ელ-ი „ყურძნის საკრეფი კალათი“; სვან. გუდ-რა//გუიდ-რა „გუდა“. მამასადაამე, ზანური გუდა ქართულიდანაა შეთვისებული (ჩუხუა, 2007: 169).

ჩვენი აზრით, სახელწოდება გუდავას ეტიმოლოგიას უფრო მეტად მიემართება გუდა სიტყვის „მეგრულ ლექსიკონში“ დამონმებული მნიშვნელობებიდან ერთ-ერთი, კერძოდ, მსუყე, მსუქანი ნიადაგი; ან კიდევ: გვარის ბუდე, პირველსაცხოვრისი.

მ. ჩუხუა არ იზიარებს სპეციალურ ლიტერატურაში (ს. ჯანაშია, გ. როგავა) გამოთქმულ მოსაზრებას ქართულ გვარებში დადასტურებული -ყვა სეგმენტის აფხაზურ-ადილურ (ჩერქეზულ) სუბსტრატად მიჩნევასთან დაკავშირებით. იგი შესაძლებლად მიიჩნევს ანთროპონიმებში გამონაწევრებული -ყვა დაბოლოების ქართველურ წარმომავლობას და დასძენს, რომ ქართველურ ენა-კილოთა ისტორიული ფონეტიკის მონაცემები ამგვარი შესაძლებლობის რეალურობაზე მეტყველებს (ჩუხუა, ლდ, II, 2011: 227). მკვლევარი ზან. -ყვა/-ყვა-ს („შვილი, წული“) გამოყოფს გვარსახელებში – ფა-ყვა, გუდა-ყვა → //გუდა-ვა. მამასადაამე, ს.-ქართვ. *ყამა- „ყმა; წული; ბავშვი“, ქართ. ყმა/ყრმა, ზან. – ყვა/-ყვა/-ვა „შვილი, წული“, სვან. ყლაუ „ბავშვი, ბიჭი“. ზანურში სავარაუდო ყმა → ყვა → ყვა → ვა, მკვლევრის აზრით, ჩანს გვარსახელებში: ქართ. კეჭა-ყმა-ძე, ვაშა-ყმა-ძე, მალა-ყმა-ძე, ოსი-ყმა-შვილი; მეგრ.-ლაზ.: ჭანუ-ყვა-ძე, ინგორო-ყვა, ლელე-ყვა, გუდა-ყვა → გუდა-ყვა – გუდა-ვა (ანთროპ.) (ჩუხუა, 2017: 429). ამ ჩამონათვალს ჩვენ დავუმატებდით გვარ ართილა-ყვა-ს.

თუ ეს ასეა, მაშინ გუდა-ვა ← //გუდა-ყვა – ისტ. გუდაყვა მომდინარეობს გუდა-ყმა-დან, ანუ „გუდას ყმა//შვილი, ვაჟი“. რამდენადაც ტოპონიმი გუდა-ვა ისტორიულად გუდა-ყვა არქეოფორმისაგან მომდინარეობს („მოცვალა მუნ გუდაყვა საეპისკოპოსო“), მ. ჩუხუა ვარაუდობს, რომ გუდა-ვა წარმოითქმოდა გუდა-ყვა-ს ფორმით, ანუ, გამოდის, რომ ცმ → ცუ/ცვ ფონეტიკურ ტრანსფორმაციას ათასზე მეტი წლის ისტორია აქვს. მამასადაამე, ჯერ განხორციელდა ყმა → ყვა სუპერაცია, რასაც მოგვიანებით ზედ დაერთო ყ → უ → 0 ფონეტიკური პროცესი, რომელიც ზანურში ყ ბგერის სუსტი არტიკულაციით აიხსნება. შდრ. ქართ. ნამო-ყვედრ-ებ-ა: მეგრ. წუმო-ვალ-აფ-ა. ამ უკანასკნელში დაკარგულია ყ-ს შესატყვისი უ სპირანტი (იქვე: 228).

§5.11. გუფი

„აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“ მოხსენებულია სოფელ გუფუში მცხოვრები ყმა-გლეხის ბეგარა-გადასახადები; „მართებს გუფუს

მახუს ვარდანიას საპურობო ქანდაქი და სამოგუჰ, მეორე ქანდაქი ბეგარაჲ 5 კოკა ღვნო, სამის დღის მუშაობაი, ლაშკრობჲ და სამსახური:“ (კაკაბაძე, 1914: 38). აქ იგულისხმება ოჩამჩირის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე, ლალიძგის მარჯვენა ნაპირას მდებარე სოფელი გუფი, რომელიც თემის ცენტრია და აერთიანებს სოფლებს: საკუთრივ გუფს, აგვავერას, აკვასკიას, აჯამფაზრას, ზაგანს, ფადგუს დაჩანვექით. სოფელი ზ. დ. 170მ-ზეა და ოჩამჩირეს დაშორებულია 14 კმ-ით (იქვე: 320). გუფაგუ აგრეთვე სოფელია ოჩამჩირის რაიონში, კოდორის ქედის სამხრეთ მთისწინეთზე, მდ. მოქვის მარცხენა ნაპირას. წარმოადგენს არასაძიხის თემის ცენტრს. თემში შედის გუფაგუ, არასაძიხი და მეორე არასაძიხი (ქსე, III, 1978: 320).

„მრთებს გუფუს მახუს ვარდანიას საპურობო ქანდაქი და სამოგუჰ, მეორე ქანდაქი ბეგარაჲ 5 კოკა ღვნო, სამის დღის მუშაობაი, ლაშკრობაჲ და სამსახური:“ – ვკითხულობთ „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“ (კაკაბაძე, 1914: 38). სოფლის სახელწოდების შესახებ ყურადღებას ამახვილებს ვ. კვარჭია და მიუთითებს: «**Гэып (Гуп)** – село в Очамчирском районе, западнее г. Ткуарчал. Фиксируется в источниках начала XIX века как многолюдное село **Гуп** (Нордман, с. 422). Пограничная полоса сел **Гэып** и Арасадзыхь фиксируется под названием **Гэып-агэы** «Центр (села) Гэып», которая ныне относится к с. Арасадзыхь. Название Гэып-агэы указывает на то, что северо-восточная граница села Гэып доходила до р. Мыкә. Название села Гэып Х. С. Бгажба относит к числу топонимов, образованных с помощью топоформанта **п/г/а**, толкуемый из адыг. «нос», «конец», «устье реки» (см. Гарп), что, на наш взгляд маловероятно. Можно соблазниться и на увязку названия села Гэып с уже исчезнувшей абхазской фамилией Гопа (см. Инал-ипа Ш. И.. Абхазская антропонимия, с. 225) или с родом **Гэап-иа**, который и ныне проживает в селе. Однако, думается, правы старцы-информаторы, которые название села идентифицируют с абхаз, скотоводческим термином **а-гэып** «пастушеский коллектив», «сообщество пастухов». Известно, что пастушеские коллективы из разных сел собираясь в селе Гэып расходились двумя дорогами в горы – одна дорога шла через село Арасадзыхь по р. Қәаламыр и другая через с. Аджампазра и р. Ѓыецьыр, срав. Агэып ргылартә «Стоянка агэып», Агэыцра «Орех (грец.), принадлежащий а-гэып» (Кварчия, 2006: 155).

სოფლის აფხაზური სახელწოდებაა **გ⁰ფ² [გვფ²]**. ქ. ლომთათიძის აზრით, მეგრული **გუ** მარცვლის აფხაზური კანონზომიერი შესატყვისია **გ⁰ფ²** (ლომთათიძე, 1976: 168-169). მაშასადამე, მეგრ. **გუფ-ი/გუფ-უ** → აფხ. **გ⁰ფ²**.

ვ. ზუხბაიას მსჯელობით, **გუფი** ადრე ქართულ სახელს – **გუბს** ატარებდა. სახელწოდება ამ ფორმით დასახელებული აქვთ დიუბუა დე მონპერესა და კუდ-

რიავეცვეს (ზუზბაია, 2000: 80). **გუფი//გუბი** მეგრულში აღნიშნავს გუბეს. **გუბანა** იგივეა, რაც „ტბორი, გუბე, დაგუბების ადგილი“; **გუბორი** ენოდება „შემალღებულ წყლისპირს“; „საგუბარს, გუბურას“; **გუფილი** „დაგუბებულია“, **გუფუა** – „გუბვა, დაგუბება“; „ბლომად სმა (პირში ჩაგუბებით)“ (იხ. ქობალია, 2010: 218, 231). შდრ.: „ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონის“ მიხედვით თალიანი ფორმის, ლერწმისაგან „შეკერილ“ ნავს **გუფა** ენოდება (ქელ, 2009: 34). „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ **გუბე** განმარტებულია, როგორც მცირედ ჩაღრმავებულ ადგილას დამდგარი წყალი. შდრ.: *გუფ- „გუბე“; ლაზ. [გუფ-ი], გუფ-ი (ტოპ.) – მეგრ. გუფ-ი „გუბე“; შდრ. ქართ. გუბ-ე (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, I, 2015: 785). მ. ჩუხუას სვან. ქუეფ- „ბევრი, ბლომად“; ქუეფ-დ „ბლომად და ზან. (მეგრ.) გუფ-უა „ბლომად, ბევრის სმა“, შესატყვისობის საფუძველზე ს.-ქართვ. *გოფ- „ბევრი, ბლომად“ არქეტიპის აღდგენა რეალობად ესახება და ვარაუდობს გ → ქ ასიმილაციურ დაყრუებას სვანურში. შდრ.: ს.-სინდ. *გუაფ- „ჯგუფი, გროვა“; ადიღ. ქუჯფ, ყაბ. გუჯფ „ჯგუფი, გროვა“; უბიხ. ქუჯფ „ჯგუფი, გროვა“; აბაზ. გუჯფ, აფხაზ. ა-გუჯფ „ჯგუფი, გროვა“ (ჩუხუა, 2007: 169). შდრ.: **გუბე** – უბანი თხილაგანში (ჩოხატაურის რ.); გუბი – ტყე ზემო აკეთში, ციხისფერდსა და აცანაში; ჩავარდნილი ადგილი ჯიხანჯირში (ლანჩხუთის რ.) (მსჯელობისათვის იხ. კეკელია, ქართვ. ენათმეცნ., IV, 2016-2017: 157-158).

§5.12. დალი

ისტორიული მისიმიანეთის ფარგლებში შემავალი კოდორის ხეობის ზემონე-ლი **დალის ხეობის**, ხოლო ხეობაში მდებარე სოფელი **დალის** სახელით არის ცნობილი. იგი დასავლეთიდან ხვარაშ-ჯერილის მთაგრეხილით ესაზღვრება მესტიის რაიონს. დალ-სვანეთიდან ყარაჩაი-ჩერქეზეთში გადასვლა კი შესაძლებელია კლუხორისა და მარუხის უღელტეხილებით (მარგიანი, I, 1998: 134). დალის სვანეთი მოიცავს მდ. კოდორის ოთხი შენაკადის – აძგარის, ყულუჩის, გვანდრისა და საკენის აუზში მდებარე ტერიტორიას. მისი ფართობი 650 ჰა-ა. აქედან 350 ჰა საკარმიდამო და სახნავ-სათიბი მიწებია, დანარჩენი კი – ტყის მასივები და ალპური საძოვრები (მარგიანი-დადვანი, 2005: 40). „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ცნობით **დალი** ენოდება ისტორიულ მხარეს კოდორის სათავეებში, ახლანდელ გულრიფშის რაიონის ტერიტორიაზე, რომელიც ნებელდის ნაწილს წარმოადგენს. XIX ს-ში დალი მარშანიების ფეოდალური საგვარეულოს ერთი შტოს გამგებლობაში ყოფილა. 1832 წელს ეს მხარე ფორმალურად, ხოლო 1837 წლიდან, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო... 1867 წელს ცარიზმმა დალის მთელი მოსახლეობა ნებელდის სხვა მცხოვრებლებთან

ერთად ოსმალეთში გაასახლა. შემდგომში აქ დასახლებულან ზემო სვანეთიდან გადმოსული მოახალშენენი (ქსე, III, 1978: 350).

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით დალი მოიცავს აჯარისა და ლათის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებს.

XIX ს-ის. 30-იან წლებში აფხაზეთის ოლქში დასახლებულია სოფ. დალი (ხორავა 2004: 106, და იქვე მითითებული ლიტ-რა). დალის თემის სოფ. დალიდან 1867 წელს აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლების დროს თურქეთში გადაუსახლებიათ 106 სული. აფხაზ მუჰაჯირთა სიაში დასახლებულია შემდეგი გვარები: აგბაშ-იფა, კოჯბაი (კუჯბა), ცვაცვა, ლამხაშ, სათირგია, თერში, ახბა, გუნბა, არგუნ, კაბბა, ახუბა, ბიგუა, ყურდგელ, ყურდგელია, ამჭიბა, მაზუა, აჰმეთ, აძიმბა, ბიგბა, რაფა-იფა, კვაძბა, მატუა, ფინძაჩა, მარშანია, ბარჩან, აბსაბაშ-იფა, ჩოლია, შვხუანაა, ჯანბერ, ბადლია, თარბაი, ბუთ, ბადია, ჰაჯიმ, აგრუა (ხორავა 2004: 157-159). ბესარიონ ნიჟარაძის თქმით, აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე დალის ხეობა ბუნებას ყოველგვარი სიუხვით აუვსია. აფხაზების გადასახლებამდე ეს ხეობა მარღანიების თუ მარშანიების საკუთრებას წარმოადგენდა; მათ შემდეგ ამ ხეობაში ხან მეგრელები დასახლებულან, ხან – რუსები. 1878 წელს ბ. ნიჟარაძეს უნახავს აქ მოსახლე ერთი მდიდარი რუსის ოჯახი. ჩუბხევის საზოგადოების სოფ. ცალერში მცხოვრები გვარმიანები ირწმუნებიან, რომ მათი წინაპრები დალის ხეობიდან ჩამოსახლებულან (ციტირება იხ. ჩანტლაძე, მარგიანი-დადვანი I, 2007: 16). XX ს-ის დასაწყისში დალის ხეობაში სვანების ხელახალი გადმოსახლების პროცესი დაიწყო (იხ. უბილავა, 1948: 3-4; მიბჩუანი, 1989: 130-131).

მისიმიანეთში სუანო-კოლხების შერეული მოსახლეობის არსებობის გათვალისწინებით სვანური წარმოშობის ტოპონიმთა გავრცელებას ამ მხარეში პ. ინგოროყვა ბუნებრივად მიიჩნევდა და ხეობისა და სოფლის სახელწოდებას – დალ, სვანთა წარმართული პანთეონის ქალღმერთის სახელს – დალს უკავშირებდა (ინგოროყვა, 1954: 159). ეს მოსაზრება მოგვიანებით გაიზიარა გ. გასვიანმა, რომელიც წერს: „სვანური ტოპონიმია აგრეთვე კოდორის ხეობის სახელი დალ (აფხაზეთის სვანეთის სახელი), რომელიც მისიმიანთა ნასახლარია. დალზე, როგორც ნადირობის ქალღმერთზე, სვანურ ფოლკლორში არაერთი მითი და თქმულებაა გავრცელებული. დალ, როგორც წარმართული ღვთაება, ღრმადაა ჩამჯდარი სვანურ რწმენა-წარმოდგენათა პანთეონში“ (გასვიანი, 1991: 208).

დალის შესახებ ვრცელი მსჯელობა მოცემულია თ. მიბჩუანის გამოკვლევაში. მატრიარქატის ეპოქის დროინდელი ქალღმერთის, სილამაზისა და მშვენიერების განსახიერების, მიუვალ კლდეებში მცხოვრები ოქროსნაწნავებიანი დალის სახე ფართოდ აისახა სვანურ ხალხურ პოეზიასა და მითოლოგიაში. VIII

საუკუნის შემდეგ ისტორიის არენიდან გამქრალი სვანთა ერთ-ერთი ტომის – მისიმიანების განსახლების ადგილს კოდორის ხეობაში დღემდე შემორჩა აღნიშნული წარმართული ქალღმერთის სახელწოდება დალ. სვანეთში ამ კულტის მოსახელე გეოგრაფიული სახელწოდებების – **დალი თანალ**, **დალია კოჯარ** და სხვ., გავრცელება სვანებში დალის კულტის განსაკუთრებული ადგილის მაჟნეებელია (მიბჩუანი, 1989: 343-344).

მისიმიანებისათვის დალი ერთ-ერთ უმაღლეს და უმთავრეს ღვთაებას რომ წარმოადგენდა, ამის მიმანიშნებელია თვით მათი განსახლების ტერიტორიის დღემდე მოღწეული სახელწოდება. ამ მხარეს დალი უნდა რქმეოდა XX ს-ის დასაწყისამდე, ანუ სვანების აქ ხელმეორედ დასახლებამდე. XIX ს-ის 50-იანი წლების ცნობით (ლ. ლიულიე) ამ მხარეს **დალ** ეწოდება. ამასთანავე, ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ XIX ს-ის 30-იანი წლების ცნობაში სოფ. დალის დასახელების შესახებ (ხორავა, 2004: 106). მაშასადამე, თ. მიბჩუანის აზრით, ისტორიული მისიმიანეთი დალის სახელს ატარებს უძველესი დროიდან და არა XX ს-ის დასაწყისიდან. „ამ კუთხის ასეთი სახელი მისიმიანთა სვანურობის ხელშეუვალი არგუმენტი, მით უმეტეს, რომ **დალ** ტერმინი უცხოა აფხაზურისათვის. შ. ინალი-ივა **დალ** ტოპონიმთან დაკავშირებით არაფერს ამბობს“ (მიბჩუანი, 1989: 137).

აფხაზი ენათმეცნიერი ვალერი კვარჭია ტოპონიმ „დალის“ შესახებ აღნიშნავს შემდეგს: „Достаточно знать микротопонимию Далского ущелья и других регионов Абхазии, чтобы стало ясно происхождение названия **Дал**. Так, например, лавровишневый массив находящийся напротив населенного пункта Дал, на левобережье р. Кодор именуется **Дал ишәымҳара** (Дал и-шәымҳа-ра) букв. «Лавровишневая роща Дала», где **Дал** – родовое имя, и – притяжательное местоимение 2-го лица «его» и **а-шәымҳара** «лавровишневая роща», срав. с топонимами Ашәымҳара, Гыр-шәымқара (в районе Ходжальских гор), Ашәымҳарыца (с. Мгудзырхва). В Гудаутском районе, в селе Аацы имеется название Далаа радгьыл, букв. «земля Даловых» – от Дал (ед. число) – **Дал-аа** (множ. число) «Даловы», р – «их» и дгьыл «земля». Здесь же **Далаа рборатра** «место сарая (хлева) Даловых» (см. Аҧсны атопонимика, с. 219, 268, 342, 343; Гицба, с. 292). Все это указывает на то, что еще до махаджирства в Абхазии сохранялся род **Дал**, **Далаа** и не только в ущелье **Дала**. Они были представлены и на Северном Кавказе у абазин и кабардинцев, где и ныне живут и пишутся Дал-ов, Даловы (см. Д. Коков. Из адыгской (черкесской) ономастики, с. 143). Известный кавказовед Л. И. Лавров по этому же поводу говорит: «Название Дал принадлежало небольшому независимому политическому объединению сельских общин, дошедших из глубокой древности до начала XIX в». (Лавров Л. И. Назревшие вопросы изучения

социальных отношений на докапиталистическом Кавказе, – в Кн.: Социальная история народов Азии. М. Наука. 1975. С. 7). Вполне с этим увязывается существование в прошлом, до 40-х годов XIX столетия, в Кодорском ущелье два крупных абхазских общества Дал и Цабал“ (Кварчия, 2006: 157-158).

სვანურში **დალ** დედოფალს, ხოლო **დალოდ** დედოფალას ნიშნავს. სვანურში არსებული სიტყვა **დედფალ** – „დედოფალი“ ქართულიდან უნდა შემოსულიყო. მაშასადამე, სვანთა შორეული წინაპრებისთვის დალი ცნობილი იყო, როგორც დედოფალი, სილამაზისა და მშვენიერების განსახიერება, რისთვისაც დროთა განმავლობაში გააკულტეს. სვანთა განსახლების ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დალის კულტი წარმართულ ღვთაებათა პანთეონში ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს იკავებდა (იქვე: 345-346).

კ. დონდუა წერს: „**დალი**, ნადირობის ქალღმერთი... ლახვს ი თანაღს ხაყლუ-ნის დალიშდ ი ალიშდ... = საძოვარ მთებსა და დიდ მთებში ეშინიათ დალის და ალის“ (დონდუა, 2001: 74).

ქ. მარგიანის დაკვირვებით, დალ-სვანეთში სოფლებისა და უღელტეხილების სახელწოდებანი, აგრეთვე მიკროტოპონიმია, ძირითადად სვანურენოვანია. სვანურ ენაზე აიხსნება ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ამ სექტორის გეოგრაფიული სახელწოდებანი. გვხვდება რამდენიმე ათეული აფხაზურენოვანი ტოპონიმი. სამ ათეულამდე სახელწოდება აფხაზური ტოპოფორმანტებით (-რა, ბა, -უა) არის გაფორმებული. ერთეულების სახით დამონმებულია მეგრული და რუსულენოვანი ტოპონიმებიც (იქვე: 136). დალ-სვანეთის ტოპონიმის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი სვანურენოვანია, რომელიც ქრონოლოგიურად შესაძლებელია ორ შრედ, ორ ფენად გაიმიჯნოს: ახალი და ძველი. ახალ ფენას მიეკუთვნება, ძირითადად, მიკროტოპონიმები, რომლებიც უკავშირდება დალის ხეობაში სვანთა მეორედ თუ მესამედ ჩამოსახლების პერიოდს, ე. ი. XIX-XX საუკუნეების მიჯნას. ძველ ფენას მიეკუთვნება ანტიკური პერიოდის ბერძენ თუ რომაელ ავტორებთან, აგრეთვე შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში დაფიქსირებული ტოპონიმები: ფუსდა//ფუსტა, კლუხორ, დარენ, ჩხალთა (← ჩახარ//ჩიხარი), კოდორი (კვარჭია, 1985: 67; მარგიანი, I, 1998: 137-138).

ქ. მარგიანიც იმ აზრისაა, რომ ხეობის სახელწოდება **დალ** მომდინარეობს ნადირობისა და მონადირეთა მფარველი სვანური ღვთაების, ულამაზესი ქალღმერთის – დალის სახელისაგან. ამ სახელს იმონმებენ შუა საუკუნეების მოგზაურები – ლულიე და ნორდმანი. საისტორიო მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოდორის ხეობას ეს სახელი უხსოვარი დროიდან, თვით მატრიარქატის ეპოქიდან უნდა ეტარებინა (იქვე: 138).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და კუთვნილების თვალსაზრისით საგულისხმოა სვანთა შემდეგი განმარტება: „**ალას ხაჟხა დალაძ ხეობა, ლითხუარი ლერბეთ – დალ იცაუდა ალ ხეობას. დალა ლამზერ ჩიგარუ ლაშხედა ამჩუ მეზგე მარას, ამჩუ მერდე მარას, ხოშამ ი ხოხრამ!.. ალა ლი დალაძ ხეობა ლი, დეჟ სამეგრელო-ზემო სუანეთ... მუშუანძქა ამჩუ იუალადელ დას ხოჩიდა...**“

ამას ჰქვია დალისა ხეობა, ნადირობისა ღმერთი დალი იცავდა ამ ხეობას. დალისა სალოცავი მუდამ შეენიოს აქ მცხოვრებ კაცს, აქ მყოფ კაცს, უფროსსა და უმცროსს... ეს არის დალისა ხეობა, არავითარი სამეგრელო-ზემო სვანეთია... სვანის გარდა, აქ არავინ ყოფილა არასოდეს...“ (მარგიანი-დადვანი, I, 2007: 41-42).

დალეღი სვანები მიიჩნევენ, რომ დალის ხეობა არც აფხაზეთია და არც სვანეთი. ისინი თავიანთ თავს სვანებს კი არ უწოდებენ, არამედ – „დალეღს“ (**მე-დალ**) და „დალეღებს“ (დალ-არ). „ფეტვს დალში აღარავინ თესავს, სვანეთიდან გვიგზავნიან“ – იტყვიან ხოლმე ხეობაში. ქართველმა მეცნიერებმა საველე სამუშაოების დროს გაარკვიეს, რომ სვანები დღესაც კი არ აღიქვამენ კოდორის ხეობას აფხაზეთის ტერიტორიად. ამიტომაც უწოდებიათ ხეობისთვის მათთვის უფრო ახლობელი, სვანური სამყაროსათვის ბუნებრივი ტოპონიმი **დალ** და არა **კოდორ** (ჩანტლაძე, მარგიანი-დადვანი I, 2007: 17; ჩანტლაძე, 2010: 82).

მ. ჩუხუას მოსაზრებით: სვან. **დალ** ზს., ლნტ., **დალ** ლშხ – „ნადირობის ქალღმერთი“. ქართ. **დალ**-ი – „ნადირობის ქალღმერთი“. ზან. (მეგრ.) **დო**-, **ო-დო**-ია – „ნაყოფიერების ღმერთი“, **დო**-უ (ანთროპ.). მკვლევარი შესაძლებლად მიიჩნევს მეგრულ **ო-დო**-ია-ში გამოყოფს **დო** ძირი და დაუკავშიროს იგი **დალ**-სახელს, **ა** → **ო** და **ლ** → **0** ზანურისთვის სპეციფიკური ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით. თავკიდური **ო** (**ო-დო**-ია) მეგრულში მიმართვის ფორმის **ო** უნდა იყოს, შდრ. ქართ. **ო-დელ**-ია. თუმცა არ გამოორიცხავს მის სხვაგვარ ახსნასაც: შდრ. ქართ. **მტილ**-ი „ბოსტანი“: ზან. **ო-ნტულ-ე//ო-რტინ**-ი, სადაც **ო-** საკუთრივ ზანური მონაცემია. ს.-ქართვ. ***დალ-** „ნადირობის, ნაყოფიერების (ქალ-)ღმერთი“ → ქართ. **დალ**-ი: ზან. [დო-], **ო-დო**-ია → ***ო-დოლ**-ია: სვან. **დალ//დალ**. ს.-ქართვ. ***დალ** და ს.-ნახ. ***დალ-ე** „ღმერთი“ (ბაცბ. „დალე“: ინგ. **დალა**: ჩაჩნ. **დჟელა**) საერთო წარმომავლობის სიტყვებია (ჩუხუა, 2000-2003: 92). შდრ. **დოუ** – უღელტეხილი აფხაზეთში.

სვანების მიერ დალის ხეობის კუთვნილების საკითხის ასეთი გააზრების მიუხედავად და ტოპონიმ „**დალის**“ წარმომავლობაზე მსჯელობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო **დალი**, **დალზ**, **დალუ** სიტყვების მეგრულმა მნიშვნელობებმა. ესაა „დასავლეთი, დასავალი, დაისი; სერის მომიჯნავე დაბალი და წაგრძელებუ-

ლი გავაკება“ (ქობალია, 2010: 233). შდრ.: დალიური – „დასავლური“; დალონი – „დაისი, დასავლეთი; დალური – „დასავლური“; დალურ პუმპულა – „დასავლური ნესვის ჯიში“; დალურ ქყონი – „დასავლური მუხის ჯიში“ (იქვე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **დალის** მეგრული წარმომავლობის ოროგრაფიულ ნომენად, კერძოდ, სერის მომიჯნავე დაბალ და წაგრძელებულ გავაკებად გააზრება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი დალის ხეობაში ფიქსირებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში გამოიკვეთებოდა მეგრულენოვან ტოპონიმთა შედარებით მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ზოგადი სურათით თუკი ვიმსჯელებთ, სადღეისოდ ის გარემოება იკვეთება, რომ ხეობის ტოპონიმურ ფონდში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი მაინც სვანურენოვანია. ამის მიუხედავად, უალრესად ჰიპოთეტურ დონეზე ტოპონიმ „დალის“ ჩვენ მიერ წარმოდგენილ განმარტებას არსებობის უფლება მაინც აქვს, თუკი გავითვალისწინებთ მისიმიანთა ეთნიკური ვინაობის შესახებ დღემდე არსებულ მოსაზრებებს შორის ერთ-ერთს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს პ. ინგოროყვას მოსაზრება, რომელიც მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ წერს: ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში ჰეკატე მილეტელისა და სკილაქს კარიანდელის გეოგრაფიულ ტექსტებში მოხსენიებული კოლაელნი ეკუთვნოდნენ კოლხურ შტოს და იყვნენ აბორიგენი მოსახლენი მისიმიანეთის მხარისა. შემდეგ ხანებში, არაუგვიანეს ძვ. წ. I საუკუნისა, აქ სვანები ჩამოსახლებულან (სტრაბონის ცნობა), უფრო გვიან ამ ორი ტომის შერევით წარმომდგარა ნარევი ტომი სვან-კოლხებისა (სუანო-კოლხნი) ანუ ეგერ-სვანებისა, მეგრელ-სვანებისა... „ხოლო რაც შეეხება მისიმიანებს (ე. ი. მისიმიანეთის მხარეში მოსახლე სვან-კოლხთა ნარევი ტომს), მათი ენა, როგორც პირდაპირ აღნიშნავს აგათია, არ იყო კოლხური (მეგრულ-ლაზური); ამის მიხედვით მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ენა ყოფილა ან სვანური, ან ადგილობრივი მისიმიანური დიალექტი, რომელიც სვანური და მეგრული ენის შერევის ნიადაგზე წარმოშობილა“ (ინგოროყვა, 1954: 145).

მაშასადამე, სტრაბონის მიხედვით „კავკასიონის მთიან მხარეში, დოსკურიის ზემოთ“, ე. ი. ისტორიული მისიმიანეთის ტერიტორიაზე „სუანო-კოლხების“, იმავე სვანების, ჩამოსახლებამდე მისიმიანეთში სახლობდა კოლხური (მეგრული) მოსახლეობა – კოლაელნი. ტოპონიმ დალის გაჩენაც სწორედ ძვ. წ. I ს-მდე პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს (დალის შესახებ Кварчия, 1985: 57-58).

§5.13. დადისწყალი, ერისწყალი//ერწყარი

ვახუშტი ბაგრატიონი საყურადღებო ცნობებს გვანვდის **დადისწყლისა** და **ერისწყლის** ხეობების საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე: „კუალად ამ ეგურის ჩდილოთ დის დადის-წყალი, წოდებული დადის დაბის გამო. გამოსდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა, და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზლუას. ამ დადის-წყლის ჩდილოთ დის ეგრისის წყალი, წოდებული ეგროსის, თარგამოსის ძის, გამო. გამოსდის მასვე კავკასს, დის დასავლეთად და მიერთვის ზლუას ილორს. ხოლო ზღვს კიდებედ, ამ წყლის დასავლით კიდებედ, არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგრისი, დასავლით მდინარე მოქესა, და უძეს სამწრით ზლუა და ჩდილოთ ველი“ (ვახუშტი, IV, 1973: 779).

მემატიანის თქმით, დაბის სახელწოდებაა **დადი**, რომელმაც სახელი მისცა ენგურის ჩრდილოეთით მომდინარე დადისწყალს. ვახუშტის მიერ 1745 წელს შედგენილ რუკაზე მოცემულია მდინარის დინების მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. სახელდებული მდინარე, ვახუშტის ცნობით, სათავეს იღებს „აღმოსავლეთის კავკასსა“ და უერთდება შავ ზღვას. ვახუშტი დადისწყალს კიდევ აღნიშნავს თავის რუკაზე, მდინარის სათავეში მცირე შენაკადებით, მაგრამ დაბა „დადის“ სახელწოდებით რუკაზე არაა დატანილი.

ენგურის ქვემო დინებასა და ლალიძგას შორის მდებარე, XVIII ს-ის I მეოთხედიდან სამურზაყანოდ სახელდებული (ძირითადად გალის რაიონი) ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის ტოპონიმთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მდინარე „დადისწყლის“ და დასახლებული პუნქტი „დადის“ სახელწოდებით ამ მხარეში სადღეისოდ არ დასტურდება. ვახუშტის ცნობას კი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სხვა წერილობითი წყაროები ამ ობიექტებს არ ასახელებს.

საკვლევ ტოპონიმს ფონეტიკური და ეტიმოლოგიური სიახლოვის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად საგულისხმო პარალელები მოეძებნება სამურზაყანოსა და სამეგრელოში, ისეთი გეოგრაფიული სახელების სახით, როგორებიცაა **დადალჩერთა** – ვაკე-ქვაბული ენგურ-ლალიძგის წყალგამყოფ მთა-მაღლობზე, კერძოდ, ბერძუჰაფუმ წყარისა და ხოჯელწყარის გამყოფ ქედზე; **დადალძიხ(ი)** – წყარო აჩგუქვასა და შიფშხერას შუა, ჩხორთოლ-ანარის გზაზე (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 59); **დადბეჩა** „დადის მღვიმე“ – მღვიმე და ტყიანი ხეობა ჯვარის სატყეო უბანში, ინწირის სათავესთან (წალენჯიხის რ.)...

მაგრამ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ წარმოდგენილ სახელწოდებათა გარკვეული ნაწილის მოჩვენებითი გარეგნული მსგავსების მიუხედავად,

შეუძლებელია დავუშვათ, რომ ვახუშტი ბატონიშვილი დაბა დადსა და დადისწყალს რომელიმე მათგანში გულისხმობდა. ამასთანავე, ამ ფაქტს თავისთავად გამოორიციხავს გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებაც, იმდენად, რამდენადაც, ფონეტიკური სიახლოვის თვალსაზრისით გამორჩეული, ჩვენ მიერ ზემოთ დამონშებული ტოპონიმები (მაგ., დადბერა) მეტისმეტადაა დაშორებული ვახუშტის მიერ რუკაზე აღნიშნულ დადისწყალს, და, როგორც აღვნიშნეთ, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს, იწინიას ხეობაში ლოკალიზდება.

დადისწყლის სალოკალიზაციოდ მეტად საგულისხმოა ვახუშტის შემდეგი ცნობა: „...მთის ძირზედ, არს ჭელენჯიხი, ეკლესია გუნბათიანი, დიდშენობა, შვენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კაკვასიადამ ზღვამდე“ (ვახუშტი, IV, 1973: 778).

მდინარე, რომელიც ვახუშტის მიხედვით, ილორთან უერთდება ზღვას, თანამედროვე ლალიძგა, ან კიდევ ანარია//ოხურეინყარია. ლალიძგის სიგრძე 53 კმ-ია. სათავეს იღებს არემ(ე)უას//არმეუასა და ჩამჰარის კალთებიდან და უერთდება შავ ზღვას ილორსა და ოჩამჩირეს შუა.

„დადის მდინარე“ და „ეგრისწყალი“, ვახუშტის მონაცემებით, მიედინებოდა ენგურსა და მოქვისწყალს შუა. ასეთი მდინარე კი (გგულისხმობთ შედარებით დიდ მდინარეებს) ოთხია: ერისწყალი, ოქუმი//ოხოჯე, ანარია-ოხურეინყარი და ლალიძგა. უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი წყაროების სიმცირისა და მკვლევართა მიერ მოცემული განსხვავებული ინტერპრეტაციის გამო ორივე მდინარის ლოკალიზაცია ჭირს, არადა დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიისათვის ამ საკითხის გადაწყვეტას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება (მუსხელიშვილი, I, 1977: 106).

ჩამოთვლილ მდინარეთა დინების თანმიმდევრობას და ვახუშტის ცნობებს ერთმანეთს თუ შევუდარებთ, მაშინ „დადის მდინარეში“ ერისწყალი ან ოქუმი უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო ეგრისწყალი ანარია-ოხურეინყარის ან ლალიძგის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო.

ქართველ მკვლევართა ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ ეგრისწყალი იგივე მდ. ლალიძგაა. „ხოლო ეგრისის მდინარე ეწოდების ლალიძგას“, – წერდა ნიკო დადიანი (დადიანი, 1962: 153).

გამორჩენილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე 1849 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემულ ნაშრომში აღწერს სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიულ სიძველეებს, ეხება ყოფისა და კულტურის საკითხებს. დადისწყლის შესახებ მეცნიერი აღნიშნავს, რომ მდინარისა და ციხის სახელწოდებებით დაინტერესებული ყოფილა იმდენად, რამდენადაც ყოველთვის ფიქრობდა, რომ დადიანების

წარმოშობა სწორედ მათთან იყო დაკავშირებული. ბროსე მწუხარებით შენიშნავს, რომ ამგვარი სახელწოდების მდინარე და ციხესიმაგრე ვერ აღმოუჩენია. მოგვიანებით ოქუშში ჩასულს გამოუკითხავს ყველა ასაკისა და წოდების ადამიანი, მაგრამ დადისწყლისა და დადის შესახებ მათგანაც ვერაფერი გაუგია. „ადვილი შესაძლებელია, რომ მნიგნობრობას მოკლებული ხალხის მეხსიერებიდან დროთა განმავლობაში წაშლილიყო მდინარისა და ციხის ძველი სახელები. ასი წლის წინათ ვახუშტი იცნობდა დადს და მის მდინარეს. ცნობილმა გეოგრაფებმა დელილებმა მათ ადგილი მიუჩინეს თავიანთ რუკებზე. ისინი ნამდვილად არსებობდნენ და ეჭვი არ მეპარება, რომ დადის-წყალი დღევანდელი ერთის-წყალია“ (ბროსე, 2011:92).

ეგრისწყლისა და ლალიძგის იგივეობის თვალსაზრისს მხარს უჭერდა პ. ინგოროყვა, რომელიც აღნიშნავდა, რომ თვით მდინარის სახელწოდება „ლალიძგა“ მეგრულად სიტყვასიტყვისით ნიშნავს მოსაზღვრე მდინარეს, ანუ ლელე კიდისა. მკვლევარმა იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის მიერ მოხსენიებული **Echalis** გაიაზრა, როგორც „ეგრისი“ და გამოთქვა ვარაუდი, რომ მდ. ლალიძგას ძველი სახელწოდება ეგრის-წყალი შერჩენილი ჰქონდა XVII-XVIII საუკუნეებამდე (ინგოროყვა, 1954: 128, სქოლიო). დავაზუსტოთ: ლალიძგა უნდა გავიაზროთ როგორც „ლელის კიდე“, „ლელისპირი“.

მკვლევარი არჩილ ბარამიძე იმ აზრისა იყო, რომ ეგრისისწყლის გაიგივება ლალიძგასთან დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან, „...ვახუშტი არ აღნიშნავს რა მდინარე ეგრისის ახალ სახელწოდებას, მიუთითებს, რომ ეს მდინარე შავ ზღვას ერთვის ილორთან. ხოლო ილორის ახლოს, მის დასავლეთით, როგორც ცნობილია, მართლაც მოედინება მდ. ლალიძგა“ (ბარამიძე, „მოამბე“, №5, 1963: 104).

თ. ბერაძე ვრცლად მიმოიხილავს ეგრისის ლოკალიზაციის შესახებ არსებულ ისტორიოგრაფიას, მათ შორის ჩვენ მიერ ზემოთ დამონშემულ მკვლევრებს (დავით ბატონიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, ნიკო დადიანი, მარი ბროსე, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ა. ბარამიძე და სხვები), და ადრეანტიკური ხანის ნერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური აღმოჩენების გათვალისწინებით ამტკიცებს, „რომ ლეონტი მროველის ეგრისწყალი სწორედ დღევანდელი ენგურია და პუნქტი ეგრისი მის ნაპირზეა საძებნი“ (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 141).

ქართული ნერილობითი წყაროების „ეგრისწყლის“ ლოკალიზაციის საკითხს შეეხო საისტორიო გეოგრაფიის სპეციალისტი დ. მუსხელიშვილი, რომელმაც მართებულად მიიჩნია მკვლევარ თ. ბერაძის მოსაზრება მდ. ენგურის სახელის „ეგრ“ ფუძესთან დაკავშირებისა და მეგრელების პირველსაცხოვრისად

წარმოდგენის შესახებ (ბერაძე, III, 1967: 140), მაგრამ „ენგური“// „ეგური“ და „ეგრისწყალი“ სემასიურად ერთი და იგივე რომც იყოს, დ. მუსხელიშვილის მართებული აზრით, „ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული წყაროების „ეგრისწყალი“ იგივე დღევანდელი ენგურია“ (მუსხელიშვილი, I, 1977: 107). თავისი მოსაზრების გასამყარებლად მეცნიერი სავსებით სამართლიანად იშველიებს იმ არგუმენტს, რომ ვახუშტისათვის მდ. ენგური და ეგრისის წყალი აშკარად განსხვავებულია (იქვე: 107). და მართლაც, XVIII საუკუნის მემათიანეს ამ ორი მდინარის იგივეობაზე რომ ეფიქრა, მაშინ თავის ნაშრომში ეგურსა და ეგრისწყალს ცალ-ცალკე როდი მოიხსენიებდა. ასევე მის მიერ შედგენილ რუკებზე ჩვენთვის საინტერესო მდინარეები დატანილია შემდეგი თანმიმდევრობით: ეგურისწყალი (ახლანდ. ენგური), დადისწყალი, ეგრი (ილორის აღმოსავლეთით). მაშასადამე, ვახუშტი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან ეგრისწყალსა და ეგურს (ენგურს).

დ. მუსხელიშვილი დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის სრული სურათის წარმოსადგენად, ზემოთ ხსენებული არგუმენტის გარდა, მიმოიხილავს ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების სხვა მონაცემებსაც (მაგ., ანასტასი აპოკრისიარის წერილს თეოდოსისადმი (662 წ.), რომელზეც მოგვითხრობს იერუსალიმელი მონაზონი თეოდოსი განგრელი; აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ცნობები), რითაც შესაძლებლობა ეძლევა, შემდეგი დასკვნა გამოიტანოს: მდ. ლალიძგა ქართული წერილობითი წყაროების „ეგრისწყალი“, რომელიც ადრე შუა საუკუნეებში წარმოადგენდა აფშილეთსა და ეგრისს შორის საზღვარს (მუსხელიშვილი, 1977: 107-113).

თ. ბერაძის აზრით, ეგრის-წყალი ხელოვნურ-ლიტერატურული ხასიათის სახელწოდებაა და მეგრული ენისათვის მდინარეთა სახელების ასეთი წარმოება უცხოა (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 140). დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ ჰიდრონიმები – ეგრისწყალი და ეგრე-სუ (მდინარე კლარჯეთში) ადგილობრივი მეგრულ-ჭანური სახელწოდების თარგმანს წარმოადგენს და ასეთი ადგილობრივი ჰიდრონიმების არსებობაზე მიუთითებს (მუსხელიშვილი, I, 1977: 107).

პ. ცხადაია იმონმებს გ. კლიმოვის ნაშრომს (კლიმოვი 1962: 99) და თვლის, რომ ქართული **-ის** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი გეოგრაფიულ სახელებში სიტყვანარმოებითი ძალის მქონეა და სადერივაციო ფუნქცია, გარკვეული ხარისხით, საფიქრებელია, რომ ქართველურ ფუძენაპიც ჰქონოდა. **-ის** ბრუნვის ნიშნის მეგრულ-ჭანურ შესატყვისს წარმოადგენს **-იმ**, თანდართული **-ი** ემფატიკური ნიშნით (ცხადაია, 2004: 34).

თ. ბერაძის მიერ „ეგრის-წყლის“ „ხელოვნურ-ლიტერატურული ხასიათის სახელწოდებად“ მიჩნევის შესახებ გამოთქმული მოსაზრების მცდარობაზე

მიანიშნებს საილუსტრაციო მასალა თვით სამეგრელოს ჰიდრონიმიდან, სადაც მდინარეთა სახელწოდებების -ის სუფიქსით ნაწარმოები ოფიციალური ვარიანტების პარალელურ ფორმებად დასტურდება არაოფიციალური ფორმებიც. მაგ.: აბაშისწყალი//აბაშაწყარი, ხობისწყალი//ხობ(იშ)წყარი, ჭანისწყალი//ჭენწყარი//წენწყარი, ცხენისწყალი//ცხენწყარი...

მაშასადამე, ვახუშტის „აღწერაში“ დამონმებული ჰიდრონიმებიც – „დადისწყალი“ და „ეგრისწყალი“ -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით უნდა იყოს წარმოებული. მეგრულ-ჭანური შესატყვისი კი უნდა ყოფილიყო **დადიშწყარი// დად(ა)წყარი და ეგრიშწყარი//ეგრი(ა)წყარი.**

აქვე ორიოდ სიტყვით შევეხებით ჰიდრონიმ „დადისწყლის“ მოტივაციას. აკაკი ჭანტურიას ავტორობით გამოცემული მეგრული ანთროპონიმის მასალებიდან ირკვევა, რომ დადა, დადეი, დადია, დადუ, დადუა დადი და მისთ. გავრცელებული პირსახელები იყო სამეგრელოში (ჭანტურია, 2006: 29). ალ. ლლონტის მიერ გამოცემულ ანთროპონიმთა ლექსიკონში მამაკაცთა სახელებად დამონმებულია დადი (მესტია), დადა, დადაი, დადავი, დადუ, დადუა, ხოლო ქალთა სახელებად – დადალი, დადანა, დადარ, დადენა, დადი, დადუა, დადული, დავდიუ... (ლონტი, 1986: 109, 110, 265).

საფიქრებელია, რომ მდინარის სახელწოდება ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ მოხმობილ მეგრულ ან სვანურ ანთროპონიმთან იყოს დაკავშირებული. ან სულაც დასაშვებია შემდეგი ფრთხილი ვარაუდიც: **დადიშ წყარი → დადიშ წყარი → დადინწყარი → დადისწყალი** „დადიანის წყალი“; „მდინარე, რაც დადიანის სამფლობელოში მოედინება“ (?)..

გავისხენოთ ოდიშის დასავლეთი ნაწილის ვახუშტი ბატონიშვილისეული აღწერა: „ამ ეგურის ჩდილოთ დის დადის წყალი წოდებული დადის დაბის გამო. გამოდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა, და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზღვას. ამ დადის წყლის ჩრდილოთ დის ეგრისის-წყალი“ და ა. შ. (ვახუშტი, IV, 1973: 779). ამასთანავე, ვახუშტის თქმით, ოდიშის ეპისკოპოსი „მწყემსი არს აწ დადისწყლისა და მოქვისწყლის შუათისა ადგილთა“ (იქვე: 780).

თხზულებიდან ირკვევა, რომ დადისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული ნალენჯიხელი ეპისკოპოსის მფლობელობაშია.

თუკი ეგრისწყლისა და ლალიძგის იგივეობის თვალსაზრისს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ამასთანავე, ოდიშის დასავლეთი ნაწილის გეოგრაფიული ვითარების შესახებ არსებული წყაროთმცოდნეობითი მასალისა და ზემოთ დამონმებული სხვა სახის მონაცემების დისკურსული მსჯელობა-გაანალიზებითაც, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საკვლევი ჰიდრონიმის („დადის მდინარის“,

„დადისწყლის“) გავრცელების არეალი ენგურ-ლალიძის შუამდინარეთით იფარგლება (ზემოთ ითქვა, რომ წალენჯიხელის სამწყსო მდ. ენგურის ქვემო დინების მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორიასაც მიითვლიდა).

ვახუშტის ცნობებისა და სადღეისო ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების ურთიერთშედარებით ძალაუვნებურად იმ აზრისაკენ უნდა გადავიხაროთ, რომ დადისწყალი//დადის მდინარე ორი შედარებით დიდი მდინარიდან (ერისწყალი, ოქუმი//ოხოჯე) ერთ-ერთის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ვახუშტის დროს, XVIII ს-ის I ნახევარში, მდ. ოქუმის სახელწოდება უკვე ცნობილი იყო. მართალია, მას ვახუშტი არც ერთხელ არ ახსენებს, მაგრამ სამაგიეროდ კოლხიდის (ოდიში, სამეგრელო) მდინარეებზე მსჯელობისას XVII ს-ის. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი წერს: „ენგურის იქით არის ხეთი (Heti), რომელსაც სიპატარავის გამო რუკებზე არ აღნიშნავენ, თუმცა ღირსშესანიშნავია თევზის სიუხვით; ზღვას შეერთვის გაგიდასთან. ხეთს იქით არის ოქუმი... ოქუმის იქით ეგრისია...“ (ლამბერტი, 2011: 201).

ერწყარი ოქუმის მარცხენა შენაკადს წარმოადგენს (ქსე, III, 1978: 642); თუმცა გალის რაიონის მცირე სქემატურ რუკაზე, რომელიც „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშია“ დაბეჭდილი, ეს მდინარე შეცდომით უშუალოდ მიერთვის შავ ზღვას (ქსე, II, 1977: 24; იხ. აგრეთვე ცხადაია, 2004: 33).

პ. ცხადაიას მოსაზრებით, ლამბერტის თხზულებაში მოხსენიებული ხეთი (Heti) და მასზე დართულ, 1654 წლის რუკაზე აღნიშნული Heti-scarī იგივე ერ(ი)წყარია (ცხადაია, 2004: 33).

ერისწყალი (ერწყარი) სათავეს იღებს **ერთიშში**. ასე ეწოდება ხეობას და ტყე-საძოვრებს გალისა და წალენჯიხის რაიონების საზღვარზე. მდინარის ზემონელი ამ ორი რაიონის საზღვარს წარმოადგენს. ერწყარპიჯები//ზენი – ასე იწოდებოდა ვაკე-სახნავეები და სამოსახლოები ერწყარის ნაპირებზე, ხოლო მას შემდეგ, რაც მდინარის შუანელი კაშხლით გადაიკეტა, აღნიშნული ტერიტორია გალის წყალსაცავში მოექცა (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 68).

ერისწყლის ეტიმოლოგიაზე მსჯელობს მკვლევარი კ. სამუშია. მისი აზრით, ერისწყალი დადისწყლის მერმინდელი სახელწოდებაა. დადიანთა სამკვიდროში არსებულ მდინარეს ადრიდანვე დადისწყალი უნდა დარქმეოდა, ხოლო საქართველოს გაერთიანებულ სამეფოში დადიანთა თანამდებობრივი უფლების ამალგების, კერძოდ, მეფის მრჩეველად დანიშვნის შემდეგ, დადიანები იწოდებოდნენ ერისთავთერისთავებად და მდინარე დადისწყალსაც შეიძლებოდა დადიანთა ახალი ტიტულის მიხედვით დარქმეოდა ერისწყალი. მან შეცვალა მდინარის უწინდელი სახელწოდება დადისწყალი, ან ერთიმეორის პარალელურად

მდინარეს დადისწყალსაც უწოდებდნენ და ერისწყალსაც (სამუშია, 1990: 131). მაშასადამე, კ. სამუშია ფიქრობს, რომ ერისწყალი ერისთავის წყლის შემოკლებული ფორმაა, რაც ნაკლებ დამაჯერებელი ჩანს.

ვ. ზუხბაია ასახელებს **ერისწყალს** და პარალელურ ფორმას – **ერთიში წყარი**, და შენიშნავს, რომ ამ მდინარემ სახელი რამდენჯერმე შეიცვალა. II ს-ის მეცნიერი არიანე მას სინგამეს უწოდებს, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი – ჰეტიწყარს, ვახუშტი ბატონიშვილი – დადისწყალს, ა. ლეონიდი – დადისს, და იქვე დასძენს: ამჯერად მდინარის სახელწოდებაა ერისწყალი. „იგი ნამდვილად ამართლებს თავის სახელწოდებას. ერს ემსახურება“ (ზუხბაია, 2000: 94). არც ეს განმარტებაა რეალური.

მეგრულში **ერის** ერთ-ერთი მნიშვნელობაა „დიდი სიმრავლე, მრავალრიცხოვნება“. შდრ. **ერებამი** – „ერიანი, დიდი ოჯახის პატრონი“; **ერები** – „ერობა, ერი, დედაბუდე, თესლ-ჯილაგი; საბადისი, დიდი რაოდენობა ხალხისა; ე. წ. **ერიანი ოჯახი**, დიდი, გაუყრელი ოჯახი დედმამიშვილებისა ან ბაბუიშვილებისა; დიდი ოჯახი მთელი თავისი ქონებით და საქონლით“ (ქობალია, 2010: 283). ჩვენ საგულისხმოდ მიგვაჩნია **ერწყარის** ა. ქობალიასეული განმარტება: „დიდი წყალი, წყალუხვი მდინარე“ (იქვე: 284). ო. ქაჯაიას განმარტებით: „**ერები-ი** – „შთამომავლობა“; „**ერებამ-ი** – მრავალშვილიანი ოჯახი ქონებით, საქონლით. **ერებამო** – ზმნზ. დიდოჯახიანად, საქონლიანად“; „**ერიან-ი (ერიანს)**: ერთიანი ოჯახი, დიდი, მრავალშვილიანი ოჯახი“ (ქაჯაია, IV, 2009: 223). შდრ. ერწყარო – წყარო ნავენახევი (საქ. ტოპ., III, 2003: 102).

მ. ჩუხუას შენიშვნა: მდინარის მეგრ. სახელწოდებაა **ერწყარი**, რომელიც ისტორიული **ეგრ-წყალ/რ-ის** გაგრძელებაა, ვინაიდან **გრ** თანხმოვანთკომპლექსი ვერ ძლებს მეგრულში და/ან **რ** თანხმოვანი გადადის წინ, ხანაც **გ** იკარგება. ამ შემთხვევაში **ეგრ-**მა მოგვცა **ერ-**, ანუ **გ** თანხმოვანი დაიკარგა.

§5.14. დარენი

ადრეული შუა საუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში, კერძოდ, მენანდრე პროტიქტორის თხზულებაში მოხსენიებული **დარინის ულელტეხილი** ბზიფისა და კოდორის სათავეებს შორის მდებარეობდა. მენანდრე წერს: „შინ დაბრუნება უმჯობესია ეგრეთ წოდებული დარინის გზითო... ზემარქე დარინის გზით მივიდა აფსილიაში: მისიმიანთა გზა მან უარყო, დატოვა ის მარცხნივ: ამ გზით საფიქრებელი იყო, რომ თავს დაესხმოდნენ სპარსელები“ (გეორგიკა, III, 1936: 236).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მისიმიანთა გზაში“ დღევანდელი **კლუბორის უღელტეხილი** იგულისხმება, ხოლო „დარინის გზა“ ერქვა მის დასავლეთით მდებარე რომელიღაც გადასასვლელს (მიბჩუანი, 1989: 133).

თ. მიბჩუანი ტოპონიმ „დარინის“ წარმომავლობას სვანურ სიტყვას – **ლა-დრენი**, უკავშირებს, რომელიც „ჩასასაფრებელ ადგილს“ აღნიშნავს. „ეს ტერმინი ასე დაიშლება: **ლა-დრენ-ი**, სადაც **ლა-** პრეფიქსია, დაბოლოება **ი** სახელობითი ბრუნვის ნიშანი, ხოლო ფუძეა „დრენ“, რომელშიაც **ლა-** პრეფიქსის დართვის შედეგად მოხდა დ-სა და რ-ს შორის **ა** ხმოვნის რედუქცია, შეკვეცა. თუკი ფუძეში ამ ხმოვანს აღვადგენთ, გვექნება „დარენ“-ი. **დარენი** წარსულში საერთო ქართული სიტყვა უნდა ყოფილიყო“ (იქვე: 133). „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ გამოყენებული სიტყვა „სადარნო“ („მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები...“) ჩასასაფრებელ ადგილს ნიშნავს. „მას ღამით უქმნეს სადარნო“ ნიშნავს, რომ ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა მონახეს სადარაჯო, საგუშაგო ადგილი (იქვე: 133). თ. მიბჩუანი დაასკვნის: „ბერძენი ავტორის მიერ ნახმარი ტერმინი „დარინი“ სვანური „დარენ“-ის მისიმიანთა დიალექტურ ფორმად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, ბიზანტიელი ავტორების მიერ სადღაც კოდორის სათავეებში უღელტეხილის სახელწოდება დარენი ქართული (სვანური) წარმოშობის უნდა იყოს და ნიშნავს სადარაჯოს, საგუშაგოს. თუ არა ქართულ (სვანურ) ენაზე მოლაპარაკე ხალხს, სხვას ვის შეეძლო ასეთი სახელის შერქმევა ამ უღელტეხილისათვის?“ (იქვე: 133-134). ვ. ზუხბაიაც მიიჩნევდა, რომ კოდორის სათავეებთან მდებარე ურელტეხილის სახელწოდება დარენი სვანური სიტყვაა და საგუშაგოს ნიშნავს (ზუხბაია, 2000: 66).

მენანდრეს ცნობიდან ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილ ციტირებაში ვკითხულობთ, რომ აფსილიაში დასაბრუნებლად უმჯობესი იყო დარინის გზა და ზემარქე სწორედ ამ გზით მივიდა აფსილიაში. ამასთანავე, მან სპარსელთა თავდასხმების შიშით მისიმიანთა გზა მარცხნივ დატოვა. მაშასადამე, დარინის გზა სვანეთის (მისიმიანეთის) ქვეყნის მახლობლად, აფსილეთში გადიოდა. პ. ინგოროყვა შენიშნავს, რომ VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის – მენანდრე პროტექტორის მიერ აღწერილი მარშრუტით, ჩრდილოეთ კავკასიიდან აფსილეთში მომავალი მგზავრი გამოივლიდა კავკასიონის უღელტეხილს – მდ. ჩხალთის (მარუხის) სათავეებს – ამტყელის ხეობას და მდ. კოდორის შუანელში, ნებელდის რაიონში მდებარე დაბა კოდორს. აქედან გზა კოდორის ხეობის გაყოლებით შავი ზღვისკენ მიემართებოდა. პ. ინგოროყვას აზრით, დარენი, როგორც ირკვევა, მარუხის უღელტეხილის სახელწოდება იყო. თუკი დარენში მარუხის ნაცვლად ვიგულისხმებთ ნაურის ან ცაგერ-კარის უღელტეხილს, მაშინ, მკვლევრის აზრით, მენანდრეს მიერ მოცემული მარშრუტი უღელტეხილიდან გაივლიდა არა კო-

დორამდე, არამედ – ცხომამდე (ინგოროყვა, 1954: 187). პ. ინგოროყვა **დარენს** გრამატიკული სახეობით უკავშირებს კავკასიონის მთების მეზობელი სექტორის გეოგრაფიულ სახელწოდებას – საკენს, სადაც -ნ მრავლობითი რიცხვის ნიშანია (იქვე: 188).

VIII-XI საუკუნეებში, აფსილეთად/აფშილეთად იწოდებოდა ტერიტორია გუმისთასა და ღალიძგას შორის. დ. მუსხელიშვილის აზრით, „აფშილი“ „ძველი ეთნონიმია და დღევანდელი აფხაზეთის ძველი მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს ეწოდებოდა“ (მუსხელიშვილი, „არტანუჯი“, 10, 2000: 19).

ქ. შ. I საუკუნეში პლინიუსთან პირველად ნახსენები აფშილების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ პ. ინგოროყვა შენიშნავს, რომ „აფშილები ენის მიხედვით, საფიქრებელია, არ განსხვავდებოდნენ კოლხებისაგან“ (ინგოროყვა, 1954: 145). V ს-ის ბიზანტიელი ანონიმის ცნობით, „დიოსკურიიდან, ანუ სებასტოპოლისიდან მდ. აფსაროსამდე (ჭოროხამდე) წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელშეცვლილი“ (ანონიმი მეხუთე საუკუნისა. PE-RIPLUS PONTI EUXINI, გეორგიკა. II, 1965: 6).

მაშასადამე, აფშილები მიჩნეულია ერთ-ერთ დასავლურ-ქართულ ტომად, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებში ნაწილობრივ აბსოლუტურად შეერწყნენ მეგრელებს, ნაწილობრივ კი გააფხაზდნენ/გააფსუვდნენ (მუსხელიშვილი, „არტანუჯი“, №10, 2000: 22).

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, გამორიცხული არაა, რომ აფშილეთის ტერიტორიაზე, ბზიფისა და კოდორის სათავეებს შორის მდებარე უღელტეხილის სახელწოდება **დარენი/დარინი** მეგრული წარმომავლობისა იყოს და ნიშნავდეს სადგომს, სამყოფელს, გასაჩერებელ ადგილს. შესაძლებელია, რომ ამ უღელტეხილზე იყო შესასვენებლად მოხერხებული, სულმოსათქმელი ადგილი მგზავრობით დაღლილთათვის.

ტოპონიმზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია **დარენ(ჯ)ი, დარინი** სიტყვის მეგრული მნიშვნელობა. **დარინალი** მეგრულში აღნიშნავს „სამყოფელს, საცხოვრისს, სადგომს“; **დარინაფალი** იგივეა, რაც „დასაყენებელი“. **დარენჯი** ეწოდება „საცხოვრისს, სადგომს, სამყოფელს, გასაჩერებელ ადგილს“ (ქობალია, 2010: 235). **დორინა/დორინი** იგივეა, რაც „დადგომა, დაბინავება“; **დორინელი** „დამდგარს, დაბინავებულს“ ნიშნავს (იქვე). მაშასადამე, დარენი/დარინი იგივეა, რაც სამყოფელი, საცხოვრისი, სადგომი, გასაჩერებელი, დასაბინავებელი ადგილი.

§5.15. დიოსკურია

ძველი კოლხეთის შავიზღვისპირეთში, ახლანდელ სოხუმის ტერიტორიაზე მდებარე ანტიკური ეპოქის ქალაქი ძველბერძნულ ლიტერატურულ წყაროებში დიოსკურიისა (ბერძნ. Dioskurias) და სებასტოპოლისის სახელწოდებით არის ცნობილი. ბერძენი მოახალშენეების, მილეტელების მიერ ძვ. წ. VI ს-ში დაარსებული ქალაქი დიდ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ დიოსკურია რომაელთა ხელში აღმოჩნდა. მის მახლობლად ააგეს ციხესიმაგრე სებასტოპოლისი, ხოლო მოგვიანებით ციხის სახელი ეწოდა დიოსკურიასაც. თანამედროვე სოხუმის ადგილას არსებული დიოსკურიის უდიდესი ნანილი ამჟამად შავი ზღვის ფსკერზეა მოქცეული. ძველბერძნულ წერილობით წყაროებში დიოსკურია ძვ. წ. IV ს-იდან მოიხსენიება (დიოსკურიის შესახებ ვრცლად იხ. ბერულავა, 1951: 3-11).

გერმანელი მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი დიოსკურიის შესახებ წერს: „მე ჩამოვედი სუხუმ-კალეს ციხესთან. ეს უნდა იყოს ძველი დიოსკურია. დანგრეული ციხე თურქებმა ააშენეს და იქ არის ფაშას ე. წ. სასახლე – საცოდავი ხის შენობა“ (ჰაქსტჰაუზენი, 2011: 37).

ჟაკ ფრანსუა გამბა შენიშნავს, რომ „დიოსკურია თავისი წარმოშობით უკავშირდება დიოსკურების სახელწოდებით ცნობილ კასტორისა და პოლუქსის მეეტლეებს“ (გამბა, 1987: 103). ძველ ბერძენ ავტორთა განმარტება არგონავტების მითიური ლაშქრობის დროს ტყუპი ძმების – დიოსკურების მიერ აქ ქალაქის დაარსების შესახებ ნაწილობრივ გაიზიარა დ. გულიამ (Гулиа, I, 1925: 272). პ. ინგოროყვაც ქალაქის სახელწოდებას უკავშირებს ბერძნული მითოლოგიური გმირების – ტყუპი ძმების ლეგენდას. ზევსის შვილებს – კასტორსა და პოლუქსს დიოსკურები ეწოდებოდათ, რომელთა სახელსაც ამ ქალაქის დაარსება უკავშირდება. ბერძნული სახელწოდება ქალაქისა მომდინარეობს ამ ქალაქის ადგილობრივი ქართული სახელწოდებიდან – ტყუბუნი, ტყუბნგი/ტყუბნი, რამდენადაც კოლხეთის ქალაქების სახელწოდებანი ადგილობრივი სახელწოდებების თარგმანს წარმოადგენს (ინგოროყვა, 1954: 147). ი. ორბელი შეეცადა ტოპონიმის ქართულ ნიშნულზე ახსნას და დიოსკურიის ამოსავლად ქართული წყაროების ცხუმში მიიჩნია. ეს სიტყვა კი მან დაუკავშირა ქართულ სიტყვას – ტყუპი, რომელიც ბერძნებს თავიანთ ენაზე უთარგმნიათ (Орбели, ЖМИП, №XXXIII, 1911: 202).

პ. ინგოროყვას ლინგვისტურ-ეტიმოლოგიურ მსჯელობაზე დაყრდნობით კ. ბერულავა შენიშნავს, რომ „დიოსკურია“ იგივეა, რაც ზევსის წყარო, ღვთის წყარო (ბერულავა, 1951: 75, სქოლიო, და იქვე მითითებული ლიტ-რა). იმავე ნაშ-

რომში, სხვა ადგილას წერს, რომ მიღეთელებს ამ ადგილისთვის დიოსკურია იმ ღმერთთა სადიდებლად დაურქმევიათ, რომლებიც ზღვაზე მიმოსვლის მფარველად, ქარიშხალთა დამწყნარებლად და კეთილი პირქარის მომვლინებლად ითვლებოდნენ (იქვე: 4).

პროფესიით ფიზიკოსი კ. ბარბაქაძე ტოპონიმის ბერძნულ ფორმას ქართულად გამოსახავს **დიოსკოურია** ფორმით, ვინაიდან **ა** ბგერას, ავტორის აზრით, **უი** დიფთონგი შეესატყვისება. ენის ელემენტური თეორიის მიხედვით ავტორი ქართულ ფორმას ერთობ ბუნდოვანი **დიაუაკუაჰიარია** კომპლექსის სახით ალადგენს და შენიშნავს, რომ ანტიკური ცნობებით დიოსკურიის მახლობლად, მთებში, ძვ. წ. VI ს-ში კორაქსები ცხოვრობდნენ და მათი ქვეყანა **Kopasiky**-დ იწოდებოდა. ეს უკანასკნელი, ავტორის აზრით, ტოპონიმ კორაქსეთის ბერძნული ვარიანტი უნდა იყოს და ეტიმოლოგიურად **დიასქერია**-ს შეესატყვისება. თუ ეს ასეა, – დასძენს ავტორი, – ქ. დიოსკურია კორაქსების მიერ უნდა იყოს დაარსებული და მისი თავდაპირველი ავტოქტონური სახელი დიასქერია იქნებოდა (ბარბაქაძე, I, 2010: 63). „ტოპონიმი **დიასქერია** კომპოზიტის **დია სქერია** სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ. დია ზევსი-ს ერთ-ერთი სახელია და დიდი ღმერთის და დედა ღმერთის მნიშვნელობის სახელია, რომელიც ლაზურად ნიშნავს შვილი (უფრო ზუსტად – ვაჟიშვილი). მათი გათვალისწინებით, ტოპონიმის **დიასქერია** მნიშვნელობა, ზევსის ვაჟიშვილი, დიდი ღმერთის ვაჟიშვილი და დედა ღმერთის ვაჟიშვილი იქნება“ (იქვე: 64).

ტოპონიმ **დიოსკურიის** ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხებს სხვა არაერთი ქართველი მკვლევარი შეხებია (პ. უსლარი, ს. ჯანაშია, ლ. სოლავიოვი, თ. მიქელაძე, ი. შენგელია, თ. მიქელაძე, ზ. ანჩაბაძე, თ. მიბჩუანი...). თ. მიქელაძე ტოპონიმში გამოყოფდა ღმერთთა დედის, ქალღმერთის აღმნიშვნელ ქართველურ **დია** სიტყვას. საუბრობს სკური სიტყვის ადგილობრივ წარმომავლობაზეც და ჩამოთვლის სკური სიტყვის შემცველ გეოგრაფიულ სახელწოდებებს დასავლეთ საქართველოში (მიქელაძე, 1974: 107-109).

სკურ სიტყვის მნიშვნელობის გაგებაზე მსჯელობისას თ. მიბჩუანი ყურადღებას ამახვილებს სვანურში **სგურ**-ი სიტყვის არსებობაზე და შენიშნავს, რომ ტოპონიმ დიოსკურიაში ნახმარ სიტყვას – სკურ, შესაძლებელია არანაირი საერთო არ ჰქონდეს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ სკურ ტერმინთან. სვანური სგურ-ი, თ. მიბჩუანის აზრით, ნიშნავს ჯდომას, საუფლოს. „ამ შემთხვევაში „დიასგური“ გაიგება, როგორც დედის დასაჯდომი ადგილი, დედაქალაქი, მით უმეტეს, რომ ასეთი შინაარსის მატარებელი ქალაქები... ბევრგან დასტურდება. სვანური „დიასგური“ – დედის საჯდომი ალაგი, შესაძლოა უკავშირდებოდეს ქართულ წარმართულ ღვთაებას – ადგილის დე-

დას. ადგილის დედა იყო ამა თუ იმ ადგილის მკვიდრთა და მის სამფლობელოში მოსული უცხო კაცის მფარველი... ადგილის დედა, ანუ „დედა ღვთისმშობლის“ სამლოცველო თუ ნიში თითქმის ყოველ სოფელში იყო. ასეთი სამლოცველო თუ ნიში უნდა არსებულიყო ამ დასახლებულ ადგილას, რომელსაც „დიოსკური“, ანუ დიასკური ეწოდებოდა.

ამგვარად, **დიასგური//დიასკური** ძველქართული ტერმინი ჩანს და ნიშნავს ადგილის დედას, ფუძის ანგელოზს, რომელსაც მეგრელები „ნერჩი პატენს“ და აფხაზები „აჟაჰარა“-ს ეძახდნენ“ (მიბჩუანი, 1987: 267). ბერძნულ **დიოსკურ**-თან („ტყუპი“) **დიასგურის** მსგავსების გამო ბერძნებს გეოგრაფიული სახელწოდება თავიანთი მითიური გმირებისთვის დაუკავშირებიათ (იქვე: 267-268).

ბ. გოგია დიოსკურიის უწინდელ ფორმად **დოსკიდუს** მიიჩნევს, ხოლო **მოსკიდუ**-დან თითქოს შეიქმნა ეთნონიმი მოსკი დიოსკურიის ჩრდილოეთით (გოგია, 2003: 120). „კოლხების მტკიცებით, – წერს ბ. გოგია, – დიოსკურებს მიუღწევიათ ქ. აიამდე, სადაც დარჩენილან (დოსკიდეს) კიდევ და იქვე დაუარსებიათ ქ. დიოსკურია და ჰენიოხთა ტომი“ (იქვე: 119-120). საქმე ისაა, განაგრძობს მსჯელობას ბ. გოგია, რომ **დოსკიდუს/დიოსკურიის** ეტიმოლოგიამ თავიდანვე შექმნა გაურკვეველობა. ავტორმა ორი ბერძნული ფორმის (დიოსკოროი, დიოსკუროი) არსებობა იმით ახსნა, რომ ის გააზრებულ იქნა ბერძნულად, როგორც „ზევისის შვილები“, ასევე ზანურად, როგორც „დიდი წყლის მასა“... ბერძნული კოროი „ბიჭუნა“ ფონეტიკურად, ე. ი. ომონიმიით, ძალიან ჰგავს ზანურ სკურს „წყალს“. უეჭველია, დაასკვნის ბ. გოგია, რომ დიოსკურიაში ორ გააზრებას (ბერძნული და კოლხური) უმუშავია“ (იქვე: 150). იმავე ნაშრომში, სხვა ადგილას, ბ. გოგია უფრო ვრცლად მსჯელობს ტოპონიმ დიოსკურიის წარმოქმნის გზების შესახებ და აღნიშნავს: თავიდან უნდა ყოფილიყო **ნწყვილი** ქალაქი, ანუ წყლით ნახევრად გარშემორტყმული (ნანილობრივ დაკარგული) ქალაქი და მეთევზეობით (ჩხომი, ჩხომუა, ჩხომაფა) ცნობილი ქალაქი აია. შემდეგ წყალს უკან უნდა დაეხია, ანუ უნდა გამშრალიყო (დოსკირუ, მეგრულად) და ქალაქის მშრალ ნაწილს უნდა დარქმეოდა **სკირი** („მშრალი“, მეგრულად), რომელიც ომონიმიით ახლოს დგას ბერძნულ კუროს-თან („ვაჟი“). ამიტომ, აქაურ კოლხებში უნდა გავრცელებულიყო თქმულება აქ დარჩენილ (დოსკილადირ „შერჩენილ“, „შეკედლებულ“ – მეგრულად) ტყუპ დიოსკურთა, ანუ ზევისის ტყუპ ვაჟთა მიერ ქალაქის დაარსების შესახებ. ასე რომ, ქალაქ **სკირს** („მშრალს“), ანუ ქალაქ **დოსკიდეს** („დარჩენს“, მეგრულად) ომონიმიით მიანიჭეს ბერძნული სახელწოდება დიოსკურია („ზევისის ვაჟები“). მოგვიანებით, კოლხები ბერძნულიდან თარგმნიდნენ დიოსკურთა ტყუპობის მნიშვნელობას და მიღებულ მეგრულ თარგმანს (რწყუმი) აქცევდნენ დიოსკურიის ალტერნატიულ სახელწოდებად: ტყუპთა ქალაქი“ (გოგია, 2003).

გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებ ბ. გოგიას ეტიმოლოგიური მსჯელობანი, კერძოდ, ტოპონიმ დიოსკურიის დაკავშირება მეგრულ **დოსკიდუ** ზმნასთან, უმართებულო და ლიმილის მომგვრელია და აქ მასზე სიტყვას არ ვავარძლებთ...

ვ. კვარჭიას აზრით, „Правдоподобные объяснения этимологии Диоскурия можно строить и на базе абхазо-адыгских языков, например, срав. **Диоскур** с абх. **Тызгуар** «стенная ограда», где тызы «стена» и **гуара** «ограда» при том, что совр. абхазские названия г. Сухум – Аҭәа, в прошлом означала «крепость» и т. д.» (Кварчия, 2006: 160-161).

ო. ხუხუას მიაჩნდა, რომ დიოსკურია მომდინარეობს **დინასკურია**-დან და „მშრალ მიწას“ ნიშნავს: „მას არაფერი აქვს საერთო არც ბერძნულ დიოსკურებთან და არც წყალთა ღვთაებასთან“ (ხუხუა, სესიის მასალები, 2002: 29).

სკური/სქური მეგრულში აღნიშნავს „ხევს, ხევი მდინარს, ღელეს“; **სქურია** პატარა ღელეა, ნაკადულია (ქობალია, 2010: 599). **დია/დიდა** იგივე „დედაა“. შდრ. **დიაბუა** „დედამზე“, **დიადინა** „დედამინა“, **დიათქვანი** „დედათქვენი“, **დიანთილი/დიანთირი** „დედამთილი; სიდედრი“, **დიალორონთი** „ქალღმერთი; ღვთისმშობელი; ღმერთების დედა, დედამღმერთი“, **დიაჩქიმი** „დედაჩემი“ და ა. შ. (ქობალია, 2010: 240).

შდრ. ძვ. ქართ. **დიადი** „ბევრი“: აღმოიღო **დიადი** და მისცა მას; ბზე და საჭმელი **დიად** არს ჩუენსა... მომდინარეობს **დიდ-ად-ი** ფორმისაგან, რომელიც სიტყვა **დიდი**-ს **-ად** სუფიქსით ნაწარმოები დერივატია. ძვ. ქართ. **დიდად-ი** „ბევრი“, „მრავალი“, „ძლიერი“. ბ. გიგინეიშვილის აზრით, „**დ-ს** ჩავარდნა ან ლაუტში ხმოვანთა შორის ძველ ქართულში ჩვეულებრივ ხდება მაშინ, როცა სიტყვაში მეორე **დ-ც** გვაქვს და, ამასთანავე, თუ **დ-ს** წინ უძღვის პალატალური ხმოვანი (ე ან ი): შდრ. **დედა-კაცი** → ***დეა-ცი** → **დიაცი**, **დედუფალი** → **დეუფალი**, **დედოფალი** → **დეოფალი**, **დედასახლისი** → ***დეასახლისი** → **დიასახლისი**, ე. ი. **დ-ს** დაკარგვას დისიმილაციური ხასიათი აქვს“ (გიგინეიშვილი, 2016: 125).

„ლაზურ-მეგრული გრამატიკის“ ავტორთა თვალსაზრისი ასეთია: შემთხვევითი არ არის, რომ აფხაზეთის თითქმის ყველა მსხვილი ტოპონიმი ზანურის (მეგრულის) ნიადაგზე აიხსნება. სახელწოდება **დიო-სქურ-ია** „სოხუმი“ **ბევრ/დიდ წყარო**-ს უნდა ნიშნავდეს, რაც ბუნებრივი ჩანს თვით სოხუმის ადგილმდებარეობისთვის (**დიო** = ქართ. **დია** – „ბევრი, ძალიან“ რუსთაველთან + **სქურ-წყარო**, ღელე“) (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, I, 2015: 12).

ჩვენი აზრით, **დიასქური** იგივეა, რაც „დედამდინარე“. ტოპონიმი **ტანწყარის** მნიშვნელობის შემცველია. **ტანწყარი**, ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ გან-

მარტებულია, როგორც „დედამდინარე შესართავების გამოკლებით, წელი მდინარისა“ (ქობალა, 2010: 600).

ამასთანავე, „დიასქურს“ მეგრულში მეორე მნიშვნელობაც შეუძენია და ესაა „ორი მდინარე“ (იქვე: 240). დიასქურის აქ მოხმობილი ორივე მნიშვნელობა შესაძლებელია ტოპონიმ „დიოსკურიის“ ამოსავალი ყოფილიყო.

შდრ.: **სკურდღაი/სკურდღაიმ ლეე/სკურდღეე** მდინარე და ხეობა გაჭედისა და სკურდში; სათავეს იღებს ჟინოთაში და გაჭედის-ინჩხურის საზღვართან, და მარჯვნიდან უერთდება აბაშას. ქართულ ტოპონიმიაში საზღვრული სიტყვა „დიდი“ შემოკლების გარეშეა წარმოდგენილი (გადიდი, ზუგდიდი, ჭყონდიდი...), მაგრამ გვაქვს გამონაკლისიც სკურდისა და გორდის სახით (ბედოშვილი, I, 2001: 108-109). ჰიდრონიმ „სკურდის“ უწინდელი ფორმა **სკურდიდი** უნდა ყოფილიყო. დ. ფიფიას განმარტებით, სქური იგივე „ლელეა“. **სკური/სქური** ღრმა და ფართოხეობიანი მდინარის, ან ტყე-ხეობის აღმნიშვნელია, სადაც ლელე ან მდინარე გაედინება. მაშასადამე, სკურდი (სკურდიდი) „ტყე-ხეობაში მომდინარე დიდი ლელეა“. მდინარისა და სოფლის სახელი ჰაპლოლოგიის (მარცვლის ამოვარდნის) გზით უნდა მიგვეღოს.

სკურ-სქურ- ფუძის შემცველი ტოპონიმები სამეგრელოში მრავალგან დასტურდება. აქვე საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ სკურ-//სქურ- სიტყვის შემცველ ზოგიერთ ჰიდრონიმს:

სკურდ(იშ)ღაი/სკურდიშ წყარი – ლელე ნახურცილავოში (მარტვილის რ.);
სკურეფია/სკურებია – ლელე და ხეობა საჩინო-კუხეშში (წალენჯიხის რ.);
სკურჭემიაშ ლალე – ლელე და ხეობა პირველ ნამიკოლავოში (მარტვილის რ.);

სკურდილაღალე/სქურდილა – ლელე და ხეობა ფახულანში (წალენჯიხის რ.);

სქურდილაშ წყურგილი – წყარო (წალენჯიხა);

სქური – მინერალური წყალი და კურორტი (წალენჯიხის რ.);

სკურია – მდინარე, ჯაბხენის ზემონელი სოფ. ზემო ქვალონში;

სკურიამდული/ღვინკილურიშ წყურგილე – წყარო ღვინკილურში (ზემო ქვალონი);

სქურიშ წყარი/აბანოშ წყარი – ლელე ლეჯიქეში (ქვედა ჩხორონწყუს თემი, ჩხორონწყუს რ.);

სქურჩა/სქურჩა „შავი სქური“ – ლელე აბედათის თემში;

სქურჩა/მაჟია სქურჩა/გალენსქურჩა/ლაჩახვამ სკურჩა – მდინარე და ხეობა ნაკიფუ-ჯუმითში (ჩხორონწყუსა და წალენჯიხის რ.);

სკურჩა/სქურჩა – ლელე; უტორის მარჯვენა შენაკადი (სოფ. დიდი ნეძი);

სქურჩე „თეთრი სქური“ – მდინარე, რომელიც გაივლის ლეთკანოს, ლეჯოლიხეს, ულურიას, ჯუმიტოს (ნალენჯიხის რ.);

სქურჩე/სქურჩელა – მდინარე (ჩხორონწყუს რ.);

სქინასქური//სქინესქური – ლელე და ხეობა მაზანდარასა და ნალენჯიხაში (ნალენჯიხის რ.);

სქურხუმლა//სუხუმლა – სქურდილას ზემონელი ობუჯში (ნალენჯიხის რ.);

ეკისკური//ეკუსქური – მდინარე; ციის მარცხენა შენაკადი ეკის თემში... გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შეცდომითაა მითითებული **ეკისყურა** (ორთოგრ., 1987: 39). შდრ.: **სქურმენჯი** ტოპონ. ადგილი, სადაც ადრე მლაშე ლელე მიედინებოდა. **სქურმენჯი < სქური-მენჯი** ლელე მლაშე (ქაჯაია, IV, 2009: 484); **სქურჩე** ტოპონ. შდრ. **სკურჩა. სკურჩე < სქური-ჩე** ლელე-თეთრი (იქვე).

§5.16. ვარჩა

ვარჩა ეწოდება სოფელს აფხაზეთის შავიზღვისპირა დაბლობზე, გულრიფშის რაიონის ბაბუშარის თემში, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირას. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის ცნობარის მიხედვით ბაბუშერის თემში შემავალი სოფელი **უარჩედ** იწოდება. მისი ამჟამინდელი სახელია **უარჩა**. ენათმეცნიერ თ. გვანცელაძის აზრით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველურ ტოპონიმთა ორი ფენა გამოიყოფა: ისტორიული – მრავალი საუკუნის განმავლობაში წერილობით წყაროებში დადასტურებული, და ახალი – XIX ს-ის II ნახევრიდან გაჩენილი. ტოპონიმთა ერთი ნაწილის წარმომავლობა სადავოა. „ამ რიგის ტოპონიმებს, – წერს თ. გვანცელაძე, – აქვთ ორი – აფხაზური და ქართული ვარიანტი (კ⁰დრე – კოდორი, ოჩამჩერა – ოჩამჩირე, უარჩა – ვარჩე, ელერ – ილორი, ფაქ⁰აშ – ფოქევი, კ⁰ტოლ – კვიტოული, ჯ⁰რლ⁰ლ – ჯერლული, ტყ⁰არჩალ – ტყვარჩელი და მრ. სხვ.). ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ რიგის ტოპონიმები ქართველური წარმოშობისაა და აფხაზური ვარიანტები მათგან არის მიღებული. პირუკუ პროცესის დაშვებას ეტიმოლოგიასთან ერთად ხელს უშლის სესხების კანონზომიერებანი – აფხაზურ ვარიანტებს ისეთი ფონემატური სტრუქტურა აქვთ, რომ მათგან ქართული ვარიანტების მიღება ვერ იხსნება“ (გვანცელაძე, II სამეცნ. კონფ., 1989: 14). ტოპონიმ „ვარჩეს“ ეტიმოლოგიასა და წარმომავლობის საკითხზე მსჯელობისას საგულისხმოდ გვეჩვენება აკად. ქ. ლომთათიძის თვალსაზრისი, რომ სესხების დროს ქართული ენის **ე** ხმოვანი აფხაზურს ძველ ნასესხობებში მუდამ **ა** ხმოვნით აქვს შეცვლილი. „აფხაზურ-აბაზურისათვის უცხო იყო **ე** ხმოვანი,

– წერს მკვლევარი, – ამას ნათელყოფს ნასესხები მასალაც. სხვა ენათაგან ადრე შეთვისებულ სიტყვებში **ე** ხმოვანი გადმოცემულია **ა** ხმოვნით. შდრ. მაგ., ქართულიდან აფხაზურში შესული: წესი – აწას, ჯიბე – აჯჷბა, კამეჩი (მეგრ. კამბეში) – აკამბაშ, გამდელი („განდელი“) – აგანდალ, მონაფე – ამანაფა, საკაცე – ასაკასა, ჩელტი – აჩალტ, სანებელი – საძბალ, ივანე – იუანა (შდრ. რუსულის გზით შესული – ივან!“) (ლომთათიძე, 1976: 47). ქ. ლომთათიძე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, „რომ ნასესხებ მასალაში **ე** ხმოვანი უკანაენისმიერთა და ფარინგალური **ყ**-ს მომდევნოდ გადმოცემულია იმავე **ა** ხმოვნით, მაგრამ ინვესს სათანადო თანხმოვანთა გაპლატალურებას (რაც უნდა მიუთითებდეს აღნიშნულ გარემოცვაში სხვა ენათა **ე** ხმოვნის დიფთონგურ გადმოცემაზე). შდრ. მაგ., ქართულიდან აფხაზურში შესული კეტი – აკ’ტ, სარკე – ასარკ’ა, სარეკელი – ასარკა’ლ, გედი – აგ’ად, გემო – აგამა, სახე – ასახ’ა („სურათი“), უწყება – აუწყაბ’ა და მისთ.“ (იქვე). გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელწოდების ამოსავალია მეგრ. **ორჩეს** – „დიდი ყანის“ **ორჩე** ვარიანტი, რომლისგანაც უნდა მიღებულიყო აფხაზური **უარჩა**. „ქართული ვარიანტი, – წერს თ. გვანცელაძე, – ნამდვილად მომდინარეობს აფხაზური სახეობისაგან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზური ფორმა პირველადი იყოს. ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს ზემოთ უკვე ხსენებული მეგრული **ორჩე** სახელის **ორჩე** ვარიანტი, რომელშიც ფუძეში სონორ ბგერათა ჩართვის მეგრულისათვის დამახასიათებელი ტენდენცია ვლინდება. მეგრული **ორჩე** ფორმისაგან აფხაზური სახეობა მიღებულია შემდეგნაირად: თავკიდურა **ო** ხმოვანი დაშლილია **უა** კომპლექსად... ხოლო ბოლოკიდურა **ე** ხმოვანი კანონზომიერად გადასულა **ა** ხმოვანში. ამის გამო ქართულად უნდა ინერებოდეს და გამოითქმოდეს არა ნააფხაზარი **ვარჩა** სახელი, არამედ მართებული **ორჩე** ფორმა“ (გვანცელაძე, 2011: 253-254). როგორც ჩანს, თ. გვანცელაძე ავითარებს გიორგი როგავას შემდეგ თვალსაზრისს: „აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში ერთი სოფლის სახელწოდება ვარჩე მეგრული **ორჩე**-ს აფხაზური გამოთქმა უნდა იყოს (**რ**-ს ჩათვლით)“ (როგავა, თსუ შრომები, 93, 1960: 181). ამ თვალსაზრისს იზიარებენ პ. ცხადაია და ბ. ხორავა (ცხადაია, ხორავა, 2016: 91).

ვალერი კვარჭია წერს: «**Уарча**... Название села фиксируется Платоном Зубовым в 1835 году как **Аварга** (видимо опечатка, должно – **Аварче**). Далее оно в списке населенных пунктов Абхазии первой половины XIX столетия не значится. На карте 1845 года (К-22) обозначена река **Верче** (малый Кодор) между речкой Скурча (указано Сцкурча) и Кодором. Встречается и форма **Барча** (Карта лесов ССР Абхазии. 1928).

Уарча, возможно, восходит к Кораче, упоминаемой Каstellи как название второго рукава р. Кодор и Черного моря. Он пишет: «Дранда. Здесь возле р. Кораче есть один епископ. Его называют Дранда. Это страны Абхазии» (Гамахария Д., Гогия Б. Указ. раб., с. 251).

Кора-че на тюрк. означает «черная вода», срав. **Карачай** (страна за верховьем р. Кодор), означающее то же самое. **Кора-че** в абхазском произношении препозиционное к может быть ассимилированным постпозиционным **ya – Кэарча** → **Уарча**. На мегрельской стороне, т. е. за рекой Кодор Кораче могло приобрести форму **Курча – Скурча** – отсюда абхазское **Шәқәыр-ча** (вместе с тем последние могут быть из абхаз. **Зкәырча** «мелкий рукав реки»). Если не вдаваться в историю, то современное **Уарча** в прямом переводе означает «хлеб инородцев» – от **ауар** «инородцы», «сброд людей» и **ча** «хлеб». И в действительности земли с. Уарча хоть и плодородны, но затопляемы р. Кодор, потому они в прошлом отдавались в аренду разным пришельцам» (Кварчия, 2006: 255-256). ტოპონიმ „ვარჩეს“ შესახებ წარმოდგენილი ვ. კვარჭიასეული ეტიმოლოგია, ვფიქრობ, დამაჯერებლობას აშკარად მოკლებულია.

ქართულიდან აფხაზურში სესხებასთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით, გამორიცხული არაა, რომ სახელწოდებას საფუძვლად ედოს მეგრ. **ვერჩე** „ველთეთრი“. მაშასადამე, **ვერჩე** → აფხ. **ვარჩა** → **უარჩა**.

ვერჩე ტოპონიმებად დასტურდება სამეგრელო-სამურზაყანოში. კერძოდ, ასე ეწოდება საძოვარს ლარანყარის მარჯვენა შენაკადის – ხურჩის ზემოთში (ლარა, ნაგურუ, წალენჯიხის მუნიციპ.); 2. ტყე-საძოვრებს ფურაშში, დიდსოროს სათავესთან (ხუდონის სატყეო); საძოვარს ლაკადის კალთაზე. პარალელური სახელწოდებაა **წელამონი** (ცხადაია, I, 2004: 39; მისივე, 2015: 256). პ. ცხადაიას განმარტებით, **ვერჩე** „ველთეთრი“ აღნიშნავს ტყეში მდებარე მცირე მინდორს (ცხადაია, I, 2004: 39). სხვაგან განმარტავს, რომ ლაკადის კალთაზე წელამი „შალაფა“ ახლაც ამოდის. ერთი ხეც არ დგას არსად და ამიტომ ადგილისთვის **ვერჩეც** უწოდებიან (მისივე, 2015: 256). მკვლევარი იმონშებს რესპონდენტთა განმარტებას, რომ **ვე** (← ველი) იგივე **ტალარია**, ე. ი. მზიანი მინდორი, სადაც არც ერთი ხე არ დგას (ცხადაია, დასახ. ნაშრომი, 2015: 85). **ვერჩე//დიდი ნაქობალუ** ეწოდება მინდორს კვდას ფერდობზე, ჭიჭე ნაქობალის გვერდით, სოფელ ჩქვალერში. რესპონდენტი განმარტავს: „ვერჩე უხონ ადგილი რე, ვაგიტახენ ფერი. გამიგონებუ: ვერჩეს ქიგმორაგუუა ი კოჩქე, მა ჯგერი ოხონალი რდენ მიჩქვდუა (ვერჩე უხნავი ადგილია, არ დაიხვნება (გატყდება) ისეთი. გამიგონია: ვერჩეზე დამაგდოო იმ კაცმა, მე კარგი სახნავი

იყო მეგონაო, – ი. კ.)“ (ცხადაია, 2015: 85). ტოპონიმ „ვერჩეს“ ალ. ლლონტი სათიბის სახელწოდებად მიუთითებს გალის რ-ნის სოფ. მუხურში (ლლონტი, I, 1971: 61). ამ სახელწოდებით ცნობილია სახნავი, ნატყევიარი ერისწყლის მარჯვენა ნაპირას, პირველ შეშეღეთში. აქვე, მდ. ერისწყალზე მდებარე ფონს, ვერჩეს მახლობლად, **ვერჩეშფონი** ჰქვია (გალის რ.). ვაკე-სახნავებს ენგურის მარჯვენა მხარეს, დიხაზურგის თემის სოფ. ზენში ვერჩეს ეძახიან. აქვეა მორევი **ვერჩეშდუღის** სახელწოდებით. ვერჩე ჰქვია მცირე მინდორს ტყეში, ჭიჭე აკიბოსა და დიდ ნუზუნს შუა, სამურზაყანოს მთაში. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა იმონმებენ პროფ. იოსებ ყიფშიძის განმარტებას: ვერჩე ← ვე რჩე „ველი თეთრი“, და იქვე დასძენენ, რომ ვერჩე ეწოდება გამინდვრებას ტყეში, ტყეშემორტყმულ მცირე ველს (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 69-70); **ვერჩესუკი** გორა-საძოვრის, თარზენის განშტოების სახელწოდებაა ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურში. მკვლევარი პ. ცხადაია ობიექტს ამ სახელწოდებით მიუთითებს ჩელალსა და დიშქამ გიორღვაფუს შუა და იქვე იმონმებს რესპონდენტის განმარტებას: „ბაბუაჩემის გადმოცემით, აქ უღრანი ტყე ყოფილა და მხოლოდ ერთგან ჰქონია ვერჩე – მცირე ველი ტყეში. ახლა საძოვარია“ (ცხადაია, 2008: 140). ა. ქობალია „მეგრულ ლექსიკონში“ **ვე** სიტყვას განმარტავს როგორც „ველს, ველობს; ჩრდილიან ადგილს“; **ვეე** სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ველი, ველობი; ჩრდილოვანი ადგილი“. ვერჩე „თეთრი ველობია, სინათლიანი ადგილია ტყეში“ (ქობალია, 2010: 306).

მასასადამე, ჩვენი კვლევისთვის საინტერესო ოიკონიმი **ვარჩა** უნდა მომდინარეობდეს მეგრ. **ვერჩე** ფორმიდან და ნიშნავს „ტყეში მდებარე სინათლიან ადგილს“, „დაბურულ ტყეში ჩამონათებული შუქით განათებულ ველობს“. სახელწოდების ერთ-ერთი კომპონენტია მეგრ. **ჩე/რჩე** „თეთრი“ (შდრ. **რჩელა/ჩელა** „თეთრონი, თეთრგვრემანი“; **რჩელაია/ჩელაია** „თეთრონი, თეთრა“).

მეგრ. **რჩე/ჩე** ვარიანტი პროტოზანური ***ხჩე**-დან **ქჩე** საფეხურის გავლით (ქჩ → რჩ) უნდა იყოს მიღებული. ამასთანავე, იმავე **ქჩე** საფეხურიდან ხოფურში სპირანტიზებული **ხჩე** ალომორფი განვითარდა და სწორედ ეს **ხჩე** „თეთრი“ ფიქსირდება გურია-იმერეთში **სუ-ხჩე**-ს და **ტობა-ხჩე**-ს (**ტობა-ხჩა**) სახით. რამდენადაც ხ → რ ტრანსფორმაცია მეგრულში ნებისმიერ კომპონენტში აკრძალული ჩანს, ამიტომ **ხჩე**-დან მეგრული **რჩე**-ს მიღება ფონეტიკურად შეუძლებელია, – ფიქრობენ „ლაზურ-მეგრული გრამატიკის“ ავტორები (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, I, 2015: 7).

მეგრ. **რჩ-//ჩ- ჩე** „თეთრი“ გამოიყოფა სიტყვებში: **რჩ**-ინ-უ „ბებერი; მოხუცი“; **გა-რჩ**-იელ-უ „გაათეთრა“; **მა-რჩ**-იელ-ა „მასავით თეთრი“; **უ-ჩა** „შავი“; **ო-რჩ**-ინ-უ-ე „სიბერე“. **ლაზ. ქჩ-//ხჩ-//ქჩ-, ქჩ-ე//ხჩ-ე/ჩქ-ე** „თეთრი“; **ქჩ**-ინ-ი//

ხჩ-ინ-ი „დედაბერი“; დვ-ა-**ხჩ**-ან-უ „გაუთეთრდა; დი-**ხჩ**-ან-უ „გათეთრდა“... ეტიმოლოგიურად უ-ჩა „შავი“ ამავე ძირს უკავშირდება და ნიშნავს „არათეთრს“ (ვ. თოფურია). თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, მეგრული **ჩ**-ე („თეთრი“) და ლაზური **ხჩ**-ე//**ქჩ**-ე/**ჩქ**-ე ფუძეები ***ჯც**-ე ფუძის კანონზომიერი შესატყვისია, მეგრული და ლაზური ფუძეების ბოლოკიდური ე < * ა-ი უმლაუტის შედეგად (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965: 166; მსჯელობისათვის იხ. ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 501-502).

სახელწოდების მეგრ. „ოჩე“ („5-6 ქცევა ყანა, ხოდაბუნი, დიდი და ნაყოფიერი საყანე ადგილი; ძველად უხუცესის კუთვნილი მიწა“) სიტყვასთან დაკავშირებას ართულებს ოიკონიმ ვარჩე-ში რ თანხმოვნის არსებობა. ჩვენ მიერ დამოწმებული მნიშვნელობებით ოჩეს პარალელურ ფორმად სამეგრელო-სამურზაყანოს მეგრულში ორჩე ვარიანტი არ გვხვდება. შდრ. ველი-ი მინდორი, ველი, გაშლილი ადგილი. ძვ. ქართ. ველი (წერილობით დამოწმებულია V ს-დან); საშ. ქართ. ველი. მეგრ. შესატყვისია ვე/ვე. გ. კლიმოვი სარწმუნოდ მიიჩნევს პ. ჭარაიას მიერ მეგრ. ვე/ვე-ს და ქართ. ველი-ს დაკავშირებას და ფრჩხილებში აღადგენს ლ-ს (ველ). ბ. გიგინეიშვილი ქართ. ველი-ი : მეგრ. *ველი-ი საფუძველზე აღადგენს ქართულ-ზანურ არქეტიპს უელი-ის ფორმით. სვანური ფორმა უელ ნასესხები ჩანს ქართულიდან (გიგინეიშვილი, 2016: 157).

§5.17. ზუფუ/ზზიფი

„ალაცოს წყლის დასავლით დის ზუფუს მდინარე, გამოსდის კავკასს, დის სამწრით, მიერთვის ჩდილოდამ ზლუას არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მპყრობლობს აფხაზთა, არავის მორჩილებასა შინა მყოფი. ამ ზუფუს დასავლით დის მუნის-წყალი. გამოსდის კავკასსავე, მოერთვის ჩდილოდან ზლუას. ამ მუნის-წყლის დასავლით არს ბიჭვინტას ეკლესია დიდი, დიდმენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზღვს კიდესა ზედა“ (ვახუშტი, IV, 1973: 783-785).

ამჟამინდელი გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის უწინდელ სახელწოდებად ზუფუა მიჩნეული, რომელიც ვახუშტის ცნობით, იყო „მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძეთა“; ხოლო მდ. ხიფსთას, როგორც ფიქრობენ, ზუფუს-წყალი რქმევია. მდინარის სახელწოდება „ზუფუს-წყალი“ აღნიშნულია 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზეც.

ვახუშტისეული „ზუფუს მდინარე“ ახლანდელი მდ. ხიფსთა//თეთრწყალა უნდა იყოს. აღნიშნული მდინარე მიედინება გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზე. სათავეს იღებს ბზიფის ქედის სამხრეთ ნაწილში, მდინარეების –

ხიფსთისა და ააფსთის სათავეებში მდებარე იმავე სახელწოდების მთაზე, ზ. დ. 2134 მ სიმაღლეზე და შეერთვის შავ ზღვას. მდინარის სიგრძე 33 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი – 166 კმ² (აფხაზავა, ქსე, XI, 1987:486).

ვახუშტი საუბრობს მდინარის სახელწოდების მატარებელ, მცირე ქალაქის (დაბის) მსგავს დასახლებულ პუნქტზეც, სადაც ყოფილა აფხაზეთის მთავარ შარვაშიძის რეზიდენცია. ირკვევა, რომ ზუფუ შერვაშიძის (ადრინდელი ფორმა: შარვაშის ძე, შარვაშიძე, აფხ. ჩაჩბა, აჩაჩბა) „სახლი და საყოფელია“. ამასთანავე, შარვაშიძე „მპყრობლობს აფხაზთა, არავის მორჩილებასა შინა მყოფი“.

აკად. პ. ინგოროყვას დაკვირვებით, აფხაზეთის სამთავროს ძირითადი მხარე ჩაჩის თემი იგივე საშერვაშიძეოა და მოიცავდა გუდაუთის რაიონის ტერიტორიას, ცენტრით – სოფ. ლიხნში. ამ უძველესი საგვარეულოს წარმომადგენლები ჯერ კიდევ XII ს-ის 80-იანი წლებიდან იწოდებოდნენ ცხუმის ერისთავებად.

ლიხთ-იმერეთის რუკაზე გამოსახულია მდინარე და დასახლებული პუნქტი ზუფუს სახელწოდებით (ბურჯანაძე, „მოამბე“, I, 1959: 193).

იაკობ რაინეგსი შენიშნავს, რომ ანაკოფიის სამხრეთით, ოცდაათი ვერსის დაშორებით მდებარეობს გამაგრებული, პატარა აფხაზური ქალაქი ზუფუ, მცირე სიღრმის არამყუდრო ნავსადგურით. ამ ქალაქის მეორე, არასწორი სახელწოდება **კულ** წარმოდგება მოშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ენგურზე მდებარე დიდი აფხაზური სოფლის სახელწოდებისაგან (რაინეგსი, 2002: 108).

გერმანელი მოგზაური ცდება, როცა ზუფუს ანაკოფიის სამხრეთით მიუთითებს. სინამდვილეში ზუფუ მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. იმავე ნაშრომში სხვა ადგილას აღნიშნავს, რომ ანაკლიის ჩრდილოეთით ცხოვრობენ ლაძები ან ლაზები. მათ მცირედ ნაყოფიერ, ქვიშიან მიწას რწყავს მდინარეები – ალატისი და ზუფი (იქვე: 113).

ზუფუს სასახლეს არაერთგზის ასახელებს ნიკო დადიანი. აფხაზეთის აღწერისას იგი შენიშნავს, რომ „აქაურის მთავრის სასახლე არს ზუფუს“ (1962: 152). მემატთანე სხვაგან აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ჩასული არჩილ ბაგრატიონი „ისტუმრა“ შარვაშიძემ „და იყოფებოდა ზუფუს ჟამ-რაოდენმე“ (იქვე: 166). „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი გვაუწყებს, რომ იმერთა მეფე სოლომონ I-მა (1752-1784 წწ.) ცოლად შეირთო ზუფუელი თავადის – ინალისშვილის ასული (იქვე: 178) და რომ „დადიანის საზღვარს იქით“ ზუფუს მფლობელი იყო ზურაბ შარვაშიძე (იქვე: 180, 183). ნ. დადიანის ცნობით, ზუფუშივე ცხოვრობდა დადიანის სიძე საფარ-ბეგ, ძე ქელაიშ აჰმედ-ბეგისა

(იქვე: 197). წერილობით წყაროებში გვხვდება პარალელური „ხუფუ“ ფორმაც (Кварчия, 1985: 63).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნიკო დადიანის თხზულების პირველ ნაწილში შემოკლებულადაა გადმოცემული ვახუშტის „აღწერა“, საკუთრივ აფხაზეთის მდინარეთა (მათ შორის ზუფუს) ვახუშტის მიერ წარმოდგენილი ფორმით მოხსენიება ბუნებრივია, და ამაში გასაკვირიც არაფერია (ბერაძე, 1998: 105) მაგრამ საქმე ისაა, რომ ნიკო დადიანის დროსაც ეს პუნქტი ზუფუს სახელით იყო ცნობილი. ამას მოწმობს „ქართველთა ცხოვრების“ მესამე, ორიგინალური ნაწილი, სადაც წარმოდგენილია პერიოდი 1750-იანი წლებიდან 1823 წლამდე. თხზულების ავტორი 1821 წელს აფხაზეთის მთავარ საფარ-ბეგ შარვაშიძის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობასთან დაკავშირებით გვაუწყებს, რომ თუბუნისა (ცხომის) და მის შემოგარენში მდებარე სოფლების, აგრეთვე შარვაშიძეთა სასახლის აოხრების შემდეგ ბრძოლით დამაშვრალი ლაშქარი აყუს ციხეში დაბანაკებულა. რამდენიმე დღეში, – აღნიშნავს მემატიანე, – ჩვენ წარვედით ზუფუს. და რა მივედით სასახლესა შინა შარვაშიძეთა, დავებანაკეთ. და მოვიდენ ყოველნი ზუფუელნი“ (იქვე: 210). მაშასადამე, თხზულების ავტორი თვითონ იყო ამ ლაშქრობის უშუალო მონაწილე და მეთაური და ბუნებრივია, მისი ცნობები ზუფუს შესახებ სანდოობას იმსახურებს.

ქ. ლომთათიძე არ იზიარებს პავლე ინგოროყვას თვალსაზრისს სახელწოდება „ბზიბის“ ქართ. „ბზა“ სიტყვის მრავლობით ფორმასთან („ბზები“) დაკავშირების შესახებ. პ. ინგოროყვა, – აღნიშნავს მკვლევარი, – ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ აფხაზურში მას ბზფ-ი ეწოდება და არა ბზიბი. მისი ეტიმოლოგიის მიხედვით ეს ქართული სიტყვა ბზების სახით უნდა ყოფილიყო შემონახული, მაგრამ ეს ასე არ არის. ქ. ლომთათიძეს საყურადღებოდ ერჩენება ის ფაქტიც, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ამ სახელს ფ თანხმოვნით იცნობს. **ზუფუ** უბიხური **ბზიფ**-ის მეგრული გამოთქმა უნდა იყოს, სადაც **ბზგ//ბზი** უბიხურად „წყალია“, ხოლო **ფ** – აფხაზურ-ადიღურ ენებში გავრცელებული ტოპონიმიური სუფიქსი (ლომთათიძე, №12, 1956: 133). ამ მოსაზრებას არ იზიარებს კ. ოკუჯავა და აღნიშნავს, რომ ბზიფის ხეობასა და მისგან საკმაოდ დაშორებულ ლიხნში (ზუფუში) საისტორიო წყაროები უბიხთა დასახლებას არ ადასტურებს (ოკუჯავა, 2012: 45). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბზიფი 1318 წელს შედგენილ რუკაზე დატანილია Cavo de Buxo სახით, რაც ნიშნავს „ბზის ნავსადგურს“, აკად. გიორგი ახვლედიანი ფიქრობდა, რომ აქ იგულისხმება სოფლის სახელწოდება „ბზები“ და ეს სახელი მას ბზის ტყეების სიმრავლის გამო დარქმევია, როგორც ამას ფიქრობდა პავლე ინგოროყვა. ბზები შეიძლება დარქმეოდა ბზებიან სოფელს, ან ბზის ტყეს (ახვლედიანი,

„მნათობი“, №2, 1957: 109-110). აფხაზ. **ბზგზ** სწორედ ქართული „ბზების“ ფონეტიკურად ადაპტირებული ფორმაა. მ. ჩუხუა სწორედ ქ. ლომთათიძის თვალსაზრისს იზიარებს ჰიდრონიმ „**ბზიბის**“//„**ბზიფის**“ უბიხურ წარმომავლობასთან დაკავშირებით და დასძენს: უბიხ. **ბზგ-ბგ** ნიშნავს „დიდ (წყალუხვ) მდინარეს“, ხოლო აფხაზური ნამდვილად არ არის. სწორედ უბიხურ **ბზგ-ბგ** ფორმას მოუცია **ზუზუ/ზუფუ** ფორმა მეგრულში. შდრ.: **ბზაკალ-ი** → **ზაკალ-ი** „ბზა“; ს.-ქართვ. ***ზნი-არ-** „გაბზარვა“, ქართ. **ბზარ-ვ-ა**, **ბზარ-ი**; ზან. (მეგრ.) **ზიორ-უ-ა** – „გაბზარვა“, **ზიორ-ი** – „ბზარი“. „მეგრულში თავკიდური **ბზ** კომპლექსი გამარტივდა – **ბზ** → **ზ**“ (ჩუხუა, 2007: 130). ქართ. **ბზარ-** : მეგრ. **ზიორ-**.

ტოპონიმ „ზუგდიდის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას პროფ. შ. მესხია შენიშნავდა: „დასავლეთ საქართველოში ასე გავრცელებული ზუბი-ი, ზუფი-ი იქნება დასავლურ-ქართული ეთნიკური ტერმინიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელი იყოს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევისთვის დამატებითი საგანგებო კვლევა-ძიებაა საჭირო“ (მესხია, 1967: 250).

ს. ბახია-ოქუაშვილი ჩამოთვლის აფხაზეთის ჰიდრონიმებს: ფსოუს, ფსის-თას, ხიფსთას, იუფშარას, ლაშიფსეს, ფსირცხას, გუმისთას, მჭიშთას, შავწყალას, კელასურს, ტყვარჩელს, მაჭარას, ცხუმს, ზუფუს, ამტყელს, ჩხალთას, ცხენისწყალს, ოხოჯას და ა. შ., და აღნიშნავს, რომ „ამ მდინარეების სახელწოდებათა უმეტესობა სემასიოლოგიურად წყალსა და წყალთან სიახლოვეს გულისხმობს და შეიცავს იმ სიტყვას, რომელიც ჩვეულებრივ წყლის ან წყლიანი ობიექტების აღსანიშნავად გამოიყენება“ (ბახია-ოქუაშვილი, 2010: 196). ვ. კვარტია აღნიშნავს: „мы склонны усматривать в гидрониме Бзып сложную основу пьзы, букв. означающую «абхазская река» – от основы самоназвания абхазов апысуа – пьсы и зы «вода, река», (ср. Пьсоу, Пьсхәы). Пьсыпы (озвонченная его форма Бзып) образован от названия реки Пьзы и элемента пь, являющегося, на наш взгляд, основой слова апы или иа-пы, иапыну «то, что прилегает к чему-либо», ср. аз-пы «прибрежье», где азы «вода». Поэтому, надо полагать, что **Пьсыпы > Бзып**, вначале выступало как название территории, лежащей вдоль реки **Пьзы**, а затем оно вытеснило и гидроним пьзы, от которого само производно. Например, Гумста, являющаяся названием реки и прилегающей к ней территории происходит от первоначального имени реки Гумсты – Гум, Гумпысы, Баслата – река и территория от названия реки Басла и т. д.

Думается с гидронимом **Пьсыпы > Бзып (Бзыбь)** связан топоним **Зупу** или **Зуппу**, **Зуфу**, которым в грузинских источниках именуется село (в источниках гор-род) **Лыхны** – местопребывание абхазских владетелей (см.: Ойконимы. С. 63). Вахушти пишет, что город Зуппу находится у реки Зуппу. Однако, как известно,

село Лыхны локализуется в междуречье Гудоу и Хыгысы, которые так никогда не назывались. Возможно, Вахушти пользовался более древним сведением, указывавшим Зуппу у р. Бзыбь. Если исходить из этого, Зуппу можно увязать и с селом А-спы, А-спя, прилегающим справа к р. Бзыбь. Аспы, Аспя может быть из **Азпы, Зпы** или **Зып** (ср. с. Зуппу) «предречье», (см. Аспа). Не исключено, что в древности в этом селе находилась резиденция правителей Абазгии, на что указывают имеющиеся здесь внушительные исторические памятники – Бзыбский храм и крепость Хасанта абаа.

Ниже этого села в Алахадзы размещаются храмы раннего средневековья. Недалеко от этой местности, слева от р. Бзыбь (Бзыбь), располагался «Великий Питунт».

Думается, что название Зупу, Зуппу или Зуфу (из абхазского **Зыпы** или **Зып**) закрепилось в грузинских источниках за селом Лыхны в связи с переносом сюда резиденции Абазгских правителей с правобережья р. Бзыбь. От названия же реки Бзыбь происходит наименование современного Гудаутского района – **Бзып, Бзыпан, Бзыпын** и обозначение населения этого края – **бзыпцаа, абзыпцаа**“ (Кварчия, 2006: 133-134).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახალი ხიფსთის ძველი სახელწოდება **ზუფუ**, რომელიც თეთრწყალას სახელითაცაა ცნობილი, ქართველური წარმომავლობისაა, ვინაიდან ჰიდრონიმის ძირი **ზუფ-//ზოფ-** მოგვეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში (ჩიქობავა, 1997: 25, 276).

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი ც. ქირია ფიქრობდა, რომ დასავლეთ საქართველოში ზუბის სახელით ცნობილი დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი მომდინარეობს „ზუფუდან“ და რომ მეგრულში დღესაც შემორჩენილი სიტყვა **მოზუფუნც** ადიდებული მდინარის სწრაფ დინებაზე უნდა მიუთითებდეს. ამასთანავე, **ზუფუ** და **ურზუმი** გაუვალი, ტყიანი ადგილის აღმნიშვნელია. მკვლევარი დასძენს, რომ ზუფუ უნდა დარქმეოდა მდინარისპირა, ტყიან ადგილს. მისივე თქმით, ამ სიტყვიდან უნდა მიგველო ქალაქის სახელწოდება ზუგდიდი (ზუფუ → ზუბუ → ზუბდიდი → ზუგდიდი) (ქირია, „მებრძოლი“, №79, 1963: 4).

ა. ქობალიას განმარტებით, **ზუფო, ზუფუ, ზფფ** იგივეა, რაც „წითლად მღუარი; უხვად მდინარე; უხვი ნანველი“ (ქობალია, 2010: 311). იქვე მოცემულია **ზუფუა** სიტყვის შემდეგი განმარტება: „წითლად ლუილი; უხვად მოსკდომა (წყლისა)“ (იქვე).

ამდენად, გამორიცხული არაა, რომ „ზუფუნყარი“ მიუთითებდეს მდინარის დინების თვისებასა და უხვდებიტიანობაზე.

როგორც ჩანს, თავდაპირველად მდინარე იწოდებოდა „ზუფუდ“, რომელიც შემდეგ დასახლებული პუნქტის სახელად ქცეულა (ჰიდრონიმ „ზუფუს“ შესახებ იხ.: Кварчия, 1985: 63; კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 95-98).

§5.18. თაგილონი

თაგილონი სოფელი და თემის ცენტრია გალის რაიონში, ენგურის მარჯვენა ნაპირას, ოტობაია-ჭუბურხინჯის ცენტრალურ გზაზე. სოფელი ზ.დ. 60 მ-ზე მდებარეობს და გალს დაშორებულია 16 კმ-ით. აერთიანებს ორ სოფელს; საკუთრივ თაგილონს და სალხინოს. სოფლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური მასალის, კერძოდ, ძვ. წ. XI-X სს. ბრინჯაოს ვერცხლის ქვაბისა და სპილენძის ნივთების, აგრეთვე I-II საუკუნეებით დათარიღებული მდიდრული სამარხის აღმოჩენა იმის მაუწყებელია, რომ თაგილონი და მისი შემოგარენი უძველესი დროიდანვე იყო დასახლებული. „თაგილონის განძის“ სახელით ცნობილი ეს არქეოლოგიური განძი ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა წერენ: სოფელი „1886 წელს შედიოდა ნაბაკევის თემში თაგილონის სახელით. 1930 წელს უკვე ცალკე იყო გამოყოფილი თაგილონის სასოფლო საბჭო და მასში შედიოდა ორი სოფელი: თაგილონი, ზედა თაგილონი. ტრადიციულად თაგილონი სამ კუთხედ: 1. პირველი თაგილონი//ზედა თაგილონი//ყინთაგილონი (ამჟამად სოფელი სალხინო); 2. მეორე თაგილონი//შუა თაგილონი//დიდაგილონი//მაჟია თაგილონი (საბჭოთა პერიოდში ჟდანოვსაც უწოდებდნენ); 3. მესამე თაგილონი//ქვემო თაგილონი//ქვემო უბანი (საბჭოთა პერიოდში კალინინადაც მოიხსენიებდნენ აქ არსებული მისი სახელობის კოლმეურნეობის მიხედვით“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 249).

მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მასალების მიხედვით გალის მაზრაში არსებობს თაგილონის სასოფლო საბჭო, რომელიც ორ სოფელს აერთიანებს: **თაგილონი ზედა** – 300 კომლი; 1494 სული; მათ შორის 1482 – ქართველი, 1 – სომეხი, 5 – რუსი, 5 – აფხაზი; **თაგილონი (ბაზ., ენერი)** – 99 კომლი; 505 სული; მათ შორის 496 – ქართველი, 3 – რუსი, 4 – აფხაზი, 2 – დანარჩენი (დაყოფა, 1930: 154).

მკვლევრები აქვე იმონმებენ ხალხურ ეტიმოლოგიას სოფლის სახელწოდების შესახებ: აქ ერთგან კაცი გადავარდნილა და მის თანამგზავრს უთქვამს: **თაქი გინოლ** „აქ გადავარდა“ (იქვე). ვალერიან ზუხბაია იმონმებს ადგილობრივთაგან ჩანერილ გადმოცემას, რომ სახელწოდება თაგილონი წარმოდგება მეგრული სიტყვიდან – თაქ გინოლი. თითქოს აქ ენგურზე კაცი გადავარდნილა (ზუხბაია, 2000: 94-95). მკვლევარი სხვაგან შენიშნავს, რომ თანამედროვე თაგილონის ტე-

რიტორიაზე, ენგურის მარჯვენა მხარეს, იქ, სადაც მდინარე ორ ტოტად იყოფა, 1832 წელს აუგიათ ათანგელოს ციხესიმაგრე, რომელიც შემდეგ ენგურს ნა-ულეკავს (ზუხბაია, 2000: 86).

თ. გვანცელაძის მსჯელობით, სოფლის სახელწოდების აფხაზური ფორმაა **თაგ'ლან-**. აფხაზურიდან სესხების შემთხვევაში ტოპონიმის მეგრული ფორმა იქნებოდა ***თაგილან-**ი, რომელიც არ დასტურდება. მეგრული ფორმა კი უეჭველად იძლევა აფხაზურში რეალურად არსებულ **თაგ'ლან-** ვარიანტს: **გი** მარცვალს კანონზომიერად ცვლის პალატალიზებული **გ'** თანხმოვანი, ხოლო **ლ** და **ნ** სონორებს შორის მოქცეულ **ო** ხმოვანი ასევე კანონზომიერადაა გარდაქმნილი **ა** ხმოვნად (გვანცელაძე, 2011: 239).

ტოპონიმ „თაგილონი“ ეტიმოლოგიას შეეხო მკვლევარი ო. ხუხუა. მას სახელწოდება მდ. ენგურის უძველეს დელტაზე მიმანიშნებელ სიტყვად ესახებოდა. თანგი მეგრულში აღნიშნავს თარგს, სხვაგვარად – ბადალს, ტოლს (შეტოლებულს), შესატყვისს. ქართული თანგის შინაარსი მდინარის დელტას მოგვაგონებს – მდინარე ჩაკეტილია, შემოსაზღვრულია გარკვეულ ტერიტორიაზე, და შინაარსით იგივეა, რაც ქართული გათანგვა, გათანგული. მეგრულში **თანგი-**ლი მიმღებობაა და ზომააღებულს, ზომადადგენილს ნიშნავს. **-ონი** მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი უნდა იყოს. ერთმანეთის მსგავსი მრავალი ტოტისგან შემდგარ მდინარის დელტას, ანუ მრავალ თანგს თანგილონი/თანგილონა უნდა დარქმეოდა, რომლისგან უნდა წარმომდგარიყო დღემდე შემორჩენილი ტოპონიმი თაგილონი. შესაძლოა ენგურის ოდინდელი დელტის ბუნებრივი საზღვრები სოფ. თაგილონს საკმაოდ დაშორებულია, მაგრამ სავარაუდო ორიენტირად უნდა იქნეს მიჩნეული. თაგილონის დელტის არსებობა არ გამოორიცხავს ენგურის შავ ზღვასთან შესართავის ძიებას დღევანდელ სოფ. ინგირის მიდამოებში. ო. ხუხუა აქვე იმონებს ხალხურ ეტიმოლოგიას: **თაგილონი** არის წყლის გადასაგდები „თარ გინალაფუ“ – სხვაგვარად „თარგინოლი“, რომელიც გამორჩეულ გასავლელს/გადასავარდნს/გადასასვლელს ნიშნავს (ხუხუა, „აია“, გვ. 65-66). ა. ქობალიას ლექსიკონის მიხედვით თაგილონი ეწოდება წყლის შესაკრებელს, დელტას (ქობალია, 2010: 312). არაა გამორიცხული, რომ ასეთი დელტა სადმე არსებულიყო ენგურზე, მასთან რომელიმე პატარა ღელის შესართავთან.

§5.19. თესური//თენჯრი

თესური/თენჯრი ერქვა მდინარეს გაგრის ჩრდილოეთით და ადღერის სექტორის (ენანთიას) სამხრეთით. პ. ინგოროყვას აზრით, კლავდიოს პტოლემეაიოსის გეოგრაფიაში მოცემული ჩვენების თანახმად, ამ მდინარის ამჟამინდელი

სახელწოდებაა **ფსოუ**. სახელწოდება **თესვრს//თენვრს** სიტყვანარმოების თვალსაზრისით მკვლევარი უკავშირებს ტოპონიმებს – ტარსურას, თაგურს//თაგურას, სვირს, დეხვირს, ტეხურს და სხვ. ფუძე-სიტყვას – **თეს-** და **თენ**, გამოყოფს მდინარეების – თესის//თეზისა და თეზამის//თეძამის სახელწოდებებში (ინგოროყვა, 1954: 179). **თესირი** სამურზაყანოს მეგრულში აღნიშნავს წყლის თეთრ ნაკადს (ქობალია, 2010: 314).

§5.20. თოუმიში

თოუმიში/თუმუში მდინარის სახელწოდებაა ოჩამჩირის რაიონში. ერთვის შავ ზღვას. მდინარის პირას მდებარეობს სოფელი ამავე სახელწოდებით (ორთოგრ., 1987: 49). თოუმიში ლაბრის თემში შედის. სოფელს პირველად მოიხსენიებს ა. ნორდმანი, XIX ს-ის 30-იან წლებში. **თუმუშის** ფორმით დატანილია 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს სოფელი ამავე ფორმით კვიტაულის თემში შედიოდა (ცხადაია, ხორავა, 2016: 122). პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ -ში ბოლოკიდურიანი მდინარის სახელწოდება ქართულია, მაგრამ ჰიდრონიმის მოტივაციაზე არაფერს ამბობს (ზუხბაია, 2000: 83). ირა ანქვაბი არ იზიარებს ხ. ბლაჟბას თვალსაზრისს -ში სუფიქსის ადილურ-ჩერქეზულ ტოპონიმიკურ სუფიქსად მიჩნევის შესახებ. მისი აზრით, ტოპონიმებში – ქუთემ (ქუთაისი), ტამშ (ტამიში), თოუმიშ (თოუმიში), ლალუშ, ბარმიშ (ბარმიში), მჭიშ და სხვ., -ში ოდენ აფხაზური სუფიქსია და წარმოქმნის დასახლებული პუნქტების სახელებს საგვარეულო, სათემო და სატომო სახელებისაგან. ეს სუფიქსი ფართოდაა გავრცელებული „ისტორიული აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სოჭიდან ქუთაისამდე“ (Анквab, 1984: 9; მსჯელობისათვის იხ. ცხადაია, „არტანუჯი“, №10, 2000: 69).

ვ. კვარჭიას მოსაზრებით, «Формы Тамышь и Тoумышь получены... из Тамыжь, где мыжь «запруда», «водоем», «лагуна», «бассейн» (срав. современ. аз-мыжь, бзыб. аз-мыць «запруда», «запруженный водоем»: см. Амшын). Мы исходим из того, что реки **Тoумышь (Тамыш)** и **Дҭамышь** при впадении в море, благодаря своему тихому течению и запруде устьев морской песчаной косой, образуют глубокие и просторные бассейны, пригодные для захода небольших судов. В прошлом именно здесь располагались абхазские судоверфи и стоянки кораблей, а также маяк – Акра... Отсюда, первоначально устье реки – **Тамыжь** «запруда (бассейн) реки Там» и **Дҭамышь**, вероятно из **Зҭа-мыжь**, где **зҭа** – собственно название реки, означающее «мелководная вода (река)» и **мыжь** – то же самое, что в Там-мыжь. Последнее, со временем трансформировалось

в Тамышь//Тамшь//Тоумышь – название села и реки (Тоумышь//Тамышь)» (Кварчия, 2006: 247).

ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ მიხედვით, **თომი** ერთგვარი ბალახია, რომელსაც ქალამანში იფენენ სითბოსათვის და ჩიტებიც ეტანებიან ბუდის გასაკეთებლად (ქობალია, 2010: 319). ა. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ აღნიშნულია, რომ თომი ესაა „*Festuca djimilensis* Boiss. Et. Bal. ლჩხ. წერაქო, წერექო; მგრ. წერაქვა, ნოთვა; სენ. წერექვ, წერექო, წერქვა“ (მაყაშვილი, 1991: 32). პ. ცხადაიას მიერ ჩანერილი გადმოცემით, წერექვა ეწოდება ბოლქვიან მცენარეს. იგი დაბალზე იზრდება, არ ხმება და არც ითიბება. საქონელი ზამთარშიც ძოვს (ცხადაია, VI, 2012: 541). გამორიცხული არაა, რომ სახელწოდება თოუმში მიუთითებდეს მცენარე თომის გავრცელების არეალზე. მასასადამე, თოუმში „თომისა, სადაც მრავლად ხარობს თომი“ („თოუმშიის“ ეტიმოლოგიისათვის იხ. კეკელია, „გულანი“, 21, 2017: 103).

§5.21. ილორი

ვახუშტი ბატონიშვილი ილორის შესახებ წერს: „ზღვს კიდეზედ, ამ წყლის დასავლითს კიდეზედ, არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგრისი. დასავლით მდინარე მოქვისა, და უძეს სამჭრით ზღვა და ჩდილოთ ველი. არს ეკლესია უგუნბათო, მცირე, მდიდარი და შემკული. არამედ სილოვანობის გამო. რათა არა შეირყეს ეკლესია, მოუღიათ ქვა დიდ-ფრიადი, ფიქალი და მას ზედა შენი არს სრულიად ეკლესია. აქ მოიყვანს ჴარს ყოველწლივ ი ნოემბერს, რომელსა დაჰკულებს და განიყოფენ მეფე დიდებულებითურთ. გარნა არს ფრიად სასწაულმოქმედი ჭეშმარიტსა ზედაცა. არამედ მოსწვეს ოსმალთა ეკლესია ილორისა ქრისტესსა ჩლღ, ქართულსა უკა“ (იქვე: 779-780).

სახელოვანი მეცნიერი ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მდებარეობას მიუთითებს „ზღვს კიდეზედ“, ეგრისწყალსა და მოქვისწყალს შორის. ილორი, თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, სოფელი და თემის ცენტრია ოჩამჩირის რაიონში. რაიონულ ცენტრს – ოჩამჩირეს დაშორებულია 3 კმ-ით. ილორის თემი აერთიანებს სოფლებს: სუკი, ზენი, ილორგანი, ნაგვალაოუ. სოფელი ზღვის პირას, ზ. დ. 10 მ-ზე და ლალიძგის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ამასთანავე, ილორის თემში შემავალი ზენი და სუკიც უშუალოდ ლალიძგის მარცხენა ნაპირას, ლალიძგასა და ანარია-ოხურეინყარს შუა მდებარე სოფელია. ილორი არაერთ წერილობით წყაროში იხსენიება. მაღაქია კათალიკოსის ბიჭვინთის ტაძრისადმი შეწირულების წიგნში (1616-1639

ნწ.) ვკითხულობთ: „ამას გარეთ ილორს ჩხოხობისაგან ერთი პარტახი მიყიდა და ადგილი წინამძღვრისაგანცა მიყიდა და ერთი კვამლი კაცი მიმიყვანია იქ მეთევზედ და დამისახლება“ (ქსძ, III, 1970, 501-502). ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში გამართული დღესასწაულის შესახებ ცნობები დაცულია იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაში“: „ნოემბრის ოცს დღესასწაულობენ წმინდა გიორგის დღეს. ხალხში ის ცრუმორწმუნოება არის გავრცელებული, რომ ამ დღეს ეს დიდებული მონამე მოიპარავს არემარეში ხარს და ღამით მოიყვანს ილორის ეკლესიაში, რომელიც მის სახელზე არის აშენებული. ამ ეკლესიას დიდ პატივსა სცემენ არამცთუ მეგრელები, არამედ მახლობელი ხალხები. ამიტომაც მდიდარია ეს ეკლესია ოქრო-ვერცხლით და ძვირფასი ქვებით შემკული ხატებით. თვით კარები ვერცხლის სქელი ფიცრებით არის შეჭედილი; იმდენად თაყვანსა სცემენ ამ ეკლესიას, რომ თუმცა იგი მოშორებულია და ზღვის პირად დგას, მაგრამ ფიქრი არ არის, რომ ვინმე გაქურდოს იგი, ან მტრის გემით მოვიდნენ და გაძარცვონ იგი; არამცთუ კარის გატეხის შიში არა აქვთ, არამედ მისი ძვირფასი ქვები რომ ახლომახლო გზაში დააბნინონ, იმასაც ხელს არავინ ახლებს. ამ წმინდანის შიში მარტო აქაურებს კი არ აქვთ, არამედ თვით აფხაზებსაც, რომელნიც სახელგანთქმული ქურდები არიან და თურქებსაც, რომელნიც სრულიად მოკლებულნი არიან სარწმუნოების სინათლესა, ეშინათ მისი და თაყვანსა სცემენ მას... ოც ნოემბერს მთავარი ყველა თავის კარისკაცებით, თავად-აზნაურობით და ოდიშის ხალხით მოდის ილორის ეკლესიაში დღესასწაულზე დასასწრებად და იმის სანახავდ, თუ როგორ მოიყვანს წმინდა გიორგი ხარს. მარტო ოდიშელები კი არა, აფხაზებიც და სვანებიც ბლომად მოდიან ამ დღესასწაულზე. ეკლესიას გარს უვლის გალავანი, რომლის სიმაღლე იქნება თითქმის თხუთმეტი მტკაველი. შესავალთან დიდი კარებია და ამ კარებზე აგებულია მშვენიერი სამრეკლო მრავალის ზარით“ (ლამბერტი, 2011: 159-160).

ილორის წმ. გიორგის ეკლესია XI ს-ის. I მეოთხედში აგებული ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია. ლევან II დადიანის დროს ძეგლი განუახლებიათ, მაგრამ 1736 წელს თურქებს გადაუწვავთ. მისი საფუძვლიანი გადაკეთება ოდიშის მთავრებს მოგვიანებით, XIX ს-ის 40-იან წლებში განუხორციელებიათ. ვახუშტის ცნობით, ილორის ეკლესია საგანგებოდ მოზიდულ ქვა-ლორღის მასაზე, სპეციალურ ბალიშზეა აგებული, რომელიც მას იცავდა სინესტისა და მიწისძვრისაგან. ამ ცნობის სისწორე დადასტურდა ფუნდამენტში გავლებული შურფით (იხ. Кация, 1963).

ნ. დადიანი „ქართველთ ცხოვრებაში“ ილორის შესახებ წერს: „ილორს [არს] ეკლესია (წმინდის გიორგისა), ოდეს მოსწვეს თათართა წელს ქრისტესით 1733“;

„გარნა არა მივიდა დადიანი და დახიზნულიყო ყოველი ოდიში. მუნით წარვიდენ და მოსწვეს ეკლესია წმინდისა ილორს და აღძარცვეს კრამინტი ბრპენისა. და მუნით შევიდენ აფხაზეთს, და შეურიგდა შარვაშიძე, მპყრობელი ზუფუუსი...“; „და შემდგომად აფხაზთა დაუტყვეს მაჰმადიანობა, დაიპყრეს თვისივე სჯული (არამედ ძლევასა ამას იტყვიან სასწაულად წმინდისა გიორგისა ილორისასა, რამეთუ ლამესა ამას ეტყოდა აფხაზთაგან სულასა და განაძლიერებდა მათ ბრძოლად)“ (დადიანი, 1962: 151, 175, 176).

ილორის შესახებ ცნობებს გვანდის ფრანგი მოგზაური და კონსული ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელიც წერს: „აფხაზეთისა და სამეგრელოს საზღვარზე, ილორში, არის კიდევ ერთი უძველესი ეკლესია, სადაც სულ რამდენიმე წლის წინათ იდგა კატაპულტები, ურნალები და სხვა ძველი საომარი იარაღი, რომელსაც თოფის წამლის გამოგონებამდე იყენებდნენ. აქვე ინახებოდა რკინის უზარმაზარი მუზარადები. ამ ეკლესიას ეთაყვანებიან მეგრელები და აფხაზები, რომლებსაც გაუთავებლად შეუძლიათ ლაპარაკი აქ მომხდარი სასწაულების შესახებ“ (გამბა, 1987: 88). გამბა ილორს ქალაქს უწოდებს და მის მდებარეობას ასე გადმოგვცემს: „შემდეგ ჩავუარეთ ილორს. ეს ქალაქი, ისევე როგორც კელასური, ლამაზი ფერდობის ძირში მდებარეობს. უკან მოჩანს მთების ორი ქედი, რომელთაგანაც მეორე ნაწილობრივ თოვლითაა დაფარული, ზემოდან მათ იალბუზის მაღალი მწვერვალი გადმოჰყურებს“ (იქვე: 94).

ილორის არქიტექტურული ძეგლის შესწავლა-გამოკვლევა სხვადასხვა დროს აწარმოეს პროფ. ნორდმანმა, მარი ბროსემ, რუსმა ოფიცერმა ს. პუშკარიოვმა, დ. ბაქრაძემ, თ. ჟორდანიამ, არქიმანდრიტმა ლეონიდემ, არქიტექტორმა მ. პავლინოვმა, ნ. მარმა, კ. გრიგოლიამ, ა. კაციამ და სხვებმა (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ხვისტანი, „ს. ძ.“, I, 1998: 55-69).

ილორის ხატისადმი თავყვანისცემა აფხაზებშიც გავრცელებული ყოფილა. ისინი ამ ხატს **აილირნიხას/ილირნიხას** ეძახდნენ. „ილირ-ნიხა, – წერს ნ. ჯანაშია, – წმიდა გიორგის ის ხატი იყო, რომელიც სოფ. ილორის ეკლესიაში ესვენა. აფხაზებს ილორის ხატზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. არ იცოდნენ, რომ ეს იყო წმიდა გიორგის გამოსახულება. მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ილორის ხატი იყო ყოვლისშემძლე და ყველა მისთვის მიღებული საშუალებით ცდილობდა თავიდან აეცილებინა მისი რისხვა. ის სამართლიანია და მკაცრად სჯის ყველას, ვინც სამართლიანობას განუდგება, ის მართლმსაჯულების ღვთაებაა, ერთგვარი თემიდაა და ამიტომ არც ერთი წმიდა, არც ერთი ხატი, არც ერთი ღვთაება სამხრეთ აფხაზთა და სამურზაყანოელთა ცხოვრებაში ისეთ დიდ როლს არ თამაშობს, როგორც ილორის ხატი. ის საბოლოოდ, გადაჭრით წყვეტს ყველა, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც ვერ გადაუწყ-

ვეტია სახალხო მართლმსაჯულებას“. 20 ნოემბერს, – აღნიშნავს ნ. ჯანაშია, – „სახელგანთქმული წამებულის იპარავს ხარს და ღამით მოჰყავს ილორის ეკლესიაში და სწირავს მას. ეს ეკლესია დიდ პატივშია არა მარტო ყველა მეგრელის, არამედ მეზობელ ხალხებშიც. ამიტომ ეს ეკლესია ძალიან მდიდარია ოქრო-ვერცხლით. აფხაზეთის არც ერთი ეკლესია ვერ შეედრება მას სიმდიდრით და გავლენით. ყველა ხატი დამზადებულია ამ ძვირფასი მეტალებისაგან, მორთულია ძვირფასი ქვებით. ეს ეკლესია იმდენად დიდ პატივშია, რომ არავინ არ ბედავს მის გაძარცვას. ყველა ისე დიდი მონინებით ეკიდება ამ ღვთაებას, რომ არავინ გაბედავს წაილოს მისი ვერცხლის ფილებიანი კარები. უფრო მეტიც, არავინ არ ბედავს წაილოს ეკლესიის ახლოს გზაზე მოხვეული ძვირფასი ქვები. ამ ღვთაების ეშინიათ არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებლებს, არამედ აფხაზე-ბსაც და თურქებსაც, რომლებიც საერთოდ მოკლებულნი არიან ქრისტიანული რელიგიის შუქს: ყველა ისინი თავყანს სცემენ ამ ღვთაებას და მისი ეშინიათ“ (Джанашия, 1960: 41). ნ. ჯანაშია ასევე ვრცლად აღწერს ილორის ხატზე დაფიციების რიტუალს, რომელიც ოთხშაბათობით და პარასკევობით სრულდებოდა (მსჯელობისათვის იხ. კვარაცხელია, 2009: 189-190). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ წაბალის, დალისა და ფსხუს მთებიდან ჩამოსული მარშანიები და ყველა აფხაზი თავიანთ უმთავრეს ღვთაებას – ინალ-კუბას მსხვერპლს ილორის ხატის მსგავსად სწირავდნენ. „ვისაც არ ვკითხე, ყველა ამტკიცებს, რომ ინალ-კუბა დიდრიფშისა და ილორის ხატის ტოლფასია“, – წერს ნ. ჯანაშია (Джанашия, 1960: 43). პ. ინგოროყვას მოსაზრებით, სოფლის სახელწოდება ილორი „თავისი გრამატიკული აღნაგობით, როგორც ამას გვიჩვენებს მისი ბოლოკიდური ფორმანტი „ორ-ი“, ქართული წარმოშობისაა.“ მკვლევარი იმომებს აღნიშნული სუფიქსით გაფორმებულ სხვა გეოგრაფიულ სახელებსაც: სხვიტორი, კოდორი, შაორი, გომბორი; თუმცა არაფერს ამბობს სახელწოდება „ილორის“ პირველ კომპონენტზე ილ- (ინგოროყვა, 1954: 176).

ისტორიკოსი კ. ოკუჯავა ოიკონიმ „ილორში“ ორ კომპონენტს გამოყოფს. პირველ კომპონენტს – **ილ-**, ა. ჩიქობავას ლექსიკონზე მითითებით, გაიაზრებს როგორც „ძვალს“, ხოლო ზანურ (ჭანურ) **-ორ** სუფიქსს ადგილმდებარეობისა და წარმომავლობის მანარმოებლად მიიჩნევს. იმომებს მსგავსი წარმოების ტოპონიმებს (ოლორი, კოდორი, სულორი, ჩიხორი, შაორი, ქვილიშორი, ვინორი, ცხუმორი, ქუთეშორი...) და დაასკვნის: **ილორი** უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, ან სოფელს, სადაც ეკლესია-მონასტერი და მასთან მდებარე საძვალე (სასაფლაო) იყო (ოკუჯავა, „ს. ძ.“, 3, 2000: 17). ა. ფაილოძე ფიქრობს, რომ სამტრედიის რაიონის სოფ. ილორის სახელწოდება მეგრული **ირული**, **ილური** სიტყვიდან არის მიღებული, რომელიც სარბენს, საჯირითოს, სრბოლას ნიშ-

ნავს. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს **რ**-სა და **ლ**-ს მონაცვლეობაზე და შენიშნავს, რომ ოჩამჩირის ილორში წარმართული ეპოქიდან მოყოლებული იმართებოდა მსხვერპლშენიერვის რიტუალი და სამხედრო ასპარეზობა: მარულა, ისინდი, ცხენბურთი, ლელობურთი (ფაილოძე, II, 2011: 168-169). რამდენადაც ზმნით ადგილის სახელწოდება არ აღინიშნება, ა. ფაილოძის ეტიმოლოგიური მსჯელობა საფუძველს მოკლებულია. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სეხნია ტოპონიმი (ყოფილი ოიკონიმი) ილორის სახით სამტრედიის რაიონშიც გვხვდება, პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ფიქრობენ, რომ ილორი კოლხური სახელწოდება უნდა იყოს. სოფლის სახელწოდების აფხაზური ვარიანტია **ელჯრ** (ი და ო ბგერები აფხაზურს არ მოეპოვება) (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 251). ცნობისათვის: ილორი ასევე ეწოდება წმ. გიორგის ეკლესიას წყალტუბოს რაიონის სოფ. ქვილიშორში. ი. აძინბას, ა. კაციასა და ვ. კვარჭიას მოსაზრებით, ილორი აფხ. **ელჯრ** ფორმიდან არის წარმოქმნილი (Адзинба, 1958: 82; Касия, 1963: 19; Кварчия, 1985: 61).

სახელწოდების ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას მკვლევარი თ. გვანცელაძე შენიშნავს, რომ **ილორი** არ მომდინარეობს აფხ. **ელჯრ** ვარიანტისაგან. „ეს რომ ასე იყოს, ქართულში ნამდვილადაც უნდა გვექონოდა **ელირი** ვარიანტი, რომელიც არ დასტურდება. გარდა ამისა, ასახსნელი იქნებოდა, ერთი მხრივ, **ე** ხმოვნის გარდაქმნა **ი** ხმოვნად და, მეორე მხრივ, ნეიტრალური ხმოვნისაგან **ო** ხმოვნის მომდინარეობა მაშინ, როდესაც ქართული რეალური სახეობისაგან აფხაზურის მიღება ასახავს ამ უკანასკნელი ენის სესხების ფონოტაქტიკურ წესებს: ა) ქართულ **ი** ხმოვანს უნდა მოეცა აჰ, ანდა **ჰა** მარცვალი, რომლებიც თვით აფხაზურ ენაში ასიმილაციის ნიადაგზე იძლევა **ეჰ/ჰე** საფეხურების გავლით; ბ) **ლ** და **რ** თანხმოვნებს შორის მოქცეული **ო** ხმოვანი ჯერ **ა** ხმოვნად უნდა გარდაქმნილიყო, შემდგომ კი მახვილის გავლენით მოგვცემდა ნეიტრალურ ხმოვანს. ასე რომ, ამ წესების გათვალისწინებით, ქართულ სახელს შემდეგი გზა აქვს გავლილი: ქართ. **ილორ-ი** → აფხაზ. ***აჰლარ**, ან ***აჰლარ** → ***ეჰლჯრ**, ან ქართ. **ილორ-ი** → ***ეჰლჯრ** → **ელჯრ**. რაც შეეხება ქართული ამოსავალი **ილორი** სახელის თავდაპირველ სტრუქტურასა და ამოსავალ სემანტიკას, იგი საძიებელი რჩება“ (გვანცელაძე, 2011: 246-247).

ლორი, ილორი მეგრულში აღნიშნავს როგორც მორს ან მორებად დასაჭერელ ხეს, ასევე ძელს, ძელიცხოველს. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **ილორია** განმარტებულია, როგორც „მორისა, ძელისა; მორვადი, ხლეჩადი; სამორე ტყე; საკერპე ძელისა“, ხოლო **ილორილი**, როგორც „დამორილი“ (ქობალია, 2010: 324). იმავე ლექსიკონის მიხედვით **ილორუა** მეგრულში აღნიშნავს „მორებად ხლეჩას, დამორვას (**ილორუ** იხლიჩება, იმორება)“ (იქვე).

ილორის ვარიანტი **ლორი** იმავე ლექსიკონში წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელობით: „**ლორი** მორი, ნახეთქი ხისა; უპირატესად, შუაზე გახეთქილი ხე ან ძალიან სქელი და ფართო ნამორი, იყენებენ კარვის ბანურ სახურავად ან ხის ციხე-სიმაგრის მძლავრი კედლის ამოსაყვანად“ (იქვე: 383). **ლორია** იგივეა, რაც „ნამორი, ჯირკუტანა“; **ლორილი** აღნიშნავს „დამორილს, შუაში გახეთქილ ხეს“, ხოლო **ლორიში** – „ნახეთქი მორის ნაგებობას (საზოგ.); ხეში გამოღებულ ნავს“ (იქვე: 383). ტყეში საცხოვრებლად გამიზნული და დახეთქილი, გაუჩორკნავი ხეებით აგებული ქოხი, მორის კარავი „ლორიშ კარედ“ იწოდებოდა (იქვე). მორებად დახლეჩილი ხეებით აგებულ ციხეს **ლორიშ ჯიხას** უწოდებდნენ (იქვე). ამასთანავე, **ოლორე** სამორე ტყის აღმნიშვნელი სიტყვაა, ხოლო **ოლორუე** აღნიშნავს მორების დამზადების ან მორების დასაცურებელ ადგილს (იქვე: 538). შდრ.: ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიძე, მ. ჩუხუა: ***ლორ-** „მორი, შუაზე გახეთქილი ხე“; ლაზ. [**ლორ-**ი], **ლორ-**ი-გუნძე (მიკროტოპ., სულეთი) – მეგრ. **ლორ-**ი „მორი, შუაზე გახეთქილი ხე“, ი-**ლორ-**ი (მიკროტოპ., აფხაზეთი)“ (ქირია, ეზუგბაია, მემიშიძე, ჩუხუა, I, 2015: 811).

ფართო და სქელი, ნაპობი ფიცრის აღმნიშვნელი სიტყვა **ლორი** ფიგურირებს აგრეთვე სამეგრელოში ჩანერილ ორ ტოპონიმში. კერძოდ, **ლორიშკარე** ეწოდება ტყე-საძოვარს ნათიფურში, ბურღონაშკარსა და ფართო ნიფრონს შუა; ამავე სახელს ატარებდა ტყე ქ. წალენჯიხისა და ს. ალერტკარის (ყოფილი გრიგოლიშის) საზღვარზე (ცხადაია, I, 1999: 65-66; მისივე, IV, 2008: 202).

პ. ცხადაია ფიქრობს, რომ სოფ. ფახულანში, ენგურის მარჯვენა შენაკადის სახელწოდება **ოლორიც** ო- პრეფიქსითაა წარმოქმნილი. ოლორი დარქმევია ჯერ ტყეს, სადაც ლორი (კედლის ფიცარი) მზადდებოდა, შემდგომ მეტონიმის გზით ხეობას და ბოლოს მდინარეს, რომელიც ამ ხეობაში გაედინება (ცხადაია, I, 1999: 66).

მეგრულის სალექსიკონო მასალებში ყურადღებას იქცევს შემდეგი განმარტებებიც: **ილორიშ ნიში** – „ილორის ნიში, ტყეში დადგმული ქვითკირის პატარა სვეტი, რომლის თახჩაშიც ესვენა ხატი“; **ილორიშ ოხვამე** – „ილორის საყდარი; ძელის საყდარი“; **ილორგანი** – „ილორის მხრისა, საკაფი (ტყე); მეილორე ილორის მომლოცველი, ილორის მრევლი; ტყის მჭრელი, მორებად დამთლელი“ (ქობალია, 2010: 324, 403).

ჩვენ მიერ წარმოდგენილ მსჯელობას ტოპონიმ „ილორის“ ეტიმოლოგიაზე გარკვეულწილად დაბრკოლებაც ახლავს (განსაკუთრებით თავკიდური ი ხმოვნის სახით), მაგრამ ზემოთ მოხმობილი საილუსტრაციო მასალით შეგვიძლია სოფლის სახელწოდება გავიაზროთ, როგორც „ლორის – მწყემსთა სადგომი კარვის გადასახურავად გამოსაყენებელი ფართო და სქელი, ნაპობი

ფიცრის დასამზადებელი ტყე“, ან „ძელიცხოველი, ხატის დასასვენებელი თახჩიანი ნიში“ (ილორის შესახებ იხ. Кварчия, 1985: 61; კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 111-113; მისივე, XXXIII, 2013: 24-25).

ს. კეკუას აზრით, ტოპონიმ „ილორ-ისათვის“ ამოსავალი უნდა იყოს „მორის, ნამორის“ აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა (კეკუა, 2017: 177). თუმცა არ ასახელებს ჩვენს თვალსაზრისს სახელწოდების მეგრ. „ლორი“, „ილორი“ სიტყვებთან დაკავშირების შესახებ.

§5.22. კამანი

კამანს ქართულ ტოპონიმად მიიჩნევს ვ. ზუხბაია, მაგრამ საამისო მსჯელობა მის ნაშრომში ამ საკითხზე არ არის (ზუხბაია, 2000: 61). გ. გასვიანი კამანზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ სოხუმის რაიონის სოფ. შრომას ბოლომდე შემორჩენილი კამანის სახელობის გვიან ხანს განახლებული ეკლესია გამოჩენილ პატრიოტ ღვთისმსახურს – იური ანუას აღუდგენია. შემდეგ იგი ეკლესიის სხვა მსახურებთან, მათ შორის მღვდელ ანდრია ყურაშვილთან ერთად, 1993 წელს დაუხვრეტიათ აფხაზ სეპარატისტებს. მკვლევარი იზიარებს თ. მიბჩუანის თვალსაზრისს, რომ სახელწოდება კამანი – „ქანანი“ ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველი მქადაგებელ-მოციქულის – სიმონ კანანელის სახელის გამომხატველია. ვარაუდობენ, რომ X-XI საუკუნეებში აგებული კამანის დარბაზული ტიპის ქვის ეკლესია დანგრევის შემდეგ მორწმუნე ქველმოქმედებს მონასტრად აღუდგენიათ XIX საუკუნეში (გასვიანი, 2011: 193).

ვალერი კვარჭია წერს: «Коман – появляется в документах только с конца XIX века. В начале нашего столетия ряд авторов уже его идентифицируют с городом Команы//Куманы раннего средневековья... На самом же деле, как отмечает Ю. Н. Воронов, в 1884 году эту местность посетил греческий археолог Врисис, который связал ее старое абхазское название – Гумма – с городом Команы, где был погребен известный христианский проповедник Иоанн Златоуст, один из величайших «отцов церкви». И хотя в действительности этот город находился в северо-западной части Малой Азии, «вывод» Врисиса способствовал тому, что абхазские Команы стали одним из крупных центров паломничества верующих в начале XX века» (Кварчия, 2006: 188).

შესაძლოა სახელწოდება დაკავშირებული იყოს მცენარის სახელწოდებასთან. **კამანი** მეგრულში იგივეა, რაც **ქამენია** „ანაგვირილა“ (ქობალია, 2010: 353). მცენარის სახელწოდების გადაქცევა ოდენ ტოპონიმად ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში (მაგ., ცაცხვი, ბია, აჭანდარა, იფხი...).

§5.23. კაპუეტის მდინარე

ვახუშტის „აღწერის“ თანახმად, მდინარე, რომელიც ბიჭვინთის დასავლეთით მიედინება, არის **კაპუეტი („კაპუეტის მდინარე“)**. ამ სახელწოდების მდინარე თანამედროვე აფხაზეთში ცნობილი არ არის, მაგრამ სწავლული ბატონიშვილის ცნობებისა და სხვა ისტორიული წყაროების საქართველოს თანამედროვე ზოგადგეოგრაფიულ რუკასთან შედარებით ისტორიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მდ. კაპუეტი, რომელიც „ბიჭვინთის დასავლეთ დის“, ამჟამინდელი მდინარე ბზიფი ყოფილა.

ბზიფი სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე. მის მარჯვენა ნაპირას, ზ. დ. 45 მ-ზე მდებარეობს სოფელი და თემის ცენტრი ბზიფის სახელწოდებით, რომელიც შავ ზღვას 7 კმ-ით, ხოლო გაგრას 16 კმ-ით არის დაშორებული. ბზიფის თემში შემავალი ერთი სოფელი „ბზიფთად“ იწოდება. მდ. ბზიფის სათავესთან მდებარე კავკასიონის სამხრეთ გვერდითი ქედი თანამედროვე გეოგრაფიულ მეცნიერებაში ასევე „ბზიფის ქედი“ სახელითაა ცნობილი. მისი უმაღლესი მწვერვალი კაპიშისტრა, ანუ ხიმსა ზ. დ. 3156 მ სიმაღლეზეა (მარუაშვილი, ქსე, 1977: 353).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადრე მდ. ბზიფის შავ ზღვასთან შესართავი ბიჭვინთის კონცხის მახლობლად უნდა ყოფილიყო. ფლავიუს არიანეს ცნობით, ქალაქ პიტიუნტს (ბიჭვინთას) მდინარე ჩრდილო-დასავლეთიდან უვლიდა. საუკუნეების განმავლობაში ბზიფმა კალაპოტი შეიცვალა და უფრო ჩრდილო-დასავლეთით გაჭრა კალაპოტი. კალაპოტის ცვლა კი, სავარაუდოდ, ბიჭვინთის მიდამოებში ორი ტბის – ინკიტისა და ანიშცარის წარმოშობის მიზეზი გამხდარა (ბერულავა, 1951: 46).

ჩვენ მიერ დამოწმებული ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერიდან (XVII ს. I ნახევარი) ირკვევა, რომ კაპოეტის წყლის ნაპირას გამართულა ბრძოლა ოდიშის მთავარ ლევან დადიანსა და აფხაზ თავადებს – მარშანიებს შორის.

„კაპოეტის წყლის“ ფორმით მდინარე აღნიშნულია 1737 წელს შედგენილ რუკაზე, და იქვე მითითებულია, რომ მდინარის „აქეთ ჯიქეთი“ მდებარეობდა (მათურელი, IX, 1949: 214; ბურჯანაძე, I, 1959: 192).

მდინარეს „კაბეთის“ ფორმით იხსენიებს გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი და შენიშნავს, რომ კაბეთის შესართავის სამხრეთით მდებარე ბიჭვინთა წარმოადგენს სასაზღვრო ადგილს ჯიქეთთან (გიულდენშტედტი, I, 1962: 325).

ამ მდინარეს იცნობს „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი ნიკო დადიანიც. მისი ცნობით, „კაპეტის მდინარე“ აფხაზეთის დასავლეთი საზღვარია. ნ. და-

დიანის დაკვირვებით, მოქცეულია ანაკოფიასა და კაპეტის მდინარეს შორის (1962: 151). კაპეტის დასავლეთით ჯიქეთი იწყებოდა. ნ. დადიანი ფაქტობრივად იმეორებს ვახუშტის მონაცემებს მდინარის დინების შესახებ და წერს: ბიჭვინთის „...ქვემო სდის კაპეტის წყალი, გამოსდის ესე რაჭის მთას კავკასსა, გამოვლის სვანეთს, ალანსა და მას ქვეით კავკას შორისთა და მოერთვის აქა ჩრდილოდამ ზღვას“ (იქვე: 152).

საყურადღებოა ნ. დადიანის კიდევ ერთი ცნობა კაპეტის შესახებ. კერძოდ, 1821 წელს აფხაზეთში ლაშქრობასთან დაკავშირებით გვაუწყებს: „წარვედით და კაპეტის წყალის პირსა ზედა დავებანაკეთ სასახლესა შინა წარჩოუსასა და მუნით წარვეგზავნეთ თარეშნი ჩვენნი ლეჩხუმელნი. და მოათარეშეს მრავალნი ადგილნი და მოსდენეს მრავალნი პირუტყვენი და სხვა ალაფი და მოვიდენ“ (იქვე: 210).

ედუარდ აიხვალდი მიუთითებს, რომ კავკასიონზე, ხორჩას მთიდან გამომდინარე **ხანიტა**, ანუ **ხაპეტის-წყალი** ერთვის ზღვას პიცუნდის ყურესთან, „ოლონდ სწრაფი დინების გამო სანაოსნოდ გამოუსადეგარია“ (აიხვალდი, 2005: 222). ამასთანავე, მოგზაურმა იცის, რომ არსებობს მდინარე „ბზიფის“ სახელწოდებით და შენიშნავს, რომ ჩერქეზები პატარა ნაგებობით დაცურავენ ბზიფზე და მდინარის კლდოვან ნაპირებზე დამალულნი „ხელსაყრელ დროს თავს ესხმიან აფხაზეთს“ (იქვე: 222).

მაშასადამე, აიხვალდი აფხაზეთის უმთავრეს მდინარეთა ჩამონათვალში ასახელებს როგორც ხანიტას//ხაპეტის-წყალს, ისე ბზიფს. თუკი ჩავთვლით, რომ ვახუშტის „აღწერაში“ მოხსენიებული „კაპეტის“ სახელწოდებალი ფორმა „ხანიტა“, ანუ „ხაპეტის-წყალი“, მაშინ ედუარდ აიხვალდის ცნობა ეწინააღმდეგება ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე გამოთქმულ თვალსაზრისს „კაპეტის მდინარის“//„კაპეტის წყლისა“ და „ბზიფის“ იგივეობის შესახებ.

ფაქტია, რომ გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ერთმანეთისგან ამკარად განასხვავებს ამ ორ მდინარეს, რასაც მოწმობს კიდევ ერთი გარემოება: ავტორი იცნობს აფხაზეთის ერთ-ერთ მხარეს **სუბცის**, ანუ **ბზიფის** სახელწოდებით; ამასთანავე, აფხაზეთის მდინარეები ჩამოთვლილია შემდეგი თანმიმდევრობით: ლალიძგა, მარკულა, კოდორი, კელასური, გუმისთა, აფსთა, ხანიტა, ანუ ხაპეტის-წყალი, მაჩიში, ბზიფი და სევაძე (იქვე: 222). ჩამონათვალიდან ჩანს, რომ აიხვალდი ხაპეტის-წყლის შემდეგ ასახელებს მდ. მაჩიშს, ანუ ამჟამინდელ მჭიმთას, და ამის შემდეგ საუბრობს მდ. ბზიფზე. მდინარეთა დინების თანამიმდევრობა და ჰიდრონიმები იმდენად ზუსტადაა გადმოცემული, რომ ჩვენ მიერ ჩანაწერებიდან დამონმებული ცნობების სიზუსტეში ეჭვის შეტანა ზედმეტ სიფრთხილედ შეიძლება ჩაითვალოს. ფრიად საგულისხმოა ის გარე-

მოება, რომ XIX ს-ში შედგენილ ერთ-ერთ რუსულენოვან რუკაზე აფხაზეთის მხარეში, კერძოდ, აფხაზთა „ოკრუგის“ ტერიტორიაზე, მდ. გუმისთის მარჯვენა შენაკადს აწერია „**ხაბოტა**“, რომელიც, ჩვენი ფიქრით, სწორედ კაპოეტის-წყლის, ანუ ხაპეტის-წყლის ვარიანტი უნდა იყოს. რუსულენოვანი რუკის თანამედროვე რუკასთან შედარება ცხადყოფს, რომ ამ სახელს ატარებდა მდ. დასავლეთი გუმისთა, რომელიც ამჟამინდელ მდ. აღმოსავლეთი გუმისთის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს.

ვახუშტის „აღწერასა“ და რუკებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მას არასწორი წარმოდგენა აქვს მდ. კაპოეტისწყლის სათავეს მდებარეობასა და დინების მიმართულებაზე. მისი ცნობა, რომ მდინარე „გამოსდის რაჭის მთას“ და „გამოვლის სუანეთს, ალანს“, რეალობისაგან ძალიან შორს დგას. თუკი ბზიფისა და კაპოეტის-წყლის იდენტიურობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება მართებულია, მაშინ სწავლული ბატონიშვილის შეცდომა შემდეგში მდგომარეობს: იგი ბზიფის სათავეში აერთიანებს ცხენისწყლის, ენგურის, კოდორისა და საკუთრივ მდ. ბზიფის სათავეებს. ასეთივე შეცდომითაა მდინარე რუკაზე გამოსახული (ბერაძე, 1998: 106); ეს მაშინ, როდესაც ცხენისწყალი და ენგური ფასის მთაზე იღებს სათავეს. ბზიფის სათავე კი ადანგეს უღელტეხილის მახლობლადაა.

საისტორიო და კარტოგრაფიულ წყაროებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკუთრივ აფხაზეთში ლოკალიზებული ერთ-ერთი, კერძოდ, მკვლევართა მიერ ბზიფთან იდენტიფიცირებული მდინარის სახელწოდებად რამდენიმე ვარიანტია დადასტურებული. ვახუშტი მას „კაპეტის მდინარეს“ უწოდებს. ამ სახელწოდებითაა იგი ცნობილი ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში. დიუბუა დე მონპერე ამ მდინარეს მოიხსენიებს *Kepethi*-ს ფორმით (*Монпере*, I, 1937: 100). ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრებაში“ გვხვდება ფორმა „კაპეტის წყალი“ და „კაპეტის მდინარე“, ხოლო 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე – „კაპოეტის წყალი“.

ფიქრობენ, რომ მდ. ბზიფის ძველი სახელწოდების ამოსავალი შესაძლებელია იყოს ქართველური სიტყვა **კაპოეტი**, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ოთხი მნიშვნელობითაა მოცემული: 1. თევზის ერთ-ერთი სახეობა; 2. „ფრინველი წელიწად-გამოვლილი“; 3. ერთგვარი ბალახი 4. ქვაკაპოეტი, ანუ ქვა პატიოსანი; იგივე ზურმუხტი. სრულიად შესაძლებელია, რომ მდინარის სახელწოდება სიტყვის ზემოთ მოტანილ ერთ-ერთ მნიშვნელობასთან იყოს მისადაგებული (ბახია-ოქუაშვილი, 2010: 193).

პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ კაპოეტის წყალი წმინდა ქართული სახელწოდებაა. სულხან-საბასა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებზე მითითებით

დიდი ქართველი მეცნიერი დაასკვნა, რომ მდინარის სახელწოდება კაპოეტისწყალი ისეთივე წარმომავლობისაა, როგორისაც საკალმახე, ოკალმახე, კაპარჭინა//კაპარჭინის წყალი და სხვ., და უკავშირდება კალმახ-ორაგულის ჯიშის თევზის სახეობას. „იგი მოზრდილი სახის კალმახია და გვხვდება სწორედ ამ მდინარეში, კაპოეტის წყალში“ (ინგოროყვა, 1954:181). კაპოეტს ეძახიან ჩვეულებრივ ქაშაპს. კაპოეტს, როგორც თევზის სახეობას, იცნობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, **კაპოეტი**, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხუანიცა“ (ვახუშტი, „ქ. ცხ.“, IV, 1973: 43).

„კაპოეტის“ ეტიმოლოგიის გასარკვევად საყურადღებოა **კაბეტი**, **კაპეტი** სიტყვების კიდევ ერთი მნიშვნელობა, რომელთაგან შესაძლებელია მომდინარეობდეს საკვლევი ჰიდრონიმი. **კაბეტი** და **კაპეტი** სამეგრელოსა და სამურზაყანოში აღნიშნავს როგორც „დიდს, მოზრდილს“, ისე „მსუქან, ნასვენ, ძნელად დასამუშავებელ, მაგრამ ნოყიერ მიწას“ (ქობალია, 2010: 351).

კაპეტი გადატანით „მაგარის“ მნიშვნელობითაც გამოიყენება. მაგ., **კაბეტ-ღიხა//კაპეტღიხა** მაგარი, ძნელად დასამუშავებელი მიწაა. მაგარ, აუღებელ ციხეს **კაპეტიშ ჯიხას** უწოდებდნენ; **კაპეტუშქური** მაგარი ვაშლია (ვაშლის ჯიში); ამასთანავე, კაპეტი საზოგადოდ ეწოდება გარეულ მონადირე ფრინველს; კალმახ-ორაგულის მსგავსი ჯიშის თევზსაც სამეგრელო-სამურზაყანოში კაპეტი ჰქვია; **კაპედი** დიდთაველიანი ღომის ჯიშია (ქობალია, 2010: 354). კმდრ. **კაპეტი**- გვაქვს ლაზურშიც და ნიშნავს „მაგარს“.

ამდენად, სიტყვის ზემოთ მოტანილი მნიშვნელობებიდან საკვლევ ჰიდრონიმს, ჩვენი აზრით, შესაბამება „დიდი, მოზრდილი“. შესაბამისად, თუკი ჰიდრონიმ „კაპოეტს“ („კაბეტი“, „კაპეტი“) მდინარის სიდიდის ამსახველ სახელწოდებად მივიჩნევთ, ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების ობიექტური ანალიზის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ასეთი მსჯელობა ნამდვილად არ იქნება მოკლებული დამაჯერებლობას [ჰიდრონიმ „კაპეტის“//„კაპოეტისწყლის“ შესახებ იხ. კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 100-104].

§5.24. კინდლი

სოფელია ოჩამჩირის რაიონში, შავიზღვისპირა დაბლობზე, ზ. დ. 40 მ-ზე. ოჩამჩირეს დაშორებულია 20 კმ-ით, ტამიშს – 2 კმ-ით. კინდლის ადმინისტრაციული ერთეული აერთიანებს სოფლებს: საკუთრივ კინდლს, ახივას და ლეფონას (ქსე, V, 1980, გვ. 518). პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ შუასოფლის მხარეში, ტამუშის დასავლეთით, მდ. ლაგუაშის ნაპირზე მდებარე სოფელ კინდლის//

კენდლის ძველი სახელწოდება იყო კანდახი. მდ. ლაგუაშს კანდახა რქმევია. პ. ვესკონტის 1318 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნულია Cantacha – Cantacha (კანტახა, კანდახა); 1834 წელს შედგენილ რუკაზე კი სოფლის სახელწოდებად წარმოდგენილია კანდიხი (კანდღხი – კანდახი). მკვლევარი იმონებებს აგრეთვე საინგილოში, ზაქათალის რაიონში მდებარე სოფლის სახელწოდებას – კანდახი, მაგრამ არაფერს ამბობს თვით ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე (ინგოროყვა, 1954, გვ. 170-171).

ვ. კვარტია წერს: „Кандах зафиксировано Нордманом, как село в Абживском округе (совр. Очамчирский р-н)... У Абрюцкого дается форма **Кендых**... На картах же указываются **Киндхи** (К – 20, К- 23), **Кындг** (Карта Кавказского края, 1883), **Киндги** (К – 25), **Кындыг** (К – 26)“ (Кварчия, 1985: 65).

ამავე ავტორის სხვა ნაშრომში ვკითხულობთ: «Кындг // Кындыг (Киндги) – прибрежное село в Очамчирском районе... Однако на карте Весконтти и у других итальянских авторов нет такого названия. Им явно неправильно прочитано Саганча, указываемое у Весконтти и сопоставляемое со Скурча... Возможно, название села Кындыг (Кындыг, Кындых) родственно с Кигн, Кинг древних источников, или же родовым именем Кандох (Дж. Коков. Из адыгской (черкесской) ономастики, с. 168), срав. село у садзов Кидыох (Мачавариани, с. 272). Вместе с тем, не исключено, что ойконим имеет тюркское происхождение, тур. Киндик «центр» (Краткий турецко-русский словарь «новых» слов. С. 69; Э. М. Мурзаев. Словарь народных географических терминов. С. 274). Название Киндик «центр» вполне соответствует положению села Кындыг, являвшееся, в эпоху турецкого владычества, центром их торговой фактории «Тиркару эмпориум», располагавшееся в междуречьи рр. Кодор и Моку (Моква). На Кындгском берегу моря, находились во времена генуэзцев, а затем и турок, причалы – торговые пункты Алагана//Ологуана, Санта-Мария (см. Сағамашья) или Кындыг (тур. Киндик), а рядом с западной стороны – известная Скурча» (Кварчия, 2006: 189).

კინდლის მოტივაციაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელი და საყურადღებოა სამურზაყანოს მეგრულში **კინდლი/კენდღღ**, როგორც საზოგადო სიტყვის, ორგვარი მნიშვნელობა, რომელიც მოცემულია ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“: 1. დაბალი, რამდენადმე მოსწორებული ადგილი; 2. ეკალ-ლიჭი, ჩაგვერა (ქობალია, 2010, გვ. 366). შდრ. ლაზ. **კანდღღ//კანდღღ** „მარწყვი“ (მ. ჩუხუას შენიშვნა) და მეგრ. **კინდღღ//კენდღღ** „ეკალ-ლიჭი“. ლაზ. ა: მეგრ. ი. ხმოვნური მიმართების ნიმუშად „ლაზურ-მეგრული გრამატიკის“ ავტორებს დამონებული აქვთ ლაზ. **მანჯე**: მეგრ. **მინჯე** „პატრონი“ (ქირია, ეზუგბაია, მემიშიძე, ჩუხუა, I, 2015: 799). ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“

მიხედვით, „კინდლა, კინდლალ-ი – დაბალი, ჩია“ (ქაჯაია, IV, 2009: 279); შდრ. ა. ქობალია: „კინდლალი – ცუდმედიდი ჩია“ (ქობალია, 2010: 366). აქედან კინდლინი – „ჩიას ბლენძვა, ცუდმედილობა“ (იქვე: 366).

§5.25. კოდორი

XVIII ს-ის დიდი ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და პოლიტიკური მოღვაწის – ვახუშტი ბატონიშვილის აღწერა კოდორის ხეობის შესახებ ლაკონიურია, მაგრამ შეიცავს ზოგიერთ უზუსტობასაც: „...მოქვის მდინარის დასავლეთ დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა. არამედ ან აფხაზთაგან არლარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზნი. გარნა მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე კავკასიიდან, და დრანდიდამ ზღუამდე დის ჩდილოდამ სამჭრით. მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“ (ვახუშტი, IV, 1973: 781).

კოდორის დინების მიმართულება „აღმოსავლიდამ დასავლეთად“ ახლანდელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფ. ამზარამდეა და არა დრანდამდე. ამზარიდან მდინარე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მიედინება და სოფ. აძიუბჟას სამხრეთით, კოდორის კონცხთან შეერთვის შავ ზღვას. კოდორი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი მდინარეა, რომელიც წარმოიქმნება ორი მდინარის – გვანდრისა და საკენის სოფ. მარცხენა გენწვიშთან შეერთებით. სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 740 მ-ზე. მდინარის სიგრძე გვანდრის სათავიდან 110 კმ-ია, უშუალოდ კოდორად სახელდებული მონაკვეთისა – 84 კმ. აუზის ფართობი 2030 კმ²-ს შეადგენს. კოდორის უმთავრესი შენაკადებია: ჩხალთა, მრამბა, ჯამპალი ამტყელით და სხვ. (აფხაზავა, ქსე, V, 1980: 570).

კოდორის აუზის ქვემო ნაწილი (ტერასისებური ხეობით) კოლხეთის დაბლობში შედის, უმეტესი, ზემო ნაწილი კი, მასში შემავალი ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებით (მთავარი წყალგამყოფი ქედი, ჩხალთისა და კოდორის (ფანავის) გამყოფი ქედები, ჩხალთა-საკენის გასწვრივი ხეობა, საკუთრივ კოდორის ხეობა), კავკასიონის მთიანეთის შემადგენელი ნაწილია (მარუაშვილი, XIV, 1961: 3).

ვახუშტი შენიშნავს, რომ მდ. კოდორმა „მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“. მაშასადამე, დაბის სახელი დარქმევია მდინარეს. კოდორის სახელწოდებით დასახლებული

პუნქტი ამჟამად კოდორის ხეობის მთიან ნაწილში არ არის. პ. ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ვახუშტისეული დაბა კოდორი უნდა შეესაბამებოდეს ანასტასი აპოკრისიარის წერილში მოხსენიებულ სკოტორის ციხეს (ინგოროყვა, 1954: 156; ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 65; მუსხელიშვილი, I, 1977: 119).

კოდორის სათავედ ვახუშტი „კავკასს“ („გამომდინარე კავკასიიდან“) მიიჩნევდა. აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთი ტოტი კოდორის ქედია. აღნიშნული ქედი ენგურის, ლალიძგის, მოქვისა და სხვა მდინარეთა აუზების წყალგამყოფს წარმოადგენს და შედგება ხოჯალის მთის მასივში ერთმანეთთან დაკავშირებული ორი მონაკვეთისაგან. ერთი მონაკვეთი აფხაზეთის ქედის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი სიგრძე 30 კმ-ია და მიმართულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კავკასიონის მთური წყალგამყოფი ქედიდან ხოჯალის მთამდე. ამ ქედზეა მოგუაშირხის მწვერვალი, ხოლო შუა ნაწილში, მდინარეების – საკენისა და ნენსკრის წყალგამყოფზე – ხიდის უღელტეხილი. ფანავის ქედის სახელით ცნობილი მეორე მონაკვეთის სიგრძე 51 კმ-ია, რაც მიმართულია განედურად, ხოჯალის მთიდან მდ. კოდორის ქვემო დინებამდე (მარუაშვილი, ქსე, V, 1980: 570).

ანასტასი აპოკრისიარი გვამცნობს: „უფალი ამბა ანასტასი და ამ წერილის დამწერი შესხეს ცხენებზე და ასე გაამგზავრეს და ჩაამწყვდიეს: პირველი – აბაზგიის მახლობლად ერთ ციხეში, რომელსაც სკოტორი ეწოდება“; კოტორი მოიხსენიება აგრეთვე გიორგი მთაწმინდელის დიდ სვინაქსარში. ანასტასის წერილიდან მოტანილი ციტატის ქართული ვერსიის შესაბამისი ადგილი ასე იკითხება: „და ძმა ანასტასიოს საეგრითა წარიყვანეს და შეაყენეს ციხესა აფხაზეთისასა, რომელსა ეწოდების კოტორი“ (იქვე: 43; ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 65).

მდ. კოდორი გამოსახულია არქანჯელო ლამბერტის 1654 წლის რუკაზე (Coddars Feolim Corax), მოიხსენიებს თავის ნაშრომშიც („სამეგრელოს აღწერა“) და აღნიშნავს, რომ კოლხიდაში (ოდიშ-სამეგრელო) „ყველაზე უკანასკნელი მდინარე არის კოდორი, რომელიც უნდა იყოს (ძველთა) კორაქსი, რადგან კოლხიდის საზღვრებია (ძველთა სიტყვით), ერთის მხრით ფაზისი და მეორეს მხრით – კორაქსი“ (ლამბერტი, 2011: 201). ამიანე მარცელიანის მიერ მოხსენიებული კორაქსის მდ. კოდორთან იგივეობის შესახებ ეჭვს გამოთქვამს აკად. ს. ყაუხჩიშვილი (ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, 113, 156).

გერმანელი მოგზაურის – იაკობ რაინეგის ცნობით, აფხაზეთის დაბლობებსა და ღია ველებს მდინარეები – კოდორი და გერჩისი (?) რწყავს (რაინეგის, 2002: 112). ედუარდ აიხვალდი შენიშნავს, რომ „კოდორი სათავეს იღებს კავკასიის უმაღლეს მთებში და მიედინება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

სამხრეთ-დასავლეთისაკენ ღრმა ხეობაში, ის დიდი რაოდენობით იერთებს მთის ნაკადულებს და სოფელ უხოვის, ანუ დრანდის უკან ერთვის ზღვას ორ ტოტად, რომელთაგან სამხრეთისა ძალზე ნელა მოედინება და პატარა ნავე-ბისთვის სანაოსნოა“ (აიხვალდი, 2005: 221-222).

გამბას ცნობით, კოლხეთის დაბლობში მოქცეულია აფხაზეთის ერთი ნაწი-ლი გაგრის ხეობიდან მდ. კოდორამდე, აგრეთვე იმერეთი, სამეგრელო და გურია (გამბა, 1987: 201).

კოდორი გამოსახულია XIII ს-ის ვენეციურ რუკაზე, ვენეციელი კარტო-გრაფების, ძმების – პიციგანების მიერ 1367 წელს შედგენილ რუკაზე, სო-ლერის ხმელთაშუა ზღვის რუკაზე (1385 წ.), პორტუგალიელი კარტოგრაფის, დიეგო ომენის 1559 წელს შედგენილ რუკაზე (დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), იაკობ დე მაიოლოს 1563 წელს შედგენილ რუკაზე (დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), იტალიელი მისიონერის – ჟან შარდენის 1672 წელს შედგენილ რუკაზე (საზღვარი აფხაზეთ-სამეგრელოს შორის), გერ-მანელი აღმოსავლეთმცოდნის, რუსეთის უცხო ენათა კოლეჯის პროფესორ რ. კერის მიერ 1732 წელს შედგენილ რუკაზე და ა. შ. (გამახარია, გოგია, 1997: 312; ზუზბაია, „მახარია“, №10, 2002: 19). კოდორი გამოსახულია ლიხთ-იმერეთის 1737 წელს შედგენილ რუკაზეც (ბურჯანაძე „მოამბე“, I, 1959: 194).

ბ. კვარაცხელია გამოთქვამს ვარაუდს, რომ ანასტასი აპოკრისიარის წე-რილში მოხსენიებული „სკოტორი“ და ვახუშტისეული დაბა კოდორი აფსილე-თის იმ სექტორში მდებარეობდა, „სადაც აფსილეთის მხარე ადგება მდინარე კოდორს, ე. ი. ნებელდის აღმოსავლეთით“ (კვარაცხელია, 6, 2003: 187). ჩანს, რომ მკვლევარი იზიარებს პავლე ინგოროყვას თვალსაზრისს, მაგრამ არ მიუ-თითებს ამ უკანასკნელის ნაშრომიდან შესაბამის გვერდს. პ. ინგოროყვა წერს: დაბა კოდორი... მდებარეობს აბსილეთში, იმ სექტორში, სადაც აბსილეთის მხარე ადგება მდ. კოდორს, ე. ი. ნებელდის აღმოსავლეთით“ (ინგოროყვა, 1954: 156).

ვახუშტის აღწერის გაანალიზება გვაძლევს შემდეგი დასკვნების გამოტა-ნის შესაძლებლობას:

1. კოდორის დინების მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ახლანდელი გულრიფშის რაიონის სოფ. ამზარამდეა და არა დრანდამდე, როგორც ფიქრობს მეცნიერი ბატონიშვილი. ამზარიდან მდინარის დინება სამხრეთ-დასავლეთისკენაა მიმართული და სოფ. აძიუბუას სამხრეთით, კო-დორის კონცხთან უერთდება შავ ზღვას;

2. ვახუშტის აზრით, დრანდის ზემოთ, მთაში მდებარე დაბის სახელი დარქმევია მდინარეს. კოდორის სახელწოდებით დასახლებული პუნქტი ამჟამად კოდორის ხეობის მთიან ნაწილში არ გვხვდება.

კოდორის ეტიმოლოგიით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა. როგორც აღვნიშნეთ, შუა საუკუნეების ქართულ და ბერძნულ-ლათინურ წყაროებში (გიორგი მთაწმინდელი, ანასტასი აპოკრისიარი) მოხსენიებული დაბა კოდორი მდებარეობდა აფშილეთის იმ სექტორში, სადაც აფშილეთის მხარე ემიჯნება მდ. კოდორს, ანუ ნებელდის აღმოსავლეთით. იქვე, კოდორის ხეობაში დამოწმებულია სახელწოდება კოდა, კერძოდ, სოფლები – დიდი კოდა და პატარა კოდა ნებელდის რაიონში. პ. ინგორიყვა სახელწოდებაში გამოყოფდა ფუძე-სიტყვას – კოდი, კოდა, და ქართული გეოგრაფიული სახელების ჩვეულებრივ დაბოლოებას, ბოლოკიდურ გრამატიკულ ფორმანტს **-ორ**. ამ სიტყვების შემცველი გეოგრაფიული სახელწოდებებია კოდი და კოდა – სოფლები ქართლში; კოდიანი – მთა ქართლისა და მესხეთის საზღვარზე; კოდმანი – სოფელი ქართლში (ინგოროყვა, 1954: 156). იმავე ნაშრომში, სხვაგან, მკვლევარი შენიშნავს, რომ XIV-XVI საუკუნეთა იტალიურ რუკებზე მდ. კოდორის დელტაში დატანილია პუნქტი **კოდოს//კოდას** სახელწოდებით, ხოლო დელილი 1738 წელს შედგენილ რუკაზე მიუთითებს იმავე პუნქტს **კოდორის** ფორმით (იქვე: 173). სახელწოდების აფხაზური ვარიანტია **კჰ+დ+რ**.

თ. გვანცელაძის მოსაზრებით, კოდორი ქართული ვარიანტი პირველადია, რასაც ადასტურებს ფონოტაქტიკა: კო მარცვალი კანონზომიერად იძლევა აფხაზურ **კ^ა** მარცვალს. **დო** მარცვალი აფხაზურისთვის არაბუნებრივია და ძველ ნასესხობებში **დ^ა** → **დ^ჟ** უნდა მოეცა (შდრ.: მეგრ. **დოლო** „მდელო, მინდორი“ → აფხაზ. ***ა-დ^ა** → აფხაზ. – **დ^ჟ**...), აქ კი სადა **დ** თანხმოვნის დარჩენა სესხების სიახლეზე მიუთითებს. ქართული ენის სახელობითი ბრუნვის **-ი** სუფიქსი ნეიტრალურ ხმოვანშია გადასული (გვანცელაძე, 2011: 253).

ლიმილის მომგვრელია ნათელა ფოფხაძის ეტიმოლოგიური „ძიება“ და სახელწოდება კოდორის დაკავშირება ნაბუქოდონოსორის სახელთან. „იმერეთში, ანუ ამჟამინდელ აფხაზეთში, – წერს ავტორი, – ერთ მხარგამლილ ქედს, ანუ ზაგრს ნაბუ-კოდორ მეფის სახელი დღესაც ამშვენებს („კოდორის ქედი“), ასევე აფხაზეთში მდინარე „კოდორ“-საც“ (ფოფხაძე, სამეცნ. კონფ., 2005: 215).

პროფ. იზა ჩანტლაძე არ იზიარებს საანალიზო ტოპონიმის ქ. მარგიანი-დადვანისა და ზ. ჭუმბურიძისეულ გააზრებას. კერძოდ, ისინი ფიქრობენ, რომ კოდორი მომდინარეობს სვანური სკოდო „ღრმა“ ლექსემიდან (ჩანტლაძე, I, 2007: 17; მისივე, XXI, 2010: 82). **სკოდ-** ფუძის შემცველია აგრეთვე სვანეთის შემდეგი ტოპონიმები: **სკოდიარ** – 1. ტყე ბეროში; 2. გზა კახურაში; **სკოდიარ** – გზა მურ-

შკელში; **სკოდი ლელ** – ღელე ლუჯში; **სკოდილელა** – ღელე ლობში; **სკოდი ღელი მანხაფ** – ჩანჩქერი ლუჯში...

ი. ჩანტლაძის მოსაზრებით, **კოდორ** სვანური წარმომავლობისა რომ იყოს, მაშინ უმლაუტიანი ფორმა ***კოდუერ** უნდა გვექნოდა. „ამასთანავე, აუხსნელი რჩება, აგრეთვე, როგორც ძირისეული **ო** ხმოვნის სიგრძის დაკარგვის, ისე ანლაუტის **ს** თანხმოვნის უკვალოდ გაუჩინარების საკითხი. ესეც რომ არ იყოს, რაჭული **სკოდორი'ს** (მდინარე რიონის ერთი მონაკვეთის სახელწოდება ონსა და ამბროლაურს შორის) ანალოგიური ტოპონიმები დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში“ (ჩანტლაძე, I, 2007: 17; მისივე XXI, 2010: 82). მკვლევარი იმონიმებს მსგავსი წარმოების ტოპონიმებს: **სკინდ-ორ-ი**, **სკანდ-ე** (ჭიათურა), **კუდ-არ-ო** (რაჭა), **კვად-ო-ურ-ა** (მცირე მდინარე სოფელ ღორემაში) და **კოდ-ა-ურ-ა** (ტყე ზემო იმერეთში), და ასლან ლიპარტელიანის განმარტებას, რომ კოდორ `ღრმა, მორევიანი მდინარეა“ (იქვე: 18; მისივე, XXI, 2010: 83). ი. ჩანტლაძე ქართველურ ენათა ქრესტომათიული ხმოვანთშესატყვისობის (ქართ. ა: ზან. ო: სვან. ა), აგრეთვე **კად-** ძირის სემანტიკისა და **-ორ** სუფიქსის მეგრულში განსაკუთრებულად ფართოდ გავრცელების გათვალისწინებით, შეეცადა **კოდორე** ლექსემისათვის საერთოქართველურ დონეზე აღედგინა ***კად-** ძირი, რომელიც აგრეთვე წარმოდგენილია **ნა-კად-** და **ნა-კად-ულ-** ფუძეთა სახით. მისი ზანური შესატყვისი უნდა ყოფილიყო **კოდ-ორ-**, ხოლო სვანურში – **ლა-კად-ა**. მკვლევარი შენიშნავს, რომ კოდორი არაა სვანური **კადარ** („შრალი, ხმელი ადგილი, ხმელეთი“) სიტყვის ზანიზებული ფორმა. იგი შეიცავს ქართველურ **კად-** ძირს, რომელიც ალბათ თავის დროზე „წყლის“ აღმნიშვნელი იყო, ისეთი წყლისა, მზისგულზე მდებარე მთისძირა გორაკ-ფერდობებიდან რომ იღებდა სათავეს. კოდორის „წყლის“ სემანტიკის შემცველ სახელწოდებად გააზრების დასტურად მიიჩნევს ი. ჩანტლაძე სამეგრელოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აბაშაში დამონმებულ ტოპონიმ **კოდორფონს** (ჩანტლაძე, XXI, 2010: 83).

ბელა შავხელიშვილი **დ** სავარაუდო კლასის ნიშანს ხედავს ჰიდრონიმ **კოდ-ორში** (შავხელიშვილი, ლძ, II, 2011: 178).

კოდორა, **კოდორე**, **კოდორი** ლექსემები სამეგრელოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რასაც მოწმობს წერილობით წყაროებში ამ ვარიანტების ტოპონიმების სახით დამონმებაც. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ოდიშის მთავარ ბეჟან დადიანის მიერ 1714 წელს შედგენილი „შენიურლების წიგნი“, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ანჯელი და „კოდორა გაღმართი“ ჭილაძეებს საჭყონდიდლოსთვის შეუწირავთ (კაკაბაძე, I, 1921: 113). 1753 წელს შედგენილ „წყალობის წიგნში“ გვხვდება „გამოღმა კოდორი“: გაბრიელ ჭყონდიდელს რობაში მცხოვრები, მიქელაძეებისგან შეწუხებული სამი გლეხი წამოუყვანია და გა-

მოლმა კოდორში დაუსახლებია. მაშასადამე, **გალმა კოდორი** და **გამოლმა კოდორი** ტოპონიმებად დასტურდება ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში. გამოლმა კოდორი სოფელი აბაშის რაიონის ნაესაკაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, რიონის მარჯვენა ნაპირას. ქალაქ აბაშას დაშორებულია 5 კმ-ით, ხოლო ნაესაკაოს – 3 კმ-ით. სოფლის სახელწოდების ამჟამინდელი ადგილობრივი ვარიანტი **პირველი კოდორი** უნინ ოფიციალურ სახელწოდებას წარმოადგენდა. სოფ. **გალმა კოდორი** მდებარეობს რიონის მარცხენა მხარეს და კეთილარის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის. მისი უწინდელი სახელწოდებაა **მეორე კოდორი**.

პ. ცხადაია შენიშნავს, რომ სამეგრელოს ტოპონიმიაში **კოდორი** ყოველთვის ნყლისპირა ბექობს მიემართება. მკვლევარი იქვე იმონმებს კ. კაჭარავას განმარტებას: **კოდორი**, იგივე **კოდმე** მდინარის ხაზოა, მაღალი ნაპირია (ცხადაია, VIII, 2013: 45).

აქვე მოვიხიშობთ საილუსტრაციო მასალას სვანეთ-სამეგრელოს მიკროტოპონიმებიდან:

კოდარ – სათიბ-საძოვარი ყიზიანში;

კოდარა – ადგილი სოფ. გეზათში, სადაც გადიოდა თურმე სამეგრელო-იმერეთის საზღვარი (ელიავა, 1977: 19).

კოდორა – გ. ელიავა „ქალაქ აბაშისა და მისი მიდამოების“ ტოპონიმთა ნუსხაში მიუთითებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე“ (ელიავა, 1977: 39).

კოდორე – 1. ადგ. გეზათში. გ. ელიავას თქმით, მსგავსი მიკროტოპონიმი ამ სოფელში სხვაგანაც გვხვდება. იქვე მოცემულია შემდეგი ხალხური განმარტება: „ტყიანი, მაგარი მიწა, უნაყოფო“ (იქვე: 19); 2. ცხადაია შენიშნავს, რომ **კოდორე//კოდორა** ეწოდება სახნავებს ონტოფოსა და გეზათის საზღვარზე, და იქვე აზუსტებს: გეზათში ადგილს კოდარა ჰქვია, ხოლო ონტოფოში – კოდარე. წარმოდგენილია რესპონდენტის განმარტებაც: „კოდარა ქართული ფორმაა, კოდორე კი – მეგრული“ (იქვე: 159); 2. ადგილი ძველ აბაშაში. გ. ელიავას ნიგნში დასახელებულია დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (იქვე: 27). უთუოდ ეს კოდორე უნდა იგულისხმებოდეს პ. ცხადაიას მიერ ვაკე-საძოვრების სახელწოდებად დამონმებულ ტოპონიმში, რომელიც მდებარეობს სოფ. ონტოფოს საზღვართან, ცუღლარის მარცხენა მხარეს (ცხადაია, VIII, 2013: 158). მკვლევარი გალმა კოდორშიც, კერძოდ, ანჯერში, რიონის მარცხენა მხარეს მდებარე სახნავის სახელწოდებად ასახელებს **კოდორას//კოდორეს** (ცხადაია, VIII, 2013: 158); 3. სახნავი რიონისა და ტეხურის შესართავს შიგნით, სოფ. გამოლმა ზანათში. პ. ცხადაიას ცნობით, ამ ადგილას „უნინ ყოფილა უღრანი ტყე, მუხნარი, სადაც გარეულ ღორსაც ხშირად მოინადირებდნენ ხოლმე“ (ცხადაია, VIII, 2013: 158). ტოპონიმ კოდორეს სოფ. ზანათში გ. ელიავა მიუთითებს რიონისა და ტეხურის

შესართავთან (იქვე: 57); 4. სახნავი ტეხურისა და რიონის შესართავთან არსებულ სამკუთხედში, სოფ. სუჯუნაში. მის გაღმა ისულა და ძონძირია. აქაც უღრანი ტყის არსებობას მიუთითებენ; 5. ამალღებულები ვაკე სოფ. გამოღმა პირველ ხორგის უბან სადოლბაიოში, მდ. სკვიის მარცხენა მხარეს (ცხადაია, III, 2007: 143); 6. სახნავები ეტორჩინეში, ტარჩენის ორივე ნაპირზე. სახელღებული ობიექტი მღებარეობს სოფ. ჯოღევეში (ცხადაია, V, 2010: 202); 7. ადგილი ნაესაკაოში. გ. ელიავას მიერ დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე დამონმებულ ტოპონიმს ახლავს ხალხური განმარტება: „ღარიბი ხალხი – კოდორები ჩამოსახლებულან“. მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ ეს სახელი სოფელში კიდევ ერთ ადგილს ჰქვია (იქვე: 51).

კოდორემ ოლური – ნაგზაური, აბაშიდან გადიოდა გეზათში, ნოღელის გაღმა (იქვე: 159).

კოდორიმ რჩქონი – ტყე, კუნძული რიონზე, სოფ. გაღმა კოდორში (ცხადაია VIII, 2013:159);

კოდორობა – სახნავები გაღმა კოდორში, ანჯერში. ეს ტერიტორია უწინ დასახლებული ყოფილა. კოდორობა მრავლობითი რიცხვის ფორმაა. აკონკრეტებენ: ტიფონიაშ დაბალი, მესხიაშ დაბალი, **გალენკოდორე**, **დინახალენკოდორე**, საღლაშო... (იქვე: 159).

კოდოროუ – ჭალა და სახნავი; მდ. აბაშის მარცხენა ნაპირი ინჩხიას შესართავთან ქ. მარტვილში (კეკელია, 2008: 32; მისივე, 2009: 73). ასახელებს გ. ელიავაც (ელიავა, 1977: 103). პ. ცხადაია გვთავაზობს ტოპონიმის შემდეგ ლოკალიზაციას: „**კოდოროუ** – სახნავი მდ. აბაშის მარცხ. ნაპირზე, სტადიონის უკან“ (ცხადაია, V, 2010: 25).

კოდორფონი – გ. ელიავას ცნობით, ასე ეწოდება კოდორის თავთხელს რიონზე, სოფელ ნაესაკაოში (იქვე: 52). პ. ცხადაია იმონმებს ტოპონიმს **კოდორფონის** ფორმით, და აღნიშნავს, რომ ასე ეწოდება ტყეს და საძოვარს ოჩარულის წყაროსთან, სოფ. სამიქაოში (იქვე: 159).

კოდორქალაქი – გ. ელიავას მიერ „ნაესაკაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მითითებულ გეოგრაფიულ სახელწოდებას ახლავს ავტორის მიერ ნ. მიმინოშვილისგან ჩანერილი განმარტება: კოდორი, ვიდრე რიონი სოფელს შუაზე გაყოფდა, წინათ სულ ერთიანი ყოფილა. რიონი მაშინ ფიჩორასთან მიედინებოდა, მაგრამ გურულებს დღევანდელ კალაპოტში გაღმოუგდიათ. წინათ ამ ადგილას ქალაქი ყოფილა. კოდორი უწინ იქ ყოფილა, სადაც დღეს გაჭედილია, მაგრამ შემდეგ გადაუტანიათ (იქვე: 51). პ. ცხადაიას ცნობით, კოდორქალაქი გამოღმა, ანუ პირველი კოდორის სახელწოდებით

დებაა და მდებარეობს რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან (ცხადაია, VIII, 2013: 159).

კოდორჭაე – გ. ელიავა და ზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს „კეთილარის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში, ჭალა-საძოვრისა და საყანის სახელწოდებად (იქვე: 64).

გალენკოდორე „გარეკოდორე“ – სახნავი სალლამოს ნაპირზე, დინახალენკოდორეს პირდაპირ, კოდორობაში. სახელდებული ობიექტი მდებარეობს სოფ. გაღმა კოდორში (ცხადაია, VIII, 2013:124).

დინახალენკოდორე „შიგნითა კოდორე“ – ლოკალიზაციისათვის იხ. ზემოთ გალენკოდორე.

მელენკოდორი – სოფ. გაღმა კოდორის სახელწოდების მეგრული ვარიანტი.

სვანურში **კადარ** იგივეა, რაც „ხმელი, მშრალი ადგილი; ხმელეთი“. ასევე მეგრულშიც **კადარი** ეწოდება მზისკენ მიქცეულ ფერდობს, მზიან მხარეს. ო. ქაჯაია იმონმებს საილუსტრაციო მასალას, **კადარი დიხა** „ფერდობი ადგილი“ (ქაჯაია, II, 2002: 97). ა. ქობალიას განმარტებით **კადა//კადარი** იგივეა, რაც კედელი, კლდე; კლდის ტერასა; ხოლო კადარის განმარტებისას რამდენიმე მნიშვნელობას გვთავაზობს: „**კადარი** კლდოვანი ადგილი, ქვიანი ფერდობი; კენჭიანი, კუდარო; უვენახო, უნაყოფო მთიანი ან წყლისპირა ქვიანი ადგილი; მზვარე, მზიანი ადგილი, მთის სამხრეთი კალთა“ (ქობალია 2010: 351). მისივე ლექსიკონში დამონებულია **კადარლალის** შემდეგი განმარტება: „კლდისღელე, კლდე-ღრე“ (იქვე). რამდენადაც ბგერათმესატყვისობა სვან. -ა: მეგრ. -ო არ დასტურდება, მაშასადამე, **კადარი, კადარა** იგივე არაა, რაც **კოდორი**, მაგრამ **კოდორ-** სიტყვა **კოდმე** სიტყვის მნიშვნელობის შემცველია, თუმცა სიტყვის ამ მნიშვნელობის მასალობრივი დამთხვევა არ დასტურდება (ცხადაია, VIII, 2013: 45).

კოდორი მეგრულში აღნიშნავს კლდოვანს, მდინარის კლდოვან ნაპირს, წყლის კალაპოტს, ხევის კლდოვან ძირს. მდინარის სახელწოდება **კოდორი**, ჩვენი აზრით, სწორედ კლდოვანი კალაპოტის, ან ქვა-ლოდებიანის შინაარსის ამსახველი უნდა იყოს.

§5.26. ლეჩქოფი

ლეჩქოფი ეწოდება სოფელს აფხაზეთში, სოხუმის რაიონის გუმისთის თემში. იგი სოხუმის დასავლეთით, მდ. გუმისთის მარცხენა ნაპირას, შავი ზღვისპირა დაბლობზე, მდებარეობს. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის გამოცემის მიხედვით არსებობდა სოხუმის მაზრის გუმისთის სასოფლო საბჭო, რომელიც აერთიანებდა რვა სოფელს:

აჩადარას, გუმისთას, იაშტუხა ზედას, იაშტუხა ქვედას, იაშტუხა წითელს, ლეჩკოპს, მეზღვაურების სვობოდას და სვობოდა II-ს (დაყოფა, 1930: 166). ლეჩკოპი ამ დროისთვის მრავალენიკური სოფელი ყოფილა, სადაც 121 კომლი (736 სული) ცხოვრობდა. ამათგან 330 სული ქართველი იყო, 259 სული – სომეხი, 15 სული – რუსი, 17 სული – აფხაზი 4 სული – ბერძენი, ხოლო 111 სული – სხვა დანარჩენი ეროვნებისა (დაყოფა, 1930: 166). 1961 წლისათვის გუმისთის სასოფლო საბჭო აერთიანებს სოფლებს: ლეჩქოფს, აჩადარასა და გუმისთას (დაყოფა, 1961: 127). ასეთივე სურათი გვაქვს 1966 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარითაც (დაყოფა, 1966: 122). ამჟამინდელი სახელწოდებაა **ლეჩკოპ** (Лечкоп).

აკად. ნიკო კეცხოველის აზრით, ტოპონიმი „ლეჩქოფი“ სვანური ენის ნიადაგზე უნდა აიხსნას (კეცხოველი, დ. მ., V, 1965: 49). „ლეჩქოფის“ ეტიმოლოგიას შეეხო ისტორიკოსი თ. მიბჩუანი. მისი აზრით, ქ. სოხუმის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება სვანური წარმოშობისაა და იგივეა, რაც „ჭაობიანი ადგილი“. „ლეჩქოფი (სიტყვიდან: „ლეჭყო“) მართლაც არის ჭაობიანი ადგილი, – წერს მკვლევარი, – თუმცა, ამჟამად იქ უკვე ქალაქის კეთილმოწყობილი მასივია გაშენებული და ამდენად ტოპონიმმა ძველი შინაარსი დაკარგა“ (მიბჩუანი, 1989: 268; მსჯელობისათვის იხ. მისივე, „სახალხო განათლება“, №53, 1989: 16).

იმავე აზრს იზიარებს პროფ. გერონტი გასვიანი, რომელიც წერს: სვანურად აიხსნება ქალაქ ცხუმის ერთ-ერთი უბნის – ლეჩქოფის სახელი, რომელიც ძნელად გადასალახ, ჭაობიან ადგილს ნიშნავს (გასვიანი, 2011: 189).

„ლეჩქოფის“ სვანურ ტოპონიმად მიჩნევის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს არ იზიარებს აფხაზი ენათმეცნიერი ვალერი კვარჭია, რომელიც თ. მიბჩუანის სტატიაზე მითითებით შენიშნავს: «Но при этом автор умалчивает, что в сванском мы имеем не форму «Лечкопи», а «Ленчкчкоп», где «чкоп» означает «лужа». Однако район, именуемый Лечкоп, приподнятое место и никогда не славился болотами. Территория современного лечкопского плато абхазы выделяли из села Иаштхуа под названием Чбибна или Чбыбна, буквально «лес Ачбовых». Известно, что в прошлом этот участок был покрыт густым лесом, где охотились еще в 20-е годы прошлого века сухумчане и жители сел Ешыра, Иаштхуа, Бырцха. Скорее всего, второе название этой местности Лечкоп связано с турецким **Лашкуап** «темное, мрачное место» (Кварчия, 2006: 204).

მართალია, წარსულში სვანური ტომების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განსახლების შესაძლებლობაზე ქართველ ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების სისწორეს აფხაზეთის ზოგი ტოპონიმის სვა-

ნური წარმომავლობა ადასტურებს, მაგრამ სახელწოდება „ლეჩქოვის“ „ჭაობიან ადგილად“ განმარტება, ჩვენი აზრით, უმართებულო უნდა იყოს. ლეჩქოვი მომდინარეობს რუსული Лечебный Комбинат-იდან და ნიშნავს „სამკურნალო კომბინატს“. ამიერკავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალებში **ლეჩქოვი** დასახელებული არ არის. შესაძლებელია, რომ ტოპონიმი წარმოქმნილიყო საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კერძოდ, 1930 წლამდე, მას შემდეგ, რაც აქ აშენდა სამკურნალო დაწესებულება. არ გამოვრიცხავთ ტოპონიმ „ლეჩქოვის“ დაკავშირებას მეგრ. „ლენჭყი“ სიტყვასთან, რომელიც „ჭენჭყოს, ჭანჭრობს, წყალჩამდგარ ადგილს“ ნიშნავს. შდრ.: **ლენჭყო** – იგივე **ლენჭყი**; **ლეჭყი** – „ჭენჭყო, მთის კალთაზე ან გავაკებაზე დამდგარი ჭანჭახი“; **ლეჭყონა** „ჭანჭრობი“; **ლეჭყოჭყი** – „ჭენჭყო“ (ქობალია, 2010: 381). მაშასადამე, **ლეჩქოვი** ← **ლეჭყოფი**. შდრ. **ლეჭყი** – ჭეჭყოიანი, ჭაობიანი ადგილი სოფ. გურძემში (ელიავა, 2018: 56).

§5.27. ლიხნი

ისტორიული სოფელი და თემის ცენტრია გუდაუთის რაიონში. აერთიანებს ცხრა სოფელს: ლიხნს, ალგითს, აჯიმიჩილრას, აძლაგარას, აძლაგარხუქს, ბამბორას, მზახვას, ხეცკვარასა და ჰაფშირას. ლიხნი ზღვის დონიდან 50 მ-ზე მდებარეობს და გუდაუთას 5 კმ-ით არის დაშორებული. ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია ლიხნის შესახებ წერს: „გუდაუთიდან ჩრდილოეთით აღმართ-აღმართ მიმავალს, ოღროჩოლო გზას კაცი სოფ. ლიხნიში მიჰყავს. იქით-აქეთ ვენახთა და ტყეთა შორის ძლივას მოსჩანს აფხაზთა ფაცხები, წნული, გვიმრით დახურული, ღარიბული და თითქმის პირველყოფილ ადამიანთა ბინების მსგავსი... აქა-იქ შემოგეფეთებათ თითქმის დედიშობილა ბავშვები, რომელნიც უცხო კაცის ნახვაზე დასამალავად გარბიან ხოხობის წინილებით. საზოგადო სურათი ადამიანის გულს სანუგეშოს, გამამხნეველებს არას ეუბნება...“ (სახოკია, 1985: 388). მწერალი შენიშნავს, რომ მესამე კილომეტრზე მდებარე მოზრდილი ვაკე ლიხნის შუაგულს წარმოადგენს, სადაც რეზიდენცია ჰქონია აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს მიხეილ შარვაშიძეს. ყურადღებას ამახვილებს სახელწოდებაზეც: „სახელი ლიხინი ქართული სიტყვა ლიხინისაგან დარქმევია, რადგან საუკეთესო სალხინო და დროს გასატარებელ ადგილად ითვლებოდაო. თურქული სახელიცა ჰქვიან ლიხინს – **სოუქ-სუ**, ე. ი. ცივი წყარო. მართლაც, გარშემო მრავალ ალაგას ამოჩუხჩუხებს ცივი, ბროლივით ანკარა, მეტად საამო სასმელი წყაროები“ (იქვე: 389). ლიხნის ტრიალ მინდორზე განკერძოებით მდგარი, მრავალდროების მონმე სამი ბუმბერაზი ცაცხვიდან ერთ-ერთ-

თის ძირას დევს დიდი ლოდი, ერთი მხარის სიგრძისა და ადლნახევრის სიგანისა, რომელზეც ჯდებოდა თურმე აფხაზეთის მთავარი ღია ცისქვეშ, სიტყვიერად ასამართლებდა თავის ქვეშევრდომთ. მთავრის სასახლის გარშემო შარვაშიძის თანამეცხედრე ქალთა ნამზითვი ყმები სახლობდნენ. ამ მოსახლეთა შორის მხოლოდ მეგრული გვარები იყო დარჩენილი, ენა კი მხოლოდ აფხაზური გაისმის. მთავრის ნასახლარის გვერდით ლიხინის დიდშენი, ბიჭვინთისა და დრანდის ტაძართა გეგმაზე აგებული ტაძარი დგას, რომელშიც დამარხულია 1821 წელს ქრისტიანად მონათლული აფხაზეთის მთავარი სეფერ-ბეი (მამა უკანასკნელი მთავრისა). მან სახელად გიორგი დაირქვა და ცოლად შეირთო გრიგოლ დადიანის ქალი თამარი (იქვე: 389-390). ლიხინთან დაკავშირებულმა ორმა ამბავმა ძირფესვიანად შეცვალა აფხაზთა პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება. პირველი, ესაა უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის აფხაზეთიდან რუსეთში ძალით წაყვანა, და მეორე – ლიხინში დანყებული აფხაზთა ამბოხება და ბრძოლა მეფის ჯარებთან (იქვე: 390).

შუა საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტის სახელწოდებას, აკად. პ. ინგოროყვას დაკვირვებით, სახეცვლილებების შემდეგი გზა უნდა გაეგო: ლიხინი → ლიხინი → **ლჯხნი** → ლუხუნი. ამასთანავე, ლიხინი, ლჯხნი მეგრულისა და აფხაზურისათვის დამახასიათებელ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. პ. ინგოროყვა სახელწოდებაში გამოყოფს მრავლობითობის აღმნიშვნელ ქართულ ბოლოკიდურ ფორმანტს –ნი, მეცნიერი იქვე იმონმებს „ლიხი“ სიტყვის შემცველ გეოგრაფიულ სახელწოდებებს: ლიხინი, მთა ლიხისა – მთაგრეხილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საზღვარზე; ლიხთა//ლჯხთა – მთა აფხაზეთში, ლიხეთი – სოფელი რაჭაში (ინგოროყვა, 1954: 151).

ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ჯანაშია თედო სახოკია-სადმი 1897 წელს გაგზავნილ წერილში ლიხინის ეტიმოლოგიის შესახებ წერდა: „ძმაო თეოდოტ! შენს თხოვნას გისრულებ: (ლიხინი) – ლიხინი უნდა წარმოადგებოდეს სიტყვიდგან ალხრა (გამორჩევა, გამოკაფვა), აქედან იალიხინი (გამორჩეული), ილიხინი (გამოკაფული)“ (სახოკია, „ს. მ.“, 1975: 186-187).

ა. ლეონიდი ტოპონიმს ქართულ სიტყვას – **ლიხინს** უკავშირებდა. XIX ს-ის დასაწყისში ლიხინისათვის თურქული სახელწოდება **სოუკ-სუ** (ცივი წყარო) უწოდებია აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილის მამას – საფარ-ბეგს, იგივე გიორგი ჩაჩბას, შარვაშიძეს (ზუხბაია, 1998: 112). 1863 წლამდე სოუკ-სუ აფხაზეთის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. XIX ს-ის I ნახევარში აქ უწინ არსებულ ნანგრევებზე აგებული აფხაზი მთავრების სასახლე 1866 წლის აჯანყების შემდეგ დაანგრიეს. ვ. კვარაჩია იმონმებს რა კ. შაყრილის მოსაზრებას „ლიხინის“ ეტიმოლოგიის შესახებ, დასძენს: «В названии села **Лыхны** или **Loukhin** (см.

выше) К. С. Шакрыл усматривал абхазское княжеское родовое имя Лоу или Лау, что увязывается с княжеской (царской) фамилией Ачба. Вторую же часть топонима хны или хын он возводил к слову ахынхуа «там, где живут». К. С. Шакрыл исходной формой для Лыхны считал Лау ахынхуа «там, где живут Лауовы». (К. С. Шакрыл. К генезису наименования «Лыхны». Труды. – Сухуми. 1985. С. 153, 156).

Утверждение автора о том, что основа топонима Лыхны или Лоухин связан с родовым именем **Лоу**, Лау не вызывает сомнения. Но трудно поверить в трансформацию слова ахынхуа в хны или хин.

Нам представляется более вероятным связь элемента **хин**, **хын** (хны – русская форма, см. выше) со словом **а-хан** «дворец». Отсюда **Лоухан** или **Лаухан** «дворец Лоуовых». В названии Лоухан переход гласного а в иррациональное ы могло переиначить основу хан в хын – Лаухын, передаваемое в источниках искаженно, как хин – Лоухин. Современная же форма Лыхны может быть образована закономерным стяжением основ и перестановкой конечных фонем ын – ны. Если же взять за исходную форму Лоухны (Лыхны), то ее можно перевести как «место главы Лоуовых» – из Лоу «родовое княжеское имя» + х «голова, глава» и ны – локативный суффикс, образующий названия стран, например: Аҧс-ны «Абхазия», Агыр-ны «Мегрелия», Шәа-ны «Сванетия» и т. д.» (Кварчия, 2006: 204-205).

მკვლევართა ერთი ნაწილის ვარაუდით, ლიხნი სვანური წარმომავლობის ტოპონიმი. **ლეჰნი** (ლე-, ლი-ჰნი) სვანურში იგივეა, რაც სახნავი (დუნდუა, 2001: 164). ქ. ლომთათიძე აფხაზეთ-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე არსებულ **-ნ**, **-ნა** დაბოლოებიან სახელებზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ პ. ინგოროყვას **-ნა** სუფიქსი მიჩნეული აქვს ქართულად და, აქედან გამომდინარე, გეოგრაფიულ სახელებს – **ნანანა-ს**, **დღვანა-ს** და სხვ., ქართული წარმომავლობისად აცხადებს. ვიდრე არ დამტკიცდება **ნაა-**, **დღვა-** ფუძეთა ქართულობა, მანამ, მკვლევრის დაკვირვებით, ძნელია მათი ქართულად გამოცხადება. თუკი პ. ინგოროყვას ლიხნი ქართ. მრავლობითის ფორმად მიაჩნდა, ქ. ლომთათიძის აზრით, ნამდვილად კი ნ აქ აფხაზური გეოგრაფიული სახელების საწარმოებელი აფიქსია და არა მრავლობითობისა. ლიხ- მართლაც უნდა უკავშირდებოდეს ქართულ ლიხ- ფუძეს, მაგრამ მას აფხაზური დაბოლოება აქვს (ლომთათიძე, „მნათობი“, №12, 1956: 135).

საკვლევ ტოპონიმს არაერთი საგულისხმო პარალელი მოეძებნება სამეგრელო-იმერეთის ტოპონიმიში. მოვიხმობთ საილუსტრაციო მასალას: **ლიხეთი** – ჩაის პლანტაცია სულორში: საქართველოს ტოპონიმი (მასალები). ქვემო იმერეთი. შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კემულარია. თბ., 2003: 170);

ლიხი – მთა, ტყე ობჩაში: იქვე: 171); **ლუხუნა** – ადგ. თამაკონში: ელიავა, 1977: 192); **ლუხუმი** – სახნავი, ფერდობი გორდში; **ლუხუმი//ლუხუნი** – მდინარე, რიონის მარჯვენა შენაკადი რაჭაში; **ლუხუნის მთა** – მთა ლუხუნის სათავესთან: ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 181).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **ლიხი** სამეგრელო-სამურზაყანოში აღნიშნავს მაღალ შამბნარს, ხოლო **ლიხნი** ვაზის მაღლარია. მაღალ სარზე – **ოლიხნარზე** გასხლული ვაზის მიშვებას, მაღლარზე გაყვანას **ლიხნუა** ეწოდება (ქობაღია, 2010: 382).

„ლიხისა“ და „ლიხნის“ აქ მოტანილი მნიშვნელობები სავსებით შესაძლებელია ტოპონიმის მოტივაციის გასაღებად მივიჩნიოთ („ლიხნის“ ეტიმოლოგიის შესახებ იხ. კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 113-114; მისივე, „ქართ-ველოლოგია“, 4, 2014: 78-79).

§5.28. მარაჭა//მარაჭიჭა

მარაჭა გაგიდანყარის მარცხენა შენაკადია დიდბულაზთან, რომელიც ქვე-მონელზე ოკვინორენყარის პარალელურად მიედინება. საზიაროა ფიცარღალსა და გაგიდასთან. სახელწოდების აფხაზური ვარიანტია **მარჭიჭ**. სამურზაყანოს ტოპონიმთა ლექსიკონში მისი განმარტება არ არის მოცემული (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, 2003, გვ. 92). **მარაჭას//მარაჭიჭას** უწოდებენ მდინარისპირა მცირე ვაკეს, მდინარესთან ან ზღვასთან მდებარე მერეს, მცირე ჭალას. ეს სიტყვა ჩვენს წინაპრებს გეოგრაფიულ სახელწოდებად უქცევიათ.

სულხან-საბას განმარტებით, **მერე** იგივეა, რაც „მეედანი, სწორი ვაკე“; „სწორი ადგილი“, „მდინარის კიდე“. ნ. და დ. ჩუბინაშვილების მიხედვით, **მერედე, მერედი** აღნიშნავს „მდინარის კიდეს, დაცემულ ვაკე ადგილს, ანუ მეიდანს, ფორეს“. აჭარულ და გურულ დიალექტებში მერე აღნიშნავს „მდინარის ნაპირზე მდებარე სახნავ-სათეს ვაკეს“; „დაბალ, ნოყიერ სახნავ-სათეს მიწას“; „მდინარისპირის მდებარე საყანეს“. პ. ცხადაიას აზრით, მერეს ძირითადი მნიშვნელობა „წყლისპირა ვაკეა“ (ცხადაია, 2016: 100). ბაქარ გიგინეიშვილი: „**მერე** – სწორი ადგილი, ვაკე; მდინარის ნაპირას მდებარე სახნავ-სათესი მიწა“. ძველ ქართულში **მერე** გვხვდება ტოპონიმად. „დედა ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკვდრა **მერეს** შინა (გრ. ხანძთ. ცხ.: აგ. ძ., I, 261, 29); და მოიწია დედისა ფებრონიასსა **მერეს**“ (აგ. ძ., I, 277, 38). მერე ტოპონიმად გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში... არაა ნათელი ქართული **მერე**-ს კავშირი მეგრულ **მერე**-სთან, რომელიც „ტბას“ ნიშნავს. შესაძლოა, **მერე** აღნიშნავდა ადგილს, რომელიც მდინარის,

ტბის ან მთის შემდეგ იყო განფენილი. თავდაპირველად ასეთი ადგილები აღინიშნებოდნენ გამონათქვამებით: **მდინარის მერე, ტბის მერე, მთის მერე** (შდრ. ამგვარი ხმარება სიტყვებისა **იქით, გადაღმა, ჩაღმა**) (გიგინეიშვილი, 2016: 338). მაშასადამე, მკვლევრის ვარაუდით, მერე ეტიმოლოგიურად უნდა დაუკავშირდეს ნანილაკს – **მერე/მერმე** (იქვე).

მერეს პარალელური ფორმა **მარა**, ზ. ჭუმბურიძის აზრით, ჩანს აჭარის სოფ. **მარადიდის** სახელწოდებაში (ჭუმბურიძე, 1987: 431). „ისეთ ვაკეს, – წერს მკვლევარი, – რომელიც წყლის სანაპიროზე მდებარეობს, წინათ მერე, ანუ მარა ეწოდებოდა. ეს სიტყვა გურიასა და აჭარაში დღესაც იხმარება“ (იქვე: 466). პ. ცხადაიას აზრით, **მერე** და **მარა** ფონეტიკურ ვარიანტებში დაცულია კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობა – ქართ. **მერე**: ზან. **მარა**. ტოპოლექსემა მარა სუბსტრატულია, ხოლო მერე – ადსტრატული (პირობით). მეგრულში „მერე“ იმერულ-გურული დიალექტებიდან არის შეთვისებული. მერე//მარა-ს ლექსემათა მნიშვნელობა დღეს დავინწყებულია; თუმცა სამეგრელოს ტოპონიმის შემოუნახავს უტყუარი მონიშნა ორი სახელწოდების სახით, რომ **მარა** ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებული ლექსემა იყო. ესაა **მარა** – მდ. ჩხოუშის ერთკილომეტრიანი მონაკვეთი და ფართო სახნავეები მის ორსავე ნაპირას, ჩხოუშსა და ოქტომბერში (ზუგდიდის რ.), და **მარაგანი** – ტეხურის მარცხ. შენაკადი სენაკის რაიონის სოფლებში – საკილასონოსა და საოდიშარიოში. ქვემო სამეგრელოში გვხვდება **მერე** ტოპოლექსემაც (ცხადაია, 2016: 101-102). შდრ. ა. ქობალია: **მარადიდი** „ვრცელი ჭალა ზღვასთან, მდინარესთან“ (ქობალია, 2010: 389); **მარა** „მდინარისპირა ვაკე“ (იქვე).

მაშასადამე, სამეგრელოსა და გურია-აჭარის ტოპონიმიაში გამოვლენილი ქართული **მერ-ე** ფუძის კანონზომიერი მეგრული შესატყვისია **მარ-ა**. სამივე რეგიონში (სამეგრელო, გურია, აჭარა) **მერე** უნდა გავრცელებულიყო შავიზღვისპირეთის ქართიზაციის (VII-VIII სს.) შემდეგ (იქვე: 102-103). მსგავსი წარმოებისაა ტოპონიმი **მარაჭა/მარაჭიჭა** სამურზაყანოში. მისი მეორე კომპონენტია **ჭიჭა/ე** „პატარა“. შდრ. ***ჭიჭა** „პატარა“; ლაზ. **ჭიჭა** „პატარა“, **ჭიჭ-იტა** „მეტად პატარა“ / მეგრ. **ჭიჭე** „პატარა“, მაგრამ **ღვა-ჭიჭა** (=შუბლპატარა) „ბაყაყი“; შდრ. ქართ. **წინ-**, წინ-ილ-ი/ა (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუხა, I, 2015: 882). **ჭიჭა** გამოიყოფა აგრეთვე სიტყვებში – და-**ჭიჭა**-რებ-ა „დაპატარაება“, ო-**ჭიჭა**-რ-უ „ეცოტაება, ეპატარაება“, **ჭიჭ/ე/ა**-ნ-ობ-ა „პატარაობა, ბავშვობა“...

§5.29. მარუხი

მარუხი ეწოდება მთას, მყინვარს, უღელტეხილსა და მდინარეს გულრიფშის რაიონში. მარუხის მწვერვალი მდებარეობს აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 3806 მ-ია. აღმოსავლეთით აღმართულია მცირე მარუხის მწვერვალი, რომლის სიმაღლეც 3550 მ-ია. მწვერვალზე გზა ადის სამხრეთიდან, მდ. ჩხალთის ხეობიდან და ჩრდილოეთიდან, მდ. მარუხის ხეობიდან (უთმელიძე, ქსე, VI, 1983: 463). გულრიფშის რ-ნის ტერიტორიაზე მიედინება მდ. მარუხი – ჩხალთის მარცხენა შენაკადი. სათავეს იღებს აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მარუხის მყინვართან, ზ. დ. 2405 მ-ზე. მდინარის სიგრძე 7,7 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი – 43, 4 კმ² (აფხაზავა, ქსე, VI, 1983: 463). მარუხის უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზეა, მწვერვალ მარუხის დასავლეთით. სიმაღლე – 2746 მ. ამ უღელტეხილზე გამავალი საცალფეხო გზით ერთმანეთს უკავშირდება ჩხალთის ხეობა (გულრიფშის რ.) და მარუხის ხეობა (ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო) (უთმელიძე, ქსე, VI, 1983: 463).

შ. ინალ-იფას აზრით, მარუხი „მარშანიას მთას“ ნიშნავს. იგი მისიმიანეთის მთებს მარშანიებს მიაკუთვნებდა და ამ გზით ცდილობდა მისიმიანეთის აფხაზური წარმომავლობის მტკიცებას. ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა ისტორიკოსმა თ. მიბჩუანმა: „მარუხი თუ მარშანიას მთას ნიშნავს და მისიბისთა მისიმიანიდან მომდინარეობს, ეს აფხაზურში მისიმიანური ელემენტის არსებობაზე მიგვანიშნებს და არა მათ აფხაზურობაზე“, – შენიშნავს იგი (მიბჩუანი, 1989: 142). ო. ქაჯაიას განმარტებით, „**რუხულე** ბოტან. სიმინდის ჯიშია (შდრ. სოფელი **რუხი**)... შდრ. **რუხულა**“; **რუხულე** გულისხმობს იმას, რაც **რუხიდანაა**. **რუხი** ფერის სახეობა. შდრ. **რუხა** ყომრალ-ჭრელი (საბა, დ. ჩუბ.)“ (ქაჯაია, IV, 2009: 462).

აქვე დავიმოწმებთ მკვლევარ ვალერი კვარჭიას ვრცელ მსჯელობას **მარუხის** ეტიმოლოგიის გარშემო: «**Маруха** – гора и перевал на главном Кавказском хребте у верховья р. Адзгара, а также левый приток Малый Зеленчук и село в Зеленчукском районе Карачаево-Черкесии. Этимологию данного названия затрагивают ряд исследователей. Дж. Коков допускает, что Марух может быть связан с названием старинного оружия из нартского эпоса – мэрыху (Дж. Коков. Адыгская (черкесская) топонимия, с. 227). По мнению Н. Д. Бондарева Маруха можно объяснить из **Нарыха** «гора Нартов» (Бондарев Н. Д. В горах Абхазии.//Некоторые топонимы Абхазии. М., 1981, с. 174). С. А. Хапаева также считает **Маруха** абхазо-абазинским топонимом и объясняет его из мара «солнце, солнечный» и ха «голова, вершина», или же от

Мархва «гора, горный хребет». С. Х. Ионова Марыхә не без основания относит к группе абхазо-абазинских топонимов с элементом хәа (хуа) «гора, холм» (Ионова С. Х. Абазинская топонимия, с. 173). Абхазский ученый Ш. Д. Инал-ипа исходя из народных преданий о том, что «горы принадлежат Маршанам», название Марыхә переводит как «гора Маршанов». По этому поводу С. Х. Ионова пишет: «В исторической литературе данное слово этимологизируется как «гора Маршанов». Первую часть, ма возводят к фамилии Маршан, -р – аффикс посессива «их», хва – «вершина». Хорошо известно, что издревле и вплоть до середины XIX в. весь район верховьев р. Кодор до самого хребта был занят исключительно воинственными абхазскими племенами (с особым цебельдинским говором) во главе с многочисленным родом Маршан. Маршаны господствовали не только в Дале и Цебельде, но и в Медовее и некоторых других горных обществах (среди абазин известны под именем Марчан» (см. Ионова С. Х. Указ. раб. с. 173, 174). Мы также склонны поддержать вышеприведенное объяснение: Марыху может быть из Мар-рхәы в результате стяжения основы и метатезы конечных фонем – **Мар-рхәы** > **Марыху** «Гора Маров (Маршанов)». Основа антропонима **Маршан** – мар представлен и в названии села **Мархәаул** (см. **Мархәаул, Маркула**)» (Кварчия, 2006: 208-209).

რუხი/რუხუ მეგრულში აღნიშნავს როხს, ლოდს; **რუხუია/რუხულია** იგივეა, რაც ლოდივით დიდი, ვეება; **რუხილი** და **რუხული** „ლოდებით ნაშენებია“ (ქობალია, 2010: 574). იმავე ლექსიკონში **მარუხია** სიტყვა განმარტებულია, როგორც „ლოდების ცვენის, პოვების ადგილი“ (იქვე: 391). ხომ არ ნიშნავს **მარუხი** ქვათაცვენის ადგილს, ან ჩამორღვეულ, ჩამოშლილ, ჩამოშიშვლებულ კლდეს; ადგილს, სადაც დიდრონი ქვები ყრია, ლოდნარს?

§5.30. მოქვი

ეგრისწყლის შემდეგ ვახუშტი ბატონიშვილი ეხება ოდიშის დასავლეთ ნაწილს, მოქვისა და კოდორის ხეობებს: „...ამ ეგრისის მდინარის დასავლეთ დის **მოქვის მდინარე** ჩდილოდამ სამჯრით. გამოსდის კაკკასს და მიერთვის ილორს ზლუას. ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს **მოქუს** ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები. აღაშენა... მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა. არამედ ეს მდინარე მოქვისა დის მოქუამდე აღმოსავლიდამ დასავლეთად. ხოლო მოქვის მდინარის დასავლეთ დის **კოდორის მდინარე**. ამ წყალზედ არს ეკლესია **დრანდას**, მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი. ზის

ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისა ადგილთა. არამედ ან აფხაზთაგან არლარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზნი. გარნა მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე კავკასიიდან, და დრანდიდამ ზღუამდე დის ჩდილოდამ სამჯრით. მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“ (ვახუშტი, IV, 1973: 780-781).

მოქვის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში, მდ. მოქვისა და მისი შენაკადის – დვაბის შესართავთან. ოჩამჩირეს 17 კმ-ით არის დაშორებული. მდ. მოქვიც რაიონის ტერიტორიაზე მიედინება. მდინარის სიგრძე 47 კმ-ია, აუზის ფართობი 336 კმ²-ს შეადგენს. სათავეს იღებს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2560 მ-ზე და სოფ. ჯუყმურის მახლობლად შეერთვის შავ ზღვას (აფხაზავა, ქსე, VII, 1984: 148). ამასთანავე, მოქვი ეწოდება სოფელსა და თემის ცენტრს მდ. მოქვის ნაპირზე. რაიონულ ცენტრს – ოჩამჩირეს 17 კმ-ითაა დაშორებული და ზ. დ. 130 მ-ზე მდებარეობს.

მოქვის დინების ვახუშტისეული აღწერა მცდარია. მდინარე ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთით მიედინება, შემდეგ – ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მდ. მოქვისწყალი აღნიშნულია ქრისტეფორე კასტელის 1654 წლისა და ჟან შარდენის 1672 წლების რუკებზე.

მოქვის ტაძრის მშენებლობას, როგორც ვახუშტის ნაშრომიდან მოტანილი ციტატიდან ჩანს, ვახუშტი უკავშირებს აფხაზთა მეფე ლეონ III-ის სახელს, რომელიც მეფობდა 957-967 წლებში. შესაბამისად, ტაძარიც ამ წლებს შორის მონაკვეთში უნდა აშენებულიყო. ირკვევა, რომ მოქვზე მსჯელობისას მას უსარგებლია „მატიანე ქართლისაში“ დაცული შემდეგი ცნობით: „შეიქცა ლეონ და ეუფლა მამულისა და სამეფოსა თვისსა... ამან აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 270).

მოქვი და მისი შემოგარენი ოდითგანვე გამოირჩეოდა ბუნების მშვენიერებით, რაც თავისთავად განაპირობებდა ამ პუნქტის დაწინაურებას. „ადვილი წარმოსადგენია, – წერს კ. ბერულავა, – თუ რამდენად მოშენებული უნდა ყოფილიყო ამ მხარის მოსახლეობა, რომ ლეონ III-ს... აეშენებია ეს დიადი ტაძარი, რომლის ბადალი, თავისი რთული აღნაგობის მიხედვით, არ მოიპოვება აფხაზეთში და საქართველოშიაც იშვიათია“ (ბერულავა, 1951: 70). დიმიტრი ბაქრაძეს მოქვის ტაძრისათვის „წარსულის დიდებული ძეგლი“ უწოდებია. კ. ბერულავა თავის ნაშრომში იმონმებს მარი ბროსეს, რომელსაც 1848 წელს უნახავს ტაძარი და შთაბეჭდილებები შემდეგი სიტყვებით გადმოუცია: „ზომით გაშლილი ტაძარი ხვიარა მცენარეთა ბადეებითაა შემოხვეული, მისი სახუ-

რავი საჰაერო ბაღად გადაქცეულა... ყოველივე ამას განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. შიგ ისარივით აღმართულან საუცხოო თლილი ქვისაგან გაკეთებული სვეტები, 5 ნავი (nefs), ფიცარნაგი, უწინწკლო თეთრი მარმარილოს ლორფინებით დაგებულნი, ფერად-ფერადი მინების ნამსხვრევენი და ჩინებული ჩუქურთმის ლავგარდანთა ნაშთები მოწმობენ იმ დიად მშვენიერებასა და ხელოვნებაზე, რაც უაღრეს სისრულემდეა აყვანილი“ (ბერულავა, 1951: 70-71).

ტაძრის სიმაღლე 24 მ-ია, სიგრძე – 27 მ, სიგანე – 20 მ. ეზოში, ჭიშკართან შენობის ნანგრევებია. ტაძარი შემოზღუდულია მაღალი გალავნით. ძეგლი რთული გეგმისაა. სამნავიან ტაძარს განაპირა ნაგებობის გასწვრივ სამლოცველოების მწკრივი მიუყვება. აღმოსავლეთი მხარის სამი შვერილი აფსიდიდან შუას – საკურთხევისას, შიგნიდან ნალისებური ფორმა აქვს, გარედან კი ხუთნახნაგაა. შენობის ცენტრში აღმართულ ოთხ სვეტზე გუმბათია დაყრდნობილი, დაბალი, თორმეტნახნაგა ყელით. კვადრატისგან გუმბათის ყელზე გადასვლა მშენებელს აფრების საშუალებით განუხორციელებია. ძეგლი თლილი ქვის პერანგითაა შემოსილი. ფასადებზე ჩუქურთმები არ შეინიშნება (ზაქარაია, ქსე, VII, 1984: 148).

მოქვი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო და კულტურის კერას წარმოადგენდა შუა საუკუნეების საქართველოში. აქ შემოქმედებითი, მნიგნობრული მუშაობის ფართოდ გაშლაზე მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული არაერთი ხელნაწერი წიგნი. მათ შორის მოქვის ეპისკოპოსის – დანიელის თაოსნობით 1300 წელს გადაწერილი და მდიდრული ორნამენტებით შემკული ოთხთავი. მის უშუალო გადამწერად და გამფორმებლად ქართველი მნიგნობარი ბერი ეფრემია მიჩნეული (თუმანიშვილი: 70-71). აქვე მოღვაწეობდნენ ზებედე დიაკვანი, გიორგი მწერალი, გრიგოლ მაგნისძე (XII ს.), აბრაჰამი (XIV ს. I ნახევარი), ამბრია (XIV ს.), ლუკა ოძრხელი (1363 წ. ახლო პერიოდი), ელია (1414 წლის ახლო პერიოდი), რომანოზი (XV ს-ის I ნახევარი), ფილიპე ჩხეტიძე (XV ს.), ექვთიმე საყვარელიძე, ანდრია საყვარელიძე (1660-1666 წწ.) და სხვები, რომელთა თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით იქმნებოდა და მრავლდებოდა მრავალი ქართული სასულიერო ხასიათის ხელნაწერი (კალანდია, 2004: 123-124; გასვიანი, 2011: 200, 255).

მოქვი მოიხსენიება არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროში. იერუსალიმელი მონაზვნის, თეოდოსი განგრელის მიერ დაცულ აპოკრიფისიარის წერილში გვხვდება სოფ. მოქვი: „იმ ციხეში, რომელსაც თუხუმესი ეწოდება და რომელიც მდებარეობს სოფელ მოქვის ზემოთ, აფსილიის მხარის საზღვარზე, პონტოს ზღვის აღმოსავლეთით კავკასიის მთების ძირში, ქრისტესმოყვარე აბაზგებისა და ალანთა ტომის მახლობლად, ხუთი სიმის მანძილზე სოფელ

ჯიხახორიდან, ესე იგი, იმავე ლაზთა ქვეყნის ჭემმარიტად ქრისტესმოყვარე პატრიკოსისა და მაგისტროსის გრიგოლის პირველი სახლიდან, რომელსაც ის ამ წერილში ღირსეულად მიუძღვნის კეთილ ხსოვნას“ (თეოდოსი, გეორგიკა, IV: 50; კეკელიძე, III: 307).

1654 წელს შედგენილ ოდიშის სამთავროს რუკაზე აღნიშნულია მდ. მოქვის სწყალი და მის მარცხენა მხარეს – თილითი (ახლანდ. თლით-აბაა – ნაგებობათა კომპლექსი სოფ. თხინას ერთ უბანში – აბაჟვახუში) (ბერაძე, „მაცნე“, 3, 1971: 153).

1615 წლის 2 მარტს მოქვს სწვევია ფრანგი მისიონერი ლუი გრანჟიე, რომელიც შენიშნავს, რომ მოქვის მოსახლეობა მეგრელები არიან. რამდენადაც მოქვი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაშია, ხოლო ქრისტიანობის ენას ქართული წარმოადგენს, მისიონერს საჭიროდ ჩაუთვლია მოქვის შემოქმედებითი, საგანმანათლებლო კერის შესასწავლად მეგრულისა და ქართულის შესწავლა. იგი არაფერს ამბობს აფხაზურ ენაზე, რადგან მისი მოქვში ყოფნის დროისთვის იქ აფხაზები აღარ ცხოვრობდნენ (Сборник, 1915: 52; გასვიანი, 2011: 258).

1640 წელს მოქვი ცაიშელ ეპისკოპოს ანდრიასთან ერთად მოუნახულეზიათ რუს ელჩებს – ფედოტ ელჩინსა და პავლე ზახარევს. საკათედრო კერის ნახვით აღტაცებული ელჩები წერდნენ: „Февраля день мы были в монастыре в Мок шенском съ еписъкупам Ондреям да съ Максимум... Того же числа в той церкви Максим епископи своимъ попомъ велель обедню служить ... Февраля в 9 де из Московго Монастыря от Максима епископа пошли“ (50. 325).

1659 წელს სტუმრად წვეულ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს მოქვის საკათედრო ტაძარზე შეუნიშნავს შემდეგი წარწერა: „ტაძარი მოიხატა იმპერატორ ალექსი კომნენისა და აფხაზეთის დიდი მეფის დავითის დროს“ (გასვიანი, 2011: 200).

ტაძრისადმი ეპისკოპოს ანდრია საყვარელიძის (მოღვაწეობდა XVII ს-ის 50-60-იან წლებში) მიერ შეწირულ ღმრთისმშობლის ხატის კარედზე ქართული ასომთავრულით შესრულებულ წარწერაში ტაძარი მოიხსენიება „მოქუს“ ფორმით: „მოვაჭედინეთ ხატი ესე სახედ და მსგავსად შენდა და დავასვენეთ ტაძარსა თქვენსა მოქუს სახსრად და საოხად სულისა ჩვენისათვის“ (თუმა-ნიშვილი, 2001: 66).

1867 წელს აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლების დროს სოფ. მოქვიდან თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა სიაში დასახლებულია შემდეგი გვარები: ჭოლოკუა, ადღეიბა, ხვარაა, კერსალ, ქუთელია, არსია, ყაზან-ოღლი,

ანჩაბაძე, თარბა, აშცა, ქარია, ჩხონგურია, ჯინჯოლია, ჯინჯელ და ქუთარბა (ხორავა, 2004: 130-132).

კასტელის ცნობით, „აფხაზეთის ახლოს მდებარე მოქვის საეპისკოპოსო ეკლესია ძალიან ლამაზია, შიგ მრავალი ოქროსა და ვერცხლის ხატი და სხვადასხვა წმინდანის რელიკვიაა. აქვეა სახელოვანი წამებული სტეფანეს მკლავი...“ (კასტელი, 1976: 176). წერილობით წყაროებში სახელწოდების სხვადასხვა ფორმაა ცნობილი. ვ. კვარჭია ასახელებს შემდეგ ფორმებს: Мокви (ვახუშტი), Мекою (K – 11), Моква (K – 16, K – 20, K – 22), Мокв, Мыку (ნორდმანი), Мыку (K – 26), Моквы (K – 29) (Кварчия 1985: 69).

კავკასიის მხარის 1886 წლის სტატისტიკური აღწერის ცნობარიდან ირკვევა, რომ სოხუმის „ოკრუგში“ შემავალი მოქვის სოფლის საზოგადოებაში შედიოდა ოთხი სოფელი: არადუ (98 კომლი, 184 სული; მათ შორის ქალი – 171, კაცი – 355), მერკული (113 კომლი, 242 სული; მათ შორის ქალი – 221, კაცი – 463), მოქვი (159 კომლი, 323 სული; მათ შორის ქალი – 321, კაცი – 644), თხინი (99 კომლი, 214 სული; მათ შორის ქალი – 208, კაცი – 422) (сводъ..., 1893).

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის ცნობარის მიხედვით 1926 წლისათვის არსებობდა მოქვის სასოფლო საბჭო, მასში შემავალი ხუთი სოფლით: არადუ, აძიბჟარა, აჯა, მირკულა და მოქვი. სასოფლო საბჭოში სულ 459 კომლი (2242 სული) მოსახლეობდა. მათ შორის 265 სული ქართველი იყო, 35 – რუსი, 1839 – აფხაზი, 3 – ბერძენი, 8 – უკრაინელი, 92 – სხვა დანარჩენი (დაყოფა, 1930: 163).

1949 წლის მონაცემებით მოქვის სასოფლო საბჭოში ხუთი სოფელია: მოქვი, ჯალ-აფსუა, აძიბჟარა, არადუ, აჯაჟვი (დაყოფა, 1949: 130-131).

1966 წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მოქვი სოფელი და სასოფლო საბჭოს ცენტრია ოჩამჩირის რაიონში. სასოფლო საბჭო აერთიანებს სოფლებს: საკუთრივ მოქვს, ჯალ-აფსუას, აძიბჟარას, ჯალს, მერკულასა და აჯაჟვს (დაყოფა, 1966:120).

ვახუშტი ცდება, როცა ამბობს: „ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს მოქუს ეკლესია გუმბათიანი“. სინამდვილეში მოქვის ტაძარი ვაკეზეა აგებული. არასწორია მდ. მოქვის ზღვასთან შეერთების ადგილის ვახუშტისეული ჩვენებაც. მეცნიერი მიიჩნევს, რომ მოქვი „მიერთვის ილორს ზღუას“. რეალური ვითარება სხვაგვარია: სოფ. ილორში შავ ზღვას შეერთვის მდ. ლალიძგა, ხოლო ილორიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მოქვის ზღვაში შესართავამდე საკმაო მანძილია (ზუხბაია, 2000: 13).

ვახუშტის აღწერის გაანალიზება გვაძლევს შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას:

1. ისტორიკოსი ნაწილობრივ არასწორად გადმოგვცემს მოქვის დინების მიმართულებას („ჩდილოდამ სამხრით“). მოქვი ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთით მიედინება, შემდეგ – ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. არასწორია მდინარის ზღვასთან შეერთების ადგილის ვახუშტისეული ჩვენებაც. მეცნიერი მიიჩნევს, რომ მოქვი ილორთან უერთდება ზღვას. რეალური ვითარება კი სხვაგვარია: სოფ. ილორთან შავ ზღვას შეერთვის მდ. ლალიძგა, ხოლო ილორიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მოქვის ზღვაში შესართავამდე საკმაო მანძილია. მოქვის ეკლესიის მდებარეობაც ნაშრომში არასწორად არის მოცემული. იგი მდებარეობს არა მთაში, არამედ – ვაკეზე;

2. XVIII ს-ის I ნახევრის ისტორიული ფონის გათვალისწინებით, მოქვისა და ღრანდის ეპარქიები აფხაზთა მიერ არის აოხრებული, ეპისკოპოსები არ არიან და საეკლესიო წირვა-ლოცვა არც ერთ მათგანში არ აღევლინება;

მოქვი სოფელია იმავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე, ოჩამჩირის რაიონში. ჰიდრონიმი **მოქის** ფორმით დასტურდება ანონიმი მემატიანის თხზულებაში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ზიგანიდან ტარსურას წყლამდე, რომელსაც ამჟამად მოქი ეწოდება, 120 სტადიონი, ანუ 16 მილიონია (გეორგიკა, II, 1965: 6).

მისიონერ არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ამ მდინარეს ასე ჰქვია იმიტომ, რომ იგი ჩაუდის მოქვის საეპისკოპოსოს“ (ლამბერტი 2011: 201). რუკაზე მდინარე **Moquis-Schari**-ს, ხოლო საეპისკოპოსო – **Moguis**-ის ფორმითაა აღნიშნული (ბერაძე „მაცნე“, 3, 1971: 148).

ტოპონიმ „მოქვის“ შესახებ მსჯელობდა სახელოვანი მეცნიერი პ. ინგოროყვა, რომელიც აფხაზეთის „შუა-სოფლის“ მნიშვნელოვანი პუნქტის სახელწოდებას გრამატიკული გაფორმებითა და ბოლოკიდური ფორმანტით უდარებდა იმავე ტიპის სხვა ქართულ გეოგრაფიულ სახელებს (თმოგვი, ჩაქვი, ბახვი, ნეძვი, ძეგვი, არაგვი და სხვ.) და დასძენდა, რომ მსგავსი სახელი „მოქვთა“ გვხვდება შიდა საქართველოშიც, კერძოდ, შავშეთში (ინგოროყვა, 1954: 168).

ტოპონიმის შესახებ მიამიტურ განმარტებას გვთავაზობს კ. ჰანი: „**Моква** груз. (монастырь) от мокла=мокла=успокойся, почивай, умри“ (Гань, 1909: 105).

თ. მიზიუანის დაკვირვებით, „ეს ტოპონიმი მოგვაგონებს სვანურ სიტყვას „მუქვ“, რომელიც მიწის ზვინს აღნიშნავს. „მუქვარ“-ს (მრავლობითში) თხუნელების ან ვირთხების მიერ გადანათხარ ადგილს უწოდებენ“ (მიზიუანი, 1989: 257).

„მოქვის“ ეტიმოლოგიის შესახებ პ. ინგოროყვასა და თ. მიზჩუანის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი მიმოიხილა კ. ოკუჯავამ, თუმცა საკუთარ, განსხვავებულ განმარტებას არ გვთავაზობს (ოკუჯავა, 2002: 97).

ეთნოლოგ მ. თხაიციუხოვის აზრით, კომონიმი „მოქვი“ აბაზურ-აფხაზური წარმომავლობისაა და **მუკბა/მიქვას** გვარს უკავშირდება (Тхайсухов, 2006: 157-158). ეს მიამიტური და გულუბრყვილო ეტიმოლოგიური მსჯელობა ავტორის უკიდევანო ფანტაზიის ნაყოფია მხოლოდ და რეალობისგან შორს დგას. ვ. კვარჩია „მოქვის“ ეტიმოლოგიის შესახებ შემდეგ თვალსაზრისს გამოთქვამს: «Абхазское **Мықә** в грузинской транскрипции звучит как **Мокви**... Известно, что лабиализованное абхазское **қ-қә** в грузинском передается через **қв**, и же добавляется ко всем терминам, как собственно грузинским, так и заимствованным. Во-вторых, происхождение окончаний, приводимых Ингороква топонимов – гви (гуа), кви (куа), хви (хуа) другие ученые (С. Н. Джанашия, Р. Г. Рогава, Дж. Коков и др.) связывают с абхазо-адыгской языковой средой. В основе многих наименований населенных пунктов Абхазии лежат родовые имена их владельцев и поэтому вполне допустима связь названия села с известным абхазским родовым именем **Мықә, Мықәаа (Мықә-ба)** известное и у адыгов как **Мокко (Моковы)** – (Коков Дж. Н. Из адыгской (черкесской) ономастики, с. 182)» (Кварчия, 2006: 214-215).

თ. გვანცელაძის დაკვირვებით, სახელწოდების აფხაზური ვარიანტი **მექ**⁰ ქართულიდან მომდინარეობს. „სიტყვის აფხაზურიდან სესხების შემთხვევაში ქართულში უნდა არსებულიყო **მუქვ**-ი სახეობა, რაც არ დასტურდება. სამაგიეროდ, ლაბიალური **მ** თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში მდგომი ქართული **ო** ხმოვანი აფხაზურმა კანონზომიერად შეცვალა ნეიტრალური ხმოვნით, ხოლო **ქვ** კომპლექსი გარდაქმნა **ქ**⁰ ბგერად“ (გვანცელაძე, 2011: 248). შდრ. მ. ჩუხუა: სვან. **მექუ** ზს., ქს. „ზვინი“. ქართ. (ლენჩხ.) **მექვ**-ი – „ბუღული, თივის პატარა გროვა“, რაჭ. **ნექვ**-ი – „ნანილ-ნანილ აგროვებული თივა ზვინის დასადგმელად“. ზან.-რაჭულ დიალექტში შეინიშნება **მ** → **ნ** (**ნექვ**-ი ← **მექვ**-ი). ხომ არ ჩანს ამ სიტყვათა შესატყვისი ზანური სიტყვა ტოპონიმ **მოქვ**-ში (აფხაზეთი)? ს-ქართვ. ***მაქუ**- „თივის ზვინი → ქართ. **მექვ**-ი → //**ნექვ**-ი : ზან. (**მოქვ**- (?)) : სვან. **მექუ**“ (ჩუხუა, 2000-2003: 153). როგორც ვხედავთ, მ. ჩუხუა ამ სიტყვათა შესატყვისი ზანურ ფორმად ვარაუდობს **მოქვ**-ს. სინამდვილეში **მ** → **ნ** მონაცვლეობის გათვალისწინებით მეგრულში გვაქვს სიტყვა **ნერქვი**. შდრ. ო. ქაჯაია: **ნერქვ**-ი: იგივეა, რაც **ანწალა** (ქაჯაია, IV, 2009: 404).

შესაძლებელია ტოპონიმ „მოქვის“ მეგრული ენის ნიადაგზე ახსნაც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **მოქვი** დღესაც ცოცხალი სიტყვაა სამურზაყანოს მეგრულთა მეტყველებაში და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „რიყიანი, ქვით

მოფენილი ადგილი“. ა. ქობალიას ლექსიკონში **მოქვი, მოქვილი** განმარტებულია, როგორც „რიყიანი“ (ქობალია, 2010: 479). მოქვის მეორე მნიშვნელობა – „მოფქული, ფქვილით მოფენილი; ჩქერალი“, სემანტიკურად ასევე „ქვებით გადათეთრებულ ადგილს“ შეიძლება დაუკავშირდეს (იქვე: 479) (ტოპონიმ „მოქვის“ ეტიმოლოგიის შესახებ იხ. აგრეთვე: კეკელია, „ქუთაისური საუბრები“, XIII, 2013: 51).

§5.31. მუნისწყალი//მუნუსწყალი

ვახუშტი ბატონიშვილი „მუნის წყალს“ უწოდებს მდინარეს, რომელიც „ზუფუს დასავლით“ მიედინება (ვახუშტი, „ქ. ცხ.“, IV, 1973: 784). ამ მდინარეს ამჟამად მჭიშთა ეწოდება.

აფხაზეთის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს მდ. მუნის წყლის შესახებ იმეორებს ნ. დადიანიც: „ზუფუს დასავლით არს მუნის წყალი: გამოსდის კავკასიითგან და შეერთვის ზღვას“ (დადიანი, 1962: 152). აკად. ს. ჯანაშიას მიაჩნდა, რომ ვახუშტის მიერ მოხსენიებული მუნის წყალი უნდა იყოს მიჭიმ – (Черная Мычиш) (ჯანაშია, VI, 1988: 287). მდ. მჭიშთას „მაჩიშის“ ფორმით მოიხსენიებს ედუარდ აიხვალდი და წერს: „მაჩიშიც ერთვის ზღვას ბიჭვინთის ყურეში და მასზე შეიძლება რამდენიმე ვერსზე აღმა ცურვა“ (აიხვალდი, 2005: 222).

მუნის წყალი, ანუ დღევანდელი მჭიშთა (აფსუიზირებული ფორმა) მდინარეა გუდაუთის რაიონში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელწოდება აღნიშნავს „მინისქვეშა მდინარეს“ („მინის წყალი“). მუნისწყლისა და მჭიშთის იგივეობის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს თუ მართებულად მივიჩნევთ, მაშინ სახელწოდების კარსტულ მდინარედ გააზრება მისაღები უნდა იყოს (ოკუჯავა, 1998: 10, 114; ბახია-ოქრუაშვილი, 2010: 200).

მუნის წყლის სახელწოდებით მდინარე აფხაზეთში მართლაც რომ არსებობდა, ადასტურებს ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერის ტექსტი, რომელიც 1651 წლით თარიღდება: „მას ჟამსა ოდეს მიუხედით შარვაშიძესა ზუფუს, მუნუს წყალსა აქათ ავაოხრეთ. კიდევ მეორედ მიუხედით ზუფუს, კაპოეტის წყალს აქათ სრულებით ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო, ავიღეთ და გავაცუდეთ და კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯუა“ (გრიგოლია, ენიმკ-ის მოამბე, XIII, 1942: 157).

ხატის წარწერა იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ვახუშტის თხზულებაში თითქმის საუკუნით ადრეა შესრულებული და მასში მემატეიანის მიერ მოხსენიებული სამი ტოპონიმი დასახელებული. ესაა დასახლებული პუნქტი

ზუფუ (შარვაშიძის რეზიდენცია) და მდინარეები – მუნუს წყალი და კაპოეტის წყალი.

მსგავსი ჰიდრონიმი მანის წყალი//მაჭისწყალი დასტურდება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე (ასრათოვი, „ქ. ო.“, I, 1998: 72-73; Гамахариа, Гогиа, 1997: 645).

ჰიდრონიმი გვხვდება ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაშიც (1621 წ.), **მუნუს-წყლის** ფორმით.

პ. ინგოროყვა სახელწოდებას ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა და შენიშნავდა, რომ გარკვეულ მანძილზე მდინარის მინისქვეშ დინება უნდა გამხდარიყო ასეთი სახელდების მიზეზი. მაშასადამე, პ. ინგოროყვას აზრით, მდინარის თავდაპირველი ფორმა **მინის წყალი** უნდა ყოფილიყო, საიდანაც უნდა მიგველო **მუნისწყალი** (ინგოროყვა, 1954: 181). ეს თვალსაზრისი პირველად გამოთქვა აკად. ს. ჯანაშიამ (ჯანაშია, VI, 1988: 287; მსჯელობისათვის იხ. ოკუჯავა, 1998; ზუხბაია, 1998: 114; ბახია-ოქუაშვილი, 2010: 200).

მაშასადამე, ფიქრობენ, რომ სახელწოდება მინისქვეშა მდინარის, კარსტული მდინარის აღმნიშვნელია (შდრ. მინისქვეშა წყარო – წყარო სოფ. დრეში (ატენის თემი, გორის რ.)).

ქ. ლომთათიძის მოსაზრებით, მდ. მჭიშთის სახელწოდება ნანარმოებია აფხაზურის -თა სუფიქსით, რომელიც ადგილმდებარეობას გამოხატავს: **მჭშმ** → **მჭშმთა**. შდრ. **ზზფფ** → **ზზფფთა** და ა. შ. (ლომთათიძე, „მნათობი“, №12, 1956: 134).

შესაძლოა ამ სახელწოდების ეტიმოლოგია დაუკავშირდეს სიტყვას – **მუნნილი**//**მუნჭილი**, რომელიც მეგრულ ენაში აღნიშნავს დამუნულს, მოკუმულს, დახურულ სივრცეს. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **მუნუნა**//**მუნჭუა** განმარტებულია როგორც „მუნვა (ტუჩებისა)“ (ქობალია, 2010:499). ამ შემთხვევაში **მუნისწყალი** (← **მუნნილწყარი**) აღნიშნავს მდინარეს, რომელიც დახურულ სივრცეში დის (ვოკლუზს).

ამასთანავე, **მურნა** ერთგვარი თევზიცაა (**მურნა ჩხოში** – „წვრილი თევზი“) და ბალახიც (იქვე: 500). **მუნნი**//**მუნი** ეწოდება ლოფორთქინას, ლალის ჭიას. **მუნიში** ლალისყურია, ხოლო **მუნიშ წყარი** იგივეა, რაც ლალის წყალი (იქვე: 501).

ამ ჰიდრონიმის სემანტიკის შესაცნობად საყურადღებოა ბაღდათის რაიონის სოფ. პირველ ობჩაში დადასტურებული ღელის სახელწოდება **მუნურელა** (საქ. ტოპ., III, 2003: 195), ჰიდრონიმ „მუნისწყლის“ შესახებ იხ.: კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 98-100).

§5.32. ნაკალმელიუ

ტოპონიმს ვხვდებით „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“ (1621 წ.): „მრთებს ჯგუზურის ნაკალმელიუს ყანის შელაი, 2 ქათამი...“ (კაკაბაძე, 1914: 25). ამასთანავე, ირკვევა, რომ სახელდებული ობიექტი მდებარეობდა ნაყანეულის სასახლის შემოგარენში. სახელწოდება აღადგენს გვარ **კალმელიას** (მსჯელობისათვის იხ. კეკელია, II საერთაშორისო კონფერენცია, 2014: 35).

ს. კეკუა იზიარებს ჩვენს თვალსაზრისს და შენიშნავს, რომ ანთროპოტოპონიმი „ნაკალმელიუ“ ნაწარმოებია გვარსახელზე წინაწითარების აღმნიშვნელი **ნა-** პრეფიქსის დართვით, ხოლო კუთვნილებითი **-ურ** სუფიქსი წარმოდგენილია **-უ** ხმოვნის სახით. მაშასადამე, **ნა-კალმელ-ი-უ** ← **ნა-კალმელ-ი-ურ-ი** ← **კალმელ-ი-ურ-ი** ← **კალმელია** (კეკუა, 2017: 197).

§5.33. ნაა

ნაას სახელწოდებით ორი სოფელია აფხაზეთში: 1. გულრიფშის რაიონში, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 280 მ-ზე, გულრიფშიდან – 25 კმ-ის დაშორებით. გასული საუკუნის 80-იანი წლების ადმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით განახლების თემში შედის; 2. ოჩამჩირის რაიონში, მდ. კოდორის მარცხენა მხარეს, ზ. დ. 300 მ-ზე. ოჩამჩირიდან 40 კმ-ის, ხოლო სომხური ათარიდან – 5 კმ-ის დაშორებით. 1948 წლამდე ორივე სოფელს **სომხური ნაა** ერქვა (ქსე, VII, 1984: 279). ტოპონიმ „ნაას“ შესახებ ვალერი კვარჭიას მსჯელობა ასეთია: «В исходе ойконима Цъаа – антропоним, срав. с названиями близлежащих поселений: **Самаа** «Самовы», **Папаа** «Папаовы», **Наа** «Наовы», **Зынаа** «Дзиновы», **Капа** «Каповы» (Кварчия, 2006: 284).

ა. ქობალიას განმარტებით, **ნა** იგივეა, რაც ლერწამი; სტვირი, სალამური; ლერწმის კალამი, ხოლო **ნაა** „ლერწმიანია“ (ქობალია, 2010: 501). გამორიცხული არაა, რომ სოფლის სახელწოდების ამოსავალი სწორედ **ნაა** სიტყვის ეს მნიშვნელობა იყოს. მ. ჩუხუას შენიშვნა: უნდა აღინიშნოს, რომ ორი **ა** (=აა) ქართველურ ძირ-ფუძეებში არ დასტურდება.

§5.34. ნაჟანეო//ნაჟანევი//ნაჟანეული//ნაჟარეული//ნაჟინეუ

ნაჟანეული ერქვა სოფელს ისტორიული ოდიშის სამთავროს ტერიტორიაზე. XVI ს-ის II ნახევრით დათარიღებულ „გამოსავლის ნუსხაში“ მოიხსენიება „**ნაჟინეუს**“ ფორმით: „არის ნაჟინეუს საკლავის ჯუმალი ოთხმოცდათვრამეტი...“ (კაკაბაძე, 1914:56). „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“, რომელიც 1621 წლით თარიღდება, გვხვდება **ნაჟანეულის** სასახლე: „არის ჯუმალი ნაჟანეულს გამოსვლი (გამოსავალი – ავტ.) 48 საპურობო“ (იქვე: 28). იქვე ჩამოთვლილია ნაჟანეულის სასახლის სასარგებლოდ გადასახდელი ყმა-გლეხთა ბეგარა-გადასახადები, ანუ „მოსაკრებლობაჲ“ (იქვე: 24-28). გრიგოლ ლორთქიფანიძის 1706 წლით დათარიღებული სიგელიდან ირკვევა, რომ ნაჟანევი საკათალიკოსო სოფელი იყო: „ნაჟანევს ს(ო)ფ(ე)ლი ს(ა)კ(ათალიკო)ზო ნემსაძე კ(ათალიკო)ზის ხ(ე)ლშიდ აფხაზისგ(ა)ნ აყრილიყო, ყვაპ შარვაშიძეს სხა დაეყიდა და ექუსი მოსახლე კ(ა)ცი ყ(ა)ვდა“ (კაკაბაძე, I, 1921: 91). სიგელი ამ სოფელში მცხოვრებთა ვინაობასაც გვამცნობს. ესენი არიან: ამჟსნელი ღრუბელაია, ხუტალა, ხუხა, ზუმალა, კოდია ელიშიები და მათი შვილები, სუბუქია ჯგუბურია, ბიგვაკა, ჯღერიას ნაყმევი პაპაჲ ხუცობავაჲ“, რომლებიც აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს (1696-1742 წწ.) ხობში დაუსახლებია. იმავე სიგელში აღნიშნულია, რომ „ნაჟანარეულებს გლეხებს უფროჲს უმცროსი ღორი ემართაჲ და მეხადილეს საჩუქარი ემართა“ (იქვე: 92).

სოფლის ავბედით ისტორიაზე ცნობები დაცულია გრიგოლ კათალიკოსის 1712 წლით დათარიღებულ „გარიგების წიგნიც“: „ნაჟანევს სოფელი აფხაზს აყარა, სამოცი მოსახლე კაცი. ნეფსაძე კათალიკოზს ყვაპუ შარვაშიძისათვის მიებარებინა (იქვე: 104). იგივე „გარიგების წიგნი“ გვაუწყებს ამ სოფლის ყმა-გლეხთათვის დაწესებული ბეგარა-გადასახადების შესახებ: „ენგურს გაღმართელს ნაჟარეულებს ღრუბელაიას ორილოღარიკი, ელიშიას ორი, ნანაიშვილს ორი, ნარმანიას ორი, კოდუას ორი, ჯგუბურიას ორი, სუბუქიას ორი“ (იქვე).

მამასადამე, **ნაჟინეუ//ნაჟანევი//ნაჟარეული** ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარე საკათალიკოსო სოფელი ყოფილა. აფხაზთა გამუდმებული თავდასხმებით დაწიოკებული სოფლის მცხოვრებთათვის გრიგოლ კათალიკოსს ენგურს-გამოღმა, ხობში მიუჩენია მამულები.

ფიქრობენ, რომ ნაჟანევის//ნაჟანეულის ადგილას ამჟამად სოფელი ოტობაია მდებარეობს (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 111).

ნაჟანეოს//ნაჟანეულის ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას მკვლევარი კ. ოკუჯავა აღნიშნავს, რომ მასში უნდა გამოიყოს წინაწითარების სახელთა მანარმოებელი **ნა**-პრეფიქსი (ნალეფსაოს, ნამიკოლაავოს, ნაესაკაოს და სხვათა მსგავსად).

ტოპონიმის (ყოფილი ოიკონიმის) ძირს – ჟანე//ჟანას, ეთნონიმ ზანის//სანის ფონეტიკურ ნაირსახეობად მიიჩნევს და ვარაუდობს, რომ ნაჟანეო „ზანების ნა-სახლარის“ აღმნიშვნელი სახელწოდებაა (ოკუჯავა, 2002:96-97).

ჩვენი აზრით, ტოპონიმის ამოსავალი უნდა იყოს გვარი ჟვანია. სულთა რაოდენობით ჟვანიას გვარს სამეგრელოს რეგიონში ამჟამად 37-ე ადგილი უჭირავს. ჟვანიები მოსახლეობენ ნარაზენში, დოშაყეში, ახალბასთუმანში, მუხურში, ჭითანყარში, კინიაში, ლესიჭინეში, ხაბუმეში, ქვედა ჩხორონყეში, თეკლათში, კახათში, დიდ ქყონში, საჯიჯაოსა და სხვაგან. ჟვანიებით დასახლებულ უბანს დოშაყის თემში, ზანასა და მაჩხაპეს შუა, ლეჟვანიე ჰქვია. სახნავს სოფ. ახუთში ნაჟვანუს ეძახიან, რაც „ჟვანიას ყოფილს (ნაქონს)“ ნიშნავს. საჟვანო ყოფილი დასახლებული უბანია საგუნოში. XX საუკუნის დამდეგს აზნაურ ჟვანიებს უცხოვრიათ ეკში, უფალკარში, ონტოფოში, საკაჭაროში (სუჯუნის თემი) (ცხადაია, 2000:121-122). (ტოპონიმ **ნაჟანეოს//ნაჟანეულის** შესახებ იხ. აგრეთვე: კეკელია, ქებულაძე, პსჟ, XIII, 2013: 90-91).

სოფლის სახელწოდების უწინდელი ფორმა **ნაჟვანეური, ნაჟვანოური** უნდა ყოფილიყო. მასში გამოიყოფა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებული მატოპონიმებელი **-(ო)ურ** სუფიქსი. ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოიკონიმი ნა-ჟან-ეულ-ი//ნა-ჟან-ეურ-ი ანთროპონიმ **ჟვანიასაგან** მომდინარეობს (შდრ. კვიტაული//კვიტოული – სოფელი ოჩამჩირის რაიონში). შესაძლებელია აგრეთვე, რომ ტოპონიმი უკავშირდებოდეს აფხაზეთში გავრცელებულ **ბჟანიას** გვარს. მასასადამე, ნა-**ბჟან**-ოურ-ი > ნა-**ჟან**-ოურ-ი „ბჟანიას ნასახლარი“.

§5.35. რეფი

რეფი ეწოდება სოფლის კუთხეს ეწერსა და ნათოფურუს შუა, გალის რაიონის სოფ. რეფი-ენერში, ხოლო საბჭოთა პერიოდში არსებობდა სოფელი რეფი-შეშელეთი. ამ უკანასკნელში 1930 წლისათვის შედიოდა შვიდი სოფელი: რეფი, რეფი-ენერი, ენერი, კარამონი, ნათოფურე, შეშელეთი და ხუმეფი (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 144). სოფლის სახელწოდების ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: ორინალო რე ეფი „იაფი საცხოვრებელია“. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას განმარტებით, **რეფი** მეგრულში ქვიან ჭალას, ვაკეს ნიშნავს (იქვე: 144).

თვით რეფი-ენერი სოფელი და რეფი-შეშელეთის თემის ცენტრია ჭიჭე ერწყარისა და ოჯოლორის ნაპირებზე, ზ. დ. 20 მ-ზე. ამიერკავკასიის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალებში რეფი გუდაეის თემში შემავალი სოფელია. გასული საუკუნის 30-იანი წლებისათვის რეფი და ენერი ტერიტო-

რიულად ერთმანეთს შეერწყა, მაგრამ წარმოქმნილ სახელს ორივე სახელი შეუნარჩუნდა (იქვე: 281). რეფი-ენერის პირველმოსახლენი უზარაშვილები და ჯღარკავეები ყოფილან. მოგვიანებით კი მარტვილის რაიონის სოფ. ბანძიდან თუნგიები ჩამოსახლებულან (იქვე: 281-282). რეფი-ენერში ცხოვრობენ აგრეთვე ადამიები, მარლანიები, მარხულიები, ორჟონიები, სამუშიები, ჯონჯუები და ა. შ.

„რეფის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მეგრულის სალექსიკონო მასალებში დამონმებული **რეფი** სიტყვის კიდევ ორი მნიშვნელობა: 1. ქვიანი, ვრცელი ადგილი; 2. ხვავრიელი ადგილი (ქობალია, 2010: 571).

შდრ.: **რეფიშდუდი** – რიყიანი ადგილი ოჩხომურის ნაპირზე, რეფიშ ტობასთან, ჩხორონყუს რ-ნის სოფ. ლესიჭინეში; **რეფიშ** ტობა//საკაციოშ ტობა – მორევი ოჩხომურზე, საკაციოში (ლესიჭინე). პ. ცხადაიას წიგნში დამონმებულ ამ ტოპონიმს ახლავს ინფორმანტის განმარტება: „რეფი არის ერთგან დაყრილ-დაზვინული ქვა ან ქვალოდინი რიყე თუ ჭალა. რეფიც რიყეა, მაგრამ მათ შორის განსხვავებაცაა: რეფი მსხვილქვიანი, ქვალოდინი ჭალაა, რეყე კი – ქვიანი ჭალა“ (ცხადაია, IV, 2007: 326).

§5.36. სააფაციო

ენგურის ხეობა უძველესი დროიდან იქცევედა უცხოელ და ქართველ მცნიერ-მოგზაურთა ყურადღებას, მასზე გამავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კომუნიკაციებით. ენგურის ხეობაში მდებარე პუნქტების – ანაკლიისა და რუხის აღწერის შემდეგ ვახუშტის ნაშრომში გადმოცემულია ენგურის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა: „რუხს ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა არს სააფაციო სათავიდამ“ (ვახუშტი, IV, 1973: 778-779).

მის მიერვე შედგენილ რუკებზე სახელდებული ობიექტი ხან მდინარის მარცხენა ნაპირზეა აღნიშნული, ხან მარჯვენაზე. ამ საკითხით თავის დროზე დაინტერესდა ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის ცნობილი მკვლევარი თამაზ ბერაძე. „სააფაციოს“ ლოკალიზაციის კუთხით წარმოებული კვლევა გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომში მან შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: ის ფაქტი, რომ ვახუშტის თავის რუკათა მეორე ატლასის არც ერთ შესაბამის რუკაზე სააფაციო, როგორც პუნქტი, არ აღუნიშნავს, იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ სახელოვან მეცნიერს ეჭვი ეპარებოდა ამ სახელწოდების პუნქტის რეალურად არსებობაში. ვახუშტის ცნობის თანახმად, სააფაციო ისეთივე ფეოდალური ერთეულია, როგორიცაა სალიპარტიანო, მაგრამ საქმე

ისაა, რომ ოდიშის ამ ნაწილის სოფელთა ტოპონიმია არ იცნობს პუნქტს „სააფაციოს“ სახელწოდებით. მის არსებობაზე არაფერს გვეუბნება ხალხური გადმოცემა და ვინაიდან წერილობით წყაროებშიც არაფერია ცნობილი აფაციოს, როგორც ფეოდალური გვარის შესახებ, სააფაციოს ფეოდალური ერთეულის არსებობაც ეჭვს იწვევს. სააფაციოში, დაასკვნის მკვლევარი, შეუძლებელია ვიგულისხმოთ სოფ. რუხის ერთი უბანი საფარცვანიო, ვინაიდან არაა სავალდებულო ძველ დროში დამოუკიდებელ სოფლად მისი მიჩნევა. ამასთანავე, რაც მთავარია, ფარცვანიების გვარეულობიდან, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ნაგულისხმევი სააფაციოს ფეოდალური ერთეული ვერ შეიქმნებოდა, რადგან ამ გვარის კაცნი გლეხები იყვნენ (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 61).

თ. ბერაძის აღნიშნული მსჯელობა რომ დამაჯერებელია, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რუხელი ფარცვანიების გადმოცემით, მათი წინაპრები XIX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოსახლებულან სალიპარტიანოდან. გადმოცემის სისწორეს ადასტურებს ერთი საისტორიო წყაროც, საიდანაც ირკვევა, რომ სალიპარტიანოს სოფლებიდან – კურძუდან და ნამკოლუდან 85 კომლი გლეხის (მათ შორის – თოდუა 14 კომლი, ფარცვანია – 13 კ; ჯანაშია – 12 კ; ოკუჯავა – 3 კ; ფაცია – 3 კ; ნაჭყებია – 2 კ.) რუხში ჩამოსახლება მომხდარა 1859 წელს, ნიკო დადიანის ინიციატივით, რომელსაც თითოეული ახალმოსახლე ოჯახისათვის ენგურსა და კუჩხობონუს შუა უფასოდ მიუცია 15 ქვევა მიწა და 5 წლის განმავლობაში ყველა გაუნთავისუფლებია გადასახადისაგან. შემდეგ გადასახადის სახით დაწესებულა 5 მანეთი და ერთი კოკა ღვინო თითო „გრამოტაზე“. ამის გამო სოფელ რუხს, რომელიც ნიკო დადიანის საკუთრებას წარმოადგენდა, ნიკოსია დარქმევია (26, ჩანან. 898). პროფ. პ. ცხადაიას თქმით, ნიკოსია სოფელს 1926 წლამდე ერქვა (24, 269). „ყაზაყიში გაზეთის“ 1932 წლის №181 კი გვამცნობს, რომ ნიკოსიას 1932 წლის 15 სექტემბერს დაუბრუნდა ძველი სახელი რუხი.

საფარცვანიო უბანია საჯანაშიოსა და ქვემო სათოდუოს შუა. პ. ცხადაიას ცნობით, რადგანაც „გრამოტას“ ჩამოყოლილი ფარცვანიები ნაჩხურუში (მარტვილის რ.) ყოველ წელს სალოცავად ვერ მიდიოდნენ, „სანაჩხურო ლაგვანი“ აქ, რუხში მოუწყვიათ (ცხადაია, II, 2007: 272).

საკვლევი ტოპონიმის („სააფაციო“) ლოკალიზაციაზე მსჯელობისას საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სოფ. რუხში მოსახლეობს 30 კომლამდე ფაციოს გვარისკაცი და მათი დასახლება იწოდება **საფაციოდ**. უდავოდ თვალშისაცემი გარეგნული მსგავსების მიუხედავად („სააფაციო“ – „საფაციო“), ვახუშტისეული სახელწოდების ამოსავალი ძირის მნიშვნელობის შეძლებისამებრ მკაფიოდ ილუსტრირებისათვის რუხში მდებარე ფაციების გვარის კომპაქტური

დასახლების აღმნიშვნელი სახელი „საფაციო“ მაინც ვერ გამოდგება, კვლავ იმ უმთავრესი გარემოების გათვალისწინებით, რომ ფაციებიც (ფარცვანიების მსგავსად) გლეხები იყვნენ და, თუ ვიგულისხმებთ, რომ ვახუშტის მიხედვით, სააფაციო მართლაც გარკვეული ფეოდალური ერთეულის სახელწოდება იყო, გლეხთა გვარეულობა ამ ერთეულის სახელის „ნათლია“ ვერ იქნებოდა.

ამავე დროს ანგარიშგასანევია შემდეგი თვალსაზრისიც: ვახუშტი ბაგრატიონი შესაძლებელია არასწორად იძლეოდეს ამ ფეოდალური ერთეულის სახელს, ან ზუსტად ვერ განსაზღვრავდეს მის მდებარეობას, მაგრამ ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ მას საერთოდ მოეგონებინოს „სააფაციოს“ არსებობა (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 61).

ენგურის ხეობაში, სააფაციოს, როგორც სოფლის თუ ფეოდალური ერთეულის, არსებობა და ზოგიერთ რუკაზე მისი აღნიშვნა, ძნელი სათქმელია, ვახუშტის სუბიექტურ მოსაზრებას მივანეროთ, თუ ხალხურ გადმოცემაზე დაფუძნებულ თვალსაზრისად მივიჩნით. თუმცა უფრო სარწმუნოდ ის გარემოება გვესახება, რომ მეცნიერი სააფაციოზე წერისას ხალხისაგან მიღებულ ცნობებზე დაფუძნებულ თვალსაზრისს გვთავაზობს, ოღონდ – არასწორი სახით.

თ. ბერაძე განაგრძობს მსჯელობას სააფაციოს გარშემო და ვარაუდობს, რომ ვახუშტისეულ სააფაციოში შესაძლებელია წერილობით წყაროებში XIII ს-დან მოხსენიებული ოდიშის ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს – აფაქიძეების (აღგ. გამოთქმით აფაქიების) ფეოდალური ერთეული **სააფაქიძო//სააფაქიო** ვიგულისხმეთ. ამ გვარში შემონახული ერთი გადმოცემის თანახმად აფაქიძეთა სამფლობელო ერთ დროს მდ. მაგანამდე აღწევდა, რაც ვახუშტის მიერ მოცემული „სააფაციოს“ ტერიტორიას ნაწილობრივ ემთხვევა. თ. ბერაძე ყურადღებას ამახვილებს XVII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ საბუთში „საქოჩაქიძოს“ მოხსენიების ფაქტზე, რომელიც იყო „დადიანის ლევანის წყალობა მამული“. წყაროდ მითითებულია პროფ. სარგის კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული „აფხაზეთის საეკლესიო გლეხების დიდი დავთარი“.

ტოპონიმი „საქოჩაქიძო“ დასტურდება მდ. ენგურიდან რამდენიმე კმ-ით დაშორებულ სოფ. ჩქვალერში (ნალენჯიხის რ.). საქოჩაქიძო, მასში შემავალი ჯგალის ციხე-სასახლით, ვრცელი „ქვეყანა“ უნდა ყოფილიყო. რომელიც, თ. ბერაძის აზრით, ნაწილობრივ თავსდება ვახუშტის რუკაზე მოცემულ ტერიტორიაზე. „სააფაციო“ შესაძლებელია დამახინჯებული „საქოჩაქიძო“ იყოს. ერთი რამ ცხადია, დაასკვნის მკვლევარი, რომ ვახუშტისეული სააფაციო რომელიღაც რეალურად არსებული ფეოდალური ერთეულის გამომხატველია,

თუმცა სახელოვანი მეცნიერი მის სახელსა და მდებარეობას არაზუსტად გადმოსცემს (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 62).

სააფაციოს მდებარეობის შესახებ თ. ბერაძის მოსაზრების ანალიზი მოცემულია დ. ჭითანავას ნაშრომში, რომელიც საანალიზოდ მიუთითებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თ. ბერაძის მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის შესაბამის გვერდს. ტოპონიმი „სააფაციო“ ამ მხარეში ვერც დ. ჭითანავას დაუფიქსირებია. მკვლევარი ემხრობა იმ აზრს, რომ წერილობით წყაროებში აფაციების ფეოდალური სახლი და გვარეულობა არ იხსენიება, თუმცა დამატებითი მასალა „სააფაციოს“ ლოკალიზაციის თაობაზე მას არ წარმოუდგენია (ჭითანავა, 2010: 381-382).

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ზუგდიდის რ-ნის სოფ. ჭკადუაშში დადასტურებული ტოპონიმი „სააფაქიომ ჩხოუშია“. ასე ეწოდება მდინარეს, რომელიც წარმოადგენს ჩხოუშიის მარცხენა მდგენელს. მის სათავესთან მდებარე ფართო ვაკეს „სააფაქიო“ ჰქვია (სახელმდებნი აკონკრეტებენ: საანთიომ ჩხოუშია, თორდინეფიმ ჩხოუშია//ყალიჩეფიმ ჩხოუშია, თუდოლენი ჩხოუშია, ნაოჩუმ ჩხოუშია, სააფაქიომ ჩხოუშია). საინტერესოა ისიც, რომ ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფზე, სოფ. ჭკადუაშსა და ჯვარს შორის მდებარე მალღობი და სოფელიც სააფაქიოდ იწოდებოდა. ჭკადუაშის ნაწილს რომ აფაქიები (აფაქიძეები) ფლობდნენ, მონიშნავს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, წალენჯიხის რაიონის სოფ. დიდი ენერის საზღვარზე, საჯინჯოლაში მდებარე სასაფლაოსა და ნაეკლესიარის სახელწოდება ნაოხვამ(უ)//ბუჭუემ ოხვამე. ინფორმატორები აქ ეკლესიის აშენებას თავად ბუჭუე აფაქიას მიანერენ (ცხადაია, II, 2007: 397).

დ. ჭითანავა სოფ. ჭკადუაშის სიძველეებზე საუბრისას პ. ცხადაიას ნაშრომიდან [6] შესაბამისი გვერდების მითითებით იმონიშნავს სოფელში ტოპონიმებად დადასტურებულ ნაეკლესიარ ადგილებს. ასახელებს ნაოხვამუს//ბუჭუემ ოხვამეს და ამ ეკლესიის მშენებლად შეცდომით თავად ბუჭუე ალანიას მიიჩნევს (ჭითანავა, 2010: 139).

„სააფაციოს“ ლოკალიზაციის საქმეში გარკვეულ სამსახურს გვინევს მარი ბროსეს ნაშრომი, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, აღწერილია სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიული სიძველენი. ფრანგი ქართველოლოგი ნაბაკევის მახლობლად ასახელებს ძველ ციხესიმაგრეს **საოხოციოს** სახელწოდებით და მის შემოგარენში, ენგურის შესართავთან მდებარე სამლოცველოსა და ღრმა ჭას, რომელსაც მეგრელები, თურმე მაჰმეტის ინჭას ეძახდნენ (ბროსე, 2011: 140).

ბროსეს ზემოთ დამონმებული ცნობა იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოხსენიებული „სააფაციო“ რეალურად არსებობდა ენგურის მარჯვენა მხარეს, ახლანდელი გალის რაიონის ნაბაკევის თემის შემოგარენში. ნაბაკევი გალიდან 25 კმ-ით არის დაშორებული. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე დაფიქსირებულია **Naalbachia**-ს ფორმით.

2003 წელს გამოქვეყნებულ სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ნუსხაში (5) ვახუშტისეული „სააფაციო“ და ბროსესეული „საოხოციო“, სამწუხაროდ, არ დასტურდება, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ორივე ტოპონიმი ერთი და იმავე ობიექტის სახელწოდების ვარიანტი უნდა იყოს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მარი ბროსეს მოლვანეობის პერიოდი (1802-1880 წწ.) 100 წლით აშორებს ვახუშტის ფუნდამენტური ნაშრომის შექმნის დროს, რაც უფრო მეტ სანდოობას მატებს ფრანგი ქართველოლოგის ნაშრომში დამონმებულ ცნობებს (სააფაციოს ლოკალიზაციაზე მსჯელობა იხ. კეკელია, იეძ, XIV, 2012: 251-257; მისივე, იეძ, XV, 2013: 254-262).

§5.37. სათანჯო

სათანჯო მთის სახელწოდებაა სამურზაყანოში. მის ირგვლივ გალის რაიონის ხუთი სოფელი – ოცარცე, ჭუბურხინჯი, ჭყონხუმლა, დინაზურგა და პირველი აკვალაა განლაგებული.

ორონიმ „სათანჯო“ ეტიმოლოგიას სხვადასხვა დროს არაერთი ავტორი შეხება (ი. ყიფშიძე, თ. ბერაძე, კ. სამუშია, ჯ. როგავა, ა. ტულუში, ზ. ჭუმბურიძე, ჟ. ლაშინა, შ. ჩაგინავა, პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, მ. ნაჭყებია, ი. კეკელია...).

შ. ჩაგინავა არ იზიარებს ჟ. ლაშინას თვალსაზრისს, აკრიტიკებს გაზეთ „მებრძოლში“ გამოქვეყნებულ მის წერილს და აღნიშნავს: „ავტორი წერილში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აღნიშნავს, რომ დღემდე ამ მთის სახელწოდების ფუძედ მიღებული იყო ნასახელარი ზმნის სანყისი ფორმა „ტანჯვა“. სიტყვა „ტანჯვა“, მართალია, ქართველური წარმოშობისაა, მაგრამ მეგრულ-კოლხურში არ იხმარება იგი... არ ვიზიარებთ აგრეთვე ავტორის აზრს იმის შესახებ, რომ „სათანჯო“ თითქოს „საორიენტროს“ ნიშნავდეს. ეს რომ ასე ყოფილიყო, სამეგრელოში „სათანჯო“, ერთი კი არა, რამდენიმე იქნებოდა და არანაკლები მნიშვნელობა ექნებოდა ორიენტირებისათვის ურთის, ეკისა და თამაკონის მთებს“ (ჩაგინავა, „მებრძოლი“, №981, 1979). ზ. ჭუმბურიძის განმარტებით, რამდენიმე სოფლის საზღვარზე მდებარეობის გამო უნდა დარქმეოდა მთას სათანჯო (**თარჯი, თანჯი** – „ზღუდე“, „გალავანი“, „საზღვარი“) (ჭუმბურიძე, 1987: 494). ვ. ზუხბაიას მოსაზრებით, ტანჯი საზღვარს ნიშნავს, ხოლო სათანჯო იგივე

„სასაზღვრო“ (ზუხბაია, 2000: 93). ა. ტულუშის მიხედვით ეს მთა და მასზე აღმართული ოთხსართულიანი კოშკი წარმოადგენდა სანიშნეს, სადაც აფხაზთა მოთარეშე რაზმების გამოჩენისას ინთებოდა კოცონი და მოსახლეობას მტრის მოახლოება კვამლის მეშვეობით ეცნობებოდა (ტულუში, „ენგური“, №1-2, 1998: 206-207). ეს მოსაზრება გაიზიარა მკვლევარმა მ. ნაჭყებია, რომელიც წერს: „ტოპონიმში დევს მინიშნების, მითითების სემანტიკა, რამდენადაც მაღალ მთაზე აღმართული კოშკი თითქმის მთელი ბარის სამეგრელოს გადაჰყურებს და აქ დანთებული კოცონის მეშვეობით იგებდა მთელი სამეგრელო გააფსარებული აფხაზების მოთარეშე რაზმების გამოჩენას და საომარ თადარიგს იჭერდა“ (ნაჭყებია, XII, 2008: 214).

მაგრამ საქმე ისაა, რომ სათანჯო წერილობით წყაროებში უფრო ადრე მოიხსენიება, ვიდრე ამ მხარეში აფხაზები გამოჩნდებოდნენ. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს „ყველაზე უკანასკნელ მდინარედ“ კოდორს მიუთითებს. კოდორ-ენგურის შუამდინარეთის მკვიდრი მოსახლეობის სრულიად გააფხაზება და ძირძველი კოლხურენოვანი ტოპონიმის სუბსტრატის სახით შემორჩენა გვიანდელი, XVIII საუკუნის მოვლენაა. გალის რაიონში აფხაზთა ნამყოფობის დასტურად რამდენიმე ათეული აფხაზური ტოპონიმიკური სუპერსტრატია ჩანერილი (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 4).

მითითებული ორონიმი ქართულ და უცხოურ საისტორიო წერილობით წყაროებში სამი ფორმით გვხვდება: **სანტ-ანჯელო** (ი. ბართოლომეი, ვლ. ალფენიძე), სადაც იტალიელ მისიონერთა სავაჭრო ფაქტორიას მიუთითებენ: **საბანჯო** (XVIII ს-ის ოსმალთა ისტორიკოსის – ჩემში მუსტაფა ზადეს თხზულება) და **სათანჯი** (Satangi – არქანჯელო ლამბერტისა და ე. წ. ლათინურენოვანი რუკები; თარიღდება 1654 წლით).

მკვლევარი თ. ბერაძეც სათანჯოში XIII-XV საუკუნეებში გენუელთა სავაჭრო კოლონიას ვარაუდობდა (ბერაძე, ქსე, X, 1984: 40). ვლ. ალფენიძე წერს, რომ იტალიურ ეროვნულ ენციკლოპედიასა და სხვა წყაროებში, იტალიელი მეცნიერის ჯიაკომო მუსოს, ფრანგი მეცნიერის დელორის შრომებში, XIV საუკუნის გენუის სავაჭრო ფაქტორიებს შორის მოხსენიებულია სანტ-ანჯელო, ჩვენი სათანჯო, რომელიც დღესაც გადაჰყურებს ლეგენდარული კოლხეთის უმშვენიერეს პეიზაჟებს, როგორც წარსულის ელჩი და მონმე!“ (ალფენიძე, 1971).

ოცარცეში, ჭყონხუმლასა და ჭუბურხინჯში მდებარე დაბალ სერს, რომელიც სათანჯოს ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ განშტოებას წარმოადგენს, **სათანჯომ ბორკი** ეწოდება. **ბორკი** მეგრულში „ფეხს“, „ტოტს“ ნიშნავს. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ლექსიკურ ერთეულს ოროგრაფიული მნიშვნელობა შეუძენია და აღნიშნავს „მთის ტოტს, მთის ბოლოს“. სათანჯომ ბორკის დაბო-

ლოებას ერისწყლის მარჯვენა მხარეს **სათანჯომ კუდელი** ეწოდება (მეგრ. კუდელი „კუდი“). **სათანჯომ კუნთხუ** სოფლის კუთხის სახელწოდებაა ჭუბურხინჯის საზღვართან, სადაც გასული საუკუნის 30-იან წლებში რკინიგზის ბაქანისთვის **სათანჯო** დაურქმევიათ. **სათანჯომქვინჯი** „სათანჯოსძირი“ სათანჯოს მთისძირებს ჰქვია (დისაზურგა). **სათანჯომ ჯინა** შუა საუკუნეების (VIII-XII სს.) ციხესიმაგრეა ჭუბურხინჯში, სათანჯოს მთაზე (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 154-155). ციხე მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს, მაღალი მთის წვერზე აუგიათ. მას ირგვლივ ორი თხრილი აქვს შემოვლებული, რაც დამახასიათებელია ადრე შუა საუკუნეების ციხეებისათვის. ციხის დაზიანებული კედლები, რომლებიც დაახლ. 2 მეტრი სისქისა და ზოგან 5-7 მეტრი სიმაღლისაა, უნინ თეთრი კირქვით ყოფილა მოპირკეთებული (ახლა ჩამოყრილია). კედელი ქონგურებიანი უნდა ყოფილიყო. ციხის ოვალურ გეგმას მთის რელიეფი ქმნის. შიგნით დღემდე შემორჩენილია კოშკის სამი სართული, რომელსაც თავი მორღვეული აქვს (ზაქარაია, კაპანაძე, 1991: 156-158, სურ. 56-ა).

მეგრულ ხალხურ პოეზიაშიც მთის სახელწოდება **სათანჯოს** ფორმით მოიხსენიება: „**სათანჯო სარკილი დო დისაზურგა – მუნაფილი, თელი გახარებული დო ლურელეფი – ჩხონაფილი**“!.. „სათანჯო მოწმენდილი, დისაზურგა – მოღრუბლული, ცოცხალი გახარებული და მიცვალებულები ცხონებულნი [ყოფილიყვენ]“.

ხალხური გადმოცემით, სათანჯოს ციხე ძველად **სატანჯავი** ადგილი ყოფილა და ციხესაც ამიტომ დარქმევია **სატანჯო** (სამუშია, 1990: 133).

თანჯ- ლექსემას მეგრულში რამდენიმე მნიშვნელობა შეუძენია. მივმართოთ ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონს“: „**თანჯი (თანჯის)** – თარჯი; საზღვრის ნიშანი, საზღვარი (ი. ყიფშიძე); სასაზღვრო ნიშანი, სამანი (ს. მაკალ., გვ. 235)“.**თანჯუა (თანჯუას)** – სახელი **თანჯუნს** ზმნისა – საზღვრის, ნიშნის დადება, – თარჯვა“ (ქაჯაია, II, 2002: 37). გ. ელიაევსთან **თანჯი** „მიჯნაა, გადაზომილი მანძილია“. იქვე დამონმებულია საილუსტრაციო მასალა: თე ადგილი ათაში რე თანჯილი – „ეს ადგილი ასეა დათაჯული, დამიჯნული“ (ელიავა, 1997: 170).

თანჯი იგივე თარგია, ხოლო **თანჯუა** – სახელი **თანჯუნს** ზმნისა. ო. ქაჯაიას ლექსიკონში განმარტებულია, როგორც 1. ჭრა: თარგზე აჭრა; 2. დამლის დასმა. **თანჯუნს (დოთანჯუნს** – გაჭრის, დამლას დაუსვამს; **დოთანჯუ** – გაჭრა, დამლა დაასო; **დოუთანჯუ** – გაუჭრია, დამლა დაუსვამს; **დონოთანჯუე(ნ)** – გაჭრიდა, დამლას დაასვამდა თურმე). გრდმ. ჭრის; დამლას ასვამს. **მათანჯალი** მიმლ. მოქმ. „დამლის დამსმელი; მომჭრელი“. **ოთანჯალი** – მიმლ. ვნებ. მყ. „მოსაჭრელი, დამლადასამელი“; **თანჯილი** – მიმლ. ვნებ. ნარს. „დამლადასმული; მოჭრილი“ (ქაჯაია, 2002: 36).

მ. ჩუხუას მიერ, ერთი მხრივ, ს-ქართვ. ***თერძ**- „საზღვრის მიჩენა კვალის გავლებით, საზღვარი“, და მეორე მხრივ, ქართ. **თერძ**-ულ-ი „ნათესი ჯნული“ (საბა), მესხ. **თერძ**-ვა „მზრალად ხვნა“, ნა-**თერძ**-ი „კვლებს შორის დარჩენილი მოუხნავი მიწა“, ზ.-იმერ. -**თერძ**-ვა „ყამირის გატეხა; შეთოხნა ან მოხვნა“, ზან. (მეგრ.) **თანჯ**-, **თანჯ**-უ-ა „საზღვრის მიჩენა“, **თანჯ**-უნ-ს „საზღვარს ავლებს“ (შდრ. სა-**თანჯ**-ო (ტოპ.)) ერთმანეთთან არის დაკავშირებული. „ქართ. **თერძ**- ფუძეს ზანურში **თარჯ**- უნდა მოეცა. გვაქვს კიდევაც შემო-**თარჯ**-ვა „საზღვარსავით აქა-იქ დანიშვნა“ (საბა), იმერ., ლეჩხ. **თარჯ**-ი „საზღვარი ტყეში“ ზანიზიმების სახით ქართულში შემორჩენილი“ (ჩუხუა, 2017: 211).

ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულია **თანჯი** სიტყვის რამდენიმე განმარტება: „გვირგვინი; სამანი, საზღვარი; ზღუდე, გალავანი, საფარი; დალი, ნაჭდევი (მოსაჭრელ ხეზე)“; **თანჯილი** სიტყვას ახლავს შემდეგი მნიშვნელობები: „გვირგვინოსანი; გაჩხიბული, ნაწილიანი; მონიშნული, დალდასმული, დასაზღვრებული“; **თანჯუა** განმარტებულია, როგორც „დასაზღვრება, მონიშვნა, დადაღვა, მხედველობის არეში მოქცევა“ (ქობალია, 2010: 312). **გათანჯალი** იმავე ლექსიკონის მიხედვით იგივეა, რაც „გასამიჯნი, დასასაზღვრებელი; დასაკოდი, დასათარჯი (ხე)“ (იქვე: 73).

თაჯი, თანჯი მეგრულში აღნიშნავს აგრეთვე „შავ დაღს; ტანჯვას; ეშმაკს“. შელოცვებში სწორედ ტანჯვის, ეშმაკის მნიშვნელობით ფიგურირებს: **მელე-მო-ლე ფოთქი უჩა, თექ მითოხე თაჯი უჩა** „აქეთ-იქით დარანია, იქ ზის შავი ტანჯვა (ეშმაკი)“ (კეკელია, №4, 2008: 54).

გურულ დიალექტში დადასტურებული თარჯიანი პ. ჯაჯანიძისეული განმარტება ასეთია: „**თარჯიანი**-ი, რასაც თარჯი – საზღვრის ნიშანი აქვს – ხე, ქვა და სხვა. „**თარჯიანი** ხეები აჩეხა და კოლექტივის ფართობისკენ გეინია, ბეური ადგილი მეიმატა“ (ჯაჯანიძე, I, 1977: 98).

ლევან V დადიანის მიერ 1819 წელს გამოცემულ სიგელში **თანჯი** და **თარჯი** „საზღვარ-სამანის, მიჯნის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული: „...ჩემს მდივან-ბეგს, სახლთუხუცესის ძეს ჩიქოვანს როსტომსა და ჩიქოვანს მანუჩარს და ჩემს მაგიერ კაცს ხვიტიას საბაიას კახათს საყანე მიწა გავათანჯვინე... და რომელიც შემოთარჯულია მოგართვით იმას შიგნით ყოვლის კაცის ხელშეუხებლად და საკუთრად მოგვიცემია“ (როგავა, 1981: 72-73).

ამდენად, **თანგი, თანჯი** და **თარჯი** მეგრულში იგივეა, რაც „საზღვარი; სამანი; მიჯნა; ზღუდე, გალავანი, საფარი; დალი; დამლა; ტანჯვა; ეშმაკი (მჩიბავი); ნაჭდევი (მოსაჭრელ ხეზე)“.

საინტერესოა, რომელია ტოპონიმ „სათანჯოს“ ამოსავალი, ძირითადი მნიშვნელობა?

როგორც აღვნიშნეთ, მკვლევართა ერთი ნაწილი ორონიმის შინაარსს „საზღვრის, სასაზღვრო ობიექტის“ მნიშვნელობით გაიაზრებს (ზ. ჭუმბურიძე, ვ. ზუხბაია); ზოგს მიაჩნია, რომ სათანჯო წარმოადგენდა ერთგვარ სანიშნეს, ორიენტირს, როგორც პირველი მაღალი ადგილი კოლხეთის დაბლობისა და მთიანეთის საზღვარზე, ზღვისპირეთიდან მთისკენ მიმავალი მგზავრებისათვის (ჯ. როგავა, პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, მ. ნაჭყებია). „ადრეულ პერიოდში, – წერს კ. სამუშია, – მას სათვალთვალოდ და ორიენტირებისათვის იყენებდნენ კოლხეთის უღრან ტყეში გასული მონადირეები თუ სხვადასხვა საქმით დაინტერესებული და ამ კუთხეში მოსიარულენი. მისი ასეთი მდებარეობის გამო შეიძლება წოდებოდა „სათანჯო“ – მისანიშნებელი ან სათვალთვალ ადგილი... უფრო სარწმუნოა, რომ, გადმოცემათა მიხედვით, ეს მთა ამინდის საცნობად ჰქონდათ გამოყენებული. სათანჯოს თხემს თუ ღრუბელი დაფარავს, ვარაუდობენ, ცუდი ამინდი იქნებოდა. მწვერვალის მოწმენდა კი დარის ნიშანი ყოფილა“ (სამუშია, 1990: 132-133).

სათანჯოს მთის სახელწოდება სემანტიკურად შესაძლებელია უკავშირდებოდეს ხის შემოკოდვის წესს გახმობის მიზნით, ხისთვის ქერქის შემოცლას. ამ მნიშვნელობით სამეგრელოში „ნაკაკა“ და „კაკილიც“ გამოიყენება და „ნაკოდს“, „ნაცვერს“ ნიშნავს (ცხადაია, I, 1999: 33-34).

საკუთარი მამულის, ტყის შემოსაზღვრის ან უღრან ტყეში სიარულისას ორიენტაციის მიზნით იცოდნენ **თანჯუა** – „ხის დაჭდევა“. ნაჯახით, დანით ან სხვა იარაღით ხის ქერქს დაკოდავდნენ, ნიშანს ამოკვეთდნენ, ან ქერქს შემოაცლიდნენ, და ხეს მონიშნავდნენ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაესაკაოში ჩანერილი ტოპონიმი **სათანჯი**, რომელსაც დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს გ. ელიავა და განმარტავს, როგორც „გასაყოფ, გასამიჯნ ადგილს“ (ელიავა, 1977: 52).

ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის სოფ. ხანნკში (ნაფიჩხოვოს თემი) ჩანერილია მიკროტოპონიმი **მთავრობაშ ჯა//ნათანჯა ჯა**. ასე ეწოდება თხმელის ხეს დიჭყეს ხეობაში, მორგოშიების გვარით დასახლებულ უბანში. გადმოცემით, გეოლოგებს თხმელის ხე რაღაცის ნიშნად დაუჭდევებიათ. მოჭრისა და გასხეპის უფლებას არავის აძლევდნენ. ამიტომ ადგილს მთავრობაშ ჯა//ნათანჯა ჯა – „მთავრობის ხე, ჭდედადებული ხე“ დარქმევია (ცხადაია, IV, 2008: 215). **თანჯამი (ჯა)** ა. ქობალიას განმარტებით იგივეა, რაც „თაჯიანი, ნიშანდებული (ხე)“ (ქობალია, 2010: 312).

§5.38. სახაუჯელო, საუჯელი

სოფელი ამ სახელწოდებით რამდენიმე ისტორიულ წყაროში მოიხსენიება. თანამედროვე სახელწოდება ცნობილი არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, მდებარეობდა გუფუს, ლაჩუს, ტყავრუს, თილითსა და ლალიძგას მახლობლად, რადგან საბუთებში ამ პუნქტებთან ერთად არის დასახელებული: „არის საუჯელს: სასახლე: და მრთებლი: გამოსვლი: მოსაკრებლობა:“; „მრთებს გავაშელს დ-თიას მენავტობაჲ, მეთევ ზობაჲ და საპურობო: არის საუჯელს მოინალეოთხი...“; „არის სახაუჯელო. 15 მსახური“ (კაკაბაძე, 1914: 36, 39, 46).

პ. ინგოროყვა სახელწოდებას თავისი გრამატიკული სახეობით (ბოლოსართი-ელი, სა-ო) ქართული წარმომავლობისად მიიჩნევს (იქვე: 176). ამ მოსაზრებას იზიარებს ვ. ზუხბაიაც (ზუხბაია, 2000: 79).

კ. ოკუჯავა ტოპონიმ „საუჯელს“ შემდეგნაირად შლის: **სა-უჯ-ელ-ი**. იმონებს გეოგრაფიულ სახელწოდებებს: ხაიონს, ხამისკურს, ხაშას, ხაშაჭალეს, და ეთნოლოგიური მასალის გათვალისწინებით **სას** განმარტავს, როგორც ქვას, ხოლო **ხაშას** გაიაზრებს ქვამდე დასულ, ჩარეცხილ ადგილად. მკვლევრის აზრით, ძველ მეგრულში ხა ქვას ნიშნავდა. მაშინ ხაიონი იგივეა, რაც „ქვიანი ადგილი“, ხამისკური – ქვიანი წყალი თუ ხეობა, ხოლო ტოპონიმ „საუჯელში“ გამოყოფილ ხა სიტყვას ქვის აღნიშვნელ ძველ მეგრულ სიტყვად მიიჩნევს (ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში. თბ., 2002: 94).

რა შეიძლება ითქვას ზემოთ მოტანილი მსჯელობის შესახებ? **სა** სიტყვას მეგრულში რამდენიმე მნიშვნელობა შეუძენია. ა. ქობალიას განმარტებით, ესენია: 1. თევზისა და გველის ორკაპა ფხა; 2. კაკვიანი ჯოხი ჩალის ასაზვინად; 3. სახნავი კავი; 4. პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი (ქობალია, 2010: 716). **საია**, იგივე **მაისირაია**, ჭაობის ბალახია. შესაბამისად, ხაიონი ის ადგილია, სადაც ეს ბალახი ხარობს. ხამწყარი აუდუღარი, ხისტი წყალია; მეორე მნიშვნელობა ნმინდა, ანკარა წყალი; პირდაუკარებელი, დასაღვეად უვარგისი (იქვე: 717). მაშასადამე, ხამისკური უნდა გავიაზროთ, როგორც ხისტი, დასაღვეად უვარგისი წყალი; პირდაუკარებელი, უხმარი წყალი (სკური/სქური მეგრულში აღნიშნავს მდინარეს ღრმა და ფართო ხეობით; ტყე-ხეობას, სადაც მდინარე გაედინება). კ. ოკუჯავას მიერ საილუსტრაციოდ დამონმებული ხაშა შიშას მარცხენა შენაკადისა და მისი ხეობის სახელწოდებაა სოფ. თაიაში, ოცინდალესა და ლექარეს შუა. ფერდობებს, სადაც ხაშა იღებს სათავეს, ხაშაშდუდი ეწოდება. ხაშაჭალე კი უბანია ხაშას ქვემოწელზე (ცხადაია, IV, 2008: 443). ამ შემთხვევაშიც ტოპონიმის დაკავშირება ქვასთან და მისი გააზრება „ქვამდე დასულ, ჩარეცხილ ადგილად“ ნაკლებ სავარაუდოა.

კ. ოკუჯავა ტოპონიმ „ხაუყელში“ გამოყოფილ **-უყ** კომპონენტს ზანური **ყუჯ**-ის „ყურის“ შეკვეცილ ფორმად მიიჩნევს და ჯ და ყ ასოების მონაცვლეობის (კოჯორი – კოყორი, უჯარმა – უყარმა, ლობჯანიძე – ლობყანიძე...) გათვალისწინებით ტოპონიმის ამგვარ წარმოებას დასაშვებად მიიჩნევს. შდრ. ხოყკვარა//ხოჯკვარა//ხოჭკვარა – ოხოჯის შენაკადი სამქვარისა და ფართოლალის (ცხირის თემი) საზღვარი (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 218). მისი საბოლოო დასკვნა ასეთია: ხაუყელი ქართული ტოპონიმებისათვის დამახასიათებელი -ელ სუფიქსის დართვით „უნდა ნიშნავდეს ქვის ყურს, შესაძლოა აქაური ბუნებრივი პირობების გამო“ (იქვე: 95).

ჩვენი აზრით, შესაძლებელი იყო ტოპონიმ ხაუყელის ორ სიტყვად დაშლა: **ხა(ს)უჯელი → ხა(ს)უყელი**. მეორე კომპონენტი **სუჯელი** მეგრულში აღნიშნავს ყურიანს. შდრ. ა. ქობალია: „**სუჯელი** – ყურიანი ქურჭელი, ერთგვარი დიდყურა ქოთან“ (იქვე: 657). ამოსავალია **სუჯი** „ყური“ (იქვე).

ხა სიტყვის ზემოთ მოხმობილი ოთხი მნიშვნელობიდან ტოპონიმ „ხაუყელის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას საგულისხმოდ გვეჩვენება ერთ-ერთი: კაკვიანი ჯოხი, ორკაპა. შესაძლებელია, **ხაუყელი**, ყ და ჯ ბგერების ქართველურ ენებში კანონზომიერ-მონაცვლეობითი ხასიათისა და, უფრო სავარაუდოდ უ-ჟ პროცესის (ხასუჯელი-ხასუყელი-ხასუყელი) გათვალისწინებით, აგვეხსნა როგორც კაკვიანი, ორკაპა, ყურიანი ჯოხი; ან ადგილი ტყეში, სადაც ასეთი კაკვები მზადდებოდა (?).

დასაშვებია შემდეგი ვარაუდიც: **ხაყელი → ხაუყელი**: „ლაჟომრავალი ადგილი“ (**ხაყო** ფრინველის სახეობაა). ამ შემთხვევაში ახსნას საჭიროებს ყუ-ს შეცვლა უყ-ით (ბგერათგადასმა).

დაბოლოს, მესამე ჰიპოთეზა: ხომ არ არის კომონიმ „ხაუყელის“ ამოსავალი გვარი **ხაჯალია** ან **ხაყალია**? ზეპირმეტყველებაში უცხო არაა ამ ვარიანტების თავისუფლად მონაცვლეობა (იხ. აფრიდონიძე, ონომასტიკა, I, თბ., 1987: 255; ცხადაია, 2000: 166, 167).

ანთროპონიმი (გვარსახელი ან პირსახელი) ტოპონიმის ფუნქციით (ვარიანტებითურთ) დამახასიათებელია სამეგრელოს ტოპონიმისათვის. მოვიხმობთ საილუსტრაციო მასალას: აბრაგია//აბრაგიაშ ნოხორი – სახნავი სააქბარდიოში (ქ. ჯვარი, წალენჯიხის მუნიციპ.); არქანია//საარქანიო – ბორცვი ფახულანში; თოსქვამია//თოსქვამიაშ წყურგილი – წყარო ჭალეში; კაზა//კაზაშ ჭველონი – ბუჩქნარი ლეშამუგეში; არჯანია//არჯანიაშ ლე(ა)ე – ლელე ნახუნავო-აბედათში (მარტვილის მუნიციპ.)...

ტოპონიმთა ამ რიგს უნდა მივაკუთვნოთ **ხაუყელი ← ხაუყელია ← ხა(უ)ყალია** (?). თუკი ტოპონიმის წარმოქმნის ეს გზა მისაღებია, მაშინ ხაუყელის

პარალელურ ფორმად ისტორიულ წყაროში დაფიქსირებულ ტოპონიმ **სახაუ-ველოსათვის** (← სახაჟალიო?) ამოსავალი ფუძე გვარი **ხაჟალია** უნდა ყოფილიყო, რომელიც, სავარაუდოდ, ამ სახელწოდებით აღნიშნულ ტერიტორიაზე იყო დამკვიდრებული. სა- პრეფიქსი „საგანგებო დანიშნულების ტოპოფორმანტია: გვარისაგან სა- პრეფიქსით ნაწარმოები სახელი წარმოშობითვე ადგილის საკუთარი სახელია“ (ცხადაია, 1985: 156). სამეგრელოში ამ პრეფიქსით ნაწარმოები მრავალი ტოპონიმი ფიქსირებული. შდრ. სამესხიო, საბერულავო, საელიავო, სანაჭყებო, საკოზმა(ო), საზაქარაიო, სალოგუო, სანარსიო, სასოსელიო, საშულაიო, სახეციო, საჯალალონიო, სააფაქიო, საკეშილა, საანჯაფარიო, საკვირკველიო, სადგებო კუნთხუ და ა. შ. (იქვე: 156-161).

§5.39. სიდა

სიდა სოფელი და თემის ცენტრია ქირის მარჯვენა შენაკადის – სიდანყარის ხეობაში. სოფელი ზ. დ. 20 მ-ზე მდებარეობს და გალს 8 კმ-ით არის დაშორებული.

სიდა არქანჯელო ლამბერტისა და 1654 წელს შედგენილ ე. წ. ლათინურენოვან რუკაზე Suddas-ის ფორმითაა აღნიშნული ერისწყლის მარცხენა მხარეს, ხვითს ქვემოთ. სიდა მოხსენებულია ლევან II დადიანის მიერ ჯვარზე შესრულებულ წარწერაში: „სუდისა ნადირობაში ცხენი ხრამსა ჩამივარდა და წამექცა. იპრიანა წყალობამან ღვთისა-მან და მოვრჩი, შეწევნითა შენითა, წმიდაო გიორგი...“ (ბროსე, 2011: 101). მარი ბროსეს აზრით, ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 1625 წლამდე, ლევანის ჭაბუკობის პერიოდში (იქვე). სოფლის სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტია **სჯდა**. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას ცნობით, 1930 წლისათვის არსებობდა სიდა-ნაბაკევის სასოფლო საბჭო, რომელიც შემდეგ სიდას, ზემო ბარლებისა და ქვემო ბარლების სასოფლო საბჭოებად დაშლილა (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 293). მკვლევრებს მოხმობილი აქვთ „სიდის“ ხალხური ეტიმოლოგია: „ღელისპირას ოჩოკოჩი (მეგრ. „ტყის კაცი“) და ქალიშვილი შეხვედრიან ერთმანეთს. შეშინებული ქალიშვილი ოჩოკოჩს ასე დაუშოშმინებია: სი და დო მა ჯიმა („შენ და და მე ძმა“). ამის მერე დარქმევია სიდა“ (იქვე).

სახელწოდება სიდას „ახლებური“ ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა ეთნოლოგმა მ. თხაინუხოვმა. ოიკონიმ „სიდას“ ავტორი აფხაზურ სახელ „სიტ“-ს უკავშირებს და მიაჩნია, რომ სოფლის სახელი მისგანაა წარმოქმნილი. თვით **სიტ** კი, მ. თხაინუხოვის აზრით, აბაზათა ბაშილბაის ტომს უნდა უკავშირდებოდეს (Тхайцухов, 2006: 156-157).

ტოპონიმ **სიდას//სჯდას** შინაარსის ამოცნობის თვალსაზრისით გარკვეული ინტერესის შემცველია „სიდა“ სიტყვის მეგრული მნიშვნელობების მიმართება საკვლევ სახელთან. კერძოდ, ესაა „შავმინა, ფოსფორიანი, მპალა მინა“, ან „სინათლიანი, ნათელი, მზით განათებული ადგილი“ (შდრ. ა. ქობალიას განმარტება – 2010: 592). შდრ. ლაზ. **სიდ-**, **სიდ-ერ-ი** (ტოპ.) (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, I, 2015: 834).

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ადგილი სიდას//სჯდას ფორმით დამონმებულია აგრეთვე მარტვილის რაიონის სოფ. ვახაში. ასე ეწოდება საბალახოს შიხინყარის მარჯვენა ნაპირას, ფერდობზე. იქვე სერს ააგირძიმეასა და მდ. ვახას შუა სიდაშ გონგი ეწოდება (ცხადაია, VI, 2012: 546). „სიდის“ ეტიმოლოგიაზე იხ: კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 114-115; მისივე, „ქართველური მემკვიდრეობა“, XVII, 2013: 163).

§5.40. სუბეიში//სუბვი

ისტორიული სოფელია. ფიქრობენ, რომ ასე ეწოდებოდა დასახლებული პუნქტი გალის რაიონში, ოქუშმწყარის ხეობაში, სადაც ამჟამად მდებარეობს სოფელი და თემის ცენტრი აჩიგვარის სახელწოდებით (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 173-174, 232).

XVII ს-ის იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტისა და ე. ნ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“, მდ. ოქუშმის მარჯვენა მხარეს აღნიშნული **Subeis** სწორედ აჩიგვარაში ლოკალიზდება (ზუხბაია, 1998: 133; ოკუჯავა, 2002: 96). სუბეიში გვხვდება მალაქია კათალიკოსის მიერ ბიჭვინთის ტაძრისადმი შეწირულობის წიგნში: „ამას გარეთ სუბეიშს სასახლე გამიკეთებია, საყდარი დამიდგამს...“ (ქსძ, III: 50). 1621 წლით თარიღდება „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი“, რომელშიც სოფელი „სუბეისა“ და „სუბვის“ ფორმითაა მოხსენიებული: „მრთებს სუბეის ლუაჯაგაის მოინალობაჲ, თოსკუამიას პეტრიას მეჯოგობაჲ“ (კაკაბაძე, 1914: 3). იმავე დავთრიდან ირკვევა, რომ „სუბვის სასახლე“ სოფ. მუხურის მახლობლად მდებარეობს, მისი „მიმდგამია“. იქვე ჩამოთვლილია მუხურელ და სუბეიშელ საეკლესიო გლეხთა გვარები: კიტია, პერტია, ქორჩოლუა, ჯაკონია, ლუაჯაგია, არტონია, ხვნგია, მიქელია, ბიგუა, ჯიმია... (იქვე: 31-33).

პ. ინგოროყვას მოსაზრებით, სუბეიში ერქვა აგრეთვე ნავსადგურს აფხაზეთის ჯიქეთში, მდ. ახუნთას (ახლანდ. მდ. შახე) შესართავთან. ამასთანავე, სუბეიში ყოფილა პარალელური სახელწოდება მდ. შახესი, რასაც მონმობს XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისში შედგენილი რუკებიც. კერძოდ: ლ. ლიულიეს

რუკაზე (1857 წ.) აღნიშნულია მდ. შახე (სუბეშის), ხოლო ა. მარქსის ატლასში (1905 წ.), მდ. შახეს შესართავთან – пост Головинский (Субеших) (ინგოროყვა, 1954: 166).

კ. ოკუჯავა იმონებს გენერალ გოლოვინის 1839 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ პატაკს, რომელშიც აღნიშნულია, რომ მდ. შახეს შესართავიდან ერთი ვერსის დაშორებით, ჩრდილოეთით, ზღვაში ჩაედინება მდ. სუბაში. მას იცნობს XVII ს-ის იტალიელი მისიონერი ჯოვანი და ლუკა. თურქი მოგზაურის – ევლია ჩელების მიერ მოხსენიებული ნავსადგური „უსუვიში“, ციხესიმაგრითურთ – სწორედ სუბაში უნდა იყოს. მაშასადამე, მდ. შახეს შესართავთან, ჩრდილოეთით, ერთი ვერსის დაშორებით, ზღვაში ჩაედინებოდა მდ. სუბაში და მის ნაპირას, ზღვის შესართავთან, მდებარეობდა ამავე სახელწოდების სოფელი (ოკუჯავა, 2012: 43-44).

პ. ინგოროყვა ტოპონიმ „სუბეშში“ გამოყოფდა ფუძე-სიტყვას **სუბე** და ზანურ ბოლოკიდურ ფორმანტს **-ეშ-ი**. ამასთანავე, სუბე-ს (სუბ-ი//სუბ-უ) მიიჩნევდა ზუბ-ი//ზუფ-უ გეოგრაფიული სახელწოდების სახესხვაობად. მეცნიერის დაკვირვებით, ზანური -ეშ-ი ზოგადქართული -ის-ი სუფიქსის იდენტურია. როგორც ფუძით, ისე გრამატიკული აღნაგობით, გეოგრაფიულ სახელებს – სობისსა (სოფლები გორის რაიონში. აკონკრეტებენ: ზემო და ქვემო სობისი) და სუბეშს ასევე იდენტურად მიიჩნევდა (იქვე: 166).

კ. ოკუჯავას დაკვირვებით, „სუბაშში“ უნდა გამოიყოს სუბ- ძირი და ზანურ-სვანური გეოგრაფიული სახელების მანარმოებელი -აშ-ი სუფიქსი. მკვლევარი ფიქრობს, რომ სუბ- ძირის ფონეტიკური ნაირსახეობა უნდა იყოს **ზუბი** (ასე ეწოდება სოფლებს ცაგერისა და ხობის რაიონებში) და ზუფუ (ახლანდ. ლიხნი) (ოკუჯავა, 2012: 44-45). „სუბ-ძირიანი ტოპონიმები, – წერს კ. ოკუჯავა, – არა მხოლოდ დასავლურ-ქართული, არამედ საერთო ქართული უძველესი სატომო სახელიდან მომდინარედ შეიძლება ჩავთვალოთ“ (იქვე: 45).

აღნიშნულ საკითხს მკვლევარი ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომშიც შეეხო: **სუბ-//ზუფ-** ძირი და ზანური **-ში** სუფიქსი კ. ოკუჯავას მაშინაც აფიქრებინებდა, რომ ზუფუ და სუბეში ქართული სუფიქსებით გაფორმებული და, მაშასადამე, ქართული წარმოშობის ტოპონიმები იყო. ამასთანავე, გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში დადასტურებულ „სუბე“ ვარიანტში იგი გამოყოფდა **-ვი** სუფიქსს და მას ჩვეულებრივ, ტოპონიმების მანარმოებელ ქართულ სუფიქსად მიიჩნევდა. კ. ოკუჯავას აზრით, სწორედ -ვი სუფიქსი გამოიყოფა ტოპონიმებში: მოქვი, ლიახვი, არაგვი, თმოგვი, კეხვი და ა. შ. (ოკუჯავა, 2002: 78, 96).

ჩემი აზრით, საისტორიო წყაროებში დადასტურებული ტოპონიმ **სუბეიშისა** (ნათესაობითი ბრუნვის -იმ სუფიქსისა და სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსით) და მისი ვარიანტის – **სუბვის** ამოსავალი უნდა იყოს მეგრული **სუბე, სუბვი, სუბი**, რაც „მაღლობს, შემადლებას“ ნიშნავს. სამეგრელო-სამურზაყანოში ამ მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე სიტყვა ზუბი.

ა. ქობალია „მეგრულ ლექსიკონში“ ამ სიტყვის შემდეგ მნიშვნელობას გვთავაზობს: „**ზუბი** ბორცვი, გორაკი; მთის უღრანი ტყე“ (ქობალია, 2010: 311). ამავე ლექსიკონის მიხედვით, სუბეში იგივეა, რაც „მაღლობისა“ (იქვე, გვ. 596).

მაშასადამე, -(ი)ში კოლხური სუფიქსით ნაწარმოები დასახლებული პუნქტის სახელწოდება სუბე-იმ-ი შინაარსობრივად ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორისაც სამეგრელოში დამონებული ტოპონიმები: გაგურუში, გაგურუ, გუგურო, გუგურუ „მცირე ბორცვი, შემადლება“ და ა. შ. “ („სუბეიშის // სუბვის“ ეტიმოლოგიაზე იხ. კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013:115-117; მისივე, „ქართველური მემკვიდრეობა“, XVII, 2013: 163-165).

ს. კეკუა იზიარებს ჩვენს მოსაზრებას და იქვე დასძენს, რომ **სუბეიში, სუბე, სუბვი, სუბვი** პარალელური ფორმებიდან თავდაპირველი სუბე-მ (სახელობითი ბრუნვის ნიშნითურთ) უნდა იყოს. მომდევნო ეტაპის ფორმაა **სუბე** (ბრუნვის ნიშნის გარეშე), ხოლო ყველაზე გვიანდელი **სუბე-იმ-ი** ვარიანტი (ნანათესაობითარი მეორეული ფორმა). შუბვი-ი ვარიანტს მკვლევარი სუბე-მ ფორმის პარალელურ ფორმად თვლის, იმ შემთხვევაში, თუკი მოცემული ფუძის არქტივად დასაშვები იქნებოდა *სუბვე-ი (კეკუა, 2017: 185).

§5.41. ტოგონი

ტოგონი ეწოდება სოფელს ერისწყლის მარჯვენა ნაპირას, გალის რაიონის აჩიგვარის თემში. გალს 13 კმ-ით არის დაშორებული და ზ. დ. 20 მ-ზეა.

კავკასიის მხარის 1886 წლის აღწერის მიხედვით, სოხუმის „ოკრუგის“ გუდავის თემის სოფლებს შორის დასახლებულია **ტაგონი** 9 კომლით. მათ შორის 29 სული მამაკაცია, 17 – ქალი. ამათგან 1 კომლი მეგრელია, 8 კომლი კი სამურზაყანოელად არის დასახლებული.

საბჭოთა წყობილების პირველ წლებში მისთვის სოფლის სტატუსი უნდა გაეუქმებინათ, რადგან 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში ტოგონი დასახლებული არ არის. 1949 წლის დაყოფის თანახმად, ტოგონი სოფელია აჩიგვარის სასოფლო საბჭოში (დაყოფა, 1949: 123).

პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ძველ ქართულ სიტყვა **ტოგონს** უკავშირებენ სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში დასახელებულ **ტუგუნი** ფორმას, „რაც ამფითეატრს უნდა გულისხმობდეს“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 295). ტოპონიმი ტოგონი დასტურდება იმერეთისა და გურიის ტოპონიმიასიკ. გურულ დიალექტში ტომონი სიტყვა „ჭაობიანი, წყალჩამდგარი ადგილის“ აღმნიშვნელია (ჯაჯანიძე, I, 1977: 126). ფიქრობენ, რომ მეტაფორული გეოგრაფიული ტერმინი ტოგონი შემალღებული ადგილის, ვაკე-ბორცვის აღმნიშვნელია (იქვე: 295).

თ. მიბჩუანის მოსაზრებით, სოფლის სახელწოდების ამოსავალია სვანური ტოგან//ტუგენ – ქვითკირის სახლის ქვედა სართულის (მაჩუბის) კედელში სამეურნეო იარაღების ჩასაწყობად საგანგებოდ ამოჭრილი ადგილი (მიბჩუანი, 1989: 255). პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ეჭვქვეშ აყენებენ ასეთ განმარტებას და შენიშნავენ: „ტოპონიმის ასეთი მოტივაცია ძნელი გასაზიარებელია, თუმცა კი შეუძლებელი არაა, სვანური **ტოგენ//ტუგენ** სიტყვის სემანტიკა ძველი ქართულის **ტუგუნ**- ლექსემასთან იყოს დაკავშირებული“ (იქვე: 295). ავტორები იმონებენ ტოგონელი ინფორმატორის განმარტებასაც: **ტოგონეს** ძალიან ღრმა და ფართო წყალზე იტყვიან. აჩიგვარის ბებესირში ტოგონე წყალია (იქვე).

ტოგო, ტოგონი სამურზაყანოში სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენება. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულია სიტყვის სამი მნიშვნელობა: „კუმსი (მტევანი); მსუქანი (მინა); ჩაფსკვნილი (კაცი)“ (ქობალია, 2010: 603). აღნიშნული მნიშვნელობებიდან ტოპონიმ ტოგონის შინაარსი შესაძლებელია უკავშირდებოდეს მსუქან, ნოყიერ, უხვმოსავლიან მინას („ტოგონის“ ეტიმოლოგიის შესახებ იხ. აგრეთვე: კეკელია, „ნონომასტიკური კრებული“, 2013: 117-118; მისივე, „ქართველოლოგია“, 4, 2014: 79-80).

§5.42. ტყაურუ

აფხაზეთის საკათალიკოსოს დოკუმენტებში მოხსენიებული ტყაურუ, პ. ინგოროყვას აზრით, ზღვისპირას მდებარე სოფელი უნდა ყოფილიყო. „ამას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ ამ სოფლის მოსახლეობას ბეგარად ედვა მენავეობა (მეთევზეობასთან ერთად)“, – ნერს მეცნიერი (ინგოროყვა, 1954: 176, სქოლიო 5). „აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი დავთარი“ გვაუწყებს: „არის ტყავრუს მეთევზე და მენავტი...“ (კაკაბაძე, 1914: 39). დასახელებულია ტყავრელი გლეხები და მათზე დაკისრებული ბეგარაც: თავაზა შამბიას, მამუტუა შამბიას, ქუქუალიამამბიას, უჩაკოჩი ჭუჭურიას და გაგამელს დ-თიას ემართათ „მენავტობა, მეთევზობა, საპურობო“ (იქვე: 39).

პ. ინგოროყვა შეეცადა ტოპონიმ „ტყაურუს“ ეტიმოლოგიის დადგენას და სახელწოდების ფუძე-სიტყვად გამოყო მეგრული **ტყა** სიტყვა, რომელიც ტყეს ნიშნავს, და შესაძარებლად იქვე დაიმონმა ზუგდიდის რაიონის სოფლის სახელწოდება **ტყაია** (იქვე: 176).

ტოპონიმ „ტყაურუს“ შედგენილობა სპეციალურად შეისწავლა პროფ. გიორგი როგავამ. მისი აზრით, XVI-XVII საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებული დასახლებული პუნქტის – **ტყაურუს//ტყავრუს** ადგილმდებარეობის დადგენა ძნელია, რამდენადაც სოფელი ამ სახელწოდებით ამჟამად ცნობილი არ არის. სავარაუდოდ, სოფელი უნდა ყოფილიყო ოჩამჩირის, ან გალის რაიონის ტერიტორიაზე (როგავა, თსუ შრომები, 93, 1960: 183). გ. როგავა ტოპონიმში ორ ზანურ ფუძეს გამოყოფს: **ტყა** „ტყე“ და **ურუ//ვრუ** ← **ყურუ** (← **ყურუ**), რომლებიც ქართული **ყრუ** ფუძის ზანური შესატყვისია. „ყურუ“ მეგრულში ამჟამად **ყრუს** მნიშვნელობით არ იხმარება. ეს ფუძე მეგრულში, როგორც ცნობილია, გვხვდება მნიშვნელობის გადახრით: **ყურუ** – „ბრიყვი“, „რეგვნი“, „გამოუცდელი“, „ახალგაზრდა“. ქართ. **ყრუ** მიღებულია **ყურ** ფუძისაგან უქონლობის -უ სუფიქსის საშუალებით. ასევე მეგრ. **ყურუ** ← **ყურ-უ**, ე. ი. უყურო, აქედან **ყრუ**“ (იქვე: 183). მაშასადამე, გ. როგავას გააზრებით, ტყა-ურუ ← ტყა-ყურუ ძველი აგებულების ორშემადგენლიანი კომპოზიტია, პოსტპოზიციური მსაზღვრელით, და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ტყე ყრუს, ე. ი. უღრან ტყეს, ტევრს“. ზანური **ყ** **ყ**-ს დასუსტების გზით არის მიღებული. მაშასადამე, XVI-XVII საუკუნეების მეგრულში **ყ**-ს **ყ**-ში გადასვლის პროცესი დასრულებული ყოფილა, ვინაიდან წერილობით წყაროებში მეგრ. **ყურუ** გადმოცემულია **ურუ//ვრუ** ფორმით (იქვე: 183-184).

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ტოპონიმი **ტყაური** სამეგრელოში სხვაგანაც გვხვდება. კერძოდ, ხობის რაიონის სოფ. გამომლა შუა ხორგაში ტყესთან მდებარე სახნავს „ტყაურს“ ეძახიან. პ. ცხადაია შენიშნავს, რომ ტყაური, საერთოდ, ტყისპირა სახნავის სახელწოდებაა (ცხადაია, III, 2007: 232). **ტყაური** ეწოდება აგრეთვე მთას ხობის რაიონის სოფ. მათხოჯში (საქ. ტოპ., III, 2003: 303). ა. ფაილოძე შედარებით ზუსტ ლოკალიზაციას წარმოგვიდგენს და წერს, რომ ტყაური სალორალას შემდეგ იწყება. ტოპონიმს ახლავს შემდეგი განმარტება: „ტყა მეგრულად ტყეა, ტყაური ტყიანს ნიშნავს“ (ფაილოძე, 2014: 55). ამასთანავე, ტყაური რქმევია პატარა სოფელს ამ ტყეში. „შავმა ქირმა აჰყარა. სახელი ტყიანს ნიშნავს“, – წერს ა. ფაილოძე (იქვე: 141). **ტყაურისყელი** ვინრო გზა-გასასვლელია მთაში, სოფ. მათხოჯში, სადაც მარხილსაც კი უჭირს გავლა (იქვე: 141).

ტოპონიმ **ნატყაურ**-ში ნა- პრეფიქსი წინავითარებას გამოხატავს. დამონმე-ბულ გეოგრაფიულ სახელში დაკარგულია -უ სუფიქსი (შდრ. ნაკარგ, ნაჯიხე, ნაყვანე, ნაქერე, ნაჭკიდე. ამოსავალი ფუძე-სიტყვაა **ტყა-ურ**. **ნატყაურ** ეწოდება მინდორს ხობის რაიონის სოფ. გამოლმა ქარიატაში, ხობისწყლის მარჯვენა მხარეს, სანურნუმოდ სახელდებული უბნის ჩრდილოეთ შემოგარენში. პ. ცხა-დაიას მიერ ჩანერილ ტოპონიმს ახლავს ინფორმანტის შემდეგი ცნობა: „უწინ აქ ყოფილა ტყაურუ, ე. ი. სახნავი ახალნაკაფზე, ან ტყისპირა ამონადირკვზე (ცხა-დაია, III, 2007: 187).

ტყაური სიტყვას მეგრულში რამდენიმე მნიშვნელობა შეუძენია. კერძოდ, ტყაური ეწოდება ტყიან, ბალახბულახიან ადგილს (ქობალია, 2010: 176).

თუკი ჩავთვლით, რომ ტოპონიმ ტყაურის უწინდელი ფორმა **ტყაყურუ** იყო, მაშინ სახელწოდება უნდა გავიზროთ, როგორც „ყრუ, გაუვალი, უღრანი ტყე“. შდრ. **ტყაურუმი** – დაბურული, უღრანი ტყე; **ტყაურიწუ** – უსიერი ტყე (ქობალია, იქვე: 606). შდრ. „*ყურ-უ „ყრუ“; ლაზ. მტა-ურუ < *მტკა-ყურუ = ტყე-ყრუ (მიკროტოპ. აღვან-ში) – მეგრ. **ყურ-უ** „ყრუ“; შდრ. მეგრ. **ტყა-ურუ** = ტყე-ყრუ (ტოპ. აფხაზეთში); ქართ. **ყრ-უ**, მეგრ. **ყურუ**-მია კოჩი „უკმეხი“ (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, I, 2015: 859).

ტყის სახელწოდება მეტონიმის კანონის ზემოქმედებით იმ სოფლის სახელად ქცეულა, რაც ამ ტყის მახლობლად მდებარეობდა (შდრ. ტერმინი **ტყირი** → დრიმონიმი **ტყირი** → ოიკონიმი **ტყირი**).

§5.43. ტყვარჩელი

ტყვარჩელი მდებარეობს ლალიძგის ხეობაში, ზ. დ. 200-600 მ-ზე. მდინარის გასწვრივ 17 კმ-ზე გაშენებული ქალაქი სოხუმიდან 80 კმ-ით არის დაშორებული. ქვემო დასახლებაში მდებარე ადმინისტრაციულ ცენტრს კვაზანი//კვეზანი ეწოდება. სამურზაყანოელნი სწორედ ამ დასახლებას მიიჩნევენ უწინდელ ტყვარჩელად. კვეზანის გარდა ტყვარჩელში მდებარე სხვა დასახლებებია აკარმარა, ჯანტუხა და კუმიზი (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 296). 1867 წელს აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლების დროს სოფ. ტყვარჩელიდან თურქეთში გადაუსახლებიათ ვინმე ზაფას აშხოა (ხორავა 2004: 133).

1867 წელს აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლების დროს სოფ. მოქვიდან თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა სიაში დასახლებულია შემდეგი გვარები: ჭოლოკუა, ადლეიბა, ხვარაა, კერსალ, ქუთელია, არსია, ყაზან-ოლლი, ანჩაბაძე, თარბა, აშცა, ქარია (ქირია), ჩხონგურია, ჯინჯოლია, ჯინჯელ და ქუთარბა (ხორავა, 2004: 130-132).

აფხაზეთში 1890-1921 წლებში მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების სიაში დასახელებულია ტყვარჩელის 12 მოციქულის სახელობის ხის ეკლესია (გასვიანი, 2011: 215).

კავკასიის მხარის 1886 წლის სტატისტიკური ცნობარის მიხედვით, ტყვარჩელი სოფელია კოდორის ხეობაში, გუფის თემში. მათ შორის 743 სული მამაკაცია, 683 – ქალი. სულ 1426 სული (Сводь..., 1893: 14).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1925 წლის ცნობარი გვაუწყებს, რომ **ტყვარჩელი** სასოფლო საბჭოა კოდორის მაზრაში (დაყოფა, 1925: 127). ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის ცნობარიდან ირკვევა, რომ კოდორის მაზრაში არსებული ტყვარჩელის სასოფლო საბჭო ოთხ სოფელს აერთიანებდა: ათიშადუს, აკუარჩაპანს, აძხიდას და ტყვარჩელს/აბგიგდარას. ამ უკანასკნელში 108 კომლი (507 სული) სახლობდა. მათ შორის ერთი რუსი იყო, დანარჩენი – აფხაზი (დაყოფა, 1930: 163). 1961 წლის ცნობარის მიხედვით ტყვარჩელის სასოფლო საბჭოში კვლავ ოთხი სოფელი შედის: ატიშადუ, აბლიღდარა, აძხიდა და აყვარჩაფანი (დაყოფა, 1961: 125).

ტოპონიმ „ტყვარჩელის“ ისტორია-ეტიმოლოგიის შესახებ ვრცელი ანალიზი მოცემულია ცნობილი აფხაზი ტოპონიმისტის – ვალერი კვარჭიას ნაშრომში. მკვლევარი საკუთარ მოსაზრებასაც გვთავაზობს: «**Тквәрчал (Ткуарчал, Ткварчели)** – в настоящее время город и село, в прошлом как село указывается на картах XIX века на левом берегу р. Галидзга, в ее верховьях. Впервые название **Ткуарчал** в форме **Корчал** фиксируется Бларамбергом в 1830 году.

Ткварчал у Нордмана в работе, изданной в 1839 году (Нордман, с. 422). Далее оно встречается на картах как **Ткварчел** (К – 20), **Кварчелы**, **Кварчал** (К – 21, К – 22), **Ткуарчал** (К – 26). В советское время – в тридцатые годы, в связи с начавшейся разработкой ткварчельских каменноугольных копий, здесь возникает крупное поселение городского типа. Поселок быстро разрастается и в 1942 году утверждается в статусе города.

Его территория охватила часть села **Ткуарчал** и населенные пункты Квазана (К – 23) или Куазан (нижняя площадка) и Абгигдара (Абгигдара), отмечающейся в источниках с первой половины XIX века как Багишдара (Нордман, с. 422), Абгих-дара (К-20), Бегигдара (К-22). В пределы города вошли также местности Кумыз (Нордман, с. 422) и Акармара (абх. Ақармара), занимающие ущелье реки Галидзга.

С городом и селом **Тквәрчал** грузинские исследователи Ингорюкვა, Гамахარия, Гогия отождествляют с **Ткваджа** карт Ламберти и Каstellи (1654 г.). Видимо эти авторы не совсем хорошо представляют, где Ткварчал (Ткварчели), ибо

согласно этим картам, Ткваджа находится далеко от территории Ткуарчал, в частности выше современного села Джгерда в горах... Фиксация на некоторых картах форм **Корчал, Кварчал, Кварчелы** (срав. с коренной фамилией этого села Куарчеи или Кварчия, а в с. Ачандара Кварчелиа), может быть указанием на то, что препозиционное **-т** в Ткварчал есть наращение. Например, фамилия **Кварчеи (Кварчия)** в источниках фиксируется иногда как **Т-кварчеи, Т-кварчия**. Поэтому, и в препозиции названия **Т-Кварчал**, скорее всего имеем основу **Кварч (Кварч)**, что и в названиях поселка и переправы через р. Аалзга (Галидзга) в с. **Ткуарчал – Акварчагъан (А-Кварч-агъан)**, а также местной горы **Акварч ахэы**. Слово **Акварч** в абхазском языке означает «укрытие из сухосложенных камней (булыжников)», «временная крепость», «укрепление», «дамба». Отсюда первое – **Акварч-агъан** переводится как «крепостной брод», где агъан «брод», а второе – **Акварч ахэы** букв. «крепостная гора» – от ахэы «гора, возвышенность».

Думается, что и форма **Кварчал** не первична. Она может быть из исходного **Кварч-цъал**. Трансформация Кварч-цъал в Кварчал является результатом ассимиляции **-цъ** – препозиционным **-ч**. Окончание **цъал** (а не ал, как полагают некоторые авторы) означает в абхазском «хребет» (ахэда-цъал – «шейный хребет», абга-цъал «спинной хребет»), т. е. **Кварчал** из **Кварчцъал** «крепостной хребет». Название **Кварчцъал** «крепостной хребет» вполне соответствует хребту на левобережье р. Галидзга, начинающийся в с. Акварчапан, с г. Акварча хэы и тянущийся вдоль реки до села Агэы-Бедиа. По этому хребту шла древняя дорога к восточным абхазским горам и в Грузию. На ней же расположены внушительная крепость Нарджхоу и Бедийский христианский храм. Думается, что и название села **Цъал** означает «хребет» и связано с Джалским хребтом. Эта же основа и в названии г **Хэацъал (Ходжал)**, букв. «гора-хребет», а также и в наименовании села **Чхэартал (груз. Чхортоли)** из **Цъыхэа-р-цъал** «Джухский хребет» или «хребет Джухов» (см. Чхэартал). Трапедия – см. **Ахтхэы**» (Кварчия, 2006: 248-250).

ისტორიკოსი ბ. ხორავა ფიქრობს, რომ XVII ს-ის იტალიელი მისიონერების – ლამბერტისა და კასტელის რუკებზე აღნიშნული **ტკვაჯა** იგივე სოფ. ტყვარჩელია. მკვლევარი იზიარებს ტოპონიმის თ. გვანცელაძისეულ განმარტებას (ხორავა, 2004: 103; იხ. აგრეთვე ბერაძე, ხორავა, „ქ. თ.“, VI, 2013: 108). რუკაზე დატანილი **Tqugia** (ტკვაჯა), ჩვენი აზრით, ტყვარჩელი არ უნდა იყოს, არამედ უნინ არსებობდა სოფელი ამ სახელწოდებით. ტკვაჯა, ვ. ზუხბაიას აზრით, ჯგერდეს სექტორში მდებარე სოფელი იყო, ასეთი სახელწოდების სოფელი კი ამჟამად არ არსებობს (ზუხბაია, 2000: 82).

ხალხური ეტიმოლოგია ოიკონიმ „ტყვარჩელისა“ ასეთია: ბზის გასატანი მასალა აქ იყო „ტყვარჩილი“ – გრძლად დაწყობილი (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 296). ტყვარჩელის ეტიმოლოგიას პირველად ი. ყიფშიძე შეეხო. მან ამოსავალ ვარიანტად მიჩნეული **ტყვარჩელი** „თეთრ კიბედ“ განმარტა. **ტყვა/ტყვა** იგივეა, რაც საფეხურებით ჩაჭრილი მორი, საცალფეხო კიბე, ხოლო **ჩე** „თეთრის“ შესატყვისია (მსჯელობისათვის იხ. ყიფშიძე, 1914: 329).

პ. ინგოროყვა **ტყვარჩელში** გამოყოფდა ორ სიტყვას: **ტყვა** „კიბე“, **რჩელი** „დაფენილი“ (ინგოროყვა, 1954: 172). ვ. ზუხბაია იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ლალიძგის ხეობაში, ქვედა მინერალურ წყაროსთან ჩასასვლელად დაგებული-დაფენილი ყოფილა კიბე (ტყვარჩელი), რომელმაც სახელი მისცა დასახლებულ პუნქტს (ზუხბაია, 2000: 81). ქ. ლომთათიძემ ტოპონიმში მეორე კომპონენტად გამოყო ქართული **რეც** ფუძის ზანური შესატყვისიდან მომდინარე **ფენილის** (განფენილის) შინაარსის მქონე სიტყვა, ხოლო **ტყვა** დაუკავშირა **ტყვ(ი)ა** სიტყვას, რომელიც, მკვლევრის აზრით, „უნდა მიუთითებდეს ტყვიის (ე. ი. მადნის) არსებობაზე აღნიშნულ ადგილას. შესაბამისად, **ტყვარჩელი** უნდა ნიშნავდეს ტყვია (resp. მადან) – ფენილს (მოფენილს, განფენილს)“ (ლომთათიძე, სამეცნ. კონფერენცია, 1994: 9). კ. ოკუჯავა სახელწოდებაში გამოყოფს **ტყვა** „კიბე“ სიტყვას, მაგრამ არაფერს ამბობს მეორე კომპონენტზე – **რჩელი** (ოკუჯავა, 2002: 102). ტოპონიმ „ტყვარჩელის“ შესახებ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზი მოცემულია ენათმეცნიერ თ. გვანცელაძის ნაშრომში. მისი აზრით, სახელწოდების ი. ყიფშიძისეული და პ. ინგოროყვასეული ეტიმოლოგია ხალხურ ეტიმოლოგიას უფრო ჰგავს. ქ. ლომთათიძის ვარაუდი ქ. ტყვარჩელის ტერიტორიაზე სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ქვანახშირის საბადოს არსებობას ემყარება. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საბადოს სამრეწველო დამუშავება აქ მხოლოდ 1935 წელს დაიწყო და XX ს-ის 20-30-იან წლებამდე ტყვარჩელში საბადოს არსებობის შესახებ ადგილობრივმა მოსახლეობამ არაფერი იცოდა (გვანცელაძე, „არტანუჯი“, 10, 2000: 91).

თ. გვანცელაძე ტოპონიმ „ტყვარჩელის“ სხვაგვარი ახსნა შემოგვთავაზა. მან სახელწოდება მცენარის სახელის მხოლობითი რიცხვის ფორმას დაუკავშირა. მკვლევრის აზრით, სახელწოდების ამოსავალია მცენარე **ყოჩივარდას** მეგრული შესატყვისი **ტყვარჩელია//ტყვარჩელია**. თვით მცენარის მეგრული სახელწოდება ტყვარჩელია//ტყვარჩელია კომპოზიტია და „ტყავაშლილს, ტყავდაფენილს, ტყავდაგებულს“ ნიშნავს. მცენარის ბოტანიკურ-მორფოლოგიური თავისებურება – მიწაზე მცენარის ღეროს ირგვლივ ტყავივით სქელი და უხეში ფოთლების როზეტივით დაფენა მხარს უჭერს სახელწოდების ამგვარ ეტიმოლოგიას (იქვე: 91-92).

თ. გვანცელაძის ზოგადი დასკვნა ასეთია: ქ. ტყვარჩელის აფხაზური სახელი **ტყვარჩალ** მიღებულია აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი ნასესხები სიტყვების ადაპტაციის წესების სრული დაცვით: **ტყვ** კომპლექსი არ არის დამახასიათებელი აფხაზური წარმოშობის სიტყვებისათვის, სამაგიეროდ გვხვდება მხოლოდ ქართველიზმებში. მოხმობილია საილუსტრაციო მასალაც: აფხაზ. **ატყვა** – ქართ. **ტყვე**, **ატყვაცრა** „გასკდომა, აფეთქება“ – მეგრ. **ტყვაცი** „მეხის გავარდნა“ და ა. შ. მეგრულ მახვილიან ე ხმოვანს აფხაზურში კანონზომიერად ცვლის ა ხმოვანი. გარდა ამისა, რამდენადაც XVII-XVIII საუკუნემდე კოდორის მარცხენა ნაპირზე აფხაზური მოსახლეობა არ იყო, აფხაზური **ტყვარჩალ** ფორმა ამ დრომდე ვერ გაჩნდებოდა (იქვე: 92).

განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა გ. გასვიანმა, რომელმაც ტოპონიმი **ტყვარჩელი/ტყვარჩვალ** სვანურ ენაზე დაყრდნობით განმარტა, როგორც „შავტალახიანი მენყერი“ (გასვიანი, 2011: 191).

ტყვარჩელია // ტყვარჩელია მეგრულში „ყოჩივარდას“ შესატყვისია, ხოლო **ტყვარჩელი** აღნიშნავს ხის ფენილ კიბეს, ხეფენილს. მაგრამ ტოპონიმ „ტყვარჩელის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას საგულისხმოდ და ანგარიშგასანევად გვეჩვენება მეგრულში დადასტურებული ამ სიტყვის კიდევ ერთი მნიშვნელობა. კერძოდ, **ტყვარჩელი**, ამასთანავე, ნიშნავს „ხერგილს, დასტა-დასტა დაკეცილს, ერთმანეთზე დანყობილ-დალაგებულს“. **ტყვარჩელს** ხერგილზე, ყორეზე მაშინ იტყვიან, როცა ლოდები, ქვა-ლორღი, ხის მორები, ტოტები და ძეძვი ერთმანეთზეა დახერგილ-დახვავებული.

§5.44. ტყუბუნი

ქალაქ სოხუმის სამხრეთით, 4 კმ-ის დაშორებით, შავ ზღვასთან მდ. კელასურის შესართავთან მდებარეობს ნაქალაქარი, რომელიც ძველ წყაროებში დიოსკურიის სახელით არის ცნობილი. მისი პარალელური სახელწოდებაა **ტყუბუნი//ტყუბუნი**. პ. ინგოროყვა მსჯელობს ამ ორი სახელწოდების ურთიერთმართებაზე და აღნიშნავს, რომ ქალაქის ბერძნული სახელწოდება დიოსკურია დაკავშირებულია ღვთის შვილებად წოდებული ტყუპი ძმების – კასტორისა და პოლუქსის ლეგენდასთან, და წარმოადგენდა ქალაქის ადგილობრივი სახელწოდების – ტყუბუნის (ტყუბუნი resp.*ტყუბნი) ბერძნულ თარგმანს. „ქართული წარმოშობა ძველი დიოსკურიის სახელისა (დიოსკურია=ტყუბუნი, *ტყუბნი) უდავოდ უნდა ჩაითვალოს“ (ინგოროყვა, 1954: 147).

ზ. ანჩაბაძის ვარაუდით, სოხუმის აღმოსავლეთით მდებარე ადგილის სახელწოდება **ტყუბუნი**, ალბათ, კასტორისა და პოლიდეკეს, – ტყუპი ძმების

ასოციაციით უნდა შექმნილიყო და ქართულ „ტყუპს“ უკავშირდება (Анчабадзе, 1964: 152, და იქვე მითითებული ლიტრა). ამ მოსაზრებას არ იზიარებს თ. მიბჩუანი. მისი აზრით, სვანური სიტყვიდან **ტყუბულ** – „სოკო“ უნდა წარმოქმნილიყო ტოპონიმი **ტყუბუნი** (მიბჩუანი, 1989: 82). იმავე ნაშრომში, სოხუმის რაიონის სვანურენოვანი ტოპონიმების ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას თ. მიბჩუანი შენიშნავს, რომ **ტყუბუნ** ტოპონიმის ქართული „ტყუპ“ სიტყვიდან წარმომავლობა ნაკლებ სარწმუნოა, მით უმეტეს, თუკი გამოირიცხება დიოსკურიის ტყუბთან დაკავშირება. „ტყუბუნ“ არის სვანური „ტყუბულ“, რომელიც სოკოს ნიშნავს. ანალოგიური წარმოშობისაა ქ. ტყიბული... **ტყუბუნი//ტყიბული** სვანურად გაიგება როგორც სოკოიანი ადგილი“ (იქვე: 268).

ისტორიკოსი გერონტი გასვიანი ტოპონიმ „ცხუმს“ სვანურ სახელწოდებად მიიჩნევს და თავისი მოსაზრების გასამყარებლად იმ არგუმენტს იმონმებს, რომ სოხუმის ერთ-ერთი უბნის სახელწოდებასაც – ტყუბუნი, სვანურ ენაზე ორნაირი ახსნა აქვს: 1. **ტყუბ** სვანურად იგივეა, რაც „ტყუპი“ და შესაძლებელია მისი კავშირი დიოსკორებთან; 2. **ტყუბულ** სვანურ ენაზე იგივეა, რაც „სოკო“ (გასვიანი, 2011: 189).

ტყუბი, ტყუბური მეგრულში „ტყუპის“, „შეტყუბებულის“ შესატყვისია. **ტყუბა** „შეტყუბებულს“ ნიშნავს, ხოლო **ტყუბუნი**, ა. ქობალიას განმარტებით, იგივეა, რაც „ხშირი, ტყუპად გამოსხმული, შეტყუბებული“ (ქობალია, 2010: 607). საკვლევი ტოპონიმის მოტივაციისთვის საგულისხმოდ გვეჩვენება **ტყუბუნი** სიტყვის კიდევ ორი მნიშვნელობა მეგრულში: 1. გაუვალი ტყე; 2. ორპირი, ორწყალი (ქობალია, 2010: 607).

§5.45. ფიჩორი

ფიჩორი სოფელი და თემის ცენტრია გალის რაიონში, შავი ზღვის ნაპირას, ზ. დ. 3 მ-ზე. გალს 40 კმ-ით არის დაშორებული. თემი სამ სოფელს – ფიჩორს, ნაკარლალსა და ნაჭკადუს აერთიანებს.

1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში აღნიშნულია, რომ ფიჩორი 140-კომლიანი სოფელია ოტობაიას სასოფლო საბჭოში. მათ შორის 624 სული ქართველია, 11 – რუსი, 2 – სხვა დანარჩენი (დაყოფა, 1930: 154).

1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი გვამცნობს, რომ ფიჩორი სოფელია ამავე სახელწოდების სასოფლო საბჭოში, ნაქარლალსა და ნაჭკადუსთან ერთად (დაყოფა, 1949: 123).

1966 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის თანახმად, ფიჩორის სასოფლო საბჭო აერთიანებს სამ სოფელს: ფიჩორს, ნაქარგალს, (ალბათ ნაკარლალს) და ნაჭკადუს (დაყოფა, 1966: 113).

ფიჩორი ეწოდება აგრეთვე გურია-სამეგრელოს სასაზღვრო მდინარეს. გ. ელიავა „კეთილარის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ასახელებს „ფიშორს“ და აღნიშნავს, რომ ასე ეწოდება ნარიონალ ხაზს, სანრეტ არხს, რომელიც პალიასტომამდე გრძელდება (ელიავა, 1977: 61). იმავე „სასოფლო საბჭოში“ დამონმებულია ჰიდრონიმი **ფიჩორა**, შემდეგი განმარტებით: „წინათ მის ადგილას მდ. რიონი მიედინებოდა, შემდეგ მცირე ღელეს გაუკაფია გზა და მდინარედ ქცეულა. ფიჩორას მცირე ღელეს სინონიმად ამბობენ – **ფიჩორაე**, **„ფიჩორაცაი ნყარიე“** – ასე იტყვიან“ (იქვე: 64-65). პ. ცხადაიას ცნობით, მდ. ფიჩორი წარმოადგენს აბაშის მუნიციპალიტეტის საზღვარს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან, სოფ. კეთილარში. ამავე სოფელში მდ. ფიჩორის მარჯვენა ნაპირას მდებარე სახნავს **ფიჩორა** ეწოდება (ცხადაია, VIII, 2013: 251).

საგულისხმოა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველ სენაკში ღელეს ეწოდება **ფიჩორი**. იგი სათავეს იღებს ეკის მთაზე, პრობკაშ ჯასთან (ს. საჩიქობავო) და მარჯვენა მხრიდან უერთდება მდ. ნახურს (ცხადაია, VII, 2013: 368). ამ ღელის სათავესთან, საკირესა და სოფლის დასახლებულ ნაწილს შუა, ტყეს ეწოდება **ფიჩორიშ ტყა**. გადმოცემით, აქ ესახლა ფიჩორი ქანთარია და სახელწოდებაც აქედან მოდის (ცხადაია, VII, 2013).

ფიჩორის მარჯვენა შენაკადი – ღელე სოფ. საგვიჩოში (ზემო ქალადიდის თემი) **ფიჩორსარეკის** სახელწოდებით არის ცნობილი (ცხადაია, VII, 2013). სარეკი მიუთითებს იმ ადგილზე, სადაც მრეკავნი ნადირს სახუნდრისკენ ერეკებიან. შდრ.: სულხან-საბას განმარტება: „**სარეკი** – ნადირთ მოსალაღავი“ (ს.-ს. ორბელიანი, 1928: 298).

ფიჩორი პირსახელადაც დასტურდება (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 298-299). ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით, **ფიჩორუა** – სახელი **ფიჩორუნს** ზმნისა, იგივეა, რაც ფართო-ფართოდ დაჭრა (მაგ., ყველისა). წარმოდგენილია საილუსტრაციო მასალაც: **მურე, ეცვალი მუჭოე, დოგიფიჩორუნი?** – რაა, ეს ყველი როგორაა, რომ ფართო-ფართოდ (დიდნაჭრებად) დაგიჭრია“ (ქაჯაია, III, 2002: 104).

ფიჩორს სამურზაყანოში ეძახიან კანაფის თოკს, ბერის სამოსს (ქობალია, 2010: 627), მაგრამ ამ სიტყვის კიდევ ერთი მნიშვნელობა, რომელიც ა. ქობალიას ლექსიკონშია მოცემული, ტოპონიმ „ფიჩორის“ სხვაგვარი ეტიმოლოგიის საფუძველსაც იძლევა. კერძოდ, **ფიჩორი** აღნიშნავს ფართო, ვრცელ, ხალვათ, გაშლილ ადგილს (იქვე: 627). იმავე ლექსიკონის მიხედვით, **ფიჩუა** იგივეა, რაც

„შლა, ფენა“. **იფიჩუ** – იშლება, განეფინება (იქვე). შდრ. **ფიჩალი** – ფართო, გაშლილი, გადაფურჩენილი (ტოპონიმ „ფიჩორის“ ეტიმოლოგიის შესახებ იხ. აგრეთვე: კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 118-119; მისივე, „ქართველოლოგია“, 4, 2014: 80-81).

ჰიდრონიმისა და ოიკონიმის ეტიმოლოგიის დადგენის მიზნით სალექსიკონო მასალებში მოცემული სიტყვის მნიშვნელობებიდან საინტერესოა ფიჩორის გააზრება ფართო, ვრცელ, ხალვათ, გაშლილ ადგილად. არც ისაა გამორიცხული, რომ ჰიდრონიმი და ოიკონიმი უკავშირდებოდეს მცენარე „მეკენძალის“ ლაზურ სახელწოდებას – **ფინჩორს** (*Aruneus vulgaris*; *волжанка обыкновенная*. ფშ. მონადირისმხალა, ყოვიპნკალა; მთ. კოპრნკალა, ყვავისპნკალაი; აჭ. აჯორიკა, აჯარკელა; იმ. ძირმაგარა; ლჩხ. მეჭეხი, გურ. მეჭეხა, ირმისბანარა; ხვს. ნადირთმხალა (მაყაშვილი, 1991: 48). შდრ.: **ფინჩორონა** – საზაფხულო ადგილი და ჩაის ფართობი **ფინჩორონა ირმალის** მარცხენა მხარეს; **ფინჩორონა მაჩხა** – ჩანჩქერი და კლდოვანი ადგილი ფინჩორონა ირმალზე (იხ. ჩალათაი-ალექსიში, „ქართველური ონომასტიკა“, IV, 2010: 97). მეკენძალის სახელწოდებად ფინჩორი მეგრულში დადასტურებული არ არის, თუმცა ეს როდი გამორიცხავს უწინ მეგრულშივე ამ ფიტონიმის არსებობას.

ოდენ მცენარის სახელწოდების გადაქცევა ტოპონიმად საკმაოდ ცნობილი მოვლენაა ტოპონიმიში. შდრ.: **ცაცხვი** – სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში; **ზია** – სოფელი ხობის მუნიციპალიტეტში; **თელა** – სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში; **ჭანდარი** – სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში; **იფხი** – სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში (შდრ.: სვან. (ლაშხ.) იფხ „გვიმრა“); **ყვავილი** – სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში (მსჯელობისათვის იხ. კეკელია, ეძ, XV, 2018: 26-28).

§5.46. ფსკალი

ფსკალი ეწოდება სოფელს ოჩამჩირის რაიონში და სომხური ათარის თემში შედის. სოფელი მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ჭაშის ზემოთ, ზ. დ. 150 მ-ზე. ოჩამჩირეს დაშორებულია 45 კმ-ით, ათარას – 6 კმ-ით (ქსე, X, 1986: 416). ფსკალში შემორჩენილია ადრეფეოდალური ხანის მცირე ზომის ციხის ნაშთი. იგი აშენებულია ფსკალის მთაზე და ფართობი 650 მ²-ია. 4 მეტრზე შემორჩენილი კედლების საერთო სიგრძე დაახლ. 125 მეტრია, სიგანე – 2 მეტრი. მოსაპირკეთებლად მშენებელს გამოუყენებია დიდი ზომის, (1,1+1,2 მ.) ქვები. ჩრდილო-დასავლეთით კედელი კვადრატული ფორმის კოშკით გაუმაგრებიათ. ციხეში მოხვედრა ორი მხრიდან შეუძლებოდა. დასახლება სამხრეთ-დასავლეთ-

თით უნდა ყოფილიყო. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ციხეს ფუნქციონირება უნდა დაეწყო IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში (იხ. ჭუმბურიძე, 2009: 132). ი. ვორონოვის მოსაზრებით, ეს უნდა იყოს VI-VIII საუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ძახარის ციხე (Вороних, 1971: 27).

ვ. კვარცია შეეცადა, რომ ტოპონიმ **ფსკალში** თურქული **ყალა** (kale) ფუძე გამოეყო, რომელიც ციხესიმაგრეს ნიშნავს; თუმცა არაფერს ამბობს თავკიდურა **ფს** თანხმოვნების სემატიკურ-მორფოლოგიური რაობის შესახებ. თ. გვანცელაძე არამეცნიერულად მიიჩნევს ტოპონიმ ფსკალის ვ. კვარციასეულ ეტიმოლოგიას და შენიშნავს, რომ ეს სახელი არც აფხაზურია და არც აფხაზურ-თურქული. „იგი მომდინარეობს საფუტკრე სკის მეგრული **ფსკალ-ი** სახელწოდებისაგან. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის, რომ ასეთი მოდელის ტოპონიმები – არსებითი სახელი მხოლოდითი რიცხვის ფორმაში – მეტად პროდუქტიულია ქართველურ ენობრივ სივრცეში (შდრ. ცაცხვი//ცხაცხუ, ტყვარჩელი, ხიდი, კლდე...)“ (გვანცელაძე, „ქ. ო.“, VI, 2013: 133). მეგრულში **სკა/ფსკა** აღნიშნავს „ფუტკარს“. ო. ქაჯიას განმარტებით, **ფსკა**: (< **ფსკალ**) შდრ. **ფსკალ-ეფი-ი** ფუტკრები“ (ქაჯია, IV, 2009: 513). შდრ. სკანაჭვი//ფსკანაჭვი – მინდორი ჯვარის სატყეოში, ბარხის ტყეში (ცხადაია, I, 2004: 172). **ფსკამ ქოფეს** ეძახიან ბუკს, სკას (ქობალია, 2010: 629). **სკაია/ფსკაია** „ფუტკარმრავალი ადგილია“, ხოლო **სკალონა/ფსკალონა** „საფუტკრეა“. ტოპონიმი ფსკალი, ჩვენი აზრით, იმ ადგილის აღმნიშვნელია, სადაც ფუტკრის ბუკები, სკები დგას (საფუტკრე ადგილი). შდრ. **ნა(ფ)სკალ** – 1. თხმელნარი ნაშამგეში; 2. მინდორი ლეთკანთში (ცხადაია, I, 2004: 105). **ნაფსკალ** აღნიშნავს ნასკევარ, ნასაფუტკრალ ადგილს. მ. ჩუხუა არ იზიარებს ჩვენს მოსაზრებას და შენიშნავს, რომ „ტოპონიმ „ფსკალ-ში“ ახსნას საჭიროებს ფინალური **ლ. ფსკალ-ი** აქ „მკვრივის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული და, ცხადია, მას არანაირი კავშირი არა აქვს **ფსკალ-ონ-ა-სთან** და **ნა-ფსკალ-თან**“.

§5.47. ფუნყური

ოქუმისა და ოხოჯის შესართავთან, აჩიგვარის თემში შემავალი სოფელი ფუნყური ზ. დ. 50 მ-ზე მდებარეობს და გალს 12 კმ-ითაა დაშორებული. სოფელი ამავე სახელწოდებით მდ. ოქუმის მარჯვენა ნაპირას, წარჩის თემშიცაა და ესაზღვრება აჩიგვარის თემის სოფ. ფუნყურს. ტოპონიმი Pozcuar ფორმით აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტისა და ლათინურენოვან „კოლხეთის, ანუ სამეგრელოს, რუკაზე“. 1640 წლის 2 თებერვალს ფუნყურს სწვევია რუსი ელჩი ფედოტ ელჩინი: „поехали в село Пудцкыр... а в селе Путцкуре стоит церковь деревянная“ (Белокуров, 1888: 323). მეორე რუსი ელჩის – პავლე ზახარევის მოხსენებით ბა-

რათში სოფლის სახელწოდებად გვხვდება Пыскурь და Пискурь ფორმები (იქვე: 350).

ვ. კვარჭია შენიშნავს: «**Пацкьыр (Пацкир)** – один из комонимов Цебельды, встречающийся в материалах первой половины XIX века (К-20, К-23). Локализуется он на левой стороне речки, именуемой на одних картах Пацкир (К-25), а других Бариал (К-23). В 1874 году в Пацкире получил надел коллежский советник, прогрессивный общественный и политический деятель Н. И. Воронов. С начала XX века дом Вороновых, известный под именем «Ясочка», стал явочной квартирой революционеров-большевиков. В связи с пребыванием здесь Вороновых с. Пацкир получает новое название Юриевское//Юрьевка – от имени сына Н. Воронова Юрия Николаевича. Село Юрьевка переименована в 40-е в Зегани груз. «нагорье» (нет указа). С 1994 года официальное название местности Пацкьыр (Пацкир). Думается, что последнее родственно термину **а-быцкьар** «копье» (один из видов копья) или же «рогатина» (см. Хеция А. Д. Терминология охотничьего вооружения в абхазском языке, Кавказ: история, культура, традиции, языки. Сухум. 2004. С. 548). Вместе с тем, не исключено, что **Пацкьыр** может быть турецким названием, срав. с топонимом в Турции **Бозкыр** (Турция. Указ. географических названий, с. 3)» (Кварчия, 2006: 224-225).

პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა იმონებენ ხალხურ ეტიმოლოგიას: ამ ადგილას, რასაც უნინ გოჩეხილი რქმევია, კაცს ჩამოუვლია და ცუდი, დაქცეული ადგილის მნახველს უთქვამს: „ფუ, ნწყელი“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 301). თვითავტორები ფიქრობენ, რომ **ფუ** უნდა იყოს ერთგვარი უნაყოფო წითელი ფერის მიწის სახეობის აღმნიშვნელი **ფუქი** სიტყვის ბოლომოკვეცილი ფორმა, ხოლო **წყელი** მეგრულში დაქცეული, ჩახრამული ადგილის აღმნიშვნელია და წარმოადგენს **წყელა** „დაქცევა, ჩაძირვა“ ზმნის მიმღებობას. მაშასადამე, მათი აზრით, ტოპონიმის წარმომავლობას შემდეგი გზა უნდა გაეგვლო: **ფუქი წყელი** → **ფუნყელი** (იქვე: 301).

ტოპონიმ „ფუნყურზე“ მსჯელობა მოცემულია პ. ცხადაიას მეორე ნაშრომშიც. ფუნყური მეგრულის მონაცემებით უნდა აიხსნას. მისი პირვანდელი ფორმა **ფუქი (წ)წყელი**, პ. ცხადაიას განმარტებით, იგივეა, რაც „დაქცეული (ჩაქცეული), დამწყურილი ფუქი“ (ცხადაია, 2004: 55). „როგორც ვხედავთ, – დაასკვნის მკვლევარი, – ფუნყურიც ამ მიწაზე აბორიგენ კოლხთა ცხოვრების ერთ-ერთი უძველესი ნაკვალევია“ (იქვე: 56).

ფუნყურის წარმომავლობის საკითხს შეეხო კ. ოკუჯავა. იგი ტოპონიმში გამოყოფს **-ურ** ბოლოსართს და ზანურ **წყუ** „წყარო“ სიტყვას. მაშასადამე: **ფუ-წყუ-**

ურ-ი. თუმცა მკვლევარს გარკვეული არა აქვს „ფუნყუს“ მნიშვნელობა (ოკუჯავა, 2, თბ., 1999: 233).

ჩემი აზრით, დასაშვებია შემდეგი განმარტებებიც: ფუნყური „ვოკლუზი, ქვა-ქვიშიანში ამოხეთქილი წყაროსწყალი, გეიზერი“. **ფუნყურს** სამეგრელოში ეძახიან ნანვიმარზე გამოსულ წყაროს „თვალსაც“, და მცირე წყაროს, რომელიც ზაფხულობით შრება (ტოპონიმ „ფუნყურის“ ეტიმოლოგიის შესახებ იხ. აგრეთვე: კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 119-120; მისივე, „ქართველოლოგია“, 4, 2014: 81-82).

§5.48. ფშაური

სოფელია გალის რაიონის ბედიის თემში, რომელიც ოხოჯის მარცხენა მხარეს, ზ. დ. 150 მ-ზე მდებარეობს. გალს 17 კმ-ით არის დაშორებული. მისი უწინდელი სახელწოდება სანარდო ყოფილა. სოფელი ამავე სახელწოდებით წარჩის თემშიცაა. ფშაურში ღალ ეწოდება სოფ. ფშაურში (ბედიის თემი) ოხოჯის მარცხენა შენაკადს, რომელიც წარჩის საზღვარზე, ჯიხად სახელდებულ ნაციხარ-ნაეკლესიართან იღებს სათავეს.

1886 წლის კომლობრივი აღწერის მონაცემებით ფშაური ორკომლიანი (18 სულით) სოფელია მუხურის თემში. 1930 წლისათვის ფშაური შედიოდა წარჩეს სასოფლო საბჭოში. 36-კომლიან სოფელში ამ დროისთვის 155 სული ქართველი იყო, 14 სული – აფხაზი (დაყოფა, 1930: 156). 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით ფშაური ეწოდება სოფლებს მეორე ბედიისა და წარჩის სასოფლო საბჭოებში (დაყოფა. 1949: 124). 1961 წლის ცნობარიდან ირკვევა, რომ ფშაური სოფლებია ბედიისა და წარჩის სასოფლო საბჭოებში. 1966 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში დასახელებულია გალის რაიონის ბედიის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელი ფშაური (დაყოფა. 1961: 119-120).

პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა იმონებენ გადმოცემას ოიკონიმ „ფშაურის“ წარმომავლობის შესახებ: „ფშაური თუ ფშაურიანი ყოფილა სახელი თუ გვარი იმ კაცისა, ვისაც აქ, სერზე, „ჯიხა“ (ნაციხარი) გაუშენებია“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 302).

ფშაური **-ურ** კუთვნილების სუფიქსითაა გაფორმებული. ამოსავალი ფუძის – **ფშა-**ს მეგრული მნიშვნელობა შემდეგი ეტიმოლოგიის საფუძველს გვაძლევს: **ფშა** – „წყარო, ნაკადი, წყალი“. ამასთანავე, ა. ქობალიას განმარტებით, **ფშაური** იგივეა, რაც „ნაკადული, წყაროსწყალი“ (ქობალია, 2010: 613; ტოპონიმ „ფშაუ-

რის“ ეტიმოლოგიის შესახებ იხ. აგრეთვე: კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 120-122; მისივე, „ქართველოლოგია“, 4, 2014: 82).

მ. ჩუხუა ამგვარ ეტიმოლოგიას საექვოდ მიიჩნევს და იმ აზრისაა, რომ ფშა-ურ-ი, ალბათ, ფშა-სეული უნდა იყოს.

§5.49. ლუმურიში

თემის ცენტრია გალის რაიონში. იგი სამ სოფელს აერთიანებს. ესენია: ზემო და ქვემო ლუმურიში და ფართოლალი. ზემო ლუმურიში თემის ცენტრია და სამურზაყანოს მთისძირას, ოქუშმწყარის მარცხენა მხარეს მდებარეობს. სოფელი ზ. დ. 240 მ-ზეა და გალს 10 კმ-ით არის დაშორებული. ქვემო ლუმურიში ერისწყლის მარჯვენა შენაკადის – ნიშონის ზემონელზე, სამურზაყანოს მთისწინეთში, ზ. დ. 240 მ-ის სიმაღლეზე მდებარე სოფელია. გალს 13 კმ-ით არის დაშორებული. დღევანდელი მონაცემებით ლუმურიშის თემი რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ხელოვნურად შექმნილი ტყვარჩელის რაიონის შემადგენლობაშია (კობახიძე, 2018: 15).

არქეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძეგლია მდ. ოქუშმის მარცხენა ნაპირის მაღალ ტერასაზე, ზ. დ. 415 მ სიმაღლეზე მდებარე ნა-მოსახლარები, საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთებით, რომლებიც დათარიღებულია შუა ნეოლითის დასაწყისით (კალანდაძე, 1986). 1963-1965 წლებში, გ. გრიგოლიას ხელმძღვანელობით, ისტორიის ინსტიტუტის საძიებო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოიკვლია ლუმურიში I და II ზედაპალეოლითური სადგომები – გამოქვაბულები (კობახიძე, 2018: 8-9).

1953 წელს ცნობილმა მხარეთმცოდნემ – ნოდარ შონიამ სოფ. ლუმურიში-ში, მდ. ოქუშმის მარჯვენა ნაპირას, ე. წ. ნაოხვამუს ტერიტორიაზე, ეკლესიის ნანგრევებში მიაკვლია მნიშვნელოვან ეპიგრაფიკულ ძეგლს – საგდუხტ დედოფლის წარწერიან ქვის ფილას, რომელიც დასაცავად გადასცა დ. გულიას სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმს. რუხი ფერის კირქვის ფილაზე შესრულებული წარწერა ასე იკითხება: „ღმერთო, შეიწყალე ორთავე ცხოვრებასა შინა ამის ტაძრისა მაშენებელი დეოფალთ-დეოფალი საგდუხტ, ნიანისასული, ამენ“ (ჯგომიდავა, „ახ. კ.“, 1954; Трапш, IV, 1975; ახალაძე, 2005; კობახიძე, 2018: 65-68, და იქვე დასახ. ლიტ-რა). ფიქრობენ, რომ ლუმურიშის წარწერაში მოიხსენიება XI ს-ის I ნახევარში მოღვაწე რაჭის ერისთავი და ნოველისიმოსი ნიანია და მისი ასული, დედოფალი საგდუხტი, რომელიც, სავარაუდოდ, ოდიშის დედოფალი უნდა ყოფილიყო და აქ ეწეოდა ქტიტორულ საქმიანობას – ტაძრის მშენებლობას (კობახიძე, 2018: 67).

სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებული ტოპონიმია კაკუბამ ოხვამე // **ლუმურიშულობვამე**. ასე ერქვა ეკლესიას, რომელშიც წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ხატები ესვენა (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 79).

აფხაზი ისტორიკოსი შ. ინალ-იფა **ლუმურიშს** (აფხაზ. ლუმრიშ) -შ დაბოლოების მქონე ტოპონიმთა რიგში აერთიანებდა (ტამიში → აფხაზ. **ტამშ**, ფოქვეში → აფხაზ. **ფაქუამ**, გულრიფში...). ამასთანავე, მიიჩნევდა, რომ -შ დაბოლოება -ფშ ელემენტის ვარიანტი იყო. ნაშრომის შენიშვნაში მკვლევარი იმონებდა 80 წლის ოქუმიელი ალ. ზუხბას გადმოცემას, რომ გალის რ-ნის სოფ. ლუმურიშს უწინ აფხაზები **გუმრიფშს** ეძახდნენ (ინალიფა, 1976: 379).

შ. ინალ-იფას ასეთი „მსჯელობა-დასაბუთება“ იმისთვის სჭირდებოდა, რომ სასურველი რეალობად წარმოეჩინა და **ლუმურიშის** აფხაზური წარმომავლობა „ემტკიცებინა“. იმავე გზას დაადგა ეთნოლოგი მ. თხანიუხოვიც, რომელიც „ლუმურიშის“ წარმომავლობას აბაზურ-აფხაზურ გვარს – გუმბას-გუმიბას-გუმბოვს უკავშირებს (Тхайсхов, 2006: 157-158). ამ საკითხით დაინტერესდა ვ. ზუხბაიაც. მისი აზრით, „აფხაზები ლუმურიშს აფხაზურ ტოპონიმად თვლიან და **გუმრიშს** უწოდებენ. ლუმურიში ქართული ტოპონიმია: **ლუმუ** მეგრულად ლომი და **ურიში** სამეგრელოში გავრცელებული ხორბლის კულტურა“ (ზუხბაია, 2002: 119; მსჯელობისათვის იხ. მისივე, 1998). კ. ოკუჯავაც იმ აზრისაა, რომ „ლუმურიში“ იგივეა, რაც „ურიშის ლომი“, მცენარე (ოკუჯავა, სძ, 1999).

პროფ. თეიმურაზ მიბჩუანის მოსაზრებით, **ლუმირ//ლუმურ** სვანურად ნაძვის სახელწოდებაა. აქედან წარმოდგა სოფლის სახელწოდება „ლუმირიში“, ე. ი. ნაძვნარი (მიბჩუანი, 1989: 254). ამ ტოპონიმს სვანურ სუბსტრატად მიიჩნევენ აგრეთვე პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა. მათი აზრით, კოლხეთში უძველესი ქართველური ტოპონიმია სახელწოდება, რომელიც სვანურ „ლუმირ“ (ნაძვი) სიტყვაზე ზანური -იში სუფიქსის დართვით უნდა წარმოქმნილიყო. მაშასადამე, მკვლევართა აზრით, ლუმურიში უნდა გავიაზროთ, როგორც „ნაძვისა“ (იქვე: 190, 245-246). ისტორიკოსი გერონტი გასვიანიც იმ აზრისაა, რომ ლუმურიში სვანური წარმომავლობის ტოპონიმია: **ლუმურ** სვანურში ეწოდება ნაძვს, ხოლო **-იშ** სუფიქსი სვანურთან ერთად მეგრულისთვისაც დამახასიათებელია (გასვიანი, 2011: 208, 271).

„ლუმურიშის“ სვანური წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელად მიჩნევის თვალსაზრისს იზიარებს პ. ცხადაია. იგი ტოპონიმში გამოყოფს სვან. **ლუმირ**-ს (ნაძვი), ხოლო **-იშ** საერთო ზანურ-სვანურ სუფიქსად მიაჩნია, რომელიც ქართ. **-ის-ი//-ისა** სუფიქსების მსგავსად მცენარეთა სახელებისგანაც აწარმოებს ადგილთა სახელებს. შდრ.: შინდისი, ცხემლისი, ბლისა, მეგრ. ბულიში „ბლისა“,

ინჭირიში „ანწლისა“, ლანჯიში „კოპიტისა“, ფარფალიაში „ვერხვისა“... (ცხადაია, 2004).

სახელწოდება „ლუმურიში“ შესახებ ქართველ მკვლევართა (ვ. ზუხბაია, კ. ოკუჯავა, პ. ცხადაია) მიერ გამოთქმული მოსაზრებების გაანალიზების საფუძველზე ახალგაზრდა ავტორი გიორგი კობახიძე შენიშნავს: „მიუხედავად... განსხვავებული ეტიმოლოგიებისა, უდავოა, რომ ტოპონიმი ლუმურიში ქართველური წარმომავლობისაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლუმურიში ისტორიული სამურზაყანოს ტოპონიმია, რომლის არსებობა დასტურდება ქართულ და უცხოურ წყაროებში. ასევე ასახულია კარტოგრაფიულ რუკებზე. ისტორიული სამურზაყანოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე დომინირებს ქართველური წარმოშობის (მეგრული, სვანური) ტოპონიმები“ (კობახიძე, 2018: 8).

ვ. ზუხბაია არ იზიარებს გამოთქმულ თვალსაზრისს „ლუმურიში“ სვანურ ტოპონიმად მიჩნევისა და „წინვიანად“ გააზრების შესახებ, ვინაიდან „არც წარსულში და არც ამჟამად ლუმურიში წინვიანი ხეები არ ხარობდა და არ ხარობს“ (ზუხბაია, 2000: 10). შდრ. მ. ჩუხუა: სვან. **ლუმ-ირ**, **ლომ-ირ** ბზ., ზს., ლნტ., ლუმურ ლშხ. „ნაძვი“, ქართ. **ლომ-ი**. ზან. **ლუმ-უ//ლომ-უ** „ლომი“. სვანურისათვის ამოსავალია **ლომ-ირ** ალომორფი, რომელიც ს.-ქართვ. **ლომ-ის** კანონზომიერი შესატყვისია. **-ირ** საკუთრივ სვანური სუფიქსია, რომელიც შეესაბამება ზანურ **-უ** სუფიქსს. სემანტიკური თვალსაზრისით, **ლომი-ს** და **ნაძვი-ს** ერთმანეთთან დაკავშირება პრობლემურია. თუმცა ანგარიშგასაწვეია ის ფაქტი, რომ **ლუ/ომ-ირ** სვანურში საზოგადოდ წინვიანი მცენარის აღმნიშვნელია. ამიტომ **წინვი – ლომი** (მარცვალი) მკვლევარს ბუნებრივად ეჩვენება. ს.-ქართვ. ***ლომ-** „ლომი“ (მარცვალი) → ქართ. **ლომ-ი** : ზან. **ლომ-უ** → **//ლუმ-უ** : სვან. **ლომ-ირ** → **//ლუმ-ირ//ლუმ-ურ** (ჩუხუა, 2000-2003: 267-268).

ნაძვის შესატყვისი სვანური „ლუმირ“ ჩანს სვანეთში ჩანერილ ზოგიერთ ტოპონიმში. მაგალითად, **ლუმირყმიყ** – სათიბი ლახამულაში, **ლუმრა** – დღეე კალაში, **ლუმრარ** – სალოცავი ფარში. მაგრამ, ამასთანავე, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმზე მსჯელობისას ყურადღებას იპყრობს აგრეთვე **ლუმური** სიტყვის მნიშვნელობა სამურზაყანოს მეგრულში. ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ მიხედვით, ესაა „ლომის ყანა; ლომეული კულტურები“, და იქვე მოცემულია **ლუმურიში**, როგორც ლექსიკური ერთეულის, განმარტებაც. კერძოდ, **ლუმურ-იში** მეგრულში აღნიშნავს ლომის ყანობს, ანუ ადგილს, სადაც ამ მარცვლეული მცენარის ნათესებია (ქობალია, 2010: 647).

§5.50. ლურჯული//ლურძაული//გერჯაული

ლურძაული ეწოდება მთაგრეხილს კოდორსა და მაჭარწყალს შუა, და სოფელს გულრიფშის რაიონის მერხეულის თემში. პ. ინგოროყვა სახელწოდებაში გამოყოფს ბოლოკიდურს -აულ, და გრამატიკული გაფორმებით ტოპონიმთა იმავე ჯგუფში მიაკუთვნებს ადგილს, სადაცაა კვიტაული, ბერძენაული, ჩარექაული, ბუთურაული... ამასთანავე, ფუძე-სიტყვის მიხედვით აფხაზეთის ლურძაულს აკავშირებს აჭარაში, ხულოს რაიონში მდებარე ლურძაულთან (იქვე: 170). **ლურძ-** ფუძის შესახებ პ. ინგოროყვას ნაშრომში არაფერია ნათქვამი. ვ. ზუხბაია გულრიფშის რაიონში ასახელებს სოფ. ლურძულს და ბოლოკიდურ -აულ-ის გამოყოფით ქართულ ტოპონიმად მიიჩნევს. თუმცა **ლურჯ-** ფუძის შინაარსზე ისიც არაფერს ამბობს (ზუხბაია, 2000: 67). გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში დაფიქსირებულია სოფელი **ლურჯული** (ორთოგრ., 1987: 112).

აქ შემორჩენილია ადრეფეოდალური ხანის ციხის ნაშთი, რომელიც არქეოლოგიურად შეისწავლა ნ. ვორონოვმა. მდ. მაჭარის ორ მარცხენა შენაკადს შორის მდებარე ქედზე აგებული ციხე მიჩნეულია წებელდის სასიმაგრო სისტემის პირველ პუნქტად. გალავნით დაცული სივრცის სიგრძე – 495 მ-ს, სიგანე 60 მ-ს აღწევს. უხეშად დამუშავებული მცირეკვადროვანი წყობით კირსნარზე ნაგები კედლების საერთო სიგრძე 1 კმ-ზე მეტია. კედლების სიგანე საშუალოდ 1,5 მ-ია, ხოლო შემორჩენილი სიმაღლე – 3-6 მ. ციხეს აქვს ორი სწორკუთხა კოშკი. ერთი კარიბჭეზეა აგებული, ხოლო მეორე სათვალთვალო დანიშნულებისა იყო. ციხის ტერიტორიაზე ყოფილა ტაძარი (შემორჩენილია საძირკველი) და წყლის შესაგროვებელი ავზი, ხოლო დასახლება, სავარაუდოდ, სამხრეთი ფერდობის ტერასებზე უნდა ყოფილიყო განლაგებული (Воронов, 1975: 29-30; ჭუმბურიძე, 2009: 131).

სახელწოდების ამოსავალი შესაძლებელია დაუკავშირდეს მცენარეს – **ლუარძლი**, **ღვარძლი** (მაყაშვილი, 1991: 131). მეგრულში მისი შესატყვისია **ლურძული**. ასე ეწოდება სარეველა ბალახს, რომელიც პურის ნათესებში იცის (ქობა-ლია, 2010: 648).

§5.51. შხურლაჭი

ვ. ზუხბაია აღმოსავლეთ და დასავლეთ გუმისთას შორის მდებარე მთის სახელწოდებად მიუთითებს ტოპონიმს **შხურილაჭი**, და არასწორად თარგმნის: „ციხვარი გაკრიჭე“ (ზუხბაია, 2000, გვ. 60). სინამდვილეში შხურლაჭი უნდა გა-

ვიაზროთ, როგორც „ცხვრის საკრეჭი (ადგილი)“. შდრ.: **შხურიშ ოლაჭუე** „ცხვრის საკრეჭი (ადგილი)“ – 1. დავაკება კობორის საზღვართან, სოფ. მუხურში; 2. დავაკება ოისირეში, სამურზაყანოს მთაში. პარალელური სახელწოდებაა **კეგვამ შხურიშ ოლაჭუე**; 3. **ვასასართა//შხურიშ ოლაჭუე** – დავაკება ნარჯხეუს სერის კალთაზე, აჰა იძიხის გვერდით, სოფ. ნარჯხეუში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003, გვ. 69, 196); **შხურნალაჭა** – მინდორი ტყეში, უჩალალისა და ჩხორონყუს წყალგამყოფზე, ტალერის სატყეოში. პ. ცხადაიას ცნობით, „აქ შემოზღუდული ჰქონიათ ადგილი ცხვრის საკრეჭად. ლაჭუა „კრეჭა“ → ოლაჭუე „საკრეჭი ადგილი“. **შხურნალაჭა**, „სადაც ცხვარი გაკრიჭეს“ (ცხადაია, VI, 2012, გვ. 626-627). მ. ჩუხუა მიიჩნევს, რომ შხურ-ლაჭი-ი ცნობილი კომპოზიტიური დერივაციის ერთ-ერთი ნიმუშია. შდრ. **ჩაკა-ზიდი** = **ცეკა** კალათის სახეობაა.

§5.52. ჩეგემი

ტოპონიმ „ჩეგემის“ ეტიმოლოგიით დაინტერესდა აფხაზი ენათმეცნიერი ვალერი კვარცია, რომელიც წერს: «**Чагьам//Чегем** – в прошлом поселение (ныне местность) у подошвы г. Шэбаарха, на левобережье р. Кодор, выше села Джггарда, а также местность в с. Арасадзих. Ойконим Чегьем, Чагьам отсутствует в списках населенных пунктов Восточной Абхазии XIX столетия. Вместо него указываются Азынаа рыхэца «подгорье Адзиновых», Азынаа рқыт «село Адзиновых» (см. Адзинаа-Рихуца) или же Джггерда-Ахуца «Джггерденское подгорье». Абхазское Чагьам//Чегьем по форме совпадают с известным топонимом Кабардино-Балкарии – **Чегем**, которую Дж. Коков объясняет из **Чеккем (Чекгем)**, где чек (балкарское) «граница» и кем «вода», «река», т. е. «пограничная река» (Коков Дж. Н. Из адыгской (черкесской) ономастики, с. 103,104). Вместе с тем, вполне вероятно, что абх. топоним из антропонима **Чагьам//Чегьем**, существовавшего в Абхазии как собственное родовое имя. Ныне род Чегьем, в основном, проживает в Турции (Инал-ипа Ш. Д. Антропонимия абхазов, с. 330). Чагьам в качестве личного имени представлен в гидрониме Чагьам измах «болото (его) Чагема» в бассейне р. Гьеуьыр Ткуарчалского района (см. Аңсны атопонимика, с. 527, 557)» (Кварчия, 2006: 275-276). ვ. ზუხბაია სოხუმის რაიონში ასახელებს ქედი **ჩედემის** სახელწოდებით. იმონმებს ხალხურ მოტივაციასაც: ერთ ადგილას ქედი თეთრია და ჰგავს დევს. **ჩედემი** მეგრ. „თეთრი დევი“ შემდეგ ჩედემით შეიცვალა (ზუხბაია, 2000, გვ. 60).

ჩვენი აზრით, ტოპონიმის თავდაპირველი ფორმა ჩეგემი უნდა ყოფილიყო. **ჩეგემი** მეგრულში იგივეა, რაც „უფსკრული“ (იხ. ქობალია, 2010: 671). შდრ.: **ჩე-**

გემი/ნიფრონა – ღრმა და მიუვალე ტყე-ხევი ლეკუკეში, ოლორის მარჯვენა მხარეს (სოფ. ფახულანი, ნალენჯიხის მუნიციპ.); 2. ღრმა ხეობა და მდინარე სოფ. დიხაზურგაში (გალის მუნიციპ.). აქვე მიედინება ღლე **ჩეგემალ**. სათავეს იღებს სათანჯოს მთაზე. უნინ ერთოდა ერისწყალს მარცხენა მხრიდან, ხოლო ამჟამად გალის წყალსაცავში ჩაედინება. ინფ.: „დიდი და ღრმა ხეობაა. რომ ნახავ, იტყვი, მართლა ჩეგემი ყოფილაო“ (ცხადაია, ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 197; პ. ცხადაია, 2015, გვ. 246). **ჩაგ’ამ** ენოდება სოფ. ჯგერდის ერთ უბანს. ჩრდილოეთ კავკასიაში კი, მდ. ყუბანის აუზში არის **ჩეგემის ხეობა** (კვარჭია, 2002: 354). შდრ. აგრეთვე: **ჩადიმჯ აკანვარა** – გზა-გადასასვლელი (ქ. სოხუმი); **ჩადიმჯ აძი** – ღლე (ქ. სოხუმი).

§5.53. ჩხარი

ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსის, აგათია სქოლასტიკოსის (დაახლ. 536-დაახლ. 582 წწ.) ნაშრომში („ისტორიები“, ანუ „იუსტინიანეს მეფობისათვის“) ისტორიული მისიმიანეთის მხარეში მითითებული მთავარი ციხესიმაგრე **ჩხარი/ჩხარი**, რომელსაც **რკინის-ციხეც** რქმევია, პ. ინგოროყვას აზრით, ის პუნქტია, რომელსაც ამჟამად **ჩხალი/ჩხალთა** ენოდება, ხოლო IX ს-ში მოღვაწე თეოფანე ჟამთააღმწერლის თხზულებაში, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმაგრე აფხაზეთის მხარისა, რკინის-ციხის სახელით გვხვდება. ჩხალთა სოფელია გულრიფშის რაიონში, აჟარის თემში, მდინარეების – ჩხალთისა და კოდორის შესართავთან და ამ უკანასკნელის მარჯვენა ნაპირზე. ჩხალთა ზ. დ. 710 მ სიმაღლეზე მდებარეობს და გულრიფშიდან დაშორებულია 73 კმ-ით. მდ. ჩხალთა//ანგარა კოდორის მარჯვენა შენაკადია, რომელიც ადანგესა და მარუხის შეერთებით იქმნება. მისი სიგრძე 38 კმ-ია, აუზის ფართობი – 465 კმ² (აფხაზავა, ქსე, XI, 1987: 173). ჩხალთის მარცხენა შენაკადს ჩხალთაძიხი ჰქვია, რომელიც სათავეს იღებს აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე – ჩხალთაძიხის მწვერვალზე (სიმაღლე 3670 მ.) (ქსე, XI, 1987). ჩხალთისა და ამანაუზის (ყარაჩაი-ჩერქეზეთის) ხეობების დამაკავშირებელი უღელტეხილიც კავკასიონის მთავარ ქედზე, რომლის სიმაღლეც 3235 მ-ია, ჩხალთაძიხის სახელითაა ცნობილი (იქვე). კოდორის ხეობის შუაგულში, მდინარეების – აძგარისა და საკენის შესართავთან, კლდეზე მდგარი ციხე იყო ჩამკეტი კლუხორისა და მარუხის უღელტეხილებიდან მომავალი გზებისა. ციხის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი. თვით სიმაგრეს მის მიდამოებში რკინის მადნის არსებობის გამო დარქმევია რკინის-ციხე. თ. მიბრუანის აზრით, ძახარის/ჩხარის ციხეს თავისი შეუვალობის გამო „რკინისას“ ეძახდნენ (მიბრუანი, 1989: 134). მკვლევარი ფიქრობს,

რომ აგათია სქოლასტიკოსის მიერ მისიმიანეთში დასახლებული ციხესიმაგრის სახელწოდების – **ძახარის** ბერძნულ წარმოებაში გამოიყოფა სვანური სუფიქსი **-არ**, ხოლო თვით ფუძის ქართველური ენების მეშვეობით დადგენა გაძნელებულია დამახინჯების გამო. რამდენადაც **ჯ** ასო ბერძნულში არ არის, შესაძლოა ციხეს ჯახარის ნაცვლად **ძახარ** რქმეოდა. „ჯახ“ სიტყვა სვანური ენის მისიმიანური დიალექტის კუთვნილება უნდა ყოფილიყო (შდრ. ქართ. ჯახანი, დაჯახება). მაშინ „ჯახარ“ უნდა გავიაზროთ, როგორც საბრძოლო ადგილი, სადაც მოხდა მტერთან შეჯახება. ძახარ//ჯახარ-ის ნიადაგზე აფხაზური ენის სამყაროში უნდა ჩამოყალიბებულიყო სახელწოდება **ჩხალთა**. ამ უკანასკნელში **რ** თანხმოვანი შეცვალა **ლ**-მ, ხოლო სვანური **-არ** სუფიქსი აფხაზურ-ადილეურმა **თა**-სუფიქსმა (მიზჩუანი, 1989: 134).

პ. ინგოროყვას უდავოდ მიაჩნია იდენტიურობა შუა საუკუნეებში მოხსენიებული ციხე-სიმაგრის სახელწოდება **ჩხარისა//ჩახარისა** და იმ დასახლებული პუნქტისა, რომელსაც **ჩხალი//ჩხალთა** ეწოდება. მკვლევარი მოიხმობს **ჩხარ-**, **ჩხერ-** და **ჩხალ-** ძირის მქონე მთელ წყებას გეოგრაფიული სახელებისა (ჩხარი, საჩხერე, ჩხერი, ჩხერის მერე – იმერეთში, ჩიხორი – იმერეთსა და მესხეთში, ჩიხა – იმერეთში, ჩხალი, ჩხალის მდინარე, ჩხალის ხეობა – ართვინის მხარეში) და დასკვნის, რომ ეს სახელწოდებანი უდავოდ ქართული ენობრივი სამყაროს კუთვნილებაა (ინგოროყვა, 1954: 158-159). ამ მოსაზრებას იზიარებს ვ. ზუხბაიაც (ზუხბაია, 2000: 66). მკვლევარი თავის ნაშრომში ასახელებს აგრეთვე მდ. ჩხალთას. ასე ეწოდება კოდორის დასავლეთ სათავე-ტოტს, რომელიც ერთვის აღმოსავლეთ სათავე-ტოტს – მდ. საკენს, და ერთვის სწორედ მისიმიანეთის მხარის ძველ ისტორიულ ცენტრთან – ჩხართან/ჩხალთან. მდინარის სახელწოდება სწორედ ამ პუნქტის სახელიდან მომდინარეობს (იქვე: 179).

ვ. კვარჭია იმონებს კ. მაჭავარიანის შემდეგ თვალსაზრისს: «**Чхалтә** представляет собой искаженное новыми поселенцами абхазское название местности **Პхалартә** «лошадиный подъем» – от **а-еы** «лошадь» и **ахалартә** «место подъема» (Кварчия, 2006: 277).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ჩხერ//ჩხარ** ქართული **ჩქერ//ჩქარ** ფუძის ვარიანტად გვევლინება. **ჩხერ**-ს გამოყოფენ სიტყვებში: **ჩხერ**-არა, ა-**ჩხერ**-ება (ქვიშისა), **ჩხრ**-იალ-ი: 1. ნაკადულის სწრაფად ჩადენის ხმა; 2. მაგარი პატარა საგნების ერთმანეთზე მიხლა-მირტყმით გამოცემული ხმა-ჩხარუნი; ჩხრ-იალ-ა: ჩხრიალით მომდინარე... (ცხადაძე, „მაცნე“, 3, 1990: 108).

ჩხერ- ფუძე ფიგურირებს ჰიდროობიექტებში: **ჩხერის** ხეობა, სა-**ჩხერ**-ე და **ჩხერ**-ი-მელა. ტოპონიმ **ჩხარის** (სოფელი იმერეთში) ფუძეში დადასტურებული **ჩხარ**- საფიქრებელია, **ჩხერ**- ფუძის ვარიანტი იყოს (იქვე: 108). ბ. ცხადაძის

აზრით, **ჩხარ//ჩხერ**-ის ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს **ხერ** ფუძე, რომელიც უხმოვნო ვარიაციული ფორმით შემოუნახავს **ხრ**-იალ სიტყვას. შდრ. **ჩახრიალებს, ჩახრიალა, ხარ-ხარი**-ი (ცხადაძე, „მაცნე“, 3, 1990: 108-109).

ჩხარი სიტყვა სამეგრელო-სამურზაყანოში რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება: ხელოვნურად ან ბუნებრივად შეთხელებული, გამეჩხერებული (ტყე, წყალი); აბრეშუმის უვარგისი პარკიც **ჩხარის** სახელით არის ცნობილი (ქობა-ლია, 2010: 678). წყლიდან ამოჩრილ დიდ ლოდებს **ჩხერგი** ჰქვია. წყლის ხმიანობის, კერძოდ, ჩხრიალის, სემანტიკის შემცველია **ჩხერჩხელი** სიტყვაც.

ამასთანავე, **ჩხერი, ჩხვერი** ეწოდება მარცვლეულს, პურეულს, ღომს, ფეტვს (იქვე: 678). **ჩხვერიმ ღუმე** ფეტვის ღომი, ღომის ღომი (იქვე).

აქვე დავიმონმებთ საილუსტრაციო მასალას სამეგრელოს ტოპონიმიდან:

ჩხარი – წყარო ლეკაციეს ცენტრში, ცივის მარჯვენა შენაკადის – ნისქურის//ონყარიეს ნაპირზე, სოფ. ახუთში.

ჩხარველი – სერი დიჭყესა და ჭუჭუამ ღალს შუა, ბაკურეთში. პ. ცხადაიას თქმით, ცხარველს ზოგი ინფორმატორი მხოლოდ ერთ ქვაცვენია კლდეს ეძახის პირველ და მეორე ჭოლაში (ცხადაია, IV, 2008: 413).

ჩხიარი – შიშველი კლდე ნაფიჩხოვოს უბან ლელაგვილეში. ქვაცვენია შუროს სოფ. მუხურში, ლაკადის კალთაზე, ასევე **ჩხიორი** ჰქვია. **ჩხიორა** კიროვანი კლდეა პირველი ჭოლის ლეთოდუეს უბანში (იქვე: 413).

ჩხარი ეწოდება ღელეს სენაკის რაიონის სოფლებში – სანულისკირიოსა და საადამიოში. მოედინება ეკის მთის გამოქვაბულიდან და მარცხნიდან შეერთვის ცივს; ღელეს სათავეში **ჩხარიმდუღს** ეძახიან (საადამიო), ხოლო ღელეზე გამართულ ნისქვილს – **ჩხარამ ნისქვილს** (სანულისკირიო). ამავე სახელს ატარებს წყარო და ბუჩქნარი ეკისქურის მარჯვენა მხარეს, ლეკოკაიეში. სოფ. სახარბედიოში, მდ. ციის მარცხენა მხარეს მდებარე სახნავს ჩხარნა ჰქვია. რესპონდენტის განმარტებით, „ბევრგან ამოჩუხჩუხებს წყალი და ამიტომაც ჩხარნა“ (ცხადაია, VII, 2013: 392).

ჩხარ- და **ჩხერ-** ფუძიანი ტოპონიმები დამონმებულია ქვემო იმერეთშიც:

ჩხარა – მდინარე (ზედა ალისუბანი, თერჯოლა, მაჩიტაური, რუფოთი, სკანდე, ჩხარი...);

ჩხარაკვეთი – სახნავი რიონში; ჩაი ზარათში;

ჩხარაყანები – ვენახი, სახნავი ზედა ალისუბანში;

ჩხარი – მდინარე ზარნაძეებში;

ჩხარისბოსელა, ჩხარიენერი, ჩხარიოქონა – უბნები ჩხარში;

ჩხარყანა – ვენახი, სახნავი ზარნაძეებში (საქ. ტოპ., III, 2003: 352).

ჩხარ- კომპონენტი გამოიყოფა სვანეთის რამდენიმე მიკროტოპონიმშიც:

ჩხალვარ – ყანა ლესემაში;

ჩხარა ლავდილა ლეცარ – წყარო ჟახუნდერში;

ჩხარა ცხვიმარ – საძოვარი ყვედრეშში.

ჩხარ სვანურში აღნიშნავს მეჩხერს. კ. დონდუა: „ჩხარ მეჩხერი (не сплошной, не частый); ჩხარლუმდიქ = მეჩხერკბილებიანი с редкими зубами“ (დონდუა, 2001: 351).

მ. ჩუხუა: **ჩხარ**-ი არის მეგრ. „მეჩხერი“, რომელიც ქართ. **ჩხერ**-ის კანონ-ზომიერი შესატყვისია (მე-ჩხერ-ი). შდრ. აგრეთვე ჩხერ-//ჩხერ-ი ქართულ ტოპონიმებში“.

§5.54. ცორკა

ასე ეწოდება ზღვისპირა საძოვარსა და ყურეს გალისა და ოჩამჩირის რაიონების საზღვარზე და ნაგვალაოუს შორის საზიარო ტერიტორიაა (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 201). აქვე მინდორს **ცორკამ ნაზავოდ** ეწოდება, სადაც უნინ სახერხი ქარხნის (რუს. „Завод“) არსებობას მიუთითებენ. ჭაობს სოფ. მეორე გუდავაში, ცორკასთან, **ოხაიონა//ცორკამ ოხაიონა**, ხოლო ხიდს ცორკაზე **ცორკამ ხინჯი** ეწოდება (იქვე: 136, 201).

ტოპონიმ „ცორკას“ ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას წიგნში არაფერია ნათქვამი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამურზაყანოულ მეგრულში სიტყვა **ცორიკა** გამოიყენება ჩქერალის, მდინარის ჭორომებიანი ადგილის აღმნიშვნელად. რამდენადაც ცორკად იწოდება ოხურეი-წყარის//ანარიწყარის გარკვეული მონაკვეთი, გამორიცხული არაა სახელწოდების დაკავშირება სწორედ მდინარის ჭორომებიანი ადგილის აღმნიშვნელ, ზემოთ დამონმებულ სიტყვასთან. ხალხური განმარტებითაც, ცორკა ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით სიარულს და წყლის ჩხრიალით, რაკრაკით დინებას ნიშნავს. ამასთანავე, შესაძლებელია ტოპონიმი ცორკა „პატარას, მცირეს“ მნიშვნელობის შემცველი სიტყვიდან იყოს წარმომდგარი. ეს სიტყვაა **ცორო**. პატარა კალათას, ქოთანსაც ამ მხარეში **ცორობეს** ეძახიან (ქობალია, 2010: 685).

§5.55. ცუმური

ცუმური სოხუმის რაიონის ახალშენის თემში შემავალი სოფელია. მდებარეობს გუმისთის მარჯვენა ნაპირზე, ზ. დ. 250 მ-ზე, და სოხუმს 35 კმ-ით არის დაშორებული (ქსე, XI, 1987: 244). ტყით დაფარულ ადგილს ამავე სოფელში

აგრეთვე ცუმური ჰქვია. კ. ბერულავას თქმით, უნინ აქ სვანებს უცხოვრიათ, ხოლო უკანასკნელ ხანებში – აფხაზებს. ცუმურის თემს ფეოდალი მარშანიები ფლობდნენ. ვაკესა და ხრამს შორის მოქცეულ ერთ შეღმართზე დგას გალავნით შემოზღუდული, მრგვალი ეკლესია. XVII-XVIII საუკუნეებში, როცა ამ მხარის მოსახლეობა გამაჰმადიანდა, სამღვდლოებას ეკლესიის კარ-სარკმლები ამოუშენებია. კ. ბერულავა ვარაუდობს, რომ ცუმურის ეკლესია თავისი ფორმითა და კონსტრუქციით შესაძლებელია კეისარ იუსტინიანეს დროს (VI) იყოს აშენებული (ბერულავა, 1951: 51-53).

ვალერიან ზუხბაიას ვარაუდით, ახალშენის საკრებულოში შემავალი სოფელ **ცუმურის** სახელწოდება სვანურია: **ცხუმურ** → **ცუმური** (ზუხბაია, 2000: 60). გ. გასვიანის აზრით ასეთია: აფხაზეთში **ცხუმ**- ფორმიანი გეოგრაფიული სახელეზის გავრცელებაზე ცხუმის მახლობლად ტოპონიმ „ცუმურის“ არსებობაც მიუთითებს (გასვიანი, 2011: 189).

ცუმური სიტყვას სამურზაყანოს მეგრულში ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ნაყოფიერი, მოსავლის ცვენის ადგილი; 2. პოხიერი, ტენიანი ნიადაგი (ქობალია, 2010: 685). სიტყვის ორივე მნიშვნელობა შეიძლებოდა ტოპონიმის ამოსავალი ყოფილიყო. მაშასადამე, **ცუმუ+ურ-ი** → **ცუმურ-ი**, ისევე, როგორც **ლუმუ+ურ-ი** → **ლუმურ-ი** → **ლუმურ-იშ-ი**.

§5.56. ცხომი//ცხუმი//სოხუმი

უძველესი ქალაქის სახელწოდების წარმომავლობით გასული საუკუნის 50-იან წლებში დაინტერესდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი პ. ინგოროყვა. ამჟამად არსებული ფორმა ქალაქის სახელწოდებისა – **სოხუმი//სუხუმი**, პ. ინგოროყვას აზრით, მომდინარეობს ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში VIII ს-იდან (ჯუანშერის მატთან) დადასტურებული პირველადი ფორმიდან: ცხომი//ცხუმი. მეცნიერი სახელწოდებაში გამოყოფდა ომ-ი ბოლოკიდურ ფორმანტს, ადარებდა მას ასეთივე დაბოლოების მქონე ქართულ გეოგრაფიულ სახელებს (წრომი, ბორჯომი, ბათომი, დილომი, თორთომი...) და ფიქრობდა, რომ ცხომი//ცხუმი თავისი გრამატიკული გაფორმებით ქართული წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. პ. ინგოროყვა დამატებით იმონებს მსგავს გეოგრაფიულ სახელწოდებებს: ცხუმარი//ცხმარი – თემი სვანეთში, ცხმორი – სოფელი რაჭაში, ცხმორისი – სოფელი აჭარაში, ცხომარეთი – სოფელი იმერეთში, საჩხერის რაიონში, საცხომარო – ხობის ერთ-ერთი უბანი, ცხუმარისგა – სოფელი გალის რაიონის ლეკუხონის თემში. ასევე ვარაუდობს, რომ ცხომი//

ცხუმი უნდა უკავშირდებოდეს მხარის სახელწოდებას – **ჩხუმს** (ინგოროყვა, 1954: 147).

ასეთია ქართველი მეცნიერის მსჯელობა ცხომის//ცხუმის მნიშვნელობის შესახებ; თუმცა თვით ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე პ. ინგოროყვას საკუთარი მოსაზრება არ გამოუთქვამს.

ქ. ლომთათიძის დაკვირვებით, ტოპონიმ „ცხუმის“ ქართულობას ადასტურებს მასში **ცხ** კომპლექსის არსებობა, რომელიც აფხაზურს არ ახასიათებს (ლომთათიძე, „მნათობი“, 12, 1956).

ცხუმის შესახებ მარი ბროსე წერს: „ეს ლამაზი ქალაქი, ძველი სებასტოპოლისია, მისი მეგრული სახელწოდებაა **აყუ**, ლევან დადიანის ერთი სიგელის მიხედვით – **ტყაკუჯი**“ (ბროსე, 2011: 110). ი. ვორონოვის განმარტებით, **სუყუმ** თურქულად იგივეა, რაც „წყალი-ქვიშა“; ი. კლაპროთის მსჯელობა ასეთია: So-houm („ნასუქი საქონლის მოკვლა“) ერთ-ერთი ანატოლიურ დიალექტზე ნიშნავს: „ტუერ დეს ბესტიაუხ ენგრანისეს“; მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ქალაქის ნამდვილი ქართული სახელწოდებაა სოხუმის ციხე (ციტირება იხ. ბ. გოგიას წიგნიდან, 2003). „სუხუმის“ თურქული წარმომავლობის ტოპონიმად მიჩნევას მხარს უჭერდა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი დიმიტრი გულია. თურქებს ამ ქალაქისათვის სუგუმი (და არა სუხუმი) უნდა ეწოდებინათ, რომელიც მდ. გუმისთას სახელის მიხედვით „გუმის წყალს“ უნდა ნიშნავდეს, – ფიქრობდა დ. გულია და თავისი მოსაზრების „გამყარებას“ იმ ფაქტით ცდილობდა, რომ გუმისთა ჯიქთა მიერ იწოდებოდა, როგორც „გუმ-ფსი“ (Гулия, I, 1925: 148).

აფხაზი ისტორიკოსები – ვ. ფაჩულია, ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა მხარს უჭერენ ტოპონიმ „სოხუმის“ ძალიან საეჭვო ეტიმოლოგიას, რომ, თითქოს, ეს სახელწოდება შედგება სამი კომპონენტისაგან: „თურქებს თავისებურად ესმოდათ ეს სახელწოდება, როგორც „სუ“ – წყალი, „ხუმი“ – ქვიშა, „კალა“ – ციხესიმაგრე, ქალაქი“ (Мачавариани, 1913: 224; Бгажба, Лакоба, 2006: 175; Шамба, 2005: 94).

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ სუხუმი ქართველური ცხუმის თურქიზებულ ფორმას წარმოადგენს, ვინაიდან თურქულს არა აქვს **ც** აფრიკატი; ამასთანავე, ვინაიდან სიტყვის დასაწყისში ორი თანხმოვნის თავმოყრას თურქული ენა ვერ ჰგუობს, ამიტომ „ცხუმი“ ფორმის ნაცვლად თურქულში მკვიდრდება სახენაცვალი ფორმა სუხუმუ და სუხუმი. სწორედ ამ ვარიანტებით გვხვდება სახელწოდება „ცხუმი“ თურქულ და არაბულ წყაროებში (გვანცე-ლაძე, „არტანუჯი“, 10, 2000: 88; ჯანაშია, III, 1959: 117).

ფიქრობენ, რომ ცხუმი შესაძლებელია თურქულად წარმოითქვას, როგორც „სუხუმი“, ასევე როგორც – „სოხუმი“. იმის გათვალისწინებით, რომ 1923 წლამდე

თურქული დამწერლობა კონსონანტური ტიპისაა და, ძირითადად, თანხმოვანი ასო-ნიშნების შემცველ არაბულ ანბანს ეფუძნებოდა, ისტორიკოსი კ. კვა-შილავა (პროფ. გ. ანჩაბადის მიერ განეული კონსულტაციის საფუძველზე) ფიქრობს, რომ „ცხუმის“ თურქულ-არაბული დამწერლობით გადმოსაცემად გამოიყენებოდა, აგრეთვე არაბული ასო-ნიშანი..., რომელსაც რამდენიმენაირი წაკითხვა გააჩნია...“ (კვაშილავა, 2011: 144). მკვლევარი საილუსტრაციოდ მოიხმობს XVIII-XIX საუკუნეების ზოგიერთ წყაროში დადასტურებულ ფორმებს – „Сокум-Кала“, „Согум-кала“ (იქვე: 144, და იქვე მითითებული ლიტრა: I (А-Ж), 1788: 3; Новейшая... I, 1823: 294).

მკვლევართა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურებული სახელწოდება ცხუმის//ცხომის ამოსავალი უნდა იყოს სვანური **ცხუმ//ცხვიმ//ცხვმ**, რომელიც რცხილას, ცხემლას ნიშნავს. ცხუმში რცხილნარია, ცხუმრა – რცხილის ხე (დონდუა, 2011: 359). პირველად მ. ქალდანმა გამოთქვა ეს მოსაზრება, რომელიც შემდეგ გაიზიარეს გ. მელიქიშვილმა, თ. მიბჩუანმა, გ. გასვიანმა, თ. გვანცელაძემ, ვ. ზუხბაიამ, გ. რუხაიამ, კ. ოკუჯავამ და სხვებმა (მიბჩუანი, 1989: 264-265; მისივე, „ლ. ს.“, №38, 2000; გასვიანი, 1991: 206; გვანცელაძე, 1998: 52; ზუხბაია, უ. „ოქროს სანძისი“, №3, 1990; რუხაია, „ახ. კ.“, 10. X, 1989; ოკუჯავა, 2002: 86).

აკად. გ. მელიქიშვილის დაკვირვებით, კუთხის სახელწოდება „ლენჩუმი“ და ჰენიოხური ქალაქის ძველქართული სახელწოდება „ცხუმი“ სვანური წარმოშობის უნდა იყოს (მელიქიშვილი, 1965: 50-68; მისივე, I: 341). მკვლევარი მოიხმობს საილუსტრაციო მასალას: ცხუმარი, ცხუმელური, ცხუმ ზაგარ//ცხვიმ ზაგარ („რცხილნარი ქედი“), ცხმორი, ცხომარეთი, ცხემარისგა. გ. გასვიანის დაკვირვებით, ცხუმისა და ცხუმარის დაკავშირებას მცენარე რცხილის სვანურ სახელთან, მხარს უჭერს მსგავსი სახელწოდებების ფართოდ გავრცელება სვანეთსა და სვანთა ნამყოფ ადგილებში. მკვლევარი სახელწოდება „ლენჩუმის“ ლეცხუმიდან წარმომავლობასაც ნაკლებ საეჭვოდ მიიჩნევს და დაასკვნის: „აფხაზეთის ქალაქ ცხუმის სახელწოდების შემოქმედი თავის დროზე სვანურენოვანი მოსახლეობა იყო... ის ცხუმ-რცხილიდან წარმოდგება და პრეისტორიული, ფუძე ქართული ტოპონიმია“ (გასვიანი, 1991: 206).

თუკი ტოპონიმ „ცხუმის“ სვანური წარმომავლობის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ჩვენის მხრივ დავამატებდით ფონეტიკური და შინაარსობრივი მსგავსების თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად ნიშანდობლივ მიკროტოპონიმებს: **ცხვიმ** – 1. სათიბ-საბალახოები ეცერის თემის სოფლებში – უღვალსა და ისკარში; 2. სახნავი სოფ. გულიდაში (ლენტეხის რ.); **ცხვიმალდ** – სოფელი ლენტეხის რაიონში; **ცხვიმანი** – ტყე სვიფსა და

ლეზგარაში (ცხუმარის თემი); **ცხვიმი ლალკან შუკვ** – გზა სოფ. გულიდაში (ლენტეხის რ.); **ცხვიმიშ სარაგ** – წყარო სვიფში (ცხუმარის თემი); **ცხვიმიყ** – სათიბი ლახუშდში (ლატალის თემი); **ცხვიმელდაშიშ ცხეკ//ცხვიმელდშია ცხეკ** – ტყე თავარში (ნაკის თემი); **ცხომარ** – ტყე-ფერდობი ფარში (მესტიის რ.); **ცხუმანი** – ეკლესიის შემოგარენი და სათიბ-საძოვარი ჟიბე ლევშერში (ჩოლურის თემი); **ცხუმარ** – სათიბი ლამხერში (ფარის თემი); **ცხუმაშ** – ყანა ძულარეში (ხელედის თემი); **ცხუმელილალე ლაჯოგ** – მთა ყვედრეში; **ცხუმერი** – სახნავი ზემო მამში (ჩოლურის თემი); **ცხუმირ-ზაგარ** – რცხილნარი ნესგუნში (ლენჯერის თემი); **ცხუმრა ლარალ** – საძოვარი მაცხვარიში (ლატალის თემი); **ცხემარე ქვან** – ფლატე კალაში (ეცერის თემი)... შდრ. **ცხომი//ცხომის (მ)თავარანგელოზი** – ნასაყდრევი, სალოცავი ვარნის მარცხენა მხარეს, სოფ. ჭალაში (რაჭა). აქვე უკანჭალიდან სერზე გადამავალ გზას **ცხომის გადასავალი** ჰქვია, ხოლო წყაროს – **ცხომის წყარო**. ცხომის თავზე, ვარნის მარჯვენა მხარეს აღმართული მთა **ცხომინვერად** იწოდება (იხ. ცხადაია, ჯოჯუა, II, 2005: 250-251).

ი. გამსახურდიას აზრით, რცხილა ბარშიც ხარობს და მთაშიც. შესაძლოა დღევანდელი სოხუმის ტერიტორიაზე არსებულ რცხილნარს ხელი შეეწყოს ტოპონიმ „ცხუმის“ წარმოქმნისათვის. რცხილას მეგრულად ცხიმური ეწოდება, ხოლო ამ მცენარის გავრცელების ადგილს – ცხიმურონი „რცხილნარი“. სიტყვა-ხმარებაში ი ბგერა შესაძლებელია ამოვარდნილიყო და მიგველო ცხიმურონი, იგივე ცხუმი (გამსახურდია, „ახ. კ.“, 2 ნომბერი, 1989: 5).

„ცხუმისა“ და „სოხუმის“ ეტიმოლოგიის გარშემო სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებები (კ. ჰანი, მ. ქალდანი, გ. მელიქიშვილი, ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. გასვიანი, თ. მიზრუანი, შ. ინალ-იფა...) მიმოიხილა ს. ბახია-ოქრუაშვილმა და ა. ჭკადუას ნაშრომზე მითითებით შემდეგი დასკვნა გამოიტანა: **„ცხომ//ცხუმში** სემანტიკური, ეტიმოლოგიური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სახელდების პრინციპები საერთო-ქართველურია. მოტივაციის საფუძველია ამ ადგილებში „რცხილის“ არსებობა. მაგ.: ქართული **ცხემლოვანი, ცხინვალი, ცხმორისი**, მეგრ. **ცხემურონი, ცხიმურონი, ცხემურეში**, ჭან. **ცხემურეფუნა**, სვან. **ცხუმელირ, ცხუმალდ, ცხმაარ, ლეცხუმერ**. სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ საფუძველს როგორც ახალი, ისე ძველი ფორმებისათვის წარმოადგენს ძველქართული გეობოტანიკური ტერმინი ქრცხემლ- ან ქრცხილ-. ტოპონიმიკურ დონეზე საერთო-სვანურისათვის ამოსავალი იქნება ცხუმ-“ (ბახია-ოქრუაშვილი, 2010: 220-221, და იქვე მითითებული ლიტ-რა: ჭკადუა, „ონომასტიკა“, I, 1987: 199, 201).

ა. დიაჩკოვ-ტარასოვი ტოპონიმ **ცხუმს** უკავშირებდა „ცხელი“ სიტყვის მეგრულ შესატყვისს – **ჩხე** (დიაჩკოვ-ტარასოვი, 2003: 65). პროფ. ზ. პაპასქირის ვარაუდითაც, ცხუმი შესაძლებელია უკავშირდებოდეს ხის ჯიშების მეგრულ სახელებს – **თხუმუს** ან **ცხიმურს** (პაპასქირი, 2004: 27).

ვ. ზუხბაიას მონოგრაფიაში ტოპონიმ „ცხომის“ შესახებ თავმოყრილ მოსაზრებებს (ზუხბაია, 1997: 78-85) კ. ბარბაქაძე არადამაჯერებლად მიიჩნევს. თუმცა თვითონაც მეტისმეტად ბუნდოვან და არადამაჯერებელ განმარტებას გვთავაზობს. ავტორი წერს, რომ იგი ენის ელემენტური თეორიის გამოყენებით შეეცადა საკვლევ ტოპონიმის წარმომავლობის დადგენას. სახელი ცხომი, კ. ბარბაქაძის მსჯელობით, ფონემური შემადგენლობით მატრიარქალური კატეგორიის სიტყვათა ოჯახს მიეკუთვნება, რომელთა ზოგადი მანარმოებელი ძირი **ჭუარუა** კომპლექსია. ამ ფაქტისა და ჰ – ხ გადაბგერების გათვალისწინებით სახელ ცხომი-საგან კ. ბარბაქაძე აღადგენს „ცხომარიას“, ამ უკანასკნელს კი გაიაზრებს, როგორც „მარიას გამომცხვარს (შექმნილს)“. სიტყვისაგან – ცხომარია მეტათეზისით მიიღება სახელი მაცხოარი (იესო ქრისტე). მაშასადამე, ტოპონიმი **ცხომი** „იესო ქრისტეს სახელობის ქალაქს“ ნიშნავს. ეს მოსაზრება თითქოს ეხმიანება სოხუმის ძველბერძნულ სახელს – **ანაკოფია**, რაც მითოლოგიური ზევსის შვილებს უკავშირდება, და აფხაზურ სახელს – **აყუას** „ვაჟიშვილს“. ეს აყუა, ავტორის მოსაზრებით, ადიღური სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს. სახელ ცხომი-საგან კ. ბარბაქაძე აღადგენს **ცოხომი** ფორმას, რომელიც ც=თ-ს შესატყვისობის გათვალისწინებით წარმოქმნის **თსოხუამი** ფორმას, მეტათეზისით – **სოხუმითა** ფორმას, ხოლო ამ უკანასკნელისაგან მრავლობითობის ფორმის კუთვნილებითი **-თა** სუფიქსის მოკვეციტით თითქოს უნდა მიგველო ტოპონიმი **სოხუმი**. „თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ტოპონიმები ცხუმი და აფხაზეთი აფხაზეთში ქრისტიანული საწმენოების დამკვიდრების პერიოდში (VI-VIII საუკუნეებში) არის წარმოქმნილი, მაშინ მათი იესო ქრისტე-სთან დაკავშირება საკმაოდ მყარ არგუმენტაციას წარმოადგენს“ – დაასკვნის კ. ბარბაქაძე (ბარბაქაძე, 2010: 64-65). ასეთი ეტიმოლოგიური „მსჯელობა“ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და მიგვაჩნია, რომ 1996 წელს კ. ბარბაქაძის გამოკვლევების შედეგებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი საგანგებო კომისიის მიერ ავტორის ფანტაზიის ნაყოფად მისი შეფასება სავსებით სამართლიანია (იქვე: 5). აქვე ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ერთ გარემოებას: ცხომარია „მარიას გამომცხვარს (შექმნილს)“ კი არ ნიშნავს, არამედ „ცხომელს“. ცხომარია გვარია და ნიშნავს სოხუმელს, ისევე როგორც ცხომელი/ცხომელიძე (ჭუმბურიძე, 1987: 314-315; ცხადაია, 2000: 157). შდრ.: გვარები – ოდიშარია, ხუნწარია, ხვითარია, ნებლარია, ჭიხვარია, ქანთარია... ასევე საეჭვო ეტიმოლოგიას გვთავაზობს

აფხაზი ენათმეცნიერი ვალერი კვარჭია. მკვლევარი იმონმებს და აანალიზებს ცხუმის//სოხუმის შესახებ არსებულ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებს, კარტოგრაფიულ მონაცემებს და საკუთარ თვალსაზრისს ასე აყალიბებს: «Основой же топонима является -цх, который вряд ли отделим от абхазского названия реки Келасур – **Зыхәа** «Белая река» (от **азы** «вода» и **хәа** «белый» (см. выше «Зыгәтә»). Например, известно, что Бат-оми (Батуми) происходит от более древнего Бәтә, точно так же от названия Зыхәа грузинские источники производят названия реки и города Цхуми или Цхоми. Вспомним слова Вахушти: «За рекой Кодори на западе река Цхоми, которая происходит от местности Цхоми». Название реки Зыхәа сохраняется и в абхазском названии села Тхәыбын//Тхәыбын, трансформированное, на наш взгляд из Зыхәҭны, означающее «место у р. Зыхәа» или «пред Зыхуский» (см. Бзыҭ) – полное название села **Зыхәыҭны ақытә** «Перед (рекой) Зыхуа село». Что же касается средневекового Цхом, Цхум, то оно может быть из **Зыхәгум** «Зыхуский гум», где **Зыхәа** – название совр. р. Келасур и **Гум** – название центральной части Абхазии: Зыхәҭым усеченно **Зыхәым** → **Зхум** → **Цхом** // **Цхум** // **Сухум**» (Кварчия, 2006: 246-247).

პროფ. გიორგი ფიფიას მოსაზრებით, ტოპონიმ „ცხუმის“ ამოსავალი რცხილის ერთ-ერთი სახეობის ზანური სახელწოდება, რომელიც იწერება ერთი თანხმოვნითა და ირაციონალური ხმოვნით. ესაა ცჷ, რომელმაც სხვა ზანურ-მეგრულ სიტყვასთან („ხუმ“) შეთანხმებით მოგვცა ტოპონიმი ცჷხუმ, ანუ „მშრალი რცხილა“. მკვლევარი იმონმებს აფხაზეთში ჩანერილ, ხმელი ხის სახელწოდებისაგან წარმოქმნილ ტოპონიმს. ესაა გალის რაიონის სოფ. ხუმუშქურის სახელწოდება, რომელმაც „ვაშლის ხმელ ხეს“ ნიშნავს (ფიფია, „სახალხო განათლება“, №10, 1990: 13). ტოპონიმთა ამ რიგს შეიძლება დაემატოს ყუმურხუმლა „გამხმარი ტყემალი“ – ფერდობი სოფ. რეჩხში; ჭყონხუმლა „გამხმარი მუხა“ – სოფელი ჭუბურხინჯის თემში. ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიციურობა ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმთა სიძველის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს (ცხადაია, 2004: 110).

ტოპონიმ „ცხუმის“ პროფ. გიორგი ფიფიასეული განმარტება დაზუსტებას საჭიროებს. თუკი ჩავთვლით, რომ „ცხუმის“ ერთ-ერთი კომპონენტია **ხუმ**-სიტყვა, მაშინ იგი უნდა ითარგმნოს არა როგორც მშრალი, არამედ – ხმელი. ამასთანავე, კავკასიური რცხილის მეგრული შესატყვისისა ცხემური//ცხიმური, ხოლო **ცუ** იგივეა, რაც თელა და თელადუმა (მაყაშვილი, 1991: 152). შდრ. ***ხომ** „გამხმარი“; ლაზ. **ხომ**-ულ-ა//**ხომბ**-ულ-ა – მეგრ. **ხომ**-ულ-ა//**ხომ**-გლა „გამხმარი“; შდრ. ძვ. ქართ. ჳმელ-ი, გან-ჳმ-ელ-ი (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, I, 2015: 890).

ამდენად, ცხუმი//ცხომი უნდა გავიაზროთ, როგორც „ხმელი თელა“ (ცხომის//ცხუმის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 122-126; მისივე, XXXIII, 2013: 25-26). ჩვენ არ ვცდილობთ დღემდე არსებული ეტიმოლოგიური ინტერპრეტაციების კატეგორიულ უარყოფას, მაგრამ, ჩვენი აზრით, შესაძლებელია სრულიად განსხვავებული მოსაზრების განვითარებაც. კერძოდ, საფიქრებელია, რომ **ცხუმინყარი** ერქვა მდინარის მონაკვეთს ან მორევს მდინარეზე, სადაც თევზის სახეობა **ცხუმი** მრავლად ბუდობდა. საზღვრული ჰიდროტერმინის ჩამოცილების შემდეგ დარჩა მსაზღვრელი კომპონენტი ცხუმის სახით. ასეთი მოვლენა უცხო არაა ტოპონიმიკაში. მსგავსი წარმოების ჰიდრონიმ „მაზანდარაზე“ მსჯელობისას პ. ცხადაია შენიშნავს: „ამგვარი ელიფსისათვის ხელი უნდა შეეწყოს ობიექტის გამოცვლასაც – ჰიდრონიმის გადაქცევას ოიკონიმად – უკვე არსებული ან შემდგომ დაარსებული სოფლის სახელად“ (ცხადაია, I, 1999: 44; ცხუმის შესახებ მსჯელობისათვის იხ. Кварчия, 1985: 18-23).

§5.57. წარჩე

წარჩე ისტორიული სოფელია სამურზაყანოში, მდ. წარჩენყარის შუაწელზე, ზ. დ. 100 მ-ზე. გალს დაშორებულია 17 კმ-ით. წარჩე თემის ცენტრია და ოთხ სოფელს – წარჩეს, ნახინგუს, ფუნყურსა და ფშაურს აერთიანებს. ამიერკავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მონაცემებით სოფელი ამ სახელწოდებით მუხურის თემში შედიოდა, სადაც სახლობდა 70 კომლი (304 სული). 1928 წლიდან არსებობს წარჩეს სასოფლო საბჭო შვიდი სოფლით: წარჩე, მუხური, ნახინგუ, საქანჩიო (ალბათ: საკენჯიო), სარაგვო, ფუნყური და ფშაური. „აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ 1953 წლის ცნობარის მიხედვით, წარჩის სასოფლო საბჭო (სოფლები: წარჩე, ნახინგუ, ფუნყური, ფშაური) გალის რაიონშია (დაყოფა, 1953: 12).

სოფელში მდგარი საეკლესიო კომპლექსი „მაფამ ოხვამე“ (დედოფლის ეკლესია) XIII-XIV საუკუნეების ძეგლია და მასში შედის ორი ეკლესია, გალავანი და კარიბჭის ნაშთი. ერთ-ერთ ეკლესიაში გვხვდება XV ს-ის. ფრესკული მხატვრობა და ლაპიდარული წარწერა. ეკლესიების განახლება უკავშირდება ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) სახელს. ამჟამად შემორჩენილი ეკლესიის ნანგრევები ადგილობრივ მოსახლეობაში **ნოჯიხის** („ნაციხარი“) სახელწოდებით არის ცნობილი, რომელიც გვანჭკის სერზეა. ქსე-ში აღნიშნულია, რომ წარჩეს უწინდელი სახელწოდებაა **ტარსურა**, **ტარშენი** (ქსე, II, 300).

პ. ცხადაიას საინტერესო გადმოცემა ჩაუნერია: „აქაა დაკრძალული მეფის შვილი, რომელიც გამზრდელს – ანჩაიას არ დაუტირია. ამიტომ დედოფალს დაუწყევლია ანჩაიები: არც განყდეთ და არც აშენდეთ; შემოსული კაცი კი გამრავლდესო“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 121). არის გამოთქმა – **მაფაშ ქყელი წარჩე** – „მეფისგან დანყველილი წარჩე“ (ცხადაია, ოძ, I, თბ., 2017: 134).

ოიკონიმ „წარჩის“ წარმომავლობის საკითხს არაერთ ნაშრომში შეეხო ენათმეცნიერი პ. ცხადაია. მკვლევარი შენიშნავს, რომ **წარჩე/წარჩენყარი** მდ. ოხოჯის მარცხენა შენაკადია გალის რაიონის სოფ. ფუნყურში, ხოლო თვით ოხოჯე ცოტა ქვემოთ მარჯვნიდან შეერთვის ოქუმს. სოფელს წარჩენყარის შუანელზე წარჩე ეწოდება, ხოლო ზემონელზე – ჩხორთოლი. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, ოქუმის მარცხენა მდგენლის თავზე გაკეთებული წარწერა Tarsce, მკვლევრის აზრით, სწორედ წარჩეს უნდა გულისხმობდეს. ლამბერტი „სამეგრელოს აღწერაში“ ასევე გვაუწყებს: „ხეთის იქით არის ოქუმი, რომელიც ჩაუდის ტარშენს (Tarchen)“. თუკი ამ ტარშენშიც წარჩეს ვიგულისხმებთ, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე იქნება: სოფელი დღესაც წარჩის შუა-ნელზეა, ხოლო ჩხორთოლი – მის სათავესთან (იხ. ცხადაია, „არტანუჯი“, №10, 2000: 79; მისივე, 2004, 49).

მასასადამე, სოფლის სახელწოდება მომდინარეობს ჰიდრონიმიდან (შდრ.: ლალიძგა (მდ.) → ლალიძგა (სოფ.), ნაჩხურა (მდ.) → ნაჩხური (სოფ.), აბაშა (მდ.) → აბაშა (სოფ.), კვარჩხილალი (მდ.) → კვარჩხილალი (სოფ.), ოქუმწყარი (მდ.) → ოქუმი (სოფ.).

„წარჩის“ ეტიმოლოგიის პირველი და მართებული ცდა მოცემული აქვს პროფ. იოსებ ყიფშიძეს. მისი განმარტებით, „Царче – село в Самурзакано; букв. белая вода“.

წარჩე ჰიდრონიმიული მოდელი, პ. ცხადაიას მართებული შეფასებით, სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით საერთო-ქართველურია, წარჩეც მეგრული სიტყვაა და „წყალთეთრს“ ნიშნავს. მკვლევარი იმონმებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დადასტურებულ ჰიდრონიმებს: წყალთეთრა, წყალშავა, წყალნითელა, და წარჩესაც ჰიდრონიმთა ამ რიგში განიხილავს (ცხადაია, 2004: 50). 1992-1993 წწ. ომის შემდეგ სოფელს **წარჩა** ეწოდა (ცხადაია, ხორავა, 2016: 159).

„წარჩის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობს ისტორიკოსი კ. ოკუჯავაც. მისი აზრით, თეატინელი მისიონერების რუკებზე, ბედიის მახლობლად დაფიქსირებული სოფელი წარჩე მდებარეობს მდ. ჩხორთოლის ნაპირას. სოფლის თავდაპირველი სახელწოდება იყო წყარჩე, ე. ი. თეთრი წყარო (წყარ – წყალი, ჩე – თეთრი) (ოკუჯავა, სძ, 3, თბ., 2000: 16). აქ ორი გარემოებაა დასა-

ზუსტებელი: 1. წარჩე მდებარეობს წარჩენყარის (და არა მდ. ჩხორთოლის) ნაპირზე. თვით მდ. წარჩეს//წარჩენყარის მდგენლებია ალრა, ყვარათბა და ათუაძარა. მდინარე გაედინება წარჩესა და აჩიგვარის თემის სოფ. ფუნყურში და მცირე მონაკვეთზე წარმოადგენს ოქუმისა და ჩხორთოლის საზღვარს. შდრ. ვ. კვარჭიას ისტორიულ-ეტიმოლოგიური მიმოხილვა: «**Царча//Царче** – село и река в Галском районе. Наименование территории и реки фиксируется на картах с начала XIX века, как **Царче** (К – 20), **Сарча** (К – 21), **р. Зарч** (К -22), **Царча** (К-26). **Царча, Царче** может быть трансформировано из мегр. **Цкар-че** (**Цкарче**) «белая река». Вместе с тем, отмеченная форма названия реки Зарч близко к абхазскому а-зарч – «деревянная плетеная установка в реке для ловли рыб». Не исключено также, что исходным может быть и форма Сарча, например, Н. Мурзакевич называет в Крыму мыс **Сарыча** (Николай Мурзакевич. Поездка в Крым в 1836 году. – Жур. Министерства народного просвещения. СПб. 1837. №3. С. 657). Встречается также и форма **Сарча** как топоним в разных регионах (Мурзаев Э. М. Словарь народных географических терминов, с. 498). Однако, в основе абхазского **Царча**, Сарча может быть антропоним **Сарча, Серча** (Коков Дж. Н. Из адыгской (черкесской) ономастики, с. 190)» (Кварчия, 2006: 274-275).

ფიქრობენ, რომ **წყალ** → **წა/ლ/** პროცესისათვის ისტორიულად უწინარესია **წალ-** ფორმა. მეგრულში ამის ანალოგად გამოდგება საკუთარი და საზოგადო სახელები: **წაჩხური** „წყალცივი“, **წამელო//წყამელო** (← წყარმელე „წყალგალმა“), **წაკურთხია** ← წყალკურთხევა (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, 50), **ონწარე** (ო-წ-წარ-ე) – „ჭაობი, წყლიანი ადგილი“ (მისივე, „არტანუჯი“, №10, 2000: 79), **წახარება** (← წყალხარება) – კოვზას მარცხენა შენაკადი სოფ. გულუხეთის საზღვართან, სოფ. სამიქაოში (ცხადაია, I, 1999: 29). ამ მაგალითებს ჩვენის მხრივ დავუმატებდით შემდეგ ტოპონიმებს: **რაბინა//რაფინა** – სოფელი გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, მდ. აძიდუს ნაპირას (მსჯელობისათვის იხ. კეკელია, „ფილოლოგიური პარალელები“, №7, თბ., 2015: 72-73, 77-79), **წარიბაჩხური, ბადოლი ონაში წარი** „ბადოლის ყანის წყალი“ – ღელე სოფ. თოლიქჩეთში; **კუკარონი წარი** – წყარო კუკარონში (თოლიქჩეთი), **მთუი წარი** – ღელე დობირაში (თოლიქჩეთი), **ონჩხურე წარი** – წყარო ონჩხურეში (თოლიქჩეთი); **ქუნაწარი** – ღელე (თოლიქჩეთი); **წარი გოლაონერი** – „წყალი გაყვანილი“ – წყარო მუნელა ავლაში (თოლიქჩეთი); **წარიკალა** – უბანი და ყანები მდ. ფურტონას მარცხენა ნაპირზე (თოლიქჩეთი); **ხაპლანარი** – წყარო (თოლიქჩეთი) (იხ. ჩაღათაი-ალექსიძე, ქ. ო., IV, თბ., 2010: 90-99).

სახელწოდება „ნარჩე“ ფიგურირებს ტოპონიმებში: **ნარჩეაფსთა** – ხეობა და საძოვრები სამურზაყანოს მთაში, ნარჩის სათავესთან (მხარეთმცოდნე ნოდარ შონიას აზრით, ნარჩეაფსთა ღელეა ჩხორთოლში; იხ. შონია, „ლენინელი“, №17, 8 თებერვალი, 1990: 4); **ნარჩემ გინაჯინუ** – „ნარჩის გადასახედი“ – დავაკება ოლიფონისა და გედემ ღალის სათავეებს შუა, ნახინგუში. სერიდან კარგად ჩანს სოფ. ნარჩე; **ნარჩემ კინტირალ//უჩალალ** – ნარჩენყარის ტოტი (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 206); **ნარჩემ ზენი** – ქალა სოფ. ნარჩემი (შონია, №17, 1990: 4); **ნარჩახრა** – საძოვარი ლაშქინდარში. „ნარჩემ შუშელს ჯოხო“ (ტყვარჩელის სატყეო) (მსჯელობისათვის იხ. კეკელია, ეძ, XV, 2018: 23-26).

§5.58. ნებელდა/*ნაბალი

ნებელდა/*ნაბალი ეწოდება სოფელს გულრიფშის რაიონში, ნებელდის ქვაბულში, სოხუმის სამხედრო გზაზე. ნებელდა თემის ცენტრია და აერთიანებს სოფლებს: საკუთრივ ნებელდას, აბლუხვარას, აგიშს, აზანთას, არასარას, აჭანდარას, გერგემიშს, ზემო წყაროს, კირნათს, მარანს, მეტელეკვას, მზისეულს, მრამბას, ოქტომბერს, ქვემო აფიანჩას, ქვემო წყაროს და ნიფლოვანს. სოფელი ზ. დ. 450 მ-ზეა და გულრიფშს დაშორებულია 23 კმ-ით (ქსე, XI, 1987: 302). აქვე, ზ. დ. 460 მ სიმაღლეზეა ნებელდის//ნაბალის კარსტული მღვიმე (ტინტილოზოვი, ქსე, XI, 1987: 302). აფხაზეთის მთისწინეთში, ამტყელ-ჯამპალისა და მაჭარის ხეობებს შორის მდებარე პლატო-ქვაბულიც გეოგრაფიულ მეცნიერებაში ნებელდის ტაფობის სახელითაა ცნობილი. სოფლის მიდამოებში, 400-500 მ სიმაღლეზე მდებარე ქვაბულის ფსკერს გარს არტყია 1000-1200 მ სიმაღლის მთები, რომლის კალთებიც ფოთლოვანი ტყითაა შემოსილი. თვით ქვაბულს ნათეს-ნარგავებისთვის იყენებენ. ნებელდის ტაფობში მდებარეობს გერგემიშის მშრალი ხეობა და მრავალი მღვიმე (მარუაშვილი, ქსე, XI, 1987: 302).

სოფლის სახელწოდების ადგილობრივი აფხაზური ვარიანტია **ნაბალ**. მენანდრე პროტიქტორის ცნობით, მისიმიანთა ტერიტორია აღმოსავლეთიდან სვანების საცხოვრისით ისაზღვრება, ჩრდილოეთიდან – კავკასიის ქედითა და ალანებით, სამხრეთიდან – ლაზიკით (ეგრისი), დასავლეთიდან – აბაზგებით (ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, 1936: 236-237). ამ და სხვა ცნობებზე დაყრდნობით პ. ინგოროყვა ნებელდიდან ქლუხორის ტერიტორიამდე მისიმიან ტომთა განსახლებას მიუთითებდა (ინგოროყვა, 1954: 127). დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ ეგრისის სამეფოს ფარგლებში შემავალი მისიმიელთა მიწა-წყალი, ანუ მისიმიანეთი აფშილეთს ნებელდა-ამტყელის ზონაში, ე. ი. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა (მუსხელიშვილი, I, 1977: 120). დაახლოებით ასე აქვს

განსაზღვრული მისიმიანთა განსახლება პროფ. ზურაბ ანჩაბაძესაც, რომლის მიხედვით ისინი დალის ხეობასა (კოდორის ზემონელი) და ნებელდის ნაწილში სახლობდნენ (Анчабадзе, 1976: 44; მსჯელობისათვის იხ. გასვიანი, 1991: 201-202). VI-VII საუკუნეების წერილობით წყაროებში მოხსენიებული ნიბილეს ციხესიმაგრე, რომელიც დღევანდელი ნებელდის ტერიტორიაზე ან მის შემოგარენშია საძიებელი, აფშილეთის ციხესიმაგრეა, და, „როგორც ჩანს, აფშილთა მთავარ ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა“ (მუსხელიშვილი, I, 1977: 118). VI ს-ის II ნახევრის ავტორის – აგათია სქოლასტიკოსის ცნობიდან ირკვევა, რომ ნებელდის, ანუ „ეგრეთ წოდებული ტიბელეოსის ციხე“, „მისიმიელთა და აფსილიელთა ქვეყნების საზღვარზეა და მათ ყოფს“ (ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, 1936: 160). მაშასადამე, დაასკვნის დ. მუსხელიშვილი, „ნებელდის ზონა, თუმცა კი აფშილეთში შედიოდა, მაგრამ მისიმიეთის თუ მისიმიანეთის საზღვართან ახლოს მდებარეობდა“ (მუსხელიშვილი, I, 1977: 118). VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი გვანვდის საინტერესო ცნობას აფსილეთის ლოკალიზაციისათვის და ასახელებს ნიბილეს ციხესაც: „აფსილები ძველთაგანვე ლაზთა ქვემეგრდომები არიან. ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებლები მას ნიბილეს უწოდებენ“ (ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, 1965: 162). ნიბილესა და თანამედროვე ნებელდის იგივეობას სახელთა მსგავსების გარდა ადასტურებს არქეოლოგიური კვლევის შედეგებიც. 1991 წელს გამოცემულ „ნარკვევებში“ გ. გასვიანი მისიმიანთა ეთნიკურ ვინაობაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ბიზანტიელი მწერლები ადგილობრივ გეოგრაფიულ თუ ადმინისტრაციულ პუნქტებს ან იშვიათად ასახელებდნენ, ან თავისებურად აღიქვამდნენ და ასხვაფერებდნენ. მათ მიერ დასახელებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს – ტიბელეოსსა და ძახარისს ზუსტი ადეკვატი დღეს არ მოეპოვება, თუმცა მკვლევარი ვარაუდობს, რომ ტიბელეოსს საერთო აქვს ხევის აღმნიშვნელ სვანურ სიტყვა ტვიბთან. ასახელებს საილუსტრაციო მასალასაც სვანეთის ტოპონიმიდან: ტვიბს, ტვიბეერს, ტვიბრასა და ტვიბარს (გასვიანი, 1991: 2014-205). მსჯელობას ასეთი დასკვნა ახლავს: „თუ ეს სწორია, მაშინ ტიბელეოსი ხევიში განლაგებულ ციხეს აღნიშნავს“ (იქვე: 205). მოგვიანებით მკვლევარმა გაიზიარა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-კულტურული დაბის – ნებელდის, ანუ წიფელთას სახელი წიფლნარიდან მომდინარეობს. ნებელდის ციხე მდებარეობს მდ. კოდორის შუანელზე. აქ ყოფილა აფხაზეთის თავადთა – მარშანიების რეზიდენცია. ისინი ნებელდის მიწა-წყლის მნიშვნელოვან ნაწილს ფლობდნენ. ნებელდის ტერიტორიაზე, სოფ. ლათაში მდებარე მარშანიების ციხესიმაგრე წარმოადგენდა მაკონტროლებელ პუნქტს მისიმიანეთისაკენ, ანუ

დალისაკენ, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთით, კავკასიის ქედზე გამავალი ე. წ. მისი-მიანთა გზა-ბილიკებისას (გასვიანი, 2011: 196-197).

ნებელდა და მისი შემოგარენი საინტერესო არქეოლოგიური თვალსაზრისით. გრაფინია უვაროვა ჯერ კიდევ 1888 წელს წერდა, რომ მაჭარის ხეობაში ადგილობრივ მცხოვრებთ სამარხები უპოვიათ კრემაციის ნიშნით. 1907 წელს ნიბილიუმის ციხე გაუთხრია არქეოლოგ მილერს. ბ. კუფტინმა შეისწავლა ამ რეგიონში ბოტანიკოს ი. ნ. ვორონოვის მიერ 1915 წელს შეგროვებული და კავკასიის მუზეუმისათვის გადაცემული ნივთიერი მასალა. 1945 წელს ნებელდაში (ოლგინსკოე-ახხაჩარახუ) რამდენიმე სამარხს მიაკვლია და გათხარა გეოლოგმა ი. გრძელიშვილმა. განათხარი მასალა კი აღმოჩენმა და ქ. ბერძენიშვილმა ნაწილობრივ გამოაქვეყნეს კიდევ. აფხაზეთის ტერიტორიასა და დანარჩენი დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლთა კომპლექსის აღსანიშნავად, აფხაზი არქეოლოგის – მ. თრაფშის მიერ, არქეოლოგიურ მეცნიერებაში შემოტანილ იქნა და დამკვიდრდა ტერმინი „ნებელდის კულტურა“. ასეთი ატრიბუციით მ. თრაფში შეეცადა, რომ ეს კულტურა დაეკავშირებინა „ძველფხაზური ტომებისათვის“ – აფსილებისა და აბაზგებისათვის (Трапш, III, 1971: 212).

1960-1963 წლებში ნებელდის მახლობლად, სოფელ მრამბაში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიცია. მ. თრაფშის სახელს უკავშირდება არქეოლოგიური ძეგლების – აბგიძრახუს, ალრახუს, ახაცარახუსა და სხვათა შესწავლა (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. აფხაზავა, 2010: 42-43). „ნებელდურ კულტურას“ საინტერესო ნაშრომები მიუძღვნეს ვ. ჯაფარიძემ და ნ. აფხაზავამ (ჯაფარიძე, 1979: 87, 88 და სხვ.; აფხაზავა, 1979: 12-15, 18-25, 29, 31 და სხვ.; მისივე, 2010: 42-70). მათ მიერ ნებელდური კულტურის ძირითადი არეალი შეიძლება გაფართოვდეს დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამგვარივე არქეოლოგიური მასალისა და აშკარად ამ კულტურასთან დასაკავშირებელი კომპლექსების (ძაბრისპირიანი კერამიკის, რკინის „ფრანცისკისებრი ცულების“, ჯვრისებრი მშვილდსაკინძების, მასრაგახსნილი, ალისებრი შუბისპირების...) სახით. მაშასადამე, ბიჭვინთაში, სოხუმის რაიონსა და ნებელდაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა სრულიად იდენტურია დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში აღმოჩენილ ამავე პერიოდის ნივთიერ მონაპოვართან და განსხვავდება ჩრდილოკავკასიური არქეოლოგიური მასალისაგან (აფხაზავა, 2010: 46-57; ლეთოდიანი, 2012: 8). ნ. აფხაზავას დასკვნით, „ერთი რამ უტყუარია, „ნებელდის კულტურა“ არაა მხოლოდ აფსილური არქეოლოგიური კულტურა: იგი ვრცელდება აბაზგების, აფსილების, ლაზთა და, რაც მთავარია, სვანთა

(მისიმიანთა) განსახლების რაიონებშიც; მისი ცალკეული და საკმაოდ მნიშვნელოვანი ელემენტები ვრცელდება თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე“ (აფხაზავა, 2010: 57).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სასაზღვრო ხაზის განმტკიცების მიზნით V-VI საუკუნეებში აფშილეთის მიწა-წყალზე, კოდორის ხეობაში მდებარე ნებელდაში აუგიათ „მეტად მტკიცე“ (პროკოპი კესარიელი) ციხესიმაგრე, რომელიც ბატონობდა ეგრისის სამეფოს მთისწინა ზოლზეც. ნებელდიდან ჩრდილოეთით მიმავალი გზა ქლუხორის უღელტეხილით მიემართებოდა ჩრდილოეთ კავკასიისკენ. მაშასადამე, ეს სტრატეგიული ობიექტი ადრეული შუა საუკუნეებიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში. ნებელდაში ციხის მშენებლობა უკავშირდება პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს – ლაზეთის სამეფოს არსებობის პერიოდს. პროკოფის ცნობით ნებელდის ციხეში ხომ ლაზთა გარნიზონს ედო ბინა; მაშასადამე, მისივე კონტროლს ექვემდებარებოდა. აფშილეთიც, სადაც ეს ციხე მდებარეობდა, ამ პერიოდში ლაზთა ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა (Меликишвили, 1959: 384).

ციხე აგებულია რთული რელიეფის მქონე კლდოვან ადგილზე და მის დაგეგმარებასაც რელიეფის მოხაზულობა განაპირობებს. გალავნის კედლის სიგრძე დასავლეთიდან 60 მ-ს აღწევს, ჩრდილოეთიდან – 350 მ-ს, აღმოსავლეთიდან – 50 მ-ს. სამხრეთიდან ციხე დაცულია 400 მ. სიმაღლის კლდით. შედარებით ადვილად მისადგომი დასავლეთი მხარე კედლების ორმაგი სისტემით და სამი მძლავრი კოშკით გაუმაგრებულია. ყველაზე მაღალი და დიდი კოშკის სიმაღლე 18 მ-ია. თვით ორმაგი კედლის – პროტეიხიზმის სიგრძე 70 მ-ს აღწევს და, როგორც ჩანს, მთავარი კარიბჭის სასიმაგრო საფარად აუგიათ. კედლის სისქე 2,6 მ-ია; სიმაღლე, სავარაუდოდ, 6-7 მ-მდე უნდა ყოფილიყო. პროტეიხიზმის უკან აგებული წვრილკვადროვანი წყობის მქონე კედლის სიმაღლე 10-12 სმ-ია, სისქე – 2,2-2,6 მ., რასაც საბრძოლო ბილიკი მიუყვებოდა. ციხის ციტადელში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ჰიპოკაუსტური სისტემის აბანო, სატაძრო კომპლექსი, მარანი, ორსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა, წყლის ორი რეზერვუარი და წყალსადენის მაგისტრალი; ასევე კერამიკული, მინისა და რკინის ნაწარმი, სამეურნეო და საომარი დანიშნულების იარაღები: შუბისპირები, ისრისპირები, ცულები, ჯავშნის ფირფიტები, სატევრები, მახვილები, კატაპულტისა და შურდულის ჭურვები... მთავარი კარიბჭის მახლობლად აღმოჩენილი შურდულის ჭურვების (დარჩეული რიყის ქვების) რაოდენობა 1300-ს აღწევს. ჭურვები გამოვლინდა აგრეთვე მეორე და მესამე კოშკში (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. Воронов, 1975: 32-34, 89-96; Воронов; Бгажба, 1987: 113-135; Бгажба, Гумба, Воронов, 1983: 3-67; ჭუმბურიძე, 2009: 128-131).

ბიზანტიური წერილობითი წყაროების ჩვენებით, 550 წელს ნებელდის ციხე ირანელთა ხელშია, მაგრამ ლაზებმა შეძლეს მისი დაბრუნება. 553 წლისათვის მასზე უკვე ბიზანტიელები ბატონობენ და დამარცხებული ირანელთა ლაშქარი მერმეროს სარდლობით იძულებულია უკან დაიხიოს. 556 წელს ეს ციხე წარმოადგენდა ბიზანტიელთა მთავარ ფორპოსტს მისიმიელთა წინააღმდეგ ლაშქრობისას (Воронов; Бгажна, 1987: 116; ჭუმბურიძე, 2009: 130). „ნებელდის ციხე, – წერს მ. ჭუმბურიძე, – ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემის მთისწინა ზოლის ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთის საყრდენი პუნქტია, რომელიც კეტავს მდ. კოდორის ხეობას და აკონტროლებს იქ გამავალ სავაჭრო-სატრანზიტო გზას. მაგრამ ამ მაგისტრალის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მისი უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფისათვის ნებელდის გარშემო შეიქმნა საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემა“ (ჭუმბურიძე, 2009: 130). ნებელდის ციხეები, – წერენ თ. ბერაძე და ვ. ლექვინაძე, – კონტროლს უწევდა სავაჭრო-სატრანზიტო გზას, რომლითაც რომისა და ბიზანტიის იმპერიები ეკონომიკურ-პოლიტიკურ კავშირს განახორციელებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან, ხოლო კასპიის ზღვის გვერდის ავლით – შუა აზიასთან (ბერაძე, ლექვინაძე, ქსე, XI, 1987: 302).

ცნობილია ნებელდის წმ. ეკატერინეს ჭედური ხატი, რომელიც შეისწავლა ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ გრაფინია პ. უვაროვამ. ხატის ქვედა ჩარჩოს კიდეზე ამოკვეთილ ორსტრიქონიან ქართულ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულია ხატის ქტიტორი მარიამი. ქართული ჭედურობის ეს შესანიშნავი ნიმუში ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება (თუმანიშვილი, 2007: 64).

ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრებაში“ მოხსენიებულია **ნებელა**: „მაშინ რა სცნა ხუტუნია ლეონ შარვაშიძის ძემ, ციხესა შინა მყოფმან, რომელ მოდგომა ციხისა ამის, შეშინებული გაიპარა ღამით და წარვიდა ნებელად“; „ხოლო ნებელს მყოფი ხუტუნია ლევანის ძე შარვაშიძე წარმოვიდა მალვით ნებელიდამ და უნდოდა, რათა მისულიყო და შევედრებოდა ზურაბ ქაიხოსროს ძეს წერეთელს, რათა ეპატივებია დადიანის რისხვისაგან“; „აგრეთვე ცოლისძმა ჩემი, სალარუფუ მარშანია, რომელსა უსმენდენ სრული ნებელნი და სხვანიცა“ (დადიანი, 1962: 204, 206, 209). ციტირებულ ტექსტს ახლავს გამომცემლის, შ. ბურჯანაძის კომენტარი, რომ „ნებელად“ ფორმის ნაცვლად უნდა იყოს „ნებელდად“ (იქვე: 244), რაც, ვფიქრობთ, რომ არასწორია. ნ. დადიანი სამჯერ ასახელებს **ნებელა** და **ნებელნი** ფორმას, რაც იმის მანიშნებელია, რომ მან ზუსტად იცოდა ამ დასახლებული პუნქტის სახელი.

ლევან V დადიანისადმი **წებელის** მფლობელ მისოსტ, სარალუფუ და ზერეფსუ მარშანიების მიერ 1815 წლის 29 ნოემბერს ბოძებულ ფიცის ნიგნში ვკითხულობთ: „ქ. ჩვენ, ქვემო ხელის მომწერელნი, წებელის თემის ბატონები, თავადი მარშანიები მოგართმევთ ამ წერილს თქვენს უგანათლებულესობას, მთავარს დადიანს ლეონს, ასე რომ, ჩვენ მამა-პაპით თქვენის მამა-პაპის თუმცა მორჩილები და ერთგულები ვიყავით, მაგრამ რომელმანმე შემთხვეულმა შფოთებმა დაშორებულ ვიქმენით ერთმანეთისაგან...“ (ხორავა, 2007: 219).

გვიან შუა საუკუნეებში წებელდა მიჩნეული იყო ყურსალთაგან გატაცებული ყმების სამშობლოდან სამუდამო გამოთხოვების ადგილად. ხალხში გავრცელებული წყევლაც – **წებელდას ქვდგოყოთუნი** – „წებელდაში დაგაგდოს“, სწორედ ამ ბედუკუღმართი წარსულის გამოძახილი უნდა იყოს.

ცნობილი გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი წერს, რომ სოხუმ-კალეს ციხე წებელდის რაიონშია (აიხვალდი, 2005: 212). მისივე ცნობით, 1831 წელს აფხაზეთი ოთხ მხარედ იყოფოდა, რომელთა შორის წებელდის საზოგადოება განსაკუთრებით თავისუფალი იყო და არ ცნობდა არავითარ მფლობელს. ქელემ ბეის მორჩილების ქვეშ ყოფნის მიუხედავად, ეს მხარე აფხაზეთის მბრძანებლისაგან სავსებით განზე დგას თავისი სიმდიდრისა და მიუვალი მთების ანაბარა და გაუთავებლივ ცდილობს სხვა საზოგადოებების გალიზიანებასა და ამხედრებას (იქვე). „წებელდელები არ ცნობენ არავითარ ბატონს და მხოლოდ თავად მარშანიას მდიდარ გვარს აქვს ერთგვარი გავლენა მათზე“ (იქვე: 219). წებელდის საზოგადოება, აიხვალდის ცნობით, მოიცავდა სოფლებს მდინარე კელასურზე, მიუვალ მთებში. იგი აერთიანებდა 30 სოფელს 2500 კომლით, დაახლოებით 15000 მოსახლით (იქვე: 222, 223).

ჟაკ ფრანსუა გამბა შენიშნავს, რომ სამეგრელოს მესამე პროვინცია გადაჭიმულია ჩრდილოეთით კოდორის კონცხამდე. საზღვრად უდევს ამავე სახელწოდების მდინარე, ძველი ავტორების კორაქსი, აღმოსავლეთით კი წიბელის (Tcibelli) საკმაოდ მაღალი მთები. ეს პროვინცია სამურზაყანოსა და აფხაზეთის სახელითაა ცნობილი და დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი არც ერთ ხელისუფლებას არ ემორჩილება, თავდაცვის ადგილს წარმოადგენს და გამოიყენება ბარიერად აფხაზებსა და მეგრელებს შორის (გამბა, 1987: 112).

XIX ს-ის 30-იანი წლების მასალებში დასახელებულია წებელდის სამხედრო ოლქის სოფლები: აქითარწუხვ, შხოცაა ჰაბლა/შვხუაცაა ჰაბლა, ამტყელი, აუშთა, ფშაური, გერზაული, უნთფირ, ნაუშ, ნაა, ბემ-იკვარა, ბარანბა/მრამბა, შვაკვარან, აბგარა, ჯამფალ, პიფტა (ფიშვთა?), აზანთა, აბგალახვარა/აბლუხვარა, ყადა, აბგიძირა, ჯიხაშკარ. საკუთრივ სოფ. წებელდა აერთიანებდა სოფლე-

ბს: მრამბას, აზანთას (ამტყელის ტბის ნაპირზე) და ჯიხაშკარს (ხორავა, 2004: 105-106). ტოპონიმი **აზანთა** უნინ ამ ტერიტორიაზე მეგრულ-ჭანების განსახლების მანიშნებელია (ზანი მეგრელის აღმნიშვნელია), ხოლო **ჯიხაშკარი** აშკარად მეგრული წარმომავლობისაა და „ციხისკარს“ ნიშნავს. **ნაბალ** და **ნიბილა** ფორმები გვხვდება ისმაილ აბულფედის რუკაზე (1331 წ.), ხოლო XIX საუკუნეში ფიქსირდება **ნებელი** ფორმით (K – 14).

სახელწოდება „ნებელის“ წარმომავლობის საკითხს ვრცლად შეეხო პ. ინგოროყვა, რომელიც წერს: ადრეული შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში (პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი) დაცული ცნობების თანახმად, აბსილეთის მხარის ერთ-ერთი ციხე **ნიბელის** სახელწოდებით იყო ცნობილი, რომელიც თანამედროვე **ნებელდა** კოდორის ხეობაში. ამ პუნქტის სახელის, ორი ძირითადი ფორმა არსებულა – **ნიბელი** და ***ნიბელთა**, ხოლო ამ უკანასკნელიდან უნდა მიგველო სახენაცვალის ფორმა **ნებელდა**. პ. ინგოროყვა ამ სახელწოდებას უკავშირებს მცენარის ჯიშს – ნიფელს და იმავე ტიპის სახელწოდებად მიიჩნევს, როგორცაა ბიჭვინთა და ბზიფი. აღსანიშნავია, რომ ნიბელთის კუთხეში გავრცელებულია სწორედ ნიფელი, ისევე, როგორც ბიჭვინთაში ფიჭვი და ბზიბში ბზა. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს თვით ტოპონიმ „ნიბელის“ ფონეტიკურ სახეობაზე და შენიშნავს: როგორც ირკვევა, ნიფელის პირველადი სახეობაა **ნიბელი**. ამრიგად, აფხაზეთის ადგილობრივ ქართულ ენაში პ. ინგოროყვა დასაშვებად მიიჩნევს სიტყვების არქაული სახეობების – **ბიჭვის/ფიჭვისა (ბ და ფ-ს მონაცვლეობით)** და **ნიბელის** გავრცელებას, საიდანაც წარმომდგარა გეოგრაფიული სახელწოდებანი – **ბიჭვინთა** და **ნიბელი/ნიბელთა**. მკვლევარი თვლის, რომ აფხაზეთის მესხების სალაპარაკო ენა ადრინდელ პერიოდში უნდა ყოფილიყო საკუთრივ ქართული და არა მეგრულ-ჭანური. ამას, მისი აზრით, ადასტურებს გეოგრაფიულ სახელწოდებათა უმთავრესად საკუთრივ დედა-ქართულთან დაკავშირება. კერძოდ, სიტყვა **ნიფელის/ნიბელის** შესატყვისი მეგრულ-ლაზურში არის **ნიფური**, და გეოგრაფიულ სახელებშიც ამ სახითვეა წარმოდგენილი. საილუსტრაციოდ ასახელებს გალის რაიონის სოფ. დიდი ნიფურის სახელწოდებას (ინგოროყვა, 1954: 155). სვანურ ენაშიც ნიფლის შესატყვისია **ნიფ. ნიფრა** ნიფლის ხეა, **ლენფე** ნიფლნარი (დონდუა, 2001: 367). ჭანურში ნიფლისა და აღმოსავლური ნიფლის შესატყვისია **ნიფრა** და **ნიფურ’ი** (მყაშვილი, 1991: 145; კალანდია, 2007: 85). პ. ინგოროყვას თვალსაზრისი ტოპონიმ „ნებელის“ ნიფელიდან მომდინარეობის შესახებ მოგვიანებით გაიზიარეს ვ. ზუხბაიამ და ბ. ხორავამ (ზუხბაია, 2000: 64-65; ხორავა, 2004: 106).

პ. ინგოროყვას შეხედულება აფხაზეთის მესხების სალაპარაკო ენად ადრინდელ პერიოდში საკუთრივ ქართულის მიჩნევის შესახებ, ჩვენი აზრით, დამა-

ჯერებლობას მოკლებულია, რამდენადაც აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიულ სახელწოდებებზე მის ნიგნში წარმოდგენილი ტოპონიმების უმეტესი ნაწილი ჩვენ მიერ ახსნილია არა საკუთრივ ქართულ, არამედ სწორედ მეგრულ ენაზე. ამასთანავე, საკვლევი ტოპონიმის თავდაპირველი ფორმის ძიების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი“ (XVI-XVII სს.), რომელშიც დასახელებული არიან: მმულია ნებელარა, თელაბერი ნებელარია, გაჭირდია ნებლარია, გუგურში ნებლარია, ქაქალია ნებლარია, განირლ ნებლარია, დასკუდა ნებლარია და ზანგელარი ნებლარია (კაკაბაძე, 1914: 29, 37). „დავთარში“ წარმოდგენილი გვარის სამივე ფორმა – **ნებელარა, ნებლარია** და **ნებლარია** სადაურობა-წარმომავლობის -არ სუფიქსით ნიშნავს ნებელელს/ნებელდელს, და ისეთივე წარმოებისაა, როგორისაც ცხომარია (← ცხომელი), ლატარია (← ლათელი, ან ლატალელი), ოდიშარია (← ოდიშელი), ხუნნარია (← ხუნწელი), ხვითარია (← ხვითელი), ხომტარია (← ხომტელი), ჭიხვარია (← ჭიხუელი)... მაშასადამე, გვარი ნებლარია/ნებელარია აღადგენს ტოპონიმს – **ნებელა/ი**. ა. ჭანტურიას ნიგნში – „მეგრული სახელები და გვარები“, დასახელებულია გვარები: **ნებელარა, ნებლარია** და **ნებელია** (ჭანტურია, 2006: 122).

სახელწოდება „ნებელდის“ წარმომავლობაზე მსჯელობისას საგულისხმოდ გვეჩვენება აგრეთვე ტოპონიმ „ცებელდის“ არსებობა მარტვილის მუნიციპალიტეტში. ასე ეწოდება ადგილს სანეემის მთისწვერზე, წაჩხურუს მარჯვენა ნაპირას, სალხინოს სატყეოში (იხ. ცხადაია, VI, 2012: 642).

მკვლევარ გ. წულაიას მოსაზრებით, **ციბელიუმი/ნებელდა** სვანური წარმომავლობის გეოგრაფიული სახელწოდებაა (Цулаиа, 1995: 22). ტოპონიმ ნებელდის სვანურად გააზრების შემთხვევაში საინტერესოა დაკვირვება სვანეთში ჩანერილ შემდეგ ტოპონიმებზე: **ნებლემ** – ტყე და სათიბი უშგულის თემის სოფ. მურყმელში; **ნეფელ** – 1. ტყე ქართვანში (ბეჩოს თემი); 2. საძოვარი იფხში (ლატალის თემი). **ნეფლი ჯგჯრაგ** – საყდარი იფხში...

აფხაზი ენათმეცნიერი ვალერი კვარჭია ტოპონიმ ნაბალში გამოყოფს -ბალ ელემენტს და განიხილავს ისეთი ტოპონიმების რიგში, როგორიცაა: ჯამფალ/ჯამპალ, კ'ზრკ'ფალ//კ'ზრკ'პალ, ტყარცალ, აჯალ, ჩხართალ, ჯალ, ფსკალ, ჩაცკალ... რამდენადაც ტოპონიმი ნაბალ VI ს-ის წყაროში **ციბილ** ფორმით იხსენიება, ვ. კვარჭია ფიქრობს, რომ ბალ//ფალ ელემენტზე უფრო ძველი ფორმა უნდა იყოს ბილ//ფილ ვარიანტი, რომელიც ახლოს დგას ვინრობის, შესასვლელის, ნაპრალის აღმნიშვნელ ძველბერძნულ სიტყვასთან – **პილ**. შდრ.: ციბილ, თერმოპილ. ბალ//ფალ ელემენტზე დამთავრებული გეოგრაფიული სახელები ძირითადად გავრცელებულია ერთ დროს ძველ ბერძენთა კონტროლქვეშ არსე-

ბული, კავკასიონის გადაღმა მიმავალი გზის ვინრობების სახელებად (კვარჭია, 2002: 64).

ვ. კვარჭიას ნიგნში მოცემული ტოპონიმების თვითნებური ფსევდონალიზის საფუძვლიან კრიტიკას სპეციალური სტატია მიუძღვნა ენათმეცნიერმა თ. გვანცელაძემ. ტოპონიმ „ნებელთან“ დაკავშირებით მისი მსჯელობა შემდეგი სახისაა: „სახელი **ნაბალ** ქართულ საისტორიო წყაროებში XX საუკუნემდე იხსენიება **ნებელი** ფორმით. აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკისა და ნასესხებ სიტყვათა ფონემატური ადაპტაციის წესები გვანჯდის სრულიად უტყუარ ცნობას სესხების მიმართულების შესახებ: აფხაზურ ენაში ნასესხებ სიტყვებში **ე** ხმოვანი **ნ, ბ, ლ** თანხმოვანთა მეზობლობაში უგამონაკლისოდ გარდაიქმნება **ა** ხმოვანად (შდრ.: ქართ. სანებელი – აფხაზ. ა-საბძალ, ქართ. წესი – აფხაზ. ა-ნას...), ხოლო აფხაზურიდან ქართველურ სამეტყველო მიკროსისტემებში სიტყვის შემოსვლისას აფხაზურის **ა** ხმოვანი მუდამ უცვლელი რჩება (შდრ. აფხაზ. ა-ბარნა „ნინკარი“ – მეგრ. აბარნა...). გარდა ამისა, ამ სახელში ბერძნული ჩანანერის საფუძველზე ვერ გამოიყოფა ბერძნული **პილ** ფუძე, სანამ არ დადგინდება **ციბილიუმ** ფორმაში თავკიდური **ცი** ელემენტის რაობა: მორფოლოგიური ანალიზის ელემენტარული წესი მოითხოვს ფორმის ეტიმოლოგიებისას დადგინდეს სიტყვის შემადგენელი ყველა ნაწილის რაობა, ვ. კვარჭიამ კი ვერ გაარკვია, რას წარმოადგენს ეს ცი სემენტი. შესაბამისად, გამოირიცხება მცდარი ანალიზის გზით გამოყოფილი გაურკვეველი **ბილ//ფილ** სემენტის არქაულობაც. ჩვენი აზრით, ამჟამინდელი ნებელდის ძველი ქართული ნებელი სახელწოდება წინარექართველური დონის გეოგრაფიული სახელია და უკავშირდება ნაბლის არქაულ სახელს ***ნაბალ**, რომელშიც ორივე პირველადი **ა** ხმოვანი დროთა განმავლობაში სიტყვის ამოსავალი სემანტიკის დაჩრდილვის ნიადაგზე შეიცვალა **ე** ხმოვნით. აფხაზური **ნაბალ** სახელი კი სწორედ მეორეული ქართველური **ნებელი** ვარიანტისაგან მომდინარეობს და ფონემატური ტრანსფორმაციის შედეგად დაემთხვა წინარექართველურ ფორმას“ (გვანცელაძე, VI, 2013: 131-132). ამჟამინდელი ქართული ვარიანტი ტოპონიმისა – **ნებელდა** და რუსული **Ценельда** XIX საუკუნეში ცარისტული რუსეთის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის შედეგად შექმნილი ხელოვნური ფორმებია და მიღებულია **ნებელისა** და **დალის** სახელთა შერწყმით: **ნებელ-დალ** კომპოზიტისაგან კი წარმოიქმნა **ნებელდა**. ეს სრულიად ახალი სახეობაც გვიდასტურებს ქართული ნებელი ფორმის რეალურ არსებობას თითქმის XIX საუკუნემდე (მსჯელობისათვის იხ. გვანცელაძე, 2011: 182).

აფხაზი ენათმეცნიერი ვ. ჩირიქბა საანალიზო ტოპონიმის ამოსავალ ფორმად აფხაზურ **ნაბალ** ვარიანტს მიიჩნევდა და დასძენდა, რომ მისგან მომდი-

ნარეობდა ბერძნული ფორმები. ამ თვალსაზრისს იზიარებდა ვ. კვარჭიაც (მსჯელობისათვის იხ. გვანცელაძე, 2011: 182, და იქვე მითითებული ლიტერატურა). თ. გვანცელაძე ამ მსჯელობას არასწორად მიიჩნევს და შენიშნავს, რომ აფხაზი კოლეგები ვერანაირ ახსნას ვერ გვთავაზობენ იმისას, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა აფხაზურ ენაზე და რა სტრუქტურა აქვს მას (გვანცელაძე, 2011: 182). მ. ქურდიანის მსჯელობით, ***ნაბალ** „ნაბლი“; **ს./ქართვ.: *ნ/აბ-ალ-ი**; ქართ. **ნაბ-ლ-ი**; ზან. **ჭუბ-ურ-ი//ჭუბ-რ-ი**; სვან. **ჰებ<*ჭაბ<*ჭაბ-ი** „ბალი“; ბასკ. **შაფარ/sapar** „კვრინჩხი“ (ტრანსკრ.: *sapar*) „ეკლიანი (ქაცვიანი) მცენარე“; ბასკ. **ჩაფარ-დო/txapar-do** (ტრანსკრ.: *cafar-do*) „ნაბლი“ (ქურდიანი, 2007: 692).

ზემოთ დამონშებული და განხილული მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ტოპონიმ ნებელ(დ)ის წარმომავლობასთან დაკავშირებით სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სამი თვალსაზრისი იკვეთება; კერძოდ:

1. **ნიბელი/ნიბელთა** წარმომდგარია მცენარის ჯიშის – ნიფელის სახელწოდებისაგან (ისევე, როგორც ბიჭვინთა ფიჭვისაგან) (პ. ინგოროყვა, ვ. ზუხბაია, ბ. ხორავა, გ. გასვიანი);

2. ტოპონიმ **ნაბალში** გამოიყოფა **-ბალ//ფალ** ელემენტი, ან მასზე უფრო ძველი ფორმა **-ბილ//ფილ** ვარიანტის სახით, რომელიც თავისი მნიშვნელობით უახლოვდება ვინრობის, შესასვლელის, ნაპრალის აღმნიშვნელ ძველბერძნულ სიტყვას – **პილ** (ვ. კვარჭია);

3. ციბილიუმი/ნებელდა სვანური წარმომავლობის ტოპონიმია (გ. წულაია);
 4. ამჟამინდელი ნებელდის ძველი ქართული ვარიანტი, წინარექართველური დონის გეოგრაფიული სახელი **ნებელ-ი** დაკავშირებულია ნაბლის არქაულ სახელთან – ***ნაბალ** (თ. გვანცელაძე). აქვე დავსძენთ, რომ წინარექართველური დონის გეოგრაფიულ სახელწოდებად „ნებელი“ ტოპონიმის გააზრებაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მეგრულში ნაბლის შესატყვისად „ჭუბური“ სიტყვის ხმარება.

ჩვენ მიერ ზემოთ დამონშებულ „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში“ (XVI-XVII სს.) წარმოდგენილი გვარის ფორმები – **ნებელარა, ნებელარია** და **ნებლარია** სადაურობა-წარმომავლობის **-არ** სუფიქსით, როგორც აღვნიშნავდით, აღადგენს ტოპონიმს – **ნებელა/ნებელი**. ამ უკანასკნელში შესაძლებელია გამოიყოს **ნებ-** ფუძე და **-ელა/-ელი** სუფიქსი. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ დასადგენი რჩება მხოლოდ **ნებ-** ფუძის შინაარსი. -ელა ჰიდროფორმანტი ფუნქციით ქართული **-ურა** სუფიქსის შესატყვისია. პ. ცხადაიას დაკვირვებით, ადგილის აღმნიშვნელ საზოგადო თუ საკუთარ სახელზე -ელა სუფიქსის დართვით ინარმოება ამ ადგილას (ან ამ ადგილიდან) გამავალი მდინარის სახელი – **ჰიდრონიმი** (ცხადაია, 1985: 174-175; მისივე, I, 2004: 22).

-ელა ჰიდროფორმანტის გამოყოფის შემთხვევაში **ნებელა/ნებელი** ჰიდრონიმად უნდა მივიჩნიოთ. შდრ. მსგავსი წარმოების ჰიდრონიმები: გარამელა – ქანისწყლის მარცხენა შენაკადი და მისი ხეობა კურორტ სქურში; კაბარჭელა//კაპარჭელა – მდინარე და ხეობა ლესალეში; კვრზალა//კვრძალა – მდინარე და ხეობა ჩხორონწყუს სატყეოში; ლაგვრძმელა – ღელე ვახაში; ლუგელა – მინერალური წყალი და ხეობა ჩხორონწყუს ხეობაში; ნოლელა – მდინარე მარტვილისა და აბაშის რაიონებში; ქვარჩელა – ღელე ნახურცილავოში; ღარჩელა – ნაკადული გაჭედლის სატყეოში; ჭყონიშელა – ღელე ნაჩხურში (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ცხადაია, 1985: 174-175). თუმცა, ჩვენი აზრით, ადვილად შესაძლებელია, რომ ნებელა/ნებელი ერთფუძიან ტოპონიმადაც იქნეს გააზრებული, რომელიც, სავარაუდოდ, მეგრული წარმომავლობისა უნდა იყოს. **ნებ** ფიგურირებს მეგრულ სიტყვებში: **ნებენა, ნებარი** – „ცინგლი, წვინტლი, სურდო“ (ქაჯაია, III, 2002: 407), **ცებენა** – „ღორის მუცელზე ართმეული ქონი, ნაფერდალი“, **ნებრი** – „ქარიყლაპია; არაღრმა, ჩქარი წყლის ბინადარი“ (ქობალია, 2010: 682, 695); გვაქვს აგრეთვე სიტყვა **ნანბელი** „სანბელის, წვენის“ აღსანიშნავად (ელიავა, 1997: 364); მაგრამ აქ დამონშებული სიტყვების არც ერთი მნიშვნელობა არ გამოდგება საკვლევი ტოპონიმის შინაარსის გასარკვევად და საჭიროა ამ მიმართულებით ეტიმოლოგიური ძიების გაგრძელება.

მხოლოდ ერთ საკითხთან დაკავშირებით დამატებით შევნიშნავთ: გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნიბილეს (ამჟამინდელი ნებელდის) ციხეს ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აფსილეთის ტერიტორიაზე ასახელებს, ხოლო აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ეს ციხე „მისიმიელთა და აფსილელთა საზღვარზეა და მათ ყოფს“, ამასთანავე, აგათია თვლის, რომ აფსილეები/აფშილეები ლაზთა ქვეშევრდომები იყვნენ. ნერილობითი მასალების მიხედვით დ. მუსხელიშვილი აფშილეს ერთ-ერთ დასავლურ-ქართულ ტომად მიიჩნევს, „რომელიც გვიან საუკუნეებში ნანილობრივ აბსოლუტურად შეერწყა მეგრელებს, ნანილობრივ კი გააფხაზდა (გააფსუვდა)“ (მუსხელიშვილი, „არტანუჯი“, 10, 2000: 22). ნოე აფხაზავა ნარატიულ წყაროთა მონაცემებისა და ენობრივი ფაქტების გაანალიზებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აფსილეები/აფშილეები მეგრულენოვანი ეთნოსია, რაზეც მიუთითებს თვით ეთნონიმის წარმოების ქართული ფორმა **აფს-ილ-ი/აფშ-ილ-ი**, რომლის ქართველურობაც საქართველოსა და ყოველივე ქართველურის მიმართ ყველაზე არაობიექტურად, მტრულადაც კი, განწყობილი მკვლევრების (ნ. ვორონოვი, ზ. ანჩაბაძე) მიერაც აღიარებულია. ამგვარად, დასძენს ნ. აფხაზავა, რომ ეთნონიმი აფსილი/აფშილი „უძველესი დროიდანვე ქართველურ ეთნოკულტურულ სამყაროსთან ჩანს დაკავშირებული“ (აფხაზავა, 2010: 41). აფშილთა მეგრულენოვან ეთნოსად მიჩნევას

მხარს უჭერს და მიუთითებს VII საუკუნის ბიზანტიურ წყაროში, კერძოდ, თეოდოსი განგრელის მიერ აფშილეთის ტერიტორიაზე ტოპონიმ „ზიხახორეოს“-ის, იმავე „ჯიხახორას“ დაფიქსირება (გეორგიკა, IV, 1941: 50), რომელიც მეგრულად „ციხე-სახლს“ ნიშნავს (Меликишвили, 1959: 99; მუსხელიშვილი, „არტანუჯი“, 10, 2000: 22). ჩვენი კვლევის შედეგებით ქართველურია, კერძოდ, მეგრულენოვანია აფსილეთისა და მის მეზობლად მდებარე მისიმიანეთის ძველ წყაროებში მოხსენიებულ ტოპონიმთა უდიდესი ნაწილიც. აქვე დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: კოდორი, მოქვი, ნაა, გუდა(ვა), ჩხარი/ჩახარი/ძახარი, დალი, დარენი, მოქვი, ცხომი/ცხუმი. ტოპონიმთა ამ რიგს შეიძლება დაემატოს შედარებით გვიან გაჩენილი გეოგრაფიული სახელწოდებანი: აზანთა, ჯიხაშკარი, ჯალი, ჯამპალი, ფსკალი, ფშაური და სხვ.

საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება: 1938 წელს ნებელდის ტაძრის ნანგრევებში მიაკვლიეს XIII ს-ის ქართულ ასომთავრულ წარწერას, რომლის ფოტო და ტექსტი გამოქვეყნებული აქვს ხ. ბლაჟბას. ავტორი დაქარაგმებული სიტყვების გახსნით ტექსტის ამგვარ წაკითხვას გვთავაზობს: „ამის ჯუარისა მაშენებელსა ლუკას მარტინივას შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ (Бражна, 1967: 21-22).

თ. გვანცელაძე დასაშვებად მიიჩნევს, რომ წარწერაში ხსენებული მარტინავა წაკითხულ იქნეს, როგორც მარტინავა, „იმიტომ, რომ ნ ასოს პირდაპირ ებმის საკმაოდ ბუნდოვანი ნიშანი, რომელიც ა ასოს ნაწილი უნდა იყოს... ვა დაბოლოებიანი კოლხური გვარებისათვის დამახასიათებელია ამ დაბოლოების წინ ა ხმოვნის არსებობა. აფხაზური იფა „მისი ვაჟი, მისი ძე“ დაბოლოების დაშვება აქ გამოსარიცხია, ვინაიდან ნებელდის მიდამოებში აფხაზთა ყოფნა XIII საუკუნეში მოსალოდნელი არ არის. ამრიგად, ტექსტის ავტორი ეროვნებით ქართველი (მეგრელი) ლუკა მარტინავა უნდა იყოს“ (გვანცელაძე, „ქ. მ.“, III, 1999: 57).

მაშასადამე, ნებელდის წარწერაში მეგრული გვარის – მარტინავას ხსენებაც შესაძლებელია ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად გამოდგეს ტოპონიმ „ნებელას//ნებელის“ შინაარსის მეგრულენოვან სამყაროში საძიებლად, რამდენადაც ეს ფაქტი მიუთითებს წარწერის შექმნის დროისათვის ნებელდისა და მისი შემოგარენის მეგრულად მოლაპარაკე მოსახლეობაზე.

§5.59. წკელკარი

ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიაზე, გალის რაიონის სოფ. ხოლემი, მდ. ერისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე მალლობს, რომელიც განაცუდუმდე გრძელდება, **წკელკარს** ეძახიან. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლით, კერძოდ, X საუკუნით დათარიღე-

ბული დარბაზული ტიპის ეკლესიით. მკვლევართა ყურადღება მიიპყრო ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილმა კედლის მხატვრობის საინტერესო ნიმუშებმა და ქვის ფილებზე ამოკვეთილმა წარწერებმა. ნუსხური წარწერები თ. ბარნაველის მიერ XI, ხოლო მხედრული – XVII საუკუნით დათარიღდა. 1962 წელს ლ. შერვაშიძის მიერ აღმოჩენილ და თ. ბარნაველის მიერ წაკითხულ ერთ-ერთ წარწერაში ამ ადგილის სახელი დაფიქსირებულია „მწკელიკარის“ ფორმით: „+ წ(მიდა) ო გ(იორგი) მწკელ[იკარისაო], მეოხ ეყა[ვ წ(ინაშე)] ლ(მრ)თისა მონა[სა] შ[ენ]სა [თა]რკილ[ს დღესა მას განკითხვისსა]“.

აფხაზი მკვლევრის, კონსტანტინე შაყრილის აზრით, ეკლესიის სახელწოდების აფხაზური ვარიანტი **ანკარ** ნიშნავს „კუთხეს, მიჯნას, საზღვარს“, რომელიც თითქოს მართლაც შეეფერებოდა ამ ეკლესიის ადგილმდებარეობას. ეს მოსაზრება გაიზიარა ძეგლის შემსწავლელმა ლევან შერვაშიძემ, რომელიც ფიქრობდა, რომ წკელკარი აფხაზური ანკარის ენობრივი ტრანსფორმაციის შედეგად უნდა ყოფილიყო მიღებული. მაშასადამე, მისი აზრით, წკელკარი აფხაზური ანკარის მეგრული გაუღერების შედეგია [8, 39]. სამურზაყანოს ზოგიერთი ტოპონიმის (წკელკარი, ერწყარი, ფოქვეში, ჩხორთოლი...) თავისებური ინტერპრეტაციით აფხაზი მეცნიერები ცდილობდნენ სასურველის რეალობად წარმოსახვას. კერძოდ, ისინი აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრისპირა ნაწილში ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების დომინანტობას ქართული ლექსიკის შედარებით გვიან გავრცელებით ხსნიდნენ. ასე, მაგალითად, შ. ინალიფა ფიქრობდა, რომ აფხაზური გეოგრაფიული ნომენკლატურის ქართულით შეცვლა ბატონყმურ ექსპლუატაციასა და უმინობას გამოქცეულ მეგრულ გლეხთა სამხრეთ აფხაზეთში მასობრივ გადასახლებას უნდა გამოეწვია (Тхайцухов, 2006: 382).

აფხაზ მეცნიერთა ამ „დასაბუთების“ საფუძვლიანი კრიტიკა მოცემულია პ. ცხადაიას ნაშრომში. მისი აზრით, **წკელკარის** გრამატიკული, ლექსიკური და ეტიმოლოგიური (მოტივირების თვალსაზრისით) გააზრება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეს სახელწოდება მეგრულ ტოპონიმიკურ სისტემას მივაკუთვნოთ. მკვლევარი იმონმებს სამურზაყანოელთა განმარტებას იმის შესახებ, რომ **წკელის**, იმავე **მანცხვარწკელის** თუ მიქელ-გაბრიელის ხატი ესვენა ერისწყლის მარცხენა მხარეს, მაღლობზე მდგარი წყავის ხის ძირას. ხესთან სალოცავად მისული ავადმყოფები ღმერთს განკურნებას შესთხოვდნენ [6, 30]. აფხაზურ სიტყვა ანკარისისაგან მხოლოდ ორიოდ ბგერის იდენტიურობითა და ტრანსფორმაციის გზით მეგრული „წკელკარის“ მიღება ფონეტიკურადაც დაუსაბუთებელია. „ობიექტის სახელი რომ ანკარ ყოფილიყო, – წერს პ. ცხადაია, – იგი მეგრულში უცვლელად გადმოვიდოდა. მეგრულ წკელკარს კი აფხაზური მხოლოდ **ანკარ**

ფორმით შეითვისებდა საკუთარი ფონემატურ-ფონეტიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით. უცნობი სემანტიკის ტოპონიმის გადააზრება ტოპონიმიკაში ცნობილი პროცესია. ფრიად შესაძლებელია, წკელკარის **წკ** და **არ** კომპლექსებს აფხაზის შემეცნებაში წამოეტივტივებინა ნაცნობი სიტყვა ანკარ... მაგრამ აუხსნელი რჩება მეორე მხარე: რა (ან რის) საზღვარი გადიოდა ამ გორაზე? ამასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს დასაბუთება აკლია. მაგრამ მთავარი ისაა, რომ წკელკარი უხინჯოდ იხსნება მეგრულის მონაცემებით და სახელდების ტრადიციით, ისევე როგორც ალერტკარი, ბარბალეკარი, მანცხვარკარი და სხვ.“ (ცხადაია, 2004: 31).

პ. ცხადაია იმონმებს სამეგრელოში ოიკონიმა და მიკროოიკონიმა (მცირე დასახლებული პუნქტების სახელების) საწარმოებლად გამოყენებულ ერთ-ერთ ინდიკატორს – „კარს“, და შენიშნავს, რომ მეგრულის გავრცელების ზონაში კარ-კომპონენტანი ოიკონიმი (წალიკარი, გულეიკარი, ოხვამეკარი, ჯიხაშკარი, მანცხვარკარი, უფალკარი, თხინაშკარი, ალერტკარი, ბარბაეკარი, ქირსემკარი, ყულიშკარი) მცირე დასახლების, ხშირ შემთხვევაში ეკლესიის, ან წმინდანის (ხატის) სახელის აღმნიშვნელია (ცხადაია, 2004: 28-30). სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონში ტოპონიმ „წკელკარის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა შენიშნავენ, რომ სახელწოდება მიღებულია ხატის ან ადგილის სახელზე არსებითი სახელის – **კარის** დართვით. მათ ტოპონიმი წკელკარი გაიაზრეს, როგორც „წკელის სამყოფი ადგილის წინ ან ირგვლივ მდებარე ტერიტორია“ (ცხადაია, 2003: 208).

„წკელკარის“ ეტიმოლოგიით დაინტერესდა ვ. ზუხბაია, რომელიც ფიქრობდა, რომ შუა საუკუნეებში „წყევლის კარად“ წოდებული ეკლესიისთვის მოგვიანებით ხალხს თითქოს „წკნელის კარი“ (მეგრ. წკელიკარი) უწოდებია (ზუხბაია, 2000: 83). სახელწოდებას „წყევლის კარად“ გაიაზრებს გ. გასვიანიც (გასვიანი, 2011: 207). ეს მოსაზრება საფუძვლიანადაა უარყოფილი პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მიერ, ვინაიდან წერილობითი წყაროები და ზეპირი გადმოცემები არ ადასტურებს ამ ეკლესიის სახელწოდებად ვარიანტების – წკნელის კარისა და წყევლის კარის არსებობას. ამასთანავე, წკნელის შესატყვისს მეგრულის ლექსიკურ ფონდში **ჭინუ**, ხოლო წყევლისას – **ჭყალა** წარმოადგენს (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 208; ცხადაია, 2004: 31).

ჩვენ მიერ ჩანერილი გადმოცემის მიხედვით, ეკლესიის სახელწოდება უკავშირდება ოდესღაც ამ ადგილას სალოცავ ხედ მიჩნეული წყავის არსებობას. **წყელი, წყი(ი), წყოუ** მეგრულში აღნიშნავს წყავს. **წყეი-ფშქერიც** იგივეა, რაც წყავი. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია **წკელი** სიტყვის მნიშვნელობა სამურზაყანოს მეგრულში. ესაა „მეოხი; ხელის შემწყობი“. ა. ქობალიას „მეგრულ

ლექსიკონში“ **მანცხვარ-ნკნელი** უფლის ეპითეტადაა მიჩნეული და განმარტებულია, როგორც „მეოხ-მაცხოვარი“, ხოლო **ნკელ-მანცხვარი** – როგორც „მეოხი და მაცხოვრებელი“ (ქობალია, 2010: 389, 698).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნკელკარი ეკლესიის სახელია, სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება ხატის სახელწოდებად მისი გააზრება. მაშასადამე, **ნკელკარი**, ჩვენი აზრით, „მეოხისკარია“, სადაც **ნკელი** წმინდანის (ან წმინდანთა) ეპითეტია, ისევე, როგორც **ხანგარამი** „ლახვროსანი“, **ჯიგე, ჯიგე** – „წმინდა, წმინდანი“, და ზოგადად, შესაძლებელია, მიემართებოდა მაცხოვარს, ან წმიდა გიორგის. ნკელკარი უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, სადაც ადამიანთა შემწე რომელიმე წმინდანის ხატი იყო დასვენებული.

მ. ჩუხუას შენიშვნა: **ნკელ-ს** „კალათის“ მნიშვნელობა აქვს ლაზურში. შდრ. ხენ-**ნკელ-ი** – „პატარა ხელის კალათა“.

§5.60. ნურნუხი//ნუნახო

XIV-XVI საუკუნეების. რუკებზე ქალაქ ტუაფსის უწინდელ სახელწოდებად ნაჩვენებია **ნურნუხი, ნუნახო**. კ. ვესკონტის 1318 წლის რუკაზე გვხვდება პუნქტი **Zurzuchi**-ს, კ. ლუქსორის XIV ს. დასაწყისის რუკაზე – **Zorzuqui**-ს, დანარჩენ რუკებზე (XIV ს-ის II ნახევარი – XVI ს. დასაწყისი) **Susakho**-ს, **Susako**-ს ფორმით, რომელიც ფონეტიკურად იშიფრება, როგორც **ნურნუხი, ნუნახო**. XVII ს-ის ავტორის – ევლია ჩელების თხზულებაში დამონმებულია სახელწოდება თურქული ტრანსკრიფციით – **Susku**, რაც ფონეტიკურად უნდა გაიშიფროს, როგორც **ნუნუხუ**. ბიანკოს 1436 წლის იტალიურ რუკაზე ამ პუნქტის სახელწოდებად დატანილია **porto de Laio**, ე. ი. ნავსადგური **Laio**. პ. ინგოროყვას მოსაზრებით, სახელწოდება **Laio** იგივეა, რაც V საუკუნის ანონიმი გეოგრაფის – პერიპლუსის მიერ მოხსენიებული **Laia** (ინგოროყვა, 1954: 164, სქოლიო).

ლაია//ლია და **ნურნუხი, ნუნახო** სახელწოდებანი სინონიმებია. ნურნუხის ამოსავალია ქართულში არსებული სიტყვა **ნუნუხი**, რომელიც „საფლობ ლაფს“ ნიშნავს. მდინარის შესართავთან მდებარე ნავსადგურს ეს სახელი მდინარის შლამიანი სანაპიროს გამო დარქმევია (იქვე: 164). „დასასრულ, დაგვრჩენია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ პუნქტის ეს ორმაგი სახელწოდება, რომლებიც ერთსა და იმავე შინაარსს შეიცავს, იძლევა გარანტიას იმისას, რომ აქ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს რაიმე შემთხვევით მსგავსებას სიტყვებისას; ასეთი ორმაგი დამთხვევა სახელწოდებათა შინაარსისა იძლევა მეტად მნიშვნელოვან საკონტროლო შემონმებას და მკვიდრ საბუთს იმისას, რომ ეს სახელწოდებანი ქართული წარმოშობისაა“, – დასკვნის პ. ინგოროყვა (იქვე: 164). **ნუნუხი** ზემო

აჭარულ და იმერულ დიალექტებში „დაგროვილ ნაკელს“ აღნიშნავს; **ნუნუნხო** გურულში „ნუმპეს, ტყლაპოს, ტალასს“ ენოდება; **ნუხი, ნუკი/ცუხი** მთიულეთში, ფშავში, იმერეთსა და გურიაში იგივეა, რაც „უვარგისი, გამოუსადეგარი“, „ცუდი“, „უვარგისი, ხრიაკი, აბეჩხარი ალაგი“ (მსჯელობისათვის იხ. ითონიშვილი, 1992: 143). შდრ. ა. ქობალია: **ნურნუხი** – „ნუნუნუხი, საფლობი, ღია“ (ქობალია, 2010: 703).

ნურნუხი//ნუნახო ნიადაგის თვისების, მწირი, მოუსავლიანი ან ლენჭყი/ჭენჭყი ადგილის ამსახველი ტოპონიმი უნდა იყოს. შდრ. **ნუმნუბიჭალა//ნუნნუბიჭალა** – პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა მიუთითებენ ტყე-სახნავების სახელწოდებად ოჟანურის მარცხენა ნაპირას, სოფ. ფარავნეში (ცხადაია, ჯოჯუა, I, 2003: 169).

§5.61. წყაბა

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დრანდას (დანდარს) ორი სახელწოდება ჰქონდა: **წყვზუნი (წყვზ-ნი)** და მისი პარალელური ფორმა **წყვბა//წყუბა**. თვით სახელწოდების ფუძე-სიტყვას **წყვბ/წყუბ** პ. ინგოროყვა უკავშირებდა ცნებას „ტყუბი“, ძველი დიოსკურიის სახელწოდების – **ტყუბზნის** მსგავსად. „შეადარეთ აგრეთვე წყვბ-ი და წყვლ-ი (წყვილი), აგრეთვე ძველქართული რწყუმა (შერწყუმა, რაც შეწყვილებას, შეერთებას ნიშნავს).

ამრიგად, ეს მეორე სახელწოდებაც დრანდისა **წყვზნი**, დიოსკურების უძველეს თქმულებასთან არის დაკავშირებული და აგრეთვე ქართული წარმოშობისაა“ (ინგოროყვა, 1954, გვ. 168). სახელწოდების ამ ფორმას პ. ინგოროყვა მეორეულ სახეობად და **წყვბა** ფორმიდან მომდინარედ მიიჩნევდა (იქვე: 168, სქოლიო 2).

ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრებაში“ გვხვდება პუნქტი „წყაბას“ ფორმით: „ამისთვის ვერღა დასდგა ასლან-ბეგ მოქვს და წარვიდა. წარვედით ჩვენცა, და რა მივედით წყაბას და დავებანაკეთ, მოვიდა იქ სილარუფუ მარშანია...“ (დადიანი, 1962: 209-210).

წყაბა და, საერთოდ, **წყ/ჭყ** კომპლექსის შემცველი ზმნური თუ სახელური ფუძეების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულსა და მის დიალექტებში სემანტიკურად და მასალობრივად, როგორც ჩანს, სითხის, წყლის ცნებასთანა დაკავშირებული. მისი ძირითადი მნიშვნელობაა „სველი, ნოტიო, წყლიანი ადგილი; ლენჭყი; მინდორში დამდგარი წყალი; დაბალი, წყლიანი ადგილი, სადაც ფეხი ეფლობა; გამდნარი თოვლისაგან ან წვიმისაგან დამდგარი ტბორი, ჭანჭრობიანი ტყე ან მინდორი.“

სამეგრელოში ამ მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე ლენჭყი (ლენჭყი), ჟღება (ჟღები, ჟღებო, ჟღვაბუ), ჭეჭყი (ჭენჭყი), ჭყენჭყი, ჭეჭეხი, ჭყეპი, ჭყეჭყო, ჭყოჭყო და ა. შ.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ გ. ელიავას მიერ აბაშის რაიონის სოფ. ონტოფოში ჩანერილი და დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე დასახლებული ტოპონიმი **წყიბუ-წყაბუ** და მისი ვარიანტი **ჭიბუ-ჭაბუ** განმარტებულია, როგორც „ჭაობიანი ადგილი“ (ელიავა, 1977: 17).

პ. ცხადაიას მოსაზრებით, ნალენჯიხის რაიონში, წყავაშალის ხეობაში მდებარე ტყე-ნაკრძალისა და გასული საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს ნასოფლარად ქცეული დასახლებული პუნქტის სახელწოდება **წყავაში/წყაბაში** სვანური ტოპონიმიური სუბსტრატი უნდა იყოს. გ. კლიმოვის ნაშრომზე მითითებით მკვლევარი დაასკვნის, რომ ტოპონიმი **წყაუ-აშ** ქართული მწყავ-„წყავ“ ძირის კანონზომიერი შესატყვისის – მეგრ. **წყ-ი** და სვან. **წყაუ/წყეუ** ძირის შემცველია (ცხადაია, 2004: 203).

შდრ.: **წყაბუ** ეწოდება ლელეს, მუნჩიის მარცხენა შენაკადს, რომელიც სათავეს იღებს სოფ. პირველ ჭიხუში, ოხარჩალესთან, და გადაჭრის პირველ გურიფულს. საძოვარს ამ ლელის მარცხენა ნაპირას **წყაბუძგას/წყაბუმ მინდორს** ეძახიან (ცხადაია, III, 2007: 100). წყაბუ ჰქვია აგრეთვე ასუის მარცხენა შენაკადს. მოედინება სამერცხულასა და საკორტაოდან, გაივლის საბერაიო-სადოლბაიოს და შეერთვის შქალალს. შქალალი ასუას შენაკადია, ასუა კი – მუნჩიისა. იქვე ტლაპოს წყაბუს ნაპირზე **წყაბუმ ოლონტყეში** ჰქვია (იქვე: 147).

საფიქრებელია, რომ წყავაშის//წყაბაშისა და აფხაზეთში ლოკალიზებული წყაბას ამოსავალი იყოს წუნწყის, წყლიანი ადგილის (ხევის, ხეობის), ჭენჭყოს აღმნიშვნელი **წყაბა, წყაბუ, წყიბუ**. შდრ.: ა. ქობალიას განმარტება: „წყაბელი აშმორებული წყალი, გუბე“ (ქობალია, 2010: 703). გვარი წყაბელიაც წყაბელს, წყაბიდან წამოსულს ნიშნავს („წყაბას“ ეტიმოლოგიაზე იხ: კეკელია, „ონომასტიკური კრებული“, 2013: 126-127; მისივე, „ქართველური მემკვიდრეობა“, XVII, 2013: 165).

§5.62. წყუბუნი

აფხაზეთის ცნობილი ისტორიული პუნქტის – დრანდის (დანდარის) ადგილობრივი და დღემდე შერჩენილი მეორე სახელწოდებაა **წყუბუნი/წყუბუნი**. ამ მეორე სახელწოდების უწინდელი პარალელური ფორმაა **წყუუბა, წყუბა**. პ. ინგოროყვა ტოპონიმ **წყუბას, წყუბას, წყუბუნს**, ძველი დიოსკურიის სახელწოდების

– **ტყუბზის** მსგავსად, უკავშირებდა ცნებას – **ტყუპი**. თვით ფუძე-სიტყვაში – **წყვბ, წყუბ** და სიტყვაში – **ტყუბი**, ერთ ფუძეს ხედავდა, და საილუსტრაციოდ იმონებდა წყვბი და წყვლი//წყვილი სიტყვებს, აგრეთვე შეწყვილების, შეერთების აღმნიშვნელ **რწყუმა//შერწყუმა**-ს. მკვლევარი „წყვბზ“-ს ქართული წარმოშობის ტოპონიმად მიიჩნევდა და დიოსკურების (ტყუბი გმირების) უძველეს თქმულებასთან აკავშირებდა (იქვე: 168).

კ. ბერულავა არ იზიარებს პ. ინგოროყვას თვალსაზრისს დრანდისა (დანდა-რი, დანდრა) და **წყვბუნის** იგივეობის შესახებ: „ცნობილია, რომ წყაბას აფხაზები უწოდებდნენ **წყვბუნ**-ს, **წყვბუნ**-ს. ისტორიული წარსულის მიხედვით, ამ სახელის მეგრულ გამოთქმას ენიჭება პრიორიტეტი, რაც დასტურდება უცხოელთა მონობით. მაშასადამე, არავითარი მეორე სახელი დრანდას არ ჰქონია, წყაბა კი ძველად წარმოადგენდა ცალკე საზოგადო ერთეულს. დიოსკურების ლეგენდასთან მას კავშირი, რასაკვირველია, არ ჰქონია“ (ბერულავა, 1951: 75, სქოლიო).

ყურადღებას იპყრობს **წყუბუნი** სიტყვის მნიშვნელობები მეგრულში. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემული სამივე მნიშვნელობა – „წყალუხვი; მდინარე, გამდინარე წყალი, ნაკადული; წარღვნა, წყლის დენა“ წყლის ცნებასთანაა დაკავშირებული (ქობალია, 2010: 706). ჩვენი დაკვირვებით „წყუბუნი“ გამჭვირვალე ტოპონიმია – წყუ+ბუნ-ი=წყალ-მღვრელი; შდრ. შხურ-ლაჭ-ი, ჩაკა-ზიდ-ი... თუმცა შესაძლებელია **წყუბ-** (=წყუ+ბ-)-უნ-ი ტიპის სემანტიკა. შდრ. **ტყა**, მაგრამ **ტყა-ბ-ი**. ტოპონიმი წყუბუნი ოკუპანტებმა **ცვიბინ** ფორმით შეცვალეს (ზუხბაია, 2000: 70).

§5.63. წყუზამელა//წყუზამელი

სკურიის/ისკურიის ნავსადგურთან შავ ზღვას შეერთვის მდინარე სკურჩას//მარმარწყარის სახელწოდებით, ხოლო მესამე და ძირითადი სახელწოდება ამ მდინარისა არის წყუზამელა//წყუზამელი. წყუზამელა დღემდე ცოცხალი სახელია. პ. ინგოროყვა ჰიდრონიმსა და კომონიმი გამოყოფს თავკიდურს – **წყუ** „წყარო“ (ინგოროყვა, 1954: 179).

ჰიდრონიმი წყუზამელა შესაძლებელია სამ კომპონენტად დაიშალოს: პირველი – **წყუ** მეგრულში იგივეა, რაც „წყარო“; მეორე კომპონენტი უნდა იყოს **ზა** „გზა“ (ქართულიდან სესხების გზით). სათანადო ქართული სიტყვის თავკიდური გ მეგრულში დაიკარგა, რამაც ასახვა პოვა გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც. შდრ. ზაორთუ – 1. გზაჯვარედინი ახუთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში; 2. გზაგასაყარი ნახურცილავოში. მარტვილი-დიდი ჭყონის გზატკეცილიდან გამოყოფილი გზა გურძემისკენ მიემართება (ცხადაია, VI, 2012: 230-231); ზაკადა-

რი – ფერდობი ტაბაკონის მთაზე, სოფ. დიდ ინჩხურში; შქაზა „შუაგზა“ – გზა მესამე ბაღდაში. ტობაშსა და ონიორეს სათავეს შუა გამავალი გზით სვანები ჩამოდოდნენ სამეგრელოში (ცხადაია, იქვე: 619). მესამე კომპონენტი, სავარაუდოდ, **მელე** „გალმა“ უნდა იყოს. თუკი ჩვენი ვარაუდი საკვლევე ჰიდრონიმის სამ სიტყვად დაყოფის შესახებ მართებულია, მაშინ **წყუზამელა-წყუზამელე** უნდა გავიაზროთ, როგორც „წყაროს გზის გაღმა (მდებარე)“. შდრ. ნამელონი//წ(ყ) ამელო – ტყე-ხევი და ღელე მაგანის სატყეოში. ღელე ერთვის მდ. მაგანას (ცხადაია, I, 2004: 203). **წყუზა** „წყაროს გზა“, „წყაროსკენ მიმავალი გზა“ თავდაპირველად უნდა რქმეოდა გზას, შემდგომ მინდორს წყაროსთან და ბოლოს მდინარესაც, ან მასში ჩამდინარე წყაროს (მეტონიმიის გზით: დრომონიმი – დრიმონიმი-ჰიდრონიმი).

არ გამოვრიცხავთ ჰიდრონიმის სხვაგვარ გააზრებასაც. კერძოდ, შესაძლებელია ამოსავალი იყოს მხოლოდ წყუზა „წყაროს გზა“. **-ელა** ჰიდროფორმანტის დართვით კი მივიღეთ მდინარის სახელწოდება. „წყუზამელაში“ -ელა ჰიდროფორმანტი ფუნქციით ქართული **-ურა-**ს შესატყვისია. პ. ცხადაიას დაკვირვებით, -ელა სუფიქსის ფუნქცია შემდეგია: ადგილის აღმნიშვნელი საზოგადო თუ საკუთარი სახელისაგან აწარმოოს ამ ადგილას (ან ამ ადგილიდან) გამავალი მდინარის სახელი – ჰიდრონიმი (ცხადაია, 1985: 174-175; მისივე, I, 2004: 22).

აქვე დავასახელებთ საანალიზო მასალას: გარამელა – ჭანისწყლის მარცხენა შენაკადი და მისი ხეობა კურორტ სქურში; კაბარჭელა//კაპარჭელა – მდინარე და ხეობა ლესალეში; კვრზალა//კვრძალა – მდინარე და ხეობა ჩხორონწყუს სატყეოში; ლაგვრძმელა – ღელე ვახაში; ლუგელა – მინერალური წყალი და ხეობა ჩხორონწყუს ხეობაში; ნოღელა – მდინარე მარტვილისა და აბაშის რაიონებში; ქვარჩელა – ღელე ნახურცილავოში; ლარჩელა – ნაკადული გაჭედილის სატყეოში; ჭყონიშელა – ღელე წაჩხურში (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ცხადაია, 1985: 174-175).

შენიშვნა: ვ. ზუხბაია ოჩამჩირის რაიონის აძიუბუის საკრებულოში სოფლისა და ღელის სახელწოდებად იმონებს ტოპონიმს **ცხუზამელის** ფორმით და გამოყოფს ბოლოკიდურს –ელი (ზუხბაია, 2000: 81). მ. ჩუხუას აზრით, წყუზა-**მელა**-სა და გარა-**მელა**-ში, ალბათ, **-მელა** კომპონენტი გამოიყოფა, რომელიც საერთო-ქართულ ტოპოფორმანტად სხვაგანაც შეინიშნება (იხ. წინამდებარე ნაშრომზე გაკეთებული შენიშვნა).

§5.64. ჯალი

ჯალი სოფელია ოჩამჩირის რაიონის მოქვის თემში, მოქვისა და ლალიძგის შუამდინარეთში, ზ. დ. 160 მ-ზე. ოჩამჩირეს დაშორებულია 32 კმ-ით, აკვასკეს – 10 კმ-ით (ქსე, X, 1986: 533). ამავე რაიონში სხვა სოფელს **ჯალ-აფსუა** ჰქვია. თ. გვანცელაძემ არ გაიზიარა აფხაზი ენათმეცნიერის – ვალერი კვარჭიას მოსაზრება, ოიკონიმ ჯალ-ის, სხეულის ნაწილის – ქედის აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ჯალ** სახელიდან მომდინარეობის შესახებ, ვინაიდან „სხეულის ნაწილის სახელწოდების გეოგრაფიულ ობიექტთან დაკავშირებას სემასიოლოგიური ახსნა ესაჭიროება: საქმე ისაა, რომ ოჩამჩირის რაიონის დაბლობ ზოლში მდებარე ეს სოფელი თავისი გეოგრაფიული სპეციფიკით გამორიცხავს მისი სახელის კავშირს ქედთან“ (გვანცელაძე, „ქ. ო.“, VI, 2013: 134). მკვლევარი ფიქრობს, რომ ოიკონიმს საფუძვლად უდევს ხის, ძელის აღმნიშვნელი ზოგადქართველური წარმომავლობის მეგრული **ჯა** სიტყვის ამოსავალი ***ჯალ-ი** სახეობა (შდრ.: ჯალ-ი: ძელი), რომელიც დაცულია ჯა სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმებში, შდრ.: მხ. რ. **ჯა** „ხე, ძელი“ – მრ. რ. **ჯალ-ეფ-ი** „ხეები; ძელები“ (იქვე).

ჯალი მეგრულში აღნიშნავს როგორც ძელს, ისე ტყეს, კორომს. **ჯალონა/ჯალონი** ტყეა, **ჯალა-ჩქონი** ხებუჩქნარიანი, ტყიანი კუნძულია მდინარეში (ქობალია, 2010: 734). შდრ. **ჯალონა** – „ტყე დიდრონი ხეებით“ – ტყე სოფ. ისულაში, კითსა და დიდ გოთეს შუა (ცხადაია, VII, 2013: 423). დამონებული ტოპონიმის ფუძეა **ჯალ-**, ხოლო **-ონა** კრებითობის სუფიქსია. მ. ჩუხუას შენიშვნა: „ერთად უნდა განვიხილოთ **ჯალა-ფსუა** და **ჯალა-ჩქონი**, სადაც **ჯალა-** მეორდება, მაგრამ **ჯალ-ი**, ალბათ, **ჯალ-ი** „მძევალი; სამკვიდრო“ სიტყვას უფრო უკავშირდება“.

§5.65. ჯამღვარღვალღ

ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბუაში (აფხ. „წყალთაშუა“) ჩანერილი ოთხ ათეულამდე მიკროტოპონიმიდან რამდენიმე მეგრული წარმომავლობისაა. მაგ.: **ოლაგვანა** – „საქვევრე“, **დადია(ნი)შ ნამარან** – „დადიანის ნამარნევი“, **ნართოუ**, **ნაფატროუ**, **ოჯიბინე**, **სკურჩა** – „შავლეღე“, **სუმჯინჯჭყონი** – „სამი ძირი მუხა“, **ფშია** – „ნივნივა წყალი“, **ფშქიარ** – „შქერნალი“ (ფშქერი „შქერი“), **ცხუზამელი**, **წყურგილი** – „ცივწყარო“, **ჭკადაბორ** (–**ჭკადღრობუ**) – „მჭედლისხევი“, **ჯამღვარღვალღ**).

ინტერესს იწვევს ტოპონიმ **„ჯამღვარღვალღის“** წარმომავლობა. ჩვენი აზრით, ეს შეიძლება იყოს მეგრული ჯერღვამღვალღ. საგულისხმოა ის გა-

რემოცია, რომ ოჩამჩირის რაიონის ჯგერდის თემში სოფელსა და პატარა მდინარეს ეწოდება **ჯერღვილი//ჯირღული**. თ. გვანცელაძე შენიშნავს, რომ მეგრ. **ჯერღვილ**-ის აფხაზური ვარიანტია **ჯერღელ**. ვინაიდან მისი ახსნა აფხაზურად შეუძლებელია, მკვლევარი ფიქრობს, რომ ტოპონიმი მიღებულია მეგრული ჯერღვილ- ფორმისაგან, ფონოტაქტიკის წესების დაცვით: **ჯ** და **რ** თანხმოვნებს შორის მდგომ **ე** ხმოვანს კანონზომიერად ცვლის **ა** ხმოვანი, **ღვი** მარცვალს კი – **ღ²** ჯგუფი. ჰიდრონიმი მეტონიმიის გზით მოგვიანებით სოფლის სახელად ქცეულა (თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბ., 2011: 182). გალის რაიონში დამონმებულია ჰიდრონიმი „ჯერღვამლალ“. ასე ეწოდება ხუმუშქურის შენაკადს სოფ. თხინაშკარში. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მიერ ჩანერილი განმარტების მიხედვით, „ჯერღვი ძარღვიცაა და ხის ფესვებიც. წყალში მოჩანდა“ (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003: 222). სოფ. ფართონოხორში აღმართს ერისწყლიდან საშარაშიომდე **ჯერღვანა** ეწოდება. **ჯერღვი** სიტყვას მეგრულში ორი გადატანითი მნიშვნელობა აქვს: 1. ხის ფესვები; 2. მრავალძარღვა (იგივე მაჯერღვია). ხალხური ეტიმოლოგიით, ჯერღვანა იმიტომ ეწოდა, რომ „მხოლოდ მაგარძარღვიანი კამეჩები თუ დაძღვედნენ ამ აღმართს“ (იქვე).

როგორც აღინიშნა, **ჯერღვი** მეგრულად იგივეა, რაც „ძარღვი“, ხოლო **ჯერღვამი** აღნიშნავს „ძარღვიანს“. მაშასადამე, **ჯამღვარღვალ** შინაარსობრივად „ძარღვიანი, დაძარღვული ღელეა“, რომელიც აფხაზურს ჯამღვარღვალის სახით შუთვისებია (ჯერღვამლალ → ჯარღვამლალ → ჯამღვამლარ → ჯამღვარღვალ).

შესაძლებელია სახელწოდების სხვაგვარი გააზრებაც: ჯამღვარღვალ – ღელე, რომლის ნაპირებზეც ხე-მცენარეთა ფესვები მოჩანს. მ. ჩუხუას დაკვირვებით, შესაძლებელია, **ჯამ-ღვარღვალ**-ის ამოსავალი „ხიანი/ხეებიანი ნიაღვარი“ იყოს. თუმცა არც **ჯამ**-ი „ხის“ + **ღვარღვალ**-ი „კაკვი“ გამოირიცხება.

§5.66. **ჯაყოზა//ჯოყოზა// ჯოყოზა**

უბანი და ნაჭაობარია ფოქვეშის თემის სოფ. აყვარაშში. ნაჭაობარი 3 კმ-ის მანძილზე გასდევს აყვარაშისა და ოხურეის მარჯვენა ნაპირებს. **ჯოყოზა** ასევე ნაჭაობარის სახელწოდებაა მეორე გუდავაში, სადაც **ჯოყოზანყარის** ღელე გაედინება. ეს ღელე დიდ ბებესირში იღებს სათავეს და მეორე გუდავას ტერიტორიაზე შეერთვის ცორკას – შავი ზღვის ყურეს. ქსე-ში აღნიშნულია, რომ **ჭაობა//**

ჯაკობა ეწოდება მდინარეს გალის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე; სათავეს იღებს დიდი ბებესირის ტბაში, 15, 9 მ სიმაღლეზე და ერთვის შავ ზღვას. მდინარის სიგრძე 10 კმ-ია, აუზის ფართობი – 24 კმ². საზრდოობს წვიმისა და მიწისქვეშა წყლით (აფხაზავა, ქსე, XI, 1987: 533). ფიქრობენ, რომ არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკასა“ და ლათინურენოვან რუკაზე, პირდაპირ შავ ზღვაში ჩამავალი მდინარის სახელწოდებად მოცემული Giobaschari და Goibaschari, სწორედ ჯოჯობანყარი უნდა იყოს, რამეთუ ო ხმოვნის წინ გი კომპლექსი ჯ-დ იკითხება. ლათინურენოვანი რუკის ქართულ ვარიანტში მდინარის სახელწოდების მცდარი ფორმა **გიობანყარია** გადმოტანილი (მსჯელობისათვის იხ. ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 225; ცხადაია, 2004: 56).

მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მასალებით, რომელიც 1930 წელს გამოიცა, გალის მაზრის გუდავის სასოფლო საბჭოში შემავალ ექვს სოფელს შორის დასახელებულია **ჯაკობა I**, 98 კომლით (432 სული; მათ შორის 323 სული – ქართველი, 1 – სომეხი, 7 – რუსი, 99 – აფხაზი...) და **ჯაკობა II**, 66 კომლით (292 სული; მათ შორის 258 ქართველი, 2 – რუსი, 32 – სხვა დანარჩენი) (დაყოფა, 1930: 153).

ისტორიკოსი კ. ოკუჯავა ტოპონიმ „გიობანყარის“ პირველ კომპონენტად გამოყოფს **გიობა** სიტყვას და შენიშნავს, რომ ძველ ქართულში ეს სიტყვა იყო გიობის, გინების აღმნიშვნელი. მისი აზრით, ღელეს, რომლის ნაპირზეც მდებარეობდა სოფელი, ახასიათებდა სიბინძურე (იყო მუდამ მღვრიე) ან მასში ბუდობდნენ ქვეწარმავლები და ამ უარყოფითი თვისებების ამსახველი ღელის სახელწოდებიდან სახელი დაერქვა სოფელსაც (ოკუჯავა, 1999: 233; მსჯელობისათვის იხ. ცხადაია, 2004: 56).

მეგრულში **ჯოჯობა//ჯაკობა**, მართალია, „ჭაობის“ აღმნიშვნელი სიტყვაა სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონშიც, ტოპონიმი ჯოჯობაც ასეა განმარტებული (ცხადაია, 2004: 56-57), მაგრამ ამ სიტყვას მეგრულში სხვა მნიშვნელობაც აქვს. კერძოდ, ჯოჯობას ეძახიან ტალახს, დიდ საფლობს; ღრმაღეჭიან, შლამიან მდინარეს. სიტყვის დამონმებული მნიშვნელობაც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს ტოპონიმ „ჯოჯობას“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას. პ. ცხადაიას აზრით, ჰიდრონიმი „ჯოჯობანყარი“ ამ მხარეში აფხაზთა გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე უნდა წარმოქმნილიყო (ცხადაია, 2004: 57).

თავი VI

**აფხაზეთის „ალანეთი“ ვახუშტი გატონიშვილის
ნაშრომისა და რუკების მიხედვით**

ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1756 წწ.) ნააზრევი მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენს ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში. ევროპული ცივილიზაციისა და მეცნიერების დონეზე ამაღლებულმა, ენციკლოპედიურად განათლებულმა და მრავალმხრივმა მოღვაწემ – მთარგმნელმა, ლექსიკოგრაფმა, ისტორიკოსმა, ეთნოლოგმა და გეოგრაფ-კარტოგრაფმა შექმნა პირად დაკვირვებებსა და საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაფუძნებული საისტორიო-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ხასიათის მონუმენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ამასთანავე, ვახუშტის „აღწერა“ საქართველოსა და მისი მეზობელი რეგიონების მოსახლეობის ყოფითი კულტურისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია მისივე კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. ვახუშტი საქართველოს რუკების ორი ატლასის ავტორია. ერთზე მუშაობა დაუსრულებია 1735 წელს, მეორეზე – 1743 წელს.

ვახუშტის ძირითადად საისტორიო ხასიათის თხზულებაში მოცემულია საქართველოს რეგიონების აღწერა ადგილთა ბუნებრივი თანმიმდევრობისა (ხეობები, ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები...) და სამხედრო-პოლიტიკური დანაწილების (საერისთავოები, სასპასპეტოები, სადროშოები...) შესაბამისად. მოცემულია ფიზიკურ-გეოგრაფიული (ოროგრაფიულ-ჰიდროგრაფიული, მეტეოროლოგიური) და ეკონომიკური დახასიათება.

სახელოვანი ისტორიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ამა თუ იმ რეგიონისა თუ ცალკეული გეოგრაფიული ობიექტის დახასიათებისას, მისი სარგებლიანობისა და წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით.

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია მისივე კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. ორ ატლასად შეკრული, ტოპოგრაფიული დეტალურობითა და სისრულით შედგენილი რუკები ადასტურებს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროის უთვალსაჩინოესი კარტოგრაფი იყო.

საკუთრივ აფხაზეთზე მსჯელობისას ვახუშტი ბაგრატიონი ცნობებს „აფხაზეთის ალანეთზეც“ გვანჯდის: „ხოლო ალანი არს სუანეთის დასავლით და ბედიის ჩდილოთ. აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი სუანთა; სამხრით კავკასი ბედია-ოდიშს და ამას შორისი; დასავლით კავკასი; ჩდილოთცა კავკასი. უდის შუაში სუანეთის მდინარე. მოსავლით და პირუტყვით სცან, ვითარცა სუანეთი. არამედ კაცნი კერპნი, უსჯულონი. გარნა პირველ იყვნენ

ქრისტეანენი და ან კერპნი, და რომელიმე მოჰმადიანი და მისიცა უმეცარნი. ხოლო კავკასნი, რომელნი აღვსნერეთ ამ ადგილებთა შინა, კედელის კავკასის მთიდამ, ვიდრე ჯიქეთამდე, არიან ეგრეთივე მყინვარენი მთანი, ვითარცა ქართლისანი და ოსეთისანი, სიმაღლით, მყინვარებით და ყოვლითურთ. არამედ სუანეთი და ალანი იყო კავკასისავე ნილნი და მეფეთა ქართველთა თვით განიმკვიდრეს, ვითარცა აღვსნერეთ“ (ვახუშტი, IV, 1973: 788-78).

მაშასადამე, ვახუშტის მონაცემებით, მდ. ბზიფს, შავ ზღვასა და კავკასიონს შორის მდებარეობდა ისტორიული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მხარე „ჯიქეთის“ სახელწოდებით. მას აღმოსავლეთით სვანეთი ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით – ბედია და მცირე კავკასიონი („ბედია-ოდიშს შორისი“). ვახუშტი რუკებზე არასწორად უჩვენებს ალანის გეოგრაფიულ მდებარეობას. მას ათავსებს იმ ფანტაზიური მდინარის ხეობაში, რომელსაც „სუანეთის მდინარეს“ უწოდებს. აღნიშნული მდინარე ვახუშტის რუკაზე გაივლის სვანეთს და მხოლოდ ქვედა დინებით შეესაბამება მდინარე ბზიფს (მარუაშვილი, 1997: 188).

ალანეთის მდებარეობას ვახუშტის მსგავსად გადმოსცემს ქართველი ისტორიკოსი ნ. დადიანიც: „ალანეთისა საზღვარი არს აღმოსავლეთით კავკასი და საზღვარი სუანთა, სამხრით კავკასი ბედია-ოდიშს შორის, დასავლით კავკასი, ჩრდილოთცა კავკასი. უდის შუაშიდ სვანეთის მდინარე. ალანნი იყვნენ პირველ ქრისტიანენი და ახლა რომელნიმე არიან მაჰმედიანნი. და ესენი იყვნენ კავკასოსნი ნილნი“ (დადიანი, 1962: 152).

ამასთანავე, ნ. დადიანის ცნობით, „სვანეთს მზღვრის... დასავლეთით სვანეთსა და ოდიშს შორისი კავკასი და ალანის საზღვარი“ (დადიანი, 1962: 152). თარგამოსის მიერ ძეთათვის ტერიტორიის გაყოფის აღწერისას ნ. დადიანი ეგროსისათვის განსაზღვრულ ტერიტორიას შემდეგ საზღვრებში ათავსებს: „და ეგრის[ს] მისცა ნაპირის ქვეყანა შავისა ზღვის, და განუსაზღვრა: აღმოსავლეთით მთაი ალანისა, დასავლეთით ზღვაი და მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადაცა ამალდებიან ცხვირნი კავკასიისა მთისანი. ამანცა აღაშენა სახელსა ზედა თვისსა ქალაქი, რომელსაცა ან ოდიშად უწოდებენ“ (დადიანი, 1962: 68).

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ალანებს ხშირად ასახელებს პროკოპი კესარიელი, და უმთავრესად – ლაზიკასთან და აბაზგიასთან დაკავშირებული ამბების გადმოცემისას. პროკოპის ცნობით, სვანები ალანთა მეზობლად ცხოვრობენ (გეორგიკა, II, 1965, 45-47, 100, 103, 119, 153...). ალანების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორი აგათია სქოლასტიკოსი. აგათია მოგვითხრობს ბიზანტიელთა იმ გადანყვეტილების

შესახებ, რომ მისიმიელთა ციხე ბუკლოონი მათ 554 წელს გადაეცათ ალანებისათვის (გეორგიკა, III, 1936, 86-87).

VII ს-ის „სომხური გეოგრაფია“ გვაუწყებს, რომ მდ. დრაკონი „...მოედინება ალვანიდან (არა ალბანია) და განჰყოფს აფხაზეთს და ეგრის ქვეყანას“ (География, მისივე, 1877: 25-26). მისივე ცნობით, სანაპირო ქალაქ სებასტოპოლისამდე და მდ. დრაკონამდე აფშილები და აფხაზები ცხოვრობენ. ეთნონიმი „ალვანი“ გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომა ან ფონეტიკურად სახეცვლილი ალანი უნდა იყოს. მაშასადამე, „სომხური გეოგრაფიის“ დამონმებული ცნობითაც, აფხაზთა და ეგერთა ქვეყნის საზღვრად მიჩნეული მდ. კოდორის (უწინდელი დრაკონის) სათავეებში მდებარე მისიმიანეთი ალანთა ხელში იყო (აფხაზავა, 1991, 2).

ეს ცნობა მიიჩნევა ადრეულ ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე ალანთა ეთნიკური (?) შემოღწევის ჯერჯერობით ერთადერთ ფაქტად (აფხაზავა, 1991: 29).

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი ოსებზე მსჯელობისას წერს, რომ ბიზანტიელები იმ ხალხს, სადაც ოსები სახლობენ, ოსების სახელით არ იცნობენ და მათ ალანს ეძახიან. მაშასადამე, ჰაქსტჰაუზენს ალანები და ოსები ერთი და იმავე ხალხად მიაჩნია: „ოსებს კავკასიის ჩრდილოეთ კალთებსა და ზეგნებზე უნდა ეცხოვრათ დიდ და მცირე ყაბარდოში და საკუთარი მეფეც ჰყოლიათ; მაგრამ ბათო ყაენმა ისინი იქიდან გააძევა XIV საუკუნეში და შემოეკედლნენ კავკასიის ქედს. მაგრამ მათ ძველადაც უნდა ეცხოვრათ დღევანდელ მათ სამყოფელში, რადგან ქართული ანალები ოსებს ქართველთა მეზობლებად მიიჩნევს უკვე ალექსანდრე დიდის დროიდან. ხომ არ ეხმაურება ეს გადმოცემა ოსთა გადმოსახლების შესახებ გერმანელ დამპყრობთა მიგრაციას, რომლებიც უძველეს ოსებთან იყვნენ შერეული“ (ჰაქსტჰაუზენი, 2011: 165). გერმანელი მოგზაურის ვარაუდით, ჰუნების მიერ საკუთარი მინა-წყლიდან გამოდევნილ და კავკასიაში შემოხვენილ გოთების ტომებს უნდა დაეპყროთ და დაემორჩილებინათ კავკასიის უძველესი ხალხი ოსები ან ალანები (იქვე: 189).

ვახუშტის აღწერაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ალანეთი აფხაზეთის ქვეყნის ის მხარეა, რომელზეც მდ. კოდორი გაივლის ბზიფამდე, ანუ კოდორის ზემონელის ტერიტორია; კონკრეტულად კი, ჩხალთის, კლიჩის, გვანდრისა და საკენის ხეობები, ანუ ბიზანტიური წყაროების მისიმიანეთი (მუსხელიშვილი, II, 1980, 56). კოდორის სათავეები თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით გულრიფშის რაიონში შედის. აღნიშნული ისტორიული მხარე, რომელიც ნებელ-

დის ნაწილს შეადგენს, დალის ხეობის სახელითაა ცნობილი.

საიდან უნდა მომხდარიყო ალანების შემოსვლა კოდორის ხეობის ზემო-წე-ლის ტერიტორიაზე? წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ალანები ადრეულ შუა საუკუნეებში (IV-V საუკუნეებიდან მაინც) მდ. ყუბანისა და მისი შენაკადე-ბის სათავეებში მოსახლეობდნენ. Алексеева, 1971; Кузнецов, МИА. №106; აფხა-ზავა, „მაცნე“, №3-4, 1991, 24-25. ვ. ალექსეევას თქმით, „...в эпоху раннего средневековья Кубани населяли аланы“ (Алексеева, 1971: 103).

ადრეულ შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში იყო ალანთა ორი დიდი ტომთა გაერთიანება. ყუბანის აუზში მოსახლეობდნენ დასავლეთ ალანები ადიღეურ ტომებთან ერთად, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ველი და მთისწი-ნეთი აღმოსავლეთ ალანეთის გაერთიანებას ეკავა (Кузнецов, МИА. №106: 131; Алексеева, 1971: 78, 80, 103; აფხაზავა, 2010: 35).

ნ. აფხაზავას აზრით, ჩრდილოეთირანული წარმოშობის მომთაბარე ალანთა ტომი ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევარში აღმოსავლეთიდან მოვიდა და დამკვიდრდა ვოლგა-დონის ქვემოწელსა და აზოვისპირეთში. 372 წელს ვოლგის გადაღმი-დან შემოსულ ჰუნთა მიერ ალანთა გაერთიანების განადგურებას მოჰყვა ის, რომ „მათი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიის ველებსა და მთისწინეთს შეეფარა, ნაწილი კი, ჰუნთა შემადგენლობაში მყოფი, შეესია დასავლეთ ევროპას და შემდგომ ვანდალებთან ერთად ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნა ალან-ვანდალთა სამეფო“ (აფხაზავა, ალანები, „საქართველო“, 1997: 89-90). ალანთა ადრინ-დელი ფეოდალური სახელმწიფო IX-XIII საუკუნეებში არსებობდა მდ. ყუბანის სათავეებსა და თერგის შუაწელს შორის, უმეტესად ჩრდილოეთ კავკასიის ვე-ლებსა და მთისწინეთში. ნ. აფხაზავა ფიქრობს, რომ ახალი ეთნიკური ერთობა – ალან-ოსური ეთნოსი უნდა ჩამოყალიბებულიყო X-XII საუკუნეებში, მოსული ირანულენოვანი ალანებისა და ადგილობრივ კავკასიურენოვან ტომთა შერწყ-მის შედეგად: „გაიმარჯვა მოსულმა ენამ და დამხვდურთა ანთროპოლოგიურ-მა ტიპმა...“ (აფხაზავა, 1997: 90). XI-XIII საუკუნეებში ალანთა სამეფოსა და საქართველოს მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაზე მეტყვე-ლებს ალანეთში ქართული ქრისტიანული კულტურის (არქიტექტურა, ფერწე-რა) ფართო გავრცელება და ხშირი დინასტიური ქორწინებები. ალანეთის, როგორც სახელმწიფოებრივ-კულტურული ერთეულის, დეგრადაცია დაიწყო მას შემდეგ, რაც იგი მონღოლებმა დაიპყრეს (1238-1239 წწ.). „ალან-ოსთა ნაწილმა ყივჩაყებთან ერთად უნგრეთს შეაფარა თავი, ნაწილი მონღოლებ-მა გადაასახლეს თავიანთი იმპერიის აღმოსავლეთით. კავკასიაში დარჩენილი ალან-ოსები მონღოლებთან ერთად ხშირად ლაშქრობდნენ საქართველოში. ამ დროიდანვე დაიწყო მათ მიერ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ხეობების

ათვისება და ოსური ეთნოსის საბოლოო ფორმირება“ (აფხაზავა, 1997: 90). ამავე დროს უკავშირდება ქართლის მთიანეთში ალანთა დასახლება. XIV ს-დან ალანეთში ფეხს იკიდებს ისლამი.

კოდორის სათავეებში ოდესღაც ალან-ოსთა ექსპანსიის მოწმობად მკვლევარი დ. მუსხელიშვილი, ვახუშტის ცნობის გარდა, მიიჩნევს სოფ. ალანდას არსებობას მდინარეების – კლიჩისა და საკენის შესართავთან, სწორედ ბუქლოს//ბუკულუსის ციხესიმაგრის ნანგრევების მახლობლად (მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 54-55).

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებში „ალანთა ქვეყნის“ შესახებ ნ. აფხაზავასაც აფიქრებინებს, რომ ალანთა გარკვეული ნაწილის ჩამოსახლება კოდორის ხეობის ზედანელზე სრულიად რეალური სურათის ამსახველია. მკვლევრის აზრით, ალანთა მნიშვნელოვანი ეთნიკური მასის შემოსვლა კოდორის ხეობაში ხდება I-IX საუკუნეებში. ამასთანავე, მეგრულსა და სვანურთან ალანურის ენობრივი ურთიერთგავლენა სწორედ აქ, კოდორის ხეობის ზემონელზე უნდა მომხდარიყო. თუმცა კოდორის ხეობის „ალანთა“ ეთნიკური ფიზიონომია გაურკვეველია. მკვლევრის აზრით, დასადგენია, მხოლოდ ეთნონიმი შერჩათ კოდორის ხეობაში განსახლებულ ალანებს, თუ ენაც და სხვ. (აფხაზავა, 1991: 29, 65).

მაშასადამე, დაასკვნის ნ. აფხაზავა, I-IX საუკუნეებში ქართლისა და კოლხეთ-ლაზიკის სამეფოების ურთიერთობა ალანებთან უნდა განვიხილოთ არა როგორც ქართველ-ოსთა, არამედ როგორც ქართველ-ალანთა ურთიერთობა. კოდორის ხეობის სათავეებში, ანუ ისტორიული მისიმიანეთის ტერიტორიაზე, სწორედ აღნიშნულ ხანაში უნდა მომხდარიყო ალანთა მნიშვნელოვანი ეთნიკური მასის შემოსვლა (აფხაზავა, 1991: 65).

ნ. აფხაზავა სხვადასხვა ავტორის ნაშრომების გაანალიზების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თვისებრივად ახალი ეთნიკური ერთეული – ოსი ხალხი, ალანთა და კავკასიელთა შერწყმის შედეგად, X-XII საუკუნეებისთვის უნდა მიგველო. ადრე შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულმა ალანთა მეტ-ნაკლებმა მასამ შედეგად მოგვცა „აფხაზეთის“ ქვეყანა „ალანის“ სახით. ბერძნულ-ბიზანტიურიდან ნათარგმნი და ქართული წერილობითი წყაროებითა და ტრადიციით ეს „ქვეყანა“ „ალანად“ იწოდება და არა „ოსეთად“ (აფხაზავა, 1991: 3-4, და იქვე მითითებული ლიტერატურა).

მკვლევარი მოგვიანებით, 1998 წელს გამოცემულ ნაშრომში კვლავ დაუბრუნდა „აფხაზეთის ალანეთის“ საკითხს და მასზე საინტერესო მსჯელობა შემოგვთავაზა. ნ. აფხაზავამ აფსილთა (აფშილთა) ეთნიკურ ვინაობასა და ენობრივ კუთვნილებაზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა ლინგვისტურ

მასალაზე (ლექსიკურ ნასესხობებზე), რაც, მისი აზრით, მიუთითებს სვანურ-მეგრულის ინტენსიურ და ძველ ურთიერთობებზე ალანურ-ოსურთან ადრეულ შუა საუკუნეებში (აფხაზავა, 1998: 7-8). მკვლევარი იმონებს ვ. აბაევის მიერ მეგრულიდან, აფხაზურიდან და სვანურიდან ოსურ ენაში შესული ლექსიკური ერთეულების დაფიქსირების ფაქტს. მათგან ყოფისა და კულტურის სფეროს ამსახველი ნასესხობების, კერძოდ, მეგრელიზმების რაოდენობა ერთ ათეულზე მეტია, ხოლო სვანიზმებისა – 40-ზე მეტი. მოაქვს ციტირებაც ცნობილი ოსი ენათმეცნიერის ნაშრომიდან, რომ „Осетинские слова, которые мы рассматриваем как мегрелизмы, своим характером, и значением употреблением говорят об интимности и глубине связей существовавших между двумя народами. Речь идет не о какихнибудь второстепенных малоупотребительных словах, а самых насущных обиходных понятиях: огонь, камень, жердь, стлоб, скамья, шерсть, серна, нос. К некоторым из этих слов трудно применимо даже наименование „заимствования“, мы возвращаемся настойчиво к другому лингвистическому и культурно-историческому понятию: „субстрат“ (Абаев, 1949, 329).

ვ. აბაევი შეეცადა მიახლოებით მაინც განესაზღვრა და დაეზუსტებინა მეგრულთა და ოსთა შორის შესაძლო კონტაქტების არეალი და ხანა. იგი იმონებს აკად. ს. ჯანაშიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ასეთ ურთიერთობათა შესაძლებლობაზე და წერს: „По любезному осведомлению С. Н. Джанашиа, мегрелский элемент был распространен в прошлом по кодорскому ущелью нынешней Абхазии факт особой важности, если иметь в виду многовековое соседство осетин-алань с Абхазией“ (Абаев, 1949: 329).

მამასადამე, ვ. აბაევის აზრით, მეგრულ-ოსთა შესაძლო კონტაქტის არეალი კოდორის ხეობა უნდა ყოფილიყო (ალან-ოსები აფხაზეთის მოსაზღვრე ყუბანის სათავეებში მოსახლეობდნენ), ხოლო შესაძლო აქტიური ურთიერთობების ხანად მკვლევარი მიიჩნევს არა უმეტეს XIV საუკუნეს, ანუ ყუბანის სათავეებში ოსების განსახლების ხანას, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მათი ურთიერთობა მეგრულთან, სვანებსა და აფხაზებთან (Абаев, 1949: 309-322; აფხაზავა ნ., აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის (რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები), 8). ოსურ ენაში მეგრელიზმებისა და სვანიზმების, ასევე აფხაზური ნასესხობების, და პირიქით, ალანურ-ოსური ენობრივი ელემენტების სვანურსა და მეგრულში დაფიქსირებაც, მკვლევართა აზრით, სწორედ ამ ურთიერთობებით უნდა აიხსნას (Абаев, 1949: 294-300; ანდრონიკაშვილი I, 1966, 54-55; აფხაზავა, 1998: 8).

როგორც აღვნიშნეთ, ფიქრობენ, რომ კოდორის სათავეებში, ფაქტობრივად, მისიმიანთა ქვეყანაში, ალანები ყუბანის სათავეებიდან უნდა მოხვედრი-

ლიყენენ (Алексеева Е., Древняя и средновековая история Карачаево-Черкесии, 78, 80, 103; Кузнецов В. А. Аланские племена Северного Кавказа, 131; აფხაზავა, ალანები და საქართველო, 24-25). „სწორედ აქ, კოდორის ხეობაში... უნდა მომხდარიყო მათი კონტაქტი მეგრულენოვან ეთნიკურ მასივთან. მაგრამ აქ მისიმიელთა მოსაზღვრედ აფსილები (-აფშილები) ბინადრობენ და კოდორის სათავეებში დამკვიდრებულ ალან-ოსებს მხოლოდ მათგან, ან მათი მემკვიდრეებისგან შეეძლოთ მიეღოთ ვ. აბაევის მიერ ხაზგასმული სუბსტრატული „მეგრელიზმები“. მეგრულენოვან ეთნიკურ მასივთან ალან-ოსთა მეზობლობა და მჭიდრო კონტაქტი საქართველო-ჩრდილოკავკასიის სხვა მოსაზღვრე რეგიონებში გამორიცხებულია“ (აფხაზავა, 1998: 10).

მასასადამე, ნ. აფხაზავას საბოლოო და უმთავრესი დასკვნა შემდეგია: ლინგვო-კულტურული ფაქტებით დასტურდება, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ოსთა წინაპარ ალანებს მდ. ყუბანზე ბინადრობისას, კოდორის ხეობაში შელწევის შედეგად, აფსილ-აფშილებთან კონტაქტის გზით მიუღიათ სუბსტრატული ტიპის მეგრელიზმები, და რომ ეთნონიმ აფსილის//აფშილის წარმოების ქართული ფორმა **აფს-ილ-ი (აფშ-ილ-ი)** მიუთითებს აფსილთა მეგრულენოვნებასა და უძველესი დროიდანვე ქართველურ ეთნოკულტურულ სამყაროსთან კავშირზე (აფხაზავა, 1998: 11).

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ალან-ოსთა და მეგრელ-ლაზთა ადრეულ პერიოდში შესაძლო კონტაქტების ანარეკლადაა მიჩნეული ისტორიულ-არქეოლოგიურ მეცნიერებაში „ნებელდის კულტურის“ სახელით ცნობილ ნამოსახლარებზე ალანური კერამიკის აღმოჩენის შემთხვევებიც (Воронов, 1975: 12-17; Воронов, Бгажба, Логинов, 1983: 55; აფხაზავა., 1998: 13; აფხაზავა, 2010: 42-70). თვით ამ კულტურის გავრცელების ძირითადი არეალი კოდორის ხეობას მოიცავს. ამასთანავე, შესაბამისი ეპოქის არქეოლოგიური მასალა ადასტურებს თავისი გენეზისით „ნებელდური კულტურის“ კოლხურ კულტურასთან სიახლოვეს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ აფსილებით დასახლებულ ტერიტორიას, არამედ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს – სვანეთს, სამეგრელოს, გურიას, აჭარას, ბარის იმერეთს, მთიელ აფხაზეთს და ზოგ მოსაზღვრე რაიონს ჩრდილო-დასავლეთით (აფხაზავა, 2010: 72).

რაც შეეხება ოსურ ენაში ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი სვანური ენობრივი პლასტის წარმოქმნა-დადასტურებას, ნ. აფხაზავას მიერ ეს ფაქტი კოდორის სათავეებში ალანთა ექსპანსიის შედეგად მისიმიან-სვანთა ტომის აქედან შესაძლო განდევნა-ამონყვეტასა ან ალანთაგან ასიმილაციაზე უნდა მიგვანიშნებდეს (აფხაზავა, 2010: 42-70).

ლინგვისტურ-არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრი-

სით საინტერესო ძიებებისა და კატეგორიული დასკვნების გამოტანის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ დ. მუსხელიშვილისა და ნ. აფხაზავას ნოვაციები ალანეთის ლოკალიზაციის მიმართულებით, უფრო მყარ არგუმენტაციას და დამაჯერებელ მსჯელობას საჭიროებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მეგრელებთან ალანთა მჭიდრო კონტაქტების მტკიცება ოსურ ენაში ვ. აბაევის მიერ დადასტურებული ლექსიკური ნასესხობების, სუბსტრატული „მეგრელიზმების“ მოშველიებით, ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგან 40-ზე მეტი სვანიზმითა და 10-ზე მეტი მეგრელიზმით ალანებთან სვან-მეგრელთა შესაძლო კონტაქტებზე საუბარი უმართებულოდ გვეჩვენება. ნასესხობათა ასეთი მცირერიცხოვანი რაოდენობისათვის „სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის“ (ვ. აბაევი) მინიჭება და მათზე დაყრდნობით კატეგორიული დასკვნების გამოტანა, ვფიქრობთ, ძალზე სარისკოა;

2. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ რამდენიმე ერთეული ან თუნდაც ათეული არქეოლოგიური ნივთის აღმოჩენით მთელი ტერიტორიის ეთნიკურ კუთვნილებაზე საუბარი საკმაოდ საფრთხილო და ნაჩქარევი უნდა იყოს;

3. ტოპონიმ „ალანდას“ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობა შეუძლებელია გამოდგეს ალანთა ტომის აქ ოდესღაც სახლობის დამამტკიცებელ საბუთად, ვინაიდან ამ ტოპონიმის წარმოქმნის თარიღი დადგენილი არ არის. გარდა ამისა, სახელწოდების კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში წარმოქმნა შესაძლებელია ამ ადგილას ოდესღაც ალანთა დროებითი, სპორადული დასახლების შედეგი ყოფილიყო.

ნ. აფხაზავა მეგრულენოვან ეთნოსთან ალან-ოსთა მეზობლობასა და მჭიდრო ურთიერთობას საქართველო-ჩრდილოკავკასიის სხვა მოსაზღვრე რეგიონებში, მათ შორის, „ისტორიული ოსეთის“ მოსაზღვრე რაჭაშიც, გამორიცხავს, ვინაიდან, ამ მხარეში სადღეისოდ გაბატონებულ ქართულ ეთნოლინგვისტურ სიტუაციას წინ უსწრებდა და ზოგი მკვლევრის აზრით, გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისამდე არსებობდა მხოლოდ სვანური ენა. ამიტომ „რაჭაში მეგრელიზმები (=ზანიზმები) არ გვხვდება“ (აფხაზავა, 1998: 10).

აღნიშნული თვალსაზრისი საკამათოა შემდეგი გარემოების გამო: უკანასკნელ წლებში რაჭის სრული ტოპონიმიური მასალის გამოქვეყნებამ და სტრუქტურულ-ფონეტიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ თანამედროვე ტოპონიმი (და რაჭული დიალექტის მასალა) ძირითადად ქართულია. რასაკვირველია, ეს როდი გამორიცხავს ამ მხარეში, განსაკუთრებით მთა-რაჭაში (ისტორიული მთიულეთი) სვანების მოსახლეობას და შესაბამისად, რაჭის ტოპონიმიკაში სვანური სუბსტრატის არსებობას (ცხადაია, V, 2011: 283-293). „რა ვითარებაა ზანიზმებთან დაკავშირებით რაჭის ტოპონიმიკაში?“ – ამ კითხვაზე პასუხის

გასაცემად პროფესორი პ. ცხადაია აანალიზებს რაჭის ო- თავკიდურნიან და -ში დაბოლოებიან ყველა ტოპონიმს. ამასთანავე, მკვლევარ ალ. კობახიძის მიერ შედგენილ „რაჭული დიალექტის ლექსიკონზე“ მითითებით შენიშნავს, რომ რაჭაში რამდენიმე აშკარად ზანური სიტყვა დასტურდება. მაგალითად: ონდეთ – „ძლივს, ძლივძლივობით, ოდნავ“; ოდიშურა – საშემოდგომო მსხლის ჯიში; ობროდი – „უჭკუო, ჩერჩეტი“; ოჩოკოჩი – „ტყისკაცი“; ოშოშია – „ას-ფურცელა“... მკვლევარი აგრეთვე იმონმებს ზანიზმებს რაჭის ტოპონიმიში: ორჭე – გზა გლოლაში; ორჭე//ორლობე – გზა-გასასვლელი ბაჯიხეცში; ორჭე//ჩიხი – გზა ლიხეთში (ორჭე ქართული „ვინრო“ ლექსემის მეგრულ შესატყვისს წარმოადგენს); ჩაბინდულა//ოჩოკოჩის ტყე – ტყიანი ბნელი ხევი სოფ. ღვიარაში. ოჩოკოჩი მეგრულში ტყის კაცის, მითიური არსების აღმნიშვნელია.

პ. ცხადაიას ტოპონიმებისა და ლექსიკის გაანალიზება შემდეგი საერთო დასკვნის გამოსატანად სჭირდება: „სვანიზმები და ზანიზმები რაჭის ტოპონიმიში არც ისე მრავალრიცხოვანია, რომ „ხელშესახები“ ვუნდოთ“ (ცხადაია, V, 2011: 298).

ამდენად, მეგრულისა და ოსურის ურთიერთობა, რომელიც აისახა მცირერიცხოვან ლექსიკურ ნასესხობათა სახით, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა რაჭის გზითაც, და არა კოდორის ხეობის სათავეებით, ვინაიდან, გეოგრაფიული სივრცის გათვალისწინებით, კოდორის ხეობაში ალანთა მოსახლეობა ძნელი დასაჯერებელია.

ალანეთის ლოკალიზაციის საკითხს შეეხო და პრობლემის სხვაგვარად გადაწყვეტას შეეცადა ენათმეცნიერი თეიმურაზ გვანცელაძეც. მან ყურადღება მიაქცია მატეანეში – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თამარ მეფის მამის, გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) შესახებ დაცულ შემდეგ ცნობას: „თუთ მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად. ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთ-იმერითს და მიუნის ზღუად პონტოსა, მოინის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუადმდე. და ამას შინა სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმპიანითა“ (ახალი ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, 15). ციტირებული ადგილი მან განსაკუთრებით საყურადღებოდ მიიჩნია XII ს-ის მეორე ნახევარში ეთნიკური აფხაზეთის ადგილმდებარეობის დასადგენად. თ. გვანცელაძე ცნობის სინტაქსური ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ შერწყმული წინადადება – „მოინის და მოინადირის ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუადმდე“, სავსებით ცხადად მიუთითებს შემდეგს: ალანთა ქვეყანა იგივე აფხაზეთია; არც ალანთა ქვეყანა და არც

აფხაზეთი „ლიხთ-იმერიტოში“ არ შედის და პონტოს ზღვის უშუალო სიახლოვეს არ მდებარეობს (იქვე: 73). მო- ზმნისწინიანი **მოინიის** ფორმის გამოყენებაც, მკვლევრის აზრით, იმაზე მიანიშნებს, რომ „ალანთა ქვეყანა“, ანუ საკუთრივ აფხაზეთი მდებარეობდა არა პონტოს ზღვის ნაპირზე, არამედ ზღვისაგან აღმოსავლეთით, ხმელეთის სიღრმეში, ოღონდ არა ამიერკავკასიაში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში“ (იქვე: 74; მისივე, 1998: 28).

აღნიშნული მოსაზრება საგულისხმოდ გვეჩვენება. ფრაზა – „ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“, იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ აფხაზეთი და ალანთა ქვეყანა ერთი და იგივეა; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ტერმინ ალანის ეთნიკური შინაარსი გულისხმობს თურქული მოდგმის ყარაჩაელ-ბალყარელთა წინაპრებს, ამასთანავე, იმავე მატიანეში მოხსენიებული ეთნონიმი „ალანი“ „ოვსის“ შესატყვისად შეუძლებელია ჩაითვალოს (რამეთუ „ოვსებს“ და „ოსეთს“ მემატინე ხშირად ხმარობს, ხოლო „ალანეთს“ – ამ ერთადერთხელ!), ქართული მატიანის საანალიზო ცნობაში პოლიტიკური შინაარსის მქონე შესიტყვება „ალანთა ქუეყანა“ შესაძლებელია იმ პოლიტიკური გაერთიანების აღმნიშვნელი იყოს, რომელიც ოსებთან ან ყარაჩაელ-ბალყარელებთან ერთად აერთიანებდა ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენ, აფხაზურ-ადიღურ ტომებს, მათ შორის აფხაზებსაც (იქვე: 74; მისივე, 1998: 28). „სხვანაირად ვერ აიხსნება, – წერს თ. გვანცელაძე, – ალანთა ქვეყნისა და აფხაზეთის გაიგივება ქართველი მემატინის მიერ“ (იქვე: 74).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ დამონმებულ ცნობაში ალანთა ქვეყნისა და აფხაზეთის იგივეობის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისის გამყარებას თ. გვანცელაძე რამდენიმე არგუმენტის მოშველიებით ცდილობს:

1. ალანთა ქვეყნისა და აფხაზეთის იგივეობის შესახებ ცნობა „ქართლის ცხოვრების“ უკლებლივ ყველა ხელნაწერში უცვლელი სახითაა წარმოდგენილი. მატიანის გვიანდელი გადამწერები ტექსტის ამ ადგილის ჩასწორებას იმ შემთხვევაში შეეცდებოდნენ, თუკი ჩათვლიდნენ, რომ მემატინის ცნობა არ იქნებოდა XII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს რეალობის ამსახველი (იქვე: 74).

2. ეთნიკური აფხაზეთის მდ. ყუბანის აუზში მდებარეობას ადასტურებს მკვლევრის მიერ მიკვლევული იტალიელი კარტოგრაფის – ჯაკოპო გასტალდის 1561 წლის რუკა, რომელზედაც „აფხაზეთის ოლქი“ (Abcvas regi) და „ქალაქი“ აყვა (Acva) მდ. ყუბანის აუზში, ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზეა აღნიშნული (იქვე: 74-75).

3. არსებობს მეტი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ციტირებული ცნობის ალანი ყარაჩაელს გულისხმობს და არა ოსს, ვინაიდან იმავე მატიანეში,

თუკი ოვსი და ოვსეთი ცალკეც არაერთგზის დასტურდება, ალანის შესახებ იმავეს ვერ ვიტყვით. ამასთანავე, მეგრულში ალანი ყარაჩაელების აღმნიშვნელია და არა ოსებისა (იქვე: 74-75).

4. 1654 წლის ლათინურ-ფრანგული რუკაც, რომელსაც პროფ. ი. ტაბალუამ მიაკვლია (ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, თბილისი. 1986, რუკა), პირდაპირ ეხმიანება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ცნობას XII ს-ის II ნახევარში ალანთა ქვეყნისა და აფხაზეთის ერთ პოლიტიკურ ერთეულად არსებობის შესახებ, რაც გამოიხატება შემდეგში: რუკაზე კავკასიონის ჩრდილოეთით, ერთმანეთის მეზობლად არის ლათინური მინანერები – *Abkaschi hodie Abbassa* „აფხაზი, ანუ აბასა“ და *Aleni* „ალანი“. რუკაზე აფხაზთა და ალანთა (ყარაჩაელთა?) ერთმანეთის მეზობლად მითითებაც ამის დასტურად უნდა ჩაითვალოს (ტაბალუა, 1986, 75-77).

5. ყუბანის აუზში აფხაზთა ოდინდელი ბინადრობის მიმანიშნებელია ეთნოგრაფ ნ. ბჟანიას მიერ ჩანერილი ერთ-ერთი თქმულება, რომელშიც ვკითხულობთ: „მაშინ აფხაზეთში ცხოვრობდნენ აჰჭიფსელნი, ადილები, აბაძეხები, ნოლაელები“ (Бжания, 1973: 294).

ჩრდილოეთ კავკასიაში აფხაზთა ოდინდელი ცხოვრება ასახულია აფხაზური ფოლკლორის სხვა მონაცემებშიც, კერძოდ, „ნართების ეპოსში“. ამასთანავე, აფხაზურ გვარებში – ავიძბა, ზუხბა, აშვბა, ბგანბა და სხვ., გავრცელებულია თქმულებები ჩრდილოეთ კავკასიიდან მათი წინაპრების მოსვლის შესახებ (ხორავა, 1996: 140; ზუხბა, 1988: 214; გვანცელაძე, იქვე: 77);

6. თ. გვანცელაძე იმონებს აფხაზი ეთნოგრაფის ლ. აკაბას ცნობას სალოცავების შესახებ. აბჟუის აფხაზეთში (ოჩამჩირის რ.) მოსახლე აფხაზურ გვართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი უმთავრესი საგვარეულო სალოცავი მდებარეობს არა მათი ამჟამინდელი საბინადროს მახლობლად, ანუ ილორის, მოქვის, ბედიისა და დრანდის ტაძრებში, არამედ ბზიფის მაღალმთიან სათავეებში. ესაა ნალკუბას წარმართული ხატი (Акаба, 1984: 77). დამონმებული ეთნოგრაფიული რეალია, თ. გვანცელაძის აზრით, ადასტურებს აფხაზთა წინაპრების მიგრაციას ჩრდილოეთ კავკასიიდან ჯერ ამჟამინდელი აფხაზეთის მაღალმთიანეთში, შემდგომ კი – შავი ზღვის ნაპირისა და ბარისაკენ (Акаба, 1984: 77-78).

მაშასადამე, თ. გვანცელაძის აზრით, საკუთრივ აფხაზეთი მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში და წარმოადგენდა ალანთა ქვეყნის ნაწილს. თვით ალანეთი კი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. ამ მიზეზით, ბუნებრივია, გიორგი III-ს ექნებოდა თავისი ვასალის – ალანთა მეფის სამფლობელოში ნადირობის შესაძლებლობა. სხვა მხრივ ალანთა ქვეყანას, ფაქტობრივად, საერთო

არაფერი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოსთან.

პროფ. ზ. პაპასქირი შენიშნავს, რომ „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტის ფრაგმენტის თ. გვანცელაძისეულ გაგებას არავითარი გამართლება არა აქვს. მეცნიერი თავისი არგუმენტის დასასაბუთებლად მოიშველიებს ქართული საისტორიო ტრადიციის მიერ სრულიად გარკვევით დაფიქსირებულ შემდეგ ფაქტს: არა მარტო XII საუკუნეში, არამედ თვით ლეონ II-ის დროს – IX საუკუნის დამდეგს, როდესაც შეიქმნა დასავლურქართული სახელმწიფო „აფხაზთა“ სამეფო, ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით არსებობდა აფხაზეთის საერისთავო, თავისი კონკრეტული ეთნოტერიტორიული შინაარსით. ეთნიკური აფხაზები ამ პერიოდიდან ძირითადად სწორედ ამ საერისთავოში იყვნენ განსახლებულნი. „თუ ერთი წუთითაც წარმოვიდგენთ, რომ აფხაზეთი არ შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და მის ფარგლებს გარეთ იყო, მაშინ საკითხავია, რანაირად დაერქვა ჯერ დასავლეთ საქართველოს – IX-X საუკუნეებში, ხოლო შემდეგ XI-XII საუკუნეებში – ერთიან ქართულ სახელმწიფოს აფხაზეთი... რაც შეეხება „ისტორიანი და აზმანის“ მოყვანილ ფრაგმენტს, მასში იგულისხმება არა ის, რომ აფხაზეთი შედის ალანიაში, არამედ პირიქით, გიორგი III ნადირობს ალანიაში, რომელიც განიხილება აფხაზეთის ნაწილად. აქ, რასაკვირველია, იგულისხმება არა საკუთრივ აფხაზეთი (აფხაზეთის საერისთავო), არამედ დიდი აფხაზეთი, ანუ გაერთიანებული ქართული სახელმწიფო“ (პაპასქირი, 2009: 433).

საქმე ისაა, რომ ისტორიულ წყაროებში ორი „აფხაზეთი“ იხსენიება: ერთი კავკასიონის გადმოღმა და სხვადასხვა პერიოდში აღნიშნავდა: 1. თანამედროვე აფხაზეთის ნაწილს; 2. დასავლეთ საქართველოს და 3. სრულიად საქართველოს; მეორე აფხაზეთს კი მრავალი წყარო, მათ შორის ევროპული რუკებიც, ჩრდილოეთ კავკასიაში უთითებს.

საგულისხმოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ევროპული ისტორიული რუკების მონაცემთა შეკრებითა და სხვა მომიჯნავე ხასიათის ისტორიულ ინფორმაციასთან შეჯერებით შესაძლებელი ხდება დასავლეთ საქართველოს ორგანული შემადგენელი ნაწილის – აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული კონტურების, აფხაზთა განსახლების არეალის დადგენა. იტალიელი კარტოგრაფი ჯაკოპო გასტალდი 1561 წლის რუკაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. ყუზანის შუა-წელზე აღნიშნავს „აფხაზეთის მხარეს (ოლქს, ქვეყანას)“, რომელიც იტალიურად იკითხება, როგორც „აბკვას რეჯი“ (**Abcvas regi**). იმავე რუკაზე, ყუზანის მარცხენა შენაკადზე აღნიშნულია ქალაქ სოხუმის ამჟამინდელი აფხაზური სახელის მატარებელი დასახლებული პუნქტი **Acua** (იტალიურად იკითხება როგორც აკვა), ანუ **აყვა**. თ. გვანცელაძე ფიქრობს, რომ ამ რუკის მიხედ-

ვით „აფხაზთა წინაპრების ძირითადი მასა მაინც 1561 წლის ახლო ხანებში ჯერ კიდევ ყუბანის აუზში ცხოვრობდა, ისინი ამის შემდგომ დასახლებულან ამჟამინდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე და ქალაქ ცხუმისათვის, რომელსაც ჯაკოპო გასტალდის რუკაზე სანატოპოლი (**Sanatopoli**, შდრ. სხვა წყაროთა – სებასტოპოლისი, სევასტოპოლისი) ჰქვია, შეურქმევიათ თავიანთი მთავარი დასახლებული პუნქტის სახელი **აყვა** – „დამყაყებული წყალი“ (გვანცელაძე, „არტანუჯი“, 6, 1997: 28-31; მისივე, „არტანუჯი“, 10, 2000: 56).

იოან იანსონისა და დავიდ დე ვილჰელმის რუკებზეც, რომლებიც XVII ს-შია შედგენილი, **Acua** კავკასიონის ჩრდილოეთით, თანამედროვე ყარაჩაი-ბალყარეთის ტერიტორიაზე აღნიშნული, ხოლო სევასტოპოლი (**Savatopoli**) შედის სამეგრელოს (**Mingrelia, Mengrelia**) მხარეში (გვანცელაძე, ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის, 57, 58).

ინგლისის სამეფოს გეოგრაფის, ა. ეროუსმიტის მიერ XVIII ს-ის დასასრულს შედგენილი რუკა საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, კავკასიონის სამხრეთით, აღნიშნულია ქორონიმი „**ABCHAS**“. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთითაც, რუკაზე დასტურდება ქორონიმი „**ABCHAS**“ (ნინიძე, ქართული დიპლომატია, 10, 2003: 586).

თავი VII
აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა
საღმარეო მართვა

შესავალი

ტოპონიმია ერთი დასახლებული პუნქტის ფარგლებში მოქცეულ მცირე თუ დიდ გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებებს აერთიანებს. ტოპონიმებში თვალსაჩინოდ აისახება ობიექტის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი, ადამიანის სამეურნეო-ყოფითი თუ სარწმუნოებრივ-პოლიტიკური დამოკიდებულება. ზოგიერთი საკუთარი სახელი მოტივირებულია, ე. ი. გააჩნია გამჭვირვალე სემანტიკურ-მორფოლოგიური სტრუქტურა. წარმოქმნის მომენტში მოტივირებული ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების გენეზისი დროთა განმავლობაში გაუჩინარებულა. ნომინაციის მოტივის გაბუნდოვანება იწვევს საკვლევი სიტყვის ძირის შინაარსისა და მნიშვნელობის დეეტიმოლოგიზებას, ანუ საკუთარი სახელის ამოსავალ ფუძესთან შინაარსობრივი კავშირის განწყვეტას.

ტოპონიმოკა, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველწყაროა ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. საჭიროა დროულად იქნეს აღნუსხული დიდი თუ მცირე ობიექტების სახელები, რათა ეს ხალხური მარგალიტები დავინწყებასა და გაქრობას გადაურჩეს.

„ადგილთა სახელები – ტოპონიმები, ის სასინჯი ქვებია, რომლებიც გვეხმარება, განვსაზღვროთ ეთნოსის, ხალხის ეროვნული ცნობიერების დონე... ახალი არაფერი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ტოპონიმებში ხალხის, ქვეყნის თავგადასავალია კრისტალიზებული. ისინი ყველაზე ნათელი და უტყუარი საბუთებია ამა თუ იმ ხალხის საცხოვრისის არეალის დასადგენად. ამიტომ მათ განსაკუთრებული სიფაქიზით უნდა მოვეპყრათ ყოველთვის... დამპყრობი და გადამთიელი მრავალნაირ კვალს ტოვებდა ჩვენს ქვეყანაში. იგი ანგრევდა ბრწყინვალე ტაძრებსა და სასახლეებს, ჩებდა ვენახებსა და ხეხილის ბაღებს, ამასთან ერთად, ხელყოფდა ქართულს და ამკვიდრებდა უცხო ტოპონიმებს. საუკუნეების განმავლობაში მომხვედურს ებრძოდა არა მარტო ხმალმომარჯვებული ქართველი კაცი, არამედ – ქართული სიტყვა, ქართული ტოპონიმიც“ (იხ. ვაჭრიძე, „ახალი ქუთაისი“, №5-6, 1998).

წინამდებარე ნაშრომი ჩემი მრავალწლიანი ძიების შედეგია. მასში შესული მიკროტოპონიმების უმეტესი ნაწილი 1998-2008 წლებში ჩავინერე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთაგან. ნაშრომში თავმოყრილია **დასახლებული უბნების, სახნავ-საბალახოების, ტყე-ბუჩქნარების, მდინარეების, ლელე-ნაკადულების, გზების, ნასახლარებისა** და სხვ. მისთ. სახელწოდებანი.

საღეჭიკონო მასალის ჩანერისას ვითვალისწინებდით ტოპონიმთა მართლწერაში, ვარიანტებსა და განმარტებებში აღნიშნულ ყოველგვარ განსხვავებას, რომელსაც ინფორმანტები გვანვდიდნენ.

აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის (გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, სოხუმის რაიონები, ოჩამჩირის რაიონის ნაწილი) ტოპონიმთა ლექსიკონის აგებულება ასეთია: დასახელებულია სამისამართო ერთეული (სოფელი, ტერიტორიული ერთეული, სატყეო უბანი); მეთაურსიტყვას – გეოგრაფიულ სახელწოდებას, ტირეს შემდეგ მოსდევს ერთი ან რამდენიმე საფეხურიანი ლოკალიზაცია (ე. წ. მიბმა), ტოპონიმით აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის (დენოტატის) ადგილმდებარეობის დადგენა (სადაც ეს შესაძლებელი იყო). თუკი ტოპონიმი მოტივირებულია (ანუ გამჭვირვალე სემანტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურით ნომინაციის მოტივის დადგენა შესაძლებელია), ასეთ შემთხვევაში მას ახლავს ენობრივი კომენტარები ქართულ ენაზე თარგმანის სახით, და შენიშვნა: აფხაზურია იგი თუ მეგრული. საღეჭიკონო მასალაში წარმოვადგენთ ამოსავალი ფუძის განმარტებას აფხაზურ ლექსიკონებზე (ბ. ჯანაშია, თ. გვანცელაძე), აგრეთვე პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას წიგნებზე დაყრდნობით, ან ინფორმატორისეული სიტყვებით. ონიმის მოტივაცია გვეხმარება, პასუხი გავცეთ კითხვას – თუ რატომ ეწოდა ამა თუ იმ ობიექტს ესა თუ ის სახელი? ასე, მაგალითად, **ჩიგურნისა** [Чыгурна-ныа ჩგ^ორნა-ნგნა] — საბალახო, სალოცავი, ღელე ჩიგურასთან; **ამყიხუა** [Амжыкхаа ам^ექ^ეხა] „თუთის მალლობი“ (აფხ.) – მალლობი: **ჟვავაკვარა//ჟოეკვარა//ჟოუ იკუარა** [Жаваквара ჟ^ეკ^ევარა] „ჟოუს ღელე“ (აფხ.) – მდინარე და მდინარისპირა ადგილები. სათავეს იღებს არაბიკის მასივზე, ზ. დ. 2690 მ-ზე და ქალაქ გაგრასთან შეერთვის შავ ზღვას; **ყუშვირ** [Кашыр ყ^შვირ] – ღელე; **ბგაბორთა** [Бгаарортა ბგა^აბორთა] — მინდორი; **ანუეფიშ დინა//ნახვარცამ** (მეგრ.) – სახნავი ღალიძგის მარცხენა ნაპირას, რკინიგზის ხაზთან. რესპ.: „ხვარცამ ხალხი ოხორანდუა“; **როსტომ ნასხაპა** „სადაც როსტო(მი) გადახტა“ (მეგრ.) – კლდე ღალიძგის მარცხენა ნაპირზე. რესპ.: „აბრაგი როსტო შერვაშიძე გადახტა აქ“; **ბზანა** [Бзана ბზანა] — ღელე; **ცხუმ** [Цхом//Цхум ცხომ//ცხუმ] — მინდორი ტამიშში; **ხარჩილაა** [Харчлаа ხარჩ^ილაა] — ქალაქ ტყვარჩელის ნაწილი. ხარჩილაა გვარია. აქ ცხოვრობენ აფხაზი ხარჩილავეები; **არაგიდრა კუარა//არაგიდკვარა** [Арагыдра квара არაგ^ედრა კ^ევარა] — ღელე; ღალიძგის მარცხენა შენაკადი სოიკვარასა და მაჰმეიხუჭს შუა, ტყვარჩელის სატყეო უბანში; **აპაპ იჰაბლა** [Апап ихабла აპაპ იჰა^ბლა] „მღვდლის დასახლება“ (აფხ.) – დასახლებული უბანი სოფ. ურთაში...

საერთოდ, როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ტოპონიმს, როგორც ერთი გარკვეული, კონკრეტული ობიექტის საკუთარ

სახელს, თან უნდა ახლდეს მაქსიმალური, ანუ დიაქრონიული და ფუნქციონალური ხასიათის ინფორმაცია. დიაქრონიული ინფორმაცია ზოგ შემთხვევაში სპეციალურ ლინგვისტურ და ისტორიულ კვლევა-ძიებას საჭიროებს. ფუნქციონალურ ინფორმაციაში იგულისხმება გეოგრაფიული სახელწოდების კავშირი ობიექტთან, ობიექტის დამახასიათებელი მონაცემები და სხვა დამატებითი ცნობები მასზე (პ. ცხადაია). საველე მუშაობისას ჩანერილი მიკროტოპონიმების მართლწერისას შექლებისდაგვარად ვითვალისწინებდით ინფორმატორთა მეტყველების, სახელწოდებათა მორფოლოგიური გადმოცემის ნიუანსებს და წარმოთქმის თავისებურებებს, აფხაზურ-მეგრულ ფონემათა ქართულ ტრადიციულ ტრანსკრიფციას.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ წიგნში თავმოყრილია აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი სრულად. ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება ბევრად მეტ ტოპონიმს გამოავლენს, ვიდრე დღემდეა ჩანერილი და გამოქვეყნებული.

გულწრფელ მადლობას მოვასხენებ ჩერქეზული (ადიდური) კულტურის ცენტრის დირექტორს, წინამდებარე შრომის რედაქტორს, პროფესორ მერაბ ჩუხუას, რომელმაც პრაქტიკული მონაწილეობა მიიღო წიგნის გამოსაცემად მომზადების საქმეში, გულდასმით გაეცნო გამოკვლევას და მოგვცა სასარგებლო შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებულია კიდეც.

მკითხველთა საყურადღებოდ:

წინამდებარე ნაშრომში რაიმე სახის უზუსტობის აღმოჩენისას, ან თუკი გაგიგიათ ისეთი სახელწოდება, როგორ ჩვენ მიერ წარმოდგენილ ტოპონიმთა ნუსხაში შეტანილი არაა, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ და გვაცნობოთ შემდეგ მისამართზე:

მარტვილი, ბანძა. იგორ კეკელია. ტელ: 577 95 48 35. Facebook: იგორ კეკელია, gmail: igor.kekelia@gmail.com

ჩვენი ინფორმანტები 1998-2008 წლებში იყვნენ:

აპლაკოვი ალფეს ომარის ძე, დ. 1975 წ., სოხუმი, არგუნ კონოშოკის ქ. №6.

აშორტია ნიკოლოზ (კოლია) პავლეს ძე, დ. 1970.

გადელია ლევანი ლადოს ძე, დ. 1971 სოხუმი, ბარათაშვილის ქ.

გოგიშვილი ქეთინო შოთას ასული, დ. 1962 წ., კელასური.

გოგიშვილი შოთა ვასილის ძე, დ. 1920 წ., სოხუმი.

დანელია ზაზა გიულის ძე, დ. 1971 წ., სოხუმი, ძაძამიას ქ., №6.

ერქვანია აბესალომ ვლადიმერის ძე, დ. 1952 წ., სოხუმი, ჭოჭუას ქ., №44, ბ. №31.

ერქვანია გოჩა მიხეილის ძე, დ. 1962 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. ესტონკა.

კვერნაძე მანანა ნოდარის ას., დ. 1954 წ., სოხუმი.
კვერნაძე ნოდარ ფილიპეს ძე, დ. 1933 წ., სოხუმი.
კიზირია ლილი ნიკოლოზის ას., დ. 1932 წ., სოხუმი.
კორთხონჯია ავთანდილ აქვსენტიის ძე, დ. 1952 წ., გულირიფშის რაიონი, სოფ.დრანდა.
მუშკუდიანი დემურ ელიზბარის ძე, დ. 1952 წ., სოხუმი, სოფ. ოდიში.
ნადარაია ხათუნა ნესტორის ასული, დ. 1982 წ., გულირიფშის რაიონი, სოფ. დრანდა.
სანაია ანტონ აპოლონის ძე, დ. 1975 წ., სოხუმი, კიროვის ქ., №131.
სანაია აპალონი ანტონის ძე, დ. 1940 წ., სოხუმი.
სანაია პოდისტი ანტონის ძე, დ. 1928 წ., სოხუმი.
საჯაია ემზარ დავითის ძე, დ. 1955 წ., სოხუმი.
ფარულავა რეზო ვაჟას ძე, დ. 1974 წ., სოხუმი, ლასურის ქ., №34.
ფოჩხუა დევი გივის-ძე, დ.1965 წ., სოხუმი, თბილისის გზატკეცილი.
შანგუა რობერტ თედორეს ძე, დ. 1950 წ., გულირიფშის რაიონი, სოფ.მაჭარა.
შარაშენიძე მედეა მიხეილის ას., დ. 1925 წ., სოხუმი.
ძარია ბადრი შოთას ძე, დ. 1956 წ.
წერედიანი ნორა ბეგლარის ასული, დ. 1958 წ., სოფ. გულირიფშის რაიონი, სოფ. პტიში.
წულაია ვენერა დიმიტრის ასული, დ. 1940 წ., გულირიფშის რაიონი, სოფ. მერხეული.
ჭოჭუა თენგიზი ოთარის ძე, დ. 1959 წ., სოხუმი, ჯიქიას ქ., №13.
ჯალაღონია მაცვალა მირიანის ას., დ. 1956 წ., სოხუმი,
ჯღარკავა გია კალისტრატეს ძე, დ. 1962 წ., სოხუმი, 8 მარტის ქ., №10 და სხვანი.

§1. გაგრის რაიონი

აჩმარდა [Ачмарда/Ачмарда]

აჩმარდა//აჩიმარდი [Ачмарда/Ачмарда აჩმარდა/აჩმარდა] „ცხენის მთა“ (აფხ.) – სოფელი ბაღნარის თემში. თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ცანდრიფშის მარჯვენა ნაპირზე, გაგრის ქედის დასავლეთ კალთაზე. სოფელი ზ. დ. 460 მ-ზეა. შავ ზღვას დაშორებულია 12 კმ-ით, გაგრას – 39 კმ-ით. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. სახელწოდების აფხაზური ფორმაა **Ачмарда**.

აჩიმარდი – სოფელი. იხ. **აჩმარდა**.

ალახადი [Алахазы алаჰადე]

ავეტუკ – მინდორი.

ალახადი [Алахазы алаჰადე], „ლეღვის წყარო“ (ავხ.) – 1. სოფელი შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ბზიფის მარჯვენა მხარეს, რკინიგზის ხაზთან. თემის ცენტრი. მდებარეობს ზ. დ. 40 მ-ზე, შავი ზღვიდან – 3 კმ, გაგრიდან – 15 კმ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. არაოფიციალური ვარიანტია **ალახადე**; ამჟამად ეწოდება **Алахазы** [ალაჰადე]; ავხ. **Алаха** ალაჰა „ლეღვი“, ავხ. **Азха** აძხა „წყარო“. 1930 წელს ალახადის სასოფლო საბჭო აერთიანებდა სოფლებს: საკუთრივ ალახადს, შავროვს, III ინტერნაციონალს. 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით არსებობს მხოლოდ ალახადის სასოფლო საბჭო ერთი, ამავე სახელწოდების სოფლით. 1989 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 4277 ადამიანი; 2. წყარო.

აკუარა//აყუარა [Ақуара//Ақуара ақуара//აკუარა] „ლეღე“ (ავხ.) – ლეღე. **ალახადე** – იხ. **ალახადი**.

აყუარა – იხ. **აკუარა**.

აჰაშნისა [Ҡашныа Ҷашнса] – უბანი. რესპ.: „სალოცავი თეთრ მინასთან“.

ჩიგურა [Чыгара ჩგურსა] – ლეღე.

ჩიგურნისა [Чыгарса-ныа ჩგურსა-ნსა] – საბალახო, სალოცავი ლეღე ჩიგურასთან.

ბიჭვინთა [Пицунда პიცუნდა]

აბაათა [Абааҭа აბაათა] – ჰქვია იმ ადგილს, სადაც უნინ კომკი იდგა.

ამჟვიხუა [Амжыкәхәа ამჟუქჟსა] „თუთის მალლობი“ (ავხ.) – მალლობი.

ანიშხნარა [Анышьҭара ანშხნარა] – ტბა.

აფცხუა [Аҭҭхәа აფცხუა] – მალლობი.

ბიჭვინთა//პიცუნდა [Пицунда პიცუნდა] – დაბა გაგრის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ავხ. სახელწოდებაა **Пицунда** [პიცუნდა]. მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე, ქ. გაგრის სამხრეთით 22 კმ-ზე. სოხუმს დაშორებულია 80 კმ-ით. დაბის სტატუსი 1963 წელს მიენიჭა. არქეოლოგიური გათხრებით ბიჭვინთის კონცხზე გამოვლინდა ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრისა და I ათასწლეულის I საუკუნეებით დათარიღებული კოლხური ნამოსახლარები, ბრინჯაოს ცულების განძი და საქართველოს შავი ზღვისპირეთის დიუნების ძველ კოლხურ ნამოსახლართათვის დამახასიათებელი ე. წ. ქსოვილიანი კერამიკა. პირველად მოიხსენიება სტრაბონის „გეოგ-

რაფიაში“, „დიდი პიტიუნტის“ სახელწოდებით. ვარაუდობენ, რომ ქალაქი აქ, ინკითის ტბის ნაპირებზე, ჯერ კიდევ ელინისტურ ეპოქაში არსებობდა; თუმცა იმდროინდელი კულტურული ფენები ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის. II-III საუკუნეებიდან ბიჭვინთის ციხეში მდგარი რომაელთა გარნიზონი რომის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მისადგომებს მთიელთა შემოსევებისგან იცავდა. თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით, ბიჭვინთის ეკლესიის ადგილას ივერიელთა მთავარი სალოცავი – ბოჩის ტაძარი მდგარა: „სრულიათ ივერიელთა ჰყვათ უძველესთა დროთა უპირატეს ღმერთად ბოჩი და ტაძარი მისი იყო ფრიადისა სიმდიდრითა შემკობილ სამზღვარსა ზედა კოლხიდიისა და აფხაზიისათა ბიჭვინტას, რომელიცა ქრისტეს სარწმუნოებასა მოქცევისა შემდგომად შეიცვალა ეკკლესიად“ (თეიმურაზ ბატონიშვილი, დანყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა“).

ბიჭვინთა წარმოადგენდა ქრისტიანობის ერთ-ერთ უძველეს და ძლიერ ცენტრს, სადაც ჯერ კიდევ IV ს-ის I მეოთხედში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა. ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე იყო 325 წელს. საეკლესიო ცენტრის ფუნქცია ბიჭვინთას შუა საუკუნეებშიც არ დაუკარგავს. აფხაზეთის სამეფოს შექმნის შემდეგ ბიჭვინთა იყო აფხაზეთის კათალიკოსის, ხოლო საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ – აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია. გვიან ანტიკურ ხანაში ბიჭვინთა ერთ-ერთი მძლავრი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი იყო. აქ იდგა II-IV საუკუნეებში აგებული ციხე, რომელიც გამაგრებული იყო კონტრფორსებითა და კოშკებით. ციხეში გამოვლინდა საცხოვრებელი სახლები, სასიმაგრო, საკულტო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი – აბანო, მარანი, კერამიკული ქურა, საოქრომჭედლო სახელოსნო და სხვ. ნაქალაქარის გარეთ მდგარა V საუკუნის ქრისტიანული ტაძარი – სამნავიანი ბაზილიკა, შვერილი ხუთნახნაგოვანი აფსიდიტ. იგი IV ს-ის მოზაიკით შემკული იატაკის მქონე ბაზილიკის ნანგრევებზეა აგებული. ძველი ტაძრის დასავლეთით გამოვლინდა VI-VII საუკუნეების მცირე ზომის ტაძრის ნაშთი. ბიჭვინთის ცენტრში დგას X ს-ის ბოლოს და XI ს-ის დასაწყისში აგებული ჯვარგუმბათოვანი დიდი ტაძარი. შემორჩენილია ამ ტაძრის XVI ს-ის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. ტყეში, ზღვისპირას გამოვლენილი ორაფსიდიანი ტაძრის ნანგრევები VI ს-ით თარიღდება.

ბიჭვინთის ძველი ბერძნული სახელი **პიტიუნტი** (Πιτιουντι), ისევე როგორც ქართული და აფხაზური სახელები, **ფიჭვიდან** მომდინარეობს (ლათ. Pitios). სხვათა შორის, რელიქტური ფიჭვის კორომები ახლაც არის ბიჭვინთის კონცხზე. სახელწოდება ბუჯუნდეს ფორმით გვხვდება ნიკეის საეკლესიო

კრების მონაწილეთა სირიულ სიასა და XVII ს-ის „ჯიჰან ნუმას“ თურქულ რუკაზე. ვახუშტი ბატონიშვილი მას იცნობს „ბიჭვინტის“ სახელწოდებით. XIV-XV საუკუნეების იტალიურ საზღვაო რუკებზე დატანილია „პეცონდას“ ფორმით.

ინქითი [Инкит инкит] – ტბა.

მჰარა – მალლობი.

პეცონდა//პიცუნდა [Пицунда პიცუნდა] – იხ. **ბიჭვინთა**.

პიცუნდა [Пицунда] – იხ. **პეცონდა//ბიჭვინთა**.

გაგრა [Гагра]

აბათა [Абааҭа აბათა] – ძველი ციხესიმაგრის ნაშთი გაგრაში.

აფსთა//აფსთალალე [Аҭҭа афсҭа] „ხეობა“ (აფხ.) – მდინარე, ხეობა.

აფსთალალე – იხ. **აფსთა**.

აჩგუარა [Аҭҭара აჩგუარა] „ცხენის ბაკი, ქართა“ (აფხ.) — მინდორი, საბალახო.

აჩიფსთა [Аҭҭҭа аჩҭҭа] „ცხენის ხეობა“ (აფხ.) – ტყე-ხეობა.

აძიხ [Аҭҭах აძხ] „წყარო“ (აფხ.) – წყარო.

აძიხიდა „უთავო ღელე“ (აფხ.) – ღელე.

ახალი გაგრა//გაგრა აჭიც (იხ.)

გაგრა აჟვ//ძველი გაგრა – უბანი.

გაგრა აჭიც – უბანი. იგივე **ახალი გაგრა**.

გაგრიფშ [Гаҭҭҭах გაგრიფშ] – ღელე და ღელისპირა საბალახოები.

ეიძიფ – მინდორი.

კინჭული – იხ. **ჟვავაკვარა//ჟოეკვარა//ჟოუ იკვარა**.

ჟვავაკვარა//ჟოეკვარა//ჟოუ იკუარა [Жааакаара ჟგკუარა] „ჟოუს ღელე“ (აფხ.) – მდინარე და მდინარისპირა ადგილები. სათავეს იღებს არაბიკის მასივზე, ზ. დ. 2690 მ-ზე და ქალაქ გაგრასთან შეერთვის შავ ზღვას. მდინარის სიგრძე 20 კმ-ია, აუზის ფართობი – 72 კმ². საზრდოობს მინისქვეშა, წვიმისა და თოვლის წყლით (აფხაზავა, ქსე, VIII, 1984: 254). **აჟოუკუარა** აფხ. იგივეა, რაც „კურდღლის ღელე“. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე მას **კინჭულის** სახელით მოიხსენიებს (XIX ს-ის 30-იანი წლები).

ჟოეკვარა – იხ. **ჟვავაკვარა//ჟოუ იკვარა**.

ჟოუ იკვარა – იხ. **ჟვავაკვარა//ჟოეკვარა**.

ფონტანკა [Фонтан//Аҭҭҭах ფონტან//აძგრშ] – ადგ. ახალი სახელწოდებაა, XX ს-ის შუა წლებში შერქმეული.

ფსჰუ [Гҭсҭәы фсҭә] – მთა. შდრ. ვ. კვარჭია: **Гҭсҭәы // Псху** – обширная территория в верховье р. Бзыбь, ныне с. **Гҭсҭәы//Псхәы**. Как отмечает К. Мачавариани, регион Псху представляет собой «глубокую долину по р. Бзыба и ея притокамъ: Баулу, Решевья, и Ахея» (Мачавариани, с. 170). В прошлом Псху являлась густонаселенной, труднодоступной сердцевиной Абхазии. Ее занимала абхазское общество **Псху (Гҭсҭәы)**, покорением и выселением которых закончилась русско-кавказская война в 1864 году. Название территории и общества упоминает турецкий путешественник Эвлия Челеби (XVII в.) как **Псху**. Далее на картах значится **Псхо** (К – 1; К – 22) или же общество Псоу (К-20). В 1946 году Х. С. Бгажба записал со слов старца-информатора Шерифа Нанба, что «Нанба жили в Псху (Гҭсҭәы), они были садзы. Живущие по ту сторону реки составляли садзский народ. Он делился на три племени: псхуское племя (Гҭсҭәыжәлар), мдзавское племя (мзәажәлар), лдзавское племя (лзәажәлар). Псхуское племя жило в верховьях реки Бзыбь. Оно занимало земли: **Псху** (Гҭсҭәы), **Ҷачиса** (Ҷачыҭса), **Гҭсанаиан** (Заадан)» (Бгажба. Этюды, с. 176). Из вставок Х. С. Бгажба, видно, что он **Гҭсҭәы** возводит к **Гҭсҭәы**. Судя по топонимии садзы сами себя называли диалектным вариантом **пҭсыу** (**пҭсыу**, **аҭчыпҭсу**) в отличие от других прибрежных абхазов – аҭсуа (см. Гҭсоу). Возможно отсюда и название обособленного поселения **Гҭсыу** или **Гҭсоу** – Гҭсҭәы «Псуская долина (или лощина)», срав. Шәәхәы «абазинская лощина». Общество Гҭсҭәы состояло из представителей разных фамилий, встречающихся и в других регионах Абхазии, а также на Северном Кавказе у абазин. Среди них присутствовала и фамилия **Гҭсҭәы**. Последнее, скорее всего, как и пҭсҭәыжәлар «псхуский народ» от названия территории Гҭсҭәы. В. И. Ворошилов считает, что название территории от этнонима **Псху**. Далее не понятно к чему строки автора «По-адыг. психу просто означает «река»; по-убыхс. **псху** (песху) «отец» («земля отцов (предков)», по-абхаз. **апсху** «доля души», «доля умершего»)» (Ворошилов В. И. Указ. раб., с, 181) (Кварчия, 2006: 228-229).

ყუშვირ [Кәшәыр ყәшәг] – ლელე.

შაფშალ//შაფშალოვკა [Шапшаловка] – მინდორი. „ენოდება სასაფლაოს. რუსი პომეშჩიკის – შაპშალოვის გვარს უკავშირდება“.

შაფშალოვკა – იხ. **შაფშალ**.

ცვაპარუა//ციხერვა – ხეობა. რუკებზე აღნიშნულია ციხერვას ფორმით.

ციხერვა – იხ. **ცვაპარუა**.

ძიხჭა „ახალი წყარო“ (აფხ.) – მაღალი გორა გაგრასთან.

ბარანოვო [Бараново Лапუტარხა]

ბარანოვო [Бараново Лапუტარხა **ლაფსთარხა**] – სოფელი ხეივანის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ლაფსთის ნაპირას, ზ. დ. 80 მ-ზე, გაგრიდან 35 კმ, განთიადიდან – (უახლოესი რკინიგზის სადგური) 5 კმ. ამჟამინდელი სახელწოდებაა **ნალკოტი**, ხოლო აფხაზური სახელია **Лапუტარხა** [ლაფსთარხა]. სოფელს სახელი გადაერქვა 1948 წლის 3 სექტემბერს. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში აქ არსებობდა სოფ. ლაფსთაარხა, ხოლო XX ს-ის ბოლოს შეიქმნა სოფ. ბარანოვო. 1930 წელს შედიოდა პილენკოვოს თემში.

ლაფსთარხა [Лапუტარხა] – იხ. **ბარანოვო//ნალკოტი**.

ნალკოტი [Лапუტარხა] – სოფელი. იხ. **ბარანოვო**.

ბალნარი

ბალნარი/ხრისტოფოროვო [Хышәҭа // Хышәҭарыҭышә **ხგშჰა//ხგშჰარგუმ**] – სოფელი ბალნარის თემში, მდინარეების – სანდრიფშის და ჟეოფსის შესართავთან, ზ. დ. 230 მ-ზე, გაგრიდან – 33 კმ. თემის ცენტრი (სოფლები: აჩმარდა, ველი, კლდეკარი, მენდელეევი) აფხაზური სახელწოდებაა **Хышәҭа** [ხგშჰა]; უწინდელი სახელწოდებაა **ხრისტოფოროვო**. ვ. კვარჭია შენიშნავს, რომ XIX ს-ის 30-იან წლებში სოფელს ხისხორიფშ ერქვა. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, XIX ს-ის 70-იან წლებში, ამ მიწებს მემამულე ხრისტოფოროვი ფლობდა და სახელადაც ხრისტოფოროვო ამიტომ ეწოდა (Кварчия, «Аҭсны атопонимика», 2002). სახელი გადაერქვა 1944 წლის 15 იანვარს. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

ხრისტოფოროვო [Хышәҭа // Хышәҭарыҭышә] – იხ. **ბალნარი**.

ბზიბი [Бзыб]

აბაყულძიხე//ბაყულძიხე [Абақәылцыхь **აბაყულძიხე**] – წყარო. მეგრული „ბუყუნი“ აფხაზურს უსესხებია, როგორც „აბაყულ“. ესაა ცილინდრული ფორმის ჭურჭელი ფქვილის ან რაიმე სითხის შესანახად. **აძიხ** აფხ. იგივეა, რაც „წყარო“.

აბგაბართა – უბანი. ვ. კვარჭიას ცნობით, **აბგაბართა** — „მგლის, მელიის სანახავ ადგილს“ ნიშნავს.

აკუარა//აყვარა [Ақара **აყვარა**] „ლელე“ (აფხ.) – 1. სოფელი ბზიფის თემში, მდ. ბზიფის ნაპირზე; თბილისი-სოჭის რკინიგზის ხაზზე. ზ. დ. – 120 მ, შავი

ზღვიდან – 10 კმ, გაგრიდან – 11 კმ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ; აფხაზური სახელწოდებაა **Акәара** [აყარა]; 2. ლელე.

აყვარა [Акәара аყარა] – იხ. **აკვარა**.

ათიძ(ფ)თა [Аҧыҭә ათიძთა] „საცხოვრებელი“ (აფხ.) – სოფელი ბზიფის თემში, მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირზე, თბილისი-სოჭის რკინიგზის ხაზზე. ზ. დ. 40 მ, შავი ზღვიდან – 8 კმ, გაგრიდან 16 კმ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. 1989 წლის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 1785 ადამიანი. აფხაზური სახელწოდებაა **Аҧыҭә**[ათიძთა] (ცხადაია, ხორავა, 2016: 43).

არასაძიხ [Арасаҭыхь არასაძიხ] „თხილის წყარო“ (აფხ.) – სოფელი ბზიფის თემში, მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირზე. ზ. დ. – 190 მ, გაგრიდან – 13 კმ, შავი ზღვიდან – 5, 5 კმ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. აფხაზური სახელწოდებაა **Арасаҭыхь** [არასაძიხ].

ასფა [Асҭә ასფა] – იხ. **ბზიფი**.

აჯარჯარა [Аҭҭәара აჯრჯარა] „ხმელი მუხები“ (აფხ.) – სოფელი ბზიფის თემში. ამჟამად იფნარია.

ბაყულძიხ [Баҭәыҭыҭа ბაყულძიხ] – იხ. **აბაყულძიხ**.

ბგარბორთა [Бгаарборҭа ბგარბორთა] – მინდორი.

ბზიბთა [Бзыбҭа ბძფთა] – აფხაზეთის ისტორიული მხარე, ბზიბის აფხაზეთი. ბზიფთა – სოფელი ბზიფის თემში, მდ. ბზიფის მარჯვენა მხარეს. ზ. დ. – 190 მ, შავი ზღვიდან – 8 კმ, გაგრიდან 20 კმ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. ყოფილი ბზიფისხევი, ბზიბტა, ბზისხევი. აფხაზური სახელწოდებაა **Бзыбҭа** [ბზფთა].

ბზიბი [Бзыбь ბზფ] – იგივე **ასფა**. სოფელი მდ. ბზიბის ნაპირზე.

დადუხ იხუ „დადუხის მალლობი“ (აფხ.) – მალლობი.

თამიშხუა იჰაფი [ҧамышхәа аҭаҭы თამეშხუა აჰაფი] „თამიშხუას გამოქვაბული“ (აფხ.) – გამოქვაბული.

უასარლუა [Уасарлхәы უასარლუა] „ცხვრის ბოგირი“ (აფხ.) – ნახიდარი.

ჰასანთა აბაა/ჰასან აბაა [ҭасанҭа абаа // ჰასანთა აბაა] „ჰასანის კოშკი“ (აფხ.) – კოშკი.

ჰასან იბაა [ҭасан ибаа ჰასან იბაა] – იხ. **ჰას ანტა**.

ჰოჰპარა [Аҭәыҭәапара აჰეჰეჰარა] – მინდორი. ტოპონიმი მიუთითებს ადგილზე, სადაც მტრელებზე ნადირობდნენ.

გაგრაფსთა

გაგრაფსთა [Гаграфста გაგრაფსთა] – სოფელი კოლხიდის თემში, გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 100 მ, გაგრიდან 1, 5 კმ. აფხაზური სახელწოდებაა გაგრაფსთა „გაგრის ხეობა“ [Гаграфста], რომელიც ეწოდა 1955 წელს. ყოფილი გაგრის ხეობა. 1989 წლის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 147 ადამიანი. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

განთიადი [Гантиади Ахәца ახ°წა]

ანანგუარა [Ацангәара ანანგ°არა] – სოფლის უბანი.

ახალწე – ლელე.

განთიადი//პილენკო(ვო)//ცანდრიფშე [Гантиади//Пиленко//Пиленково//Цандрыпшә განთიადი//პილენკო//პილენკოვო//ცანდრფშე] – სოფელი განთიადის თემში.

ლაფსტა [Лапста//Лапш ипста ლაფსთა//ლგაფ იფსთა] – ლელე.

პილენკოვო [Пиленково პილენკოვო] – სოფელი. იხ. **განთიადი//ცანდრიფშე**.

ცანდრიფშე [Цандрыпшә ცანდრფშე] – სოფ. იხ. **განთიადი//პილენკოვო**. სოფლის ძველი სახელწოდებაა. აქ ცხოვრობდნენ ცანდები.

ცვკუარა//არსაულ(ი)//პრიმორსკ(ი) [Цәкәара//Арсаул//Приморск ც°კუარა//არსაულ//პრიმორსკ] „ხარის ლელე“ (აფხ.) – ლელე.

გრებეშოკი [Гребешок]

გრებეშოკი [Гребешок] – სოფელი ხოლოდნაია რეჩკის თემში, გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 200 მ-ზე გაგრას დაშორებულია 6 კმ-ით. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. აფხაზური სახელწოდებაა **Аныхапста** [ანფხაფსთა]. რესპ.: „რევოლუციამდე აქ პრინც ოლდენბურგის სტუმარს დაჰკარგვია სავარცხელი (гребешок). ამიტომ უწოდეს „გრებეშოკი“.

